იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXXIX

ეძღვნება აკადემიკოს

ქეთევან ლომთათიძის დაბადების

100 წლისთავს

Dedicated to the 100th birth
anniversary of Academician

Ketevan Lomtatidze

Посвящается 100-летию со дня
рождения академика

Кетеван Ломтатидзе

ARN. CHIKOBAVA INSTITUTE OF LINGUISTICS
ИНСТИТУТ ЯЗЫКОЗНАНИЯ ИМ А. С. ЧИКОБАВА

IBERO-CAUCASIAN LINGUISTICS

XXXIX

Иберийско-кавказское языкознание

XXXIX

Tbilisi 2011 Тбилиси

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXXIX

თბილისი
2011

მთავარი რედაქტორი

ვაჟა შენგელია

სარედაქციო კოლეგია

ავთანდილ არაბული
მარინე ბერიძე
გიორგი გოგოლაშვილი
ლალი ეზუგბაია
თამარ ვაშაკიძე
გუჩა კვარაცხელია
ნანა მაჭავარიანი
ლია ქაროსანიძე
მიხეილ ქურდიანი
მედეა ღლონტი
მერაბ ჩუხუა

Editor-in-chief

Vazha Shengelia

Editorial Board

Avtandil Arabuli
Marine Beridze
Giorgi Gogolashvili
Lali Ezugbaia
Tamar Vashakidze
Gucha Kvaratskhelia
Nana Machavariani
Lia Karosanidze
Mikheil Kurdiani
Medea Glonti
Merab Chukhua

მ ი ს ა მ ა რ თ ი :
0108 თბილისი, ინგოროყვას ქ. 8
არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

A d d r e s s :
0108 Tbilisi, Ingorokva str. 8
Arn. Chikobava Institute
of Linguistics

E-mail: contakt@ice.ge

რეცენზენტები

ლევან აზმაიფარაშვილი
ლატავრა სანიკიძე

Reviewers

Levan Azmaiparashvili
Latavra Sanikidze

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ISBN

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **თ. გაბროშვილი**
რ. გრიგოლია
რ. პაპიაშვილი
რ. რატიანი

შ ი ნ ა ა რ ს ი — CONTENTS

I

გ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა, „ყოველ პოეზიას წააჭარბებდა“ (აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე — 100) 9

G. K v a r a t s k h e l i a, "More then any Poetry" (Academician Ketevan Lomtatidze - 100) 13

ა. ა რ ა ბ უ ლ ი, ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება 15

A. A r a b u l i, V. S h e n g e l i a, Academician Ketevan Lomtatidze and Iberian-Caucasian Linguistics 25

С. П а з о в, Наш учитель 28

ს. პ ა ზ ო ვ ი, ჩვენი მასწავლებელი 31

S. P a z o v, Our Teacher 32

რ. ჯ ა ნ ა შ ი ა, მცირე მოგონება ქეთევან ლომთათიძეზე 34

R. J a n a s h i a, A Little Memories on Ketevan Lomtatidze 35

II

ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი, პრედიკატული სინტაგმა და სინტაქსური კონსტრუქციები ბეჟიტურ ენაში 37

N. A r d o t e l i, Predicative Syntagma and Syntactic Constructions in Bezhit 46

ფ. ა ფ ხ ა ი ძ ე, თავაზიანობის ეტიკეტი და მესამე პირის ნაცვალსახელთა სისტემა (სინჰალური ენის მასალაზე) 48

P. A p k h a i d z e, On the Peculiarities of the 3nd Personal Pronouns in Spoken Sinhala 55

თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, რთული თანწყობილი წინადადების დეფინიციისათვის ქართულში 58

T. B u r t c h u l a d z e, Towards the Definition of a Compound Coordinate Sentence . 62

ე. გ ა ზ დ ე ლ ი ა ნ ი, ნათესაობითი ბრუნვის ალომორფთა განაწილებისათვის ხმოვანფუძიან სახელებთან სვანურის ბალსქვემოურ და ლენტეხურ დიალექტებში 64
E. G a z d e l i a n i, Towards the Distribution of Genitive Case Alomorphs at the Vowel-end Nouns in the Lower Bal and Lentekhian Dialects of Svan 73

ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი, ადგილის ზმნისართები სვანურ დიალექტებში.....74
L. G i g l e m i a n i, Place Adverbs in Svan Dialects.....78

გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, თემის საკითხისათვის III სერიის ფორმებში.....79
G. G o g o l a s h v i l i, Towards the Issue of a Theme in the III Series Forms.....87

თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, პოეტურ-სტილისტიკური თავისებურებებისათვის მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში.....88
T. V a s h a k i d z e, Towards the Poetic-Stylistic Peculiarities in Mukhran Machavariani's Works..... 95

ც. კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი, ზოგი ზმნური ფუძე და ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება (ნიუანსობრივი სხვაობით გამოვლენილი).....96
Ts. K v a n t a l i a n i, Some Verbal Stems and Word-Forming Task of an Adverb (Revealed through nuance difference).....101

რ. ლ ო ლ უ ა, ფარინგალიზაციის საკითხისათვის უდიურ ენაში.....102
R. L o l u a, Towards the Issue of Pharyngealization in Udi.....116

ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი, სუბკატეგორიებისთვის სვანურ ენაში (ინდიკატივი, კონკლუზივი, რენარატივი, დუბიტატივი).....117
K. M a r g i a n i - S u b a r i, Towards the Sub-Categories in Svan (indicative, conclusive, renarative, dubitative).....125

თ. მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე, კონკრეტული თუ აბსტრაქტული?.....126
T. M a k h a r o b l i d z e, Concrete or Abstract?.....132

მ. ს ა ღ ლ ი ა ნ ი, ნასესხები ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანურში 134
M. S a g l i a n i, Towards the Analysis of Borrowing Phraseological and Old Religious Expressions, Blessing and Cursing Formulae in Svan..... 156

მ. ს ა ღ ლ ი ა ნ ი, რ. ჭ კ ა დ უ ა, სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა ლექსიკონის შედგენის მნიშვნელობა და ძირითადი პრინციპები 157
M. S a g l i a n i, R. T c h k a d u a, Importance and Basic Principles of Compiling a Dictionary of Svan Phraseological Expressions 166

მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, პასიური და საურთიერთო სემანტიკა გარდაუვალი ზმნის ე- პრეფიქსიან მოდელში 167
M. S u k h i s h v i l i, Passive and Reciprocal Semantic of Intransitive Verbs with the *e-* Prefix 176

თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, O^{dp} {ენ} (/-ენ/~/-ნ/) და O^{dp} {-თ} (/-თ/~/-∅/) იდენტური მნიშვნელობის სუფიქსთა გრამატიკული ღირებულებისათვის 177
T. U t u r g a i d z e, Towards the Grammatical Value of O^{dp} {en} (/-en/~/-n/) and O^{dp} {-t} (/-t/~/-∅/) Suffixes having Identific Suffixes 194

რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე, მარცვლის გახსნასთან დაკავშირებული საკითხები ნახურ ენებში 195
R. P a r e u l i d z e, The Issues Connected with Syllable Opening in the Nakh Languages 199

ხ. ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი, მრავალგზისობის გამოხატვა ქართული ენის კახურ დიალექტში 200
Kh. Q a n d a s h v i l i, Expressing of Multiplicity in the Kakhian Dialect of Georgian 204

ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველი ფრაზეოლოგიური ქვეწყობილი წინადადებები სვანურში 205
N. S h a v r e s h i a n i, Hypotactic Sentences Expressing Blessing, Cursing and Threatening in Svan 215

ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, ქართული ენის სამხრული დიალექტები კომპარატივისტიკის თვალსაზრისით 216
I. C h a n t l a d z e, Georgian Southern Dialects from Comparativistic Viewpoint 230

მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, ქართული იდიომატიკონის ლინგვისტურ-ლექსიკოგრაფიული კონსტრუირებისათვის.....231
M. C h a c h a n i d z e, Towards the Linguistic-Lexicographic Constructing of Georgian Idiomaticon.....234

ა. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სადაურობისათვის.....235
A. T c h i n t c h a r a u l i, Towards the Origin of the Author of "The Knight in the Panther's Skin".....240

რ. ჭ კ ა დ უ ა, ფუძედრეკად ზმნათაგან მიმღეობის წარმოებისათვის სვანურში.....241
R. T c h k a d u a, Towards the Formation of Participle From Stem-Changing Verbs in Svan.....247

ნ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, არსებით სახელთა დაჯგუფების ახალი პრინციპებისათვის ქართულში.....248
N. J o r b e n a d z e, Towards the New Grouping Principle of Nouns in Georgian.....252

III

ხ ს ო გ ნ ა M e m o r y

ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ბუხადინ კუმახოვის ხსოვნას.....253
V. S h e n g e l i a, In memory of Mukhadin Kumakhov

B. O u t t i e r, «Il n’y a pas de petites cultures» (Georges Charachidzé)..... 257
ბ. უ ტ ი ე, „არ არსებობენ პატარა კულტურები“ (გიორგი შარაშიძე).....261

ნ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, გიორგი შარაშიძე.....266
N. M e t r e v e l i, Giorgi Sharashidze

მიხეილ ქურდიანი Mikheil Kurdiani.....272
ლამარა ნოზაძე Lamara Nozadze.....276
ლალი იორდანიშვილი Lali Iordanishvili.....278

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXXIX

2011

გუჩა კვარაცხელია

„ყოველ პოეზიას წააჭარბებდა...“
(აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე – 100)

ყოველ ენაში, ისევე როგორც, ყოველ ადამიანში, არის ზოგი რამ ისეთი, რაც თითქოს არც არის დაფარული, მაინცდამაინც უხილავ შუაგულშიც არ ძევს, მაგრამ მაინც მიუწვდომელია: მას ყველა ვერ ხედავს და ვერ ისმენს. მის აღმოსაჩენად მაინცდამაინც კონცენტრირებული თუ დაძაბული ძალისხმევა არ არის საჭირო — იგი უეცრად ნათდება გონებაში, როგორც უეცარი თვალის ახელა. ასეთი რამ წლობით დაგროვილ ცოდნასაც აღემატება და მძიმე შრომით შეძენილ რაგინდარა უნარსაც, გავბედავ და ვიტყვი: „უცნაურია, მაგრამ ის შეიძლება ყოველივე ამაზე არც კი იყოს დამოკიდებული... მაშინ იტყვიან ხოლმე: „ეს მაღლიდან არისო“...

არნოლდ ჩიქობავამ ქეთევან ლომთათიძის შრომათა დახასიათებისას, რომელიც 1951 წელს სამეცნიერო საბჭოს მოხსენდა, ბრძანა: პატარა ნაშრომია ქ. ლომთათიძის „ერთი ფონეტიკური კანონზომიერების შესახებ აფხაზურ დიალექტებში“ (მოხსენებად იყო წაკითხული საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების სესიაზე ლენინგრადში 1941 წ. იანვარში), მაგრამ მას დიდი პრინციპული ღირებულება აქვს; ის მოწმობს, რომ მთის კავკასიურ ენათა სათანადო შესწავლამ შეიძლება მოგვცეს იმავე რიგის ფონეტიკური შესატყვისობანი, რომლებიც ისტორიული ფონეტიკის შემეცნებითი ძალის მაუწყებელია. აფხაზურ დიალექტთა შესწავლისას დადგენილ ამ შესატყვისობას სამართლიანად შეიძლება ეწოდოს „ლომთათიბის ფორმულაო“. შემდგომში, როცა ამ აღმოჩენას სხვებიც დაემატა, მათ „ლომთათიძის კანონებით“ მოიხსენიებენ. ასეთი რამ დიდი იშვიათობაა ლინგვისტიკაში, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებებს კი მიეკუთვნება, მაგრამ ფილოლოგიის ტრადიციულ სტრუქტურაში ანალიზის არათვითნებურობითა და ობიექტურობით, რომ იტყვიან, „მათემატიკურ-ლოგიკური“ სიზუსტით, გამოირჩევა, თუმცა ეს სიზუსტეც აქ სხვაგვარია, აქ სიმკაცრისა და სიფხიზლის სხვა ხერხებით მოქმედებენ, ამავე დროს აქ არ არსებობს გამოგონებები. ქეთევან ლომთათიძეც არასოდეს იგონებდა რამეს. მისი აღმოჩენები აზრის უეცარი გასხივოსნება იყო ყველგან — იქნებოდა ეს ფონეტიკა, მორფოლოგია,

სემასიოლოგია, ეტიმოლოგია თუ სხვ.

ქეთევან ლომთათიძემ იბერიულ-კავკასიურ ენათა წრეში ერთ-ერთი ყველაზე რთული აგებულების ენა — აფხაზური — აირჩია. სწორედ ამ ენის აგებულებაში მართებულად გარკვევას ჰქონდა მნიშვნელობა იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიის მთავარი საკითხების სათანადოდ დასმისა და გადაწყვეტისათვის. სრულიად ახალგაზრდა, იგი მძიმე საექსპედიციო მუშაობას ეწეოდა. ადგილობრივ სწავლობდა აფხაზურ ენას, იწერდა ტექსტებს, ეუფლებოდა აფხაზურ მეტყველებას. „არააფხაზ მკვლევართა შორის, გარდა სიმონ ჯანაშიასი, იგი ერთადერთია, ვინც პრაქტიკულად ფლობს აფხაზურ ენასო“, — აღნიშნავდა არნ. ჩიქობავა.

აფხაზური მისთვის იყო ბედიც და ბედისწერაც. ბედი იმიტომ, რომ დიდი მეცნიერული წარმატებანი მას უკავშირდებოდა; ბედისწერა — იმიტომ, რომ განუზომლად უყვარდა ეს ენა და ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხი. ამ სიყვარულმა მძიმე დარდით აღბეჭდა მისი ცხოვრების უკანასკნელი წლები.

სიყვარულის გამოხატულება მეტწილად არტიკულაციურიც არის, მაგრამ რაც უფრო ღრმა და მომცველია გრძნობა, მით უფრო ნაკლებია მასზე საუბარი. სიყვარული ქმედებაა და მისი ხარისხი და ზომა ყველაზე კარგად ნაღვაწით განისაზღვრება. აქაც ასე იყო: აფხაზური ენის დიალექტთა ზედმიწევნით შესწავლამ ანუ საკვლევი მასალის სრულყოფილმა ცოდნამ, კვლევის მეთოდების ფლობამ და „მკვლევრის უმცდარმა ალღომ“ (არნ. ჩიქობავა) ქ. ლომთათიძეს საშუალება მისცა საძირკველი ჩაეყარა აფხაზური ენის დიალექტთა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისათვის და ამით ახალ საფეხურზე აეყვანა აფხაზური ენის მეცნიერული კვლევა, ხოლო მისი მონოგრაფიები ტაპანთური და აშხარული დიალექტების შესახებ უბადლო ნიმუშს იძლევა, თუ როგორ შეიძლება იქნეს შესწავლილი მთის იბერიულ-კავკასიური წრის უმწერლო თუ ახალდამწერლობიანი ენა. არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიც ქ. ლომთათიძე მალევე აღიარეს აფხაზური ჯგუფის ენა-კილოთა დიდი ავტორიტეტის მქონე სპეციალისტად. 1952 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ოფიციალურად აღძრა საკითხი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წინაშე ქ. ლომთათიძის გადაყვანის შესახებ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში სამუშაოდ. ეს უპრეცედენტო და იმ დროისათვის ძალიან საპატიო მიწვევა იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი არ იქნა დაკმაყოფილებული.

ძნელი წარმოსადგენია, გიყვარდეს ენა და არ გიყვარდეს ხალხი, რომელიც ამ ენაზე ლაპარაკობს, ან გიყვარდეს ხალხი და არ გიყვარდეს ამ ხალხის დედაენა. სხვისი ენის შესწავლას რაც შეეხება, იგი შეიძლება ბუნებრივადაც ხდებოდეს — შესაბამის გარემოში და გარემოს მეშვეობით (როგორც, მაგალითად, სიმონ ჯანაშიას შემთხვევაში) და საგანგებოდაც, როგორც შეისწავლა ქალბატონ ქეთევანმა, რომელმაც საკუთარივით შეითვისა სხვათა დედაენა.

სიმონ ჯანაშიას პირად არქივში დაცულია დოკუმენტი, რომელიც დაწერილია 1935 წელს, როდესაც ქ. ლომთათიძე ს. ჯანაშიას ასპირანტი იყო (1934-1937 წწ., თსუ, კავკასიურ ენათა კათედრა), მასში გადმოცემულია სამეცნიერო ხელმძღვანელისა და მისი ასპირანტის ერთობლივი მუშაობის მოკლე, მაგრამ ტევადი გეგმა-პროსპექტი, სადაც ვკითხულობთ: „გამოვთქვამთ სრულ იმედს, რომ დაწყებული საქმე მიყვანილი იქნება ბოლომდის წარმატებით და რომ ჩვენი უნივერსიტეტი შეიტანს თავის წვლილს საქართველოს უდიდესი ავტონომიური ერთეულის, აფხაზეთის ა.ს.ს.რ. ძირითადი მოსახლეობის, მოძმე აფხაზების, ენისა და კულტურის შესწავლაში“*. ეს სულისკვეთება ამოძრავებდა ქ. ლომთათიძესაც, რომელიც არა მარტო კარგი მოწაფე იყო სახელოვანი მასწავლებლისა, არამედ — თანამოაზრეც. იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე იყო აფხაზური ენის უანგარო მსახური, რომელიც აფხაზთა კულტურის, მათი ეროვნული იდენტობის სადარაჯოზე იდგა. „მისი განუზომელი დამსახურება აფხაზურ-აბაზურ ენათა მეცნიერულ კვლევასა და აფხაზ და აბაზა ენათმეცნიერთა თაობების აღზრდაში გახდა საფუძველი აფხაზთა და აბაზთა შორის ქეთევან ლომთათიძის მიმართ მასობრივი პატივისცემისა და საყოველთაო სიყვარულის გაჩენისა. მეტად ფასეულია, რომ აფხაზ ხალხში ამ პატივისცემასა და სიყვარულს დღემდე არანაირი ცვლილება არ განუცდია“ (თ. გვანცელაძე).**

ფართო და არაორდინარული შესაძლებლობები გამოავლინა ქ. ლომთათიძემ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების იმ უბანზეც, რომელიც ქართველოლოგიური ენების სტრუქტურისა და ისტორიის, ქართულის, როგორც სალიტერატურო და სახელმწიფო ენის, ნორმალიზაციისა და ფუნქციონირების საკითხებს მოიცავს. 1937 წელს უნივერსიტეტის შრომებში გამოქვეყნებული მისი პირველი ნაშრომი — „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში“, როგორც სათაურიდანვე ჩანს, ქართული დიალექტოლოგიის ერთ-ერთ საკითხს ეძღვნება. ამ თარიღიდან მოყოლებული, მეცნიერი, აფხაზურ-ადიღური ენების შესწავლის პარალელურად, იკვლევდა ლინგვისტიკური ქართველოლოგიის პრობლემათა ფართო სპექტრს. ნიჭიერებით გასხივოსნებული მისი ნაშრომები, რომლებიც გვაოცებენ მრავალმხრივობითა და დასმული საკითხების აქტუალურობით, გონებამხვილობით, ერუდიციითა და განუმეორებელი ინდივიდუალობით, დამსახურებულად იკავებენ ღირსეულ ადგილს ქართველოლოგიის ოქროს ფონდში.

ქ. ლომთათიძემ რამდენიმე სპეციალური ნაშრომი ზოგადი ენათმეცნიერების საკითხებსაც მიუძღვნა. მაღალ შეფასებას აძლევდა მათ არნ. ჩიქობავა,

* დოკუმენტი წარმოდგენილია რუსუდან ჯანაშიას მიერ კრებულში — „აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს“, თბილისი, 2008, გვ. 161-162.

** იქვე: თ. გვანცელაძე, გამორჩეული მეცნიერი და მოქალაქე, გვ. 165.

რომელიც მიიჩნევდა, რომ ამ ნაშრომებით ქ. ლომთათიძე წარმოჩნდა როგორც წამყვანი სპეციალისტი არა მხოლოდ კავკასიურ ენათმეცნიერებაში, არამედ ზოგადი ენათმეცნიერების დარგშიც. საენათმეცნიერო საკითხებზე 1950 წლის ცნობილი დისკუსიის მსვლელობისას ქ. ლომთათიძემ, როგორც მოსალოდნელიც იყო, პრინციპულ საკითხებში სიმტკიცე და ზედმიწევნითი გარკვეულობა გამოამჟღავნა. არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა, რომ ქ. ლომთათიძის რეცენზიამ პროფ. გ. სერდიუჩენკოს შრომებზე (აბაზურის შესახებ) დღის სინათლეზე გამოიტანა „ახალი მარქსისტული მოძღვრების“ ამ თავგადაკლული მიმდევრის ცრუმეცნიერული საქმიანობა-თარეში, „რასაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა ჰქონდა“. იმ მძიმე ვითარებაში, რომელიც მაშინ ენათმეცნიერებაში და, საერთოდ, ქვეყანაში სუფევდა, აღნიშნული რეცენზია მაღალი მეცნიერული პრინციპულობისა და მოქალაქეობრივი სიმამაცის კიდევ ერთი მაგალითი იყო ქართველი ლინგვისტების მხრიდან.

1945 წელს, როდესაც ქალბატონი ქეთევანი სადოქტორო დისერტაციას იცავდა, სიმონ ჯანაშიამ მას მილოცვის ბარათი გაუგზავნა (დაცვას ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებოდა), სადაც სწერდა: „ვერ დავმალავ: ძალიან მიხარია, რომ თქვენ ხსნით იმ ქალთა რიგს, რომელნიც ჩვენ მეცნიერებათა სარბიელზე ამ მაღალი წოდების მატარებელნი იქნებიან.

მოგილოცავთ მხურვალედ ამ საუცხოო გამარჯვებას და გისურვებთ, რომ იმ საპატიო კიბეზე, რომელზედაც ასე მტკიცედ დგახართ, შემდგომი საფეხურებიც დამსახურებულად აგევლოთ!“ შემდგომ, 1955 წელს, როცა იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში წევრ-კორესპონდენტად წარადგინეს, არნ. ჩიქობავა ასევე საგანგებოდ გახაზავდა, რომ ქ. ლომთათიძე სამეცნიერო ინსტიტუტის პირველი დირექტორი-ქალი იყო ჩვენში (იგი ორჯერ — 1953-1963 და 1975-1987 წლებში — იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, რაც ასევე უპრეცედენტოა).

მაღალი სამეცნიერო წოდებები, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ასევე მაღალი მოწოდება — დედობა, მეუღლეობა, უბრალოდ, ქალად ყოფნა ყველა საზრუნავითა და მუდმივად მოუწყობელი ყოფის ყოველდღიური წვრილმანებით, რაც უამრავ დროსა და ენერგიას ითხოვდა (მაგრამ ამის გამო შეღავათს არავინ მოელოდა და არც არავინ იძლეოდა), ნამდვილად იყო აღნიშვნისა და დაფასების ღირსი.

ქალბატონი ქეთევანი ღრმად ხანდაზმული, 96 წლისა, გარდაიცვალა. ცხოვრება, რომელიც მან განვლო, ჩვენთვის, მისი თანამემამულეებისათვის, სამაყო და სამაგალითოა, მისი მეცნიერული მემკვიდრეობა ქართული კულტურის ძვირფასი და მარადიული განძია. ძმათა გათიშვისა და ხიდჩატეხილობის ხანაში იგი დღესაც მტკიცე ხიდია ორ ხალხს შორის. ისინი მას ერთი ძალით უყვარდა, ერთნაირი უშურველობით იღვწოდა ორივესთვის. ამაში არასოდეს არავის ეჭვი არ შეჰპარვია...

...არ იყო დალხენილი ქალბატონი ქეთევანის ცხოვრება (თუნდაც ყველაფრისა და ყველას წინაშე მაღალი პასუხისმგელობის გამო, მოვალეობის გამო, რომელიც თავად იკისრა), მაგრამ ეს ცხოვრება იყო გადალახვის, დაძლევისა და აღვსების ნიმუში და მას ბევრი სიხარულიც ახლდა. ერთი მათგანის შესახებ არნ. ჩიქობავა ამბობდა: „დიდი სიხარული, რაც ახალი კანონზომიერებების შერჩევასა თუ გამოვლენას მკვლევარისთვის მოაქვს, ესთეტიკური ძალით ყოველ პოეზიას წააჭარბებდა. ამის გარეშე მეცნიერული აკრიბია მძიმე ტვირთად იქცეოდა (და ან ინტრიგის შხამს რა გაუძლებდა?)“... მართლაც რომ!...

GUCHA KVARATSKHELIA

"More Then Any Poetry"
(Academician Ketevan Lomtatidze - 100)

Posteriority in science, as an essential condition of developments, implies like-mindedness and hereditariness, not only coleague relation of old and new generations, a teacher and a pupil, but a scrupolous unity for common affair. Such co-laborating of individuals is defined by the choice of inner free persons and it has a decisive significance for a common goal. They choose teachers as well as pupils – their lucky meeting is mostly successful. This success is common and it could be said general as an issue concerns to science, that following from its nature, can not be private.

Founding and achievements of the Iberian-Caucasian linguistic school was mostly defined such matual co-laborating between the generations, that I said above. The best esample of this is on the one hand activities of Ketevan Lomtatidze and her teachers – Simon Janashia and Arnold Chikobava on the other hand. Evaluating of a pupil's scholarly activity by teachers on concrete stages and levels is characteristic.

During characterizing Ketevan Lomtatidze's works before a scientific council in 1951, Arn. Chikobava announced: "Ketevan Lomtatidze's work "On one phonetic regularity in the Abkhaz dialects" is a short work, but it has a principal value. It confirms, that relevant studying of the mountainian Caucasian languages can give such phonetic correspondences of the same order, which inform us the cognitive power of historical phonetics. This correspondence that was established during the studying of the Abkhazian dialects can be named "Lomtatidze's formula".

Ketevan Lomtatidze has chosen one of the languages of the Iberian-Caucasian languages – Abkhaz with most complex structure. Just correct investigation of this language's structure has an essential importance for arising and resolving the basic issues of the history of the Iberian-Caucasian languages. An young scholar carried out hard expedition work. She learnt "Abkhaz locally, recorded texts. Among the non Abkhaz scholars, besides Simon Janashia she is the only who practically knows Abkhaz" – noted Arn. Chikobava. In his opinion, thoroughly studying of the Abkhaz dialects, knowig the research methods and a researcher's unerring intuition gave

possibility to K. Lomtatidze to establish historical-comparative studying of the Abkhaz dialects and her works on the Tapant and Ashkhar dialects are unequalled samples how an unwritten or new-written language of the mountainian Iberian-Caucasian languages should be studied.

K. Lomtatidze dedicated some special works to the general linguistics' issues. Arn. Chikobava evaluated them highly. He considered, that through these works K. Lomtatidze had showed herself as a leading specialist not only in the Caucasian linguistics but in general linguistics as well. During the well-known discussion on linguistic issues in 1950 K. Lomtatidze, as it was excepted, demonstrated firmness and thorough knowledge of principal issues. Arn. Chikobava noted, that K. Lomtatidze's review on Prof. G. Serdiuchenko's works (on Abaza) brought out into the open "the pseudo-scientific activity of a selfless follower of" new Marxist doctrine: ravaging, that had All-Union importance".

In 1934-1937 Ketevan Lomtatidze was Simon Janashia's post-graduate student at the chair of the Caucasian Languages at the Iv. Javakhishvili Tbilisi State University. Simon Janashia's private archieve keeps the documents of 1935, which tells a short, but exhaustive plan-project of joint working of a supervisor and his post-graduate student: "We hope, that the work will be come to an end successfully and our university will contribute to studying language and culture of our brothers Abkhazians". This spirit motivated K. Lomtatidze as well who was not only a successful pupil of an outstanding teacher but like-minded as well. During all her conscious life she was a selfless servant to Abkhaz and always guarded the culture, national identy of the Abkhazians.

In 1945, when K. Lomtatidze was defending doctoral dissertation, Simon Janashia has sent her a congratulation card: "I can not conceal – I'm very happy that You are the first among those women, who will have this high honorary rank in scientific sphere. I congratualate horny this great victory and wish to ascend that honourable stair meritely on which You are standing so decisively".

ავთანდილ არაბული, ვაჟა შენგელია

აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე (1911-2007) იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თბილისური სკოლის დიდი წარმომადგენელია. შეიძლება ითქვას, იგი ეროვნული უნივერსიტეტის წიაღში აღორძინებული ქართული ენათმეცნიერების მესამე თაობის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი იყო. განუზომელია მისი ღვაწლი ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის კვლევისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმეში. ქ. ლომთათიძე იმ მკვლევართა რიცხვს ეკუთვნის, ვინც შორს გაუთქვა სახელი ქართულ მეცნიერებას. მრავალი სიახლით გამორჩეული მისი ნაშრომები ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური ლიტერატურის ოქროს ფონდშია შესული.

1934-37 წლებში ქ. ლომთათიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლობდა პროფ. ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით და, როგორც ჩანს, ამან განსაზღვრა მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება — აფხაზური ენის სისტემისა და ისტორიის საკითხების კვლევა მონათესავე ენათა მონაცემების გათვალისწინებით.

განსაკუთრებულია ქ. ლომთათიძის დამახურება აფხაზურ-აბაზურ ენათა შესწავლაში. შეიძლება ითქვას, რომ მან ახალი ეპოქა დაიწყო ამ მიმართულებით. ქ. ლომთათიძის პირველმა მონოგრაფიულმა გამოკვლევამ „ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში“, რომელიც 1938 წელს დაიბეჭდა „ენიმკის მოამბეში“, ნათელი გახადა, რომ აფხაზურ ენას გამორჩეული ნიჭისა და ერუდიციის მკვლევარი შეეძინა. ამ მონოგრაფიის გარდა, ქ. ლომთათიძემ 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისში „ენიმკის მოამბესა“ და „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ გამოაქვეყნა რამდენიმე სხვა ნაშრომი, რითაც მან უკვე მაშინ დაიკავა თვალსაჩინო ადგილი ქართველ ენათმეცნიერთა შორის.

ფუნდამენტურმა მონოგრაფიებმა — „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი“ (1944) და „აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის“ (1954) — დიდი და დამსახურებული სამეცნიერო ავტორიტეტი მოუპოვა ავტორს, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარს; ამ მონოგრაფიებში წარმოდგენილია აფხაზურის ახლომონათესავე აბა-

ზური ენის ორი დიალექტის ფონოლოგიური სისტემისა და მორფოლოგიურ თავისებურებათა ღრმა ანალიზი; ამასთანავე, თითოეული საკითხი განხილულია აფხაზურ ენასთან შედარებით და ამოსავალი ვითარების გათვალისწინებით. მეტად ფასეულია მონოგრაფიებს დართული ვრცელი დიალექტური ტექსტები. ამ რაოდენობითა და ასეთი სიზუსტით ჩაწერილი დიალექტური მასალა მანამდე არავის მოუპოვებია და გამოუქვეყნებია. მკვლევარმა შეძლო დაეფიქსირებინა არა მხოლოდ სხვაობა, რაც აბაზური ენის კილო-კილოკავებსა და თქმებში გვაქვს, არამედ ის რყევებიც, რაც სხვადასხვა თაობის პირთა მეტყველებაში დასტურდება; ამ მასალამ ძვირფასი ისტორიული დოკუმენტაციის მნიშვნელობა შეიძინა.

ქ. ლომთათიძის ეს ორი მონოგრაფია კავკასიოლოგიის კლასიკურ ნაშრომებად არის სამართლიანად მიჩნეული. მათ ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურეს. ვფიქრობთ, ცნობილი ჰოლანდიელი მეცნიერის ა. კოიპერსის გაოცება და აღტაცება მისი სამეცნიერო მიღწევებით, რომელიც მან ქ. ლომთათიძისათვის 1960 წელს გამოგზავნილ წიგნზე წარწერაში გამოხატა, პირველ რიგში აბაზური ენის დიალექტების შესახებ ქართველი მეცნიერის ბრწყინვალე მონოგრაფიებს ეკუთვნის.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა დიალექტების შესახებ მსგავსი გამოკვლევა მანამდე არავის შეუქმნია. ამის გამო გასაგები ხდება ის უნიკალური მოვლენა, რაც 1984 წელს ყარაჩაი-ჩერქეზეთში მოხდა: ვგულისხმობთ ქ. ლომთათიძის მონოგრაფიების 40 და 30 წლის იუბილეს აღნიშვნას ჩრდილოეთ კავკასიის ამ რესპუბლიკაში, სადაც, სხვა ხალხებთან ერთად, აბაზებიც ცხოვრობენ.

აღნიშნული მონოგრაფიებითა და იმავე წლებში შექმნილი სხვა ცალკეული გამოკვლევებით ქ. ლომთათიძემ მტკიცე მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა აფხაზურ-აბაზურ ენათა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საქმეს.

შემაჯამებელი ხასიათისაა ქ. ლომთათიძის მონოგრაფია „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები“ (1976); ესაა ისტორიულ-შედარებითი ხასიათის ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც აფხაზურ-აბაზურ სალიტერატურო ენათა და დიალექტთა მონაცემების გათვალისწინებით განხილულია ამ ენათა ფონეტიკის ყველა ძირითადი საკითხი.

აფხაზურ და აბაზურ ენათა ფონეტიკურ სისტემას დიდი სირთულე ახასიათებს. ქ. ლომთათიძე საოცარი სიმსუბუქით ატარებს მკითხველს ამ სისტემის თავბრუდამხვევ ლაბირინთებში.

ნაშრომი გამოირჩევა როგორც ისტორიულ-შედარებითი ანალიზის მეთოდოლოგიური პრინციპების თანმიმდევრული გამოყენებითა და საანალიზო ენობრივი მასალის სიუხვით, ისე მეტად მნიშვნელოვანი ორიგინალური და-

სკვნებით. შეიძლება ითქვას, რომ არცერთი სხვა მთის იბერიულ-კავკასიური ენის ფონეტიკა ასეთი ღრმა და სრული მეცნიერული ანალიზის საგანი არ ყოფილა.

ქ. ლომთათიძის მონოგრაფიაში „ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობები და მათი გაფორმება აფხაზურსა და აბაზურში“ (1982) კვლევის საგანი გახდა აფხაზურ-აბაზურ ზმნისწინთა რთული სისტემა; გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე წარმოჩნდა ის ფუნქციურ-სემანტიკური დატვირთვა, რაც პრევერბებს ამ ენებში მოეპოვება.

ქ. ლომთათიძის მონოგრაფია „აბაზური ენა“ (ინგლისურად — 1990 წელს, ქართულად და რუსულად — 2006 წელს) მოკლე შეჯამებაა იმ კვლევისა, რაც ავტორს წლების განმავლობაში უწარმოებია.

აღნიშნული მონოგრაფიების გარდა, ქ. ლომთათიძეს ეკუთვნის 100-ზე მეტი ცალკეული გამოკვლევა აფხაზურ-აბაზურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებზე, რომლებიც ეძღვნება აფხაზურ-აბაზურ ენათა სტრუქტურის ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორებიცაა: ბრუნება, განსაზღვრულობა, სტატიკურობა-დინამიკურობა, გარდამავლობა, ფინიტურობა-ინფინიტურობა, ქცევა, პოტენციალისი, საურთიერთო, სათანაო, მიჩნევისა და უნებურობის კატეგორიები... ცალკე უნდა აღინიშნოს ქ. ლომთათიძის მიერ წარმოდგენილი ფრიად საყურადღებო ანალიზი ამ ენების მორფემათა და ფუძეთა აგებულებისა (ეს ეხება როგორც მათ ამჟამინდელ, ისე ამოსავალ სტრუქტურას).

მეტად მნიშვნელოვანია ქ. ლომთათიძის ძიებანი ჩერქეზულ და უბიხურ ენათა ფონეტიკის, მორფოლოგიისა თუ ლექსიკის სფეროში და აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა შედარებითი გრამატიკის პრობლემებზე.

ისტორიულ-შედარებითი ძიების კლასიკას განეკუთვნება ჩერქეზულ სისინ-შიშინა სპირანტთა სამეულის გენეზისისადმი მიძღვნილი გამოკვლევა (1953), რომელშიც ქ. ლომთათიძემ ეჭვმიუტანლად დაამტკიცა, რომ სიბილანტებში სამეულებრივი სისტემა მეორეულია.

ქ. ლომთათიძე წარმატებით იკვლევდა აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა გენეზისური ურთიერთობის საკითხებს იბერიულ-კავკასიურ ენათა სხვა ჯგუფებთან, კერძოდ, ქართველურ ენებთან. ამ პრობლემის გადაწყვეტას ემსახურებოდა ქ. ლომთათიძის წარმატებული ძიებანი ქართველურ და აფხაზურ-ჩერქეზულ ენებს შორის ბგერათშესატყვისობათა დასადგენად, და მატერიალურ ერთობათა გამოვლენა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

ამავე დროს, ქ. ლომთათიძე იმ სისტემურ სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ შეხვედრებსაც უთმობდა ყურადღებას, რომლებიც აღნიშნულ ენათა შორის ნათესაური ურთიერთობის თვალსაზრისს ამყარებდა (ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ორი სტატია, რომლებიც 1976 წელს გამოქვეყნდა „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ III ტომში).

დიდი ღვაწლი მიუძღვის ქ. ლომთათიძეს აფხაზური და აბაზური ენების სპეციალისტთა აღზრდის საქმეში. სამოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში კი-

თხულობდა იგი აფხაზური ენის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ქ. ლომთათიძის ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით მომზადდა 20-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი, რომლებიც წარმატებით მუშაობდნენ და ბევრი მათგანი ამჟამადაც მუშაობს აფხაზეთსა თუ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში.

დიდია აკად. ქ. ლომთათიძის წვლილი ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის კვლევაში. შეიძლება ითქვას, მისი, როგორც მეცნიერის, ბიოგრაფია ქართული ენის საკითხების შესწავლით დაიწყო; ეს იყო კვლევა ნინოშვილის „პარტახის“ დედნისა და ენობრივი თავისებურებებისა (1935) და დაკვირვებანი მესამე სუბიექტური პირის ნიშანთა ნაშთებზე გურულსა და აჭარულში (1937-38).

შენიშვნები და ლექსიკონი, რომელიც სრულიად ახალგაზრდა, დამწყებმა მკვლევარმა აკაკი შანიძის რედაქტორობით 1935 წელს ცალკე წიგნად გამოცემულ ეგ. ნინოშვილის „პარტახს“ დაურთო, პროფესიული თვლსაზრისით არის უაღრესად ზუსტი და თითქმის ამომწურავი. ეგ. ნინოშვილის პროზა და, განსაკუთრებით, „პარტახი“ იმით გამოირჩევა, რომ ის არსებითად ეთნოგრაფიული და დიალექტური სიზუსტით გადმოსცემს გურული გლეხობის ყოფასა და მეტყველებას. ამიტომაც მიიჩნია მასწავლებელმა და ხელმძღვანელმა აკაკი შანიძემ, რომ შესაბამისი დედნის ზუსტად აღდგენა და გამოცემა (ადრინდელი გამოცემა მწერალ გ. წერეთელს ეკუთვნოდა) და მისი ენის შესწავლა დიალექტოლოგიური თვლსაზრისით მნიშვნელოვანი საქმე იყო და ეს ამოცანა მან ნიჭიერ შეგირდს — ქ. ლომთათიძეს — მიანდო. ამ სარედაქციო შენიშვნებსა და ლექსიკონში დამწყებმა მკვლევარმა, როგორც ჩანს, უკვე ჩამოაყალიბა ბევრი რამ იმ დაკვირვებათაგან, რომლებიც მოგვიანებით მეცნიერულ სტატიებად გაფორმდა. მაგალითად, ის, რომ გურულს ახასიათებს **სწ** კომპლექსის გამარტივება: **მოსრება** (← მოსწრება), **სავლა** (← სწავლა) („პარტახისეულია“: მ ო გ ე ს რ ო ბ ა... ვერ მ ო ვ ა ს ა რ ი... მ ო ე ს რ ე ბ ი...). უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ გამარტივების შედეგად დარჩენილი **ს** ჩვეულებრივი ეტალონური ფონემა აღარ არის, მას გადაეცემა დაკარგული მკვეთრის „საკომპენსაციო“ სიმკვეთრე და ვიღებთ აბრუპტიულ **ს**-ს (ამ საკითხს მკვლევარი რამდენჯერმე დაუბრუნდა, მაგ., წერილში „პოზიციური წარმოშობის მკვეთრი სპირანტები გურულში“. — იკეწ, 13, 1986). ასევე გურულისათვის არის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესი, რომლის დროსაც O_3 პირის **ჰ**- ნიშნის ფშვინვიერება გადაეცემა მოსაზღვრე ძირისეულ მკვეთრ თანხმოვანს, ხოლო თავად პირის ნიშანი იკარგება: გაყოლა → **გავხევი** (← გა-ვ-ჰ-ყევი), **გახობოდა** (← გა-ჰ-ყვებოდა). ეს დაკვირვება პირის ნიშნების თავისებურებაზე ავტორს ჩამოუყალიბებია ჯერ კიდევ სტუდენტობისას, 1929 წელს, მაგრამ შესაბამისი სტატია გამოქვეყნდა მოგვიანებით — 1938 წელს: „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში“, — თსუ შრომები, ტ.

VI. ეს ვრცელი სტატია ამომწურავად აჩვენებს გურულის (და აჭარულის) მორფონოლოგიურ სურათს, რომელიც ამ მხრივ „ხევსურულს მოგვაგონებს“ (გვ. 138) და ადასტურებს ამ კილოურ არეალში O_3-ის არსებითად სრულ გამოვლენას, მათ შორის აღნიშნული ფონეტიკური შედეგებით: **ხავდა**, **წახობი**, **დაფირდა**, **მოქიდა** (ხელი) და მისთ.

ამ უადრეს ენათმეცნიერულ დაკვირვებებში უკვე გამოჩნდა ის გამორჩეული კვლევითი უნარი და, განსაკუთრებით, მომადლებული ფონეტიკური ალღო („მახვილი ყური“), რომელმაც ალბათ, ერთი მხრივ, განაპირობა კიდეც ქ. ლომთათიძის „გამწესება“ ისეთი რთული ფონოლოგიური სისტემის მქონე იბერიულ-კავკასიური ენის შესასწავლად, როგორიც აფხაზურია, ხოლო, თავის მხრივ, ამ უკანასკნელის სრულყოფილად დაუფლებამ კიდევ უფრო გაამახვილა მკვლევრის სმენა და გააფაქიზა ის ლინგვისტური შინაგანი თვალი, რომელიც ესოდენ საჭიროა იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთულესი სამყაროს შესწავლისათვის.

ერთი სიტყვით, ახალგაზრდა მეცნიერი ყველანაირად იყო მზად წარმატებით განეგრძო ქართული ენის დიალექტებისა თუ ისტორიული ფონეტიკის მნიშვნელოვანი პრობლემების კვლევა, მაგრამ შემდგომ, რაკი მეცნიერმა მთელი ძალები გადართო აფხაზურ-ადიღურ ენათა შესწავლაზე, მისი ყურადღება გარკვეული დროით ჩამოსცილდა დასახული საკითხების კვლევას. თუმცა მთის იბერიულ-კავკასიური ენების ბუნების ღრმად წვდომამ მას საშუალება მისცა უფრო ფართოდ დაენახა ის პრობლემატიკა, რომელიც ქართველურ ენათა აგებულებასა და ისტორიასთან არის დაკავშირებული.

ქეთევან ლომთათიძე იმთავითვე აქტიურად აღმოჩნდა ჩაბმული ჩვენი ქვეყნის აღმავალ სამეცნიერო პროცესებშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. თუნდაც მხოლოდ ის, რომ მან ცხოვრების დიდი ნაწილი აფხაზურსა და აფხაზეთს დაუკავშირა და იგი მუდამ აღიქმებოდა, როგორც ამ ხალხის ჭეშმარიტი ქომაგი და მზრუნველი, დიდი ეროვნული მნიშვნელობის ფაქტია, ღირსეული გაგრძელება იმ საფუძვლებისა, რაც ივ. ჯავახიშვილმა და არნ. ჩიქობავამ შექმნეს კავკასიოლოგიაში. ამავე დროს, ქ. ლომთათიძეს არასოდეს ღალატობდა პრინციპულობა და პირუთვნელობა, ობიექტურად შეეფასებინა მიმდინარე მოვლენები, ფხიზლად განეჭვრიტა სახიფათო ტენდენციები. ამისი დასტურია თუნდაც მისი მონაწილეობა 50-იანი წლების ლინგვისტურ დისკუსიაში, კერძოდ, მისი წვლილი ისეთი სიყალბეების გასაბათილებლად ენათმეცნიერებაში, როგორიც იყო გ. სერდიუჩენკოს „ფენომენი“ (იხ. ნ. მარის სახ. აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, 23, 1949).

მეტად ღირებულია ქ. ლომთათიძის მეცნიერული დაკვირვებანი ისტორიული ფონეტიკა-ფონოლოგიის სფეროში. იგი სიღრმისეულად სწვდებოდა ურთულეს ფონოლოგიურ პრობლემებს და ცოცხალი ენობრივი მონაცემების ფაქიზი ფონეტიკური ანალიზით აღადგენდა ჩვენი ენების ბგერითი სისტემის ოდინდელ სურათს. ასეთი ღრმამეცნიერული შინაარსის შემცველია მისი სტა-

ტიები წინაენისმიერ სპირანტთა თუ ლაბიალიზაციის ისტორიის შესახებ ქართველურ ენებში (1962, 1968); მკვლევარი ეხება საკითხს, არსებობდა თუ არა ლაბიალიზებული ფონემები ქართველურ ენებში (როგორც ცნობილია, ამგვარ თვალსაზრისს წარმოადგენდნენ ი. იუშმანოვი და ს. ჟღენტი). თანამედროვე მდგომარეობა აჩვენებს, რომ მთის იბერიულ-კავკასიური ენების ლაბიალიზებული თანხმოვნები (**ქ°**, **ც°**...) და ქართული ლაბიალური კომპლექსები (**ქ̂ჳ**, **ც̂ჳ**...) ერთგვაროვანი მოვლენა არ არის; მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ლაბიალური კომპლექსები წარმომავლობით ლაბიალიზებული ბგერები იყოს. ამ შესაძლებლობის საწინააღმდეგო არგუმენტად მკვლევარს მოჰყავს უკანაენისმიერთა განვითარების შემთხვევები ლაბიალურ კომპლექსთა ქართველურ შესატყვისობებში (ჯ̂ჳ : ძგ̂ჳ : სგ̂ჳ...). აქედან გამომდინარე, „იმ პერიოდში, როცა ზანურ-სვანურში აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა (ე. ი. **გ**, **ქ**, **კ**-ს განვითარება შიშინა აფრიკატებთან), ეს ლაბიალური კომპლექსები არც ზანურ-სვანურში და არც ქართულში არ წარმოადგენდა ლაბიალიზებულ ფონემებს („ლაბიალიზაციის საკითხისათვის ქართველურ ენებში“. — იკე, 16, 1968, გვ. 71).

თავად ლაბიალიზაციის არაერთგვაროვნება კავკასიური ენების სხვადასხვაგვარ ფონემურ გარემოცვაში მკვლევარს უფრო რთული ვარაუდის წამოყენების შესაძლებლობას აძლევს: იქნებ ლაბიალიზაცია არ ახასიათებდა შიშინა სპირანტ-აფრიკატებს, მაგრამ ახასიათებდა მათს სისინა ვარიანტებს, როგორც ეს აფხაზურ-ადიღურ ენებში შეინიშნება? ამაზე პასუხის მისაღებად მკვლევარს მოჰყავს უკანაენისმიერთა განვითარების ისეთი მაგალითები, როგორიცაა, ერთი მხრივ, **წ**ნელი → **წკ**ნელი, ხოლო მეორე მხრივ — **ძეწკვი** ←* **ძეწვი** (შდრ. **ჯაჭვი**); „ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ქართულშიც სისინა სიბილანტთა ლაბიალური კომპლექსებიც (ისევე როგორც შიშინები) არ უნდა ყოფილიყო ლაბიალიზებული ფონემები“. უფრო ადრინდელი პერიოდისათვის ლაბიალიზაციის გამოსარიცხად გამოყენებულია უკანა რიგის ბგერების განვითარების ისეთი შემთხვევები, როგორიცაა: წ**უ**ალ- (*წალ-), ცეც**ხ**ლ- (*ცეცლ-), ც**ხ**ვირ- (*ცვირ-). მკვლევრის დასკვნით, ამ არგუმენტაციის გაზიარებით „გარკვეული იქნება სათანადო ლაბიალური კომპლექსების უძველესი ბუნებაც“ (იქვე გვ. 72).

ქ. ლომთათიძემ დაამკვიდრა ზოგი ფონეტიკური წესი ისტორიულ ფონეტიკაში; კერძოდ, ასეთია წყვილბაგისმიერ ფონემათა მეორეული მიღება უკანაენისმიერთა და ბაგისმიერ ბგერათა შერწყმის გზით. ამ საკითხს მეცნიერმა მიუძღვნა ვრცელი სტატია „ხშულ-ლაბიალურ კომპლექსთა შერწყმით მიღებული ბ ფ პ ქართველურ ენებში“ (იკე, XIV, თბ. 1964), ხოლო ოცი წლის შემდეგ შესაბამისი დაკვირვებანი ცალკე გამოკვლევის სახით გამოიცა: „კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში“ (თბ. 1984). ამ ნაშრომში, მისი ზოგადფონეტიკური ღირებულების გარდა, კიდევ ერთხელ

წარმოჩნდა, თუ რა მნიშვნელოვანი ისტორიულ-ეტიმოლოგიური შედეგების მოცემა შეუძლია ენობრივ მონაცემებთან კომპლექსურ სისტემურ მიდგომას. ამ ასპექტით კვლევის არეში რამდენიმე ასეული ლექსიკური ერთეული მოექცა და სიტყვათა ბევრი ისეთი ეტიმოლოგიური კავშირი გაიშიფრა, რომელიც სხვა (იზოლირებულ) შემთხვევაში სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა; ვთქვათ: **გორგალი** და **ბორბალი** (გვ. 5-6); **უგულავა** და **უბილავა** (გვ. 7); **ციბა** და **ცუგა** (*ციგვა) (გვ. 25-33); **ფურჩა** და **ქურჩა** (გვ. 35); **ქვითკირი** და **ფითკირი** (გვ. 37) და მრავალი სხვა. განსაკუთრებით ხელშესახებია ამ კანონზომიერების გამოვლენა ქართველურ თუ იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო მონაცემებში. მაგალითად, ამ კანონის საფუძველზე საიმედოდ გაიშიფრა მეგრ. **აფუ** („აქვს“) ზმნური ფუძის ფონეტიკური კავშირი ქართ. **აქვ**-ს ზმნასთან (**ქვ → ფ**) (გვ. 37-41; აგრეთვე: ქესს, ტ. 3, თბ. 1983, გვ. 29-32).

ასევე პოზიციური (კომბინატორული) ფონეტიკური ცვლილების საგულისხმო კანონი დგინდება ქართველური ენების ხშულთა ცვლილებით (გამკვეთრებით თუ დაყრუებით) სონანტთა მეზობლობაში, რაც არაერთი სიტყვის წარმომავლობის სრულიად ახლებურად დანახვის შესაძლებლობას იძლევა (ნაშრომი ცალკე გამოვიდა 1996 წელს სათაურით: „სონანტთა მეზობლად ხშულთა გამკვეთრება-დაყრუება ქართველურ ენებში“).

ამ ნაშრომის ძირითადი დებულება ის არის, რომ „ვინაიდან სონანტი თავისი ბუნებით მჟღერია და გარკვეულს შემთხვევაში მას შესწევს უნარი გ ა ა მ ჟ ღ ე რ ო ს (ფონოლოგიური კორელაციის უქონელადაც) მეზობლად მდგომი ყრუ თანხმოვანი ასიმილაციის ნიადაგზე, ასევე დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ი ს ტენდენციის შემთხვევაში მას აქვს უნარი გამოიწვიოს მჟღერ ხშულთა დაყრუება-გამკვეთრება, ე. ი. ენაში ფონოლოგიური კორელაციის უქონელ სონანტსაც, როცა იგი მოხვდება თანხმოვანთან მჭიდრო კონტაქტში (რ ი ს შ ე დ ე გ ა დ ა ც კ ა რ გ ა ვ ს ს ო ნ ო რ ო ბ ი ს გ ა რ კ ვ ე უ ლ ხ ა რ ი ს ხ ს), შეუძლია მეზობელ თანხმოვანში გამოიწვიოს ისეთი ცვლილებები, რაც ჩვეულებრივ მჟღერებს.

სონანტებთან მეზობლად ხშულთა დისიმილაციური დაყრუების პროცესი შესაძლოა ფშვინვიერ ვარიანტზე შეჩერდეს, მაგრამ ქართველურ ენებში და ასევე სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში განსაკუთრებით ნიშანდობლივი ჩანს მათი გამკვეთრება, რაც ეფუძნება ამ ენათა სპეციფიკურ ფონოლოგიურ სტრუქტურას — **ხშულთა სამეულებრივ სისტემას**. ამდენადვე **სონანტთა მეზობლად ხშულთა დისიმილაციური გამკვეთრება სპეციფიკური იბერიულ-კავკასიური ფონეტიკური პროცესია** (გვ. 3-4).

ამ ზოგადი, პოზიციურად შეპირობებული ფონეტიკური მოვლენის საფუძველზე გაანალიზებულია ისეთი ლექსიკის ისტორიულ-ეტიმოლოგიური კავშირები, როგორიცაა: ცოტნე — მცოდნე; კუდა — კუნტულა; ვედ- — ოტ(ება); მართ-ოდენ — მარტოდენ; იმით-რომ — იმიტომ; კეთრი — კეტრი... სუმბათაშვილი — სუპატაშვილი; არტაანი — ართანა და მისთ. მეგრ. ონტუ (შდრ. ან-

თა), მენწარი (შდრ. მენცარი)... სვან. თუ̄ელ (შდრ. ტვინი)...

აკად. ქ. ლომთათიძე ერთ-ერთი პირველია, ვინც იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფებს შორის შესატყვისობათა საკითხი ფაქტობრივ განიხილა. იგულისხმება 1955 წელს „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ გამოქვეყნებული მისი სტატია „ბგერათა პროცესებისა და ბგერათა შესატყვისობების ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში (ქართულ-აფხაზურ-ადიღურ ენათა მასალაზე)“, რომელშიც მასალობრივ განხილულია აფხაზურ-ადიღურისა და ქართველურის სავარაუდო შესატყვისობათა ერთი ჯგუფი: აფხ. (ჱ) ჱ॰ — ქართ. (**ყ**), **ყვ**; აფხ. ჱ, ჱ॰ — ქართ. **ღ**, **ღ**॰... ამის საფუძველზე ივარაუდება ისეთ უძველეს ლექსიკურ ფუძეთა კავშირი, როგორიცაა: ქართ. **ტყუბი**: უბიხ. **ტყ॰ა**; ადიღ. **ტყ॰გ** → **ტუ**; აფხ. **ჯგბა** და სხვ. ამგვარი შესატყვისი კორესპონდენციების ფარგლები ქ. ლომთათიძემ გააფართოვა უფრო გვიან გამოქვეყნებულ გამოკვლევებში, რომლებიც ქართ. **წ** ~ აფხ. **შ₃** ბგერათფარდობას შეეხებოდა და „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ IV (1977) და XX-XXI (1995) ტომებში გამოქვეყნდა, აგრეთვე, წერილში ქართული **ჭ**-სა და აფხაზური **ბ**-ს ბგერათფარდობის შესახებ (იკეწ, VII, 1980).

საზოგადოდ, ქ. ლომთათიძე დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა შესატყვისი კორესპონდენციების დასახელების საკითხს და საამისოდ სათანადო საფუძვლების მომზადებამდე ძირითადი აქცენტი გადაჰქონდა ენათა სტრუქტურული ნათესაობის ასპექტებზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მეცნიერის სტატია „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ზოგი საკითხი“, გამოქვეყნებული "Вопросы языкознания"-ს 1955 წლის მე-4 ნომერში, რომელიც აწონილ-დაწონილი და აკადემიური გამოძახილია ე. ბოკარიოვის კრიტიკულ წერილზე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მისამართით. ქ. ლომთათიძე პუნქტობრივ მიუთითებს იმ სტრუქტურულ თავისებურებებს, რაც კავკასიის ხალხთა ენებს ერთმანეთთან აახლოებს და, ამავე დროს, აღნიშნავს, რომ შესატყვისობათა დადგენას ჯერჯერობით (XX ს-ის შუა წლებისათვის) აფერხებს ამ ენათა ფონეტიკა-ფონოლოგიის დიდი სირთულე და შესაბამისი ფონემური კლასების მეორეული ხასიათი. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ მიგნებულ შესატყვისობასაც მიანიშნებს (ქართვ. ***თ**: აფხ.-ადიღ. **ს′ // ს** (ს′॰, შ॰) და მისთ. (გვ. 79).

ასევე ფასეულია ქ. ლომთათიძის ღრმამეცნიერული ძიებანი ქართველურ ენათა მორფოლოგიის სფეროში. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ისეთი ცნობილი სტატიები, როგორებიცაა „-ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში“ (იკე, I, 1946) და „თბება“ ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში“ (იკე, IV, 1952), რომლებიც ქართული ლინგვისტური აზრის კლასიკურ მემკვიდრეობას ეკუთვნის.

პირველ სტატიაში მკვლევარმა დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ მეგრული ზმნის აწმყოს I-II პირთა სუფიქსი -**ქ** არ არის არც ქართ. **ნ**- // **ჲ**- პირის ნიშანთა ფარდი (ალ. ცაგარელი, ი. ყიფშიძე) და არც სვან. **ნ**- პრეფიქსის ანა-

ლოგი (არნ. ჩიქობავა), არამედ ის წარმომავლობით უნდა იყოს ნაშთი **ქო**- ნაწილაკიანი **ორე(ნ)** მეშველი ზმნისა (ქო + ორენ → ქორენ), რომელიც I-II პირებში დაერთვოდა ზმნურ ფუძეს: დობღურე-**ქ**(ორენ), დოღურე-**ქ**(ორენ) (შდრ. მოვმკვდარვარ, მომკვდარხარ...).

რაც შეეხება ე. წ. უნიშნო ვნებითების (თ ბ ე ბ ა ტიპი) უძველესი სტრუქტურის ზმნურ ფუძეთა ბუნებას, მკვლევარმა შესაბამისი ფორმაწარმოების, აგრეთვე სათანადო (სუბიექტური ტიპის) მიმღეობების ანალიზის შედეგად ივარაუდა, რომ ამ რიგის ზმნები ისტორიულად „არც თავისი წარმოებით და არც ამოსავალი მნიშვნელობით ვნებითები არ უნდა ყოფილიყვნენ“, რომ „ისტორიულად ისინი უნდა ყოფილიყვნენ **ერთპირიანი დინამიკური უგვარო ზმნები**, გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ნ ი უგვარო სტატიკური ზმნებისაგან“ (გვ. 77).

ქ. ლომთათიძე მუდმივად შეისწავლიდა ქართველურ ენათა ლექსიკას, ერთი მხრივ, ისტორიულ-ეტიმოლოგიური თვალსაზრისით და არაერთი საგულისხმო დაკვირვება დაგვიტოვა ამ სფეროში. ქართველოლოგთა შორის ფართოდ არის ცნობილი ისტორიული ლექსიკის ეტიმოლოგიური ანალიზის ისეთი ნიმუშები, როგორიცაა ქ. ლომთათიძის დაკვირვებანი მრავალი საზოგადო თუ საკუთარი სახელის წარმომავლობის შესახებ: **ყარანა**, **მართვე**, **დილა**, **უბელო**, **ყვლეფა**, **ჯაკელი**, **უცხო**, **ხვალე**, **მჭევალი**, **ლაშა**, **ლაშარი**... ხოლო მის დასკვნებს ისეთი ეთნიკური თუ ტოპონიმიკური ტერმინების შესახებ, როგორებიცაა **აფხაზი**, **აბაზგი**, **აფშილი**, **აფსარი**... **ფოთი**, **რიწა**, **ტყვარჩელი**, **ღალიძგა**... უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით.

ყველასათვის არის ცნობილი, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მეცნიერი ეტიმოლოგიურ დაკვირვებებს, ზოგჯერ წლების განმავლობაში უტრიალებდა აზრს რომელიმე სიტყვის წარმომავლობის შესახებ; მაგალითად, რამდენ ხანს ეძებდა საბუთებს იმისათვის, რომ **ლაშარი** არა **ლაშა**-სთვის, არამედ **ლაშქარი** სიტყვისათვის დაეკავშირებინა (მნათობი, 1985); (სხვათა შორის, ანალოგიური მოსაზრება ჰქონია კირიონ მღვდელმთავარსაც); ანდა რაოდენ ორიგინალურად არის წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ **სათრეველი** („ამხანაგთა სათრეველად“) სიტყვის კავშირი **თირება** ზმნურ ფუძესთან (კრებული „შოთა რუსთაველს“, თბ. 1966); ანდა რაოდენ ღრმა შინაარსის შემცველია ერთი ლინგვისტური მინიატურა: „საერთო იბერიულ-კავკასიური „ნებისა“ და „გამარჯვების“ სიმბოლო (ხელი) და მისი ლინგვისტური საფუძველი“ (იკე, ტ. 34, 2000) და სხვ.

მეორე მხრივ, მეცნიერი მუდმივად ზრუნავდა ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სიმდიდრის გამოვლენასა და აქტივიზაციაზე. იგი იყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის მე-7 ტომის რედაქტორი, მრავალი სხვა ლექსიკონის რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრი. არაერთი მნიშვნელოვანი საქმე მას ყოველგვარი ოფიციალური სარედაქციო მოვალეობის გარეშე წარუმართავს; მაგალითად, ცნობილია, რომ 80-

იან წლებში სწორედ მისი აქტიური მცდელობით განახლდა „სვანური ლექსიკონის“ სარედაქციო სამუშაოები და მის როლს ამ საქმეში ლექსიკონის წინათქმაში საგანგებოდ აღნიშნავს პროფ. ი. ჩანტლაძე („სვან. ლექს.“, გვ. 8). მას უშუალო წვლილი აქვს შეტანილი მრავალი ქართული სიტყვის მნიშვნელობის დადგენა-დაზუსტებაში, ახალ ტერმინოლოგიურ ერთეულთა მოძიებაში და მისთ. მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული გამოცდილება და გამორჩეული ენობრივი ალღო ეხმარებოდა მას ზუსტად მიეგნო ტერმინულ ცნებათა ქართული ადეკვატებისათვის და შემოეთავაზებინა ისეთი სიახლენი, მაგალითად, როგორიცაა ქართლურ დიალექტში დადასტურებული **წელწინდა** რუსული (წარმოშობით — ჩეხური) **колготки**-ს ფარდად და მისი, როგორც ბარბარიზმის სანაცვლოდ.

განსაკუთრებულად ზრუნავდა ქ. ლომთათიძე ქართული ენის სიწმინდის დაცვაზე. ამას იგი აკეთებდა როგორც უმაღლესი პასუხისმგებელი პირი ამ სფეროში — ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, წლების განმავლობაში ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის ფაქტობრივი ხელმძღვანელი... რაც მთავარია, იგი ამას აკეთებდა როგორც მოქალაქე, ვისაც სრულად აქვს შეგნებული ენობრივი გარემოს მნიშვნელობა ნამდვილი სახელმწიფოებრივი ფუნქციების რეალიზაციის პროცესში.

ფართო ლინგვისტური განათლება და, განსაკუთრებით, ზემოაღნიშნული მახვილი ფონოლოგიური სმენა მეცნიერს აძლევდა შესაძლებლობას, ბევრი რამ ისეთი შეემჩნია თანამედროვე ქართული ენის განვითარების პროცესებში, სადაც ორთოგრაფიასა და ორთოეპიაში, რომელიც ბევრისათვის, ჩვეულებრივი თვალისა და ყურისათვის მიუწვდომელი რჩებოდა. ამისი ნიმუშია, მაგალითად, სტატია, რომელიც ძირითადად ორთოეპიის აქტუალურ, საჭირბოროტო პრობლემებს ეძღვნება და რომელიც 1993 წელს გამოქვეყნდა „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მე-10 წიგნში. მკვლევარი მიანიშნებს იმ ფონემურ ერთეულებს, რომლებიც მიმბაძველობითა თუ სხვა მიზეზით უცხო ენებიდან (განსაკუთრებით — რუსულის გავლენით) იჭრებოდა და იჭრება ქართულ მეტყველებაში და რომელთაც შეუძლიათ სერიოზულად შეარყიონ ჩვენი ენის საზოგადოდ მდგრადი ფონოლოგიური სისტემა. საკითხი ეხება ისეთი ბგერითი ერთეულების გამოვლენას ქართულ (სალიტერატურო) მეტყველებაში, როგორებიცაა: **ფ**, რბილი **ლ**, რუსული ტიპის მაგარი **შ**, აგრეთვე დამკვიდრებულ უცხო სიტყვებში — **ხ ჭ**-ს მაგიერ (ხრონიკა, მეხანიკა), **გ ჯ**-ს მაგიერ (გექტარი, გიპნოზი...). მართალია, ეს პრეცედენტები არა საყოველთაო, არამედ ინდივიდუალურია და „მოდური“, მაგრამ ფონოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად ყურადსაღებია მითითება, რომ „ამ რიგის მოვლენათა ანალიზისას მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნულ პირთა მეტყველებაში ყალიბდება სრულიად გაუმართლებელი ე. წ. „ფსევდოფონოლოგიური“ დაპირისპირება

ქართულ ენაში ფ-სა და „ფ“-ს შორის (ხდება მათი „გადანაწილება“). სრულიად აშკარაა, რომ მხოლოდ ამგვარი კვალიფიციური ანალიზის საფუძველზე შეიძლება იქნეს დაზღვეული ქართული ენა გაუმართლებელი, ენის ბუნების შემრყვნელი, პროცესებისაგან.

ქ. ლომთათიძის მიერ ხანგრძლივი, 70-წლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის განმავლობაში შექმნილი ნაშრომები ის სანიმუშო გამოკვლევებია, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ქართული ენათმეცნიერების მაღალ დონეს, ხოლო მისი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ყოველთვის დარჩება ქვეყნის ინტერესებისათვის გამუდმებული ზრუნვის ჩინებულ მაგალითად.

AVTANDIL ARABULI, VAZHA SHENGELIA

Academician Ketevan Lomtatidze and Iberian-Caucasian Linguistics

S u m m a r y

Academician Ketevan Lomtatidze belongs to those researchers who has made Georgian science famous. Her works which are distinguished by lots of novelties are entered in the "Gold reserves" of Kartvelological and Caucasiologic literature.

K. Lomtatidze's contribution to studying the Abkhaz-Abaza languages from descriptive and historical-comparative standpoint should be emphasized. Her first fundamental research "**Formation of basic tenses in Abkhaz**", that was published in 1938 in "Bulletin of ILHMC" made clear, that Abkhaz language had gained talented and erudite researcher.

Fundamental monographs – "**Tapant dialect of Abkhaz**" (1944) and "**Ashkhar dialect and its role among other Abkhaz-Abaza dialects**" (1954), gained great and honored scientific authority to the young scholar. These monographs represent a deep analysis of a phonological system and morphological peculiarities of two Abaza dialects – a close-kindred language of Abkhaz. Each issue is discussed in comparing with Abkhaz and in consideration of initial condition. Many dialectal texts which are added to monographs are too valuable. Recorded dialectal material of this number and of this exactness has not been obtained and published before by anyone. The scholar could fix not only that difference in sub-dialects and sayings of Abaza, but fluctuations which are attested in the speech of different generations. This material gained a valuable historical documentary significance.

By the mentioned monographs and other works created at those times, K. Lomtatidze founded historical-comparative studying of the Abkhaz-Abaza languages.

K. Lomtatidze's monograph "**Historical-comparative analysis of the Abkhaz-Abaza languages**. I. **Phonological system and phonetic processes**" (1976) is of sum-

marizing character. This is a deep research of historical-comparative character in which in consideration of the data of the Abkhaz-Abaza languages and dialects all basic phonetic issues of these languages are discussed. The work is distinguished by sequential usage of methodological principles of historical-comparative analysis and by abundance of analytical language material as well as noteworthy original conclusions. It can be said, that phonetics of neither other mountainian Iberian-Caucasian language was an object of such deep and complete scientific analysis.

In K. Lomtatidze's monograph "**Main types of local preverbs and their forming in Abkhaz and Abaza**" (1982) a research object was a complex system of Abkhaz-Abaza adverbs. That functional-semantic feature, which is characteristic of these preverbs in these languages is demonstrated on the basis of scrupulous analysis.

K. Lomtatidze's monograph "**The Abaza language**" (1984) is a short summarizing work of that research, that has been carried out by the author during the years.

Apart from these monographs, K. Lomtatidze researched more then 100 other researches on the issues of the Abkhaz-Abaza languages' structure and history. K. Lomtatidze's researches on phonetics, morphology and vocabulary of the Circassian and Ubykh languages and the problems of a comparative grammar of the Ahkhaz-Circassion languages are noteworthy.

K. Lomtatidze successfully researched the issues of genetic relation of the Abkhaz-Circassian languages with other groups of the Iberian-Caucasian languages, in particular with the Kartvelian languages.

K. Lomtatidze made a tremendous contribution to growing up the specialists of the Abkhaz and Abaza languages. During more then 60 years she read an Abkhaz course at the Tbilisi State University. Under K. Lomtatidze's supervisor and consultation more then 20 specialists defended doctoral and candidate degree. They successfully worked and are still working in Abkhazia and in the North Caucasus republics.

K. Lomtatidze contributed greatly to researching the structure and history of the Kartvelian languages. It can be said, that her biography as a scholar began with studying the issues of Georgian. This was a research on original and language peculiarities of Ninoshvili's "Partakhi" (1935) and observation on traces of 3rd personal markers in Gurian and Atjarian (1937-38). But afterwards when the scholar transferred her powers to studying the Abkhaz-Adyghe languages, she did not research outlined issues for a certain time. Though a deep knowledge of the Iberian-Caucasian languages' nature gave her possibility to see widely that problems which are connected with the Kartvelian languages' structure and history.

K. Lomtatidze's scholarly observation in historical phonetics-phonology is valuable. She deeply researched complex phonological problems and through refined phonetic analysis of living language data she reconstructed old picture of sound system of our languages. From this viewpoint her articles on the history of velar spirants and labialization in the Kartvelian languages (1962, 1968) are noteworthy. K. Lomtatidze established some phonetic rules in historical phonetics, in particular, secondary formation of bilabial phonemes through fusing of back-lingual and labial sounds (**gv** → **b**, **kv** → **p**...) (1964, 1984). Also a rule of positive (combinative) phonetic changes is established by changing of plosives of the Kartvelian languages (through glottalizing or unvoicing) in neighbor of sonants, that gave possibility to research newly etymology origin of many words (The work was published in 1986).

Acad. K. Lomtatidze is one of the very first, who discussed an issue of correspondences among the groups of the Iberian-Caucasian languages (1955...).

K. Lomtatidze's deep-scholarly researches in morphologic sphere of the Kartvelian languages are valuable, as well. For instance such well-known articles as "**Towards a *-k* suffix in Megrelian verbs**" (1946) and "**History of the verbs of *tbeba* type in Georgian**" (1952). They belong to classical legacy of Georgian linguistic thinking.

K. Lomtatidze constantly researched the vocabulary of the Kartvelian languages on the one hand from historical-etymological standpoint and many noteworthy researches are inherited and, on the other hand she took care for manifesting and activating a vocabulary richness of the Georgian literary language. She was an editor of the 7th volume of eight-volume "Georgian Explanatory dictionary", an editor and a member of editorial staff to many other dictionaries. She directly contributed to establishing and specifying many words' meaning, to obtaining new terminological entries, etc.

K. Lomtatidze especially took care for defending the purity of Georgian. She did it as a high responsible person in this sphere – a director of the Institute of Linguistics and a head of scientific board, Academician of National Academy, a head of a constant state commission of Georgian... She did it as a citizen, who understood completely the importance of a language in realizing process of state function.

K. Lomtatidze's works belong to those noteworthy researches, which greatly define a high level of Georgian linguistics. Her pedagogical and public activity is a clear example of constant caring for the interests of a country.

СЕРГЕЙ ПАЗОВ

НАШ УЧИТЕЛЬ

1978 год, начало октября. В Тбилиси уже не знойно, но и ласковым солнце все еще не назовешь. Просто умеренно жарко. Я, выпускник Карачаево-Черкесского госпединститута, только что получивший диплом о высшем образовании и не выезжавший до этого самостоятельно за пределы своего региона, в сопровождении отца и с чемоданом, большей частью заполненный различными исследованиями по кавказской филологии, оказался на проспекте Ш. Руставели в г. Тбилиси – по рекомендации проф. Р. Н. Клычева, большого ученого и педагога, моего вузовского наставника, я приехал поступать в аспирантуру Института языкознания Академии наук Грузии. Около полудня я оказался перед величественным зданием недалеко от центра, где располагались два академических института и часть руководства Академии наук. Мне нужно было найти директора Института языкознания проф. К. В. Ломтатидзе. Оставив отца в вестибюле, я поднялся на второй этаж. Большие массивные двери кабинетов, высокий потолок, непонятная таинственность, исходящая из многочисленных каталожных ящиков, которыми был заполнен большой коридор, – все для меня было необычно и величественно. И я, довольно робкий молодой человек, не решаясь открыть какую-то дверь и спросить то, что мне нужно, прошел весь коридор до конца. Остановился перед дверью последнего на этом этаже кабинета: «Отдел горских иберийско-кавказских языков». Немного постоял и, собравшись с духом, открыл двери. Я ожидал увидеть одного, двоих, а перед моим взором предстала целая группа ученых, солидно и степенно занимающихся своими делами. Я немного растерялся и почти как школьник, который провинился в чем-то, спросил: «Как мне найти Георгия Виссарионовича Рогава?» (Из рассказов и лекций проф. Р. Н. Клычева я знал, что Г. В. Рогава – известный кавказовед – и супруг К. В. Ломтатидзе. И почему-то я еще думал, что они работают вместе в одном учреждении, в одном кабинете…). А воспитанный в духе горских традиций, я (посторонний мужчина) не мог себе позволить спросить (искать) жену в присутствии мужа.

Ученые мужи переглянулись и кто-то, кто сидел ближе к окну, сказал: «Его здесь нет. Он работает в университете». Я окончательно растерялся и закрыл двери. Какое-то мгновение я был не в силах что-то думать и просто стоял. К счастью, двери открылись и тот, кто мне ответил (позже я узнал, что это был прекрасный ученый и очень обаятельный человек В. Г. Шенгелия) вышел и спросил: «Вы, наверное, из Майкопа?» Я пришел в себя и мгновенно выпалил все, что мне нужно было:

* С. У. Пазов – профессор, проректор Карачаево-Черкесского государственного педагогического университета.

– Нет, я из Карачаево-Черкесии. Меня Клычев направил поступать в аспирантуру. Мне нужно найти Ломтатидзе.

Пока я это произносил вышли еще двое мужчин, молодых, красивых, подтянутых. Это были Т. Гванцеладзе, специалист по абхазскому и абазинскому языкам, и Р. Пареулидзе, исследователь нахских языков. Все они обрадовались мне как родному брату, объяснили, что К. В. Ломтатидзе как раз сейчас у себя в кабинете и отвели меня к ней.

Двери кабинета директора открылись и я шагнул во внутрь. Из-за стола мне навстречу поднялась уже не молодая, но очень симпатичная, высокая, стройная и, на первый взгляд, немного строгая женщина. Это была моя первая встреча с академиком Кетеван Виссарионовной Ломтатидзе, которая впоследствии стала моим научным руководителем и, безусловно, во многом определила мою судьбу как ученого-лингвиста.

О той первой встрече, впрочем как и последующих многих и многих, можно говорить долго и красиво, она все еще свежа в моей памяти и время не сотрет ее. В этот день уместились столько событий, память сохранила об этом дне столько теплых воспоминаний, что их трудно передать на словах, это надо прочувствовать. Благодаря К. В. Ломтатидзе я стал серьезнее относиться к исследовательской деятельности, узнал очень многое о своем родном абазинском языке и людях, занимавшихся и занимающихся его исследованием, будучи аспирантом, а позже преподавателем университета, достиг, может не очень больших, но определенных успехов в деле изучения, сохранения и развития родного языка.

Институт языкознания, где в течение трех лет я был одновременно и «своим», и гостем, где меня постоянно опекали чуть ли не все сотрудники, стал для меня символом Тбилиси.

И таких, как я, получивших путевку в научную жизнь из рук Кетеван Виссарионовны Ломтатидзе, – десятки. Это представители республик Северного Кавказа, бывших союзных республик и зарубежных стран.

Действительный член Академии наук Грузии, Заслуженный деятель науки, доктор филологических наук, профессор К. В. Ломтатидзе была и остается лингвистом с мировым именем и ведущим специалистом иберийско-кавказских языков. Более 150 научных работ, вышедших из-под пера выдающегося ученого Кавказа, сегодня составляют золотой фонд общего языкознания и лингвистического кавказоведения. В них на достоверном и тщательно выверенном материале глубоко освещаются актуальные вопросы иберийско-кавказского языкознания, картвелистики и абхазско-адыгских языков. Современное абхазско-адыгское языкознание не мыслится без имени профессора К. В. Ломтатидзе и ее научных исследований. Она (вместе с проф. А. Н. Генко) по праву считается основоположником лингвистического абазиноведения: первая изданная монографическая работа по абазинскому языку – это капитальный труд К. В. Ломтатидзе «Тапантский диалект абхазского языка» (Тбилиси, 1944), осветивший особенности тапантского диалекта, следующая монография «Ашхарский диалект и его место среди других абхазско-абазинских диалектов» (Тбилиси, 1954), посвященная другому, ашхарскому диалекту абазинского языка, также принадлежит ее перу. И только потом (с середины 50-х годов) начали появляться серьезные монографические исследования других абазиноведов.

Работы акад. К.В.Ломтатидзе, изданные в 70-90-х годах XX века, явили собой новый этап, новое направление в изучении абхазско-адыгских и картвельских

языков. В монографии «Историко-сравнительный анализ абхазского и абазинского языков. I. Фонологическая система и фонетические процессы» (Тбилиси: Мецниереба, 1976) впервые в кавказоведении дан глубокий историко-лингвистический анализ становления и развития фонетической системы современных абазинского и абхазского языков, восстановлены древние звукокомплексы, выявлены фонетические процессы, которые стали причиной и источником современной сложной и богатой системы консонантизма в этих языках. И это при полном отсутствии исторических письменных памятников. Фонетике и фонологии абазинского и абхазского языков особо повезло – они стали предметом глубокого, полного и всестороннего анализа, в то время, можно с уверенностью сказать, такие капитальные и полновесные исследования по иберийско-кавказским языкам были единичны.

В следующем не менее оригинальном исследовании ученого «Основные виды локальных превербов и их оформление в абхазском и абазинском языках» (Тбилиси: Мецниереба, 1982) исследователь обращается к одному из самых трудных вопросов морфологии – глагольному словообразованию и проводит скрупулезный анализ современного состояния и деривационных возможностей превербов. Работы К.В.Ломтатидзе в этом направлении дали возможность полнее увидеть лексическое богатство языка и оказали действенное влияние на развитие лексикографической работы. Более того, при ее непосредственной консультативной помощи в первой половине 90-х годов проф. Р. Н. Клычевым, одним из ее учеников, была подготовлена докторская диссертация по локально-превербному образованию глаголов абазинского языка.

Следует особо выделить исследование К. В. Ломтатидзе, которое посвящено отдельным вопросам исторической фонетики картвельских языков. Это – «Билабиальные смычные, восходящие к комплексам в картвельских языках» (Тбилиси, 1984), где автор с присущей ей скрупулезностью анализирует некоторые бифонемные комплексы грузинского, занского, сванского языков и устанавливает спорадически действующую закономерность фонетических процессов в картвельских языках: переход бифонемного комплекса, состоящего из заднеязычного (или фарингального) смычного и лабиального сонанта, в билабиальный смычный.

Результаты научно-исследовательской деятельности акад. К.В. Ломтатидзе широко используются лингвистами Карачаево-Черкесии и всех республик Северного Кавказа, а также за рубежом при проведении научных изысканий, в учебном процессе вузов и при составлении учебно-методической литературы для студентов.

Акад. К. В. Ломтатидзе – известный во всем мире, в том числе и в Карачаево-Черкесии, ученый. Она подготовила целую плеяду авторитетных ученых, поэтому ее вспоминают и как замечательного педагога. Многие ее ученики, кандидаты и доктора наук, в настоящее время трудятся в учебных заведениях и научных центрах Северо-Кавказского региона. И везде ее считают своим – своим ученым, своим учителем. И, конечно, абазины, которые гордо произносят: «Наш учитель, наш академик!»

Образ выдающегося ученого, талантливого педагога и прекрасного человека для всех нас, учеников К. В. Ломтатидзе, является символом дружбы между людьми и народами, объединяющим началом в настоящей сложной общественно-политической ситуации.

სერგეი პაზოვი

ჩვენი მასწავლებელი

(შემოკლებული ვარიანტი)

ყარაჩაი-ჩერქეზეთის პედაგოგიური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1978 წლის ოქტომბერში პროფ. რ. კლიჩევის რეკომენდაციით ჩამოვედი თბილისში, რათა საქართველოს მეცნიერბათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩამებარებინა გამოცდები. ინსტიტუტის თანამშრომლები თბილად შემხვდნენ და ინსტიტუტის დირექტორთან, პროფ. ქ. ლომთათიძესთან წარმადგინეს, რომელიც შემდგომ ჩემი ხელმძღვანელი გახდა და დიდად განსაზღვრა ჩემი, როგორც ენათმეცნიერ-მკვლევრის, მომავალი. ქ. ლომთათიძის შემწეობით არა მარტო საჭირო ცოდნა შევიძინე სპეციალობაში, არამედ — სამეცნიერო კვლევის ჩვევებიც და თუ გარკვეულ წარმატებებს მივაღწიე მშობლიური აბაზური ენის კვლევის, შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში, ძირითადად ქ. ლომთათიძის დამსახურებაა. ისეთები კი, რომელთაც ჩემსავით ქ. ლომთათიძის დახმარებით მიიღეს „საგზური“ სამეცნიერო მუშაობისათვის მრავლადაა ჩრდილოეთ კავკასიასა და უცხოეთის ქვეყნებში.

ენათმეცნიერების ინსტიტუტი, სადაც სამი წლის განმავლობაში ერთდროულად შინაურიც ვიყავი და სტუმარიც, სადაც ინსტიტუტის თითქმის ყველა თანამშრომელი მიწევდა მფარველობას, ჩემთვის თბილისის სიმბოლო გახდა.

აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე, რომლის კალამს ეკუთვნის მრავალი მონოგრაფია და ცალკეული გამოკვლევა მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერია, რომლის ნაშრომები კავკასიოლოგიის ოქროს ფონდშია შესული. განსაკუთრებულია მისი დამსახურება აფხაზურ-აბაზურ ენათა შესწავლის საქმეში. ქ. ლომთათიძის ფუნდამენტური გამოკვლევები აბაზური ენის ტაპანთური და აშხარული დიალექტების შესახებ (1944 და 1954), „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ (1976), მონოგრაფია პრევერბთა რთული სისტემის შესახებ აფხაზურ და აბაზურ ენებში (1982) კავკასიოლოგიის კლასიკური ნაშრომებია.

ქ. ლომთათიძის სამეცნიერო კვლევის შედეგებს ფართოდ იყენებენ ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ყველა რესპუბლიკის, აგრეთვე, უცხოელი ენათმეცნიერები სამეცნიერო კვლევის დროს, სასწავლო პროცესსა თუ სახელმძღვანელოთა შედგენისას.

ყარაჩაი-ჩერქეზეთში ისევე, როგორც მთელს ჩრდილოეთ კავკასიასა და უცხოეთში, კარგად იციან ქ. ლომთათიძის ფასი. მას იხსენებენ როგორც დიდ მეცნიერსა და შესანიშნავ პედაგოგს, რომელმაც კვალიფიციური სპეციალის-

---

* სერგეი პაზოვი — პროფესორი, ყარაჩაი-ჩერქეზეთის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პრორექტორი.

ტების მთელი პლეადა მოამზადა. ყველა მას თვლის თავისიანად, თავის მეცნიერად, თავის მასწავლებლად და, რასაკვირველია, მათ შორის აბაზებიც, რომლებიც ამაყად ამბობენ მასზე: „ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი აკადემიკოსი“.

გამოჩენილი მეცნიერი, პედაგოგიური ტალანტით დაჯილდოებული პიროვნება და შესანიშნავი ადამიანი — ქეთევან ლომთათიძე, ჩვენთვის, მისი მოწაფეებისათვის ადამიანებსა და ხალხებს შორის მეგობრობის სიმბოლოა, ერთგვარი გამაერთიანებელი ძალა დღევანდელ რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში.

SERGEI PAZOV[1]

Our Teacher

(short variant)

Having graduated from the Qarachai-Circassia Pedagogical University under Prof. R. Klichev's recommendation I arrived in Tbilisi in order to pass the exams at the postgraduate studies of the Institute of Linguistics of the Georgian Academy of Sciences. The contributors of the institute met me warmly and represented me before Prof. K. Lomtatidze who then was my research director and defined greatly my future as a linguist-researcher. By K. Lomtatidze's contribution I have acquired not only knowledge in my profession but abilities of scientific researching and if I have achieved any success in researching, preserving and developing of my native Abaza language it is basically K. Lomtatidze's merit. The very same people who had got "a voucher" for scientific working from K. Lomtatidze are many in the North Caucasus and in the foreign countries.

Institute of Linguistics, where during three years I had been feeling as a member of a family and a guest at the same time and where almost all contributors protected me, became a symbol of Tbilisi.

Academician Ketevan Lomtatidze to whom many monographs and researches belongs is an outstanding scholar of world whose works are entered in the Gold Reserves of Caucasiology. Her merit in studying the Abkhazian-Abaza languages is important. K. Lomtatidze's fundamental researches on the Tapant and Ashkhar dialects of Abaza (1944 and 1954), "Historical-comparative analysis of the Abkhazian and Abaza languages" (1976), her monograph on a complex system of preverbs in the Abkhazian and Abaza languages (1982) are classical models of Caucasiology.

The results of K. Lomtatidze's scientific researches are widely used by the linguists of Qarachai-Circassia and all republics of the North Caucasus, also by foreign linguists in scientific researching education process and compiling of manuals.

In Qarachai-Circassia as well as all North Caucasus and abroad all know K.

[1] Sergei Pazov – Professor, Pro-rector of the Qarachai-Circassia State Pedagogical University.

Lomtatidze's value. She is remembered as a great scholar and excellent teacher, who has grown up whole plead of qualified specialists. All of them consider her close to him/her, his/her scholar, his/her teacher and among them the Abazas who proudly say about her: "Our teacher, our academician".

For us, for her pupils an outstanding scholar, a person endowed with pedagogical talent and excellent person Ketevan Lomtatidze is a symbol of friendship of the peoples, an unifying power in present difficult social-political situation.

რუსუდან ჯანაშია

მცირე მოგონება ქეთევან ლომთათიძეზე

მქონდა ბედნიერება ამ პიროვნებასთან ახლო ურთიერთობა მქონოდა. შეიძლება ითქვას, რომ ასე ყოველმხრივ შემკული ადამიანი არ შემხვედრია. რომ არაფერი ვთქვათ მის მრავალდარგობრივ მეცნიერულსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, მისი გარეგნობა, მისი სისადავე, მისი უშურველობა არ მავიწყდება. ქალბატონი ქეთევანი ბავშვობიდან მახსოვს. ის ხომ მამის, სიმონ ჯანაშიას, მოწაფე იყო. ურთიერთობა მასწავლებელსა და მოწაფეს შორის მუდმივი იყო. გასული საუკუნის 30-იანი წლების ენიმკი-ს ასპირანტი ქეთევან ლომთათიძე თითქმის ყოველ წელს ადგილზე სწავლობდა აფხაზური და აბაზური ენების დიალექტებს. მივლინებები აფხაზეთში შედარებით იოლი ჩასატარებელი იყო, მით უმეტეს, როცა იგი ს. ჯანაშიას სანათესაოში ცხოვრობდა, მაგრამ აბაზეთში ჩასვლა მაშინდელ წლებში გმირობის ტოლფასი იყო. რამდენადაც ვიცი, ქ-ნი ქეთევანი ქ-ნ თინათინ გონიაშვილთან ერთად ჩეჩნეთშიც ყოფილა. საბარგო მანქანით მგზავრობა არ უნდა ყოფილიყო ადვილი.

ქ-ნი ქეთევანის ურთიერთობა ჩვენს ოჯახთან მამას გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდა. იგი არასოდეს არ ივიწყებდა ჩვენთვის მნიშვნელოვან თარიღებს.

პირადად ჩემი ურთიერთობა ქ-ნ ქეთევანთან მას შემდეგ გამოიკვეთა, რაც გავხდი ჩვენი უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების სტუდენტი. სტუდენტები მონუსხულები ვიყავით ხოლმე მისი ცოდნით, მისი გარეგნობით. აფხაზური ენის შესასწავლად ქ-ნი ქეთევანი მაგზავნიდა ხოლმე მივლინებებში აფხაზურ სოფლებში.

მინდა გავიხსენო ჩემს საკანდიდატო დისერტაციასთან დაკავშირებული ამბავი. ნაშრომის საბოლოო ვარიანტის დასრულება გამიჭიანურდა. ქ-ნ ქეთევანს ვეუბნები: ახლა შვებულებაში მივდივარ და დამთავრებულ გამოკვლევას სექტემბერში გადმოგცემთ-მეთქი. ქ-ნი ქეთევანი მეუბნება: არა, ახლავე მომიტან, გავეცნობი და დაგიბრუნებ, შენ კი ისარგებლებ შვებულებით და ჩაასწორებ, თუკი რაიმეა გასასწორებელიო. ქ-ნმა ქეთევანმა ნაშრომი სულ 2 კვირაში დამიბრუნა, მომცა შენიშვნები და დამარიგა, როგორ და რა უნდა დაზუსტებულიყო. არ უნდა დაგვავიწყდეს იმ დროს, 1977 წელს, რა ტვირთს ეზიდებოდა ქ-ნი ქეთევანი: ინსტიტუტის დირექტორის, უნივერსიტეტის პროფესორის, მეცნიერებათა აკადემიის წევრის, მეუღლის, დედის...

ფასდაუდებელია ქ-ნი ქეთევანისა და ბ-ნი ვარლამ თოფურიას დამსახურება ს. ჯანაშიას შრომების IV ტომის გამოცემაში (1968 წ.). რომ არა ტომის რედაქტორთა ძალიან დიდი ძალისხმევა, შეიძლება 1928-29 წლების საინტერესო ჩანაწერები გამოუქვეყნებელი დარჩენილიყო. ასევე ძალიან დიდია ქ-ნი ქეთევანის ღვაწლი ბაგრატ ჯანაშიას „აფხაზურ-ქართული ლექსიკონის“ რედაქტირებასა და გამოცემაში (1954 წ.).

კავკასიოლოგებისთვის დაუვიწყარია არნოლდ ჩიქობავას მიერ დაარსებული რეგიონალური კავკასიოლოგიური სესიები, რომელიც ტარდებოდა ორ წელიწადში ერთხელ კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში. ამ დროს ქალბატონი ქეთევანი გვერდით მომისვამდა ხოლმე მანქანაში და მივემგზავრებოდით. კარგად მახსოვს, რა შთაბეჭდილებას ახდენდა ხოლმე ის მსმენელებზე არა მარტო თავისი გამოსვლებით, ისე მათთან ურთიერთობით. იგი დაუვიწყარია ყველა კავკასიელისთვის, მისი ყოფილი სტუდენტებისა თუ კოლეგებისთვის — მას ხომ კავკასიის დედოფლად თვლიდნენ.

ყველამ კარგად ვიცით, რა მნიშვნელობისაა ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით შეგროვებული შინამრეწველობის ამსახველი ლექსიკური მასალა. ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ძაფის სართველ დაზგასთან მჯდომი, აჭარულ ტანისამოსში გამოწყობილი ქალბატონი, ქეთევან ლომთათიძეა. საქმე ის იყო, რომ თვითონ აჭარელ ქალბატონს, მაჰმადიანური წესით, აეკრძალა სურათის გადაღება. ქ-ნი ქეთევანი იქნა გაგზავნილი აჭარის რეგიონში მასალის მოსაძიებლად, მას ხომ უკვე დაბეჭდილი ჰქონდა ამ კილოსადმი მიძღვნილი რამდენიმე სტატია.

მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ქ-ნი ქეთევანი კარგი ფოტოგრაფიც იყო. სწორედ მისი გადაღებულია ცნობილი ეთნოგრაფის რუსუდან ხარაძის ფოტო, ბევრ გამოცემას რომ ამშვენებს.

ქალბატონი ქეთევანი თავის მეუღლესთან, დიდ ქართველ მეცნიერ გიორგი როგავასთან ერთად, ჩვენთვის დაუვიწყარია.

RUSUDAN JANASHIA

A Little Memories on Ketevan Lomtatidze

I was lucky to have close relation with this person. It could be said that, I have not met such a perfect person. To say nothing of her multi-branch scientific and public activity, I can not forget her appearance, her simplicity, her unselfishness. I remember Madam Ketevan since my childhood. She was a pupil of my father Simon Janashia. The relation between a teacher and a pupil was permanent. A post-graduate student of ILHMC of the 30s of the last century Ketevan lomtatidze almost every year was studying on the place the dialects of the Abkhazian and Abaza languages. Scientific trips in Abkhazia were easier to be carried out, moreover when she lived among Simon’s relatives. But arriving in Abaza was equal with heroism in those years. As far

as I know, Madam. Ketevan Lomtatidze had been to not Chechnya together with Madam Tinatin Goniashvili. Travelling by a lorry should have been easy.

The relation between Madam Ketevan Lomtatidze and our family was more activated after my father's death. She never fogot important for us dates.

Personally my relation with Madam. Ketevan Lomtatidze was evidenced when I became a student of the department of the Caucasian languages of the TSU. Students were bewitched by her knowledge, appearance. Madam Ketevan Lomtatidze often sent me to Abkhazian villages on a scientific trips to learn Abkhazian.

I'd like to remember one fact connected with my candidate dissertation. Ending of final variant of my work was drawn out. I said to Madam Ketevan Lomtatidze, that I was leaving from work and I would give my research to her in September. Madam Ketevan Lomtatidze said to me to bring her the work and she would read it and give it back to me, meanwhile I would take advantage of my leave to correct if there had been anything to be corrected. Madam Ketevan Lomtatidze gave back my work to me in two weeks, with some comments and advised me how and what would be specified. We should remember, those duties which Madam Ketevan Lomtatidze was taking on at that time, in 1977: duties of a director of the institute, of Professor of the University, of a Member of the Academy, of a wife, of a mother...

Madam Ketevan Lomtatidze and Mr. Varlam Topuria's merit in publishing the 6th volume of S. Janashia's works is invaluable (1968). If not the efforts of the editors of the volume maybe these records of 1928-29 would not be published. Madam Ketevan Lomtatide's merit in editing and publishing of Bagrat Janashia's "Abkhazian-Georgian dictionary" is also great (1954).

Regional sessions founded by Arnold Chikobava and which was held twice a year in different cities of the Caucasus are unforgettable for Caucasiologists. At that time Madam Ketevan Lomtatidze made me to sit next to her in a car and we traveled. I remember well what impression she made on listeners not only by her speech but by the relation with them. She is unforgettable for all Caucasiologists, for her ex-students and colleagues – she was considered to be the queen of the Caucasus.

We all know, the importance of the vocabulary material reflecting handicrafts and which was collected under Iv. Javakhishvili's initiative. But many people do not know that a woman sitting at a threat spinning machine-tool dressed in Ajarian cloth is Ketevan Lomtatidze. The point was that according to Muslim rule taking a photo was forbidden to an Ajarian woman. Madam Ketevan Lomtatidze was sent to the region of Ajaria to obtain material. She had already published some articles dedicated to this sub-dialect.

I'd like to note, that Madam Ketevan Lomtatidze was a good photographer, as well. Just she took a photo of an outstanding ethnographer Rusudan Kharadze, which decorates many publications.

Madam Ketevan Lomtatidze and her husband a great Georgian scholar Giorgi Rogava are unforgettable for us.

ნოდარ არდოტელი

პრედიკატული სინტაგმა და სინტაქსური კონსტრუქციები ბეჟიტურ ენაში

პრედიკატული სინტაგმა ისეთი ორგანიზებული მთლიანობაა, რომლის უშუალო შემადგენელ წევრებს შორის კანონზომიერი სინტაქსურ-სემანტიკური მიმართებები მყარდება. ფაქტობრივ იგი არის მინიატურული წინადადება, რომლის დამატებითი გავრცობა შესაძლებელია.

პრედიკატულ სინტაგმაში ზმნა წარმოადგენს ბირთვს, რომელთანაც აქტანტები სინტაქსურ-სემანტიკურად არიან დაკავშირებული. გამოხატულების პლანში ბეჟიტური პრედიკატული სინტაგმის წევრებს შორის სინტაქსური ურთიერთდამოკიდებულების სახეებია: ა) მართვა, ბ) შეთანხმება, გ) მირთვა.

ზმნური შესიტყვების წევრებად გვევლინებიან, ერთი მხრივ, ზმნა-შემასმენელი თავისი მრავალგვარი რეალიზაციით, მეორე მხრივ კი, აქტანტები, რომლებიც ზმნის ვალენტობას აპირობებენ. შესიტყვებაში სიტყვათა რიგი, როგორც ცნობილია, არის ერთ-ერთი არსებითი მნიშვნელობის მახასიათებელი. მასთან, ზმნური შესიტყვების კომპონენტთა წყობა განსხვავებული შეიძლება იყოს როგორც წინადადების წევრთა შორის, ისე წინადადების ტიპების მიხედვითაც. ბეჟიტური შემასმენელი პრედიკატულ სინტაგმაში (resp. წინადადებაში) ჩვეულებრივ ქვემდებარის მომდევნო ადგილს იჭერს, თუმცა ქვემდებარის წინაც შეიძლება დაგვიდასტურდეს. მაშასადამე, გაბატონებულია პოსტპოზიციური წყობა (ქვემდებარე + შემასმენელი), ხოლო შებრუნებული წყობა (შემასმენელი + ქვემდებარე) — მასზე დამოკიდებული, მაგ., საკ. ბეჟ. ბაბა **გეჲ** „პური არის“, სუკო ჰუ[ნ]ლუ **შუნაც გოლლო** „კაცი გუშინ დაასაფლავეს“, დიდე ყამი **კოკოცას** „მე თავი მტკივა“, ჰუქმათლი **ნისორო** „მთავრობამ უთხრა“, ჰო[ნ]ს ხან ზუყონა გეჲ „ყოფილა ერთი მეფე (ზედმიწ. „ერთი მეფე ყოფილა“)“ და ა. შ.

პრეპოზიციური წყობა საკვლევი ენისთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი[1] და იგი რაიმე სტილური გარემოებებით ან გრამატიკული კილოს თავისებურებებით უნდა იყოს შეპირობებული, მაგ., ჰუნზ. ჰა[ნ]ს ზუყურ **შოფერ** „იყო ერთი მძღოლი“, ნიდო Øენტხერ **სუკუ** „სად წავიდა კაცი?“ დარჩე, ჟაგინ-

[1] ე. ლომთაძის აზრითაც, ქვემდებარის წინ მდგარი შემასმენელი დომინანტური არაა [ლომთაძე 2003: 10-11].

დო! „გაიღვიძე, ჟაგინდო!“ ოლ‘უს ზუყუნ **ბერდენჭა** „მას ჰქონია თოფი“ და მისთ.

პირდაპირი და ირიბი დამატების ადგილი მკვეთრად ლოკალიზებული არ არის — ის შემასმენლის წინაც და შემდეგაც თითქმის თანაბრად გვხვდება, თუმცა ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში უფრო ბოლოკიდური პოზიცია უჭირავს [შდრ. ლომთაძე 2003 : 11-21]. **შემასმენლის შემდეგ**: საკ. ბეჟ. დილ ბაცცა **გეგე** (ტლად.) „მე მიყვარს ჭიდაობა“, დო ვრცასი **ბეჟტ’ალა მიცაყა** (ტლად.) „მე ვსწავლობ ბეჟიტურ ენას“, დილ რეგაჩ **ტექ** (ტლად.) „მე ვხედავ წიგნს“, ფაჰალლ‘ო Øიტ’ეს ზუყოდო **დო** (კაპ.) „ის მკლავდა მე“... **შემასმენლის წინ**: საკ. ბეჟ. ილე **ჰუდო** ტოტოც (ტლად.) „ჩვენ შეშას ვჭრით“, იდო **ქენ** ბრც (კაპ.) „დედა საჭმელს აკეთებს“, აბაქარდი **ქეჭ** ილ‘ედო (კაპ.) „აბაქარმა სიმღერა იმღერა“, გედი **ა^{ნ}ყო** ბოხიდო (კაპ.) „კატამ თაგვი დაიჭირა“...; ჰუნზ. ოჟდილ **ქიდ** ჰეჰერ „ბიჭმა გოგოს სცემა“, მანო **ბადრა** ლ‘იკლ‘ი **ბუშო!** (ნაჰ.) „შენც სხვებს სიკეთე გაუკეთე“, **ქიდბოლ დიცი** კეკე **ნგლ’ჲრ** (ღარ.) „გოგომ მე ბიჭონი („შებრაწული ხორბალი“) მომცა“ და სხვ. მრ.

რაც შეეხება **უბრალო დამატებას**, იგი მეტწილად შემასმენლის წინ დგას. მასთან, ამგვარი დამატება არაიშვიათად გათიშულიც არის შესიტყვების ბირთვისაგან, მაგ.: Øენტ’ედო იცილო ცადამლიდოდ... „წავიდა მოხუც ქალთან“..., მალლარასადანნა ხო^{ნ}ხილ ი^{ნ}ცონა **თოკილად** (კაპ.) „მოლა ნასრედინიც (მათ) ხეზე მიაბეს რა საბლით“ და ა. შ.

გათიშული უბრალო დამატება: ჰუნზ. **დიბიდიდა** ციდულ... წგნდარ რუშ „შენთვის დედა წინდებს ქსოვს“, უსთარ **ყორიტ’** Øეჩერ „მჭედელი სკამზე დაჯდა“, ობულ **ოლ‘ჳ** ჰი^{ნ} ნგლ'ჲრ ვედრალდო (ჰუნზ.) „დედამ მას რძე მისცა“...

პრედიკატული სინტაგმა შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან როგორც ერთმანეთთან, ისე შესიტყვების ბირთვთან — შემასმენელთან. არსებულ კომპონენტთა სინტაქსური ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება გრამატიკულად მარკირებულიც იყოს და არამარკირებულიც. უკანასკნელ შემთხვევაში გრამატიკული გამოხატულება ფუნქციურ-სემანტიკურ დონეზე რჩება და, მიუხედავად ამისა, შესიტყვების არსი ბოლომდე ნათელია. სახელდობრ, ბეჟიტურ ენაში, რომელიც კლასოვანი უღვლილებით ხასიათდება, ერთვალენტიანი გარდაუვალი ზმნის სუბიექტი შეიძლება კლასის ექსპონენტით მარკირებულიც იყოს და არამარკირებულიც, მაგალითად, ჰუნზ. **ქიდ** ჲ-უთურ „გოგომ (ზედმიწ. „გოგო“) დაიძინა“; **ქიდ** („გოგო“) საკუთარ გრამატიკულ **ჲ**- ნიშანს აჩენს ზმნაში, ხოლო გარდაუვალი ზმნა, თავის მხრივ, RS-ს (ქიდ „გოგო“) მართავს სახელობით ბრუნვაში. იდულ (RS/ERG) ქეჭ (RO$_{ჟ}$/NOM) იტ’ერ „დედამ სიმღერა იმღერა“ — ამ შესიტყვების ბირთვი — გარდამავალი ზმნა **იტ’ერ** („იმღერა“) კლასიფიკატორს მოკლებულია, თუმცა

აგენსს მართავს ერგატივში, ხოლო პაციენსს — სახელობითში. მაშასადამე, ირკვევა, რომ რიცხვში შეთანხმებისათვის კლასიფიკატორის უქონლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. თუ უახლოეს ობიექტს რიცხვს შევუცვლით (იდულ ქეჭ-ლა იტჲერ „დედამ სიმღერები იმღერა“), მაშინ რიცხვში ცალმხრივ მარკირებულ შეთანხმებას მივიღებთ.[1]

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია თეზისი პირიანობისა და ვალენტობის განსხვავებულ გრამატიკულ კატეგორიებად მიჩნევის შესახებ [გამყრელიძე და სხვ. 2003 : 257]. ბეჟიტური ზმნა პირის კატეგორიას მოკლებულია. ვალენტობის თვალსაზრისით გარჩეულია ერთვალენტიანი (გარდაუვალი), ორვალენტიანი (გარდამავალი, გრძნობა-აღქმის) და სამვალენტიანი (გარდამავალი, კაუზატიური) ზმნები.

1. **ორვალენტიან ზმნათა** დიდ ნაწილს კლას-კატეგორია არ მოეპოვება და ზმნაში რიცხვი ცალმხრივად მარკირებულია, ე. ი. ზმნის სტრუქტურაში კლასი არ აისახება, ხოლო კლასნიშნიან ზმნათა სტრუქტურაში ნათლად დაჩნდება სათანადო აქტანტთა მიერ გამოხატული საგნების სემანტიკური კლასიფიკაცია. კერძოდ, შესიტყვებაში: დო (RS/GEN) მაჩე ($O_უ$) ბოლ'ოდო („მე ყანა მოვხანი“) ზმნა (ბოლ'ოდო „მოვხანი“) მოკლებულია კლასოვან უღვლილებას, ამიტომ მასში უახლოესი ობიექტი (მაჩე „ყანა“), რომლის კლასის ნიშანი **ბ**- ზმნაში უნდა დაჩენილიყო, არ მოგვეპოვება. ამგვარ შემთხვევებში არ გვაქვს არც კლასოვანი, არც კლასოვან-პიროვანი და, მით უფრო, არც პიროვანი უღვლილება. მაშასადამე, ობიექტურ-კლასოვანი უღვლილების სისტემის ენაში აღმოგვაჩნდა **ნეიტრალური უღვლილების** ზმნები, რომლებსაც აქტანტები მარტოოდენ სემანტიკურ დონეზე უკავშირდებიან.

რაც შეეხება ორვალენტიან უკლასნიშნო ზმნათა და მათი კლასმიმართ აქტანტების (S_1O_d) სტრუქტურულ ასპექტებს, ჩვენი შეხედულებით, აქ გვაქვს ნაწილობრივ მარკირებული მართვა, ვინაიდან სათანადო ზმნის სემანტიკა რეალურ სუბიექტს (დო „მე“) მართავს ერგატივში, რომელშიც დგას მარკირებული რეალური სუბიექტი. მაშასადამე, ერგატიული ბრუნვის ფორმა და ზმნის სემანტიკა კლასიფიკატორის უქონლობის ერთგვარ კომპენსაციას ახდენენ.

ორვალენტიანი კლასნიშნიანი გარდამავალი ზმნების აქტანტთა სინტაქსურ-სემანტიკური ურთიერთდამოკიდებულება ნათელია: რეალური სუბიექტი, რომელიც ერგატივში დგას, ზმნაში არ აისახება, იგი ოდენ ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზეა წარმოდგენილი. უახლოესი ობიექტი ორმხრივად (სრულად) მარკირებულია, ვინაიდან გრამატიკულადაც გამოხატულია (თავის საკუთარ ნიშანს აჩენს ზმნაში) და სემანტიკურ დონეზეც წარმოდგენილია, რადგანაც სხვანაირად შესიტყვების აზრი გაუგებარი იქნებოდა, მაგ.: ჰუნზ. **ოჟ-დრ̄** (RS) **დარს** (O^d) **რ**-იყე „ბიჭმა გაკვეთილი იცის“, **ṙბუ-ლ**(RS) **ჰṙრṙ** (O^d) **ბ**-ოჰორ „მამამ ძროხას აჭამა“ და მისთ.

[1] მარკირების ინტერპრეტაციისათვის [იხ. უთურგაიძე 2009 : 151-152].

2. **გრძნობა-აღქმის** გამომხატველი ზმნები (Verba Sentiendi), რომლებსაც ინვერსიულ ზმნებსაც უწოდებენ, ორვალენტიან ზმნებს განეკუთვნებიან. ამ ტიპის ზმნათა პრედიკატულ სინტაგმაში ქვემდებარე წარმოადგენს ექსპერიენსერს და იგი მიცემითი ბრუნვის ფორმით რეალიზდება, ხოლო პაციენსი (O^d), რომლის კლასიც ზმნაში აღინიშნება, სახელობით ბრუნვაში დგას. რეალური სუბიექტის (ექსპერიენსერის) აღუნიშვნელობა ცხადყოფს მის განკუთვნებას გრამატიკული სუბიექტისადმი [ანდღულაძე 1968 : 65-67; შდრ. უსლარი 1889 : 120-121; ლომთაძე 2003 : 43].

ბეჟიტურ ენაში Verba Sentiendi-ს ტიპის ზმნათა რიცხვს მიეკუთვნება: **დ-ატ-ალ** „სიყვარული“: რჟდი-ლ (DAT) **იდო** (NOM) **დ**-აცცა „ვაჟს უყვარს დედა“, **დ-იყ-ალ** „ცოდნა“, „გაგება“: დი-ლ (DAT) **Ø**-იყეშ უბაჰდი **ცადამ** (NOM) „მე არ ვიცნობ ამ კაცს“, **დ-ეგ-ალ** (ჰუნზ. **ჰ-ა^{ნ}წ-ა** "id".) „ხედვა“: დი-ლ (DAT) **ისი** (NOM) **დ**-გა-დო „მე დავინახე და“, **შრც-ალ** (ჰუნზ. **შოც-ა** "id".) „დავიწყება“: ილუ (DAT) ლ'იკლ'ი (NOM) შოყოდს „ჩვენ სიკეთეს არ ვივიწყებთ“, **ჩოჴ-ალ** გაგება“, „შეტყობა“: დუ-ლ (DAT) იწწო ხაბარ (NOM) ჩოჴნადი? „შენ ახალი ამბავი გაიგე?“ **თუჴ-ალ** „მოსმენა“: დი-ლ (DAT) მი ილ'ედოლ'ი (NOM) თუჴიდო „მე გავიგონე შენი ძახილი“, **თიყ-ალ** (ჰუნზ. **თგყ-ა** "id".) „ჩხვლეტა“: ჰოლლ'ო-ლ (DAT) ნისოდო დაჭე (NOM) თიყოდო „მას გულში მოხვდა (ზედმიწ. „უჩხვლიტა“) ნათქვამი სიტყვა“, **დ-ოც-ალ** (ჰუნზ. **ბ-აც-ა** "id".) „დაკარგვა“, „გაუჩინარება“: დი-ლ (DAT) **ჭიდ** (NOM) დ-აცჯ-რ „მე გოგონა დამეკარგა“ და მისთ.

ამ რიგის პრედიკატული სინტაგმები ნიშანდობლივია არა მარტო ახლომონათესავე ენათათვის [ბოკარევი 1949 : 34-38; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 367; იმნაიშვილი 1963 : 260-261...], არამედ სხვა წრის ენებისთვისაც [ჩიქობავა 1979 : 197]. რაც უფრო მეტი ენის მონაცემებზე დაყრდნობით გადამოწმდება ეს მეტად საინტერესო მორფოსინტაქსური მოვლენა, მით უფრო მეტად დამაჯერებელი იქნება თვალსაზრისი მისი ენობრივ უნივერსალიად მიჩნევის შესახებ.

ზემოგანხილული შესიტყვების სტრუქტურაში ჩვენს ყურადღებას იქცევს შემასმენლის ბრუნვა. უღვლილებისას ექსპერიენსერი (მოქმედების განმცდელ-აღმქმელი) ყველა დრო-კილოთა ფორმაში მიცემით ბრუნვას მოითხოვს, თუმცა ზმნა-შემასმენლის სტრუქტურაში ასახვას ვერ ჰპოვებს. მიუხედავად ამისა, სინტაგმის წევრთა კავშირი გამოხატულია ქვემდებარის ბრუნვით [ბოკარევი 1949 : 34], რაც შეიძლება ცალმხრივ მარკირებულ მართვად კვალიფიცირდეს.

3. გარდაუვალი ზმნებიდან ინტერესს აღძრავს აგრეთვე ერთვალენტიანი დამხმარე ზმნები (კაპ. **გედ**, ხაშ. **გოლ'**, ტლად. **გელი**, ჰუნზ. **ლი**, **ლო** „არის“, ხაშ., ტლად. **ზუყო-რო,** კაპ. **ზუყო-დო,** ჰუნზ. **ზუყუ-რ** „იყო“), რომლებიც, კონტექსტისდა მიხედვით, კუთვნილებას გამოხატავენ და ორვალენტიანები ხდებიან. მეორე ფუნქციით ხმარებისას რეალური სუბიექტი უახლოეს ობიექ-

ტად იქცევა და ჩნდება კუთვნილების სუბიექტი (Genitivus Subjectivus), მაგ.: საკ. ბეჟ. ო^{ნ}სი-ს ყჳმ გეჲ „ხარს თავი აქვს (ზედმიწ. „ხარ-ის თავი არის“)“, შუგა-ს ჰი^{ნ}ნა დაჴცა „ცხენს რძეც აქვს (ზედმიწ. „ცხენ-ის რძეც არის“)“...; ჰუნზ. სუკო-ს ლო სჲრიჲო „კაცს ჰყავს ცხენი (ზედმიწ. „კაც-ის არის ცხენი“)“, დიდო ობუ-ს ჴოჴო ლი „მამაჩემს სახლი აქვს (ზედმიწ. „ჩემი მამ-ის სახლი არის“)“ და ა. შ.

ზემოწარმოდგენილი პოსესიური კონსტრუქციის შემცველ წინადადებებში ზმნა-შემასმენელი ლაბილურია, თუმცა გარდამავლობის თვალსაზრისით — ინდიფერენტული. ზმნაში სახელის კლას-ნიშანი არ აისახება, ამიტომ კლასში და რიცხვში შეთანხმება არ გვაქვს. სამაგიეროდ ხელშესახებია მართვა—ზმნა სახელს მოითხოვს ნათესაობითსა (აგენსი) და სახელობითში (პაციენსი), თავად სახელი კი ზმნასთან შეთანხმებას ვერ ახერხებს.

კუთვნილების გამომხატველ ორვალენტიან ზმნა-შემასმენელთან ქვემდებარე, მიცემითის გარდა, შეიძლება შეგვხვდეს ლოკატიურ ბრუნვებშიც, რაც მეტად დამახასიათებელია ახლომონათესავე ენათათვისაც [იმნაიშვილი 1963 : 264; ლომთაძე 2003 : 48-49...], მაგ.: ჰუნზ. **ცაგრაგ** (ლოკ.) ზუყუნლო თოფია (ლომთ. 2003 : 48) „მათ ჰქონიათ („მათთან ყოფილა“) თოფები“, ბალ'აჲ **უსთარლი-გ** (ლოკ.) ლი „ხანჯალი მჭედელს აქვს (ზედმიწ. „მჭედელთან არის“)“...

გარდა ამისა, გარდამავალ ზმნებთან ლოკატიური ბრუნვის ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ირიბი და უბრალო დამატება [იხ. ვან დენ ბერგი 1995 : 123].

ბეჟიტური ზმნის არსებითი მახასიათებელია კლასისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიები და მათი მარკირების არცთუ რთული სისტემა. ეს უპირატესად კლასნიშნიან ზმნებს ეხება. ამ ტიპის **ორვალენტიანი** გარდამავალი ზმნა სახელს მართავს: ა) ქვემდებარეს — ერგატიულ ბრუნვაში, ბ) პირდაპირ დამატებას — სახელობით ბრუნვაში. ეს დამოკიდებულება ფორმულის სახით ასე ჩაიწერება: Ag + Pr + Pat (resp. RS + Ver + RO). საილუსტრაციო მაგალითები: საკ. ბეჟ. დიდელა ის-ტი (Ag/ERG) შუგრშრუჲ (Pat/NOM) მ-ოყონა „ჩემმა ძმამ ცხენი მოიყვანა“, ჴოჰდაგი-ჲა (Ag/ERG) ჩახჩო ქაღაჲ (Pat/NOM) „მოწაფე წერს წერილს“, აჰმად-ი (Ag/ERG) რადიჲო (Pat/NOM) ჲ-იტილლო „აჰმედმა რადიო დაშალა“...; ჰუნზ. დიდო გსტი-ლ (Ag/ERG) ყორო (Pat/NOM) რ-უუო „ჩემი ძმა სკამს აკეთებს“, ოლ'უ-ლ (Ag/ERG) Ø-იტჲერ სუკუ (Pat/NOM) „მან მოკლა კაცი“, ილდო უშთელი-ლ (Ag/ERG) ჰუ^{ნ}-დუ (Pat/NOM) ბ-უჭე „ჩვენი მასწავლებელი შეშას ჭრის“ და მრ. სხვ.

როგორც ზემომოყვანილი მაგალითები მოწმობენ, სახელი კლასნიშნიან ზმნას ითანხმებს კლასსა და რიცხვში, მაგ.: აჰმადი მაშინა ბ-იტილლო „აჰმედმა მანქანა დაშალა“, მაგრამ: აჰმადი მაშინა ჲ-იტილლო „აჰმედმა მანქანები დაშალა“.

მაშასადამე, ბეჟიტურ ენაში საურთიერთო კოორდინაცია, რაც ესოდენ ნიშანდობლივია ქართველური ენებისათვის, არ დასტურდება.

სამვალენტიანი ზმნის ორდინარულ აქტანტებს წარმოადგენენ: ქვემდებარე (RS), პირდაპირი დამატება (RO^d) და ირიბი დამატება (RO^{ind}). ორვალენტიანი და სამვალენტიანი ზმნის სინტაგმაში მეტ სინტაქსურ ძალას პირდაპირი დამატება ავლენს, რადგანაც მისი ნიშანია წარმოდგენილი ზმნაში, ე. ი. სახელი ზმნას ითანხმებს კლასსა და რიცხვში: საკ. ბეჟ. სი-დი (RS/ERG) ყონა სუკო (RO^d/NOM) ბ-ეაქილლო „ერთმა ორი კაცი წააქცია“. თუ პირდაპირ დამატებას მხოლოობით რიცხვში გადავიყვანთ, ზმნაში ამ უკანასკნელის მხოლოობითი რიცხვის კლასის ნულოვანი ალომორფი გვექნება: სი-დი ჰო^{b}ს სუკო Ø-ეაქილლო (კაპ.) „ერთმა ერთი კაცი წააქცია“.

ავიღოთ სამვალენტიანი ზმნის ორი წინადადება: (1) ოჟ-დი (ERG) მადუჰალლი-ლ (DAT) ხოდ (NOM) ბ-ოხნა „ვაჟმა მეზობელს ცხვარი მიჰყიდა“; (2) დო (ERG) დიდელა ჾჟდი-დ (INS) ჰინის დნევნიქ (NOM) რ-ეგალილლინნა „მე ჩემ ვაჟიშვილს (ზედმიწ. „ჩემი ვაჟით“) თავისი დღიური ვაჩვენებინე“.

პირველ წინადადებაში წევრთა წყობა და აქტანტთა ზმნასთან მიმართება კლასიკურია: RS ერგატივში დგას, უახლოესი ობიექტის (O^d) კლასს კი ზმნა აირეკლავს. რაც შეეხება მეორე წინადადებას, რომელშიც სამვალენტიანი კაუზატიური ზმნა გამოიყენება, აქტანტთა რაოდენობა გაზრდილია ირიბი დამატებით (O^{ind}), რომელიც ფაქტობრივ მოქმედების შემსრულებლად (ექსეკუტორად) გვევლინება და პრედიკატთან ფორმობრივი კავშირის გამოხატვას მოკლებულია. ზმნაში უახლოესი ობიექტის კლასის (და რიცხვის) ნიშანი დაჩნდება. ისტრუმენტალისის ფორმიანი უბრალო დამატების ექსეკუტორის ფუნქციით გამოყენება კიდევ ერთხელ სვამს ერგატივისა და ინსტრუმენტალისის გენეზისური ერთიანობის საკითხს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამვალენტიან გარდამავალ უკლასნიშნო ზმნაში, ორვალენტიანი გარდამავალი ზმნის ანალოგიურად, ზმნისა და სათანადო აქტანტის კავშირი შესუსტებულია: სახელი ზმნას ვერ ითანხმებს კლასსა და რიცხვში, თუმცა ზმნა სახელს მართავს ბრუნვაში (RS-ერგატივში, RO^{ind} — მიცემითში ან ლოკატივში, RO^d — სახელობითში), მაგ.: ჰუნზ. ოლ'უ-ლ (RS/ERG) ნგლ'ჯრ ტეხ˜ (RO^d/NOM) გსტი-გ (RO^{ind}/AD) „მან მისცა წიგნი ძმას“, შდრ. გსტი-ლ (RS/ERG) ბ-ოხორ გსტი (RO^{ind}) ზატიაჲ (RO^d/NOM) „ძმამ დას ბეჭედი უყიდა“.

მეორე წინადადებაში გვაქვს როგორც მართვა (ზმნა ქვემდებარეს მართავს ერგატივში, ირიბ დამატებას — მიცემითში, პირდაპირ დამატებას — სახელობითში), ისე შეთანხმება (სახელი ზმნას ითანხმებს კლასსა და რიცხვში).

პრედიკატულ სინტაგმაში, აქტანტთა ბრუნვების გათვალისწინებით, გამოიყოფა შემდეგი სინტაქსური კონსტრუქციები: 1) **ნომინატიური,** 2) **ერგატიული,** 3) **დატიური,** 4) **პოსესიური,** 5) **ლოკატიური.** თითოეული ეს

კონსტრუქცია დამოკიდებულია რეალური სუბიექტის ან მასთან გათანაბრებული აქტანტის (აგენსის) ბრუნვაზე და სახელწოდებაც ამის მიხედვით აქვს შერქმეული.

1. **ნომინატიური კონსტრუქცია.** ნომინატიური კონსტრუქცია, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია გარდაუვალი ზმნისთვის. პრედიკატულ სინტაგმაში წარმოდგენილია ოდენ აგენსი (RS), რომლის კლასის ექსპონენტიც დაჩნდება კლასნიშნიან ზმნაში, უკლასნიშნო ზმნებში კი რეალურ სუბიექტზე მითითება ხდება სემანტიკურ დონეზე, მაგ.: საკ. ბეჟ. იდო (RS/NOM) ბილ'ოლა დ-ე^{ნ}ტ̈ედო „დედა შინ წავიდა“, ცემედა მეხ (RS/NOM) ბ-აჭოლ'ჩა „შემოდგომაზე ამინდი ცივი ხდება“, დიდე ო^{ნ}ხ (RS/NOM) კოკოს ზედმიწ. „ჩემი მუცელი ავადაა“...; ჰუნზ. ქიდ (RS/NOM) დ-იდა^{ნ}რ „გოგონა ტიროდა“, სუკუ (RS/NOM) Ø-უჰურ ჴოჴრ ბ-იდა^{ნ}ბარ „სახლში, სადაც კაცი მოკვდა, ტიროდნენ“, სანაჲ მეხტ̈ო კოტ ცოჴრრ (ლომთაძე 2000 : 98) „ხან ავად არის ის, ხან კარგად ხდება“ და მრ. სხვ.

პირველადი აბსოლუტური ზმნების გარდა, არაიშვიათად ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნიან მეორეული ერთაქტანტიანი ზმნებიც, რომელთაც განეკუთვნება ნასახელარი და პოტენციალისის სემანტიკის შემცველი ზმნები. ამგვარ ზმნებთან შეწყობილი რეალური სუბიექტიც ყოველთვის სახელობით ბრუნვაში დაისმის [ლომთაძე 2000 : 213-215], მაგ.: ჭაჰდი სუკო (RS/NOM) კეტლ'იდო „ეს კაცი კარგი გახდა“, ცჳგ (RS/NOM) წუნდულერ (ჰუნზ.) „ის (კაცი) გაწითლდა“, ყჳრა (RS/NOM) ბ-გყჳლერ (ნაჰ.) „ბავშვი გაიზარდა“ და მისთ.

2. **ერგატიული კონსტრუქცია.** ზოგადად, იბერიულ-კავკასიური ენებისთვის, კონკრეტულად, ბეჟიტური ენისთვის თავისებურ კონსტრუქციას ერგატიული კონსტრუქცია ქმნის. მარტივი წინადადების სტრუქტურისა და პრედიკატული სინტაგმის აგებულების კვლევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ერგატიულ კონსტრუქციას ენიჭება, რომელიც სამვალენტიანი გარდამავალი ზმნის კონსტრუქციად გვევლინება. ამგვარი პრედიკატული სინტაგმის თავისებურებას ის ქმნის, რომ გარდაუვალი ზმნის RS და გარდამავალი ზმნის RO^{d} ერთი და იმავე ბრუნვით — სახელობითით გადმოიცემა. მასთან, ზმნაში აისახება სახელობითში მდგარი უახლოესი ობიექტის (პაციენსის) კლასი, ხოლო ფუნქციურ-სემანტიკურად უფრო აქტიური აქტანტის — ქვემდებარის კლასი კი აღუნიშვნელი რჩება — უახლოესი ობიექტის ძალა სუბიექტისას სჭარბობს [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 239].

ბეჟიტური ზმნა, ხუნძურ-ანდიურ ენთა ზმნისაგან განსხვავებით და ახლომონათესავე დიდოურ ენათა ანალოგიურად, მეტი სტაბილურობით გამოირჩევა, ამდენად სათანადო სინტაგმებში იგი მოკლებულია ორაზროვნებას, მაგ., დიდე ჴო-დ (RS/ERG) **აჟდაჰ** (RO^{d}/NOM) ბ-იტ̈ედო „ჩემმა ძაღლმა ურჩხული მოკლა“, დო (RS/ERG) **სიმინდი** (RO^{d}) **ბ**-იჟეჩ „მე სიმინდს ვთესავ“ და მისთ.

ერთი რიგის ამოსავალ ზმნათა (ნილ'ალ „მიცემა“, ტუტალ „სროლა“...) და კაუზატიური ზმნების ერგატიული კონსტრუქცია ირიბი ობიექტის (O^{ind}) მქონებლობით გამოირჩევა. მასთან, RS და RO^{d} ბრუნვებს არ იცვლიან, RO^{ind} კი დაისმის მიცემითსა და ლოკატიურ ბრუნვებში, მაგ., ჰაჟიმურად, რაჭა, ბოლ'უ ბოწ̄ი (RO^{ind}/DAT) თოფი (RO^{d}/NOM) ტუტა-ლ'ე (ლომთ. 2003: 40, 7) „ჰაჯიმურად, მოდი, ამ მგელს თოფი ვესროლოთო“, იდო (RS/ERG) ო̄ჟდი-ლ (RO^{ind}/DAT) ბ-ა̈ტ̈ელლო კობალა (RO^{d}) „დედამ ვაჟიშვილს კომბალი დასცხო“, მაჟიდი (RS/ERG) ნისოლლო ჰალმაღლიჭა (RO^{ind}/LOC) იდოშ ხაბარ „მაჯიდმა ამხანაგს დედის ამბავი ჰკითხა“ და ა. შ.

საგულისხმოა, რომ მეორეული კაუზატიური ზმნა ირიბ ობიექტს ინსტრუმენტალისში მართავს [არდოტელი 2008: 77-78], მაგ.: დო (RS/ERG) ყებედლი-დ (RO^{ind}/INS) წიტ (RO^{d}/NOM) რ-ო̄ლლილლო (ლომთაძე 2000 : 198) „მე მჭედელს დანა გავაკეთებინე“, მალლარასადან-ი (RS^{init}/ERG) ა̈ლ'ელა ხალყლი-დ ($O^{ind/ex}$) რეჭენ (RO^{d}/NOM) ბაწი-ლ ($O^{ind/ex}$/DAT) რ-ჭ^{ნ}-ჶა-ჭილინნა „მოლა ნასრედინმა სოფლის ხალხს ცხვარი მგელს შეაჭმევინებინა“ და სხვ. მისთ.

3. **დატიური კონსტრუქცია.** როგორც უკვე ავღნიშნეთ ზემოთ, Verba Sentiendi-ს ტიპის პირველადი ინვერსიული ზმნები აგენსს (RS) მიცემით ბრუნვაში მოითხოვენ (დიცი **Ø**-ატ **ოჟე** „მე მიყვარს ვაჟი“, დიცი დ-ატ **ჭიდ** „მე მიყვარს გოგო“...), რაც მრავალი ენის სათანადო მოვლენასთან პოულობს პარალელს [ჩიქობავა 1979 : 197]. გარდა ამისა, მიცემითი ბრუნვით გამოიხატება მოქმედების ადრესატი და ირიბი ობიექტი, მაგ., აბო (RS/ERG) ოჟდი-ლ (RO^{ind}/DAT) ბიტ̈ი (RO^{d}/NOM) ნილ'იდო (კაპ.) „მამამ ვაჟიშვილს ცხვარი მისცა“, ოჟ-დი-ლ (RS/ERG) ქიდ-ბა̈-ჯ (RO^{ind}/DAT) (ჴათ) მ-იდაა-რ (ჰუნზ.) „ვაჟმა გოგოს (ხელი) დაარტყა“ და სხვ.

4. **პოსესიური (ნათესაობითიანი) კონსტრუქციის პრობლემა.** როგორც ცნობილია, სპეციალურ ლიტერატურაში დამოუკიდებელ სინტაქსურ ერთეულად გამოყოფენ პოსესიურ კონსტრუქციას და მას სხვა მომიჯნავე კონსტრუქციათა თანაბარ უფლებებს ანიჭებენ [იმნაიშვილი 1963 : 264; კიბრიკი და სხვ. 2001 : 298-299; ლომთაძე 2003 : 45-46].

ბეჟიტურ ენაში ე. წ. პოსესიურ კონსტრუქციას მარტოოდენ მეშველი ზმნები ქმნიან. პოსესიურ (ნათესაობითიან) კონსტრუქციის აქტანტებიდან მარკირებული არ არის არც აგენსი და არც პაციენსი, სათანადო ზმნას კლასიფიკატორი არ მოეპოვება. პოსესიური კონსტრუქციის სტრუქტურა ასეთია: კუთვნილების სუბიექტი (GS=Genitivus Subjectivus) ყოველგვარ დროულ ფორმასთან დგას ნათესაობითში, ხოლო რეალური ობიექტი (RO^{d}) — სახელობით-

ში, მაგ.: საკ. ბეჟ. ისტი-ს (GS) თოფი (RO^d) გეჲ „ძმას თოფი აქვს (ზედმიწ. „ძმის თოფი არის“)“, ჶალ‘ო ხალლი-ს (GS) ჰო^{n}ს რჟრ̀ (RO^d) ზუყონა გეჲ „იმ მეფეს ერთი ვაჟი ჰყავდა (ზედმიწ. „იმ მეფისა ერთი ვაჟი იყო“)“...; ჰუნზ. ოლ‘უს (GS) ყურუშ (RO^d/NOM) გრ̀ჭ „მას ფული არ აქვს (ზედმიწ. „მისი ფული არ არის“)“, ჳგრას (GS) ზუყუნ ლო სჳრო (RO^d/NOM) „მათ ჰყოლიათ (ზედმიწ. „მათი ყოფილა“) ცხენი“ და ა. შ.

5. **ლოკატიური კონსტრუქცია.** ლოკატიური კონსტრუქციას აყალიბებენ მეტწილად მოდალური სემანტიკის შემცველი ზმნები. ლოკატიურ კონსტრუქციას ქმნიან:

1) კუთვნილების გამომხატველი გარდაუვალი ზმნები: საკ. ბეჟ. მიჟუგ შუშა ლიტტო, ა^{n}წი გიჭკო! „თქვენ თუ ბოთლი გაქვთ (ზედმიწ. „თქვენთან ბოთლი თუ არის“), სასმელი ჩაასხი!“;

2) ადრესატის მქონე გარდამავალი და კაუზატიური ზმნები, რომლებიც უბრალო დამატებას ერთ-ერთ ლოკატიურ ბრუნვაში (AD/CONT/SUP) მოითხოვენ: ჰუნზ. ოგუ (RS/ERG) შუგულად მიღა-ლ‘ (RO^{ind}/CONT) ჴედრა (RO^d/NOM) ნგცარ „მან ცხენის კუდს ვედრო დაკიდა“;

3) ერთი რიგის გარდამავალი ზმნები (ბ-იჟ-ა „მოგება“, ბ-ჳჯ-ა „შეძლება“, ბ-ოჟ-ა „ნდობა“, „რწმენა“...) უბრალო დამატებას (სირკონსტანტს) სხვადასხვა ლოკატიურ ბრუნვაში სვამენ [იხ. ვან დენ ბერგი 1995 : 123-124; ლომთაძე 2003 : 53-55].

ამრიგად, ბეჟიტურ ენაში თავჩენილ სინტაქსურ კონსტრუქციებში უმთავრესია კლასმიმართ აქტანტთა დამოკიდებულება პრედიკატთან — შემასმენელთან. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, პრედიკატულ სინტაგმაში ზმნა (შემასმენელი) სახელს (RS, RO) მართავს სახელობითში, ერგატივში და მიცემითში, რითაც იქმნება სათანადო სინტაქსური კონსტრუქციები. რაც შეეხება პოსესიურ და ლოკატიურ კონსტრუქციებს, ისინი კლასმიუმართავ აქტანტთა კონსტრუქციებია და, ამდენად, ნაკლები ფუნქციური დატვირთვა აქვთ.

ლიტერატურა

ანდღულაძე 1968 — ნ. ანდღულაძე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში. თბილისი.

არდოტელი 2008 — ნ. არდოტელი, კაუზატივი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში. — ენათმეცნიერების საკითხები, I. თბილისი.

ბოკარევი 1949 — А. А. Бокарев, Очерк грамматики чамалинского языка. М.-Л.

ვან დენ ბერგი 1995 — Helma van den Berg, A Grammar of Hunzib (with texts and lexicon). Leiden.

გამყრელიძე და სხვ. **2003** — თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი.

იმნაიშვილი 1963 — Д. С. Имнайшвили, Дидойский язык в сравнении с гинухском и хваршийским языками. Тбилиси.

ლომთაძე 2000 — ე. ლომთაძე, ზმნა და ნახმნარი სახელები ბეჟიტურ (ბეჟიტურ-ჰუნზიბურ) ენაში. თბილისი.

ლომთაძე 2003 — ე. ლომთაძე, ბეჟიტური (ბეჟიტურ-ჰუნზიბური) ენის სინტაქსი და ტექსტები. თბილისი.

უთურგაიძე 2009 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთზე მოქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში. თბილისი.

უსლარი 1889 — П. К. Услар, Этнография Кавказа. Языкознание. III. Аварский язык. Тифлис.

ჩიქობავა 1979 — არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი.

ჩიქობავა, **ცერცვაძე 1962** — არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა. თბილისი.

NODAR ARDOTELI

Predicative Syntagma and Syntactic Constructions in Bezhit

S u m m a r y

In Bezhit predicative syntagma a predicative occupies a following place after a subject. Though it can occurs before a subject. Following from this a post-positive order (subject predicate) is dominated and an inversive order (predicate + subject) – is depended on it. In a sentence a syntactic interrelation of components can be marked by classifiers and can not be marked; e. g.: – **kid** "A girl fall asleep", cf.: **j-utur** (RS/ERG) **ijul** (ROu/Nom) **itjer** "Mother sang a song"...

Members of a predicative syntagma are: the verbs with one-valence (intransitive), bi-valence (transitive, of feeling and perception) and three-valence (transitive, causative). Just according to above mentioned verbs the structure of predicative syntagma is discussed. An attention is focused on the verbs of neutral

conjugation (without a class-marker and person), with which actants connect only on a semantic level and communication coordination among them is not important.

The following syntactical constructions are distinguished in a predicative syntagma in condition of actants' declension: 1) **nominative**: 2) **ergative**; 3) **dative**; 4) **possesive**; 5) **locative**.

In syntactic constructions the attitude of class actants toward a predicate is important. In a predicative syntagma a verb (predicate) governs a noun (RS, RO) in nominative, ergative and dative. As regard possessive and locative constructions, they are the constructions of non-class actants.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXIX 2011

ფიქრია აფხაიძე

თავაზიანობის ეტიკეტი და მესამე პირის ნაცვალსახელთა სისტემა

(სინჰალური ენის მასალაზე)

სინჰალა ენაში რაოდენობრივი თუ ფუნქციურ-სემანტიკური ნაირგვაროვნებით II პირის[1] გარდა III პირის ნაცვალსახელებიც გამოირჩევიან. მათი ნაირსახეობების[2] გამოყენებისას არსებული სოციალური ეტიკეტის დაცვა მნიშვნელოვანია; საზოგადოების სოციალურად დაყოფის პრინციპებსა და ამ თვალსაზრისით არსებულ ენობრივ დიფერენცირებას III პირის ნაცვალსახელთა სისტემა საინტერესოდ წარმოგვიდგენს.

III პირის ნაცვალსახელთა ხმარების თვალსაზრისით სალაპარაკო და სალიტერატურო სინჰალას შორის შემდეგი ძირითადი სხვაობა არსებობს:

სალიტერატურო ლექსიკურ ფონდში არსებული ფორმები რაოდენობრივად ბევრად სჭარბობს სალაპარაკო ენის ფორმებს. სალაპარაკო სინჰალაში III პირის ნაცვალსახელთა გაცილებით მცირე ნაირსახეობა გვხვდება. ამასთან, განსხვავებულია მათი ფუნქციურ-სემანტიკური როლები.

სალიტერატურო სინჰალა III პირის ნაცვალსახელებში გრამატიკულ სქესს განარჩევს. კერძოდ, განსხვავებულია მდედრობითის, მამრობითის და საშუალო სქესის ფორმები. შესაბამისი მაგალითები ქვემოთ მოცემულ ტაბულაზე შემდეგნაირად წარმოვადგინეთ:

---

[1] იხ. ჩვენი სტატია: „მეორე პირის ნაცვალსახელთა თავისებურებისათვის სალაპარაკო სინჰალაში“, იკე XXXVII , 2009

[2] III პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელთა ფორმები უმთავრესად სინჰალურ-ინგლისური და ინგლისურ-სინჰალური ლექსიკონებიდან მოვიპოვეთ. მათი ნაირსახეობები კლასიფიცირებულია სალიტერატურო და სალაპარაკო სინჰალას შორის არსებული განსხვავების თანახმად. მხოლობითისა და მრავლობითის აღმნიშვნელ ფორმებს უმეტესად ვუთითებთ ლექსიკონების მიხედვით.

მდედრობითი სქესი	მამრობითი სქესი	საშუალო სქესი
æ (ის) ან hō (ის)	ē (ის; კაცი, ნივთი) /hē (ის)	Ø
Ø[3]	ū (ის; ცხოველი / დაბალ სოც. საფეხურზე მყოფი ადამიანი)	Ø
Ø	eyā (ის: პიროვნება / ბიჭი)	eyə (ის) / (ის;)
ærǣ/arǣ	arəya (ის; ნაკლებად თავაზიანი)	arə (ის, ეგ)
ekī (ის)	ekā (ის; კაცი, ბიჭი)	ekə (ერთი; რაოდენობითი რიცხ. სახელი)
oyǣ (ის)	oyā(ის)	oyə (აი ის)
mǣ (ის)	mē (ის)	me (ის)
arəkī (ის)	arəkā (კაცი / ცხოველი)	arəkə (აი ის)
ōkī (ის)	okā (პიროვნება / ცხოველი)	okə (აი ის)
mēkī (ქალი / ცხოველი; არათავაზიანი)	mēkā (აი ეს: ბიჭი, ცხოველი; ადამიანი ყველაზე დაბალი სოც. ფენიდან)	mekə (აი ის)
ōtomō (ის; თავაზიანი)	Ø	Ø
mō (ეს)	Ø	Ø
Ø	mohū (ეს; პიროვნება)	Ø
ō(ის)	Ø	Ø
Ø	undā (ის; პატივისცემის გამომხატველი)	Ø
Ø	unnæhe (ის, ეგ პიროვნება, პატივისცემის გამომხატველი)	Ø
Ø	unnānsē (ის; პატივისცემის ღგამომხატევლი)	Ø

როგორც საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, მდედრობითი და მამრობითი სქესისთვის სინჰალურ ენას უფრო მეტი ალტერნატიული ფორმა აქვს, ვიდრე საშუალო სქესისთვის. ზოგი ფორმა დასტურდება მხოლოდ მამრობითის ან მდედრობითის ფორმით, ზოგს კი სამივე სქესის შესატყვისი აქვს. ამასთანავე, ამ ფორმებს შორის ფუძისეული სხვაობა ზოგჯერ ერთი შეხედვით გარკვეულ ფონეტიკურ კანონზომიერებას ექვემდებარება. კერძოდ, ფუძე ხშირად იცვლება დაბოლოების მიხედვით. მაგალითად: **ī** (მდრ. სქესი) **→ā** (მამრ. სქესი) **→ə** (საშ.სქესი). მაგ: **ekī→ekā→ekə ; ōkī→okā→okə** და სხვა. თუმცა ამგვარი

[3] Ø-სიმბოლო აღნიშნავს, რომ სათანადო ფორმა ვერ დავადასტურეთ.

ცვლილება არ არის ერთადერთი კანონზომიერება, რომლითაც III პირის ნაცვალსახელთა ფუძის შეცვლა ხდება.

სპეციალურ ლიტერატურაში, კერძოდ, გეიგერის გრამატიკაში (1938) ყურადღება არის გამახვილებული იმაზე, თუ რაოდენ სირთულეს ქმნის III პირის ნაცვალსახელების ნაირსახეობების ახსნა. თუმცა, მიუხედავად მათი მრავალფეროვნებისა, გეიგერს III პირის ნაცვალსახელები ძირითადად ორი: **-i** და **–u** ძირიდან ნაწარმოებად მიაჩნია და მათ საშუალო ინდოარიულის იმავე ძირებთან აკავშირებს. (გეიგერი 1938 : 125)

მრავლობითი რიცხვის წარმოება სამივე სქესის ფორმებისთვის ხდება სამი სახის სუფიქსის საშუალებით, როგორიცაა: **lā** სუფიქსი, რომლითაც არის ნაწარმოები: **oyāla, oyæla, okāIā, ekīla, okīla arəkīla, uyaIā; vā**–სუფიქსით: **arəvā, evā, ōvā, mēvā** და **hū**–სუფიქსით: **ovuhū, ohū,mohū, movuhū.**

სინჰალა ენა III პირის ფუნქციით ჩვენებით ნაცვალსახელებსაც გამოიყენებს. სინჰალური ჩვენებითი ნაცვალსახელები მიუთითებენ მსმენელი და მოლაპარაკე პირების პოზიციას ჩვენების ობიექტთან სიახლოვე-სიშორის თვალსაზრისით. აქ შეიძლება 3 ჯგუფი განვასხვაოთ. კერძოდ:

1) ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ჩვენების ობიექტი ახლოსაა მოლაპარაკე პირის პოზიციასთან. კერძოდ, ასეთებია:

mekā ეს (კაცი, ცხოველი)	**mekə** აი ეს
mekī ეს (ქალი, დაბალი ფენიდან)	**mehā** ეს (პიროვნება)
mē ეს (საშ.)	**meyā** აი ეს (მამრ.)
munda ეს (საშ.)	**meya** ეს (საშ.)
mundalā ესენი	**mō** (მდ.) ეს
mohū ეს (პიროვნება)	
munnæhe (ძალიან თავაზიანი)	
munvəhansē (ძალიან თავაზიანი)	

2) ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ჩვენების ობიექტი ახლოსაა მსმენელის პოზიციასთან, როგორიცაა:

okə ეგ
ohā ეგ (პიროვ.)
oyə ეგ (საშ.)
oyā ეგ (მამრ.)
oyæ ეგ (მდ.)
okī ეგ (მდ.)

3) ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ჩვენების ობიექტი დაშორებულია როგორც მსმენელის, ისე მოლაპარაკის პოზიციიდან. კერძოდ:

arə ის/ისინი (საშ.)
arəyə ის (მდ)
arəkə (საშ.) აი ის
arəkī (მდ.)
ekə ის (საშ.)
ē ის (კაცი/ნივთი)
ekā ის (მამრ.)

III პირის საკუთრივ სუბიექტური და აგრეთვე ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც სუბიექტური პირის ფუნქციას ითავსებენ, მარკირებულია შემდეგი გრამატიკული კატეგორიების მიხედვით:

1. სულიერი-უსულოს კატეგორია. სულიერში გარჩეულია ადამიანი და ცხოველი, ხოლო უსულოში — ნივთი ან აბსტრაქტული ცნება;
2. სქესის კატეგორია: მდედრობითი, მამრობითი და საშუალო.
3. რიცხვის კატეგორია: მხოლობითი და მრავლობითი;
4. თავაზიანობა-არათავაზიანობის კატეგორია. აქ განსხვავებას ქმნის თავაზიანი-არათავაზიანი და აგრეთვე, პატივისცემის და უპატივცემულობის გამომხატველი ფორმები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სალაპარაკო ენაში III პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელთა ნაირსახეობანი გაცილებით მწირია. III პირის აღსანიშნად ძირითადად გამოიყენება: **eyā** (ის; მხ. რ.) და **eyāla** (ისინი; მრ. რ). სქესის თვალსაზრისით III პირი სალაპარაკო ენაში არ არის მარკირებული. ეს ბუნებრივია, რამდენადაც სქესის კატეგორია სალაპარაკო ენისთვის მხოლოდ ლექსიკურ კატეგორიად მიიჩნევა. სამაგიეროდ, გარჩეულია სულიერი-უსულოს კატეგორია ოღონდ ჩვენებით ნაცვალსახელებში, რომლებიც III პირის ფუნქციას ითავსებენ, მაგ.: **ekə, arəkə**, **mekə, oya** ფორმები ყოველთვის უსულოზე მიუთითებს, ხოლო **mē, arə** — სულიერი არსებითის მსაზღვრელებად გამოიყენება. საკუთრივ III პირის აღმნიშვნელ სუბიექტურ ნაცვალსახელებში კი გამიჯნულია ადამიანის და ცხოველის აღმნიშვნელი კატეგორია: **ū** ნაცვალსახელი ჩვეულებრივ ცხოველზე მიუთითებს, ხოლო **eyā** (მხ.რ) — ადამიანზე.

როგორც სალიტერატურო, ისე სალაპარაკო სინჰალას ახასიათებს III პირის ნაცვალსახელებით თავაზიანობის და არათავაზიანობის კატეგორიის გამოხატვა. ასეთი რამ ესპანურსა და იტალიურშიც გვაქვს. ამ ენებთან სინჰალას გენეტიკური ნათესაობა აკავშირებს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან სინჰალური მასალის შედარება, რამდენადაც მათ შორის გენეტიკური კავშირი არ არსებობს და ლინგვისტებს მხოლოდ ტიპოლოგიური შედარების შესაძლებლობა რჩებათ; მაგრამ ამისთვის ვფიქრობთ, ჯერ საკუთრივ ცალკეული ენობრივი ემპირიული მასალა უნდა იყოს აღწერილი, რათა ხელმისაწვდომი გახდეს ამა თუ იმ სახის კვლევის გასაგრძლებლად. სწორედ ამიტომ, წინამდებარე სტატიის მიზანი იყო

კონკრეტულად სინჰალური მასალის თავისებურებანი.

ჯერ კიდევ გუნასეკერას გრამატიკაში (1891) III პირის ნაცვალსახელები დაჯგუფებულია სინჰალური საზოგადოების სოციალურ ფენებს შორის არსებული განსხვავებების თანახმად. კერძოდ, გამოყოფილია 3 ტიპი, როგორიცაა: 1) დაბალი კასტის აღმნიშვნელი ფორმები 2)საშუალო ფენის ადამიანთა აღმნიშვნელი ნაცვალსახელები და 3) უმაღლესი კლასის ადამიანთა აღმნიშვნელი ნაცვალსახელები. ჩვენი აზრით, სალაპარაკო სინჰალურს არ ახასიათებს ისეთი მკვეთრი დისკრიმინირებული კასტური ან კლასობრივი სხვაობა, როგორიც, ეს ვთქვათ, გუნასეკერას მიერ სინჰალური ენის გრამატიკაშია (1891) აღწერილი. გეიგერის ნაშრომშიც (1938) აღნიშნულია, რომ სინჰალური ნაცვალსახელების ხმარება მკაცრად დისკრიმინირებულ სოციალურ ეტიკეტს ექვემდებარება. თანამედროვე სინჰალური საზოგადოების სოციალურ ფენებს შორის განსხვავება ამჟამად გამოიხატება მხოლოდ დაბალი, საშუალო და მაღალი ფენების მიხედვით.

საინტერესო განსხვავებას ქმნის ამ კატეგორიის მარკირების პრინციპიც. სალიტერატურო სინჰალას III პირის ნაცვალსახელებში თავაზიანი მნიშვნელობა სპეციალური სუფიქსების საშუალებით იწარმოება და ეს სუფიქსები დაერთვის მხოლოდ აკუზატიური ბრუნვის მრავლობითის აღმნიშვნელ III პირის ზოგ ნაცვალსახელურ ფუძეს. ჩვენ ვერ დავადასტურეთ სუფიქსით ნაწარმოები თავაზიანი III პირის ნაცვალსახელი, რომელშიც თავაზიანობის სუფიქსი მხოლობითი რიცხვის ფუძეზეა დართული, რაც ლინგვისტურად ზოგადუნივერსალური მოვლენაა; მრავლობითის ფუძე სხვადასხვა ენაში სწორედ თავაზიანობის მნიშვნელობით დასტურდება. სინჰალადან საილუსტრაციოდ ქვემოთ მოგვყავს:

un (III პ. მრ.რ) +**vahansē** (სუფიქსი)< **unvahansē**;
un (III პ. მრ.რ) +**nehe** (სუფიქსი)< **unnæhe**;
mun (III პ. მრ.რ) +**nehe** (სუფიქსი) < **munnæhe**;
un (III პ. მრ.რ) +**nāse**(სუფიქსი)< **unnāse**;
ovun (III პ. მრ.რ) +**vəhansē**< **ovunvəhansē**

არათავაზიანი მნიშვნელობის გამოსახატავად კი გამოიყენება სპეციალური ფორმები. მაგ.: **ū; mū; mu; ekā; okā; okī; mekā; mekī; arəkə; arəkī**. რაც შეეხება სალაპარაკო სინჰალას, აქ თავაზიანობა-არათავაზიანობის გამოსახატავად იშვიათად მაგრამ, შეიძლება, ნასესხები იქნას სალიტერატურო ენის ლექსიკისთვის დამახასიათებელი თავაზიანობის გამომხატველი ფორმები, როგორიცა: **unvahansē, unnæhe** და სხვ. მაგრამ ძირითადად, ლაპარაკის დროს III პირში მოწიწების ან თავაზიანობის გამოსახატავად ჩინის, სოციალური რანგის ან სტატუსის გამომხატველი არსებითი სახელები გამოიყენება, ისევე როგორც ქართულში, მაგ., დოქტორი/პროფესორი + საკუთარი სახელი; ქალბატონი/ბატონი+საკუთარი სახელი. ხოლო თუ პიროვნების ვინაობა უცნობია, მაშინ ამ

სიტყვების წინ ჩვენებითი ნაცვალსახელები დაისმის: **ē /arə doctor kenek;profesə kenek**=ის /ეს დოქტორი/პროფესორი; **ē/arə mahattəya/nōnə** =ის/ეს ბატონი/ქალბატონი. არასაერო პირის, რელიგიური მსახურის, ვთქვათ, ბუდისტი ბერის მოსახსენიებლად კი სპეციალური ნაცვალსახელის **unvahansē**-ს ნაცვლად გამოიყენება შემდეგი კონსტრუქცია: (ჩვენებითი ნაცვალსახელური მსაზღვრელი) **ē /arə** + (არსებითი სახელი **hāmuduruvo** „ბუდისტი ბერი“) ან: საკუთარი სახელი + სიტყვა **hāmuduruvo**. ქართულშიც ზუსტად ასე ხდება, როცა მოვიხსენიებთ სასულიერო პირს: მამა ლევანი, მეუფე დავითი და ა.შ. სინჰალურში მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი შებრუნებულია: ჯერ სახელია და მერე სასულიერო რანგის აღმნიშვნელი სიტყვა.

რაც შეეხება არათავაზიან მნიშვნელობას, სალაპარაკო სინჰალაში III პირში ამ მნიშვნელობით გამოიყენება ნაცვალსახელი, რომელიც ჩვეულებრივ აღნიშნავს ცხოველის კატეგორიას. ასეთია: **ū** (მხ.რ) და **un** (მრ.რ) ამ ფორმების ხმარებით განსაკუთრებით დამამცირებელი მნიშვნელობა გამოიხატება. თავაზიანობის მარკირების განსაკუთრებულ თავისებურებას გამოხატავს ნათესაობის სისტემა და ეტიკეტიც, რომელიც ნათესაური ურთიერთობების წესებს სინჰალურ საზოგადოებაში ენობრივად აკანონებს. მაგალითად, ოჯახის წევრებს შორის პატივისცემის ნიშნად მამას და დედას მოიხსენიებენ არა ნაცვალსახელით, არამედ კროსრეფერენციალურად. საილუსტრაციოდ ქვემოთ მოგვყავს:

tāttatə sanīpə næ, ē nisā tātta bet gannə giyā.

ზედმიწ. „მამა (დატ.) ჯანმრთელობა არა ამიტომ მამა წამალი ყიდვა (ინფ.) წავიდა“

„მამა ავად არის, ამიტომ ის წამლის საყიდლად წავიდა“.

თავაზიანობა-არათავაზიანობის გამოსახატად ზოგჯერ შეიძლება პრაგმატული ფაქტორიც იყოს განმსაზღვრელი. მაგალითად, საზოგადოდ მიჩნეულია, რომ ქართულში თავაზიანობის კატეგორია III პირის ნაცვალსახელებში გრამატიკულად არ არის მარკირებული, მაგრამ პრაქტიკულად ეს კატეგორია ქართულში სხვაგვარად შეიძლება გამოიხატოს. მაგალითად, თუ III პირის ჩვენებითი ნაცალსახელები გამოყენებულ იქნება ადამიანის აღმნიშვნელი სუბიექტური ნაცვალსახელის ნაცვლად, მაშინ მოსაუბრეს შეუძლია აღსანიშნის მიმართ გამოხატოს თავაზიანი ან არათავაზიანი დამოკიდებულება. ამ დროს მნიშვნელოვანია აგრეთვე მოსაუბრის პრაგმატული პოზიცია, განსხვავება რანგობრივ-ჩინობრივი ან ასაკობრივი თვალსაზრისით. მაგალითად, თუ თანამდებობის პირი რომელიმე ჩვენებითი ნაცვალსახელით მიმართავს ე.წ. „დაქირავებულ თანამშრომელს“, რომელიც რანგობრივად მასზე დაბლა დგას, მაშინ ამით ხაზი გაესმება დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ მნიშვნელობას ადრესატის მიმართ. ვთქვათ, ადმინისტრაციის წარმომადგენელი რომელიმე თანამშრომელს სხვების თანდასწრებით ასე მიმართავს: „ეს აქ რატომ არის?“ ნაცვლად იმისა, რომ მიმართოს პირადად, საკუთარი სახელით ან მე-2 პი-

რის ნაცვალსახელის გამოყენებით, მაშინ ამ ფორმით იგნორირება ან დამცირება გამოიხატება. შეიძლება გამოიხატოს სხვა ნიუანსიც, მაგალითად, გაუცხოების ან დაშორების მომენტიც, რაც შეიძლება რაიმე სტილისტიკური ფუნქციითაც გამოიყენებოდეს, ვთქვათ, რომელიმე მწერლის ენაში.

ზემოთ განხილული ენობრივი თავისებურებები მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვადასხვა სოციოლინგვისტურ ფაქტორებთან, რომლებიც უმთავრესად შეპირობებულია მოცემული ერის კულტურულ-ეთნიკური და რელიგიური თავისებურებანით. ცხადია, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თანამედროვე სინჰალას ჩამოყალიბება მულტიგენეტიკური (ინდოარიული, დრავიდული და საკუთრივ ინდოგენური) ენობრივი კონტაქტების საფუძველზე მოხდა. ამიტომ ბევრი ენობრივი მოვლენის განვითარებაში მულტიგენეტიკური ენობრივი სტრუქტურების იმპაქტები აისახა.

ლიტერატურა

გაიერი 1970 — Gair W.James, Coloquial Sinhalese Clause structures, Janua Linguarum S.P 83, The Hague Mouton & Co, Sri Lanka.

გეიგერი 1938 — Geiger Wilhelm, PH.D , A Grammar of the Sinhalese language, The Royal Asiatic Society Ceylon Branch, Colombo.

გუნასეკერა 1891— Gunasekera Mendis, Comprehensive Grammar of the Sinhalese language, Sri Lanka.

დისანაიაკა 1998 — Disanayaka J.B, Understanding The Sinhalese, Colombo, Sri Lanka.

კარუნატილაკე 1998 — Karunatillake W.S, An Introduction To Spoken Sinhala, 2nd edition, Colombo, Sri Lanka.

კიკვიძე ზაალი 1999 — თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები, თბილისი.

კვარაცხელია 2002 — ზეპირი მეტყველების ფორმები და სოციალური პრესტიჟი, ბათ. უნივერსიტეტის შრ. ტ. II, ბათუმი.

რატნა ინგლისურ-სინჰალური ლექსიკონი — Ratna English Sinhalese Dictionary, 2nd edition, ISBN-955-569-009-5, Colombo 10, Sri Lanka.

სინჰალური ხალხური თქმულებები 1998 — Sri Lanka Folk Tales; Tamil-Sinhala (volume I) ICCO-The Netherlands. Publisher: participatory Development Forum .ISBN 955-9140-16-7, Sri Lanka.

სინჰალურ-ინგლისური ლექსიკონი 1997— Sinhala English Dictionary, 2nd edition, publishers: S.Godage & BROS, Colombo 10, Sri Lanka.

ქარტერი 1999 — Carter Charles, Sinhalese English Dictionary, New Delhi* Madras.

ჯორბენაძე 1985 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ენობრივი ეტიკეტი, გაზ. „ბურჯი ეროვნებისა“, 2, თბილისი.

PIKRIA APKHAIDZE

On the Peculiarities of the 3rd Personal Pronouns in Spoken Sinhala

Summary

This work deals with the semantic-functional peculiarities of the 2nd personal pronouns. Sinhala has a large diversity of different pronouns. The different forms are used in Spoken and Literary varieties of Sinhala as well as in the colloquial register of the Spoken language or in regional varieties. The 2nd and 3rd personal pronouns are especially various. Using of parallel forms of different pronouns are practically regulated by means of so- called socio-discriminative etiquette. "However, the rules of etiquette and social standards have sometimes changed in course of time, and the same pronoun may have used formerly otherwise than at present and differently in literary and in colloquial Sinhalese." (Geiger 1938: 132)

(An empirical data for this study was obtained from dictionaries and different fiction texts. In particular, the semantic peculiarities of the II personal pronouns obtained from the Sinhalese dictionary were verified according to their using in different dialogs of the texts. We owe to be grateful for some famous authors (Gair, Karunatillake, Geiger) as their different materials of Spoken Sinhala were also useful for us to carry out our task. We cited them. Also, it should be mentioned that some part of information about our empirical data was obtained through the live enquiries of the Sinhalese informants on the Internet.)

There are 3 main typological models of the usage of the 2nd personal pronouns which are determined by their functional-semantic peculiarities in different languages. They are as follows:

1.The polite and impolite forms of addressing are represented by different words (the corresponding illustrations are presented here from Sinhala)

2. There are 2 different forms which are opposed according to the number category. An initial point for choosing the right form in addressing depends on the context , whereas the category of number is neutralized. The impolite and informal addressing is expressed by the 2nd personal pronoun singular form, while the plural form completely expresses politeness and respect towards the addressee. It has both singular or plural meanings. For example: Georgian " **šen**" (impolite, resp. familiar) and "**tkven** " (polite), also in Russian: "**ты"** and "**вы**".

3. There is only one form to denote the 2nd person which is neutralized according to the number category, as for etiquette markers, different grammatical means can be used , such as morpho-syntactic or lexical phrases. For example, nowadays "you" in English means both singular or plural – 2nd person. Etiquette markers can be modal verbs: **could, would, can , will** or the whole phrase which has a polite meaning: "Would you... please?"

As for Spoken Sinhala which corresponds to above discussed 1st model, the polite and impolite addressing can be expressed by different words, whereas following etiquette, a social status and socio relationships must be foreseen.

We distinguish the following II personal pronouns in Spoken Sinhala. They are as follows:

oyā - "you"(sg). It has polite meaning: "you". In its plural form the number category is marked by adding suffix –la: oyāla.

oyā - has polite meaning when it is used in addressing by socially equal people. However, it can be used in addressing by socially higher people to socially lowers but not conversely. In case of unequal socio levels of society, etiquette rules must be maintained. In Sinhala etiquette differences aren't shown by morpho-syntactic and lexical phrases as in English but according to the social status of the person who is addressed. Other socio differences based on socio ranks, age, caste, etc., are also significant. For example, **oyā** form mustn't be used in addressing by student to his/her lecturer, pupil to a teacher, employee to - an employer, or a lower caste representative to - a higher cast representative. If these rules are broken then " an impolite meaning: "you" will be expressed.

umˇbə - "you"(sg). It has over familiar meaning. According to Geiger, it is an old form; seems to be derived from MInd: **umˇbə <*yumhē** which corresponds to tumhē in Pracrit and is more original as regards the initial consonant. cf. Sk. **yuṣm** (Geiger 1938, 124).

In modern spoken language this form is used in speech of middle or lower socio class in a single person. It is very common in villagers' speech. Family members (by only elders to younger ones), friends, peers are used to address by **umˇbə.** Except for this, it can be used in addressing animals. It is quite common to be practically occurred in addressing servants at home by their employers. If a representative of higher status, class or cast addressees to a socially inferiors by **umˇbə** form, then an offensive meaning will be expressed.

numˇbə "you" (sg.). This form also belongs to the pronoun system of Literary Sinhala . According to Geiger , **numˇbə** is an original substantive with meaning: "your honor", "your worship" (Geiger 1938:124).

In Charter's Sinhalese -English dictionary it is explained with a bit more polite meaning than **umˇbə**. As we observed, **numˇbə** is commonly used in dialogs of Martin Wickramasinghe's books and in practice it is used in addressing between representatives of socially middle class.

One more interesting semantic nuance which specifies semantic-functional characteristic of **numˇbə** is that it is used to express intimae and affection; for example: couples in love , or generally a loving wife and a husband prefer using **numˇbə** in addressing each other not being in presence of another person but separately, when they are alone. Thus, in Spoken Sinhala the phrase: I love you! **mamə oyāt ə ādereyi**! acquires more intimacy if the form **oyā** will be alternated in it by **numˇbə**. This fact was confirmed in the colloquial register of modern Spoken Sinhala .

Spoken Sinhala's regional varieties uses impolite, arrogant forms with the meaning of: "you"(sg) , they are as follows: **ohē, ohā, oyahā** .These forms are used in Sri Lanka's south regional varieties.

Historically old forms are : **tī** (female) and **tō** (male). They occur in middle classical Sinhalese literary monuments. In modern spoken language they are used in addressing for inferiors though in classic books denoted equals and persons of rank Today it can be found in villagers' speech.

Pronoun **tamusē** belongs to the literary lexical fund of Sinhala language. It expresses politeness in literary language and means “your honors”(Gunasekera 1892:162) but in modern colloquial register of Spoken Sinhala it has an offensive meaning. Moreover, using this form causes a reason for encouraging an addressee to incline for fight can be caused. It has quite unprintable meaning and is used only in addressing lower socio class. This example reminds us an addressing form “vazhbatono” in Georgian, which nowadays has an offensive meaning, while its female counterpart ”kalbatono” could maintain its polite meaning in modern using. But in Georgian we don’t have such a rigorously distinguished system of social diversity which is expressed in Sinhala language by using appropriate forms.

For addressing higher socio status or rank representative **obətumā** (**ā** male marker) and **obətumī** (ī female marker) are used. These forms are composed by : **obə (**the 2nd personal pronoun with very polite meaning, used only in Literary language) + **tum** which is a special element for expressing a politeness, it can be added to the 3rd person pronouns too, like: **etuma, metuma** (he-polite form) also to a proper nouns, like **Jayətiləkətumā** (=his honors Mr. Jayatilaka) .

In addressing high religious persons, such as Buddhist monks **obəvahansē** is used. It is formed as follows: **obə (** polite “you”) **+vahansā;** Literary: **vahan** “sandals”, shoes, cf. Pali : **upāhanā** cf. Sanskrit: **upāhansē** > sey ”manner” (Geiger 1938: 32;17)

Why did above discussed subject become the focus of our special interest?

We paid our attention to the existence of the different forms which denote the 2nd personal pronouns in the dictionary. But their using opportunities were not systematically described in that special literature which has been available for us at present. Of course, it is not beyond any doubt that several scholars had done a really significant work in studying pronouns (Geiger, Gunasekera) but our interest was focused on modern language situation.

Also, there is another important reason due to the benefit of learners of Sinhala. Anyone who will depend only on the dictionary and takes an arbitrary choice of the 2nd personal pronoun forms, will face to an awkward situation. It is not reasonable to use different forms without knowing etiquette.

Thus, this work is supposed to give some help for those who learn Sinhala and are eager to communicate properly . We think, this article could be also useful for those, who like to prepare translations into Sinhala and finally, it is helpful as a material for studying some socio linguistic issues. It is noteworthy that except these 2nd personal pronouns, the 3rd personal pronouns are specified in Sinhala according to their numerous numbers and semantic-functional diversity as well and they interestingly show how the society is socially distinguished or differentiated through the social status or ranks. This will be the subject of our next study.

თეა ბურჭულაძე

რთული თანწყობილი წინადადების დეფინიციისათვის ქართულში

ქართულში რთული წინადადების ნაწილების აზრობრივი და გრამატიკული მიმართება მრავალფეროვანია. რთული წინადადების შედგენის ძირითადი საშუალებებია თანწყობა და ქვეწყობა (პარატაქსი და ჰიპოტაქსი). სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თანწყობა გულისხმობს ერთიმეორის მიმართ გრამატიკულად თანასწორ წინადადებათა შეერთება-დაკავშირებას. შესაბამისად, თანწყობის საშუალებით მიღებულ წინადადებას რთული თანწყობილი წინადადება ჰქვია (კვაჭაძე 1996: 353). ზოგადად მიჩნეულია, რომ პარატაქსული წყობის წინადადებაში მოიაზრება ორი ან მეტი მარტივი წინადადება, რომლებიც ერთმანეთის მიმართ გრამატიკულად თანასწორი, ტოლი წინადადებებია. ამ სინტაქსური თვისების გამო შესაძლებელია პარატაქსში შემავალი წინადადებები შეუცვლელად ცალ-ცალკეც ვიხმაროთ, როგორც დამოუკიდებელი სინტაქსური ერთეულები. ერთ დიდ სინტაქსურ ერთეულად გაერთიანების საფუძველს წარმოადგენს წინადადებაში გამოხატული მოვლენათა ერთდროულობა, თანამიმდევრობა, დაპირისპირება:

მოვლენათა ერთდროულობა:

„მანდილი ჩამოჰშვებოდა და მისი ფოჩი ფრიალებდა ჰაერში“ (ვ.ბარნ.); „სინათლე ჯერ არ აენთოთ და ასოებიც აღარ გაირჩეოდნენ“ (გ.ნატრ.); „მთვარე მიმალულიყო და უკვე ბნელოდა“ (ვ.ბარნ.); „თევზი არ მოდიოდა, მაგრამ მაინც სიამოვნებდა აქ ჯდომა“ (გ.შატბ.), „ვინ არიან და რა გაჭირვებიათ“ (კ.გამს.); „ზის და ჭაღარა თავი ურაცრაცებს“ (კ.გამს.); „და უფროჲსნი დღენი ვენაჴსა შრომასა შინა დაყვიან და ყოლადვე მამაჲ მათ თანავე იყვის“ (წმ.იოვ. და ექვთ. ცხ.); „ხოლო ყოველნი იგი ერთობით ჴმობდეს სახელსა და არარაჲ სარგებელ ეყო მას“ (წმ.ნინოს ცხ.).

მოვლენათა დაპირისპირება:

„ველარ მოვალთო, მაგრამ სახელი ხომ დარჩებაო“ (გ.ლეონ.); „ან საფლავს იპოვნის, ან თვითონ მიეწევა იმ მიცვალებულს“ (კ.ლორთ.); „ეგ კი მაეჭვებს, თუმცა თქვენ უკეთ მოგეხსებათ“ (ლ.გოთ.); „სულზე მივუსწარი,თორემ უეჭველად დაიხრჩობოდა ბავშვი“ (კ.გამს.); „ჩვენ დავბრუნდით, მაგრამ თქვენ უნდა აღსდგეთ“ (მ.ჯავ.); „მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თჯსა, ხო-

ლო შენ დევნი შემოიხუენ“ (შუშ. წამ.); „არა თქუენ გამომირჩიეთ მე, არამედ მე გამოგირჩიეთ თქუენ“ (გრ.ხანძ.ცხ.);

მოვლენათა თანამიმდევრობა:

„აჴანყებული გლეხები გაერეკათ და ახლა ეს ხალხი სამმართველოსაკენ მოდიოდა“ (ს.შანშ.); „ბედი აქვე გყოლია და ჩვენ კი გვიან მივხვდარვართ“ (თ.ბიბ.); „შესცივნოდა და საულვაშე სიგრძეზე ჩამოსველებოდა“ (რ.ინან.);“ხუთი მანეთი შემიგროვეთ და მერე ვილაპარაკოთ-მეთქი“(ჭ.ამირ.); „დაიბანე და მერე ვილაპარაკოთ“ (ნ.წულ.); „დავიწყოთ თავიდან და ყველაფერი გაირკვევა“ (რ.ჭეიშვ.); „წმინდა მამამან აზიარნა იგი წმიდათა საიდუმლოთა და ესრეთ მიიცვალნეს წინაშე ღმრთისა“ (წმ.იოვ. და ექვთ.ცხ.); „ამიერითგან აქა მელოდინ სიტყუაჲ ესე და თქვენ აწცა ისმინეთ“ (წმ.ნინოს ცხ.);

დასახელებული ტიპები თანწყობითი სტრუქტურის წინადადებისა პირობითი ჩანს. ხშირად გვხვდება ქართულში სხვა სტუქტურაც . მაგალითად: „შვილს ნუ მითამამებო და აკი სწორი გამოდგა“ (ი.ჩად.); „მე საკუთარი განცდებისადმი ძალმომრეობა ვერ გამომდის და ნაოჭებიც იმიტომ დამმჩნევია“ (გ.ლეონ.); „არ აქცევდა დათა ყურადღებას და ამაზე მთლად გადაირია ქალი“ (ჭ.ამირ.); „კარგს ვიტყვი და არც ეს სჯერათ“ (ნ.კეცხ.); „ამას წინათ ლუკაია ფოცხიშვილის ბიჭი შეიცხადეს და ამიტომ არ უნდა ვმღეროდე“ (ნ.დუმბ.); „თავის დღეში მაყრად არ ვყოფილვარ და ამ სიბერეში ამასაც მომასწარ“ (გ.ლეონ.); „რუს წყალი მომატებოდა და ამიტომ მხოლოდ გამბედავები თუ ახერხებდნენ გადახტომას“ (ლ.მრევლ.)

მაგალითად, მსგავსი ტიპის წინადადება „კვირტი სკდებოდა და ტოტი იმიტომ ირხეოდა“ ერთი შეხედვით გრამატიკულად და აზრობრივად ორი დამოუკიდებელი წინადადებისაგან შედგება: 1) კვირტი სკდებოდა; 2) ტოტი იმიტომ ირხეოდა. თუ მთლიან შინაარსს დავუკვირდებით, აშკარაა, რომ მეორე ნაწილი წინადადებისა მოკლებულია აზრობრივ დამოუკიდებლობას, არაა სინტაქსურად ისეთი ძალისა, როგორიც პირველი ნაწილი, რადგან პირველი წინადადების არსებობის გარეშე გაუგებარი რჩება მეორეს შინაარსობრივი დატვირთვა: იმიტომ ირხეოდა ტოტი, რომ კვირტი სკდებოდა. როგორც ჩანს, მსგავსი სტრუქტურისა და შინაარსის წინადადებები ძალიან იოლად გადაკეთდება რთულ ქვეწყობილ წინადადებად. ნათელია, რომ წინადადების ნაწილებს შორის ერთგვარად აზრობრივად დაქვემდებარებასთან გვაქვს საქმე.

ძველ ქართულშივე გვხვდება ასეთივე განსხვავებული ვითარება. კერძოდ, დასტურდება ისეთი ტიპის წინადადებები, რომელთა შემადგენელი ნაწილები არ არიან თანასწორნი ერთმანეთის მიმართ, ისინი არათანაბარუფლებიანი წინადადებებისგან არიან შემდგარნი: „არის ქალაქსა ამას შინა სამოსელი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტ‘სი და მით იქმნებიან სასწაულნი ესე და კურნებანი“ (წმ.ნინიოს ცხ.); „მოკუდა ბალააკ და მეფობდა მის წილ იობაბ“ (ბიბლ.).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ასეთი წყობის წინადადებებში პირველი შემადგენელი ნაწილი წინადადებისა უფრო და-

მოუკიდებელი, თავისთავადი ჩანს, ხოლო მომდევნო წინადადების გრამატიკული გაფორმება პირველ ნაწილზეა დამოკიდებული. ამიტომ პირველი წინადადების გარეშე მოკლებულია აზრობრივ დამოუკიდებლობასაც. მაგალითად, წინადადებაში „არის ქალაქსა ამას შინა სამოსელი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტ'სი და მით იქმნებიან სასწაულნი ესე და კურნებანი" სინტაქსურად დამოუკიდებელი გრამატიკული ფორმისა და აზრობრივი მნიშვნელობისაა პირველი ნაწილი: **არის ქალაქსა ამას შინა სამოსელი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტ☧ისი.** წინადადების მეორე ნაწილი **მით იქმნებიან სასწაულნი ესე და კურნებანი** კი მოკლებულია აზრობრივ დამოუკიდებლობას პირველი ნაწილის გარეშე. აშკარაა, რომ მისი მნიშვნელობა გაუგებარი რჩება წინადადების მთლიანი გააზრების გარეშე. მაშასადამე, ვერ ვიტყვით, რომ ასეთი წინადადების ნაწილები ყოველმხრივ თანასწორია. ასევეა წინადადებაში „მოკუდა ბალააკ და მეფობდა მის წილ იობაბ". აქაც ვერ ვიტყვით, რომ თანაბარუფლებიანი წინადადებებია. **მეფობდა მის წილ იობაბ** გამოიცნობა მხოლოდ წინამავალი წინადადების გათვალისწინებით — **მოკუდა ბალააკ.** რასაკვირველია, ძნელია ასეთი სტრუქტურის წინადადებები ჩაითვალოს და გაერთიანდეს რთულ თანწყობილ წინადადებებში. მსგავს შემთხვევებში თითქოს დაქვემდებარებაა; „ამით მოისპო ის თანასწორუფლებიანობა, რომელიც ამ ორ წინადადებას შორის შეიძლებოდა არსებულიყო" (კიზირია 1996: 19)

სათანადო ლიტერატურაში მითითებულია, რომ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გრამატიკულად ერთიმეორის მიმართ არათანაბარი, არათანასწორი წინადადებათაგან შედგენილი სტრუქტურა გვაქვს. ერთი გაბატონებულია, მეორე კი მასზეა დაქვემდებარებული. თითქოს ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული წყობაა პარატაქსსა და ჰიპოტაქსში, მაგრამ არის შემთხვევები, როცა მკვეთრი ზღვარის გავლება ზოგჯერ ძნელდება ხოლმე თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებებს შორის. მათ შორის არსებითი განსხვავება ზოგჯერ არც კი დასტურდება.

საკითხი ასე დაისმის: ასეთი წყობის წინადადებები რომელ ტიპში გავაერთიანოთ — პარატაქსში თუ ჰიპოტაქსში? საქმე ისაა, რომ ზემოთ დასახელებულ წინადადებებში მართალია არათანაბარუფლებიანი წინადადებებისაგან შემდგარი წყობაა, მაგრამ არც ისეთი სინტაქსური ძალის დაქვემდებარებასთან გვაქვს საქმე, როგორიც ჩვეულებრივ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გვხვდება ხოლმე. ქვეწყობაში ხომ მკვეთრად გამოხატული აზრობრივი და გრამატიკული დამოკიდებულებაა წინადადების ნაწილებს შორის. ჰიპოტაქსში ყოველთვის ერთი ნაწილია გაბატონებული, მეორე კი მასზეა დამოკიდებული. ჩვენ მიერ დასახელებულ წინადადებებში კი არაა ერთი გაბატონებული და მეორე დაქვემდებარებული ნაწილები. ჩვენს შემთხვევაში აზრობრივი დაქვემდებარებაა და არა გრამატიკული. ამიტომ მას ვერ გავაერთიანებთ ჰიპოტაქსში. მსგავსება ქვეწყობილ წინადადებასთან ისაა, რომ ჩვენ მიერ მოყვანილ მა-

გალითებში წინადადების ერთ-ერთი ნაწილი ერთგავარად დამატებით ინფორმაციას გვაწვდის, რომელიც ხსნის მთლიან აზრს წინადადებისა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ პარატაქსსა და ჰიპოტაქსს შორის ერთ-ერთი არსებითი სხვაობა დაკავშირების საშუალებებია. რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებს მაერთებელი კავშირები აერთებენ, რთული ქვეწყობილისას კი — მაქვემდებარებელი კავშირები(ძიძიგური 1989: 56-62) და მიმართებითი სიტყვები(წევრ-კავშირები). გვაქვს უკავშირო შეერთების შემთხვევებიც (კვაჭაძე 1996; ძიძიგური 1989). თუმცა ზემოთ მოყვანილ მაგალითებს თუ განვიხილავთ ამ თვალსაზრისით, აღმოჩნდება, რომ წინადადების სტრუქტურის სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანება. ხოლოდ კავშირის შეცვლაც კი ასეთ შემთხვევაში საკმარისი აღმოჩნდება იმისათვის, რომ ასეთი ტიპის თანწყობილი წინადადება ქვეწყობილი გახდეს. მაგალითად, წინადადება „ამას წინათ ლუკაია ფიცხიშვილის ბიჭი შეიცხადეს და ამიტომ არ უნდა ვმღეროდე“ უბრალოდ კავშირის შეცვლით წყობის შეუცვლელადაც კი გადაკეთდება რთულ ქვეწყობილ წინადადებად — **ამას წინათ ლუკაია ფიცხიშვილის ბიჭი შეიცხადეს, რის გამოც არ უნდა ვმღეროდე**. ან კიდევ, „არ აქცევდა დათა ყურადღებას და ამაზე სულ გადაირია ქალი“ ასე შეიცვლება: **არ აქცევდა დათა ყურადღებას, რის გამოც გადაირია ქალი.** ამას ხელს ისიც უწყობს, რომ ორივე ტიპის წინადადებაში დაქვემდებარების ელემენტები გვაქვს — ერთ-ერთ ნაწილში მოქმედების მიზეზია დასახელებული, მეორეში კი — შედეგი. ამიტომ ამ კუთხით მათ შორის არსებითი განსხვავება არც არის.

თუ დავაკვირდებით ჩვენს საანალიზო მასალაში შემავალ ზმნათა მწკრივთა საკითხს, აღმოჩნდება, რომ ამ მხრივაც მკვეთრი სხვაობა არ გვაქვს რთულ ქვეწყობილ წინადადებებთან. ორივეგან თითქმის მსგავსი ვითარებაა, მწკრივთა რა კომბინაციაც დასტურდება პარატაქსში, ასეთივე გვაქვს ჰიპოტაქსურ წყობაშიც (ჭიკაძე 1995: 27-56).

ჩვენი აზრით, ასეთი მსგავსება პარატაქსულ და ჰიპოტაქსურ წყობის წინადადებებს შორის ძირითადად ისეთ წინადადებებში გვხვდება, სადაც შინაარსობრივად მიზეზ-შედეგობრიობაა გამოხატული. წინადადებათა ნაწილების ერთიმეორეზე დამოკიდებულება და არათანაბარუფლებიანობა სწორედ იმით აიხსნება, რომ წინადადებაში ერთი მოქმედების მიზეზია ნაჩვენები, რომლის შედეგიც სხვა ნაწილშია გადმოცემული. ე.ი., მიზეზის გარეშე ამ ტიპის წინადადებებში მეორე ნაწილი არც იქნებოდა. ამიტომაცაა დამოუკიდებელ მნიშვნელობას მოკლებული და დაქვემდებარებაც სახეზეა.

ამასთან დაკავშირებით, ჟ. ფეიქრიშვილს აქვს ასეთი განმარტება: „რთული თანწყობილია წინადადება, რომელიც შედგება ერთმანეთის მიმართ გრამატიკულად თანასწორი წინადადებებისაგან ან ისეთი წინადადებებისაგან, რომელთაგან ერთი გულისხმობს მეორეს, მაგრამ ისე, რომ დაქვემდებარებას არა აქვს ადგილი“ (ფეიქრიშვილი 1996: 232).

ჩვენი აზრით, რაკი ზემოთ განხილულ წინადადებებში გრამატიკული დაქვემდებარება არაა, ამიტომ ასეთი ტიპი ვერ გაერთიანდება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. თუმცა არც თანწყობას ჰგავს თავისი სტრუქტურით. ვფიქრობთ, რომ მსგავსი გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ერთგვარი კორექტივის შეტანა რთული თანწყობილი წინადადების განსაზღვრებაში — **რთული თანწყობილია წინადადება, რომელიც შედგება ერთიმეორის მიმართ გრამატიკულად თანასწორ და არათანაბარუფლებიანი წინადადებებისაგან**. ასეთი განსაზღვრების შედეგად დასახელებული ტიპის წინადადებების გაერთიანება პარატაქსში ყოველგვარი ეჭვის გარეშე შესაძლებელი იქნება.

ლიტერატურა

დავითიანი 1973 — ა.დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

კვაჭაძე 1996 — ლ.კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

კიზირია 1969 — ა.კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბილისი.

ჭიკაძე 1995 — რ.ჭიკაძე, წინადადების პარატაქსული კონსტურქცია ქართულში, თბილისი.

ფეიქრიშვილი 1996 — ჟ.ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი.

ძიძიგური 1989 — შ.ძიძიგური, რთული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში“, თბილისი.

TEA BURTCHULADZE

Towards the Definition of a Compound Coordinate Sentence

S u m m a r y

In Georgian compound coordinate sentence of different structure and context often occur. Of them there are such kind of sentences which are difficult to be belonged to parataxic order due to inequality of constituent sentences, e. g.: a sentence "**ḳvirṭi sḳdeboda da ṭoṭi imiṭom irxeoda**", at one glance grammatically and meaningfully consists of two independent sentences: 1) **ḳvirṭi sḳdeboda**; 2) **ṭoṭi imiṭom irxeoda**. If we pay attention to whole context it is clear, that the second part of the sentence has no meaning independence. It has not of such syntactic power like the first one as without the existing of the first sentence it is misunderstanding the context of the second one: a branch was swaying because a bud was breaking. As it is clear the sentences of similar

structure and context can be easily changed into compound coordinate sentence. It is clear that there is meaning subordinating between the parts of a sentence.

As there is no grammatical subordination in similar sentences, thus such type can not be a compound coordinate sentence, though there is no coordination according to its structure. I believe that to avoid such uncertainty it is necessary to define a compound coordinate sentence – **a compound coordinate sentence**, **that consists of the sentences which are grammatically equal and have no equal rights**. After such definition the sentenced of mentioned type will be possible to unite in parataxis.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXXIX

2011

ელისაბედ გაზდელიანი

ნათესაობითი ბრუნვის ალომორფთა განაწილებისათვის ხმოვანფუძიან სახელებთან სვანურის ბალსქვემოურ და ლენტეხურ დიალექტებში

სვანურ სახელთა ბრუნების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხმოვანფუძიან სახელებთან ნათესაობითი ბრუნვის ალომორფთა მრავალფეროვნება, რაც შეპირობებულია ნათესაობითი ბრუნვის -**ი**შ ამოსავალი ფორმის (როგორც ამას ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი ვარაუდობს) შეხვედრით ფუძის აუსლაუტის სხვადასხვა ხმოვანთან. მორფემათა მიჯნაზე (ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი + ნათესაობითი ბრუნვის -**ი**შ ნიშანი) მიმდინარე ფონეტიკური პროცესების შედეგად მივიღეთ ნათესაობითი ბრუნვის განსხვავებული ალომორფები.

ბრუნვის ნიშნისეული თანხმოვანი ყველა დიალექტში არის -**შ**, რომელიც ატრიბუტულ მსაზღვრელ საზღვრულთან, ბალსქვემოური დიალექტის გარდა, ყველგან იკარგება (თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია ბალსქვემოურში ამ პოზიციაში -**შ**'ს დაკარგვის შემთხვევები (შარაძენიძე 1958: 230; ჩანტლაძე 1998: 25). სახელის ცალკე ბრუნებისას ის ყოველთვის სახეზეა. -**შ**'ს წინა ხმოვანი შეიძლება იყოს -**ა, -ე, -ი, -ო, -უ** და -**ჲ** (ეს უკანასკნელი -**ი**'საგანაა მიღებული). ხმოვნები დიალექტების მიხედვით გვაქვს: გრძელი, უმლაუტიანი, უუმლაუტო და უმლაუტიანი გრძელი.

გრძელხმოვნიან დიალექტებში — ბალსზემოურსა და ლაშხურში, ხმოვანფუძიან სახელებთან, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის დართვისას, მორფემათა მიჯნაზე მიმდინარე ფონეტიკური პროცესები, გამოვლენილი ნათესაობითი ბრუნვის ალომორფთა შედგენილობა და მათი განაწილება ხმოვანფუძიანი სახეობის მიხედვით, რამდენადმე შესწავლილი და გარკვეულია.

ამჟამად შევეცდებით წარმოვადგინოთ ნათესაობითი ბრუნვის ალომორფთა განაწილება უგრძელხმოვნო, ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში.

ვ. თოფურიამ სვანურისათვის იმის გათვალისწინებით, სახელებს ბოლო დახურულ მარცვალში უმლაუტი აქვთ თუ არა, დაადგინა მეტად მნიშვნელო-

ვანი წესი: „თუ სახელის ბოლო დახურულ მარცვალში ხმოვანი უმლაუტიანია, მას ნათესაობით ბრუნვაში **-ი̈შ** ფორმანტი გაუჩნდება, თუ უუმლაუტო მაშინ **-ა̈შ** (თოფურია 2002: 10). იქვე განაგრძობს ავტორი „თუ ნათესაობით ბრუნვაში **-ი̈შ** დაბოლოება გაქვთ, მაშინ სახელობითში **-ი** უნდა აღვადგინოთ, ხოლო თუ **-ა̈შ** მაშინ **-ა**. პირველ შემთხვევაში უმლაუტს ექნება ადგილი, უკანასკნელში — არა“ (თოფურია 2002: 16).

როგორც ცნობილია, **-ა̈შ** უმლაუტიანი ალომორფი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად ყველა დიალექტში დასტურდება, გარდა ლაშხურისა, სადაც უმლაუტიანი ხმოვნები დღეს არ არის. ზემოსვანური და ლენტეხური დიალექტების **-ა̈შ**'ს ენაცვლება **-აშ**, ხოლო ბალსზემოურის **-ჳშ**'ს **-ჲშ** ან **-ეშ** ალომორფები.

ბალქვემოურსა და ლენტეხურში **-ა̈შ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი უნდა იყოს იმ სახელებთან, რომლებიც ისტორიულად ან დღეს **-ა** ხმოვანზე ბოლოვდებიან. **-ა̈შ** ალომორფი მიღებულია სახელის ბოლო **-ა** ხმოვანს + **-ი̈შ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი (***ა+ი̈შ** > ***ა̈ჲშ** > **ა̈შ**). ბრუნვის ნიშნისეულმა **-ი**'მ ბალსქვემოურში კვალი დატოვა უმლაუტის სახით და დაიკარგა, ხოლო ლენტეხურში, წინამავალი სახელის ბოლო **-ა** ხმოვანი უმლაუტიანი გახდა **ი** კი **ჲ**'ტად იქცა. ლენტეხურში **-ა̈ჲშ** საფეხური დღესაც დაცულია. ლენტეხური დიალექტი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, სხვა დიალექტებთან შედარებით ხასიათდება რედუქციის სისუსტით. ეს თავისებურება განაპირობებს ამ დიალექტში ამოსავალი ფორმების დაცვას. მაგ., ბქ. **დინ-ა̈შ** — შდრ. ლენტეხური **დენჲ-ჲშ** „გოგოსი“, ბქ. **ბუბ-ა̈შ** — ლნტ. **ბუბჲ-ჲშ** „ბიძის“, ბქ. **თანაფ-ა̈შ** — ლნტ. **თალაფჲ-ჲშ** „წამწამის“. საყურადღებოა, რომ ზოგ ტოპონიმში **-ა̈ჲშ** ფორმა ნათ. ბრუნვაში ბალქვემოურშიც დაცულია, მაგ., ხან **ხჲაჲშდ** გვხვდება, ხან **ხჲიშდ** ფორმით, **კურხუჲაჲშ** (სოფელია ჩუბეხევში).

ამრიგად, ბალსქვემოურში **-ა**'ზე დაბოლოებული სახელები უმეტესწილად, კილოკავების მიხედვით, ნათესაობით ბრუნვაში **-ა̈შ** უმლაუტიან ალომორფს გამოავლენენ.

მაგ.: **ყორ-ლაჳვრ-ა̈შ** მასალას იმაჯეხ (ბქ.ქრ. 196. ჭუბ.) „კარ-ფანჯრის მასალას ეზიდებიან“. გეზლაშ **მა̈შედ-ა̈შ** ქა ლითნე (ბქ. 242, 35 ჩუბეხ.) „შვილის შეძლების გამოჩენა“; **დადა̈შ** ლადეღ სოსლანს (ბქ. 170, 5 ეცერ.) „ბებიის დღე სოსლანს“ (დალოცვაა); **ძულვ-ა̈შ** ნაყვილ ტომბს ათასდხ (ბქ. 217, 31, ფარ.) „ზღვის განაყოფ ტბას გადააწყდნენ“; **დინ-ა̈შ** დიდ ხაქვ (ბქ. 216, 34) „გოგოს დედამ უთხრა“; **ქვეყან-ა̈შ** ხოჩა მარე... (ბქ. 173, 15 ეცერ.) „ქვეყნის კარგი კაცი...“; **ლასკორ-ა̈შ** ნაბუ ლახემხ (ბქ. ქრ. 177) „ფიქრის (დაფიქრების) ნება მომეცითო“; **ჯიჭრ-ა̈შ**... ფიცრიშ ლასვ (ბქ. ქრ. 203, 8 ჭუბ.) „მუხის ფიცრის იყო“; **მალაზ-ა̈შ** სვეტარდ იჴმარიხ ... ჯიჭრას (ბქ. ქრ. 202) „ნალიის სვეტებად ხმარობენ მუხას“; **ლაყვრ-ა̈შ** ლერქვაჲრ (ბქ. 233, 5

ჩუბეხ.) „საწოლის საგებელი (ტანსაცმელები)“; **ნ̆ათხვრ-ა̆შ** ჩიჩა̆ხვ... (ბქ. 211, 32 ფარ.) „ნანადირევის ჩიჩახვი (გულ-ღვიძლი)“; ალი **პაპ-ა̆შ** ხეხვ ლი (ბქ. 200, 19 ფარ.) „ეს მღვდლის ცოლია“; **დინ-ა̆შ** ხოშა ვიდილს (ბქ. ქრ. 220, 11 ჯორკვა̆რ) „გოგოს უფროს დას“.

-ა̆შ ნათესაობითი ბრუნვის ალომორფში უმლაუტიანი **-ა̆** სახელის ფუძის ბოლოკიდური ხმოვანია, რომლის უმლაუტი **-ი̆შ** მორფემის **-ი** ხმოვანმა გამოიწვია **-ი̆**’მ კვალი დატოვა უმლაუტის სახით და თვითონ დაიკარგა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ბალქვემოური დიალექტის ცხუმარული კილოკავისათვის შენიშნულია, რომ **-ა̆**’ზე დაბოლოებულ სახელებთან **-აშ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ხშირად უმლაუტის გარეშე გვხვდება. წესით ამ პოზიციაში **-აშ** ნათ. ბრუნვის ნიშანს უმლაუტი უნდა ჰქონდეს.

ა’ზე დაბოლოებული სახელები.: **დინ-აშ** დიეში მუეშ (ბქ. ქრ. 178, მაზერ.) „გოგოს დედის და მამის“; მიჩა **ბაბ-აშ** ნარგად... (ბქ. 110, 28 ტვიბ.) „თავისი (მისი) პაპის ნათქვამი“; ჩვაჩად **ძულვ-აშ** პილთე (ბქ. 10, 29) „ჩავიდა ზღვის ნაპირზე“; მიშგვა **ბუბ-აშ** გეზალ (ბქ. ქრ. 195, თავრარი) „ჩემი ბიძის შვილი“; **ბუ-აშ** ლადეღ ეჯქამ (ბქ. 102, 37 ტვიბ.) „მამის დღე შეგემატოს“; **ნ̆ათხვრ-აშ** ლაღვ გარ ხამნა (ბქ. 101, 29 ტვიბერ) „მხოლოდ ნანადირევის ხორცს აჭმევდა“; **ნ̆ათხვრ-აშ** ყვიჟე (ბქ. 104, 30 ტვიბ.) „ნანადირევის ღვიძლი“; ალ... **ლარდ-აშ** ბალკონჟი (ბქ. 108, 10 ტვიბ.) „ამ სამყოფის (სახლის) აივანზე“; ხეჰვდალხ... **ლახვბ-აშ** გვეშს (ბქ. 82, 35, სვიფ.) „ეკითხებიან ძმების საქმეს“; **კოლმეურნეობ-აშ** გამგეობად (ბქ. 17, 3, დოლ.) „კოლმეურნეობის გამგეობამ“. აქ ჩამოთვლილი უუმლაუტო ფორმები ცხუმარულ კილოკავს მიეკუთვნება.

ასევეა ბეჩოურ კილოკავში: **დინ-აშ** ჭა̆შ (ბეჩ.) „გოგოს ქმარი“; **წიფრ-აშ** ეშხუ ბალე (ბქ. ქრ. 226, 2 ბეჩ.) „წიფლის ერთი ფოთოლი“, **დოლრ-აშ** ძალოშ (დოლრა მდინარეა) (ბქ. 2, 15 ბეჩ.) „დოლრას ძალით“; **ქორისგ-აშ** მარემ (ბქ. 7, 28; მაზერ) „სახლის (ოჯახის კაცის)“; **ლაყვრ-აშ** ი **ლა̆გნ-აშ** ლერექვ ჯვინალდ“ (ბქ. 5, 1 ბეჩ.) „ᴦდაᴗსაწოლის და დასადგომის (ტანსაცმელი) სამოსი (ტანსაცმელი) ძველად“; **კანდ-აშ** ლადეღი სგვებნე ლეთ (ბქ. 6, 14 ბეჩ.) „კალანდის დღის წინა ღამე“; **უცხრ-აშ** ზგსყი ფაუ... (ბქ. 6, 14, დოლ.) „მსხლის ნედლი ჯოხი“; ბაბა **დუდ-აშ** მგკთა̆რ (ბქ. 18, 9 უშხვანა̆რ) „ბაბუა დუდას მოკეთეები“; ჰგშხა̆რ **ძულვ-აშ** აშხვ ძგიდჟი ხაგნენა... (ბქ. 26, 29, მაზერ) „ფეხები ზღვის ერთ ნაპირზე (ძგიდეზე) ედგა თურმე“.

ა ბოლოხმოვნიან სახელებთან ნათესაობით ბრუნვაში უმლაუტის უქონლობა შენიშნული აქვს ა. შანიძეს და მას სპეციფიკურ მოვლენად მიიჩნევს.

თ. შარაძენიძე სტატიაში „სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი“ წერს: „-**ა** ხმოვნით დაბოლოებულ სახელებთან ნათესაობით ბრუნვაში **-აშ** უუმლაუტოდ გვაქვს, თანხმოვანფუძიანებთან **-ა̆შ** უმლაუტიანია. დღევანდელი ცხუმარულის მიხედვით ამ სხვაობას ვერ ავხსნით,

მაგრამ ბალსზემოურ დიალექტს თუ შევუდარებთ, **ა** ხმოვნით დაბოლოებულ სახელებთან ნათ. ბრუნვაში გრძელი უმლაუტიანი -**ჱ** გვაქვს. ავტორი სახელის ბოლო **ა** ხმოვნის მომდევნოდ ნათ. ბრუნვის მორფემად -**ჱშ**'ს მიიჩნევს და სიგრძეს ამ პოზიციაში -**ა+ჱშ** შერწყმით ხსნის (შარაძენიძე 1958). დღეისათვის ცნობილია, რომ ბალსზემოურის ნათესაობით ბრუნვაში გრძელ, უმლაუტიან -**ჱ**'ს ვიღებთ, სახელის ბოლო -**ა** ხმოვანს + -**ი**შ ნათ. ბრუნვის მორფემა, რომლის **ი** აუმლაუტებს და აგრძელებს (შეერწყმის) წინამავალ **ა** ხმოვანს ე. ი. -**ა + -ი**შ **> ჱშ** (შდრ. ლნტ. **დენა** ნათ. **დენჱ-ჲშ** „გოგოსი" (სიგრძე ბალსქვემოურ და ლენტეხურ დიალექტებში არ გვაქვს); **ჲ** მორფემათა ზღვარზე მიღებულია -**ი**შ ნათ. ბრუნვის **ი** ხმოვნისაგან.

უმლაუტის შერყევას ცხუმარულში სხვა შემთხვევებშიც აქვს ადგილი, განაგრძობს თ. შანაძენიძე, რაც ენათა შერევის შედეგად, საარტიკულაციო ბაზისის შერყევით უნდა აიხსნას (ქართულისა და მეგრულის გავლენით). გამოდის, რომ წარმოშობით გრძელი -**ჱ** ცხუმარულში უმლაუტს კარგავს, ხოლო მოკლე უმლაუტს ინარჩუნებს (შარაძენიძე 1958: 232).

დასახელებულ ფორმებში ბალსზემოურში პოზიციური სიგრძე გვაქვს ე. ი. **ა+ი > ჱ**, რამდენად სწორია მას წარმოშობით გრძელი ხმოვნები ვუწოდოთ? შეიძლება ითქვას, რომ ბალსზემოურში პოზიციით შეპირობებული (სახელის ბოლოკიდურ **ა** ხმოვანს + ნათ. ბრუნვის -**ი**შ ნიშანი) გრძელი ხმოვნები ბალსქვემოურის ცხუმარულ და ბეჩოურ კილოკავებში უმლაუტს არ ემორჩილება.

ერთი კი სათქმელია, იმ კილოკავებში არ გვაქვს უმლაუტი, რომლებიც ტერიტორიულად, შედარებით სხვა კილოკავებისაგან, ახლოს არიან ბალსზემოურთან. ეცერულში, ლახამულურსა და ჩუბეხეურში ამ პოზიციაში უმლაუტი ჩვეულებრივ დასტურდება.

ორიოდე სახელი ბალსქვემოური დიალექტის ნათესაობით ბრუნვაში -**ჴჲშ** დაბოლოებით შეგვხვდა, ისეთივე ფორმით, როგორიც **ა**'ზე დაბოლოებულ სახელებთან გვაქვს ლენტეხურში.

ამ რიგის სახელები ბალსქვემოურსა და ლენტეხურში -**ჱ**'ზე, ბალსზემოურში -**ჴჲ**'ზე და ლაშხურში -**ახ**'ზე ბოლოვდებიან. ლენტეხური და ბალქვემოური -**ჱ** უმლაუტიანი მიღებულია **ჲ**(<**ი**)'ის გავლენით, რომელიც ამ ორ დიალექტში დაკარგულია.

ბალსქვემოურის ჩუბეხეურ კილოკავში შეგვხვდა სახელი **დოლფანჱ** „ბერიკა, ყაენი". ალ მარად **დოლფანჱ** ხოჟხახ (ბქ. 233, 15) „ამ კაცს დოლფანა ჰქვია (ურქმევიათ)". იქვე, **დოლფანჱ-ჲშ** ხოლემ მგჩემს... (ბქ. 233, 21) „დოლფანას (ყაენის) ცუდის გამკეთებელს...". **კოკერჱ-ჲშ** დიჱრ ხაშხა (ბქ. ჩუბხ.) „ქვის (ფიქალი ქვის) კერიის პური ჰქვია" (შდრ. კო-კერა < კა-კერა). **ისმჱ** (საკუთარი სახელია), **ისმჱ-ჲშ** ლისგლდათ (ბქ. 251, 6) „ისმას (ისმაილის) სალდათობა".

ცხუმარული -**ჲ**’ზე დაბოლოებული სახელები ნათ. ბრუნვის ფორმებში ლახამულურისაგან განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს.

უმლაუტიანი -**ჲ**’ს არსებობა ამ რიგის სახელებში რედუცირებული **ჲ**’ს (<**ი**) გავლენის შედეგია, რომელიც დასტურდება ბალსზემოურ დიალექტში. მაგ., **ჰიმკჲჲ** „ჭინკა“, **დორჲჲ** „კოკა“, **ჯიბჲჲ** „ჯიბე“, **დაშნჲჲ** „დაშნა“ და სხვ.

ცხუმარულ კილოკავში ეს სახელები ნათესაობით ბრუნვაში **-ჲშ** ნათ. ბრუნვის ნიშანს გამოავლენენ. **დუმჲ** ნათ. **დუმ-ჲშ** „დუმის“, **დაშნჲ** ნათ. **დაშნ-ჲშ** „დაშნის“, **სჭინჲ** ნათ. **სჭინ-ჲშ** „ნათლიის“, **ფაშჲ** ნათ. **ფაშ-ჲშ** „ღიპიანის (ფაშიანი)“; **ჰალჲ** ნათ. **ჰალ-ჲშ** „მდინარის“; **კალთჲ** ნათ. **კალთ-ჲშ** „კალთის“.

ლახამულურში ამ სახელებთან -**იშ** (> -**ჲშ**) ნათ. ბრუნვის მორფემა გვექნება: **სჭინჲ-იშ**/-**ჲშ** „ნათლიის“; **დაშნჲ-იშ**/-**ჲშ** „დაშნის“; **ფაშჲ-იშ**/-**ჲშ** „ღიპიანის“ და სხვ.

ლენტეხურ დიალექტში -**ა** ხმოვანზე დაბოლოებული სახელები ნათესაობით ბრუნვაში -**ჲშ** (< **იშ**) ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს დაირთავენ, რომლის ხმოვანი წინამავალ, ფუძისეულ -**ა**’ს აუმლაუტებს და თვითონ **ჲ**’დ იქცევა. მაგ., **თეკრა** „ნეკერჩხალი“, ნათ. **თეკრა-ჲშ** „ნეკერჩხლის“; **ადრა** „იელი“, **ადრჲ-ჲშ** „იელის“; **ძუღუა** „ზღვა“, **ძუღუჲ-ჲშ** „ზღვის“; **უღუა** „უღლის“, **უღუჲ-ჲშ** „უღლის“; **დადა** „ბებია“, **დადჲ-ჲშ** „ბებიის“; **ბაბა** „ბაბუა“, **ბაბჲ-ჲშ** „ბაბუის“...

ატრიბუტულ მსაზღვრელ-საზღვრულთან, ბალსქვემოურისაგან განსხვავებით, ლენტეხურში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული თანხმოვანი ყოველთვის იკარგება, -**ჲ** (<**ი**) კი რჩება.

კადჲ-ჲ ლადარეჟი (ლნტ. ქრ. 342) „ნაჯახის ტარზე“; **მანქანჲ-ჲ** შუკუ (ლნტ.) „მანქანის გზა“; **თელეღრჲ-ჲ** ჯიბჲჲსა (ლნტ. ქრ. 311) „რძლის ჯიბეში“, **ფედიჲ-ჲ** ლარჲლს აჭემეხ (ლნტ. ქრ. 297) „ახლო (ახლოის) სათიბებს თიბავენ“; ჟახახვიდახ **დენჲ-ჲ** ჯიბჲჲსა (ლნტ. ქრ. 313) „იპოვეს გოგოს ჯიბეში“ დეცე **ლაჰვრჲ-ჲ** ლიკჲრე (ლნტ. 75, 29) „ცის სარკმლის გაღება“.

ბალსქვემოურში -**ე**’ზე დაბოლოებული სახელები ნათ. ბრუნვაში -**ეშ** ალომორფს გამოავლენენ, სადაც -**ე** სახელის ფუძის ან კონფიქსის შემადგენელი სუფიქსია. **ე**’ზე დაბოლოებულ სახელებსაც -**იშ** ნათ. ბრუნვის მორფემა დაერთვოდა, რომლის **ი**’ხმოვანი ბალსქვემოურში უკვალოდ იკარგება, ე. ი. ფუძის ბოლო **-ე** ხმოვანზე გავლენას ვერ ახდენს. ბალსზემოურში და ლაშხურში ერწყმის ფუძის -**ე** ხმოვანს და აგრძელებს მას. მაგ., ბზ., ლშხ. **თხერე** „მგელი“, **თხერ-ეშ** „მგლის“; **დერე** „მყინვარი“, **დერ-ეშ** „მყინვარის“; **მერე** „ღრუბელი“, **მერ-ეშ** „ღრუბლის“ და ა. შ. ლენტეხურში მორფემათა მიჯნაზე -**იშ** ბრუნვის ნიშნისეული -**ი**, **ჲ**’ტად იქცევა და გვექნება ნათ. ბრუნვაში: **თხერე-ჲშ** „მგლის“, **მერე-ჲშ** „ღრუბლის“, **დერე-ჲშ** „მყინვარის“; **ფხულე-**

ჲშ „თითის“; **პალე-ჲშ** „ფოთლის“; **ლგგრე-ჲშ** „კვერცხის“.

მაგალითები ბალსქვემოური დიალექტის ტექსტებიდან: **ქრისდ-ეშ** ლაჳგრალ (ბქ. ჩუბ. 260, 3) „ქრისტეს სავედრებელი“; **ხელწიფხ-ეშ** გეზალ ლი (ბქ. ქრ. 221, 25) „ხელმწიფის შვილია“; საჩქვარი ლახემ დადას **ხელწიფხ-ეშ** ხეხვდ (ბქ. 11) „საჩუქარიც მისცა ბებიას ხელმწიფის ცოლმა“; **ჟიბავიშთ-ეშ** (ჟიბავიშ-თეჲშ) ხოჩამდ ლგკლავე თერა (ბქ. 230, 22, ჩუბხ.) „ზემოთკენის (ზემოთა) კარგად გალეწილი ჩანს“. **ათხ-ეშ** მარა შდრ. (ათხე-იშ) ახლანდელ⌜ის⌝ კაცს; **მეფ-ეშ** მუს ხარდენა ვეზირ (ბქ. ქრ. 222) „მეფის მამას ჰყოლია ვეზირი“; **ეჩაბუასდთ-ეშ** ლერქვე ლიშხბიელის ხარხ (ბქ. ქრ. 181) „საიქიოს(ში) ჩასაცმელის ⌜შე⌝კერვას შეუდგებიან“; **ალექსანდრ-ეშ** მუხვბე (ბქ. 83: სვიფ.) „ალექსანდრეს ძმა“; **კუირიკ-ეშ** იცხ (ბქ. ქრ. 221) „კვირიკეს მსხალი (კვირიკობის მსხალი)“; **სეითბ-ეშ** ქორთეჲსგა ოდვირ (ბქ. ქრ. 202, 7) „სეითბეს სახლში შევედი“; მიჩა **დედ-ეშ** რაშს (ბქ. 216, 36, ფარ.) „მისი დედის რაშს“; **თხერ-ეშ** ლიშგებ სოფელთეისგა (ბქ. ქრ. 196, 16) „მგლის შემოვარდნა სოფელში“; **ლისგვრ-ეშ** (ბქ. ქრ. 194) „ჯდომის (კვირის ბოლო სამი დღის სახელი)“.

ლენტეხური დიალექტი: **ეჩე-ჲ⌜შ⌝** ხოჩა ჲმე, **ჲმე-ჲ** ხოლა ეშჩე (ლნტ 170, 10) „იქაური (იქის) კარგი აქ, აქაური (აქის) ცუდი იქ“; **ლიმოლე-ჲ** საბუთ (ლნტ. 14, 30) „ახოს გაკაფვის საბუთი“; **ფურნე-ჲ** დიჲრს ლგმაკედლი (ლნტ. ქრ. 312) „ფურნის პურს იღებდა თურმე“; **ხელწიფე-ჲ** გეზალ ლი (ლნტ. 245) „ხელმწიფის შვილია“. **ქრისტე-ჲ** ჭიშხე ნაგამ (ლნტ.) „ქრისტეს ფეხის ნადგმი“; **ლიმჲრიე-ჲ** თუეუნღო (ლნტ. ქრ. 302) „მარიამობის თვის შემდეგ“.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მთელ სვანურში ნათესაობითში **-ეშ** ბრუნვის ნიშანს დაირთავს **დი** „დედა“ და **მუ** „მამა“ სახელები **დი-ეშ** „დედის“, **მუ-ეშ** „მამის“. შეიძლება იშვიათად შეგვხვდეს **-ჲშ** ნიშნითაც. **დი-ჲშ** ი **ბუ-ჲშ** მუქვისგ (ბქ.) „დედის და მამის მთქმელი“.

დადასტურდა ტექსტებში ნათ. ბრუნვაში **მუ** „მამა“ სახელის ფუძისეული ხმოვნის რედუქციის შემთხვევები: ღგრი ესერ ათხე მიჩო **მეშთე** (<**მუ-ეშ-თე**) ბქ. ქრ. 231, 20) „წავალ ახლა მამაჩემთანო“. იქვე: სევდ ესერ ხარ მიჩო **მეშ** (მუ-ეშ) (ბქ. ქრ. 231) „სევდა მაქვს (მენატრება მამაჩემიო) მამაჩემისო“.

-ეშ ალომორფს გამოავლენენ ნათესაობით ბრუნვაში **-ო**’ზე დაბოლოებული სახელები ბალქვემოურის უმეტეს კილოკავებში.

მაშასადამე ცნობილია, რომ **-ო**’ზე დაბოლოებული საზოგადო სახელები ძალიან ცოტაა სვანურში. ზოგ მათგანს ფუძის ბოლოკიდური **-ო** ხმოვანი დაკარგული აქვთ და თანხმოვანფუძიან სახელებად არიან ქცეული. მაგ., ქართ., სვან. **ჲზუ / ეზუ** „ეზო“**; ჩჲუ** „ჩეო“; **ეჩუ** „ეჩო“; **ოქრ/ოქვრ** „ოქრო“, „ქალო“ სვან. **კჲლუ** და სხვა.

ე. ი. ბალსქვემოური დიალექტის რიგ კილოკავებში **ო**’ზე დაბოლოე-

ბული ზოგი საზოგადო და საკუთარი სახელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნათესაობით ბრუნვაში უმლაუტდება და -**ეშ** ნათ. ბრუნვის ალომორფს გამოავლენს. მაგ. **საბჭო *საბჭო+იშ > საბჭუ-ეშ** „საბჭოსი“; სასადილო ***სასადილო+იშ > სასადილუ-ეშ** „სასადილოსი“, **საქართველო<*საქართველო+იშ** ნათ. **საქართუელუ-ეშ**; **აბანო** ნათ. ***აბანო+იშ > აბანუ-ეშ** „აბანოსი“. საკუთარი სახელები: კაკო — ნათ. **კაკუ-ეშ** „კაკოსი“, გვედო — ნათ. **გვედუ-ეშ** „გვედოსი“, ჯოტო — ნათ. **ჯოტუ-ეშ** „ჯოტოსი“, ანდრო — ნათ. **ანდრუ-ეშ** „ანდროსი“, სეფო — ნათ. **სეფუ-ეშ** „სეფოსი“... ე. ი. ბალსქვემოური დიალექტის ზოგ კილოკავებში სახელის ფუძის ბოლოკიდური **-ო** ხმოვანი ნათ. ბრუნვის **-იშ** მორფემის **-ი** ხმოვნის გავლენით უმლაუტდება, წარმოიქმნება **-უე** კომპლექსი, ისე როგორც ეს ხდება ბალსზემოურ დიალექტის ნათ. ბრუნვაში, სადაც გარდა უმლაუტისა **-იშ**'ის **ი** შეერწყმის ნაუმლაუტარი **-უე** კომპლექსის **-ე**'ს და აგრძელებს მას, ვიღებთ **-ēშ** გრძელხმოვნიან ნათ. ბრუნვის ალომორფს. ბალსქვემოურში (**-ი** < **იშ**) აუმლაუტებს აუსლაუტის **ო**'ს, თვითონ იკარგება და ნათესაობით ბრუნვაში გამოავლენს **-ეშ** ბრუნვის ნიშანს, სადაც **-ე** ფუძის ბოლო **-ო** ხმოვნის ნაუმლაუტარი **უე** კომპლექსისეულია.

გამონაკლისია ცხუმარული და ბეჩოური კილოკავები, სადაც სახელის ფუძის ბოლო **-ო** ხმოვანი ნათ. ბრუნვაში უმლაუტს არ ემორჩილება და გვაქვს: **აბანო-შ** „აბანოსი“, **სასადილო-შ** „სასადილოსი“, **საბჭო-შ** „საბჭოსი“, **გვედო-შ** „გვედოსი“, **ბესო-შ** „ბესოსი“, **სეფო-შ** „სეფოსი“, **გიგო-შ** „გიგოსი“ და სხვ. **-იშ** ნათ. ბრუნვის ნიშნისეული **-ი** უკვალოდ იკარგება.

საინტერესო ფორმებით შეგვხვდა ქართულიდან შესული სახელი **სასტუმრო**, სოფელ ჩვაბეიფარში (ქვემო იფარში) ჩაწერილ ტექსტში: **სასტუმვრ-ეშ** გამგე „სასტუმროს გამგე“, იქვე: **სასტუმვრეშ** გამგედ „სასტუმროს გამგემ“, **სასტუმრეშ** გამგეს (ბქ. ქრ. 231) „სასტუმროს გამგეს“. პირველ ორ შემთხვევაში ნაუმლაუტარი **ვ** გადასულია ფუძეში, ხოლო მესამე შემთხვევაში საერთოდ დაკარგულია.

სახელის ბოლო **-ო** ხმოვანი ნათ. ბრუნვაში არც ლენტეხურ კილოში ემორჩილება უმლაუტს. გვაქვს: **აბანო-ჲშ** „აბანოსი“, **საბჭო-ჲშ** „საბჭოსი“, **სეფო-ჲშ** „სეფოსი“, **გიგო-ჲშ** „გიგოსი“; **ნასო-ჲშ** „ნასოსი“, **სასო-ჲშ** „სასოსი“; **ჰონტო** „ვარიკა“ — ნათ. **ჰონტო-ჲშ** „ვარიკის“, **ჰყერო** „მესერი“ — ნათ. **ჰყერო-ჲშ** „მესრის“ და სხვა. **ო**'ს მომდევნოდ **-იშ** ნათ. ბრუნვის ნიშნისეული **-ი ჲ**'დ არის ქცეული.

ბალსქვემოური დიალექტის **-ე** ბოლოხმოვნიან სახელებთან ნათ. ბრუნვაში ხშირად დასტურდება **-ემ** მორფემა, რომელიც მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია. ე. ი. მოთხრობითის (ერგატივის) ფუძეზე დამყარებულ ნათესაობითში უმეტესად **-იშ** ნათ. ბრუნვის ნიშანი დაკარგულია. ბალსქვემოურში ძირითადად მხოლოდ **-ემ** ერგატივის მორფემა გვაქვს, რომელიც ნათ. ბრუნვას

გამოხატავს. ნათესაობითის და მოთხრობითის (ერგატივის) ფორმები ერთმანეთს ემთხვევა. მათი გარჩევა კონტექსტით ხერხდება.

მაგ.: ეშხუ საღათ **ლისკორ-ემ** ნაბ (ბქ. 15, 150, 25) „ერთი საათი ფიქრის ნება“; მაჰრენ **მუხუბ-ემ** ნაბაარწყ (ბქ. ჩუბხ. 240, 30) „უმცროსი ძმის ნაყარი (მონაგარი)“; ოთჩად **ნესყ-ემ** ბოგქა (ბქ. 271, 30) „გაექცა ნემსის (ბეწვის) ხიდზე“; მეშხა **ლარ-ემ** თხუმ იზგა (ბქ. 271, 37) „შავი მინდვრის თავში ცხოვრობდა“; ათასდახ ეჯდაარ **ლგჯ-ემ** ტომბს (ბქ. ქრ. 212) „წააწყდნენ ისინი რძის ტბას“; მეშგ **ქვინლგმგენ-ემ** ლარდა (ბქ. 247, 13) „მეწველი სულდგმულის (საქონლის) სადგომი“, **ფხულ-ემ** ნანასგლი ვორემ სტრურაარ (ბქ. 247, 17) „თითის სისქის მიწის მილები (სტვირები)“; **მარ-ემ** ლითხელი ოხბინა (ბქ. 248, 3) „კაცის (ადამიანის) ძებნა დაუწყია“; ქაჩადხ **მარ-ემ** ქორთე (ბქ. 248, 12) „გავიდნენ... კაცის სახლში (სახლისკენ)“; **მეზგ-ემ** ქუნჟი... (ბქ. 232, 14) „ოჯახის სულზე“; ლევანს ნოდაარ ხაწა **მეჭმ-ემ** (ბქ. 201, 17) „ლევანს ნადები (ნადი) ეხმარება მთიბავების (მთიბავის)“; ხახვდ **ლიღვნ-ემ** ვაარია ხაქვე (ბქ. 214, 2) „ცოლად გაყოლის (შეფიცვის) უარი უთხრა“.

ორიოდე შემთხვევა დადასტურდა ერგატივზე დამყარებული ნათესაობითის სრული ფორმისა ბალსქვემოურში: ერთგვილ **მარ-ემიშ** (< **მარ-ემ-იშ**) ბედჟი (ბქ. 175, 13) „ერთგული ადამიანის ბედზე“; **ლიჭმ-ემიშ** (**ლიჭმ-ემ-იშ**) დოგოვორ ჩოთიჲრედ (ბქ. 17, 18) „⌜მო⌝თიბვის ხელშეკრულება დავწეროთ“.

-**ი**’ზე დაბოლოებული სახელები მთელს ბალსქვემოურში დაირთავენ -**აშ** ალომორფს: **გვამი-აშ** ლიისგ (ბქ. 277, 32) „მძიმის წაღება“; **თანღი-აშ** ხანსარჟი ლაჲშვემხ (ბქ. 275, 32) „უღელტეხილის მყინვარზე შეისვენეს“; ჯაშიდხუ **დალი-აშ** ი **შვანი-აშ** ლამზგრ (ბქ.) „გშველოდეთ დალის სვანეთის სალოცავები“; ლამშაი **ადგი-აშ** (შდრ. ადგი) (ბქ. ჭუბ. 225, 7) „სამუშაო ადგილის...“; **კული-აშ** ჩუ ლიღფი ხემთქუნხ (ბქ. 307, 16) „შალის შეღებვა იცოდნენ“; **ნარჰი-აშ** ლაჯადდ (ბქ. ქრ. 196) „სინათლის შემოსასვლელად“; **ლაჯმი-აშ** ყორდ ოთშკადახ (ბქ. ქრ. 191) „ეკლესიის კარზე (კარად) მიუჭედიათ“; **ლიზი-აშ** ვარ ხაქვ (ბქ. ჩუბ. 244, 28) „წასვლის უარი უთხრა“; **ლგბრისდი-აშ** დი ი მუ (ბქ. ქრ. 179) „მონათლულის დედა და მამა“; **ლაჯვმი-აშ** ნაფდიათეჲ (ბქ. 180, 5) „ეკლესიის სიახლოვესაც...“; **ლაკცური-აშ** ძირისგა არიხ (206, ბქ. 1) „საჯიხვის ძირას (ძირში) არიან“; მიჩა **მგღლატი-აშ** ჰერ (ბქ. ჩუბხ. 270, 10) „მისი მოღალატის ხმა“; ვედხენ **ტყვი-აშ** მადან ესღენახ (ბქ. ლახ. 283, 29) „ვედიდან ტყვიის მადანი მიჰქონდათ თურმე“; **ლეჭშგრი-აშ** ნათიარცახან (ბქ. ქრ. 175) „საქმროს ნათესავებთან ერთად (შდრ. ლე-ჭშგრ-ი); მახიადს ხაყლეხ ნაღვჟურიშ **ლითვენი-აშ** (ბქ.) „ულოცავენ (სიხარულს ეუბნებიან) ვაჟის დაბადების“.

ზოგი რესპოდენტი არ გამორიცხავს ცხუმარულში -ი’ზე დაბოლოებულ

სახელებთან ნათესაობით ბრუნვაში, ზემოთჩამოთვლილი ფორმების პარალელურად, იშვიათად შეგვხვდეს შემდეგი ფორმებიც: **ში-მ-იშ**< ***ში-ემ-იშ || ში-ჲშ** „ხელის“; **ტყუჲ-მ-იშ** <***ტყუჩი-ემ-იშ** „ტყვიის“; **მუშგურჲ-ჲშ || მუშგურ-ემ-იშ** „სტუმრის“, შდრ. **მუშგური** „სტუმარი“; **მეჩჲ-ჲშ** „მოხუცის“ შდრ. **მეჩი** „მოხუცი“; **პჲპჲ-ჲშ** „ნათლიის“, შდრ**.** **პჲპი** „ნათლია“; **დჲ-ემ || დჲ-ემ-იშ** „დედის“, შდრ. **დი** „დედა“; **გუჲმჲ-ჲშ** „მძიმის“ შდრ. **გუჲმი** „მძიმე“; **ცხუი-მ-იშ || ცხუჲ-ემ-იშ || ცხუი-მ-ი** „ისრის“, შდრ. **ცხუი** „ისარი“; **წგრნჲ-ჲშ || წგრნ-იშ || წგრნ-ემ-იშ** „წითლის“, შდრ. **წგრნი** „წითელი“.

ლენტეხურში **ი**’ზე დაბოლოებული სახელების მომდევნოდ ნათესაობითში დასტურდება **-ჲშ** (<**იშ**) ნათესაობითი ბრუნვის ალომორფი: **მუშკუჲარი-ჲშ** „სტუმრის“; **ბგგი-ჲშ** „მაგრის“; **მუჭჲხუი, მუჭჲხუი-ჲშ** „ტკბილის“; **მახუში, მახუში-ჲშ** „ოჯახის უფროსის“; **მუჳვჲრი-ჲშ** „ასკილის“; **მგრდი-ჲშ** „გამზრდელის“; **ში-ჲშ** „ხელის“; **პჲპი-ჲშ** „ნათლიის“. **-ი**’ზე დაბოლოებული ზოგი სახელი ლენტეხური დიალექტის ნათესაობით ბრუნვაში შეიძლება **-ეშ** ალომორფითაც შეგვხვდეს.

ტყუი-ეშ/ჲშ „ტყვიის“; **ში-ეშ/ჲშ** „ხელის“; ხოლო **გუ-ეშ/გუი-ეშ** (ლნტ.) ცუდი გულის (ბრაზიანი); **ცხუ-ეშ/ცხუი-ჲშ** „ისრის“; **ჯი-ეშ** „ფუტკრის რძის“.

ასევე **-ჲშ** ალომორფს დაირთავენ **-უ**’ზე დასრულებული საზოგადო სახელები ლახამულური კილოკავის ნათ. ბრუნვაში: **სურუ-ჲშ** მგრგადი ლი (ლხმ.) „ბევრის მოლაპარაკეა“; **სურუ-ჲშ** თხუიმ დეჲ მალჯა (ლხმ.) „ბევრის თავი არ მაქვს (სიტყვასიტყ. ბევრის თავი არც მაბია)“; ალი ლემზგრ **ჰურუ-ჲშ** ლი (ლხმ.) „ეს აუფუებელი ცომის სალოცავი პურია“; **ჯურუ-ჲშ** პილს (ლხმ.) „ხვრელის პირას“...

-უ’ზე დაბოლოებული საკუთარი სახელების **უ** ხმოვანი ლახამულური კილოკავის (**-ი** < **იშ**) ნათ. ბრუნვის ნიშნის გავლენით უმლაუტდება და ვიღებთ: **გუჯუ** ნათ. **გუჯუ-იშ** < ***გუჯუი+იშ** „გუჯუსი“; **გუჯუ-იშ** თეფ (ლხმ.) „გუჯუს თოფი“; სუსუ — ნათ **სუსუ-იშ** < ***სუსუი+იშ** „სუსუსი“; **კაბუ** — ნათ. **კაბუ-იშ** < ***კაბუი+იშ** „კაბუსი“; **ბაჯუ** — ნათ. **ბაჯუ-იშ** < ***ბაჯუ+იშ** „ბაჯუსი“; **ციროუ** — ნათ. **ციროუ-იშ** „ციროუსი“...

ცხუმარულში **-უ**’ზე დასრულებული საზოგადო სახელები ნათ. ბრუნვაში შეიძლება შეგვხვდეს ორი ფორმით: **ჰურუ-ჲშ || ჰურუ-შ** „აუფუებელი ცომის“; **ჯურუ-ჲშ || ჯურუ-შ** „ხვრელის“, **გიგუ-ჲშ || გიგუ-შ** „გუგულის“; **სურუ-ჲშ || სურუ-შ** „ბევრის (მეტის-მეტის“); **ბურუ-ჲშ || ბურუ-შ** „დიდი ნახვრეტის“; **ფაუ-ჲშ || ფაუ-შ** „ჯოხის“... **-ი** და **-უ** ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებთან **-ჲშ** ნათ. ბრუნვის ნიშნის დართვა სავარუდოა, რომ გვიანდელი მოვლენა იყოს, მას შემდეგ გაჩენილი, რაც **-ჲშ** ნათ. ბრუნვის ერთ-ერთ მორფემად ჩამოყალიბდა.

-**უ**'ზე დასრულებული საკუთარ სახელთა ნათ. ბრუნვაში მხოლოდ -**იშ** ბრუნვის ნიშნისეული -**შ** თანხმოვანი გვაქვს. ხმოვანი იკარგება. **ჰადუ,** ნათ. **ჰადუ-შ** „ჰადუსი"; **ცაცუ, ცაცუ-შ** „ცაცუსი"; **ბექნუ, ბექნუ-შ** „ბექნუსი"; **ბაჯუ, ბაჯუ-შ** „ბაჯუსი".

იშვიათად შეიძლება **გიგუ** — ნათ. **გიგუ-აშ/-შ; ბაჯუ-აშ/-შ**...

ლენტეხურში -**უ**'ხმოვანზე დასრულებული სახელები ნათესაობით ბრუნვაში უმლაუტს არ ემორჩილება. მორფემისეული -**ი**'საგან აქაც **ჲ**'ს ვიღებთ -**იშ** (> **ჲშ**):

ჰურუ „აუფუებელი ცომი", **ჰურუ-ჲშ** „აუფუებელი ცომის"; **ჰურუ** „ხვრელი", **ჰურუ-ჲშ** „ხვრელის"; **ტუნუ** „ქოთანი", **ტუნუ-ჲშ** „ქოთნის"; **ჰარჩუ** „ჩხიკვი", **ჰარჩუ-ჲშ** „ჩხიკვის"...

საკუთარი სახელები: **ძაძუ,** ნათ. **ძაძუ-ჲშ**; **ბაცუ**, **ბაცუ-ჲშ** „ბაცუსი"; **გუჯუ, გუჯუ-ჲშ** „გუჯუსი"; შდრ. **ცაცუ-ჲ ჰაშ** (ლნტ.) „ცაცუს ქმარი"; **ბაჯღუ-ჲ ჰანარ** (ლნტ.) „ბაჯღუს ხარები"; **ბუჰუ-ჲ გეზალ ლი** (ლნტ.) „ბუჰუს შვილია".

სვანურ დიალექტებს შორის ბალსქვემოური კილოკავების შედარებითი სიმრავლით გამოირჩევა, რომელთა შორის არსებობს მორფოფონემატური სხვაობები, ამიტომ გამოყოფენ: ბეჩოურ, ცხუმარულ, ეცერულ, ფარულ, ჩუბეხეურ,ლახამულურ და ჰუბერულ კილოკავებს. სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგი მათგანი მ. ქალდანის და თ. შარაძენიძის მიერ არის შესწავლილი და წარმოჩენილია, ბალსქვემოურის, როგორც სხვა დიალექტებთან მიმართება, ისე თვით დიალექტის შიგნით არსებული კილოკავური განსხვავებანი.

კილოკაური სხვაობები დადასტურდა ხმოვანფუძიან სახელებთან ნათესაობითი ბრუნვის ალომორფთა განაწილების თვალსაზრისითაც.

რაც შეეხება ლენტეხურ დიალექტს, აქ ხელშესახები კილოკავური სხვაობები არ შეინიშნება და ყველა სახის ხმოვანფუძიან სახელთან ნათესაობით ბრუნვაში, ძირითადად, **-ჲშ (< -იშ)** ალომორფი დასტურდება.

ლიტერატურა

თოფურია 2002 — ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, შრომები, II, თბილისი.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

შარაძენიძე 1958 — თ. შანაძენიძე, სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებები, იკე IX-X, თბილისი.

ჩანტლაძე 1979 — ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ELISABED GAZDELIANI

Towards the Distribution of Genitive Case Alomorphs at the Vowel-End Nouns in the Lower Bal and Lentekhian Dialects of Svan

S u m m a r y

Among the Svan dialects Lower Bal dialect is distinguished by the abundance of sub-dialects. The followings are distinguished: Becho, Tskhumarian, Etserian, Parulian, Chubekhian, Lakhamian, and Tshuberian sub-dialects.

Sub-dialectal differences are evidenced at the vowel-ending nouns from the standpoint of distributing of genitive case alomorphs, as well.

In the Lentekhian dialect available sub-dialectal differences are not observed and at vovuel-ending nouns of all kinds **-jš**(**-iš**) alomorph is basicully evidenced in a genitive case.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXXIX 2011

ლელა გიგლემიანი

ადგილის ზმნისართები სვანურ დიალექტებში

სვანური ენის დიალექტებში წარმოდგენილია ადგილის ზმნისართების როგორც ფონეტიკურად, ასევე სტრუქტურულად განსხვავებული ვარიანტები.

ამ ენის ყველა დიალექტისათვის, მეგრულ-ლაზურის მსგავსად, დამახასიათებელია ჩვენებით ნაცვალსახელთა და ადგილის ზმნისართთა ორწევრიანი სისტემა, რომელშიც პირველ პირთან სიახლოვის აღმნიშვნელი სიტყვა (ნაცვალსახელი, ზმნისართი) უპირისპირდება მეორე და მესამე პირთან სიახლოვის აღმნიშვნელ სიტყვას (შესაბამისად-ნაცვალსახელს, ზმნისართს).

ზმნისართი **ამე** „აქ“ ძირეული ზმნისართია, რომელიც გამოხატავს პირველ პირთან სიახლოვეს. **ამე** სვანური ენის ყველა დიალექტში დასტურდება, ბალსქვემოურის გარდა.

ამე მაჩ̄ნე ლაწლზიგა ეჯდაწრს ხაღუ̄ნახ (ბზ.,სვან. პროზ. ტექსტ. 1939: 23) „აქ ყველაზე კარგი სამოსახლო იმათ ჰქონიათ“.

მა ამბაწუ ლი **ამე**? „რა ამბავია აქ“?

ჭირ ეჩე ოცურ, ლხინ **ამე** ონჭუ (ლშხ.) „ჭირი იქ დავტოვე, ლხინი აქ მოვიტანე“.

აღსანიშნავია, რომ მოცემული ფორმის პარალელურად ამავე მნიშვნელობით სხვა ფორმებიც იხმარება.

სვანურის ყველა დიალექტის კუთვნილებაა ზმნისართი **ამეჩუ** „აქ“.

ამეჩუ ლეუანს ნოდარ ხაწა (ბჭ.) „აქ ლევანს ნადი ეხმარება“

ამეჩუ შეგვიძლია დავუპირისპიროთ **ამე** ფორმას (შდრ. **ამე** და **ამეჩუ**). პირველში **ჩუ** ელემენტი არის სხვაობის შემქმნელი. ეს ელემენტი (**ჩუ**) სვანურისავე ზმნისწინ-თანდებულ „**ჩუ**“-ს უკავშირდება.

ბალსზემოურში **ამეჩუ**-ს „აქ“ მნიშვნელობით **ამეჩ̄უნ** ფორმაც გვხვდება.

ამეჩ̄უნ ჰაწდურდ გუნ ეზერ ქუერწილ ლი (სვან.პროზ. ტექსტ.1939: 29) „აქ სულ ძალიან კარგი ქორწილია“.

სვანურის ლაშხურ დიალექტში კი **ამეჩ̄უნენ‖ამეჩ̄უნენ** „აქ“ ფორმაც დასტურდება.

მაბჟა ბელხანჯარ ლოქ არი **ამეჩ̄უნენ** „მგონი ბელხანჯარიც აქ უნდა იყოს“.

საინტერესოა ის შემთხვევები, როდესაც ზმნისართის წარმოსაქმნელად გამოყენებული თანდებული მიერთვის ჩვენებითი ნაცვალსახელის ხმოვანმოკვეცილ ფუძეს, მხედველობაში გვაქვს ბალსზემოურისა და ლაშხურის **ამ-ჩუ**, ლენტეხურის **ამ-ჩუნ** და ბალზემოურისავე **ამ-ჩ̄უნ** ზმნისართები (შდრ. **ამე-ჩუ, ამე-ჩუნ, ამე-ჩ̄უნ**)

ამჩუ გუნ ლიხ̄რულ ლი (ბზ.) „აქ დიდი მხიარულებაა“.

ბაზი ჭახშამ **ამჩუ** მერი (ლშხ.) „ამაღამ ვახშამი აქ მექნება“.

ამჩუნ ჩუასადხ ეშხუ ფიცაჽრჟი ლახჩბა (ლნტ.) „აქ დარჩნენ ერთ ფიცარზე ძმები.“

ჲორი ლადაჽ **ამჩუნ** ანაჲდდა (ბზ.) „ორი დღე აქ დავყავით“.

ამჩუნ კაჽჲდანჲ სგა ლამხჩუდდა (ბზ.) „აქ კახიანი შემხვდა“.

მოყვანილ მაგალითებში ნაცვალსახელურ ფუძეზე თანდებულის უშუალოდ დართვა მეორეული მოვლენა ჩანს, ფონეტიკური პროცესის შედეგი, სახელდობრ, **ა** ხმოვანი ივარაუდება დაკარგულად.

ზმნისართი **ამეგ** „აქ” იხმარება ბალსქვემოურ დიალექტსა და ბალსზემოური დიალექტის, ლატალურ კილოკავში. გ. კაჭარავა თვლის, რომ ეს ბალსქვემოურის გავლენის შედეგია. (კაჭარავა1953: 23)

დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი:

ეჩგი ხოჩა **ამეგ** (ბზ) „იქაური სიკეთე აქ“

ამეგ ჲაჽრ აჽრი? „აქ ვინ არის?“

თ. შარაძენიძე თავის გამოკვლევაში აღნიშნულ ზმნისართს რთული შედგენილობისად მიიჩნევს, იგი ცალკე გამოყოფს **გ** ელემენტს და პარალელს ავლებს სვანურის **ამე**-გ და ქართულის **მა**-ქ ზმნისართებს შორის. (შარაძენიძე 1948: 3)

ამოხ „აქ” მხოლოდ ლენტეხური დიალექტისთვისაა დამახასიათებელი.

ქა ლოქ ანჭიდ მიჩა ლაუდილა **ამოხ** „აქ გამოიყვანეო შენი („მისი“) დები.

„აქ“ მნიშვნელობის გარდა **ამოხ** ზმნისართს აქვს „აქეთ, აქეთკენ” მნიშვნელობაც.

ეჩოხ მეზი ხუაჲდ ლოქ ხოწუა, **ამოხ** — დესა „იქითკენ წამსვლელი ბევრი მინახავსო, აქეთკენ – არა“.

ლენტეხურის **-ო-ხ** ფორმანტის ნაცვლად, ზემოსვანურ დიალექტებში -**თე** (-კენ) თანდებულიანი ფორმები გვხვდება.შდრ.:

ლნტ. **იმოხ** ესხრი? „საით მიდიხარ“ და ზს. **იმთე** ესღრი? „საით მიდიხარ?“

საინტერესო აგებულებისაა ზმნისართი **ამექა**, „აქ”, „ამაზე”. რომელიც, სვანური ენის ყველა დიალექტში დასტურდება.

ანღრი **ამექა** ეშხუ მარე(ბზ.) „აქ მოდის ერთი კაცი“

ჯი ესერ **ამექა** ბოგდ ხედი (ბქ.) „მე ამაზე ხიდად გავედებიო“.

კუმაშ ამექა იზელალ (ლნტ.) „ საქონელი აქ დადის“.

პირვანდელი მნიშვნელობა **ამექა** სიტყვისა უნდა ყოფილიყო „ამაზე”. ზმნისართული შინაარსი კი შემდეგი გაჩენილი ჩანს.

სვანურში გვხვდება აგრეთვე **ეჩე** „მანდ, იქ“ ზმნისართიც (ყველა დიალექტში),რომელიც გამოხატავს როგორც მესამე, ისე მეორე პირთან ლოკალიზაციას.

ჟი ღგრი მადლიანთე ი **ეჩე** იმზირ (ბზ.) „ავა მადლიანთან და იქ ლოცულობს“.

ჭირ **ეჩე** ოცურ (ბქ.) „ჭირი იქ დავტოვე“.

ეჯდაჽრ **ეჩე ოხხუნტახ** (ბზ.) „ისინი იქ ამოუწყვეტიათ“.

ხშირი ხმარებით გამოირჩევა სვანურში **ეჩეჩუ** ზმნისართი.

ეჩეჩუ პაპ ლგმზიგ (ბქ.) „იქ თურმე მღვდელი ცხოვრობდა“.

ეჩეჩუ არდახ ალ მარალ (ლშხ.) „იქ იყვნენ ეს კაცები“.

გ. კაჭარავა შენიშნავს, რომ სვანურის ორ დიალექტში (ბალსქვემოურსა და ლენტეხურში) გვხვდება **ეჩეჩუნ** ფორმა (კაჭარავა 1953: 31) (თუმცა დღევანდე-

ლი მონაცემების მიხედვით **ეჩეჩუნ** ბალსქვემოურში არ დასტურდება), ხოლო ბალსზემოურში კი თანდებულისეული **უ** ხმოვანი გრძელია, (**ეჩეჩ̄უნ**). მაგ.:

ეჩეჩუნ ლეზუებს ქა ხოქუთერდახ (ბქ.) „იქ საჭმელებს პარავდნენ“.

შუანარს უშიალად ესსედახ **ეჩეჩ̄უნ** ხუაქ კეთილ (ბზ.) „სვანებს უბრძოლველად დარჩათ თურმე იქ ბევრი განძი („კეთილი“)“.

სვანურში გვხვდება აგრეთვე შემდეგი ფორმებიც: **ეჩანჩუ** (ლნტ.), **ეჩთეჩუ||ეშთეჩუ**, **ეჩჩუ||ეჩჩუნ** (ბზ.), **ეჩეჩო||ეჩეილა||ეჩეჩულა**(ბქ.), **ეშჩუ** (ლშხ.), **ეშჩუნენ** (ლშხ.).

ბალსქვემოურის **ეჩეჩულა||ეჩეილა** „იქ” ზმნისართების **-ლა||-ი-ლა** ელემენტებიც **ნა||ნე**-ს პარალელური ფორმანტები ჩანს.

ერთი და იგივეა **ეჩე**-გ და **ამე**-გ ზმნისართების **გ** ელემენტი.

ლენტეხურისთვისაა დამხასიათებელი აგრეთვე ზმნისართი **ეჩოხ** „იქ”, რომელიც **ამოხ** „აქ” ზმნისართის ანალოგიური აგებულებისაა.

ეჩოხ მეზი ხუაქ ხოწუა (ლნტ.) „იქით წამსვლელი ბევრი მინახავსო“.

აჩადხ **ეჩოხ** (ლნტ.) „წავიდნენ იქით“.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში „**ეჩოხ“**, „**ამოხ“** ზმნისართები მხოლოდ ლენტეხური დიალექტისთვისაა მითითებული, არადა ბალსქვემოური დიალექტის ფარულ კილო-თქმაშიც დასტურდება:

ეჩოხ ფიშირგნ მიზნა „იქ, იქამდე ბევრჯერ წავსულვარ“.

სხვა ზმნისართებიც სვანურ დიალექტებში სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტებს გვიჩვენებენ.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სვანურში არის ერთი წყება ზმნისართებისა, რომელთა ძირითადი ელემენტები ამჟამად თანდებულისა და ზმნისწინის ფუნქციით იხმარება. ესენია: **ჟი** „ზე”, **ჩუ** „ ქვე”, **სგა** „ში”, **ქა** „გან”. ესენი ამჟამად თანდებულებსაც წარმოადგენენ და ზმნისართებსაც (თ. შარაძენიძე 1948)

რამდენადაც **ჟი**, **ჩუ**, **სგა**, **ქა** ყოველგვარი დამატებითი ფორმანტების დაურთავადაც მიუთითებენ მოქმედების ადგილზე, მათ შეიძლება მარტივი ზმნისართები ეწოდოს (შარაძენიძე 1948)

ეს მარტივი ზმნისართებია გამოყენებული სვანურის სხვა ზმნისართთა წარმოსაქმნელად.

მარტივი ზმნისართისაგან **ჟი** წარმოქმნილია უფრო რთული აგებულების მქონე ზმნისართები:

ჟიბ (ბქ., ლნტ.), **ჟ̄იბ** (ბზ., ლშხ), **ჟიბაშ̄**, **ჟიბო**, **ჟიბენ** „ზევით“.

ჟიქა, **ჟიქან**, **ჟიქ̄ან**, **ჟიქ̄ანქა**, **ჟიქანთეჟი**, **ჟიქ̄ანჩუ** „ზევით“.

ჟიხი, **ჟიხიქა**, **ჟილა** „ცოტა ზევით“.

ჟ̄იბ ნარდშ̄ ერშ̄აქ ლი, კ̄ესარ... დ̄ემ ხეზურიე̄ლ (ბზ.) „ზევით ნამყოფი ვინცაა, ⌜იმისკენ⌝ კეისარი არ მიიწევა ⌜გასალახავად⌝.

ტოტარ **ჟიბოშ̄** ლოხცშ̄ირა (ბზ.) „ხელები ზემოთ დაუტოებია“.

ჟიქა ღშ̄ემალ ხოყულღუნე (ბზ.) „ზევით ყორანი დასჩხავის“.

ხედა **ჟიქან** ლი, ხედა ჩუქან „ ხან ერთია ზევით, ხან მეორე ქვევით“.

ჟიხი ზმნისართს სიცოტავის აღნიშვნა ევალება. ვ. თოფურია „ჟიხი”-ს თარგმნის როგორც „უფრო ცოტა ზევით” (თოფურია 1931: 66)

ჟიხი ხოჩა ლათხუიარ ადგილარ ლიხ (ლშხ.) „ცოტა ზევით კარგი სანადირო ადგილებია“.

ჟი ლოხრეკე **ჟიხიქა** (ლშხ.) „ ცოტა მაღლა გადაკიდა“.

მარტივ ზმნისართ „**ჩუ**“-ზე სხვადასხვა ფორმანტების დართვით ახალი ზმნისართები მიიღება. მაგ.:

ჩუ-ა- ბ-ე, **ჩუ-აბე-შ-ხენ**, **ჩუ-აბ-შ-ხენ** „ქვემოთ, ქვემოდან“

ჩუ-ან-ე, **ჩუ-ან-ე-ისა** „ქვევიდან“

ჩუ - ბე, **ჩუიბ-**, **ჩუ-ბე-ნ** „ქვემოთ“

ჩუბ-შ-ხჳნ, **ჩუბ-შ-ხენ** „ქვემოდან“

ჩუ - ბ-აუ - ჩუ — ბ —ოუ „ქვევით“

ჩუ -ქა, **ჩუ -ქა-ნ**, **ჩუ-ქუა-ნ** „ძირს, ქვევით“

ჩუხი, ჩუ-ხი-ქა „უფრო ცოტა ქვევით“

მაგ.: უშბაშ **ჩუბოუ** დამბალ ლახუარ ლიხ (ბქ.) „უშბის ქვემოთ დაბალი მთებია“

ჩუქან თხერილ ხოდერაჯი (ბზ.) „ძირს მგელი დარაჯობს“.

ჩუქუჳნჟი ჰჳდურდ მჳმ ლი ლაზ (ბზ.) „ქვემოდან სულ არ არის ასასვლელი“.

სგა მარტივი ზმნისართიდან წარმოქმნილი ფორმებია:

სგან, **სგჳნენ** „შიგ, შიგნით“

სგანჩუ, **სგჳნჩუ** „შიგ“

სგაჳშხჳნ, სგაშხენ „შიგნიდან“

სგჳნხენქა „შიგნიდან“

სკახი, სგჳხი „ცოტა შიგნით“

სგჳნ მაგ ლას ლუღფურე (ლშხ.) „შიგნით ყველაფერი შეღებილი იყო“

სგანჩუ აჩად (ბქ.) „შიგ შევიდა“

სგჳნენ ასხუენა ზურაღლ (ლშხ.) „შიგნით ქალი დახვედრია“ და სხვა.

მარტივი ზმნისართი **ქა** საფუძვლად დაედო რიგ ზმნისართებს:

ქამ, **ქჳმ**, **ქჳმ**, **ქჳმენ, ქჳმ** „გარეთ“

ქჳმაუ, **ქჳმთე**, **ქჳმენჩუ**, **ქჳმთე**,**ქამოუ**,**ქჳმინჩუ** „გარეთკენ“

ქახი, **ქჳხი**, **ქახქა**, **ქახქაუ** „ცოტა გარეთ“

ჩუესგოჯნიხ **ქჳმ** სუფისა ხატს (ლშხ.) „დააბრძანებენ გარეთ სოფლის მოედანზე ხატს“

სემი ნაგზა **ქჳმ** ლგმჳრდელი (ლნტ.) „სამი კვირა გარეთ ყოფილა“

ქჳმენჩუ გარ მიწუა „მხოლოდ გარედან მინახავს“ და ა.შ.

ლე-, **ნე**- პრეფიქსების დართვით მარტივი ზმნისართებიდან შეიძლება ახალი ზმნისართებიც წარნმოიქმნას. მაგ.:

ლეჟა (ბზ., ლშხ., ლნტ.), **ლეჟჳნ** (ლშხ.) **ლეჟოუ** (ბქ.), **ლეჟჳნისგა** (ბქ.) „ზევით“.

ლეჟა ამეჴედელი (ლნტ.) „ზევით მოსულა“

ალი **ლეჟ**’ომჴედელი ნიშგე სოფელთე (ბქ.) „ეს ამოსულა ჩვენს სოფელში“.

ქუა ფუძეზე **ლე**- თავსართის დართვით ვიღებთ ახალ ზმნისართებს.მაგ.:

ლექუა (ზ.ს.), **ლექუჳუ** (ბზ.), **ლექუოუ** (ბქ.) „ქვევით, ქვემოთ“

ლექუა ამჴედხ მუჟალთე (ბზ.) „წამოსულან მუჟალში“

ნე- თავსართის დართვა **სგა** ფუძეზე მოგვცემს ისეთ ზმნისართებს, როგორებიცაა: **ნესგა** (ბზ.) **ნენსგა** (ბქ.), **ნენსგაჩუ** (ბქ.).

ნესგა ხოკუარხ (ბზ.) „შუაში მოიგდეს“

ნენსგაჩუ ესგუირეხ (ბქ.) „შუაში ჩაისვევს“

როგორც მრავალფეროვანი სვანური დიალექტოლოგიური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ადგილის ზმნისართები სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტთა სიმრავლით გამოირჩევა.(იგულისხმება როგორც სხვადასხვა დიალექტებში არსებული, ისე ერთი დიალექტის ფარგლებში წარმოდგენილი პარალელური ფორმები).

ლიტერატურა

თოფურია 2008 — ვ. თოფურია, სვანური ენა, ზმნა I, თბილისი.

კაჭარავა 1953 — გ. კაჭარავა, ზმნისართები სვანურ ენაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 —სვანური პროზაული ტექსტები, ბალსზემოური კილო,თბილისი.

შარაძენიძე 1948 — თ. შარაძენიძე, სვანურის ზმნისართთა ანალიზი, თბილისი.

LELA GIGLEMIANI

Place Adverbs in Svan Dialects

S u m m a r y

Phonetically as well as structurally different variants of place adverbs are represented in the Svan dialects.

Like Megrelian-Laz, all dialects of this language is charcterized by two-membered system of demonstrative pronouns and place adverbs, in which the word (pronoun, adverb) denoting the closness with the 1st person opposes the word (relevantly pronoun, adverb) denoting the closness with tbe 2nd and 3rd person.

As the analysis of Svan dialectological material showed, place adverbs are distinguished by the abundance of different phonetic variants (it implies the parallel forms represented in different dialects as well as within the limits of one dialect).

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXXIX 2011

გიორგი გოგოლაშვილი

თემის საკითხისათვის III სერიის ფორმებში[1]

თემა ფუძის ნაირსახეობაა.

ფუძის განმარტება საენათმეცნიერო ლიტერატურაში არ არის ერთგვაროვანი. ჩვენ ვემყარებით თვალსაზრისს: „ფუძე (ფორმობრივადაც და ფუნქციურადაც) უნდა განიმარტოს იმ ურთიერთრმიმართებათა მიხედვით, რომლებსაც იგი ამყარებს სტრუქტურის შემადგენელ სხვა ელემენტებთან“ (ჯორბენაძე 1980: 124). თუ ზმნის სისტემაში არსებულ ურთიერთმიმართებებს გავითვალისწინებთ და ამ კუთხით დავინახავთ ფუძეს, მაშინ აღმოჩნდება, რომ „ფუძე უნდა განვიხილოთ, როგორც პერმანენტულად ცვლადი მონაცემი“, რომელიც „საყრდენია ფორმათა სისტემისათვის“ (იქვე, 120). თუკი ფუძე არის პერმანენტულად ცვლადი მონაცემი საყრდენი ფორმათა სისტემისათვის, მაშინ მიმართებათა სხვადასხვა შემთხვევისათვის სხვადასხვა ფუძეზე უნდა იყოს საუბარი; ასეც არის. მართალია, ფუძე განიხილება როგორც პერმანენტულად ცვლადი მონაცემი, მაგრამ „ყოველ მოცემულ სტრუქტურაში სტრუქტურული ელემენტების მიმართ ფუძე მდგრადი (უცვლელი) ელემენტია“ (იქვე, 190). ამ მსჯელობის შემდეგ ბ. ჯორბენაძე ასეთ ზოგად განმარტებას გვთავაზობს: „ყველაფერი **ის, რაც საყრდენია ნებისმიერი ფორმისა ან ფორმათა სისტემისათვის, ფუძედ უნდა იწოდოს**“ (უფრო ვრცლად იხ.: გოგოლაშვილი 2010: 25-31). თუ ვსაუბრობთ მწკრივის პარადიგმაზე, მაშინ **მწკრივის ფუძედ** განიხილება ის ნაწილი ზმნური ფორმისა, რომელიც საერთო არის ამ მწკრივის ყველა ფორმისათვის, ყოველ მწკრივს თავისი ფუძე ექნება (ვ-**ხატ-ავ**, ვ-**ხატ-ავ-დ-ი**, ვ-**ხატ-ავ-დ-ე**...). თუ ვსაუბრობთ ზმნის სრულ პარადიგმაზე, ამ ზმნისათვის ფუძე იქნება **ხატ** (სხვაგვარი განმარტებით — ძირი. ვთქვათ ისიც, რომ ***ძირიც*** ამგვარი მიდგომით ფუძის ნაირსახეობაა).

თუ ვსაუბრობთ ამა თუ იმ სერიის ფორმათა წარმოებაზე, ის ნაწილი ზმნური ფორმისა, რომელიც საერთო იქნება ერთ სერიაში შემავალ ზმნურ ფორმათათვის, იქნება **სერიის ფუძე**. სწორედ **სერიის ფუძის** აღსანიშნავად შემოიღო ა. შანიძემ ტერმინი **თემა**.

ტერმინი თემა და შესაბამისი ცნების განმარტება ა. შანიძის ნააზრევში პირველად ჩნდება 1930 წლის „ქართული ენის გრამატიკაში“: „პირიელი

[1] წაკითხულია მოხსენებად **ა. შანიძის** დაბადების 124-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე თსუ-ში 2011 წლის 26 თებერვალს.

ზმნის ჩონჩხს წარმოადგენს თემა, რომელზედაც ასხმულია ფორმა. **თემა ჰქვია უცვალებელ ნაწილს ზმნისას, რომელიც გასდევს ხოლმე ერთ-ერთი სერიის ყველა ფორმაში,** ე. ი. რომლის დაპირისპირებითაც ცვალებადია პირისა, რიცხვისა, ქცევისა, დროისა და კილოს ნიშნები“ (შანიძე 1930: 138). აქვე მინიშნებულია, რომ **საკუთარი თემა** აქვთ I და II სერიის ფორმებს; ეს „თემათა სხვადასხვაობა საფუძვლად უდევს დრო-კილოთა ორ სერიად დაყოფას ქართულ ზმნათა დიდი უმრავლესობისათვის“ (იქვე). თემის საკითხი განიხილება III სერიაშიც, თუმცა ნათქვამია, რომ „მას საკუთარი თემა არ გააჩნია და ჩვეულებრივ იგი ან პირველი სერიის თემას სარგებლობს (უფრო ხშირად), ან არადა მეორისას (უფრო იშვიათად), ან კიდევ სულ სხვა პრინციპებზე აგებს თავის ფორმებს, ვიდრე პირველი და მეორე სერიის დრო-კილოები“ (იქვე).

ე. ი.: I სერიას თავისი თემა აქვს; II სერიას — თავისი; III სერიაში სამი შემთხვევა განიხილება: ა) იყენებს I სერიის თემას; ბ) იყენებს II სერიის თემას; გ) იყენებს I-II სერიის თემისაგან განსხვავებულ საყრდენ ფუძეს (თემას).

შენიშვნა: საუღლებელ ერთეულთა დაჯგუფება სამ სერიად საუღლებელ ფუძის პრინციპებზე დამყარებით მიიჩნევა ნ. მარის დამსახურებად. მართალია, მანამდე ორ ჯგუფად დალაგება საუღლებელი ერთეულებისა სხვა ავტორებთანაც გვქონდა (კ. დოდაშვილი, ნ. ჩუბინაშვილი), მაგრამ სამეცნიერო გრამატიკაში ამ პრინციპის დამკვიდრება ნ. მარის დამსახურებაა (არნ. ჩიქობავა). ეს მიანიშნებს იმას, რომ **სერიის ფუძე** ნ. მარისათვის რეალობა იყო, თუმცა ამის თაობაზე არ საუბრობს.

ასე რომ, 1930 წლის გრამატიკაში თემის საკითხი III სერიის ფორმებშიც დაისმის, ოღონდ გარკვეული დაზუსტებებით.

მომდევნო პერიოდის შრომებში ა. შანიძე განსხვავებულ თვალსაზრისს წარმოადგენს. 1953 წლის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ ვკითხულობთ: „თემა ჰქვია ზმნის ბაზისს, **რომელზედაც დაყრდნობილია პირველი სერიის მწკრივთა ფორმები ან მეორე სერიისა,** ე. ი. რომელიც მოეპოვება I ან II სერიის მწკრივთა ყველა ფორმას. თემა — ეს არის ჩონჩხი, რომელზედაც ასხმულია ზმნის ფორმები ერთ-ერთ სერიაში: პირველში ან მეორეში“ (შანიძე 1953: 397). ამ განმარტებით ფაქტობრივ **თემის** საკითხი **III სერიაში** გამოირიცხება; წერს კიდეც: „რაც შეეხება მესამე სერიას, აქ ზმნას განსაკუთრებული თემა არ გააჩნია და ჩვეულებრივ ან პირველი სერიის თემას იყენებს (უფრო ხშირად), ან მეორისას (უფრო იშვიათად), ან კიდევ სულ სხვა პრინციპის მიხედვით აგებს თავის ფორმებს, ვიდრე პირველისა და მეორე სერიის მწკრივებში. ამიტომ **თემათა მიმოხილვისას მხედველობაში**

გვაქვს პირველი ორი სერიის ფორმები“ (იქვე).

ვფიქრობთ, ის ფაქტი, რომ მესამე სერიის ფორმები ან პირველი სერიის თემას იყენებს, ან — მეორისას, ანდა სულ სხვა პრინციპის მიხედვით აგებენ ფორმებს, არ უნდა გახდეს საფუძველი III სერიაში თემის საკითხის განუხილველობისა.

1930 წლის გრამატიკა ამ მხრივ უფრო თანმიმდევრულია და პრინციპული; თემის განმარტება იქ უფრო ზოგადი ჩანს და მისაღები: „**თემა ჰქვია უცვალებელ ნაწილს ზმნისას, რომელიც გასდევს ხოლმე ერთ-ერთი სერიის ყველა ფორმაში**“.

შენიშვნა: არნ. ჩიქობავა შენიშნავდა: „საჭიროა აღინიშნოს, რომ ა. შანიძის წინანადელ შრომებში გრამატიკული მოვლენის სპეციფიკა უკეთ არის დანახული. ამ მხრივ 1930 წ. ქართული მორფოლოგია თეორიულად უფრო მაღალ დონეზე დგას, ვინემ „საფუძვლები“. ხოლო თავისებური რეპლიკები, რომელთაც „საფუძვლების“ ავტორი ხალისით სთავაზობს სხვაგვარი გაგების მომხრეთ („ფორმალიზმის დამცველებს“), არა ერთ შემთხვევაში მართებულ პასუხს იპოვის მისსავე წინანდელ შრომებში: 1930 წლის „მორფოლოგიაში“, „ზმნის საქცევში“ (1927) და პრეფიქსებში“ (1920).

თემის შესახებ საუბრისას ყურადღებას მივაპყრობთ კიდევ ერთ ფაქტს: დასაზუსტებელია ხმოვანპრეფიქსების საკითხი. 1930 წლის გრამატიკაში ზმნური ხმოვანპრეფიქსები პირისა და რიცხვის ნიშანთა გვერდით განიხილება. ე.ი. ხმოვანპრეფიქსები პირისა და რიცხვის ნიშანთა მსგავსად თემის ნაწილად არ გაიაზრება (გავიხსენოთ: „ცვალებადია პირისა, რიცხვისა, ქცევისა, დროისა და კილოს ნიშნები“). მართალია, საფუძვლებში ეს შენიშვნა აღარ ახლავს, მაგრამ თემაზე მსჯელობისას მოყვანილ მაგალითებში ხმოვანპრეფიქსები თემისგან გამოყოფილია: ვა-**გებებ**, ვი-**გერებ**, ვა-**ლაგებ**, ვუ-**ტევებ** და სხვა“ (შანიძე 1953: 398). როგორც ჩანს, ხმოვანპრეფიქსები ერთ სისტემად არის გააზრებული; ხოლო ზემომოყვანილი დასკვნა საობიექტო ქცევის საფუძველზეა გაკეთებული და განზოგადებული სხვა შემთხვევათათვის. ხმოვანპრეფიქსი მწკრივის ფარგლებში (შესაბამისად სერიის ფარგლებში) ცვალებადია:

მ-**ი**-კეთ-ებ-ს	მ-**ი**-კეთ-ებ-დ-ა	მ-**ი**-კეთ-ებ-დ-ე-ს
გ-**ი**-კეთ-ებ-ს	გ-**ი**-კეთ-ებ-დ-ა	გ-**ი**-კეთ-ებ-დ-ე-ს
უ-კეთ-ებ-ს	**უ**-კეთ-ებ-დ-ა	**უ**-კეთ-ებ-დ-ე-ს

ფუძე (ამ შემთხვევაში თემა) კი უცვალებადი ნაწილი უნდა იყოს ფორმა-

თა სისტემისათვის. როგორც ვთქვით, ამ პარადიგმიდან დასკვნის განზოგადება ხდება ხმოვანპრეფიქსთა მთელი სისტემისათვის. როცა ა. შანიძე წერს, რომ III სერიაში გამოიყენება ან I ან II სერიათა თემაო, სწორედ ზმნური ფორმის უხმოვანპრეფიქსო ნაწილზეა საუბარი, რადგან I თურმეობითში ხდება ხმოვანპრეფიქსთა ნეიტრალიზაცია (ხმოვანპრეფიქსთა გადაყოლა არ ხდება III სერიაში ყველა შემთხვევაში):

ა-კეთ-ებ-ს
ი-კეთ-ებ-ს
უ-კეთ-ებ-ს } **უ**-კეთ-ებ-ია

ა-ქ-ებ / **ა**-ქ-ო
ი-ქ-ებ-ს / **ი**-ქ-ო
უ-ქ-ებ-ს / **უ**-ქ-ო } **უ**-ქ-ო

II თურმეობითსა და III კავშირებითში კი **ა, ი, უ** ხმოვანპრეფიქსებს შეენაცვლება **ე-** ხმოვანპრეფიქსი.

ა-კეთ-ებ-ს
ი-კეთ-ებ-ს
უ-კეთ-ებ-ს } **ე**-კეთ-ებ-ინა
ე-კეთ-ებ-ინოს

ა-ქ-ებ-ს
ი-ქ-ებ-ს
უ-ქ-ებ-ს } **ე**-ქ-ო
ე-ქ-ოს

ამგვარად, **ხმოვანპრეფიქსები თემის** (შესაბამისად მწკრივის ფუძის) **ნაწილად არ განიხილება**, როგორც ცვალებადი ნაწილი ზმნური ფორმისა ერთი პარადიგმის ფარგლებში. ამ დაზუსტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს III სერიის ფორმებში თემის საკითხის განხილვის დროს. გავიხსენებთ რამდენიმე განმარტებას:

ზმნები, რომელთაც განსხვავებული აქვთ I და II სერიის თემა, იწოდება ორთემიანად; განსხვავება შეიძლება შექმნას თემის ნიშანმა (კეთ-**ებ** / კეთ, ხატ-**ავ** / ხატ...) და ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობამ (გრეხ / გრიხ, ზრდ / ზარდ...). თემისნიშნიან თემას რთულ თემას ვუწოდებთ, უთემისნიშნოს — მარტივს; ხმოვანმონაცვლე ფუძეები ამ გაგებით მარტივად მოიაზრება.

შენიშვნა: თემის თვალსაზრისით III სერიის ფორმებში პრინციპულად განსხვავებული ვითარებაა ძველსა და ახალ ქართულში (გოგოლაშვილი 2010: 456-479). ჩვენი განხილვის საგანი ახალი ქართულია.

ამგვარად: **თემა არის ის ნაწილი ზმნური ფორმისა, რომელიც საერთოა ერთი სერიის მწკრივთა ფორმებისათვის;**

თემა შეიძლება იყოს მარტივი (წერ, კეთ, ხატ...) და რთული (**კეთ-ებ, ხატ-ავ**...).

ზმნა შეიძლება იყოს იმდენთემიანი, რამდენი თემაც აქვს მას უღლების

სრულ პარადიგმაში (ერთთემიანი — **წერ**; ორთემიანი — **კეთ-ებ**...).

ამგვარი გააზრებით თემის საკითხის განხილვისათვის III სერიაში სამი ჯგუფი უნდა გამოიყოს:

I. ერთთემიანი ზმნები — რომელთაც სამივე სერიაში ერთი და იგივე თემა აქვს (**წერ**-ს, **ჭამ**-ს...)

II. ორთემიანი ზმნები — რომელთაც I და II სერიის თემა განსხვავებული აქვთ; III სერიის თემა საზიაროა ან I სერიასთან, ანდა II სერიასთან (ა-**კეთ-ებ**-ს / ა-**კეთ**-ა / უ-**კეთ-ებ**-ია; ა-**ჭ-ებ**-ს / ა-**ჭ**-ო / უ-**ჭ**-ია...

III. სამთემიანი ზმნები — რომელთაც III სერიაში I-II სერიისაგან განსხვავებული თემა აქვთ. ამ საკითხზე ვრცლად ვისაუბრებთ.

I ჯგუფის შემთხვევა მარტივია, ყველა სერიაში ერთი და იგივე მარტივი თემა მეორდება.

II ჯგუფის ზმნები შეიძლება ორ ქვეჯგუფად გადანაწილდეს:

ა) **მოქმედებითი გვარის ზმნები**, რომლებსაც მესამე სერიაში პირველ სერიასთან საზიარო თემა აქვთ (ვა-**კეთ-ებ** / ვა-**კეთ-**ე)

I თურმეობითი —	მი-**კეთ-ებ**-ია	გვი-**კეთ-ებ**-ია
	გი-**კეთ-ებ**-ია	გი-**კეთ-ებ**-იათ
	უ-**კეთ-ებ**-ია	უ-**კეთ-ებ**-იათ
II თურმეობითი —	მე-**კეთ-ებ-**ი(ნ)ა	გვე-**კეთ-ებ-**ი(ნ)ა
	გე-**კეთ-ებ-**ი(ნ)ა	გე-**კეთ-ებ-**ი(ნ)ა-თ
	ე-**კეთ-ებ-**ი(ნ)ა	ე-**კეთ-ებ-**ი(ნ)ა-თ
III კავშირებითი —	მე-**კეთ-ებ-**ი(ნ)ოს	გვე-**კეთ-ებ-**ი(ნ)ოს
	გე-**კეთ-ებ-**ი(ნ)ოს	გე-**კეთ-ებ-**ი(ნ)ოთ
	ე-**კეთ-ებ-**ი(ნ)ოს	ე-**კეთ-ებ-**ი(ნ)ოთ

ბ) მოქმედებითი გვარის ზმნები, რომელთაც III სერიაში მეორე სერიასთან საზიარო თემა აქვთ (ვა-**ჭ-ებ** / ვა-**ჭ**-ე)

I თურმეობითი —	მი-**ჭ**-ია	გვი-**ჭ**-ია
	გი-**ჭ**-ია	გი-**ჭ**-იათ
	უ-**ჭ**-ია	უ-**ჭ**-იათ
II თურმეობითი —	მე-**ჭ**-ო	გვე-**ჭ**-ო
	გე-**ჭ**-ო	გე-**ჭ**-ოთ
	გე-**ჭ**-ო	ე-**ჭ**-ოთ
III კავშირებითი —	მე-**ჭ**-ოს	გვე-**ჭ**-ოს
	გე-**ჭ**-ოს	გე-**ჭ**-ოთ
	ე-**ჭ**-ოს	ე-**ჭ**-ოთ

III ჯგუფში ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: ა) ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნები.

ახალ ქართულში ამ ტიპის ზმნებში III სერიაში პრინციპული ხასიათის ცვლილებები მოხდა ძველ ქართულთან შედარებით. „ვფიქრობთ, ესაა აღწერითი წარმოების ორგანულად გააზრების გზა, რაც, ჩვენი აზრით, იმ საერთო ტენდენციის გამოვლენაა, რაც მესამე სერიის მწკრივთა წარმოებაში მომხდარ ცვლილებასთან არის დაკავშირებული — ფორმობრივი პრინციპის ბოლომდე გატარება. მიმღეობა გაიაზრება ზმნურ ფუძედ — საერთო მონაცემად სამივე მწკრივის ფორმათათვის და ჩვეულებრივი მორფოლოგიური მოდელი იქმნება: ზმნისწინი + პირის ნიშანი + ფუძე + მეშველი ზმნა“ (გოგოლაშვილი 2010: 476).

ვი-**მალ-ებ**-ი / დავ-**მალულ**-ვართ

I თურმეობითი —	დავ-**მალულ**-ვარ	დავ-**მალულ**-ვართ
	და-**მალულ**-ხარ	და-**მალულ**-ხართ
	და-**მალულ**-ა	და-**მალულ**-ან
II თურმეობითი —	დავ-**მალულ**-იყავ	დავ-**მალულ**-იყავით
	და-**მალულ**-იყავ	და-**მალულ**-იყავით
	და-**მალულ**-იყო	და-**მალულ**-იყვნენ
III კავშირებითი —	დავ-**მალულ**-იყო	დავ-**მალულ**-იყოთ
	და-**მალულ**-იყო	და-**მალულ**-იყოთ
	და-**მალულ**-იყოს	და-**მალულ**-იყონ

თემათა განაწილება ასეთია: I სერია — **მალავ,** II სერია — **მალ,** III სერია — **მალულ**.

ბ) მეორე ქვეჯგუფში უნდა წარმოვადგინოთ ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნები. არსებითი თავისებურება ამ ქვეჯგუფისა ის არის, რომ III სერიაში ისინი გამოიყენებენ შესაბამისი მოქმედებითი გვარის ზმნის პირველი სერიის თემას (ამ ფაქტზე მინიშნებისას ა. შანიძე ძახილის ნიშანს დასვამს. იხ.: შანიძე 1953: 466); რაც ვნებითის სრული პარადიგმისათვის III სერიის თემად უნდა გავიაზროთ.

1. ვა-**ვიწყ-დ-ებ**-ი / დავა-**ვიწყ-დ**-ი / დავ-**ვიწყ-ებ**-ივარ (შდრ.: მოქმ. ვა-**ვიწყ**-ებ / დავა-**ვიწყ**-ე)

I თურმეობითი —	დავ-**ვიწყ-ებ**-ივარ	დავ-**ვიწყ-ებ**-ივართ
	და-**ვიწყ-ებ**-იხარ	და-**ვიწყ-ებ**-იხართ
	და-**ვიწყ-ებ**-ია	და-**ვიწყ-ებ**-იან
II თურმეობითი —	დავ-**ვიწყ-ებ**-ოდი	დავ-**ვიწყ-ებ**-ოდით
	და-**ვიწყ-ებ**-ოდი	და-**ვიწყ-ებ**-ოდით

	და-**ვიწყ-ებ**-ოდა	და-**ვიწყ-ებ**-ოდნენ
III კავშირებითი —	დავ-**ვიწყ-ებ**-ოდე	დავ-**ვიწყ-ებ**-ოდეთ
	და-**ვიწყ-ებ**-ოდე	და-**ვიწყ-ებ**-ოდეთ
	და-**ვიწყ-ებ**-ოდეს	და-**ვიწყ-ებ**-ოდნენ

ასევე: ვუ-**ბერ-დ-ებ**-ი / დავუ-**ბერ-დ**-ი / დავუ-**ბერ-ებ**-ივარ (შდრ.: ვა-**ბერ-ებ**) და სხვა.

2. ვე-**მალ-ებ**-ი (დავე-**მალ**-ე / დავ-**მალ-ვ**-ივარ (შდრ.: ვ-მალ**ავ**)

I თურმეობითი —	დავ-**მალ-ვ**-ივარ	დავ-**მალ-ვ**-ივართ
	და-**მალ-ვ**-იხარ	და-**მალ-ვ**-იხართ
	და-**მალ-ვ**-ია	და-**მალ-ვ**-იან
II თურმეობითი —	დავ-**მალ-ვ**-ოდი	დავ-**მალ-ვ**-ოდით
	და-**მალ-ვ**-ოდი	და-**მალ-ვ**-ოდით
	და-**მალ-ვ**-ოდა	და-**მალ-ვ**-ოდნენ
III კავშირებითი —	დავ-**მალ-ვ**-ოდე	დავ-**მალ-ვ**-ოდეთ
	და-**მალ-ვ**-ოდე	და-**მალ-ვ**-ოდეთ
	და-**მალ-ვ**-ოდეს	და-**მალ-ვ**-ოდნენ

3. ვუ-**თბ-ებ**-ი / გავუ-**თბ**-ი / გავ-**თბ-ობ**-ივარ (შდრ.: ვა-**თბ-ობ**)

I თურმეობითი —	გავ-**თბ-ობ**-ივარ	გავ-**თბ-ობ**-ივართ
	გა-**თბ-ობ**-იხარ	გა-**თბ-ობ**-იხართ
	გა-**თბ-ობ**-ია	გა-**თბ-ობ**-იან
II თურმეობითი —	გავ-**თბ-ობ**-ოდი	გავ-**თბ-ობ**-ოდით
	გა-**თბ-ობ**-ოდი	გა-**თბ-ობ**-ოდით
	გა-**თბ-ობ**-ოდა	გა-**თბ-ობ**-ოდნენ
III კავშირებითი —	გავ-**თბ-ობ**-ოდე	გავ-**თბ-ობ**-ოდეთ
	გა-**თბ-ობ**-ოდე	გა-**თბ-ობ**-ოდეთ
	გა-**თბ-ობ**-ოდეს	გა-**თბ-ობ**-ოდნენ

4. ვე-**ზრდ-ებ**-ი / გავე-**ზარდ**-ე / გავ-**ზრდ**-ივარ (შდრ.: ვ-**ზრდ**-ი)

I თურმეობითი —	გავ-**ზრდ**-ივარ	გავ-**ზრდ**-ივართ
	გა-**ზრდ**-იხარ	გა-**ზრდ**-იხართ
	გა-**ზრდ**-ია	გა-**ზრდ**-იან
II თურმეობითი —	გავ-**ზრდ**-ოდი	გავ-**ზრდ**-ოდით
	გა-**ზრდ**-ოდი	გა-**ზრდ**-ოდით
	გა-**ზრდ**-ოდა	გა-**ზრდ**-ოდნენ

III კავშირებითი —	გავ-**ზრდ**-ოდე	გავ-**ზრდ**-ოდეთ
	გა-**ზრდ**-ოდე	გა-**ზრდ**-ოდეთ
	გა-**ზრდ**-ოდეს	გა-**ზრდ**-ოდნენ

ზემოგანხილულ ყველა შემთხვევაში ვითარება ერთგვარია: III სერიის ყველა ფორმას საერთო საყრდენი ფუძე (ე. ი. თემა) აქვს. ეს სისტემა ჩამოყალიბების სტადიაშია: პროცესი სრულად არ არის დამთავრებული; მოქმედებითი გვარის შემთხვევაში ძველი ქართულის შერეული ვარიანტი (იხ.: გოგოლაშვილი 2010: 457-464) შემოგვინახა ფუძედრეკადმა ზმნებმა: I თურმეობითში საზიარო თემა აქვთ I სერიასთან, II თურმეობითსა და III კავშირებითში — III სერიასთან:

ა) ვ-**გრეხ** / ვ-**გრიხ**-ე; ბ) ვ-**თლ**-ი / ვ-**თალ**-ე

I თურმეობითი —	დამი-**გრეხ**-ია	გამი-**თლ**-ია
	დაგი-**გრეხ**-ია	გაგი-**თლ**-ია
	დაუ-**გრეხ**-ია...	გაუ-**თლ**-ია...
II თურმეობითი —	დამე-**გრიხ**-ა	გამე-**თალ**-ა
	დაგე-**გრიხ**-ა	გაგე-**თალ**-ა
	დაე-**გრიხ**-ა...	გაე-**თალ**-ა...
III კავშირებითი —	დამე-**გრიხ**-ოს	გამე-**თალ**-ოს
	დაგე-**გრიხ**-ოს	გაგე-**თალ**-ოს
	დაე-**გრიხ**-ოს...	გაე-**თალ**-ოს...

ეს იყო პრინციპი მოქმედებითი გვარის ზმნათა ფორმაწარმოებისა მესამე სერიაში ძველი ქართულისათვის:

აწმყო —	აღვა-**შენ-ებ**,	განვა-**გ-ებ**
წყვეტილი —	აღვა-**შენ-**ე,	განვა-**გ-ე**
I თურმეობითი —	აღმი-**შენ-ებ**-იეს,	განმი-**გ-ებ**-იეს
II თურმეობითი —	აღმე-**შენ-**ა,	განმე-**გ-**ო
III კავშირებითი —	აღმე-**შენ-**ოს,	განმე-**გ-**ოს

როგორც ვნახეთ, მოქმედებითი გვარის ზმნებში „პარადიგმა გასწორდა“. გამონაკლისია ფუძედრეკადი ზმნები: I თურმეობითი იყენებს I სერიის თემას; II თურმეობითი და II კავშირებითი — II სერიისას. გარდამავალ საფეხურზე დგას **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიანი ზმნები: პარალელიზმი I თურმეობითში გამოწვეულია იმით, რომ ერთი მხრივ, შენარჩუნებულია ძველი ქართულის ვითარება, მეორე მხრივ, ახალი ტენდენციის (სერიისათვის საერთო ფუძე) გამოვლენაა:

I თურმეობითი —	დამი-**ხატ-ავ**-ს	დამი-**ხატ**-ია
	დაგი-**ხატ-ავ**-ს	დაგი-**ხატ**-ია
	დაუ-**ხატ-ავ**-ს...	დაუ-**ხატ**-ია...
II თურმეობითი —	დამე-**ხატ**-ა	დამე-**ხატ**-ა
	დაგე-**ხატ**-ა	დაგე-**ხატ**-ა
	დაე-**ხატ**-ა...	დაე-**ხატ**-ა...
III კავშირებითი —	დამე-**ხატ**-ოს	დამე-**ხატ**-ოს
	დაგე-**ხატ**-ოს	დაგე-**ხატ**-ოს
	დაე-**ხატ**-ოს...	დაე-**ხატ**-ოს...

ფორმათა განვითარების ტენდენცია მეორე პარადიგმის სასარგებლოდ მეტყველებს. ძნელი სათქმელია, ეს ტენდენცია გავრცელდება თუ არა ოდესმე ფუძედრეკად ზმნებზე.

ლიტერატურა

გოგოლაშვილი 2010 — გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, თბილისი.

შანიძე 1930 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

შანიძე 1953 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

ჯორბენაძე 1980 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი.

GIORGI GOGOLASHVILI

Towards the Issue of a Theme in the III Series Forms

S u m m a r y

A theme is a variety of a stem. A term's introducing and explaining of a relevant conception is Ak. Shanidze's achievement: "Theme is a essential part of a verb that occurs in all forms of one series" (1930). This definition is more general and improved then the one of later period. If we base on this explanation, the issue of a theme will be arisen in III series like in I and II ones.

In order to define the issue of a theme in III series the verbs should be divided into

three groups:

1. verbs with one theme which have similar theme in three series (**ċer**-s, **č̣am**-s);
2. verbs with two themes, which in III series have a shared theme with I series (va-**ḳet-eb** – mi-**ḳet-eb**-ia...) or with II one (va-**k**-eb – va-**k**-e – mi-**k**-ia...).
3. verbs with three themes which have a stem (theme) different from I-II serries. Between them one-personal passives use a stem of participle (vi-**mal-**eb-i – davi-**mal**-e – dav-**malul**-var...); bi-personal passives – I series theme of relevant active voice verbs (vu-**tb-eb**-i – gavu-**tb**-i – gav-**tb-ob**-ivar, – ve-**zrd**-eb-i – gave-**zard**-e – gav-**zrd**-ivar...).

In the stem-changing verbs a principle of a theme is broken. Here an Old Georgian situation is preserved: I Perfect uses a stem of I series (dami-**grex**-ia, gami-**tl**-ia...), II Perfect and III Subjanctive use a theme of II series (dame-**grix**-a, game-**tal**-a...). These verbs can be conditionally called the verbs with mixed theme.

The verbs with **-av** and **-am** theme markers occupy a transitional stage. Parallelism in I Perfect (dami-**xaṭ**-av-s // dami-**xaṭ**-ia...) is caused by this.

თამარ მაშაკიძე

პოეტურ-სტილისტიკური თავისებურებებისათვის მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში

მუხრან მაჭავარიანს გამორჩეულად ძალუძს გარე სამყაროს პოეტურად წარმოჩენა, ყოფითი მოვლენების სალექსო სამოსში გახვევა, ჩვეულებრივი, ნაცნობი სიტყვებისათვის ახლებური საზრისის მინიჭება და მათი მუსიკად გარდაქმნა.

პოეტისეულ ალღოს ენისას და მის ლექსით მეტყველებას, რომელიც განსაკუთრებული, მხოლოდ მუხრანისათვის დამახასიათებელი სილაღითა და ნაირგვარობით გამოირჩევა, თავისებურ ელფერს სძენს დიალექტიზმებიც (ძირითადად იმერიზმები). ეს უკანასკნელნი პოეტური ეფექტისა თუ რითმის საჭიროებისათვის მოიხმობიან ხოლმე ხშირად შემოქმედის მიერ:

„ბიჭი?! „რა საქეიფო ამინდია!..

მართლა?!
აი, მესმის!
აბა, მე არ მგვანებია...
— **რავა**, შენ რა?
— რაღა, **რავა**,
კაცი ჯავრით აღარა ვარ, —
სამი შვილის მამა ვარ და
სამივენი ქალებია“.

ან კიდევ:

რას იტყვი?..
— **აბა**!..
— დალევდი ახლა?
ხო დალევდი?
დალევდი?
— **იმე**!..
— შენ **რავა** ფიქრობ, —
ხვალდილამდე გადიღებს,
ალბათ?
— რა ვიცი,
ვნახოთ...
ვერ მოგცემ იმედს“.

ზმნურ ფორმათაგან თვალშისაცემია დიალექტიზმების ორი ტიპი: ერთ შემთხვევაში პოეტი იმერული ლექსიკიდან უშუალოდ იღებს ამა თუ იმ ერთეულს და შესაფერის ადგილს უძებნის მას ლექსის სტრიქონში, ხოლო — როცა დიალექტური ფორმა სარითმო ერთეულსაც წარმოადგენს, ეს უკანასკნელი კიდევ უფრო მეტი ემოციით აღაქმევინებს მკითხველს სათქმელის აზ-

რსა და შინაარსს:

„მე არა ერთხელ გამიგონია
ნატვრა მიწაზე —
სულ ერთ მტკაველზე.
— ახლა თბილისში **გამარონია**
და მერე მომკლა —
აღარ დავეძებ“.

„ზოგს აშკარად ეტყობა —
ჩემი არ **ეყურება**.
რა ვქნა, რა გაეწყობა! —
კაცია და გუნება“.

სხვა შემთხვევაში ზმნა გამოყენებულია იმერული დიალექტისთვის დამახასიათებელი ვარიანტით (იმერული გაფორმებით):

„გაჟღენთილია სიძველის სუნით
დამძაღებული ოთახის ჰავა.
გარეთ კი უკვე
მზე ამოსულა.
გარეთ კი უკვე
ტყემლები **ჰყვავა**“.

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში ვხვდებით სახელებთან დაკავშირებულ მორფოლოგიურ დიალექტიზმებსაც, როგორიც არის, მაგალითად, სახელობითი ბრუნვის ნიშნის გამოყენება ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ფორმებთან, არსებით სახელებთან („**მზეი**, იბღავლა მიწამ...“); ზოგჯერ სახელი მოხმობილია წრფელობითის ფორმითაც, რაც დამახასიათებელია ხევსურული დიალექტისათვის („**ხევსურ** ჩამოდის ლიქოკით...“); ვხვდებით აგრეთვე ზედსართავი სახელების დიალექტურ ვარიანტებს („ვხედავ — შარაზე ქალი გარბის **სოველი** კაბით...“); დიალექტური ფორმებითვე დასტურდება ნაცვალსახელები („ორი თუ სამი, იმედად **ჩემდა**, არსებობს სახლი...“).

დიალექტური ვარიანტებით წარმოგვიდგება ასევე ზმნები თუ ზმნისართები („კართის ენა ქართული, — მოსული **აქანამდე**! — **იარს** უსასრულოდ რომელიც ამიერ!“); დასტურდება -**ყე** ნაწილაკიანი ფორმებიც („რამდენი რამე იყო **ყე** / კარგი და ჩემი ურგები“) და სხვ.

მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში განსაკუთრებით მრავლად დაჩნდება კავშირების დიალექტური ფორმები, როგორიც არის: **თვარა**, **მარა**, **რო**, მაგალითად:

„მე შენ გეტყვი
არ მეყოფა სიტყვის მარაგი...
არა!
სხვისი მისაბაძი
რა მჭირს, —
თვარა კი!“

„ეს ასე რომ არ იყოს,
კიდევ, — ხო —
მარა!
ასე
რომ
არის?!“

ან კიდევ:

„თუნდ ერთი მათგან, —
ასე ყინჩად, ვინც გიდგას გვერდით,
რო რამე იყოს, —
წვეთს სისხლისას გაიღებს შენთვის?!
ეჰ... შენი მტერი არაა მეტი“.

იმერული დიალექტისთვის დამახასიათებელი **იმე** ფორმით ხშირად გამოხატულია გაკვირვების სემანტიკა:

„მაგონდება:
ზამთარია.
თეთრი,
თეთრი ზამთარია.
სტუმრებს ველით, —
ვღელავთ:
— **იმე**,
თუ მოდიან, —
სად არიან?!“

დიალექტური ფორმებით წარმოჩნდება ზოგჯერ პოეტისეული სხარტი და მოქნილი იუმორიც:

„გრიალებს ტაში.
ზეცას ანგრევს ტაშის გრიალი.
პატიოსნება ძეგლიგია დღეს კაჟიანი.
ხმა ისმის ზოგჯერ ტაშის ხმაში ხამუშ-ხამუში:
— სად არი, **თვარა**, **კაი კია** სინდის-ნამუსი“.

სხვა შემთხვევაში:

„კვლავაა, ვით იყო, საწუთრო ალუბლური:
შეხედავ — ბალია!
იგემებ — ტყემალი!
რამდენი კაცია მის მიერ დაღუპული!
ჯანდაბას!
უდროოდ არ გვხოცდეს **ჭე** მაინც“.

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში დიალექტიზმები წარმოგვიდგება, როგორც ერთგვარი პოეტურ-სტილისტიკური ხერხი (მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებით იმ ტიპის შემთხვევები, როცა დიალექტური ფორმა სარითმო ერთეულსაც წარმოადგენს ამავდროულად), როცა სათქმელის შინაარსი და მისი ბგერობრივი სამყარო ისე ბუნებრივად არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვულ-

ნი, რომ ცალ-ცალკე ვერც კი აღიქმებიან — მკითხველიც ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ხდება მისი პოეზიის თანაზიარი:

„დღეს ჯიხვის რქაში მე ვტენი ვარამს,
ამაოდ ვტენი, როგორც შენ გუშინ...
მე, მე ვიკითხო, მე რა ვქნა, **თვარა**
შენ რა ხანია გაქვს თავი ქუდში“ (მიმართავს მუხრანი ვაჟას).

მუხრან მაჭავარიანის სტიქიაა სამშობლოს ხატი — პოეტურად აღბეჭდილი. აქ პოულობს იგი ტკივილისა და აღმაფრენის უსაზღვრო შესაძლებლობებს... ბუნებრივია, საქართველოს ძნელბედობის დროს მუხრან მაჭავარიანი მხოლოდ პოეტად ვერ დარჩებოდა. მან მომავალ თაობებს გადაურჩინა ეროვნული თვითშეგნება... ამ დიდი საზრისის — სამშობლოს განცდის — ბგეროვრივ სამოსში მოსაქცევად მუხრან მაჭავარიანმა სხვა პოეტურ აღკაზმულობასთან ერთად დიალექტიზმებსაც მოუხმო:

„საყდრით გამოდის პატარა კახის
კარის მოძღვარი კახთ-მაჭავარი,
რომელიც თურმე ყოფილა ნაღდი
კაცი და, მერე, კაცი **რავარი**! —
ჩემი არ იყოს, ქართველი ხალხი
ყოფილა თურმე მისთვის მთავარი“.

გამორჩეულია მუხრან მაჭავარიანის პოეტური ენის კანონები: აზრობრივი თუ რიტმულ-რითმული სამყარო, სიტყვათა შეხამებანი თუ სალექსო ტაქტის ჟღერადობა. მუხრანისეულ ფრაზას მაშინვე ამოიცნობ, ათას სხვა ლექსში გამოარჩევ, შეიყვარებ და გაითავისებ.

ცალკე გამოვყოფთ მუხრან მაჭავარიანის პოეზიისათვის დამახასიათებელ კიდევ რამდენიმე სინტაქსურ-სტილისტიკურ თავისებურებას. ეს, უპირველეს ყოვლისა, შეეხება პოეტის ფრაზას, რომლის განსაკუთრებულობა არცთუ იშვიათად სიტყვათა რიგის არაორდინარულ განლაგებაშიც მჟღავნდება. მხედველობაში გვაქვს მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა მაკავშირებელი სიტყვების ინვერსიული წყობა. ამ უკანასკნელთ პოეტი ყველაზე ხშირად ზმნა-შემასმენლის მომდევნო პოზიციაში მოიხმობს ხოლმე, რითაც გამორჩეულ ეფექტს სძენს პოეტურ მეტყველებას:

„მწარე სინანულს განიცდიან ყველანი ახლა,
ვინც არ ჩააგდო თავის დროზე პოეტი ძაღლად:
ხონთქარი, — პოეტს არ **უბოძა რომელმაც** კვართი,
მებაღე, — პოეტს არ **მიართვა რომელმაც** ვარდი,
ქალწული, — პოეტს არ **აღირსა რომელმაც** ხელი,
მეჯოგე, — პოეტს არ **ათხოვა რომელმაც** ცხენი“.

ან კიდევ:

„შუაზე აპობს მდინარე სიცხეს,
თავგანწირული ირგვლივ არი სმა.
მოწყენილია თელავის ციხე, —
ვერ **იასპინძა რადგან** კრწანისმა.“

„**ვცვლით როდესაც** მიწას,
ვიპყრობთ როცა ზეცას, —
ძველთა ჩვენთა წესი
არ გვაწყენდა დღესაც.“

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ამავე სიტყვებით ერთმანეთისაგან გათიშულია მსაზღვრელ-საზღვრულიც:

„ჟრუნა ქათმები,
აბუზულნი ქლიავის ძირას, —
ერიდებოდნენ
კოკისპირულს
რომელნიც წვიმას,
წვიმამ გადიღო თუ არა,
მყისვე —
პეპლებს დასდევენ,
წინ და უკან
იწვდიან კისრებს“.

მუხრან მაჭავარიანის ლექსებში არცთუ იშვიათად ვხვდებით ფრჩხილებში ჩასმულ ფრაზას, რომელიც სხვადასხვა სახის დამატებით ინფორმაციას გვაწვდის ამა თუ იმ სალექსო ეპიზოდის შესახებ. მრავალგვარია ასეთ შემთხვევებში წარმოდგენილი სათქმელის სემანტიკა: ზოგჯერ დაზუსტებულია მოქმედების დრო, ვითარება თუ მიზეზი; ხშირად წარმოჩენილია პოეტის დამოკიდებულება ნათქვამის შესახებ. გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ფრჩხილებში მიეთითება ყოფითი სურათის ამსახველი დეტალები და სხვ.

ყველაზე ხშირად ფრჩხილებში წარმოდგენილია პოეტისეული კომენტარი:

„ოცი წლის წინათ, —
არ მესმოდა როცა სიბერე
(**ხეირიანად**, **კაცმა რომ თქვას**
არც ახლა მესმის)...“

ზოგჯერ კი დაზუსტებულია მიზეზის როგორობა:

„ზუსტად იმგვარი,
ზუსტად ისეთი
(**ყველა სიგლახის როა მიზეზი**), —
სუყველაფერზე თავის კატუნი,
საქციელია არაქართული!“

ერთ-ერთ ლექსში სწორედ დამატებითი ინფორმაციის სახით მიეთითება ღვინისა და წვიმის ჰარმონიულობის შესახებ:

„ — არა!
იქნება არ მოგწონს!
კი ნუ გრცხვენია, —
თქვი...
(**ლაპარაკია ღვინოზე**,
როგორც აღვნიშნეთ —
წვიმს...
ღვინო კი,
მოგეხსენებათ
კარგია, **როცა წვიმს**).“

ზოგჯერ პოეტი ფრჩხილებში მიანიშნებს იმის შესახებ, რომ ნათქვამი ხუმრობა იყო:

„თუ ვერ ჩავატან გემოს
შენს ჰაერსა და ღვინოს,
ღმერთმა შენც შეგარცხვინოს
და შენი შავი ღვინოც!
(**გეხუმრე**, — **არ გეწყინოს**).“

ფრჩხილებში გამოხატულია გაოცებაც:

„თავმჯდომარე ორატორებს უხმობს სიით
და...
გარეშე ყოველგვარი ხათრის, —
განსწავლულის (**ეს რა ვნახე**!) პრეტენზიით —
ტრიბუნაზე
უწიგნური
ადის.“

როგორც ითქვა, ფრჩხილებში დაზუსტებულია მოქმედების დროც:

„დგას ქვის მაგიდა.
მაგიდაზეა პატარა გობი.
გობზე
ფრიალა თეფშებით ხელში
(**ეს ხდება ხოლმე ივლისის თვეში**) —
პარკილობიოს კეპავს მამიდა.“

ფრჩხილებშივეა გამოთქმული ირონიანარევი ეჭვი:

„ერთი კაცია
(**კაცია ვითომ**?!)
ცდილობს, თუნდ ძაღლებრ,
იცოცხლოს ოღონდ...
ის როგორც ფიქრობს,
შენც ისე ფიქრობ,
ხარ კიდეც ისე,
გეკუთვნის როგორც.“

ფრჩხილებში ვხვდებით პირობით დამოკიდებულ წინადადებებსაც:

„კარგია, კაცი აივანზე ნებივრად იჯდე —
და გაჰყურებდე: მზე ქუჩაში იღვრება როგორ.
ხედავდე ბიჭებს (**თუ ქალი ხარ**), ახოვან ბიჭებს!
ხედავდე გოგოს
(**თუ კაცი ხარ**),
ხორციან გოგოს!“

ზოგჯერ ფრჩხილებში მითითებულია ადრესატი თუ მრავალგზისობა მოქმედებისა:

„თუ გაწყრა ღმერთი
და ჩვენი ყანა
მოაკალოვა მეზობლის ღორმა
(**რაც არა ერთხელ ხდება**),
მამიდა ვინმეს დაზოგავს განა?
ფილთაქვასავით იფეთქებს ხოლმე,
„მიწას აყრის“ და
„მარხავს“ მთელ სოფელს
(**განსაკუთრებით ახლო მეზობლებს**),
მაგრამ არავინ კვდება.“

მშობლიური ენის წვდომის იშვიათ უნარს, სათქმელის საოცარ სილაღეს, გამორჩეულ იუმორსა თუ ირონიას, ყოფითი მოვლენების ლექსობრივ რეალიზაციას და, რაც მთავარია, ვირტუოზულ პოეტურ ტექნიკას მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში, როგორც ჩანს, არცთუ იშვიათად ფრაზის სინტაქსური თუ სტილისტიკური თავისებურებაც განაპირობებს.

ერთ-ერთ ლექსში, რომელიც იესოს ეძღვნება, სწორედ ფრჩხილებში წარმოდგენილი დამატებითი ფრაზით არის ნათქვამი განსხვავებული „ფრთე-

ბის გაშლის“ შესახებ, რომელიც არ ჰგავს არანაირ სხვა ფრენასა თუ ზეცად აღსვლას:

„თუ არ დააძღა შენსას იარებს
გაუმაძღარი ყორანი შავი,
ფრთებს თუ არ გაშლი
(**ორბებრ კი არა**), —
ფრთებს თუ არ გაშლი
იესოსავით:
ვერ ახვალ ცაში,
ვერ ახვალ ცაში, —
მუცლით იხოხებ მიწაზე მაშინ.
გარეშე ჯვარცმის,
გარეშე ჯვარცმის,
ჯერ არ ასულა არავინ ცაში.
ცად მხოლოდ მაშინ ადის მგოსანი, —
ფრთებს როცა გაშლის
იესოსავით.“

ფრთაგაშლილი ავიდა ზეცად დიდი მუხრანი.

ლიტერატურა

მაჭავარიანი 2007 — მ. მაჭავარიანი, თხზულებანი ოთხ ტომად, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი.

TAMAR VASHAKIDZE

Towards the Poetic-Stylistic Peculiarities in Mukhran Machavariani's Works

S u m m a r y

The article analyzes some poetic-stylistic tools characterized of Mukhran Machavariani's poetry: 1. Dialectisms which are often used by the poet for poetic effect and rhythm gives a peculiar colour to the poet's rhyme speech that is distinguishid by peculiar, carefreeness and diversity characteristic of only Mukhran; 2. Mukhran

Machavariani's poetic phrase should be discussed separately. Its peculiarity is revealed in non-ordinal structure of words order, as well. I take into account an inversive structure of link words of main and subordinate clauses; 3. In Mukhran Machavariani's verses there often occur phrases in brackets which give additional information on this or that verse episode. Semantics of saying of such kind is verious: sometimes acting time, condition and reason is defined. The poet's attitude towards what is said is often manifested. There are such cases when details reflecting a life picture are indicated in the brackets and others.

XXXIX 2011

ციცინო კვანტალიანი

ზოგი ზმნური ფუძე და ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება

(ნიუანსობრივი სხვაობით გამოვლენილი)

აღსანიშნავია, რომ ზმნისწინისა და ზმნური ფუძის ურთიერთმიმართების შესწავლით დადასტურდა, რომ სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით გამოყენებული ზმნისწინები სამ ჯგუფად იყოფა.

სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით გამოყენებული ზმნისწინი

1. ზმნით გამოხატულ მოქმედებას აძლევს სხვადასხვა ნიუანსობრივ დატვირთვას: **მოწამლავს — შეწამლავს, მოიგონებს — გამოიგონებს...** ზმნისწინი ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას ნიუანსობრივად ცვლის თითქმის ყველა ზმნურ ფუძეში, რომელიც საკმაოდ ბევრ ზმნისწინს დაირთავს.

2. წარმოქმნის ანტონიმებს — მნიშვნელობით საპირისპირო ფორმებს: **მოაშენებს — გადააშენებს, ჩარიცხავს — გარიცხავს, დაასახლებს — გადაასახლებს, ჩართავს — გამორთავს, მიართმევს — წაართმევს, დართავს — გადართავს** და ა.შ.

3. წარმოქმნის ლექსიკურად სრულიად განსხვავებულ ფორმებს.ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ასეთი სრული ცვლილება დღევანდელ ქართულში საკმაოდ ხშირია: **დაადგენს — აღადგენს — შეადგენს — წარადგენს — წარმოადგენს, განიკითხავს — მოიკითხავს — წაიკითხავს — გაიკითხავს; დაკრძალავს — აღკრძალავს, აღნუსხავს — მონუსხავს** და ა.შ.

ეს ჯგუფები ჯერ კიდევ ბ. ჯორბენაძემ გამოყო (ჯორბენაძე 1985 : 48).

ეს კლასიფიკაცია ჩვენთვის მისაღებია. ამ სახეობიდან უმეტესად ჩვენ განვიხილავდით მე-3 სახეობას, როდესაც ზმნისწინი წარმოქმნის ლექსიკურად სრულიად განსხვავებულ ფორმებს, ახლა კი გვინდა განვიხილოთ I სახეობა ანუ ის შემთხვევები, როდესაც ზმნისწინი ზმნით გამოხატულ მოქმედებას აძლევს სხვადასხვა ნიუანსობრივ დატვირთვას. მაგალითად, **რიდ** ზმნური ფუძე და სხვადასხვა ზმნისწინით ნაწარმოები ზმნური თუ სახელზმნური ფორმები: **აარიდებს — აირიდებს — აერიდება, არიდება, არიდებული, ასარიდებელი.** ამ ზმნური ფორმებით გადმოცემულ მნიშვნელობებს სათითაოდ, ცალკე, თითოეული ფორმის მიხედვით არ განვიხილავთ. ძირითადად ამ ფორმებით გადმოცემულია მნიშვნელობა: რაიმე არასასიამოვნოს, არასასურველის აცილება, აშორება.

უსიამოვნება **აირიდა**

საფრთხეს **აარიდებს**

უბედურებას **აერიდა**

გაარიდებს — გაერიდება, გარიდება, გარიდებული. ძირითადად ამ ფორმებით გადმოცემულია მნიშვნელობა: რაიმედან განზე გადგომა, გაცლა:

საფრთეს **გაერიდა**

შვილი მტრებს **გაარიდა**

იქაურობას **გაერიდა**

ამავე მნიშვნელობას გადმოსცემს **გამო-** ზმნისწინით ნაწარმოები ფორმები: **გამოარიდებს — გამოერიდება, გამორიდება, გამორიდებული, გამოსარიდებელი.** ე.ი აქაც გადმოცემულია რაიმე არასასიამოვნოს, არასასურველის აცილება, აშორება.

ამათგან განსხვავებულია და მნიშვნელობით ცალკე დგას **მოარიდებს, მოერიდება, მორიდებული, მოსარიდებელი** ფორმები.

უკვე ამ ზმნისწინით ნაწარმოები ფორმები პოლისემიური მნიშვნელობისაა. მნიშვნელობის განსხვავება ხდება მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებში. მოქმედებითი გვარის ნეიტრალურქცევიანი **მოარიდებს** ფორმა გადმოსცემს იმავე მნიშვნელობას, რასაც **გაარიდებს:** არასასიამოვნოს, არასასურველს ააცილებს, ააშორებს, ენიანი ვნებითის ფორმა **მოერიდება** კი გადმოსცემს—დაიმორცხვებს, მოეკრძალება მნიშვნელობას.

უზმნისწინო ფორმებს **არიდებს, ირიდებს** ძირითადად **აარიდებს, გაარიდებს** ზმნებით გადმოცემული მნიშვნელობა ეწარმოებათ, ვნებითი გვარის ფორმას კი აქვს დამორცხვების, მოკრძალების მნიშვნელობა: **ერიდება=მოერიდება; არიდებს = აარიდებს.**



რიდ ზმნურ ფუძესთან ძირითადად გამოიყენება **ა-, გა-, გამო-, მო-** ზმნისწინები. გვაქვს **არიდება, გარიდება, გამორიდება, მორიდება** მასდარები და შესაბამისი ზმნური ფორმები. აქ თითოეული ზმნისწინი ზმნურ ფორმას სწორედ თავის მნიშვნელობას აძლევს და ამდენად ეს ზმნები ლექსიკურ მნიშვნელობებს ნიუანსობრივად განასხვავებენ.

ძალიან საინტერესოა **რჩევ** ზმნური ფუძე და მასთან დაკავშირებული ზმნისწინები: აქტიურია **ა-**, **ამო-, გა-, გადა-, გამო-, და-, შე-** ზმნისწინებით ნაწარმოები ფორმები.

ამო- ზმნისწინით იწარმოება **ამოარჩევს, ამოირჩევს, ამოურჩევს, ამოირჩევა, ამორჩევა, ამორჩეული, ამოსარჩევი** ფორმები.

ამ ზმნისწინით ზმნურ და სახელზმნურ ფორმებს ერთი მნიშვნელობა ეწარმოებათ: მრავლიდან სასურველის, საჭიროს გამოყოფა, გამოცალკევება, აღება.

საკაბე **ამოარჩია**

წიგნი **ამოირჩია**

ვაშლები **ამოურჩია**

ამორჩევა იცის

ამორჩეული სასიძო.

ა- ზმნისწინით იწარმოება: **აარჩევს, აირჩევს, აურჩევს, არჩევა, არჩეული, ასარჩევი** ფორმები. ამ ზმნისწინიან ფორმებს პოლისემიური მნიშვნელობა აქვს; ეწარმოებათ 2 მნიშვნელობა:

1. იგივე მნიშვნელობა, რაც **ამორჩევა, ამოარჩევს** ფორმებს აქვს: მრავლიდან სასურველის, საჭიროს გამოყოფა, გამოცალკევება:

ჩანთა **აარჩია,** წიგნები **აურჩია,** საკაბე **აირჩია.**

2. ვინმეს / რამეს უპირატესობას მიანიჭებს, უმეტესად ხმის მიცემით:

დეპუტატები **აირჩიეს,** პარლამენტი **აირჩიეს, არჩეული** თავმჯდომარე**, ასარჩევი** კანდიდატები.

გადა- ზმნისწინით იწარმოება **გადაარჩევს, გადაირჩევს, გადაურჩევს, გადაირჩევა, გადარჩევა, გადარჩეული, გადასარჩევი** ფორმები. **გადა-** ზმნისწინიან ფორმებს ორი მნიშვნელობა გამოეყოფათ:

1. მრავლიდან რამდენიმე სასურველის გამოცალკევება, დახარისხება:

წიგნები **გადაარჩია,** ტანსაცმელი თავისთვის **გადაირჩია, გადარჩევა** დაიწყო, **გადარჩეული** ვაშლები, **გადასარჩევი** ნივთები.

2. ხელახლა არჩევა:

პარლამენტის **გადარჩევა,** თავმჯდომარე **გადაირჩიეს.**

გამო- ზმნისწინით იწარმოება **გამოარჩევს, გამორჩევა, გამორჩეული, გამოსარჩევი** ფორმები. **გამო-** ზმნისწინით გადმოიცემა მნიშვნელობა: სხვებს შორის რაღაც ნიშნით საუკეთესოს გამოყოფს, გამოაცალკევებს:

სხვებს შორის **გამოარჩია,** უკეთესი **გამოარჩია.**

ამ მნიშვნელობას მკაფიოდ წარმოაჩენს მიმღეობა **გამორჩეული:**

გამორჩეული პიროვნება, **გამოსარჩევი** ქალი.

უფრო რთული ვითარება გვაქვს **გა-**ზმნისწინიან ფორმებთან: **გაარჩევს, გაირჩევს, გაურჩევს, გარჩევა, გარჩეული, გასარჩევი.** აქ გამოიყოფა 4 მნიშვნელობა:

1. ნაჭუჭს, ქერქს მოაცილებს:

ლობიო **გაარჩია,** სიმინდი **გაარჩია.**

2. საქმეს, თხზულებას და მისთ. განიხილავს, გაანალიზებს:

სასამართლოში საქმე **გაარჩიეს,** მოთხრობა **გაარჩია.**

3. სხვებისგან განასხვავებს, გამოყოფს:

ტყუპებს ვერ **გაარჩევ,** ერთმანეთისაგან ძლივს **გაირჩევა.**

4. გამოიცნობს, შეამჩნევს (სმენით, სუნით, თვალით და სხვ.):

ფერები ვერ **გაარჩია,** სიბნელეში კარგად **გაარჩია.**

სახელზმნურ ფორმებში ოთხივე მნიშვნელობაა ასახული:

საქმის **გარჩევა,** ლობიოს **გარჩევა,** ხალხის **გარჩევა,** ფერების **გარჩევა. გარჩეული** თხზულება, **გარჩეული** სიმინდი, **გარჩეული** ფერები და ა.შ.

და- ზმნისწინით იწარმოება **დაარჩევს, დაირჩევა, დარჩევა, დარჩეული, დასარჩევი** ფორმები. გამოიყოფა ორი მნიშვნელობა:

1. მრავლისაგან ბევრ რჩეულს, საუკეთესოს გამოყოფს:

500 რჩეული მხედარი **დაარჩიეს,** საუკეთესო ვაჟკაცები **დაარჩიეს.**

2. გააცალკევებს, გამოყოფს (კარგისაგან ცუდს):

დარჩეული ბიჭები, ბრინჯი **დაარჩია, დარჩეული** ნუში, **დასარჩევი** მწვანილი.

შე- ზმნისწინით იწარმოება **შეარჩევს, შეირჩევს. შეურჩევს, შერჩევა, შერჩეული, შესარჩევი** ფორმები. გამოიყოფა ორი მნიშვნელობა:

1. სხვებს შორის რაიმე ნიშნით გამოყოფს, გამოაცალკავებს:

ვაზის ჯიშები **შეარჩიეს,** ბავშვს წიგნები **შეურჩია,** კონკურსანტები **შეარჩიეს.**

2. შესაფერისს, საჭიროს გამოყოფს:

შესაფერი დრო **შეარჩიეს,** სახელი **შეურჩიეს.** ბუნებრივი **შერჩევა, შერჩეული** ჯიშები, **შესარჩევი** მასალა.

აღსანიშნავია, რომ თავისთავად უზმნისწინო **არჩევს, ირჩევს, ურჩევს** ფორმები გარჩეულია მნიშვნელობებით. **არჩევს** ფორმას აქვს ორი მნიშვნელობა: არის **აარჩევს** და **გაარჩევს** ზმნების საზიარო აწმყო:

კაბას **არჩევს** და კაბა **აარჩია,** ტექსტს **არჩევს** და ტექსტი **გაარჩია.**



ირჩევს ფორმას ერთი მნიშვნელობა ეწარმოება: იგივეა, რაც **ამოირჩევს:**

ირჩევს — ამოირჩია

წიგნებს **ირჩევს** = წიგნები **ამოირჩია.**

რაც შეეხება **ურჩევს** ფორმას, მას მხოლოდ ერთი, თანაც ამათგან განსხვავებული მნიშვნელობა ეწარმოება. ეს არის — დარიგებას, რჩევას მისცემს:

დედამ **ურჩია.** შვილს კარგს **ურჩევს.**

ეს მნიშვნელობა უზმნისწინოდ გადმოიცემა. სამივე ქცევის ფორმას ერთმანეთისაგან განსხვავებული მნიშვნელობები ეწარმოებათ. ზმნისწინები ამ მნიშვნელობებს მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ნიუანსობრივ დატვირთვას აძლე-

ვენ.

ძალიან მოკლედ შევეხებით ასევე საინტერესო **ცილ** ზმნურ ფუძეს. მნიშვნელობების გამოსაკვეთად ჩამოვთვლით მასდარებს: **აცილება, გაცილება, გადაცილება, გადმოცილება, გამოცილება, დაცილება, შეცილება, შემოცილება, ჩაცილება, ჩამოცილება.**

ა-ზმნისწინიან ფორმებში მნიშვნელობა ქცევის მიხედვით განსხვავდება: ნეიტრალური და სუბიექტური ქცევა სხვადასხვა მნიშვნელობას უჩვენებს:

ააცილებს — ვინმეს ზემოთ აჰყვება.

აიცილებს — აირიდებს, აიშორებს (უბედურებას, ხიფათს).

ამ ზმნურ ფუძეს ძირითადად ეწარმოება დონიანი ვნებითი: **ასცილდება** ხიფათი, უბედურება.

თუ **ა-**ზმნისწინიან ფორმებში მნიშვნელობას ქცევები განასხვავებს, **გა-** ზმნისწინიან ფორმებში მნიშვნელობა გვარის — მოქმედებითი-ვნებითის დონეზე იცვლება. მოქმედებითი გვარის ფორმას — **გააცილებს** — აქვს მნიშვნელობა „გაჰყვება გარკვეულ პუნქტამდე“.

დონიანი ვნებითის ფორმა მნიშვნელობით განსხვავებულია: **გასცილდება** მნიშვნელობით აღნიშნავს გაეყრება, გაშორდებას.

გადა- ზმნისწინიან ფორმებში მნიშვნელობის ცვლას ზმნისწინი განაპირობებს:

1. **გადააცილებს** ნიშნავს გადააშორებს, გადავა (გარკვეულ მანძილზე, საზღვარზე).

2. განსხვავებულ მნიშვნელობას აწარმოებს დონიანი ვნებითის ფორმა:

გადასცილდება — გადააჭარბებს, გადააცდენს (ზომას, დროს).

უმეტესად **ცილ** ზმნური ფუძის მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებს ზემოთ წარმოდგენილი განსხვავებული მნიშვნელობები ეწარმოება: **დააცილებს — დასცილდება, გამოაცილებს — გამოსცილდება, მოაცილებს — მოსცილდება, ჩააცილებს — ჩასცილდება, ჩამოსცილდება — ჩამოაცილებს, შეაცილებს — შესცილდება.** ამ უკანასკნელ ზმნას განსხვავებული მნიშვნელობა გამოეყოფა: რაიმეს წაართმევს, მიიტაცებს.

ნაკვეთში **შეეცილა,** ქონებაში **შეეცილა.**

ძირითადად **ცილ** ზმნური ფუძის სხვადასხვაზმნისწინიან ფორმებში გამოიკვეთა **გაყოლა, გაცილებისა და მოშორება, დაცალკევების** მნიშვნელობა, რაც უზმნისწინო ფორმებსაც ეწარმოება.

აცილებს — გზაზე გაჰყვება ვინმეს.

იცილებს — ვინმეს, რამეს მოიშორებს.

სცილდება — ისევ მოშორდება, დაშორდება.

ძირითადად, უზმნისწინო ფორმებით გადმოცემული მნიშვნელობები სხვადასხვა ზმნისწინის დართვით სხვადასხვაგვარ ნიუანსობრივ დატვირთვას იღებს: **აცილება, გაცილება, დაცილება, მიცილება, მოცილება, შეცილება, შემოცილება, ჩაცილება, ჩამოცილება** ფორმებში ზმნისწინები უზ-

მნისწინოდ გადმოცემულ მნიშვნელობებს უფრო აკონკრეტებს, აზუსტებს და სხვადასხვაგვარ ნიუანსობრივ დატვირთვას აძლევს. ასე იყო **რიდ** და **რჩევ** ზმნურ ფუძეებთან.

ამგვარი ნიუანსობრივი მნიშვნელობებით განსხვავებული ზმნური ფორმები ქართულში საკმაოდ ბევრია, უფრო მეტი, ვიდრე ისეთი ფორმები,რომლებშიც ზმნისწინი უფრო მკვეთრად ასხვავებს მნიშვნელობებს, მაგალითად: **აღმოჩენა — გაჩენა — გამოჩენა, დაჩენა — მიჩენა — შეჩენა — შემოჩენა; აღკვეთა — განკვეთა — გაკვეთა — მოკვეთა — დაკვეთა შეკვეთა.**

ეს კიდევ მეტად განამტკიცებს მოსაზრებას, რომ „ხშირად ზმნისწინი სხვადასხვა სიტუაციიდან გამომდინარე ზმნაში რამდენიმე მიახლოებულ, თანამდევ მნიშვნელობას აჩენს. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, ზმნისწინი ზმნას თითქმის ყოველთვის უცვლის მნიშვნელობას" (კვანტალიანი 2001 : 150).

ლიტერატურა

გოგოლაშვილი 1989 — გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბილისი.

კვანტალიანი 2001 — ც. კვანტალიანი, ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება ახალ ქართულში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი.

ჯორბენაძე 1985 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბილისი.

TSITSINO KVANTALIANI

Some Verbal Stems and Word-Forming Task of an Adverb

(Revealed through nuance difference)

S u m m a r y

The paper discusses such cases, when an adverb gives different nuance meaning to an action expressed by a verb. At present I'll discuss three stems: **rid**, **rčev**, **cil** and verbal and deverbative nominal forms derived by different adverbs and their different meanings.

E. g.: at the stem **cil** the meanings expressed through non-adverbial forms have different nuance meaning by adding the different adverbs: in **acileba, gacileba, dacileba, micileba, mocileba, šecileba, šemocileba, čacileba, čamocileba**, forms adverbs specify, define the meanings expressed without adverbs and give them different nuance meaning. These cases are discussed separately. An analogous situation is revealed at the **rid** and **rčev** stems.

In Georgian the verbal forms difference by such nuance meanings are many, more

then the forms in which an adverb makes clear difference of meanings such as: **aγmočena – gačena – gamočena – dačena – mičena – šečena – šemočena**; **aγḳveta – ganḳveta – gaḳveta – moḳveta – daḳveta – šeḳveta**.

This supports my standpoint, that an adverb often manifests some close, accompanying meaning in a verb insuing from the situation. Owing to this, I can say: an adverb almost always changes a verb's meaning.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXXIX 2011

რომან ლომლია

ფარინგალიზაციის საკითხისათვის უდიურ ენაში

1. ფარინგალიზებული ხმოვნების საკითხისათვის უდიურ ენაში[1]

უდიური ენის მეცნიერული შესწავლის პირველი ცდებიდან (XIX ს.-ის მეორე ნახევარი) მოყოლებული თითქმის ყველა მკვლევარი აღნიშნავს მასში ფარინგალიზებულ ხმოვნებს. მეორე რიგის ხმოვნებს (**Აˤ**, **Ოˤ**, **Უˤ**) უდიურში იმოწმებს ამ ენის პირველი მკვლევარი ა. შიფნერი. იგივე სურათი გვხვდება ა. დირის ნაშრომებში უდიურის შესახებ[2]. ეს სამი ხმოვანი ასევე წარმოდგენილია უდიურ ზღაპარში „რუსტამი“ (უდიური ზღაპარი „რუსტამი“, 1888), ხოლო „უდიური ოთხთავის“ ტექსტში უკვე ხუთი ფარინგალიზებული ხმოვანი გვაქვს (**Აˤ**, **Ეˤ**, **Იˤ**, **Ოˤ**, **Უˤ**) [„უდიური ოთხთავი“, 1902]; ასეთივე ვითარებაა უდიურ საანბანო წიგნშიც „სამჯი დᲐს“ („სამჯი დᲐს“ 1934)[3]. ვლ. ფანჩვიძისა

---

[1] შესიტყვებას „ფარინგალიზებული ხმოვნები“ ვიყენებთ პირობითად. იზრდება იმ მკვლევართა რიცხვი, ვინც, გ. დეეტერსის მსგავსად, ფარინგალიზაციას განიხილავს არა სეგმენტურ, არამედ პროსოდიის თვისებად (იხ. ქვემოთ).

[2] როგორც ა. შიფნერს, ასევე ა. დირს სხვაგვარად აქვთ წარმოდგენილი ამ ხმოვანთა ბუნება.

ა. შიფნერი აღნიშნავს: „ჩემთვის ხელმისაწვდომი წყაროები ამ ხმოვანთა უფრო რბილ წარმოთქმას ადასტურებენ... ą წარმოითქმის თითქმის როგორც a ფრანგულ la-ში, ǫ როგორც eu heure სიტყვაში და ų როგორც u სიტყვაში une“ (შიფნერი 1863: 9).

ა. დირის განსაზღვრით: „ □, □-სა და ŷ-ს უჭირავთ საშუალო ადგილი. პირველს a-სა და ä-ს შორის, მეორეს o-სა და ö-ს შორის, მესამეს y-სა და ÿ-ს შორის“ (დირი 1904: 1).

მიუხედავად იმისა, რომ ა. დირი აღნიშნავს: „მეჩვენებოდა, რომ □, □-სა და ŷ-ს (განსაკუთრებით □-სა და ŷ-ს) ყოველთვის თან სდევს ძალიან სუსტი ხორხისმიერი ხმა“ (დირი 1904: 1, შენიშვნ.), მაინც საფიქრებელია, რომ აქ მკვლევარი არა ე. წ. ფარინგალიზებულ ხმოვნებს გულისხმობს, არამეს პოზიციურად შეპირობებულ ხმოვანთა ჯგუფს, რომელიც, მკვლევრის აზრით, მარტივი და უმლაუტიანი ხმოვნებისაგან განსხვავდებოდა.

ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ თანხმოვანთა ტაბულაში ა. დირს მოყვანილი აქვს **ʾ** ნიშანი, რომელიც მკვლევრის დახასიათებით „არის მსუბუქი ხორხისმიერი ბგერა, არაბული „ჰამზე“-ს მსგავსი; ის არამარტო სიტყვის დასაწყისში გვხვდება, არამედ სიტყვის შიგნითაც და ამ შემთხვევაში, ის აძლევს მომდევნო ხმოვანს უფრო ხორხისმიერ ხასიათს, მაგ.: **მ’ელ** „თაგვი“ (*მეˤლ*), **მ’□ін** „შავი“ (*მაˤან*), **п’□** „ორი“ (*პაʔ*) (დირი 1904: 2-3). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ა. დირი ფარინგალიზაციას არ განიხილავს როგორც ხმოვნის სეგმენტურ თვისებას, არამედ კონკრეტულ სპეციფიკურ თანხმოვანს მიაწერს.

[3] უდიურ საანბანო-საკითხავ წიგნში ფარინგალიზაციის აღნიშვნის პრინციპი გარკვევას საჭიროებს. ფარინგალიზაცია ამ სახელმძღვანელოში გადმოიცემა **h** ნიშნის მეშვეობით, რომელიც

და ევგ. ჯეირანიშვილის ნაშრომებში უდიურის შესახებ ასევე წარმოდგენილია ხუთი ფარინგალიზებული ხმოვანი (**აˤ**, **ეˤ**, **იˤ**, **ოˤ**, **უˤ**). ვ. გუკასიანი ნიჯის დიალექტში მათ რიგს უმატებს **გˤ**-ს (გუკასიანი 1963: 80). ფარინგალიზებულ ხმოვნებს უდიურ მასალაში ა. ჰარისი (ჰარისი 2002), ვ. შულცე (შულცე 1982) და სხვა მკვლევრებიც აღნიშნავენ.

გარკვევას მოითხოვს თვით ფარინგალიზაციისა და ფარინგალიზებული ხმოვნების რაობის საკითხი. ფარინგალიზაციიის მიზეზთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. ევგ. ჯეირანიშვილმა რუთულურის, წახურისა და უდიურის ფარინგალიზებულების საკითხს მიუძღვნა სპეციალური წერილი, სადაც რენტგენოგრაფიულ მონაცემთა საფუძველზე მიიჩნია, რომ ამ ენებში ფარინგალიზაცია ხმოვნის თვისებაა და არა თანხმოვნისა. მკვლევარი წახურსა და რუთულურში ექვს ფარინგალიზებულ ხმოვანს გამოყოფს (**აˤ**, **ეˤ**, **იˤ**, **ოˤ**, **უˤ**, **გˤ**), ხოლო უდიურში, როგორც ზემოთ აღინიშნა, – ხუთს (**აˤ**, **ეˤ**, **იˤ**, **ოˤ**, **უˤ**) (ჯეირანიშვილი 1959: 339-359). ბ. თალიბოვი წახურში მხოლოდ ოთხ „გლოტალიზებულს“ (resp. ფარინგალიზებულს) იმოწმებს (**აˤ**, **იˤ**, **ოˤ**, **უˤ**) (თალიბოვი 1967: 592). დიდოურში, ჰინუხურსა და ხვარშიული ენის ინხოყვარულ დიალექტში ევგ. ბოკარევი ფარინგალიზებული ხმოვნების არსებობას აღნიშნავს (ბოკარევი 1959: 112; ბოკარევი 1967: 422), თუმცა დ. იმნაიშვილი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. მკვლევარი დიდოურსა (**ɻˀ**, **ʁˀ**, **ʒˀ**, **ɣˀ**) და ხვარშიული ენის ინხოყვარულ დიალექტში (**გˀ**, **ქˀ**, **კˀ**, **ჯˀ**) ფარინგალიზებულ თანხმოვნებს იმოწმებს (იმნაიშვილი 1963). ევგ. ბოკარევის აზრს ელ. ლომთაძეც არ იზიარებს. მკვლევრის აზრით, ხვარშიული ენის ინხოყვარულ დიალექტში ფარინგალური (**ჭ**, **ჰˤ**) და „ქვემოფარინგალური“ (**ʒˤ**, **ɣˤ**, **ɻˤ**) თანხმოვნები მოგვეპოვება (ლომთაძე 1998: 25). ნ. ტრუბეცკოი ხმოვანთა ფარინგალიზაციის მიზეზს „ემფატიკურად დარბილებულ“ თანხმოვნებს მიაწერს (ტრუბეცკოი 1931). ამ მოსაზრებას ალ. მაჰომეტოვი იზიარებს და დარგუული ენის კუბაჩურ დიალექტსა და თაბასარანულ ენაში ფარინგალიზებული თანხმოვნების არსებობას აღნიშნავს (მაჰომეტოვი 1963; მაჰომეტოვი 1965). საყურადღებოა, რომ თაბასარანულ ენაში ალ. მაჰომეტოვი ფარინგალიზებულ თანხმოვნებთან ერთად ფარინგალიზებულ ხმოვნებზეც მიუთითებს. სპეციალისტის აზრით, ფარინგალიზაცია ჩვეულებრივ მოუდის უკანა წარმოების თანხმოვნებს (ფარინგალურებს), ხოლო ხმოვანთაგან, ასევე უკანა რიგის ხმოვნებს (**ა**, **უ**). შესაბამისად, თაბასარანულში, როგორც მკვლევარს მიაჩნია, ხშირად ფარინგალიზებული მარცვალიც გვხვდება (მაჰომეტოვი 1965: 49-51).

ქმნის კომპლექსებს სხვადასხვა ხმოვანთან: **ħa**, **ħe**, **ħi**, **ħo**, **ħu**. კ. ბოუდას აზრით, „ახალი „საანბანო-წიგნი“ აღნიშნავს ემფატიკურად დარბილებულ თანხმოვნებს ... ლარინგალურობის ნიშნით, რასაც ჩვენ ɔ ნიშნით გადმოვცემთ“ (ბოუდა 1913: 61).

ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა ვლ. ფანჩვიძე. მისი აზრით, **h** ნიშანი ხმოვნის კუთვნილებას წარმოადგენს და არა დამოუკიდებელ თანხმოვანს (ფანჩვიძე 1974: 22).

უნდა აღინიშნოს, რომ ფარინგალიზაციისათვის დამახასიათებელი არტიკულაციის თავისებურებები ერთნაირად წარმოუდგენიათ იმ მკვლევრებს, ვინც ფარინგალიზებულ ხმოვნებს ფონემებად მიიჩნევს და იმათაც, ვინც ფარინგალიზებულებად თანხმოვნებს მიიჩნევს.

სრულიად განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა გ. დეეტერსმა. მისი აზრით, ფარინგალიზაცია არის თვისება, რომელიც ახასიათებს არა ცალკეულ ფონემას (თანხმოვანსა თუ ხმოვანს), არამედ მარცვალს, ანდა მთელ სიტყვას (დეეტერსი 1963: 33).[4] ამ მოსაზრებას დაეთანხმა არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა 1979: 62) და სხვა ზოგიერთი მკვლევარიც.

საყურადღებოა ს. კოძასოვის მოსაზრება. მკვლევარმა, უდიური ენის ფონოლოგიური სისტემის შესწავლის შემდეგ, მიიჩნია, რომ უდიურში ფარინგალიზაცია პროსოდიის თვისებას წარმოადგენს და მთელ სიტყვაზე ვრცელდება. ს. კოძასოვის აზრით, ფარინგალიზაციის პიკი მოუდის პირველ მარცვალს (ე.ი. ხმოვანს), ხოლო თუ სიტყვაში გვხვდება შიშინა, უვულარული ან ფარინგალური თანხმოვანი, მაშინ ფარინგალიზაციის მაქსიმუმი მასზე მოდის (კიბრიკი, კოძასოვი 1990: 347).

ჩვენი დაკვირვებით, ეს მოსაზრება გასაზიარებელია. სპეციალისტთა ჩანაწერები იმის შესახებ მეტყველებს, რომ უდიურში ფარინგალიზაცია მთელ სიტყვაზე ვრცელდება: დიდია იმ ორ ან მეტმარცვლიან ლექსემათა რიცხვი, სადაც, მკვლევართა აზრით, ყველა ხმოვანი ფარინგალიზებილია; მაგ.: *აʕწიʕლ* „შორეული“ (*ახʕილ*)[5]; *აʕდიʕნ* „საფუარი“ (*აʕდინ*); *აʕლაʕყოʕ* „დამუნჯებული“, „გა-

[4] გ. დეეტერსის აზრით, სისინა თანხმოვნების ფარინგალიზაცია შეუძლებელია, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ უდიურ ენაში სისინაც განიცდის ფარინგალიზაციას და მის მარცვალზე შეიძლება ფარინგალიზაციის მაქსიმუმიც მოდიოდეს (ანლაუტში), მაგ., *ცაყʕ* „ელვა“; *ცაყʕნაბედდალა[ყ]* „მაჟაურა“; *წოყʕ//წოხʕ//ცოყʕ* „ციყვი“; *წოლʕ [აღალა]* “თავსხმა წვიმა“, *საʕმი* „ტაბიკი“, *სახʕტიკ* „კოჭლი“; *ცაʕმდესუნ* „დასუსხვა“, „დაშუშხვა“; *წაʕვდალბულ* „წაბლი“; *წაʕვდეუხ* „წურბელები“; *წაʕფდეღსუნ* „ტაშის ცემა“; *წოʕლამპურ* „მხალი“...

[5] ფრჩხილებში მოცემულია ჩვენი ტრანსკრიფცია. უდიურ მასალაში ფარინგალიზაციის აღნიშვნისას ძირითადად ვხელმძვანელობდით ს. კოძასოვის მიერ შემოთავაზებული პრინციპით. ამ პრინციპის მიხედვით, თუ სიტყვაში არ არის შიშინა, ფარინგალური ან უვულარული თანხმოვანი, ფარინგალიზაციის აღმნიშვნელი ნიშანი დაერთვის პირველ ხმოვანს, ხოლო თუ გვაქვს დასახელებული თანხმოვნები, მაშინ ფარინგალიზაციის მაქსიმუმი სიტყვაში მოუდის პირველ მათგანს და ფარინგალიზაციის აღმნიშველი ნიშანი სწორედ ამ თანხმოვანს დაერთვის. ჩვენ მიერ ოდენ ფარინგალიზაციის მაქსიმუმის აღნიშვნა იმთავითვე მთლიანი სიტყვის ფარინგალიზებულობას გულისხმობს; მაგ., სიტყვა *პაʕ* „ორი“-ს ზუსტი ფონოლოგიური ტრანსკრიფცია უნდა ყოფილიყო *პʕაʕ*; სიტყვისა *კაʕკაპ – კʕაʕკაპ*; სიტყვისა *ბეღʕ – ბʕეʕღʕ*, ხოლო სიტყვისა *ჰʕოჯა – ჰʕოʕჯაʕ*, რაც, ბუნებრივია, ძალზე უხერხულ სატრანსკრიფციო სისტემას შექმნიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ უდიურის შესახებ ქართულენოვან სპეციალურ ლიტერატურაში (ვლ. ფანჩვიძე, ევგ. ჯეირანიშვილი და სხვა) ფარინგალიზებული ხმოვნებისათვის გამოყენებულია *ъ* დიაკრიტიკული ნიშანი, რომელიც ასევე ინტენსიური თანხმოვნებს აღნიშნავს. ს. კოძასოვის მიერ შემოთავაზებული სატრანსკრიფციო სისტემა კი მოითხოვს ფარინგალიზაციის აღმნიშვნელი ნიშნის გამოყენებას როგორც ხმოვნებთან, ისე თანხმოვნებთან. აქედან გამომდინარე, უდიურის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციულად მიღებული ნიშნის გამოყენება წარმოქმნიდა გაუგებრობას და გაართულებდა ფარინგალიზებული და ინტენსიური ბგერების (სხვა ლეზგიურ

ოგნებული“ (*ალაყ*ʳ*ო*);[6] *აʳლაʳმნაʳ* „ბროწეულის“ (*აʳლაʳმნაʳ-ხოდ* „ბროწეულის ხე“) (*აʳლამნა*);[7] *ბაʳვუʳყ* „დაფშვნილი“, „დაფხვნილი“ (*ბავუყ*ʳ); *ბაʳვუʳყეʳს* „დაფშვნა“, „დაფხვნა“ (*ბავუყ*ʳ*ეს*);[8] *ბეʳიʳნყ* „სიბნელე“, „ბნელი“ (*ბეინყ*ʳ); *ბეʳხიʳ* „გასიებული“ (*ბეხ*ʳ*ი*); *ბიʳღიʳ//ბგʳღგʳ* (ნიჯ.) „მძიმე“ (*ბიღ*ʳ*ი//ბგღ*ʳ*გ*);[9] *ბიʳღიʳნ* (ნიჯ. *ბგʳღგʳნ*) „შუა“, “შუათანა“ (*ბიღ*ʳ*ინ*); *ბოʳჯაʳლ* „ორი ფუტი“ (წონის ერთ.) (*ბოჯ*ʳ*ალ*); *გუʳგეʳლ* „ბუ“ (*გუ*ʳ*გელ*); *დაʳნყუʳლაʳ* „მოთენთილი“ (*დანყ*ʳ*ულა*);[10] *დგʳღაʳმიʳღაʳ* „გაჩაჩხვა“, „გაჩაჩხული“ (*დგღ*ʳ*ამიღა*); *დოʳფკაʳლ//დოʳმპაʳლ* „ჩინური ფანარი“ (მცენარე) (*დოʳფკალ//დოʳმპალ*); *დოʳშაʳლ* „წყვილი აბრეშუმის პარკი“ (*დოშ*ʳ*ალ*);[11] *ეʳქეʳნ* „მხედარი“ (*ეʳქენ*);[12] *თოʳხაʳნ* (ვართ.) „ლეღვი“ (*თოხ*ʳ*ან*); *იʳვეʳლ* „წმინდა“, სიწმინდე“ (*იʳველ*); *იʳდაʳღ* „პიურე“ (*იდაღ*ʳ); *კაʳკაʳპ* „მუხლი“ (*კაʳკაპ*); *კაʳნკაʳლ* „თოვლის გუნდა“ (*კაʳნკალ*); *კაʳნკუʳლეʳნ-ბაქეს* „გუნდად გადაქცევა“ (*კაʳნკუʳლეʳნ-ბაქეს*); *ლაʳღაʳრ* (ნიჯ.) „მღვრიე“ (*ლაღ*ʳ*არ*); *ლაʳნგლაʳგ* „წერო“ (*ლაʳნგლაგ*); *მაʳიʳნ* (ნიჯ. *მაʳდიʳნ*) „შავი“ (*მაʳინ*); *მაʳფმაʳიʳნ* (ნიჯ. *მაʳფმაʳდიʳნ*) „სულ შავი“ (*მაʳფმაინ*); *მაʳხაʳ* „მუჭა“, „ხელის გული“ (*მახ*ʳ*ა*); *მეʳმეʳლ* „ჭია (საქონლის)“ (*მეʳმელ*); *მუʳყაʳ* „რქა“ (*მუყ*ʳ*ა*); *მუʳყაʳლაʳ* „რქიანი“ (*მუყ*ʳ*ალა*);[13] *მუʳყიʳდ* „ვახშამი“ (*მუყ*ʳ*იდ*); *მუʳჯაʳლ* „სამტვრევი დაფა“ (*მუჯ*ʳ*ალ*); *მუʳჯუʳ* „სიძე“ (*მუჯ*ʳ*უ*); *მუʳშუʳლ* „ფიცარი (თხელი)“ (*მუშ*ʳ*ულ*); *ნაʳვაʳლაʳ* „ფაფისებრი მასა“ (*ნაʳვალა*); *ნეʳიʳშ* „მსხვერპლი“, „მონა“ (*ნეიშ*ʳ);

და დაღესტნურ ენათა მასალაში) გარჩევას. ამის გამო ფარინგალიზაციის აღსანიშნავად ვიყენებთ ʳ ნიშანს, რომელიც უკვე გვხვდება სპეციალურ ლიტერატურაში ამ ფუნქციით (ვ. შულცე და სხვა).

ფარინგალიზაციის აღნიშვნისას გარკვეულწილად მორფოლოგიური პრინციპითაც ვხელმძღვანელობთ. მხედველობაში არ მიიღება არაფუძისეული შიშინა, უვულარული და ფარინგალური თანხმოვნები, ანუ თუ სიტყვაში ფუძის გარეთ მოგვეპოვება რომელიმე მათგანი, ასეთ შემთხვევაში, ფარინგალიზაციას აღმნიშვნელი დიაკრიტიკა მაინც ფუძის პირველ ხმოვანს დაერთვის. ასევე, ჩვენი დაკვირვებით, პირის ნიშნები ხელს უშლის ფარინგალიზაციის გავრცობას, მაგ., *ულʳ-ეს* „სმა“; *უ-ნუ-ღʳ-ესა* „სვამს“ (-**ნე** — 3SG). ფონოლოგიური თვალსაზრისით უფრო უპრიანი იქნებოდა ეს ფორმა ასეთი სახით გადმოგვეცა: **უʳ***ნეღესა*; მაგრამ აქაც და მსგავს მაგალითებშიც, ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, ფუძე ერთი და იგივე ფორმითაა გადმოცემული.

ფარინგალიზაციის აღმნიშვნელი ნიშანი დაერთვის შემდეგ ბგერებს: **ა, ე, ი, ო, უ; ღ, ხ; ჯ, ყ**; შესაბამისად, შესაძლებელია შემდეგი გრაფიკული კომბინაციები: **აʳ, ეʳ, იʳ, ოʳ, უʳ; ღʳ, ხʳ; ჯʳ, ყʳ**.

[6] ბოლოკიდური -**ო** ელემენტი მასუბსტანტივებელ სუფიქსს წარმოადგენს.

[7] ბოლოკიდური -**ა** (< -**ად**) ამ მაგალითში გენიტივის ფორმანტია.

[8] -**ეს** სუფიქსი მასდარი I-ის მაწარმოებელია.

[9] -**ი** ამ მაგალითებში (*ბეხ*ʳ-**ი** და *ბიღ*ʳ-**ი**) სრული სახის მიმღეობის მაწარმოებელს წარმოადგენს.

[10] -**ლა** ზედსართავის მაწარმოებელი აფიქსია. მნიშვნელობით ქართულ -**იან**, -**იერ**, -**ოვან** სუფიქსებს უდრის.

[11] ბოლოკიდური -**ალ** ელემენტი ამ მაგალითებში დერივაციული აფიქსია, რომელიც წარმოშობით უსრული სახის მიმღეობის ფორმანტს წარმოადგენს.

[12] -**ენ** ამ მაგალითში დერივაციული აფიქსია, წარმოშობით ინსტრუმენტალისის ფორმანტი უნდა იყოს, შდრ., *ეʳქ* „ცხენი“.

[13] -**ლა** ზედსართავის მაწარმოებელი აფიქსია.

ნეʼპნერʼშოᵣᵣᵊმ „მთლიანად ყვითელი“ (*ნეპნეშʼუმ*); *ოʼნერʼ* „ტირილი“ (*ოʼნე*); *ოʼყეʼღნ//უʼყეʼნ* „ძვალი“ (*ოყეღნ//უყენ*); *ოʼხაʼლ* „ნადირობა“ (*ოხაʼლ*); *ოʼხერʼღლ* „მაწონი“ (*ოხʼეღლ*); *პაʼდოʼპკაʼლ* „ორლულიანი თოფი“ (*პაʼდოპკალ*); *პაʼყაʼთ* „მოღუნვა“ (*პაყʼათ*); *პაʼპიʼ* „ხოხვა (ბავშვის)“ (*პაʼპი*); *პერʼმპერʼლ* „ქვერცხის ნაჭუჭი“ (*პერʼმპელ*); *პოʼღოʼ-პოʼღოʼ* „ორ-ორი“ (*პოʼღო-პოʼღო*); *საʼნჯიʼ* „ერთნახევარი“ (*სანჯʼი*); *ტიʼტიʼპ* (ნიჯ.) „ველური ბროწეული“ (*ტიʼტიპ*); *ტოʼღოʼლ* „ახლოს“, „შუა“, „შორის“ (*ტოღʼოლ*); *უʼყნაʼ* „კაკლის“ (*უʼყნაʼ-ხოდ* „კაკლის ხე“) (*უყʼნა*);[14] *უʼჯიʼნჯიʼ* „ექვსნახევარი“ (*უჯʼინჯი*); *ფოʼლოʼს* „ცეცხლის დანთება“ (*ფოʼლოს*); *ქიʼქოʼდიʼნ//ქუʼქეʼიʼნ* „ბუზანკალი“ (*ქიʼქოდინ//ქუʼქეინ*); *ქოʼყუʼნ* (ნიჯ.) „ჩირი“ (*ქოყʼუნ*); *ღაʼინაʼ* „ყვავი“ (*ღʼაინა*); *ღაʼღაʼლ* „აწეწილი“ (*ღʼაღალ*);[15] *ღაʼმფაʼლ* „ბუჩქი“ (*ღʼამფალ*); *ღოʼღოʼლ* „ხოჭო“ (*ღʼოღოლ*); *ყაʼვაʼნ* „მინდორი“, „სავარგული“ (*ყʼავან*); *ყაʼვიʼ* “ზარი“, „ყვავილის ბუდკო“, „მეფე“, „თავადი“ (*ყʼავი*); *ყაʼლიʼქ* „პატარა თიხის დოქი“ (*ყʼალიქ*);[16] *ყაʼყაʼ* „დახჩობა“ (*ყʼაყა*); *ყოʼდიʼ* „კუ“ (*ყʼოდი*); *ყოʼთმაʼჯ* „ბოძი“ (*ყʼოთმაჯ*); *ყოʼშმოʼტ* „ბლაგვი“, „გაულესავი“ (*ყʼოშმოტ*); *შუʼვეʼთ* (ვართ.) „კამა“ (*შʼუვეთ*); *ცაʼმხუʼრ* „კაცი გადმოკარკლული თვალებით“ (*ცამხʼურ*); *წიʼღიʼ* „ყვირილი“, „ბღავილი“ (*წილʼი*); *წიʼდაʼყ* „სუსტი“, „ავადმყოფი“ (*წიდაყʼ*); *წიʼლღიʼთ* (ნიჯ. *ცგʼლღგʼთ*) „ბუ“ (*წილღʼით*); *ხაʼმოʼდ* „წიწიბურას ნათესი“ (*ხʼამოდ*);[17]*** *ხაʼფაʼნ* „უუნაროო“, „უქნარა“ (*ხʼაფან*); *ჯუʼნჯუʼლ* „არასრული“, „არასაკმარისი“ (*ჯʼუნჯულ*)...[18]

ხშირია შემთხვევები, როდესაც ფარინგალიზებული ხმოვნები აღნიშნულია ისეთ სიტყვაწარმოებით ელემენტებსა და აფიქსებში, ცალკე აღებულს რომ ფარინგალიზაცია არ ახასიათებს;[19] მაგ., *აʼქ-ეʼს* „შეჯიბრება ცხენებით“, „დოღი“ (*აʼქ-ეს*); *აʼჯ-ეʼს* „ჩხუბი“, „ბრძოლა“ (*აჯʼ-ეს*); *აʼლ-ეʼს* „ახვევა“, „გადახლართვა“ (*აʼლ-ეს*); *ეʼბ-ეʼს* „კერვა“ (*ეʼბ-ეს*); *ღაʼლ-ეʼს* „გავლება“ (*ღʼალ-ეს*);

[14] ბოლოკიდური **-ა** (< **-ად**) ამ მაგალითში გენიტივის ფორმანტს წარმოადგენს.

[15] **-ალ** ელემენტი უსრული სახის მიმღეობის ფორმანტს წარმოადგენს.

[16] **-იქ** (< **-იკ**) ელემენტი უდიურში კნინობით სახელებს აწარმოებს.

[17] **-ოდ** დერივაციული აფიქსია, რომელიც წარმოშობით გენიტივის ნიშანს წარმოადგენს.

*** №6-17 შენიშვნებში წარმოდგენილ ყველა აფიქსსა თუ სიტყვაწარმოებით ელემენტში, არაფარინგალიზებულ სიტყვებთან გამოყენებისას, მარტივი ხმოვანი გვაქვს.

[18] მოცემული მასალა ამოწერილია ვ. გუკასიანის უდიურ-აზერბაიჯანულ-რუსული ლექსიკონიდან (გუკასიანი 1974). წარმოდგენილ ფორმათა უმრავლესობა ამდაგვარი სახით დასტურდება ვლ. ფანჩვიძისა და ევგ. ჯეირანიშვილის ნაშრომებში უდიურის შესახებ.

[19] უნდა აღინიშნოს, რომ უდიურში, მკვლევართა ჩანაწერების მიხედვით, აფიქსებში არ დასტურდება ფარინგალიზებული ხმოვნები (როგორც აღინიშნა, გვაქვს მარტივი და ფარინგალიზებული ხმოვნების მონაცვლეობის შემთხვევები). ეს, ბუნებრივია, არ მეტყველებს ფარინგალიზებულ ხმოვანთა ფონემურობის სასარგებლოდ. აღნიშნული ვითარება უნდა იყოს გამოწვეული იმით, რომ უდიურში ფარინგალიზაციის მაქსიმუმი, როგორც უკვე ითქვა, სიტყვაში საწყის ხმოვანს, ანდა საწყის ფარინგალურ, უვულარულ ან შიშინა თანხმოვანს მოუდის, ხოლო, თავის მხრივ, პრეფიქსაცია თითქმის მოშლილია (რელიქტის სახით მხოლოდ მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნების ერთ-ერთ ჯგუფშიღაა შემორჩენილი).

ფარყ-ერს "მოხარშვა (ორთქლზე)" (*ფაყ-ეს*); *ფარლ-ერს* „ტრიალი", "მოპარვა" (*ფარლ-ეს*); *ფარფ-ერს* „ტყუილის გამოაშკარავება" (*ფარფ-ეს*); *ფურყ-ერს* „გაძარცვა", „ჩამოხევა", „დაფშვნა" (*ფუყ-ეს*)... **-ეს** მარტივმაწარმოებლიანი მასდარის (მასდარი I) მაწარმოებელი აფიქსია და მას ფარინგალიზაცია არ ახასიათებს, შდრ.: *ბაქ-ეს* „ყოფა", „არსებობა", „გახდომა", „შეძლება"; *ბ-ეს* „კეთება" და სხვა.

ფარყთ-ირ „მოხარშული" (*ფაყთ-ი*); *ფარწ-ირ* „მოურჩენელი" (*ფარწ-ი*); *ურღ-არლ* "მსმელი" (*ურღ-ალ*)... **-ი** და **-არლ** მიმღეობის მაწარმოებელი აფიქსებია, შდრ.: *ბაქ-ი* „მყოფი", „არსებული"...; *ბ-ი* „ნაკეთები"; *ბ-ალ* „მკეთებელი"; *უქ-ალ* „მჭამელი" და ა.შ.

ირყ „თოვლი" (ნიჯ.: *გ'ყ* „id"); > *ირყ-ერნ* „თოვლიანი", „ზამთარი" (*ირყ-ენ*);[20] *ქარმ* „ჭუჭყი" > *ქარმ-ერნ* „ჭუჭყიანი" (*ქარმ-ენ*); **-ენ** ამ სიტყვებში დერივაციულ სუფიქსს წარმოადგენს, რომელიც წარმოშობით ერგატივ-ინსტრუმენტალისის ფორმანტია, შდრ. ანალოგიური: *უს-ენ* „წელიწადი", *ტამ-ენ* „გემრიელი"...

არჯ-ურნ „ახო", „ყამირი" (*აჯრ-უნ*)... **-უნ** აქ დერივაციულ სუფიქსს წარმოადგენს, რომელიც წარმოშობით გენიტივის ფორმანტია, შდრ., *ბიტ-უნ* „ნათესი"; *კაჭკ-უნ* „კევი"...

ურღ-ურლ „სახურავზე", „სახურავში" (*ურღ-ულ*)... **-ულ** სუპერასივის ერთერთი მაწარმოებელია, მაგ.: *გა-ნ-ულ* „ადგილზე", „ადგილში"; *ხოდ-დ-ულ* „ხეზე"...

ვარ-დნარქ (ნიჯ.) „თქვენთვის" (*ვარ-დნაქ*)... **-დნაქ** ნიჯურში ბენეფაქტივის ნიშანს წარმოადგენს, მაგ.: *ზა-დნაქ* „ჩემთვის"; *ვა-დნაქ* „შენთვის"; *და-დნაქ* „ჩვენთვის"...

ბორჯ-მ-ორღ „ცხვირი" [Pl. tantum] (*ბოჯრ-მ-ოღ*); *ჯორლ-ორხ* „ქვედა საცვალი", „შარვალი" [Pl. Tantum] (*ჯროლ-ოხ*)... **-მ-ოღ** და **-ოხ** მრავლობითი რიცხვის გაქვავებული აფიქსებია. Pluralia tantum-ის სახელების გაქვავებული ელემენტი, ჩვეულებრივ, არაფარინგალიზებული სახით გვხვდება, მაგ.: *ბიხ-ოხ//ბიხარყ-ულ* „ღმერთი"; *ელ-მ-უხ* „სული"...

ურღ-ნურთ „უსახურავო", „სახურავის გარეშე" (*ურღ-ნუთ*)... **-ნუთ** უდიურში უარყოფითი ნაწილაკია, რომელიც, ცალკე აღებული, არაფარინგალიზებულია, მაგ., *ბულ-ნუთ* „უთავო", *ქულ-ნუთ* „უხელო"; *კოჯ-მეც-ნუთ* „უსახლკარო"...

ხარ-ლურღ „ძაღლის ქცევები" (*ხრა-ლულ*)... **-ლულ** გავრცელებული დერივაციული აფიქსია, რომელსაც, ჩვეულებრივ, ფარინგალიზაცია არ ახასიათებს, მაგ.: *ვიჩი-ლულ* „ძმობა"; *დოსტ-ლულ* "მეგობრობა"; *შელ-ლულ* "სიკეთე"...

ბარ-ღერ-ნა (ვართ.), *ბარ-ღარ-ნარ* (ნიჯ.) „გუშინწინ", *ბარ-გარ-ღე-ნა//ბარ-გარ-ღე-ნა* „გუშინწინისწინ"... ცალკე აღებულ სიტყვებში **ღე** „დღეს", **გარ** „არეული", „შერეული", „შეერთებული", „შერწყმული", „მღვრიე" და დერივანტში

[20] ვლ. ფანჩვიძე, ევგ. ჯეირანიშვილი; ვ. გუკასიანთან არის: *ირყ; გ'ყ; ირყ-ერნ* (გუკასიანი 1974: 129).

-ნა (წარმოშობით – მიცემითი ბრუნვის ნიშანია **-ა**, ე.წ. **-ნ** ჩანართოვან ელემენტთან ერთად) მარტივი ხმოვანი გვაქვს. მკვლევართა ჩანაწერების მიხედვით ამ და სხვა მრავალ ასეთ მაგალითში ფარინგალიზებული ხმოვანი მომდევნოს იმსგავსებს და შეუძლებელია ეს მხოლოდ ხმოვანთა ასიმილაციით აიხსნას.

ფარინგალიზებულ და არაფარინგალიზებულ ვარიანტთა მონაცვლეობა აფიქსებში იმაზე მიგვითითებს, რომ უდიურში ფარინგალიზაცია პროსოდიის თვისებას წარმოადგენს. აფიქსები ზუსტად ის ერთეულებია, რომლებიც მორფოლოგიურად დაკავშირებულია ფუძესთან და, ცხადია, რომ ფარინგალიზაციას ამ ელემენტებში განსაზღვრავს სხვა ერთეული (ანუ ფუძე).

საყურადღებოა ფარინგალიზებულ ხმოვანთა ხშირი მონაცვლეობა მაშინ, როდესაც არ შეინიშნება ფარინგალიზებულთა მონაცვლეობის შემთხვევები არაკორელატ მარტივ ხმოვნებთან, მაგ., ***ჳ***ˤმა – ***ო***ˤმა „მარწყვი“, „სახსარი“ [მენჯისა]; ***ო***ʳʶˤსუნ – ***ჳ***ʳʶˤსუნ „დალევა“; ***ო***ʳʶყˤედნ – ***ჳ***ʳʶყˤედნ „ძვალი“; *ოხˤ**ჳ***ʳʶდლ „ნანადირევი“; შდრ.: *ოხˤ**ა***ʳʶლ „ნადირობა“; *ყˤ**ა***ʳʶლ – *ყˤ**ო***ʳʶლ „ქაოსური მოძრაობა“, „არევ-დარევა“ (*ყˤალდესუნ* „ადუღება“, *ყˤალფესუნ* „დუღილი“)... ეს ასევე იმის მანიშნებელია, რომ ფარინგალიზაციის პროცესი უდიურში არ წარმოადგენს ხმოვნის სეგმენტურ თვისებას.

არის შემთხვევები, როდესაც მარტივი ხმოვანი ახდენს ფარინგალიზებული ხმოვნის ასიმილაციას და ამის შედეგად იძენს ფარინგალიზებულობას, რაც ასევე არ მეტყველებს ფარინგალიზებული ხმოვნების ფონემურობის სასარგებლოდ, მაგ., *პაˤ* „ორი“; შდრ.: *პოˤ* „ორი ღერი ბალახი“ (*ო* „ბალახი“ *პაˤ* + *ო* > *პოˤ*); *პოˤ-პოˤ* „ორ-ორი“ (*პაˤ* + *ო* > *პოˤ*); შდრ. ანალოგიური: *სო-სო* (*სა* + *ო* > *სო*) „ერთ-ერთი“ (-**ო** – „მასუბსტანტივებელი“ სუფიქსია)...

სამეცნიეროლიტერატურაში იყო არაერთი ცდა რომ დამტკიცებულიყო ფარინგალიზებული ხმოვნების ფონემურობა.[21] ჩვენი აზრით, უდიურში ზოგადად ფარინგალიზაციას მოეპოვება დისტინქციური ფუნქცია და არა რომელიმე ფარინგალიზებულ ბგერას – ხმოვანსა თუ თანხმოვანს.

ფარინგალიზაცია, როგორც ჩანს, უკვე საერთო ლეზგიურისათვის იყო დამახასიათებელი. ამის შესახებ მეტყველებს ფარინგალიზაციის თვალსაზრისით იდენტური ბგერათშესატყვისობების არსებობა ლეზგიურ ენათა შორის, მაგ., უდ. *მაˤჯʳʶ* – თაბ. *მაˤჯʳʶუ*, რუთ. *მაˤგʳʶუ*, წახ. *მუˤჯʳʶ*, კრიწ. *მაˤღʳʶ*, აღ. *მეʳʶღˤუ* „რკო“ [მუხის];

უდ. *ღˤოღ* – ლეზგ. *ჯ>ʳʶუˤრ*, თაბ. *ჯ>ʳʶუˤრ//ღʳʶუˤრ*, აღ. *ღʳʶუˤრ*, რუთ. *ღʳʶიˤრ*, წახ. *ჯ>ʳʶიˤდე;* შდრ. აგრეთვე: საკ.-დიდ. *ჯˤად*, ხვარშ. *ჯˤე* „კურდღელი“...

[21] მაგალითად, ევგ. ჯეირანიშვილმა მოიყვანა შემდეგი მინიმალური წყვილები: *მაˤ* „ტვინი“ – *მა* „სად?“; *ხაˤ* „ძაღლი“ (*ხˤა*) – *ხა* „მატყლი“; *ხოˤ* „ცური“ (*ხˤო*) – *ხო* „ცვარი“; *ქაˤმ* „ჭუჭყიანი“ – *ქამ* „ნაკლული“; *მაˤჯ* „მუხა“, „რკო“ (*მაჯˤ*) – *მაჯ* „სარი“; *ტაˤპაˤკ* „ბრტყელი“ (*ტაˤპაკ*) – *ტაპაკ* „ტაბაკი“; *ვაˤხ* „თქვენ“ (*ვახˤ*) – *ვახ* „შენ“; *ოˤყ* „უღელი“ (*ოყˤ*) – *ოყ* „ძირი“, „ფსკერი“; *ყოˤრ* „თიაქარი“ (*ყˤორ*) – *ყორ* „ჭვარტლი“; *უˤჯ* „ექვსი“ (*უჯˤ*) – *უჯ* „მდინარე“; *მუˤჯ* „მხიარული“ (*მუჯˤ*) – *მუჯ* „ფრჩხილი“ (ჯეირანიშვილი 1971 : 11).

ხშირია შემთხვევები, როდესაც ლეზგიურ და დაღესტნურ ენებში დადასტურებული ფარინგალური თანხმოვანი უდიურში დაკარგულია, მაგრამ მის ნაცვლად გვხვდება ფარინგალიზაცია. ეს იმას გვაფიქრებინებს, რომ ფარინგალიზაცია უდიურში წარმოადგენს ერთგვარ საკომპენსაციო პროცესს, რომელიც გამოწვეულია ფარინგალური თანხმოვნების შესუსტებით, შემდგომი დაკარგვით ან სხვა კონსონანტებში გადასვლით, მაგ.:

უდ. *აʴმ* < **ɋVნ* – არჩ. *ჰ̇ონ*, თაბ. *ღონ*, რუთ. *ღგნ* „მხარი“; შდრ. აგრეთვე: წახ. *ღოლზე* „ნიჩაბი“;

უდ. *ეშʴ* < **ჰ̇ეშ* < **ჰ̇ეჩ* – აღ. *ჰ̇აჩ*, ხუნძ. *ჯეჩ*, ახვ. *ჯეჩე*, დიდ. *ჰენეშ*, *ჯიჩუ*, ლაკ. *ჰიტ̇ჩ* „ვაშლი“;

უდ. *იჟʴენ* < **ყVჯ-Vნ* < **ყVდ-Vნ* – ლეზგ. *ყუʴდ*, თაბ. *ყუʴრდ*, აღ. *ღუʴრდ*, რუთ. *ყუʴდ*, წახ. *ყიʴდიმ*, ბუდ. *ყაʴჯრაʴჯ*, კრიწ. *ყუდ*, ხინ. *კინაყ*, არჩ. *ყოʴტ̇ა-იჭ* „ზამთარი“;

უდ. *პაʴ* < **ყტ̇V*, კავკ. ალბ. *პაʴ* – ლეზგ. *ყტ̇ედ*, თაბ. *ყუʴდ*, აღ. *ყუდ*, რუთ. *ყტ̇ად*, წახ. *ყოʴდ*, ბუდ. *ყად*, კრიწ. *ყტ̇ად*, ხინ. *კუ*, არჩ. *ყტ̇ევუ* „ორი“;

უდ. *მოʴლ//მეʴლ* < **მVყVლ* – ლეზგ. *ყიფ*, *ყუშ* (ახტ.), *ყუʴხ̃* (ფიზ.), თაბ. *ყიʴლ*, აღ. *ჯულ//ყუʴლ*, რუთ. *ყგლ*, წახ. *ყოʴვ*, ბუდ. *ყალ*, ხინ. *ნუყურ*, არჩ. *ნოʴყოʴნ* „თაგვი“;

უდ. *ყʴე-[ნ]* < **ɋტ̇Vნ*, კავკ. ალბ. *ყʴე-[მ]* – ლეზგ. *ჰ̇ტ̇ან*, თაბ. *ღტ̇ან*, აღ. *ღტ̇ან* „ქვა“; შდრ. ასევე: ხუნძ. *ყონო*, არჩ. *ჰ̇ტ̇ან* „ქვის ფილა“;[22]

2. **ინტენსიური თანხმოვნების საკითხისათვის უდიურ ენაში**

თითქმის ყველა მკვლევარი უდიურში გამოყოფს მეორე რიგის სიბილანტებს. ოდენ **ჟ** და **შ** შიშინების კორელატებს უდიურში აღნიშნავს ამ ენის პირველი მკვლევარი ა. შიფნერი. ერთი ასეთი სიბილანტი (ш□) გვხვდება ა. დირის ნაშრომებში უდიურის შესახებ. დამატებითი რიგის ორი შიშინა სპირანტი, ა. შიფნერის მსგავსად, წარმოდგენილია უდიურ ზღაპარში „რუსტამ“ და „უდიური ოთხთავის“ ტექსტში. ასეთივე ვითარება გვაქვს უდიურ საანბანო წიგნში „სამჯი დას“. ხუთი ინტენსიური შიშინა თანხმოვანი (**ჟ**ა, **შ**ა, **ჯ**ა, **ჩ**ა, **ჭ**ა) პირველად გვხვდება ვლ. ფანჩვიძისა და ევგ. ჯეირანიშვილის ნაშრომებში. ვ. გუკასიანი ნიჯის დიალექტში მათ რიგს უმატებს სისინა **წ**ა-ს (გუკასიანი 1963: 85). ინტენსიურ შიშინებს (**ჟ**ა, **შ**ა, **ჯ**ა, **ჩ**ა, **ჭ**ა) გამოყოფს უდიურ მასალაში ა. ჰარისი და უდიური ენის ზოგიერთი სხვა მკვლევარი.

ვლ. ფანჩვიძის, ევგ. ჯეირანიშვილისა და ვ. გუკასიანის აზრით, უდიურს მოეპოვება შიშინა აფრიკატებისა და შიშინა სპირანტების „ინტენსიური“ („მყოვარი“) კორელატები: **ჯ**ა, **ჩ**ა, **ჭ**ა, **ჟ**ა, **შ**ა. ვლ. ფანჩვიძე ამ ბგერებს შემდეგ

[22] ბ. გიგინეიშვილის აზრით, აქ უნდა გვქონდეს საერთო დაღესტნური *ɋ-ს რეფლექსები (გიგინეიშვილი 1977: 85).

სიტყვებში იმოწმებს: **შაუმ** „პური“, **ყაე** „ქვა“, **შაალდესუნ** „ადუღება“, **ჰაოჭაა** „წითელი“...; ვ. გუკასიანი — შემდეგ სიტყვებში: **ეʳშა** „ვაშლის ხე“, **ოჟაულ** „კუდი“, **კონჯაუხ** „პატრონი“...; ევგ. ჯეირანიშვილთან გვაქვს: **შაუ** „ღამე“, **ბაჩა** „ასი“, **აჩაი** „დაკარგული“ „დამალული“, **ყაჭა** „ტკივილი“ **ჰააპ** „გამქრალი“...

ბ. გიგინეიშვილმა სამართლიანი შენიშვნა გამოთქვა უდიურში ინტენსიურების არსებობის შესახებ. მისი აზრით, სამეცნიერო ლიტერატურაში მჟღერი ინტენსიურების (**ჯა**, **ყა**) პოსტულირება (ასეთი ფონემები არც ერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში არ გვხვდება) და ინტენსივობის კორელაცია ერთ ლოკალურ რიგში (შიშინათა) ეჭვქვეშ აყენებს ინტენსიურთა მთელი რიგის კვალიფიკაციას, ხოლო მათი „ინტენსივობა“, ბ. გიგინეიშვილის ვარაუდით, მთელ რიგ შემთხვევაში, გამოწვეულია ფარინგალიზებულ ხმოვნებთან მეზობლობით (გიგინეიშვილი 1977: 61-63).

ბ. გიგინეიშვილი შენიშნავს, რომ სპეციალისტთა ჩანაწერების შედარებისას, ან, მით უფრო, ერთი მკვლევრის მასალებში, თვალშისაცემია ერთი და იმავე სიტყვის განსხვავებულად ჩაწერის შემთხვევები: ზოგან ინტენსიურით, ზოგან კი არაინტენსიურით, მაგ., ევგ. ჯეირანიშვილის მონოგრაფიაში „უდიური ენა: გრამატიკა. ქრესტომათია. ლექსიკონი“ (1971) გვხვდება: **იყა** (გვ. 22) – **იʳყ** (გვ. 208, 249) „თოვლი“; **ყაოლ** (გვ. 214) – **ყოლ** (გვ. 33, 78) „საცობი“; **უჭ** (გვ. 22) – **უჭა** (გვ. 217, 254) „თაფლი“; **კაჭაი** (გვ. 28, 219) – **კაჭი** (გვ. 255) „ბრმა“; **ჰაოჭაა** (გვ. 220, 258) – **ჰოჭა** (გვ. 32) „წითელი“...

ბ. თალიბოვმა ადგილზე შეამოწმა ის სიტყვები, რომლებშიც, მკვლევართა აზრით, ინტენსიურები უნდა გვქონოდა, თუმცა ვერ დაადასტურა ინტენსივობის მიხედვით კორელაციის არსებობა უდიურში (თალიბოვი 1980: 181).

სამეცნიერო ლიტერატურაში იყო ცდა, რომ უდიურში ინტენსიური შიშინა თანხმოვნების ფონემურობა დამტკიცებულიყო; ევგ. ჯეირანიშვილმა ინტენსიურთა დისტინქციური ფუნქციის საილუსტრაციოდ შემდეგი მინიმალური წყვილები მოიყანა: **შაუ** „ღამე“ – **შუ** „ვინ“; **ბაჩა** „ასი“ – **ბაჩ** „ქვევრზე დასაფარებელი ქვა“; **აჩაი** „დაკარგული“ „დამალული“ – **აჩი** „თამაში“; **ყაჭა** „ტკივილი“ – **ყაჭ** „ვიწრო“; **ჰააპ** „გამქრალი“ – **ჰაპ** „ვაზი“ (ჯეირანიშვილი 1971: 14).[23]

[23] ევგ. ჯეირანიშვილი იმავე ნაშრომის რუსულ რეზიუმეში აღნიშნავს *„Возникновение омонимов обусловлено главным образом внешним совпадением в результате фонетических изменений слов (в частности в результате упрощения-ослабления артикуляции интенсивных согласных), например: ачи (< ачъи) „потерянный“, „утеренный“ - ачи „игра“... чlап! (< чһап!) „угасший“ - чlап! „лоза“, шу (< шъу) „ночь“ - шу „кто“...* (ჯეირანიშვილი 1971: 310). მიუხედავად იმისა, რომ ამ მაგალითებს მკვლევარი ინტენსიურთა მოშლის შედეგად წარმოქმნილ ომონიმებად მიიჩნევს, ზუსტად ეს ლექსემები წარმოდგენილია იმავე ნაშრომის მე-14 გვერდზე როგორც მინიმალური წყვილები (შდრ. ზემოთ).

ეს დებულება ასევე გვხვდება ევგ. ჯეირანიშვილისა და ვლ. ფანჩვიძის უდიური ენის ერთობრივ მიმოხილვაში: *„Возникновение омонимов обусловлено главным образом внешним совпадением в результате фонетических изменений слов, например: ачи (< ачъи) „потерянный“, „утерен-*

სამეცნიერო მივლინებით ჩვენ რამდენჯერმე ვიმყოფებოდით ყვარლის რაიონში უდიებით დასახლებულ სოფ. ზინობიანში (ყოფ. ოქტომბერი). მივლინებისას გადავამოწმეთ ის სიტყვები, რომლებშიც მკვლევრები ინტენსიურ თანხმოვნებს აღნიშნავდნენ. ჩვენი დაკვირვებით, შიშინა თანხმოვნები გამოითქმის ერთნაირად და არანაირი კორელაცია მათ შორის არ შეინიშნება. უმეტეს შემთხვევაში, ინტენსიურ თანხმოვნებს მკვლევრები ვარაუდობდნენ იმ სიტყვებში, სადაც გვაქვს ფარინგალიზაცია. შევამოწმეთ აგრეთვე ევგ. ჯეირანიშვილის მიერ ინტენსიურების დისტინქციური ფუნქციის საილუსტრაციოდ მოყვანილი ლექსემები და დავადასტურეთ ისინი შემდეგი ფორმით: ***აჩˤი*** „დაკარგული“, „დამალული“ – შდრ. ევგ. ჯეირანიშვილის: ***აჩːი***; ***ბაჩˤ*** „ასი“ – შდრ.: ***ბაჩː***; ***ბაჩˤ*** „ქვევრზე დასაფარებელი ქვა“ – შდრ.: ***ბაჩ***; ***ყˤაჭ*** „ტკივილი“, „დაჭლეტვა“, „დაწნეხვა“ – შდრ.: ***ყაჭː*** „ტკივილი“... მაშასადამე, ჩვენი დაკვირვებით, ***აჩːი*** (***აჩˤი***) „დაკარგული“ „დამალული“ – ***აჩი*** „თამაში“, ***ყაჭː*** (***ყˤაჭ***) „ტკივილი“ – ***ყაჭ*** „ვიწრო“ მაგალითებში განსხვავება ერთ-ერთი ლექსემის ფარინგალიზებულობის გამო წარმოიქმნა, ხოლო ***ბაჩː*** (***ბაჩˤ***) „ასი“ – ***ბაჩ*** (***ბაჩˤ***) „ქვევრზე დასაფარებელი ქვა“, ***შːუ*** (***შუ***) „ღამე“ – ***შუ*** „ვინ“ და ***ჭːაპ*** (***ჭაპ***) „გამჭრალი“ – ***ჭაპ*** „ვაზი“ მაგალითების შემთხვევაში ინფორმატორებისაგან შემდეგ განმარტებას ვიღებდით: ეს ერთი და იგივე ჟღერადობის სიტყვებია, მაგრამ თითოეულს ორი მნიშვნელობა აქვსო, ანუ დღეს უდიურ ენაზე მოლაპარაკეთათვის ეს წყვილები ომონიმებს წარმოადგენენ.

საფიქრებელია, რომ უდიურში გავრცელებულ ფარინგალიზაციის პროცესსა და მკვლევართა მიერ ნავარაუდევ ინტენსიურებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს. სპეციალისტთა მასალებში ინტენსიური თანხმოვნები, ხშირ შემთხვევაში, გვხვდება ფარინგალიზებული ხმოვნების გვერდით (პოსტპოზიციაში, პრეპოზიციაში ან ინტერვოკალურ პოზიციაში), მაგ.: ***ეˤშː*** „ვაშლი“; ***იˤჟː*** „თოვლი“; ***იˤჟეˤნა*** „ზამთარი“; ***ჟːაˤლდესუნ*** „ადუღება“; ***ჟːეˤ*** „ქვა“; ***უˤჴბაˤჭː*** „ექვსასი“; ***ოˤჟːილ*** (ვართ.)//***ოˤჟːულ*** (ნიჯ.) „კუდი“... (ევგ. ჯეირანიშვილი, ვლ. ფანჩვიძე, ვ. გუკასიანი...).

ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ უდიურის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მკვლევართა ჩანაწერების შედარებისას, ანდა ერთი სპეციალისტის მასალებში, ხშირია ფარინგალიზებული ხმოვნებისა და ინტენსიური თანხმოვნების მონაცვლეობის (არაერთგვაროვანი ჩაწერის) შემთხვევები, ანუ ერთსა და იმავე სიტყვაში ზოგჯერ ნავარაუდევია გვერდიგვერდ მყოფი ფარინგალიზებული ხმოვანი და მარტივი შიშინა თანხმოვანი, ზოგჯერ – ინტენსიური შიშინა და მარტივი ხმოვანი, ზოგჯერ კი – ინტენსიური შიშინა და ფარინგალიზებული ხმოვანი, მაგ., ***იჟː*** (ჯეირანიშვილი 1971: 22) – ***იˤჟ*** (ჯეირანიშვილი 1971: 19) – ***იˤჟː*** (გუკასიანი 1974: 130) „თოვლი“; ***ჟːე*** (ფანჩვიძე 1974: 29;

ный“ - ачи „игра“, шу (< шъу) „ночь“ - шу „кто“, ч!ап! (< ч!ъап!) „угасший“ - ч!ап! „лоза“ (ფანჩვიძე, ჯეირანიშვილი 1967: 686).

ჯეირანიშვილი 1971: 206) – ***ჟეე***ˤ (გუკასიანი 1974: 114) „ქვა“; ***ოჯჲიილ*** (ფანჩვიძე 1974: 29) – *ოჟჲი*ˤ*ლ* (გუკასიანი 1974: 182) – *ოჯჲი*ˤ*ლ* (ჯეირანიშვილი 1971: 205) „კუდი“; ***იშაა*** (ფანჩვიძე 1974: 30) – ***იˤშა*** (ფანჩვიძე 1974: 19) – ***იშა*** (ჯეირანიშვილი 1971: 205) – ***იˤშაა*** (გუკასიანი 1974: 130) „ახლოს“; ***ჩოო*** (ფანჩვიძე 1974: 30; გუკასიანი 1974: 242) – ***ჩოˤ*** (ჯეირანიშვილი 1971: 203) „სახე“; ***ქაჩა//ქაჩ//ქაშ*** (ჯეირანიშვილი 1971) – ***ქაშა*** (ფანჩვიძე 1974: 30; გუკასიანი 1974: 133) „ორმო“, „თხრილი“ – *ქაˤშ-კალ* (გუკასიანი 1974: 134) „ორმოს//თხრილის კიდე“...

გვაქვს შემთხვევები, როდესაც ერთ დიალექტში ნავარაუდევია ინტენსიური თანხმოვანი, მეორეში კი ფარინგალიზებული ხმოვანი, მაგ.: ***ჟოუ****ყტესუნ* ***(ჟოუ****ʕთეესუნ)* (ნიჟ.) – ***ჩუ****ʕტესუნ* (ვართ.) „შეყოფა“, „შეტენვა“, „შეჭრა“ (გუკასიანი 1974: 115); *ოჟოუ*ლ (ნიჟ.) – *ოჟჲი*ˤ*ლ* (ვართ.) „კუდი“ (გუკასიანი 1974: 182)...

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენ გადავამოწმეთ ის სიტყვები, სადაც, მკვლევართა აზრით, „ინტენსიური“ თანხმოვნები უნდა გვქონოდა. საყურადღებოა, რომ უმეტეს შემთხვევაში, სადაც სპეციალისტთა მიერ ნავარაუდევია ინტენსიური, ჩვენ დავადასტურეთ ფარინგალიზაცია, მაგ., *აჩˤი* „დაკარგული“, „დამალული“; *აჩˤიბესუნ* „დაკარგვა“ – შდრ., *აჩაი* (ჯეირანიშვილი 1971: 14); *აჩაიბესუნ* (ფანჩვიძე 1974: 30); *ბაჩˤ* „ასი“, „ქვევრზე დასაფარებელი ქვა“ – შდრ.: *ბაჩა* (ჯეირანიშვილი 1971: 19) „ასი“; *ეშˤ* „ვაშლი“ – შდრ. *ეˤშა* (გუკასიანი 1974: 85); *იჟˤ* „თოვლი“ – შდრ.: *იჟა* (ჯეირანიშვილი 1971: 22) და *იˤჟა* (გუკასიანი 1974: 131); *იშˤა* „ახლოს“ – შდრ.: *იშაა* (ფანჩვიძე 1974: 29) და *იˤშაა* (გუკასიანი 1974: 130); *იშˤკესუნ* „ვარცხნა“, „დავარცხნა“ – შდრ.: *იˤშაკესუნ* (გუკასიანი 1974: 130); *კაჭˤი* „ბრმა“ – შდრ.: *კაჭაი* (ჯეირანიშვილი 1971: 28; 219); *ყˤალდესუნ* „ადუღება“ – შდრ.: *შალდესუნ* (ფანჩვიძე 1974: 29) და *ყაალდესუნ* (გუკასიანი 1974: 114); *ყˤიკ* „ქნევა“, „რწევა“ – შდრ.: *ყაიˤკ* (გუკასიანი 1974: 114); *ყˤოლ* „საცობი“ – შდრ.: *ყაოლ* [ჯეირანიშვილი 1971: 219]; *ყˤომოხ* „პირი“ – შდრ.: *ყაომოხ* (გუკასიანი 1974: 114); *ყˤოლულ* „ზაფხული“ – შდრ.: *ყაოლულ* (ფანჩვიძე 1974: 30); *ოჩˤალ* „მიწა“, „ზედაპირი“ (დედამიწის), „ნიადაგი“ – შდრ.: *ოჩაალ* (ფანჩვიძე 1974: 29); *ოჭი//ოჭˤი* „ტალახი“ – შდრ.: *ოჭაი* (ფანჩვიძე 1974: 29); *უჭˤ* „თაფლი“ – შდრ.: *უჭა* (ჯეირანიშვილი 1971: 29); *ქაჩˤფსუნ* „ამოთხრა“, „ჩაფვლა“ – შდრ.: *ქაშაფსუნ* (ნიჟ.) (ჯეირანიშვილი 1971: 30); *ღˤაჩფესუნ* „შეკვრა“, „შეყოფა“ – შდრ.: *ღაჩაფესუნ* (ჯეირანიშვილი 1971: 29); *ყˤაჭ* „ტკივილი“, „დაჭლეტვა“, „დაწნეხვა“ – შდრ.: *ყაჭა* „ტკივილი“ (ჯეირანიშვილი 1971: 14); *შˤუმაკ* „დედალი“ – შდრ. *შაუმაკ* (გუკასიანი 1974: 250); *ჩო//ჩˤო* „სახე“ – შდრ.: *ჩოო* (ფანჩვიძე 1974: 29); *ჭˤოჭა* „წითელი“ – შდრ.: *ჭაოჭა* (ჯეირანიშვილი 1971: 220, 258; ფანჩვიძე 1974: 29); *მუჭˤა* „ტკბილი“ – შდრ.: *მუჭა* (ჯეირანიშვილი 1971: 310)...

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უდიურში შეინიშნება ფარინგალიზაციის არტიკულაციის შესუსტების ტენდენცია (ეს განსაკუთრებით ახალგაზრდების მეტყველებას დაეტყო), საფიქრებელია, რომ ასეთი მაგალითების რიცხვი კიდევ უფრო დიდი უნდა ყოფილიყო. ამის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ არაფარინგალიზებულ სიტყვათა რიცხვი, სადაც მკვლევრები ინტენსიურთა არსებობას ვარაუდობდნენ, მცირეა, მაგ., *შუ* „ღამე“; *ჭაპ* „გამქრალი“ და ა.შ. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მკვლევართა მიერ უდიურში ნავარაუდებ ინტენსიურ თანხმოვნებსა და ფარინგალიზაციის პროცესს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს.

გამოთქმულ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ ინტენსიური შიშინა თანხმოვნებისა და ფარინგალიზებული ხმოვნების არტიკულაციის თავისებურებები უდიურში სპეციალისტებს თითქმის ერთნაირად წარმოუდგენიათ;[24] შდრ.: „აღნიშნულ (ე.ი. ფარინგალიზებულ) ხმოვანთა წარმოსათქმელად შემართვის მომენტისათვის პირის ღრუს ღიაობა და ენის მდგომარეობა თითქმის ისეთივეა, როგორიც მარტივი ხმოვნებისა, ოღონდ ამ ხმოვანთა წარმოთქმის დროს **ენა უფრო ჩაზნექილია და უკან გადაწეული, ენის კიდეები თითქმის ებჯინებიან გვერდით კბილებს, ენის უკანა ნაწილი ოდნავ აწეულია და უახლოვდება რბილ სასას**“ (ჯეირანიშვილი 1971: 10), შდრ. მის მიერ შემოთავაზებულ ინტენსიურთა დახასიათებას: „წარმოთქმის მომზადების მომენტი თითქმის ისეთივეა, როგორც შესაბამისი „ჩვეულებრივი“ ალვეოლარული თანხმოვნებისა – **ჯ, ჩ, ჭ** აფრიკატებისა და **ჟ, შ** სპირანტებისა, ოღონდ ამ თავისებურ ბგერათა წარმოთქმის დროს ენა ამოზნექილ მდგომარეობაში **უფრო უკან გადაიწევს, მისი შუა ნაწილი თითქმის ებჯინება კბილ-ნუნებს**“ (ჯეირანიშვილი 1971: 13).

შდრ., აგრეთვე, ვლ. ფანჩვიძის ინტენსიურ შიშინა თანხმოვანთა დახასიათებას: **„ნუნასთან ხშვას ან ნაპრალს ჰქმნის არა ენის წვერი, არამედ ენის წვერი და შუა ენის ნაწილი, თანაც არტიკულაცია ფართოვდება უკან მაგარ სასაზეც (ენა დაკეცილია, წვერი დაწეულია — ზურგი აწეულია)“** (ფანჩვიძე 1974: 39).

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი (ტ. მაისაკი, ვ. შულცე) უდიურში არა ინტენსიურ, არამედ ველარიზებულ შიშინა თანხმოვნებს იმოწმებს (იხ.: მაისაკი 2008: 452).

საყურადღებოდ მიგვაჩნია ს. კოძასოვის მოსაზრება: მკვლევარი ველარიზაციას, რომელიც შიშინა თანხმოვნებს განსხვავებულ ტემბრს ანიჭებს, ფარინგალიზაციის თანამდევ პროცესად განიხილავს (კიბრიკი, კოძასოვი 1990: 347). ჩვენი აზრით, სწორედ შიშინათა ფარინგალიზაციის//ველარიზაციის რელევანტურმა პროცესმა შეიყვანა შეცდომაში ის მკვლევრები, ვინც უდიური ენის ფონოლოგიურ სისტემაში ინტენსიურ თანხმოვნებს ვარაუდობდა.

[24] იგულისხმება შესაბამისი მარტივი ხმოვნებისა და თანხმოვნებისაგან განმასხვავებელი დამატებითი არტიკულაციის თავისებურებები.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში პოსტულირებულ ინტენსიურ, ან ველარიზებულ შიშინა თანხმოვნებსა და ფარინგალიზაციას შორის უშუალო კავშირი არსებობს: იშვიათი გამონაკლისის გარდა, მკვლევრები ინტენსიურ თანხმოვნებს ვარაუდობენ ფარინგალიზებულ სიტყვებში. თვით ველარიზებული და, მით უფრო, ინტენსიური („გემინირებული“, „მაგარი“) ფონემების გამოყოფა უდიურში, ჩვენი აზრით, არ არის მართებული.

ლიტერატურა

ბოკარევი 1959 — Е. А. Бокарев, Цезские (дидойские) языки Дагестана, Москва.

ბოკარევი 1967 — Е. А. Бокарев, Хваршинский язык, Языки народов СССР, т. IV, Иберийско-Кавказские языки, Москва.

ბოუდა 1913 — K. Bouda, Beiträge zur Kenntnis des Udischen auf Grund neuer Texte, “Zeit-schr. d. Deutschen morgenländischen Gesellschaft”, Bd. I, Leipzig.

გიგინეიშვილი 1977 — Б. К. Гигенейшвили, Сравнительная фонетика дагестанских языков, Тбилиси.

გუკასიანი 1963 — В. Л. Гукасян, Ниджский диалект удинского языка (звуковой состав и некоторые фонетические процессы), Известия Академии наук Азербайджанской ССР, серия общественных наук, №3, Баку.

გუკასიანი 1974 — В. Л. Гукасян, Удинско-азербайджанско-русский словарь, Баку.

დეეტერსი 1963 — G. Deeters, Die kaukasischen Sprachen, Leiden-Köln.

დირი 1904 — А. Дирр, Грамматика удинского языка, Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, XXXIII вып., ч. IV, Тифлис.

თალიბოვი 1967 — Б. Б. Талибов, Цахурский язык, Языки народов СССР, т. IV, Иберийско-Кавказские языки, Москва.

თალიბოვი 1980 — Б. Б. Талибов, Сравнительная фонетика лезгинских языков, Москва.

იმნაიშვილი 1963 — Д. С. Имнайшвили, Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршийскими языками, Тбилиси.

კიბრიკი, კოძასოვი 1990 — А. Е. Кибрик, С. В. Кодзасов, Сопоставительное изучение дагестанских языков. Имя. Фонетика, Москва.

ლომთაძე 1998 — ე. ლომთაძე, ხვარშიული ენა, I. ფონეტიკა, თბილისი.

მაჰომეტოვი 1963 — А. А. Магометов, Кубачинский язык, Тбилиси.

მაჰომეტოვი 1965 — А. А. Магометов, Табасаранский язык, Тбилиси.

მაისაკი 2008 — Т. А. Майсак, Варианты удинской орфографии и транскрипции (краткий обзор), Удинский сборник (грамматика, лексика, история языка), Москва.

სამჯი დას — Ţ. Çejrani, M. Çejrani, Samçi dəs, Suxum.

ტრუბეცკოი 1931 — N. Trubetzkoy, Die Konsonantensysteme der ost-kauka-

sischen Sprachen, Caucasica, 8, Leipzig.

უდიური ზღაპარი „რუსტამი“ 1888 — М. Бежанов, Рустам (Удинская сказка), Сборник Материалов для Описания Племен и Местностей Кавказа, XII, Тифлис.

„უდიური ოთხთავი“ 1902 — С. Бежанов, Господа Нашего Иисуса Христа Святое Евангелие от Матвея, Марка, Луки и Иоанна, Сборник Материалов для Описания Племен и Местностей Кавказа, XXX, Тифлис.

ფანჩვიძე, ჯეირანიშვილი 1967 — В. Н. Панчвидзе, Е. Ф. Джейранишвили, Удинский язык, Языки народов СССР, т. IV: Иберийско-кавказские языки, Москва.

ფანჩვიძე 1974 — ვლ. ფანჩვიძე, უდურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი.

შიფნერი 1963 — A. Schiefner, Versuch über die Sprache der Uden, St. Petersburg.

შულცე 1982 — W. Schulze, Die Sprache der Udin in Nord-Azerbaidzan, Wiesbaden.

ჩიქობავა 1979 — არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

ჯეირანიშვილი 1959 — ევგ. ჯეირანიშვილი, ფარინგალიზებული ხმოვნები წახურ-რუთულურსა და უდიურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XI, თბილისი.

ჯეირანიშვილი 1971 — ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომატია, ლექსიკონი), თბილისი.

ჰარისი 2002 — Alice C. Harris., Endoclitics and the Origins of Udi Morphosyntax, Oxford.

ROMAN LOLUA

Towards the Issue of Pharyngealization in Udi

S u m m a r y

Since the first attempt of scientific studying of Udi (second half of the 19th c.) almost all researchers have been noting pharyngealized vowels init. Though the existence of pharyngealization and pharyngealized vowels needs to be clarified. It should be noted, that articulation peculiarities characteristic of pharyngealization are considered similarly by the researchers who consider pharyngealized vowels to be phonemes and by those who attribute the reason of pharyngealization to consonants.

A different standpoint was expressed by G. Deeters. According to his viewpoint, pharyngealization is a feature, that is characteristic of not a separate phoneme, but a syllable or a whole word. S. Kodzasov's standpoint is noteworthy. Having studied an Udi phonological system the researcher considered, that in Udi pharyngealization is a

feature of prosody and is spread in all word. According to S. Kodzasov's viewpoint, a pharyngealization pick comes on the first syllable (i. e. vowel), but if in a word there is a hushing, uvular and pharyngeal consonant, then maximum of pharyngealization comes on it.

According to my observation, this viewpoint should be shared. Specialists' recordings speak about the fact, that in Udi pharyngealization comes on whole word: a number of the lexemes with two-and more syllables, where according to researchers' viewpoint, all vowels occur as pharyngealized, is large. The cases often occur, when pharyngeal vowels are marked in such word-forming elements and affixes, in which, separately, there is a simple vowel. It should be noted, that according to researchers' recordings, in Udi pharyngealized vowels are not attested in affixes (as it was mentioned there are alternation of simple and pharyngealized vowels). It is natural, that this does not speak in favor of phonemity of pharyngealized vowels. The mentioned situation should be caused by the fact, that in Udi in a word the maximum of pharyngealization, as it was mentioned, comes on an initial vowel, or initial pharyngeal, uvular or hushing consonant and prefixation is almost broken.

Alternation of pharyngealized and non-pharyngealized graphical variants in affixes points to the fact, that in Udi pharyngealization is a feature of prosody. Affixes are just those entries which are morphologically connected with a stem and it is clear, that in these elements pharyngealization is defined by other entry (or a stem).

Frequent alternation of pharyngealized vowels is noteworthy, when the cases of pharyngealized alternation are noticeable with non-corelete simple vowels. There are cases, when a simple vowel assimilates a pharyngealized vowel and as a result of this it gains pharyngealizity. It also points to the fact, that in Udi the pharyngealization process is not a segmentic feature of a vowel.

In special literature there were several attempts to confirm the phonemicity of pharyngealized vowels. I think, in Udi generally pharyngealization and not any pharyngealized sound – a vowel or a consonant has a distinctive function.

As it is clear pharyngealization was characteristic of common Lezgian. The existance of identic sound-cornespondences among the Lezgian languages from the pharyngealization standpoint points to it. There are cases, when a pharyngeal vowel evidenced in the Lezgian and Dagestanian languages is lost in Udi; but instead of it there occurs pharyngealization. It makes me to think, that in Udi pharyngealization is a compensative process, that is caused by weakening, loosing or moving in other consonants of pharyngeal consonants.

To my opinion, an issue of so called intensive consonants in Udi is connected with pharyngealization. This is supported by the fact, that in most cases intensives are attested in one word at pharyngealized vowels. During comparing the researchers, materials this is supported by the cases of alternation of pharyngealized vowels and intensive consonants.

It should be noted that some contemprorary researchers (T. Maisak, V. Schulze in Udi verify not intensive, but velarized hushing consonants. Velarization of hushing, that gives consonants different tembre, should be discussed as accompanying process of pharyngealization. I believe, that just relevant process of pharyngealization/velarization of hushings misleaded those researchers, who assume intensive consonants in Udi phonological system. I think, that distinguishing of velarized phonemes in Udi is not correct.

ქეთევან მარგიანი-ხუბარი

სუბკატეგორიებისთვის სჭანურ ენაში

(ინდიკატივი, კონკლუზივი, რენარატივი, დუბიტატივი)

სუბკატეგორიათა შემადგენლობაში, რომლებიც ტექსტის კატეგორიებია და გამოხატავენ მთქმელის დამოკიდებულებას ნათქვამისადმი, ვფიქრობთ, უმთავრესი ადგილი ევიდენციალობას მიეკუთვნება, ვინაიდან იგი მსოფლიოს ყველა ენისთვის არის დამახასიათებელი; სხვა საკითხია, როგორ არის ის გამოხატული ამა თუ იმ ენაში — გრამატიკულად თუ მხოლოდ აღწერითად, ლექსიკური საშუალებებით, სხვაგვარად: ეს სუბკატეგორია გრამატიკული კატეგორიაა თუ მოდალობა.

ზოგადად ევიდენციალობისა და მოდალობის ურთიერთმიმართების შესახებ ენათმეცნიერებაში არსებობს სამი თვალსაზრისი:

ა) ევიდენციალობა და მოდალობა დეზუნქციურ ურთიერთმიმართებაში არიან (ანუ არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან) — ასეთ შემთხვევაში საუბრობენ ევიდენციალიზმზე ამ სიტყვის ვიწრო გაგებით.

ბ) ევიდენციალობა და მოდალობა ინკლუზიურ მიმართებაშია ერთმანეთთან, ანუ ევიდენციალობაში ჩართულია ინფორმაციის მიმართ მთქმელის დამოკიდებულება სანდოობის (საეჭვო-სავარაუდობის) კუთხითაც — ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ამ ტერმინის (ევიდენციალობის) ფართო მნიშვნელობასთან (თუმცა არის პირიქითაც: უფრო ხშირად ევიდენციალობა შეჰყავთ ეპისტემიკური მოდალობის შემადგენლობაში);

გ) მესამე მოსაზრებით, მოდალობა და ევიდენციალობა ხშირად ფარავენ ერთმანეთს.

სპეციალურ ლიტერატურაში ძირითადად გამოყოფენ ევიდენციალურ ფორმათა ოთხ სახეობას (ევიდენციალს): **ინდიკატივს, კონკლუზივს, რენარატივსა და დუბიტატივს**.

ინდიკატივი (სხვა ტერმინოლოგიით კონფირმატივი ან დადასტურებული მოდუსი) ნიშნავს მთქმელის ისეთ დამოკიდებულებას მის მიერ გადმოცემულ ინფორმაციასთან, როცა ცოდნა ამ ინფორმაციის შესახებ მის ცნობიერ სამყაროში ინტეგრირებულია და გადმოგვცემს როგორც საკუთარს (ის შეიძლება პირდაპირი აღქმის შედეგიც იყოს ან სხვა წყაროდან მიღებული, მაგრამ მთქმელის მიერ უკვე გათავისებული); მაგალითად, როცა მთქმელი ამბობს: „IV

საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა“ — ცხადია, ის ამ მოვლენის მოწმე არ არის, მაგრამ მას წარმოგვიდგენს ისევე დადასტურებული, უეჭველი ინფორმაციის სახით, როგორც პირადად აღქმულს; ამიტომაც ეს ევიდენციალი (ინდიკატივი) თავისი გამოხატულებით ხშირად ფარავს არაევიდენციალურ (resp. პირდაპირევიდენციალურ) ფორმებს — სვანურში იყენებს I და II სერიის მწკრივებს (გარდა თურმეობითებისა), ასევე III სერიის უპრევერბო და უსუფიქსო I შედეგობითს, რომელიც, სალიტერატურო ენისგან განსხვავებით, ექსპერიენტული მნიშვნელობისაა[1] (თუ არ დაირთო **-ენ** სუფიქსი და ანლაუტის ხმოვანიც არ შეიცვალა, რაც უკვე უპრევერბო I შედეგობითის მეორე სახეობაა, ჩვეულებრივისგან სტრუქტურით და სემანტიკით განსხვავებული: **ხ-ა-მ-ენ-ა** „უჭამია თურმე=ჰქონია ნაჭამი“) და მთქმელი ამ ფორმის გამოყენებით მოვლენის შესახებ მხოლოდ უეჭველ, საკუთარ (და არა სხვა წყაროდან მიღებულ) ცოდნას აფიქსირებს: *ალ მ̄არა დ̄ამდ̄ა̈ ლეღ̄ ***ხომა** „ამ კაცს დათვის ხორცი **უჭამია=აქვს ნაჭამი**“.

კონკლუზივი ერთ-ერთი ევიდენციალია, რომელიც პირდაპირ გამოხატავს მთქმელის მიერ გადმოცემული ინფორმაციის „გარეშე“ წყაროს არსებობას (რაც ევიდენციალიზმის მთავარი პრინციპია!), ოღონდ ეს „სხვა“ არ არის პიროვნება, თუნდაც იმპერსონალური, არამედ საკუთრივ მთქმელის პირადი გონებაა, აზროვნებაა, რომელიც პირდაპირ აღქმულს კი არ აღნიშნავს, არამედ ფაქტების განზოგადებას ახდენს და ამგვარად იქცევა დასკვნის, ინფორმაციის წყაროდ, რომელსაც ტექსტის სუბიექტი ანუ მთქმელი გადმოგვცემს. ამიტომაც ამგვარი ტექსტი ხშირად საეჭვო-სავარაუდობის, დაუზუსტებლობის ნიუანსის მატარებელია და შესაბამისი ზმნური ფორმებით გადმოიცემა.

კონკლუზიური ევიდენციალობის შემთხვევაში ინფორმაციის წყარო მთქმელისთვის ორგვარია, ამიტომაც საუბრობენ კონკლუზივის ფორმათა ორი მნიშვნელობის შესახებ: ინფერენციული და არაინფერენციული. ორივე შემთხვევაში მთქმელი გადმოსცემს საკუთარ, გაუშუალოებულ-გათავისებულ ინფორმაციას, რომელიც მას არ მიუღია პერცეფციის გზით, არ ყოფილა მოვლენის მოწმე, ამასთან ის მიანიშნებს, რომ ერთ შემთხვევაში (ინფერენციული კონკლუზივი) მსმენელს თავის მოსაზრებას აწვდის: „პეტრე წასულა“ (დაინახა, რომ ეზოში მანქანა აღარ დგას), სხვა შემთხვევაში კი — არა მოსაზრებას, არამედ ცოდნას მოვლენის შესახებ, ოღონდ დაუდასტურებელს, წარმოსახვითს, სუსტს; მაგ., „გიორგი ახლა სახლშია“ — მთქმელმა საათს დახედა და განაზოგადა გამოცდილება: ჩვეულებრივ ამ დროს გიორგი სამსახურიდან უკვე მოსულია.

სვანურს, ქართულთან შედარებით, კონკლუზივის გამოსახატავად (და არამარტო კონკლუზივის) უფრო მეტი ზმნური ფორმები მოეპოვება:

[1] ექსპერიენტივის მნიშვნელობა განისაზღვრება როგორც მოქმედების განხორციელება წარსულში **თუნდაც ერთხელ**; აქცენტი თავად მოქმედების ფაქტზეა (Comrie 1976 : 58).

უსრული მყოფადი (ტრადიციული ტერმინოლოგიით; ჩვენი აზრით კი, ის არამარტო ისტორიულად არის აწმყო, როგორც ეს ა. შანიძემ და გ. მაჭავარიანმა ივარაუდეს, არამედ მის ძირითად ფუნქციად კვლავაც ინფერენციული აწმყოს გამოხატვა რჩება): **ახტაშნი/იხტაშნი** „შესაძლოა/ალბათ/იქნებ ხატავს“ ან „ხატავდეს იქნება“;

პრევერბიანი სუფიქსური წარმოების მყოფადი: ად-ხატშ-ინ-ე „დახატავს, ალბათ/სავარაუდოდ“;

პირობითი: ად-ხატშ-ინ-ა „დახატავდა, ალბათ/სავარაუდოდ“;

პირობით-შედეგობითი I: ხ-ე-ხტაშ-ი (ზს.), **ხ-ე-ხტაშ-ნ-ი** (ლშხ.) „შესაძლოა/ალბათ ⌜და⌝უხატავს =აქვს დანახატი მას ის“;

პირობით-შედეგობითი II: ხ-ე-ხტაშ-ოლ (ბზ.), **ხ-ე-ხტაშ-იშ** (ბქ.) „შესაძლოა/ალბათ, ⌜და⌝ეხატა=ჰქონდა /ექნებოდა დანახატი მას ის“.

ნიშანდობლივია, რომ ქართულმა კონკლუზივისთვის ფუნქციურად შეიძლება ხოლმეობითი (სწორედ ქართულის ხოლმეობითის ფარდ მწკრივს უწოდა ვ. თოფურიამ პირობითი) გამოიყენოს; მაგალითად: კითხვაზე „პეტრემ ჯიხვი მოკლა?“ თუ მთქმელს (ამ შემთხვევაში მოპასუხეს) ზუსტი ინფორმაცია არ გააჩნია, ის ინფერენციას მიმართავს და მის ნიადაგზე ქმნის ინფორმაციას: „მოკლავდა...“ — აქ, ბუნებრივია, ხოლმეობითობა კი არა, ერთჯერადი მოქმედება იგულისხმება „ალბათობის“, მოვლენის შესახებ არა ჭეშმარიტი, არამედ პირობითი ცოდნის ნიუანსით, თუმცა უფრო ლიტერატურული იქნება „ალბათ მოკლა“. არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავს, რომ „პირობითისა და ნატვრითი კილოსათვის გვაქვს კავშირებითი პირველი, მეორე და მესამე, **აგრეთვე ნამყოფადარი ნამყო:** დაწერდა, გააკეთებდა, მოიტანდა, ნახავდა...“ (ჩიქობავა 1946 : 116; ხაზი ჩვენია. ქ. მ.); სვანურში კი სუფიქსური წარმოების პირობითი (ხოლმეობითი) ზუსტად გულისხმობს აღნიშნულ ნიუანსს, განსხვავებით ქართულისებური წარმოების პირობითისაგან (პრევერბი+ნამყოსურული), თუმცა, ქართულისავე დარად, ისიც მეტ-ნაკლებად ინფერენციულია მსგავს კონტექსტში: **ჩუ-ა-დგარ-ი-დ-ა** (ბზ.), **ჩუ-ა-დგარ-ი-უ** ბქ. „მოკლავდა“, მაგრამ ნიუანსურად აქაც იგულისხმება, რომ მთქმელის მიერ პირდაპირ აღქმულ ინფორმაციასთან კი არა, მის მოსაზრებასთან, მტკიცებასთან გვაქვს საქმე, ოღონდ არა მერყევ ვარაუდთან, არა „სუსტ ცოდნასთან“ მოვლენის შესახებ (შდრ. **ჩუ-ა-დგრ-ი-ნ-ა** (ბზ.), **ჩუ-ა-დგარ-ნ-ა** (ბქ.) „შესაძლოა/ალბათ მოკლავდა“).

აღნიშნულ ზმნებში ძალაუნებურად იქცევს ყურადღებას კილოს საკითხი, ვინაიდან თითოეული განსახილველი ფორმა ქართულად განმარტებისას მოითხოვს პირობითობის გამომხატველ დამხმარე ლექსემას (ალბათ, იქნებ, შესაძლოა, სავარაუდოდ, ნეტავ, რომ, ვაითუ...), ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ამ ზმნების მონაწილეობა კი უმეტესად განაპირობებს პირობითდამოკიდებულ წინადადებიან ქვეწყობას მაქვემდებარებელი კავშირის გარეშე. „ქართულში მხოლოდ თხრობითი კილოა ფორმებით მდიდარი, ძველს ქართულში კავშირებითიც არსებითად თხრობით კილოს წარმოადგენდა; ასე რომ, კავშირებითის კი-

ლოდ ქცევა მეორეული მოვლენაა“ — აღნიშნავს არნოლდ ჩიქობავა (ჩიქობავა 1946 : 116), თანამედროვე სვანურში კი, როგორც აღმოჩნდა, კავშირებითი კილოს სემანტიკა გაცილებით მეტ მწკრივს მოიცავს; საკუთრივ პირველი, მეორე და მესამე კავშირებითის გარდა, პირობითობის სემანტიკის მქონე მწკრივებია: უსრული მყოფადი (**ადგარნი** „კლავდეს იქნება“), სუფიქსური წარმოების სრული მყოფადი (**ადგრინე** „მოკლავს, ალბათ; რომ მოკლას“; შესაძლოა, მოკლას); პირობით-შედეგობითი I (**ხედგარი** „შესაძლოა, მოუკლავს = ⸢მო⸣ნაკლავი ექნება“) და პირობით-შედეგობითი II (**ხედგარლ ხედგარიუ** „შესაძლოა მოეკლა, ⸢მო⸣ნაკლავი ექნებოდა“); ეს ორი უკანასკნელი სწორედ კილოთი და ინფერენციული სემანტიკით ქმნის ოპოზიციას I და II შედეგობითების უპრევერბო ფორმებთან, სუფქსიანი მყოფადი — ქართულისებური წარმოებისა და სემანტიკის მყოფადთან, უსრული მყოფადი (ჩვენი აზრით, ინფერენციული აწმყო) კი — პირდაპირევიდენციალურ აწმყოსთან.

უმწერლობო ენაში, რომელიც კომპარატივისტიკის საშუალებას ნაკლებად იძლევა, რთულია ამ ფორმათა მიერ განვლილ გზაზე ხელაღებით საუბარი, მაგრამ ერთი ცხადია: ის, რაც სალიტერატურო ენამ ხშირ შემთხვევაში კონტექსტს დააკისრა, უმწერლობო ენამ (ამ შემთხვევაში სვანურმა) სინთეზურ ფორმებში „ჩადო“; ამჯერად ეს ეხება ინფერენციას, რომელიც ერთ-ერთი წყაროა კონკლუზივისა; როგორც აღვნიშნეთ, **სვანურ ზმნას ორგანული ფორმები მოეპოვება ყველა იმ სემანტიკისთვის, რომლის გამოსახატავად თანამედროვე ქართულ ენაში ზმნასთან ერთად მოდალური ან დამხმარე ლექსემები** (**იქნებ**, **რომ**, **ალბათ**, **სავარაუდოდ**, **შესაძლოა**...) **არის საჭირო**.

K კონკლუზივი სვანურში უმეტესად მაინც პერფექტული დროებით გამოიხატება (ან, პირიქით — პერფექტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ან მახასიათებელი კონკლუზივის გამოხატვაა); ასე მაგალითად, საერთაშორისო ლინგვისტიკაში დამკვიდრებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მთლიანობაში წინადადება *ბეთქილს ღუაშ* ***ოთდაგრა*** (I შედეგობითი) „ბეთქილს ჯიხვი მოუკლავს“ კონკლუზივის ნიმუშია იმ შემთხვევაში, თუ მთქმელმა, მაგალითად, ჯიხვის ტყავი დაინახა და ინფორმაცია ირიბად ააგო; ასევე, *პეტრე ქორს* ***ლგგაშ'უ'ინ*** (II თურმეობითი) „პეტრე სახლს აშენებდა თურმე/ნაშენება“ — თუ მთქმელმა ეზოში მიტანილი სამშენებლო მასალა შემჩნია; *პავლეს პეტრე* ***ხამარჯუნა*** (I თურმეობითი) „პეტრეს პავლე ეხმარებოდა თურმე“ — მთქმელმა შეამჩნია პეტრეს მანქანა იმ ეზოში, სადაც პავლეს სახლის შენება წარმოებს და ა. შ. (იგივე წინადადებები კონკლუზიურად არ ჩაითვლება, თუ მთქმელმა თავად კი არ გააკეთა დასკვნები მოვლენების შესახებ, არამედ გარედან მიიღო ინფორმაცია, თუმცა გამოხატვის ფორმა იგივე დარჩება).

მთქმელის დამოკიდებულება მის მიერ გადმოცემული ინფორმაციასთან ყოველთვის კონკლუზიურია I და II პირობით-შედეგობითის ფორმების გამოყენებისას: *ვანოს დაშდუ ლუღვ* ***ხომამა*** (I შედეგობითი)? — „ვანოს დათვის ხორცი **თუ უჭამია**?“ — კითხვა კატეგორიულია და პასუხსაც ზუსტს ელოდე-

ბა მთქმელი, მაგრამ, თუ კითხვის ადრესატს პირადად არ უნახავს მოვლენა, ის აუცილებლად ინფერენციული სემანტიკის მქონე ზმნურ ფორმას — I პირობით-შედეგობითს გამოიყენებს: ***ხემი,*** *მეთხუბარ ლი* — **„ალბათ უჭამია** (=ნაჭამი ექნება), მონადირეა!“. ინფერენციულობა შეიძლება კითხვაშივე ჩაიდოს: **ხემიმა**? „უჭამია (=ექნება ნაჭამი)?/ნეტავ, თუ უჭამია“? — აქ მთქმელი თავადვე ითვალისწინებს, რომ მოპასუხეს ზუსტი ინფორმაცია შესაძლოა არ ჰქონდეს და შეკითხვისთვის შესაბამის ზმნურ ფორმას იყენებს.

ქართველურ ენებში, კერძოდ სვანურში, განსაკუთრებით პროდუქტიული ევიდენციალია **რენარატივი**, რომელიც ინფორმაციის **გარეშე წყაროს** დაფიქსირებას გულისხმობს, ოღონდ ეს წყარო არის არა ინფერენცია, არამედ „სხვა პირი“ (კონკრეტული პიროვნება, იმპერსონალია, ხმები ხალხში, მასმედია...). ქართულშიც და სვანურშიც „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკოვანი სიტემაა განვითარებული და ის მორფოსინტაქსური კატეგორიაა, მაგრამ რენარატივი ძირითადად ნიშნავს გადმოცემითობას ძირითადი ინფორმატორის დაუკონკრეტებლად. „რენარატივი არის ევიდენციალობის 4 სახეობიდან ერთ-ერთი, რომელიც მოდალობასთან და ადმირატივთან ერთად ითვლება სუპერკატეგორიად **ინფორმაცია ინფორმაციის შესახებ**“ (ნიკოლოვა 2007 : 154); ევიდენციალობის ფარგლებში რენარატივი, გამოხატავს გადმოცემით, სხვისეულ ინფორმაციას (ინდიკატივისა და კონკლუზივის საპირისპიროდ, რომლებიც აღნიშნავენ საკუთრივ მთქმელის ინფორმაციას);

სვანურში რენარატივისთვის ძირითადი ბაზა თურმეობითები და პერფექტული (ძირითადპრევერბიანი I და II შედეგობითი) ზმნური ფორმებია:

I თურმეობითი — **ხ-ჳ-გმ-ˈრუ̄ინ-ა** (ბზ.), **ხ-ჳ-გმ-უნ-ა** (ბქ.) — „უშენებდა/აშენებდა (ზედ) თურმე“, II თურმეობითი: ბზ. **ლგ-მ-გჳ-მˈრუ̄ინ [ლი]**, ბქ. ლგ-**მ-გემ-ˈრუ̄ინ [ლი]** — „აშენებდა თურმე“/„ნაშენება“, I შედეგობითი (პრევერბიანი): **ოთ-გ-ა** (ზს.) — „აუშენებია (თურმე)“, II შედეგობითი (პრევერბიანი): **ოთ-გ-ჳნ** (ბზ.), **ოთ-გ-ან** (ბქ.) „აეშენებინა“...ჟასევე, I შედეგობითის უპრევერბო, მაგრამ -**ენჳ**სუფიქსდართული ზმნები: **ხ-ა-გ-ენ-ა** (ბზ.), **ხ-ჳ-გ-ენ-ა** (ბქ.) — „უშენებია=ნაშენები ჰქონია თურმე“ (შდრ. ექსპერიენტული უპრევერბო უსუფიქსო ფორმა: **ხოგა** — „უშენებია=ნაშენები აქვს“).

რენარატივი გამოხატავს მთქმელსა და ინფორმაციას შორის დისტანციურობას, რომელსაც განაპირობებს ინფორმაციის შეფასების ხარისხის არარსებობა მისი ნამდვილობის, დადასტურებულობის კუთხით: ამ ინფორმაციის პირველწყარო „სხვაა“, მთქმელი კი მას უბრალოდ გადმოსცემს მისი ნამდვილობა-არანამდვილობის შეფასების გარეშე, განსხვავებით **დუბიტატივისგან**, რომელიც ასევე გამოხატავს გადმოცემით, სხვისეულ ინფორმაციას, ოღონდ აფიქსირებს მოსაზრებას ძირითადი ინფორმატორის მტკიცების საეჭვოობის შესახებ. ჩვენი აზრით, აღნიშნული ევიდენციალი ქართველურ ენებში არ უნდა გვქონდეს, ქართულში ლექსიკურად შეიძლება ასეთი სიტუაციის გადმოცემა, მაგრამ ძალზე სუსტად: *ამბობენ,* ***თითქოს*** *მდინარე ადიდებულა*

(ან: ადიდდაო), სვანურს კი ამ ტიპის მოდალური ლექსემაც არ მოეპოვება და საჭიროების შემთხვევაში ქართულ „ვითომ“-ს იყენებს. ამდენად, ქართველური ენებისათვის დუბიტატივი დამახასიათებელი არ არის, ისევე, როგორც, ვთქვათ, ბულგარული, ბალკანური ენებისათვის, სადაც, დუბიტატიურობა, უპირველეს ყოვლისა ინტონაციითა და დამატებითი დუბიტატიური მოდიფიკატორებით აღინიშნება (კუცაროვი 1984 : 18).

თუ დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ სვანურში, მიუხედავად ამ ენის ფართო გრამატიკული შესაძლებლობებისა და ნიუანსური დეტალიზაციის დიდი უნარისა, ფორმათა დამთხვევა სხვადასხვა ევიდენციალის გამოხატვისას ხშირია (უფრო ხშირიც კი, ვიდრე ქართულში, ვინაიდან სვანურში გადმოცემითობა ნაწილაკოვანი „სხვათა სიტყვის“ შემთხვევაშიც მეტწილად მესამეპირისეულ კონსტრუქციას და პერფექტულ დროებს ემყარება); შდრ.:

ყარაინფერენციული კონკლუზივი: **დათო ჩუალდირელი (/ჩჳოლდირელი)** —„დათოს უჭამია/დაპურებულა“ — თეფში ცარიელია, საიდანაც ტექსტის სუბიექტმა დაასკვნა სხვა მოვლენა (ინფორმაციის წყარო — ინფერენცია). მიუხედავად იმისა, რომ მსგავს კონტექსტებში ინფორმაციის წყარო ინფერენციაა, მას არაინფერენციულ კონკლუზივად მოიხსენიებენ, რადგან პირდაპირი აღქმისთვის გარკვეული დეტალი (ამ შემთხვევაში თეფში...) არსებობს, რომლის საფუძველზეც ხდება დასკვნის გამოტანა — კონკლუზია.

ინფერენციულ კონკლუზივად ითვლება სიტუაცია, როდესაც მთქმელი დასკვნას აკეთებს, ვარაუდს გამოთქვამს არა გვერდითი მოვლენების პირდაპირი აღქმის შედეგად თქმის მომენტში, არამედ მის სამყაროში, ცნობიერებაში არსებული ცოდნის ნიადაგზე.

ინფერენციული კონკლუზივი (იგივე **ინფერენტივი)** ევიდენცილობის თვალსაზრისით ნეიტრალურ დრო-კილოთა ფორმებითაც გამოიხატება: ***ბოფშჳრ ათხე სერ ქორს ჳრიხ*** „ბავშვები ახლა უკვე სახლში არიან“ — დედა მათ ვერ ხედავს, არც წინმსწრები მოვლენა არსებობს პირდაპირი აღქმისთვის (წინა მაგალითისგან განსხვავებით, სადაც დასკვნისთვის ფაქტი არსებობდა, ცარიელი თეფშის სახით), მაგრამ დროის მიხედვით მსჯელობს; წყარო, რასაკვირველია, ინფერენციაა, რომელიც სუბიექტის სამყაროში არსებულ ცოდნას ეფუძნება. აღნიშნულ შემთხვევაში ეს ევიდენციალი (ინფერენტივი) ფორმალურად **ინდიკატივს** დაემთხვევა, სადაც სუბიექტი მისთვის ცნობილ ფაქტს (მოვლენას) გვატყობინებს, უბრალოდ ფაქტის კონსტატაციას ახდენს: **ბოფშჳრ ამ ჩიქჳა ჩიგარ ქორს ჳრიხ** „ბავშვები ამ დროს ყოველთვის სახლში არიან“ (წყარო — საკუთარი გამოცდილება, ცოდნა).

რენარატივი: ***დათო ჩუალდირელი (/ჩჳოლდირელი)*** — მთქმელი სხვისგან მიღებულ ინფორმაციას გვაწვდის (წყარო — გადმოცემითობა), შესაძლებელია სხვათა სიტყვის ნაწილაკის ჩართვაც: ***ჩუ-ესერ-ალდირელი*** „დაპურებულაო“.

ამრიგად, ტექსტის ინფორმაციულობაზე მუშაობისას ჩამოთვლილ ფორმათა გასამიჯნავად გამოსავალი მხოლოდ ვრცელი კონტექსტია.

ევიდენციალურ ფორმებს სრულად ემთხვევა **ადმირატივი** ენათა უმრავლესობაში. ეს არის სემანტიკური კატეგორია, რომლის მნიშვნელობაც გულისხმობს, რომ ინფორმაცია მთქმელისთვის ახალია და არ არის ინტეგრირებული მისი სამყაროს სურათში (დელენსი 1997 : 49); მას „გაკვირვების მოდალობასაც“ უწოდებენ (ნიკოლოვა 2007 : 165). სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზოგადად ადმირატივი გაცილებით ცუდად არის შესწავლილი, ვიდრე გადმოცემითი და ინფერენციული მნიშვნელობები ირიბი ევიდენციალობისა (ტატევოროვი 2007 : 379). ზოგიერთი მკვლევარი მას აიგივებს კიდევაც ევიდენციალურ ფორმებთან, თუმცა ამის საპირისპიროდ არსებობს არგუმენტი: ადმირატივი ხშირად არის ისეთ ენებშიც (მაგალითად, ალბანურში), რომლებშიც, როგორც გრამატიკული კატეგორია, არ არის ევიდენციალობა (ფრიდმანი 1981 : 24; ხრაკოვსკი 2007 : 32). ნ. კოზინცევას განმარტებით, ადმირატიულობის მნიშვნელობა შეიძლება აღვწეროთ როგორც მოვლენის, ფაქტის აღმოჩენა მეტყველების მომენტში. **მთქმელი თავად არის (ხდება) ინფორმაციის მფლობელი (ევიდენცილიზმის შემთხვევაში აუცილებელია წყაროს არსებობა!** ქ. მ.), ინფორმაცია არეკლავს საქმის ობიექტურ ვითარებას და არის სრული (კოზინცევა 2007 : 20). ამ თვალსაზრისით ადმირატიულობა ერთიანდება პირდაპირი ევიდენციალობასთან, ხოლო ადმირატიულობისა და პირდაპირევიდენციალობის ოპოზიცია შეიძლება აღიწეროს შემდეგი ნიშნით: „მზაობა/არამზაობა აღქმისათვის“; მთქმელს მის მიერ გადმოცემული პირადად აღქმული სიტუაცია წარმოუდგება როგორც გასაოცარი, მოულოდნელი; ადმირატივი ზოგიერთ ენაში დამოუკიდებელი კატეგორიაა, ქართველურ ენებში კი, ისევე, როგორც ბულგარულში, თურქულსა და ზოგიერთ სხვა ენაში, ევიდენციალურ ფორმებს იყენებს; გვხვდება ემოციურად მარკირებულ გამოთქმებთან (მაგ.: „ვაიმე, მდინარე **ადიდებულა**!“). წინადადება „შეხედე, პეტრეს რამხელა სახლი **აუშენებია**!“ — ადმირატიულია, თუ მთქმელი სახლის წინ დგას და გაოცებას გამოხატავს, მაგრამ იგივე ფრაზა კონკლუზიურია, თუ მთქმელი მას სხვა სიტუაციაში წარმოთქვამს, მაგალითად: მას უთხრეს, რომ პეტრეს 20 ტონა ცემენტი დასჭირდა სახლის ასაშენებლად — ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის წყარო არსებობს — ეს არის ინფერენცია, ამასთან არც აღქმაა პირდაპირი, ანუ არსებობს ორივე პირობა, რომ ის კონკლუზივად ჩაითვალოს. მესამე შემთხვევაში იგივე ფრაზა შეიძლება რენარატივს მიეკუთვნოს, თუ კი ეს ინფორმაცია (პეტრეს მიერ დიდი სახლის აშენება) მთქმელს სხვამ მიაწოდა. რ. ნიკოლოვა აღნიშნავს, რომ ბულგარულში ადმირატივი ეს არის რენარატივის ფორმების ტრანსპოზიცია: ერთი ტონალობიდან მეორეში გადასვლა (ნიკოლოვა 2007 : 168). სხვათა მოსაზრებით (ანდრეიჩინი, მასლოვი, კუცაროვი) ადმირატივის ფორმები ზუსტად ემთხვევა რენარატივის ფორმებს მხოლოდ წმინდა ფორმალური თვალსაზრისით; ჩვენი აზრით, შეხედულე-

ბათა არაერთგვაროვნება აღნიშნულ საკითხზე გამოწვეულია სხვადასხვა ენაში გრამატიკულ თუ სემანტიკურ მნიშვნელობათა სპეციფიკის სირთულით; ვფიქრობთ, ადმირატივის გამიჯნვა ფორმალურად მსგავსი გრამატიკული ერთეულებისაგან შესაძლებელია მხოლოდ თანამედროვე ტიპოლოგიურ გამოკვლევათა უმრავლესობაში მიღებული და დამკვიდრებული ტერმინოლოგიური პრინციპის გათვალისწინებით.

ტექსტის ინფორმაციულობის კვლევისას ზმნურ ფორმათა პოლისემანტურობის საფუძველი ქართველურ ენებში (განსაკუთრებით სვანურში) კარგად განვითარებული პერფექტული დროებია, რომელთაც, საკუთრივ პერფექტის ტრადიციული გაგების გარდა (აჩვენოს წარსულის დინამიკური მოქმედების სტატიკური შედეგი აწმყოში), ინდოევროპული და ზოგი სხვა ენებისგან განსხვავებით, სხვა ფუნქციებიც შეუძენიათ (მოქმედების აქტის, მოქმედების შესახებ პირობითი ცოდნის, მოქმედების ექსპერიენტულობის გამოხატვა), რაც, სალიტერატურო ენასთან შედარებით, უმწერლობო ენებში კიდევ უფრო მეტად იკვეთება და შესაბამის მწკრივთა რაოდენობაც უფრო მეტია. პერფექტულ ფორმათა განსაკუთრებული სემანტიკური „ტევადობითა“ და, ზოგადად, სვანური ზმნის ნიუანსური მოქნილობით არის განპირობებული ამ ენაში უმთავრესი ევიდენციალების მორფოლოგიური გამოხატვის შესაძლებლობა ლექსიკური დანართების (თურმე, იქნებ, ალბათ...) გარეშე. თავიანთი გრამატიკული თუ სემანტიკური პოტენციალიდან გამომდინარე, ეს ზმნური ფორმები ერთგვარი „საერთო ბაზაა“ არაერთი სემისა თუ კატეგორიისთვის.

მაშასადამე, ფორმათა დამთხვევამ ტექსტის ინფორმაციული განხილვის დროს აღრევა რომ არ გამოიწვიოს, გამოსავალი უნდა ვეძებოთ ცნებათა ფორმულირების პრინციპების ზუსტ გათვალისწინებაში: **მთქმელისთვის ინფორმაციის წყაროს არსებობა და მოვლენისა და მეტყველების დროში აცდენა ევიდენციალობის აუცილებელი პირობაა, ადმირატიულობა კი მხოლოდ პირდაპირი აღქმის ემოციური გამოხატულებაა და თანაც მოვლენის თანადროული.**

ლიტერატურა

დელენსი 1997 — DeLancey S. Mirativity: The Grammatical marking of unexprected information//Linguistic Typology. vol 1-1, Berlin.

კოზინცევა 2007 — Н. Козинцева, Типология категории засвидетельствованности, Эвиденциальность в языках Европы и Азии, Санкт-Петербург.

კომრი 1976 — M. Comrie Aspect: An Introduction to the Study of Verbal Aspect and Related Problems, Cambridge.

კუცაროვი 1999 – И. Куцаров, Морфологичная категории наклонение, София.

ნიცოლოვა 2007 – Р. Ницолова, Модализованная эвиденциальная система

больгарского языка, Эвиденциальность в языках Европы и Азии, Санкт-Петербург.

ფრიდმანი 1981 — Friedman V., Admirativity and confirmativity// Zeitschrift für Balkanologie, Vol.17. №1, New York.

ჩიქობავა 1946 — არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, პროპედევტიკული ნაწილი, თბილისი.

ხრაკოვსკი 2007 – В. Храковский, Эвиденциальность, эпистемическая модальность, (ад)миративность, Эвиденциальность в языках Европы и Азии, Санкт-Петербург.

KETEVAN MARGIANI-SUBARI

Towards the Sub-Categories in Svan

(indicative, conclusive, renarative, dubitative)

S u m m a r y

A same verbal form phrase and a sentence can be evidential (morpho-syntactic category) and admirative (semantic category) in different contexts from general linguistic viewpoint. In more cases different subcategories (evidential) formally coincide to each other and in researching an informality of a text in can be distinguished in condition of wide context. This or that verbal form expresses conclusive, inferentive, renarative, indicative or it is admirative. It is conditioned by the fact, that for these categories mostly a basic base is common – forms of perfective tenses and mood.

From this standpoint Svan is not exception – it (like other Kartvelian languages) belongs to those languages, in which perfect is completely developed. The more, Svan comparatively with Georgian has some other perfective screeves, just expressing act and non-specifying of an action. Owing to this in Svan the forms of tense and mood comparatively with a literary language, has wider potential to express many nuances organically, without additional lexical means. This makes them to be poly-semantic. Thus, at a glance it is difficult to delimit sub-categories and semes. In order the forms coinciding do not to cause mixing that during informative discussing of a text, in exact condition of forming principles of conceptions should be found the way out: **for a narrator the existence of information source and averting of a phenomenon an speech in time is essential condition of evidentiality, admirativness is only and emotional expressing of direct perception and synchronic of a phenomenon**.

XXXIX 2011

თამარ მახარობლიძე

კონკრეტული თუ აბსტრაქტული?

არსებითი სახელების ტიპოლოგია მრავალ უნივერსალურ კატეგორიას მოიცავს, ერთ-ერთი ასეთია არსებითი სახელების კონკრეტულ და აბსტრაქტულ სახელებად დაყოფა-დაგჯუფება. ამ თემისადმი მიდგომა უნივერსალური უნდა იყოს, მაგალითად: თუ რომელიმე არსებითი სახელი კონკრეტულია ქართულში, ის კონკრეტული იქნება ინგლისურსა და ჩინურშიც.

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ადამიანი, როგორც მეტყველი და მოაზროვნე არსება, უპირველეს ყოვლისა, აბსტრაქციის უნარით გამოირჩევა. სხვადასხვა ერისა თუ ტომის ეს უნარი ენებში ასახულია. ლინგვისტური აბსტრაქციის უნარი განსაკუთრებით ნათლადაა წარმოდგენილი კლას-კატეგორების სისტემებით. საერთოდ, ნებისმიერი ენა არის ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანთა კოგნიტური სარკე. ეს გაცილებით ღრმა მოვლენაა და გულისმობს ენობრივი სისტემების ჩამოყალიბების პროცესებს.

რაც შეეხება არსებითი სახელების გადააზრებას კონკრეტულ და აბსტრაქტულ სახელებად, ეს უფრო არის ზოგადი, ტიპოლოგიის საქმე, ვიდრე ერთი კონკრეტული კერძო გრამატიკის მოვლენა. ცხადია, რომელიმე საგნისადმი მიდგომა, შესაძლოა, განსხვავებული იყოს სხვადასხვა ენებსა და ხალხებში ამ ხალხის რელიგიურ-რიტუალური, ან კულტურული ღირებულებებიდან გამომდინარე. „აღსანიშნი ყოფიერებასა და აზროვნებაში არის უნივერსალური, მაგრამ მის მიმართ მიდგომა არის სხვადასხვაგვარი“. (მახაროპლიძე 2009 : 117) არსებითი სახელების კლასიფიკაცია კონკრეტულ და აბსტრაქტულ სახელებად ძირითადად არის უნივერსალური. 1972 წელს ლონდონში გამოცემულ ენისა და ენათმეცნიერების ლექსიკონში აბსტრაქტული სახელები განმარტებულია შემდეგნაირად: „აბსატრაქტულია არსებითი სახელი, რომელიც აღნიშნავს რამე არამატერიალურ რეფერენტს“ (ჰარტმანი, სტორკი : 1972).

აღსანიშნავია, რომ ქართული ენის გრამატიკაში აბსტრაქტული და კონკრეტული არსებითი სახელების ფორმობრივი კლასიფიკაცია დიდი ხნის წინ წარმატებით შესრულდა ქართველი ენათმეცნიერების მიერ. რა თქმა უნდა, აქ მოიაზრება სახელთა დერივაციის ფორმებში აბსატრაქტული სახელების წარმოების აფიქსების გამოყოფა და არსებით სახელთა ჯგუფებში აბსტრაქტული და კონკრეტული სახელების ოპოზიციური ჯგუფების გამოყოფა.

არსებით სახელებში აბსატრაქტულისა და კონკრეტულის გამიჯვნა, ერ-

თი შეხედვით, საკმაოდ მარტივი საკითხია, თითქოს. როგორც ა. შანიძე (შანიძე 1973 : 38) მართებულად განსაზღვრავს, „კონკრეტული სახელი აღნიშნავს არსებას ან ისეთ ფიზიკურ ობიექტს, რომელსაც გრძნობათა ორგანოებით აღვიქვამთ: ბავშვი, დათვი, წიგნი, ქალაქი, სახლი, კიბე, ბგერა, სუნი და სხვ.

აბსტრაქტული (განყენებული) სახელი აღნიშნავს ისეთ რამეს, რომელსაც ნივთიერი სახე არ გააჩნია; მაგ., სიცოცხლე, გულწრფელობა, სიმშვიდე და სხვ.“ (შანიძე 1973 : 38).

ასეთი განსაზღვრება უნივერსალურია ტიპოლოგიური თვალსაზრისით და იგივე განსაზღვრება აქვს სხვა მრავალ ავტორსაც. თუმცა მაინც ბევრი კონკრეტული კითხვა რჩება პასუხგაუცემელი. მაგალითად, სიტყვა „სუნი“ ან „ბგერა“ ა. შანიძის მიხედვით არის კონკრეტული, მაგრამ მისივე განსაზღვრების მიხედვით, ამ სიტყვის აბსატრაქტულ სახელად მიჩნევაც არ არის გამორიცხული, რამდენადაც ნივთიერი სახე, როგორც ასეთი, მას არ გააჩნია. ასევე სადავო შიძლება იყოს რიგი სახელთა: ფერი, გემო, ზომა, ჰაერი, გაზი, კრებითი სახელები და სხვა.

საკითხში სინათლის შესატანად გთავაზობთ ინტერდისციპლინარულ განსაზღვრებას — **კონკრეტულია ყველა არსებითი სახელი, რომელსაც თავისი ბიოქიმია გააჩნია**. თავისთავად, ის რასაც ბიოქიმია აქვს — გრძნობათა ხუთი ორგანოც აღიქვამს: თვალი — მხედველობა, ყური — სმენა, ენა — გემო, ცხვირი — ყნოსვა და ხელი — შეხება.

არის რამდენიმე ისეთი არსებითი სახელი, რომელიც შეიძლება კონკრეტულიც იყოს და აბსტრაქტულიც, მაგალითად „სტუდენტობა“. უნივერსიტეტის წინ სტუდენტობა შეიკრიბა. ეს არის კონკრეტული არსებითი სახელი და ამ კონკრეტულ შემთხვევაში „-ობა“ სუფიქსით უფრო მრავლობითობის კატეგორიაა გადმოცემული, ვიდრე აბსტრაქტულობის. გამახსენდა ჩემი სტუდენტობა. ამ წინადადებაში კი, რა თქმა უნდა, „სტუდენტობა“ აბსტრაქტული სახელია. ეს ტიპის მაგალითები უჩვენებს -ობ(ა), -ებ(ა) სუფიქსების და მრავლობითობის -ებ სუფიქსის საერთო სემანტიკურ ბაზას. მრავლობითობა რომ გადაკვეთს აბსტრაციის სემანტიკას, არც ესაა უცხო მოვლენა: ნებისმიერი ერთი კონკრეტული ჯგუფის საგანი ან ერთი ერთეული კონკრეტულია, სიმრავლე კი ამ ერთეულთან მიმართებაში უკვე აბსტრაქციის ელემენტებს შეიცავს. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს კრებით სახელებში, მაგალითად, „ცხვარი“, უდავოდ, კონკრეტული სახელია, „ფარა“ ასევე კონკრეტულია, შეიძლება მისი დანახვა, მაგრამ „ცხვარი“ უფრო კონკრეტულია ვიდრე „ფარა“, რადგანაც მას უფრო მეტი კონკრეტული მახასიათებლები აქვს.

წინადადებაში „ადამიანს შეუძლია აღიქვას სუნი“, სიტყვა „სუნი“ აბსტრაქტულია. ასევე აბსტრაქტული იქნება ისეთი ზოგადი ცნებები, როგორებიცაა გემო და ფერი. მხოლოდ კონკრეტული სუნი, ფერი, გემო და ბგერა

იქნება კონკრეტული არსებითი სახელი. ასეთი სახელი უნდა იყოს წარმოდგენილი თავისი განსაზღვრებით ან უნდა მოიაზრებოდეს კონკრეტული ერთეული. მაგალითად, წინადადებაში „მე მიყვარს იასამნის სუნი“. აქ სიტყვა სუნი უკვე კონკრეტული არსებითი სახელია, რომელსაც თავისი კონკრეტული ბიოქიმია აქვს. ასევე კონკრეტულია იგივე სიტყვა წინადადებაში „აქ სუნი დგას“, თუმცა ამ შემთხვევაში სინტაქსიც კი არ აკონკრეტებს, თუ რა სუნზეა საუბარი, მაგრამ ეს, უდავოდ, კონკრეტული სუნია.

საინტერესოა, რომ ბევრი უცხოელი ავტორი კომბინირებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს, ფორმისა და სემანტიკის თვალსაზრისით. ზოგადად კლასიფიკაციის ძირითად პრინციპებთან მიმართებაში, ჩვენ შევეცადეთ უფრო მეტი სიმკაცრის დაცვას არსებითი სახელების კონკრეტულ და აბსტრაქტულ ძირითად ჯგუფებად დაყოფისას. ამდენად, შეგვიძლია გამოვყოთ არსებით სახელთა სამი ჯგუფი:

1. კონკრეტული სახელები,
2. აბსტრაქტული სახელები,
3. შუალედური ანუ კონტექსტური ფორმები.

პირველ ჯგუფში შევა ყველა არსებითი სახელი თავისი ბიოქიმიით, რასაც კი გააჩნია მენდელეევის პერიოდულობის სისტემის ნებისმიერ ელემენტთა ნებისმიერი ფორმის შემადგენლობა. აქ ყოველგვარი ნივთიერი სახის არსებითი სახელი იქნება თავმოყრილი. ამ ჯგუფში შეგვიძლია გამოვყოთ ქვეჯგუფები თავისი შიდა ჯგუფებით:

1. **ნივთიერი ფორმის ხილვადი არსებითი სახელები**

A. მყარი შეხების საგნები (მაგ., კაცი, სკამი ხე და ა. შ.),

B. ნაკლებად ხელშესახები ან შეუხებელი საგნები (მაგ., კრებითი სახელები — ჯგუფი, ფარა, ნახირი, ცა, ჰორიზონტი და ა. შ.),

C. საკუთარი სახელები — ადამიანის სახელი და გვარი, გეოგრაფიულ ადგილთა სახელები;

E. გეომეტრიული ფიგურები (წრეწირი, ხაზი, რომბი, კვადრატი და ა.შ.)

2. ნაკლები ან ნულოვანი ხილვადობის არსებითი სახელები.

A. შეგრძნების სამი ფორმის დაკონკრეტებული სახელები: გემო, სუნი, ბგერა

B. აქროლადი აირები (მაგ., ჰაერი, გაზი, ქარი, ნიავი და სხვა);

C. დასახელებები ანუ სახელწოდებების აღმნიშვნელი საკუთარი სახელები — ორგანიზაციების და ინსტიტუციების სახელწოდებები;

აქ მნიშვნელოვანია ერთი გარემოების ხაზგასმა — რიგი გრამატიკული საკითხებისა უნდა წყდებოდეს კომპეტენტურ ენათმეცნიერთა შეთანხმე-

ბის საფუძველზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ენის სალიტერატურო ნორმებს. ჩვენი აზრით, პირველ ჯგუფში შემავალი რამდენიმე ქვეჯგუფის საკითხიც, სასურველია, იყოს მსჯელობის საგანი. მხედველობაში გვაქვს შემდეგი ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფები:

ნივთიერი ფორმის ხილვადი არსებითი სახელებიდან ბოლო ორი ჯგუფი:

C. საკუთარი სახელები — ადამიანის სახელი და გვარი, გეოგრაფიულ ადგილთა სახელები;

E. გეომეტრიული ფიგურები (წრეწირი, ხაზი, რომბი, კვადრატი და ა.შ.)

და ნაკლები ან ნულოვანი ხილვადობის არსებითი სახელებიდან ბოლო ერთი ჯგუფი:

C. დასახელებები ანუ სახელწოდებების აღმნიშვნელი საკუთარი სახელები — ორგანიზაციების და ინსტიტუციების სახელწოდებები.

ერთი თვალსაზრისით, გასაგებია, თუ რატომ უნდა იყოს ეს სახელები კონკრეტულ არსებით სახელთა რიგებში, მაგრამ აქ გარკვეულ წინააღმდეგობას ვაწყდებით, ყველგან როდი გვაქვს არსებითი სახელის (საგნის) ბიოქიმია. როდესაც ზემოხსენებული ჯგუფები შევიტანეთ კონკრეტული სახელების სიაში, ჩვენ შემდეგ გარემოებებს დავეყრდენით — კონკრეტულობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი არის განსაზღვრულობა. ამის შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი. განსაზღვრული სახელი (ან არსებითი სახელი განსაზღვრული არტიკლით) კონკრეტულია. ზოგადად, განსაზღვრულობა ნიშნავს დაკონკრეტებას. აქედან გამომდინარე, ჩვენ შევიტანეთ ეს არსებითი სახელები კონკრეტული სახელების სიაში. მაგრამ ცალკე აღებულ საკუთარ სახელს ან დასახელებას, ცხადია, არანაირი ბიოქიმია არ გააჩნია. რატომ ხდება დასაშვები ასეთი (ზემოთ მოყვანილი) ჩვენივე ინტერდიციპლინარული განსაზღვრების უგულვებელყოფა ამ ფორმებით? საერთოდ, როგორ უნდა მივიღოთ ან გავიაზროთ კონკრეტულ არსებით სახელად რომელიმე ფირმის სახელწოდება, მაგალითად „ლიტერა“, „გაენათი“, „ნოკია“ და ა.შ. პასუხი ერთადაერთია — აქ ჩვენ ბიოქიმიური ნიშნით განსაზღვრულ სახელებს დავამატეთ საკუთარი სახელები, რამდენადაც მიგვაჩნია, რომ საკუთარი სახელები თავის თავშივე მოიაზრებს განსაზღვრულობის (იგივე კონკრეტულობის) მაღალ ხარისხს. დავით კრისტალი საკუთარ სახელებზე წერს, რომ „...საზოგადო სახელებისგან განსხვავებით, არ შეიძლება მათი გამოყენება, განმსაზღვრელებთან ერთად“ (კრისტალი 1985 : 248) ეს სახელები ინდოევროპულ ენებში განსაზღვრულ არტიკლს არ დაირთავენ (განსაკუთრებული გამონაკლისების გარდა), რამდენადაც მოიაზრება, რომ ასეთი სახელი უკვე განსაზღვრული და კონკრეტულია.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეგვიძლია უკვე შემოთავაზებულ გან-

საზღვრებას შესწორება, უფრო ზუსტად კი, დამატება გავუკეთოთ — **კონკრეტულია ყველა არსებითი საკუთარი სახელი და სახელი, რომელსაც თავისი ბიოქიმია გააჩნია**. ვიმეორებთ, რომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ თემაზე მსჯელობის შედეგად, შესაძლოა, სხვა უფრო მისაღები პოზიციებიც გამოიკვეთოს.

მეორე ჯგუფში შევა ყველა არსებითი სახელი რასაც ბიოქიმია არ გაჩნია.

ამ ჯგუფშიც გამოიყოფა ქვეჯგუფები თავისი შიდა ჯგუფებით:

1. დერივაციული აბსტრაქტული არსებითი სახელები: -ობა, -ება, სი-ე, სი-ილ აფიქსებით ნაწარმოები სახელები;
2. საზომი ერთეულების სახელები (წონა, ზომა, განი, მეტრი, ლიტრი, ფორმა და სხვა):
3. შეგრძნების სამი ფორმის ზოგადი, განუსაზღვრელი სახელები: გემო / მადა, სუნი / ყნოსვა, ბგერა და მათთან სემანტიკურად დაკავშირებული ზოგადი, განუსაზღვრელი არსებითი სახელები, მაგ., მელოდია, პოეზია (ზოგადად და არა კონკრეტული რომელიმე ლექსი ან მელოდია);
4. საწყისები (ნაზმნარი არსებითი სახელები ანუ მოქმედების სახელები, მაგ.., სიარული, სირბილი, ფრენა, მოვლენა, შემთხვევა და ა. შ.);
5. სხვადასხვა ზოგადი ტერმინი და ცნება:

A. ემოციის ამსახველი არსებითი სახელები (მაგ., სიყვარული, ზიზღი, სიმპათია, შიში, გრძნობა და სხვ.),

B. კოგნიტური ცნებების ამსახველი არსებითი სახელები (მაგ., იდეა, აზრი, გონი, ჭკუა, კონცეპტი, თემა, პრობლემა, ფიქრი და სხვ.),

C. ზოგადი ტერმინები (მაგ., ისტორია, ფიზიკა, კულტურა, ვითარება, გარემოება, სუბსტანცია, მოვლენა, შემთხვევა და სხვა).

მესამე ჯგუფში შედის ის არსებითი სახელები, რომლებიც მხოლოდ კონტექსტში პასუხობენ კითხვას — კონკრეტული თუ აბსტრაქტული? ესენია სინტაქსური შეპირობებულობის ცვალებადი ფორმები და ამიტომაც ჩვენ მათ შუალედური ანუ კონტექსტური ფორმები ვუწოდეთ. ზემოთ მოყვანილია ასეთი მაგალითები.

აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივად ეს მცირე ჯგუფია, მაგრამ ამ მესამე ჯგუფსაც აქვს თავისი ქვეჯგუფები:

1. -ობა სუფიქსით ნაწარმოები ფორმები (სტუნდეტობა, ახალგაზრდობა);
2. გემო, სუნი, ფერი, ადგილი, ბგერა/ხმა, ტკივილი (რაც მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტში ხდება კონკრეტული)

მაგალითად, ზოგადად „სუნი“ აბსტრაქტულია, მაგრამ იასამნის სუნი კონკრეტულია, მას თავისი ბიოქიმიაც აქვს და ყნოსვის ორგამოებით ხდება მისი აღქმა. ასევე აბსტრაქტულია ცნება „ფერი“ და მხოლოდ კონკრეტული ხილვადი (რაღაცის) ფერი არის კონკრეტული.

არსებითი სახელების აბსტრაქტული და კონკრეტული ჯგუფების გამოყოფა შეიძლება გრადაციული ტიპისაც იყოს. შესაძლებელია კონკრეტულობის (ან აბსტრაქტულობის) გრადაციის ცხრილების შედგენა კონკრეტულობის ან აბსტრაქტულობის ხარისხის მიხედვით. მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ცხვარი“ უფრო კონკრეტულია ვიდრე „ფარა“. გრადაციული კლასიფიკაცია იმადროულად განსაზღვრავს საგნის კონკრეტულობის ნიშნებსაც. ყველაზე მაღალი კონკრეტულობის ხარისხი ექნება სახელებს, რომლებიც აღნიშნავენ მყარ ნივთებს. ეს იქნება არსებითი სახელები, რომელთაც ნივთიერი სახე აქვს და იმავდროულად შეხებაც შეიძლება. საერთოდ, რაც მეტი გრძნობის ორგანოებით არის შესაძლებელი საგნის აღქმა, მით უფრო მეტი კონკრეტულობის ხარისხი ექნება საგანს. მაგალითად, „ცხვარი“ თითქმის ხუთივე გრძნობის ორგანოთი შეგვიძლია აღვიქვათ (თუმცა, ცხადია, ცოცხალ ცხვარს გემოს არავინ უსინჯავს, მაგრამ მაინც აქვს თავისი გემო და ეს მგელმაც იცის.) სხვა სახელი, მაგალითად, ჰაერი შედარებით ნაკლები კონკრეტულობით ხასიათდება, რადგანაც ხილვადი ნივთიერი სახე არ გააჩნია. რაც უფრო ნაკლები გრძნობის ორგანოებითაა შესაძლებელი ნივთის (საგნის) აღქმა, მით უფრო დაბალია ამ არსებითი სახელის კონკრეტულობის ხარისხი.

გარკვეული თვალსაზრისით, კონკრეტულობის განსაზღვრის ერთ-ერთ პარამეტრად თვლადობა შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ ეს ვერ იქნება სრულყოფილი, რამდენადაც შეიძლება აბსატრაქტული სახელები რაოდენობით რიცხვით სახელებთან ერთადაც შეგვხვდეს წინადადებაში, ანუ თვლადი იყოს აბსტრაქტული სახელი, მაგალითად: „ორი ოცნება მაქვს“, ან „ერთი პრობლემა გაჩნდა“, ან „ორი აზრის არქონა“ და ა.შ.

უნივერსალური იქნებოდა ასევე აბსატრაქტული და კონკრეტული არსებითი სახელების სემანტიკური კლასიფიკაცია. მაგალითად, აბსტრაქტული სახელები შეგვიძლია სამ ჯგუფად დავყოთ:

1. პოზიტიური მახასიათებლებით (თავდადება, ერთგულება, ნდობა, მამაცობა, მეგობრობა, სიხარული, სითამამე, სიკეთე, მადლი და სხვ.),
2. ნეგატიური მახასიათებლებით (ღალატი, სიზარმაცე, ამპარტავნება, სიცრუვე, თავხედობა, მტრობა, შური, უმადურობა და სხვ),
3. ნეიტრალური მახასიათებლებით (ფიქრი, ახალგაზრდობა, მოგონება, ვითარება, ცნება და სხვა).

ასეთი ტიპის კლასიფიკაცია შეგვიძლია ანტონიმური ან სინონიმური ფორმებით გავამდიდროთ და შევქმნათ აბსტრაქტულ სახელთა ანტონიმური და სინონიმური სემანტიკური ცხრილები. ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული

არ იქნებოდა აბსტრაქტულ არსებით სახელთა უნივერსალური ტიპოლოგიური ლექსიკონების შექმნის იდეა.

ლიტერატურა

კრისტალი 1985 — Crystal, David. 1985. Crystal, David. *A dictionary of linguistics and phonetics.* 2nd edition. New York: Basil Blackwell.

მახარობლიძე 2009 — თამარ მახარობლიძე, ლინგვისტური წერილები I, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი.

შანიძე 1973 — აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

ჰარტმანი, სტორკი 1972 — Hartmann, R.R.K., and F.C. Stork. 1972. *Dictionary of language and linguistics.* London: Applied Science.

TAMAR MAKHAROBLIDZE

Concrete or Abstract?

S u m m a r y

Typology of a noun has many universal categories. One of them is the grouping of nouns into concrete and abstract. If a noun N is concrete in Georgian, it will be concrete in English and Japan as well.

All proper nouns and nouns with their own biochemistry are concrete. Whatever has biochemistry it can be felt by the five senses. Proper nouns are the defined concrete nouns and I consider them as concrete and not abstract nouns, but this attitude could be discussed among the specialists.

I expose the three groups of nouns:

1. Concrete nouns:

I Nouns with visual face;

A. Real touchable things (for example: man, tree, chair, etc.),

B. Less touchable or un-touchable things including the collective nouns (for example: the sky, group, horizon etc),

C. Proper nouns – Human names and geographical names.

D. Geometrical figures /forms (for example: square, line, triangle, etc.)

II Nouns with less visual face and invisible nouns:

A. The three senses: taste, smell, voice – only with concrete parameters

B. Airs (for example: air, gas, wind, etc)

C. Names of organizations and firms (proper nouns)

2. Abstract nouns

A. Derivational forms of nouns (with the affixes: **-oba, -eba, si-e, si-il**)

B. Nouns of measure (for example: kilometer, liter, weight, high, length, form, etc.)

C. The general forms of three senses taste, smell, voice – without concrete parameters,

D. Verbal nouns,

E. General terms and concepts:

I. Emotional terms (for example: love, hate, fear, feeling, etc.)

II. Cognitive terms (for example: idea, thought, mind, theme, etc.)

III. General terms (for example: history, culture, situation, etc.)

3. Middle or contextual forms:

A. forms with **-oba** – ending forms such as (**studentoba, axalgazrdoba**, etc.)

B. Taste, smell, voice, pain, location – the nouns which can be concrete or abstract only on the proper contexts.

The universal semantic classification gives me the three groups of abstract nouns:

1. Positive (For example: love, trust, friendship, etc.)
2. Negative (For example: envy, laziness, lie, problem, enemy, etc.)
3. Neutral (For example: idea, situation, memory, term etc.)

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXXIX 2011

მედეა საღლიანი

ნასესხები ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანურში

სვანური ენის **ფრაზეოლოგიური გამონათქვამები** (**იდიომები** და **ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი**), **ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმები**, **წყევლისა** და **დალოცვის ფორმულები** დიალექტ-კილოკავთა მასალაზე დაყრდნობით დღემდე გამოწვლილვით არავის შეუსწავლია.

ხალხის კულტურა, ზნე-ჩვეულებანი, ყოფითი რეალიები თუ ისტორიული ამბები, როგორც წესი, ამგვარ გამოთქმებშია ყველაზე კარგად დაცული, სწორედ ამიტომ ამ თვალსაზრისით ენის შესწავლა ხელს უწყობს ამ ენაზე მეტყველი ხალხის გონებრივი თუ სულიერი ცხოვრების თავისებურებათა შეცნობას.

ენის საგანძურის გამდიდრება, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ხდება არა მარტო მასში ახალი სიტყვების, ნეოლოგიზმების აღმოცენებით, ნასესხები სიტყვებითა და ცალკეული სიტყვების მნიშვნელობის შეცვლით, არამედ იმითაც, რომ თავისუფალი სინტაქსური შესიტყვებები, სიტყვათა ჯგუფები, ე. წ. მყარ შესიტყვებებად და ამგვარად, ენის საგანძურის შემადგენელ ნაწილად გარდაიქმნებიან. ამ სახეობის „მყარ“ შესიტყვებებს (აგრეთვე „ფიქსირებულ სიტყვათშენაერთებს“) უნარი შესწევთ წარმოქმნან განსხვავებული სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურები (ფლაიშერი 1982).

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა გარკვეული მარაგი, როგორც ცნობილია, ყველა ენაში მოიპოვება. რაღა თქმა უნდა, ამ მხრივ არც სვანური წარმოადგენს გამონაკლისს, რომლის ლექსიკური ფონდი ამ მხრივაც საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია.

ჩვენი აზრით, სრულიად ბუნებრივია აღნიშნული თემატიკის მეცნიერულ დონეზე დამუშავება (სვანურის ყველა დიალექტისა და ამ დიალექტებში შემავალი კილოკავური მასალის მიხედვით), მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში გაცხოველებული პროცესი გლობალიზაციისა უმწერლობო ენებს „ჩაყლაპვით“ ემუქრება.

ფრაზეოლოგიზმების ფუნდამენტური კვლევა და შესწავლა ძალზე მნიშვნელოვანია როგორც წმინდა ლინგვისტური, ასევე კულტუროლოგიური თვალსაზრისითაც.

ლინგვოკულტუროლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სწორედ მდგრადი სიტყვათშეთანხმების, ფრაზეოლოგიის შესწავლაა, ამ ტერმინების ფართო გაგებით. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, „ასეთ ერთეულთა განსახილველ კორპუსს შეადგენენ როგორც სიტყვებთან შეფარდებული ფრაზეოლოგიზმები, ასევე პრედიკატული შესიტყვებები, ანდაზები, თქმულებები, აფორიზმები და ა. შ. ამ ენობრივ ერთეულებში, რომელთა უმრავლესობა ინარჩუნებს გამომსახველობით-სტრუქტურულ მოტივაციას, ასახულია, ზოგჯერ განსაკუთრებული სისრულითა და სიცხადით, არა მარტო მატერიალური და სულიერი ობიექტები, რომლებსაც ეროვნული სპეციფიკა გააჩნიათ, არამედ ეროვნული სულისა და ეროვნული პიროვნების ცნების შემადგენელი ზნეობრივი, მორალური, ფსიქოლოგიური შეფასებები, მახასიათებლები, მიდრეკილებები. ფრაზეოლოგიის ანალიზი ლინგვოკულტუროლოგიური პოზიციებიდან მსოფლიოს ენობრივი სურათის უტყუარი მონაცემებით შევსების საშუალებასაც იძლევა. ვინაიდან ფრაზეოლოგიური ერთეულები ფართოდ არის წარმოდგენილი ენებში და მრავალფეროვანია ფორმითა და შინაარსით, მათი ნებისმიერი შესწავლა გარდაუვალად იფარგლება რაოდენობრივი და სემანტიკურ-გრამატიკული ჩარჩოებით“ (ხოფერია 2007: 330-331). ფრაზეოლოგიზმების ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი კი წარმოდგენას გვიქმნის ენის სისტემასა და კულტურას შორის ურთიერთქმედებაზე, ეგრეთ წოდებული ეროვნული მენტალიტეტის თავისებურებათა ასახვაზე ენაში (იქვე: 335).

ტერმინი „ფრაზეოლოგია“ ენათმეცნიერულ პრაქტიკაში, როგორც ცნობილია, სამნაირი მნიშვნელობით გამოიყენება: I. ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს გამონათქვამში ანუ ფრაზაში სიტყვათა ლექსიკურ-სემანტიკური შეკავშირების წესებს..., 2. ენაში მყარ იდიომატურ-ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა მარაგი, ფონდი და 3. ენათმეცნიერების დარგი, რომელიც ამ გამოთქმებს შეისწავლის (რუსული ენა 1979: 383).

ფრაზეოლოგიის ზემოთწარმოდგენილი ე. წ. დეფინიციები შესწავლის საგნად განსხვავებულ ობიექტებს ვარაუდობს. პირველი გაგებით ფრაზეოლოგია ზოგადად შეისწავლის ამა თუ იმ ენის ფრაზაში სიტყვათა ლექსიკურ-სემანტიკური შეკავშირების წესებს და მისი დაკვირვების ობიექტი ზოგადად ფრაზაა, თავისუფალი შესიტყვება, მეტყველების გარკვეული მონაკვეთი (ვინოგრადოვი 1946: 48). მეორე გაგება ფრაზეოლოგიისა ვიწროა, სპეციალური და ობიექტად მყარ, არათავისუფალ იდიომატურ-ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს გულისხმობს. ენათმეცნიერები ამ გაგებით ფრაზეოლოგიას ლექსიკას მიაკუთვნებენ. ზოგი ენათმეცნიერი კი არადისკრეტულ ლექსიკურ ერთეულებს უწოდებს (სტეპანოვი 1975: 53). ამ ერთეულების დისკრეტულობა-არადისკრეტულობა, გ. ცოცანიძის აზრით, ცალკე სამსჯელო საგანია და მას ისინი დისკრეტული ერთეულები ჰგონია (ცოცანიძე 1999: 218). გამოდის, რომ ფრაზეოლოგია მეორე გაგებით ლექსიკაზეა ორიენტირებული და ჩვენც ამჯერად სწორედ ამ კუთხით ვაპირებთ ფრაზეოლოგიზმების განხილვას.

ამჯერად სტატიაში წარმოდგენილი იქნება ქართულიდან (და არა მარტო ქართულიდან) სვანურში ნასესხებ (თუ კალკირების გზით მიღებულ) ფრაზეოლოგიურ ერთეულთა თუ შესიტყვებათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი შესაბამისი ექსტრალინგვისტური (კერძოდ, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და, აგრეთვე, ფოლკლორული) მასალის გათვალისწინებით. წარმოდგენილი მასალა სვანური ენის დიალექტებისა და კილოკავების მიხედვით მეტად საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს.

მრავალფეროვანი საანალიზო მასალა ამოვკრიბეთ სვანური ენის ოთხივე კილოზე არსებული პროზაული ტექსტებიდან, სვანური ენის ქრესტომათიიდან, ლექსიკონებიდან[1], აგრეთვე, 2010 წლის ზაფხულში მესტიისა და ლენტეხის რაიონებში ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული მასალიდან.

აღნიშნულ მასალაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ სვანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ერთი ნაწილი წარმოქმნილია სხვა ენებიდან სესხების საფუძველზე, თუმცა, მასალის ანალიზიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ნასესხებ ერთეულებს სჭარბობს კალკირებული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც წიგნის ან ზეპირი მეტყველების გზით უნდა იყვნენ ქართულიდან შესული.

1. **ნასესხები ფრაზეოლოგიური გამონათქვამები (იდიომები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი)**

აქ წარმოდგენილი იქნება ისეთი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, რომლებიც, ჩვენი დაკვირვებით, წარმოშობილია ქართული ენიდან სესხებისა თუ კალკირების საფუძველზე[2]:

ბანიშ ლიქშისგ — აყოლა, წაქეზება, თანხმობა, შდრ. ქართ. ბანის თქმა „შველა, თანხმობა, მიხმარება, საქმის გაკეთებინება, მიკედლება, მოწონება, წაქეზება“

ალი შიშდ ბანს ხაჰშდი (ბქ.) — ეს ხელად ეთანხმება („**ბან**-ს აძლევს“)

ბერძეგენ მეზგე — მდიდარი, შეძლებული ოჯახი, შდრ. ქართ. (გურ., რაჭ.) ბერძეგანი „შეძლებული, მდიდარი“

დესშვად კუეცენ ხოშხშნა ჯშინელ, ეჯი ხოჩა ბერძეგენ მეზგათე იშგლდანი სოფელ-ქშეყანვასა“ (ლშხ. სვან. პრ. ტექსტ., 1979, 226:10) — ვისაც ძველი ხორბალი აქვს შენახული, ის მდიდარ ოჯახად („კარგ **ბერძეგან** მოსახლ⌜ის⌝კენ“) ითვლება („**სოფელ-ქვეყანა**-ში“)

დაშ ი ჰეც ნაჰეცურა — 1. კრეტინი, დებილი ადამიანი[3] (ზედმიწ. „**დევ**-ი და **მჰეც**-ი ნა-**მჰეც**-არ-ი“)

მუშშნიაშ ჯშინელ დაშობ ი ჰეცობ ომჩედ ესერ (ბქ.) — სვანის ძველი კრეტინობა||ჩამორჩენილობა („**დევ**-ობ-ა და **მჰეც**-ობ-ა“) წავიდაო („წასულაო“)

[1] იხ. ლიტერატურის ჩამონათვალში.

[2] „კალკი ისევე უნდა შევაფასოთ, როგორც სესხება“ (ჩიქობავა 1952: 196).

[3] ვინც ტანად დიდია და ჭკუა-გონებით სუსტი, ისეთ ადამიანზე ამბობენ.

შითე ლიკუ̄ნე (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **შითე ლიკუნე** (ბქ., ლნტ.) — მისაკუთრება, დაპყრობა, დაუფლება, შოვნა, ხელში მოგდება (ვისიმე, რისამე), შდრ. ქართ. ხელში ჩაგდება [შდრ. საკუთრივ სვან. (ბქ.) **ჩის სგა იყერ** — მიისაკუთრებს, ხელში ჩაიგდებს („ყველას შემოირტყამს“)]

თერა̈რისგა ტგტიშ ლიშდე — მოტყუება, გამასხარავება (ზედმიწ. „**თვალ**-ებ-ში ნაცარ-**ტუტა**-ს მიყრა“), შდრ. ქართ. თვალში ნაცრის მიყრა||ჩაყრა

თერა̈რისგა ჩის ტგტს ხა̈შდე (ბქ.) — ყველას ატყუებს („**თვალ**-ებ-ში ყველას ნაცარ-**ტუტა**-ს აყრის“)

კუ̄ერიშ ლიყერ — დამოწმება, მიმხრობა, მხარის დაჭერა (ზედმიწ. „**კვერ**-ის რტყმა“), შდრ. ქართ. კვერის დაკვრა

ალა̈რი კუ̄ერს ხოყერხ (ბქ.) — ესენიც კვერს უკრავენ („ურტყამენ“)

გა̈ჩს მა̈ძგრინე, **კუკუმ ზისხ დემის მივდენი** (ბქ.) — გაბრაზებული ვარ, მწუხარებისგან სიტყვა ვერ მითქვამს (ზედმიწ. „დანას მ-ა-**ძგ**-ერ-ებ, წვეთი **სისხლ**-ი არ მომივა“), შდრ. ქართ. დანა რომ დამარტყა, სისხლი არ გამოვა; დანა პირს არ მიხსნის

თეთე სგ'ოთშყედნიხ, **ქა დემის იფურშგვინეხ** — ძალიან უყვართ, აფასებენ (ზედმიწ. „**თვალ**-ᶜის ᵀ-კენ ჩაუვარდებათ, არ ამოიფშვნიან“, შდრ. ქართ. თვალში რომ ჩაუვარდეთ, ხელს არ ამოისვამენ

თეთე ფხულე დემ იძგირი, **ეჯგუ̄ა̈რ მუბირ ლი** (ბქ.) — უკუნეთი ღამეა (ზედმიწ. „**თვ**-ალ-ᶜის ᵀ-კენ თითი არ ი-**ძგირ**-ებ-ა, იმ-**გვარ**-ი სიბნელე არის“, შდრ. ქართ. თვალთან თითს ვერ მიიტანს კაცი, ისეთი სიბნელეა

თხუმ ფაყუ̄ისა ხუღუ̄ა (ლშხ., ჩოლ.) — საიმედო მდგომარეობაშია, საშიშროება არ მოელის, არხეინადაა, შდრ. ქართ. თავი ქუდში აქვს

ბა̈ჩუი ნახტაუ̄ ეშმა̈კ (ბქ.), **ბაჩუი ნახტაუ̄ ეშმაჲ** (ჩოლ.), **ბეჩუი ნახტაუ̄ ეშმაჲ** (ლშხ.) — მახინჯი, შეუხედავი, შდრ. ქართ. ქვაზე დახატული ეშმაკი

შჲა̈რს ხა̈ხერი — ვისიმე ცემა სურს (ზედმიწ. „ხელებს ექავება“), შდრ. ქართ. ხელები ექავება, ხელები ჰქავა (ვაჟა)

ალის შჲა̈რს დოუ̄ე ხა̈ხერიუ̄ (ბქ.) — ამას მგონი ხელები ექავება („ამას ხელებს მგონი ექავებოდა“)

ბეწუ̄უი ლისედ (ზს., ქს.) — ბეწვზე გადარჩენა (**ბეწუ̄უი̄ნ გარ ა̈მსა̈დ ქუ̄ინ** (ბზ.), **ბეწუ̄უი გარ ლემსად ქუ̄ინ** (ბქ.), **ბე̄წუ̄უშ გარ ემსად ქუ̄ნ** (ლშხ.) — სული ბეწვზეღა შემრჩა; **ბეწუ̄უი ა̈თუ̄ესელენ** (ლნტ.) — ბეწვზე გადავრჩი)

გუჲსგა||გუ̄იჲსგა ლემესგ||ლა̈კირ ხოშუ̄ — დამწუხრებულია, დანაღვლიანებულია, გულში ცეცხლი უნთია („**გულ**-ში ცეცხლი||სა-**კირ**-ე უნთია“)

ეჯგუ̄ა̈რ დრეუ̄ისგ'ა̈რი, **ერე გუჲსგა ლემესგ||ლა̈კირ ხოშუ̄** (ბქ.) — საშინელ დღეშია („იმ-**გვარ დრო**-ში ა-**რ**-ი-ს, რომ **გულ**-ში ცეცხლი||სა-**კირ**-ე უნთია“)

გუ̄იჲმუჭუ̄ედ ხოფუე — გაბრაზებულია, დაბოღმილია (ზედმიწ. „**გულ**-ი და მკერდი უდუღს“), დამწუხრებულია (ვიღაცის ავადმყოფობის ან გარდაცვალების გამო), შდრ. ქართ. გულ-მუცელი ეწვის

ალის ლეთილადეღ გუიჷმუჭუედ ხოფუე (ბქ.) — ეს მუდამ დამწუხრებულია („ამას ღამე და **დღე გულ**-ი და მკერდი უდუღს“)

მართალია, სვანურში ღვიძლის მაგივრად მკერდია გამოყენებული, მაგრამ მაინც აშკარაა, რომ აღნიშნული ფრაზეოლოგიური გამონათქვამი ქართული „**გულ-მუცელი** ეწვის“ გამოთქმის კალკია.

დეცელაჳურაშ ლიფეტ — დიდი სიხარული, ბედნიერება (ზედმიწ. „**ც**-ი˹ს˺ სა-**ჳურ**-ელ-ის გახვრეტა“), შდრ. ქართ. ცის გახსნა

ალის დეცელაჳურა ოთფაჲტ (ზს.) — ეს გაბედნიერდა, კარგ ბედში ჩავარდა („ამას **ც**-ის სა-**ჳურ**-ელ-ი გაეხვრიტა“)

დეცქა მემპერს დემ ლოქ ფიშტუე ი ძირს — მეზელაჲლს — კარგი, სახელოვანი მონადირეა („**ცა**-ზე მფრინავს არო უშვებს და **ძირ**-ს — მოსიარულეს“), შდრ. ქართ. ცაში ფრინველებსაც და დედამიწაზე ჭიანჭველებსაც აცახცახებდათ (მისი შიშით), ანუ ზეცაზე ფრინველი ვერ გადაიფრენს, ძირს, მიწაზე, ჭიანჭველა ვერ გაივლის მისი შიშით.

მეთხუუარად ხაქუხ: „ფუსდ, იმ ლოქ ანჳდეხ, ეჯკაღლი მეთხუუარ ლოქ ხასიპ მინე ცხეკს, **დეცქა მემპერს დემ ლოქ ფიშტუე ი ძირს — მეზელაჲლს**!“ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 329:16-18) — მონადირეებმა უთხრეს: „ბატონო, რას („რა-სო“) მოვიტანთო („მოიტანენ“), იმისთანა („იმ-**ყალიბ**-ი“) მონადირე (შდრ. ძვ. ქართ. მე-სა-**თხ**-ევ-ლ-ე“) დასტრიალებსო ჩვენს („მათ“) ტყეს, ცაზე ფრინველს არ აჭაჭანებსო („უშვებს“) და ძირს — ჭიანჭველას („მოსიარულეს“)!“

აშკარაა, რომ ქართულიდანაა შემოსული და ფიქსირდება ძირითადად ზღაპრებში.

თუი ი შაქაჲრ ახაზი პილაჲრჟი (ბქ.) — თბილი, ტკბილი ადამიანია, შდრ. ქართ. თაფლი და შაქარი ამოსდის პირიდან

შდიქ-ლელგუის იყუფე — ძალიან ბრაზობს, ჯავრობს (ზედმიწ. „კბილ-სა-**გულ**-ე-ს იძრობს“), შდრ. ქართ. კბილებს იყრევინებს

ეჩა ხგრშუ მიშგუ მეზუბელ შდიქ-ლელგუის იყუფე (ბქ.) — სიბრაზისგან ჩემი მეზობელი კბილებს იყრევინებს („იმის ბრაზით ჩემი **მეზობელ**-ი კბილ-სა-**გულ**-ე-ს იძრობს“)

კინჩხიშ ქუეცა — შერცხვენა, შდრ. ქართ. კისრის მოჭრა

ალი ნიშგე კინჩხიშ მუქუიცან ლი (ბქ.) — ეს ჩვენი შემარცხვენელია („ეს ჩვენი **კინჩხ**-ის მჭრელი არის“)

მაჲრტმაჲსიპაჲნ ამსუალდ — მერყევი ადამიანი (ზედმიწ. „**მარტ**-მოტრიალე ადამიანი“), შდრ. ქართ. მარტივით ცვალებადი

ლაჲდ სურუ მაჲრტმაჲსიპაჲნ ამსუალდ ლი (ბქ.) — ნამეტანი გულცვალებადი ადამიანია („მთლად მეტისმეტი **მარტ**-მოტრიალე ადამიანი არის“)

მაჲხადშუ ჭიშხჟი უენდ ლგგ (ბქ.) — ძალზე გახარებულია, შდრ. ქართ. სიხარულით ფეხზე ძლივს დგას და მეგრ. **სიხარულით კუჩხის ვეგერდეს** [შდრ.

საკუთრივ სვანური გამოთქმა: **გუიჲსგა ჯვნ ხობ** „გახარებულია, მაგრამ არ იმჩნევს („**გულ**-ში **ხარ**-ი უ-**ბ**-ია“)“]

ნჲთსაუიშ სჲყუდირ (ბქ.) — ადამიანი, რომელიც ნათესაობას არცხვენს თავისი ცუდი საქციელით, მნიშვნელობა არა აქვს ქალი იქნება თუ კაცი, ასეთ ადამიანებს კი გადატანითი მნიშვნელობით „ნათესავის საყვედურს“ (ანუ ნათესაობის სირცხვილს) უწოდებენ („**ნჲთსჲუიშ სჲყუდირ ლჲწრალდ იქუი**“ — ნათესავის საყვედური საგინებლად ითქმის), შდრ. ქართ. ნათესავის საყვედური. გვხვდება სხვა გამოთქმებიც, მაგ.: **სჲყუდირდ ხჲზ** „შერცხვენილია“ („სა-**ყვედ**-ურ-ად ა-**ძ**-ევ-ს“), **ლესყუადურდ ლისედ** „შერცხვენა“ („სა-სა-**ყვედ**-ურ-ოდ დარჩენა“). როგორც მაგალითებიდან ჩანს, სვანურში სემანტიკურ გადაწევასთან გვაქვს საქმე.

ტყუედ ლიჯეშ — ძვირადღირებული რამ, ძალიან რომ სჭირდებათ რამე (ბევრ რამეზე ითქმის: კარგ სვანურ თოფზე, კარგ ხარზე, მაგ., მოლემ სურუ წგხი ლახა ხარხ, ათხეჲ ამჟი რაგდიხ: „**ჲლი ესერ დინა ტყუედ ხოჯეშ ათხე**“ (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 240:28-29) — როცა რამე ძალიან სჭირდებათ („რაღაცის მეტისმეტი **წუხ**-ილ-ი თუ აქვთ“), ახლაც ასე ამბობენ („ლაპარაკობენ“): „ეს გოგო რად მიღირსო ახლა („ესო გოგო **ტყვე**-დ უღირს ახლა“)“, და თვით სიკვდილზეც კი, მეტად გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანი თავისთვის ლაპარაკობს **დაგრა ტყვედ ესერ ხოჯეშ** „სიკვდილი ტყვედ მიღირსო, ანუ სიკვდილი ხსნა იქნებაო („**ტყვე**-დ ფასება, ღირება“), შდრ. ქართ. ერთ ტყვედა ღირს „ძვირფასია“. როგორც ცნობილია, გამოთქმა იმდროინდელია, როცა ტყვეების ყოლა მოსამსახურეებად ქართველებს ჩვეულებად ჰქონდათ და ტყვეები დიდად ფასობდნენ ჩვენში (სახოკია 1979: 184).

უშხუარ სომეხ-თათჲრდ ხაგხ (ბქ.) — გადამტერებულები არიან (ოჯახები, სოფლები, ადამიანები, — ზედმიწ. „ერთმანეთს **სომეხ-თათრ**-ად ად-**გ**-ა-ნ-ან“). მართალია, მსგავსი ფრაზეოლოგიური გამონათქვამი ქართულში ვერ დავადასტურეთ, მაგრამ ამ ორი ერის ერთმანეთთან მტრული დამოკიდებულება, ცხადია, ყველა ქართველისთვის ცნობილია, და სვანურში, როგორც ჩანს, ზეპირი გზითაა შესული.

ფხულაქა ლეჭუენი — სულ ცოტა, შდრ. ქართ. თითზე გადასახვევი (შდრ. აგრეთვე საკუთრივ სვანური: **ამიშ ამგრდან** — თითზე გადასახვევი, ერთი ბეწო, ამისი ნასახი [**ამიშ ამგრდან მამაგუეშ მიწუა ალჲრხენქა** — თითზე გადსახვევი („ამის ნასახი, მაგვარი“) არაფერი მინახავს ამათგან]

ეჯუი აფიშდუხ ქორხენქა, **ერე ფხულაქა ლეჭუენი მამაგუეშ ლახუემხ||ლახფერბეხ** (ბქ.) — ისე გაუშვეს სახლიდან, რომ თითზე გადასახვევი არაფერი მისცეს||აღირსეს (შდრ. ქართ. „მო-**ფერ**-ებ-ა“)

ქრისდე მირჰენ — მირონით დანათესავებულნი, ნათელ-მირონობა, „**ქრისტე**-ᲠᲡ **მირონ**-ი“

ალჲრს უშხუარნენსგა ქრისდე მირჰენ ხუღუახ (ბქ.) — ამათ ნათელ-მირონობა აკავშირებთ („ამეებს ერთმანეთს შორის **ქრისტე**-ᲠᲡ **მირონ**-ი აქვთ“)

უკუდენმი ჟაგარ (ლშხ.), **უკუდჲებაჲშ ჟაგჲრ** (ბქ.) — უკვდავების წამალი

როსტომდ ოსყულე ქაქაოზ მეფეს: „**აშიშდ უკუდე̄მნი ჟაგარუ ოხზგზე**, **ოდო სგა ლოქ ერ ეთნეჩდი მინს**, **გიმს ლოქ აღა̄ჯჭუნე ამი̄შრბას**“ (ლშხ. პრ. 120:19) — როსტომმა დაუღრიალა („დაუყვირა“) ქაქაოზ მეფეს: „ახლავე გამომიგზავნეო („გამოუგზავნა“) უკვდავების წამალი, თორემ თუ დაგერიეთ („რომ შეერევაო მათ“), აქაურობას მიწად ვაქცევო („მიწასო მოზელს **ამ**-ის-ობ-ა-ს“)

უშკუთე ბუ̄ლთი ლიყუ̄ბე (ბზ.) — გაჩუმება, ხმის ჩაწყვეტინება, რისამე თქმის საშუალების მოსპობა, შდრ. ქართ. პირში ბურთის ჩაჩრა [(„ჩატენვა“), შდრ. საკუთრივ სვან. **პილა̄რისგა ლიფხჭი** — გაჩუმება, ხმის ჩაწყვეტინება („**პირ**-ში ხელის ჩავლება“)]

ჯიმ როქ დემე მიყლა თხუიმშუ̄, **ეჩგნქა როქ მამაგუ̄ეშ მიკლინა** (ბქ.) — თავი არ დამიზოგავს („თავით მარილი არ დამინაყავს, იმის გარდაო არაფერი დამიკლია“), შდრ. ქართ. თავით მარილის დანაყვა

ეშუი აჳს ესერ ლგმრა̈გდინ, **მერმე — ბაჳს** (ბქ.) — უთანხმოება ადამიანებს შორის რაიმე საკითხის გადაწყვეტისას, ანუ ერთი ერთს ამბობს და მეორე სხვას, შდრ. ქართ. ერთი ალთას იძახდა („*ნალაპარაკევა“), მეორე — ბალთას.

ა. შანიძის გამოკვლევით, ალბანურ ანბანში პირველ ასოს ჰქვია ა ლ თ, მეორეს ბ ა ლ თ (1938), ამ გამოთქმაში, როგორც თ. სახოკია მიუთითებს, დაპირისპირებაა ორი, ერთიმეორის საწინააღმდეგო შინაარსის აზრისა. ერთი რომ ერთს გაიძახის, მეორე სულ სხვა რამეს იძახის (1979, 211-213).

ჩვენი დაკვირვებით, ზემოაღნიშნული სვანური გამონათქვამი ქართულის კალკია, ოღონდ ალთასა და ბალთას ნაცვლად გამოყენებულია სვანურში ძალზედ გავრცელებული ტოპონი **ბაჳ**, **აჳ** კი, როგორც ჩანს, მთქმელის მიერ შეთხზულია ასოციაციურად და, რა თქმა უნდა, **ბაჳ** ფორმიდან მომდინარეობს. ამდენად, იქმნება ტოპონიმიური წყვილი **აჳიბაჳ**, რომელიც სიმორეზე მიუთითებს. მსგავსი ტოპონიმიური წყვილები სვანურ ზღაპრებში ხშირად ფიგურირებს (მაგ.: **ალელია-გალელია**, **ასავლეთი-დასავლეთი**, **ჲურქუ̄ეთი-თურქუ̄ეთი**, **ალაიშ-თალაიშ‖ა̄ლა̈შ-თა̄ლა̈შ**..., აქ წარმოდგენილი მასალის შესახებ იხ. ა. ბაბლუანი, სვანური ზღაპრის სტაბილური ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, თბილისი, 2009).

მაყაუ̄ ლა̈ლემ (ბქ.), **მაყალ ლალე̄მ** (ლშხ., ჩოლ.) — შეეშინდა, შდრ. ქართ. შიში ჭამა (შდრ. საკუთრივ სვან. **სისგ ლახშგდ**, **სისგიშ ლიყერ** (ბქ.), **სისრდა ლიშდე** (ჩოლ.) და ა. შ. — 1. შეეშინდა, შეძრწუნდა, შეშინება, შეძრწუნება (ზედმიწ. „შიში შეეყარა, შიშის ⌜და⌝რტყმა“)

პასუხ ლახტიხ (ბქ.) — შეეპასუხა (ზედმიწ. „**პასუხ**-ი დაუბრუნა“), შდრ. ქართ. სიტყვა შეუბრუნა

ლაცუ̄დ ლიკედ (ზს.), **ლა̄ცუ̄დ ი ლამასხარდ ლიკედ** (ლშხ., ჩოლ.) — 1. დაცინვა (ზედმიწ. „სა-სა-**ც**-ილ-ო-დ აღება“, „სა-სა-**ც**-ილ-ო-დ და სა-**მასხრ**-ო-დ აღება“), შდრ. ქართ. სასაცილოდ აგდება

სამარ-სუდარდ ლითხე̄ლი — რაღაცის გამწარებული ძებნა, შდრ. ქართ. სამარ-სუდარად ძებნა

წგრნი ჯანიშ ი ფური ტუფ ხოჩა გეჭაჲ ლოქ ლი ი ... ⌜ამღა⌝ სამარ-სუდარდ ხეთხენლდახ ლეჩხუმარ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 269:25-26) — წითელი ხარისა და ძროხის („**ფურ**-ი⌜ს⌝“) ტყავი კარგი გამძლეაო და ამიტომ სამარ-სუდარად ეძებდნენ ლეჩხუმელები.

აღნიშნული გამოთქმა, როგორც თ. სახოკია მიუთითებს, ხშირად ისმის ლეჩხუმ-სვანეთში და მიმართავენ რაიმე დიდი გაჭირვების გამოსახატავად, რადგანაც ძველად მიცვალებული უსუდაროდ და უსამაროდ არ დაიმარხებოდა, მის დასასაფლავებლად ორივე აუცილებელი იყო (სახოკია1979: 542). ზემო სვანურ დიალექტებში მსგავსი გამოთქმა არ დაფიქსირებულა.

ღერთემ ბეგჳრ (ბჭ.) — ღვთის ბეგარა (კაცის სიკვდილის გამო ითქმის. როდესაც ოჯახში ვინმე კვდება, მაშინ ამბობენ: ღმერთმა მისი ბეგარა აიღოო. ერთის სიკვდილი ღვთის განაჩენი ჰგონიათ და მეტს არ მოელიან)

თაუსხლჳფიშ||თაულჳფხიშ ლითხფე ⌜თხუმხენჩუ⌝ — შერცხვენა, გალანძღვა, დამცირება, საქვეყნოდ შეურაცყოფა (ზედმიწ. „**თავ**-ს-**ლაფ**-ის დაფენა, დაფარება თავიდან ქვე“), შდრ. ქართ. თავზე ლაფის დასხმა ||თავლაფის დასხმა, როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი მოირგო სვანურმა ყალიბმა.

ალი ნიშგე თაუსხლჳფიშ მგთხფე ლი (ბჭ.) — ეს ჩვენი შემარცხვენელია („ეს ჩვენი **თავ**-ს **ლაფ**-ის დამფარებელი არის“)

ზისხ ი ზგნე ემგნწგრე — გამამწარა („**სისხლ**-ი და წვენი გა-მო-მ-**წურ**-ა“), შდრ. ქართ. სისხლი გამიშრო

გუდ||გუიდ რიჩხ ჳნკიდ (ბზ.) — შეკრთა, შეცბა, გული შეუტოკდა (ზედმიწ. „**გულ**-მა **რეჩხ**-ი აიღო“), შდრ. ქართ. გულმა რეჩხი უყო; **შიშდ რიჩხ მაჯიდ გუს** (ლშხ.) — მაშინვე შევკრთი, შევცბი (ზედმიწ. „ხელად **რეჩხ**-ი დამარტყა **გულ**-ს“)

თხუიმჟი მერს დემ იგნე (ბჭ.) — ამაყია, უკადრისია, ქედმაღალია, ყოყოჩია, შდრ. ქართ. თავზე მამალ ბუზს არ ისვამს

მერმემ შდჳრშუ ცხგნდრე ლიკედ — სხვისი საშუალებით ძნელი ან სახიფათო საქმის კეთება (ზედმიწ. „მე-**ორ**-ის ხელებით ნაკვერჩხლების აღება“), შდრ. ქართ. სხვისი ხელით ნარის გლეჯა, თუმცა არ გამოვრიცხავთ სვანური ფრაზეოლოგიური გამონათქვამის დამოუკიდებლად, საკუთრივ სვანურ ნიადაგზე წარმოშობასაც.

გუნ ჳდუილ ლი, **ბუბაღო**, **მერმემ შდჳრშუ ცხგნდრე ლიკედ** (ბჭ.) — ძალიან ადვილია („მეტისმეტი ადვილი არის“), ბიძია გენაცვალოს, სხვისი ხელით სახიფათო საქმის კეთება (მე-**ორ**-ის ხელებით ნაკვერჩხლების აღება“)

ნესყამეფტაქა ლიზი — მონდომება, მიზნის მისაღწევად ძნელი საქმის გაკეთება (ზედმიწ. „**ნემს**-გახვრეტილში სვლა“), შდრ. ქართ. ნემსის ყუნწში გაძრომა

ალის მჳ გარჯ ხარ, **ნესყამეფტაქა ქა ღგრი** (ბჭ.) — ამას რა უჭირს („ამას რა **გარჯა** აქვს“), მიზნის მისაღწევად ყველაფერს გააკეთებს („**ნემს**-გახვრეტილში გავა“)

უჳბედუშუ — ძლივს, ვაი-ვაგლახით (ზედმიწ. „**ვაი**-**ბედ**-ით“), შდრ. ქართ. ვაი

და ბედი

ჭაიბედუშუ ჩუათკარუნე დიდ ყორ ... **ნეკშდარს** (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957, 255:) — დედამ ვაი-ვაგლახით გააღებინა კარი თიკნებს („**ვაი-ბედ**-ით გააღებინა **დედა**-მ თიკნებს“)

შდგმრაარუი ხაჰხუს ემჭკუერნე! (ბქ.) — ვერაფერს დამაკლებ, ვერ მომერევი (ზედმიწ. „ყურებზე **ხახვ**-ს დამაჭრი!“)! შდრ. ქართ. ყურებზე ხახვი არ დამაჭრა!

კონჩხუი ხახუ ნომა ემჭკორა! (ლშხ.) — ვერაფერს დამაკლებ, ვერ მომერევი, შდრ. ქართ. ყურებზე ხახვი არ დამაჭრა!

ა. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ ქართული ყ უ რ ე ბ ზ ე ხ ა ხ ვ ი ა რ დ ა მ ა ჭ რ ა და სვანური **კონჩხუი ხახუ ნომა ემჭკორა** შეიძლება მსგავსი სოციალური მდგომარეობით შეპირობებულ დამთხვევად მივიჩნიოთო, თუმცა იმასაც დასძენს, რომ მონათესავე ენებს შორის აღნიშნული პარალელიზმი ოდინდელი ურთიერთობითაა გამოწვეულიო (თაყაიშვილი1961: 112).

შიმი ბერუი ლისგურე — დიდ პატივში, ფუფუნებაში ყოლა (ვისიმე), პატივისცემა; მზრუნველობა, მოვლა, შდრ. ქართ. ხელის გულზე დასმა||ტარება

ალდაარს მინე დი შიმი ბერუი ხოსგურხ (ბქ.) — ამათ დედა დიდ პატივში, ფუფუნებაში ჰყავთ („ამეებს მათი **დედა** ხელის გულზე უზით“)

ლაჩქი ლიფრენი (ლშხ.) — სასირცხვილო საქმის ჩადენა (ზედმიწ. „**ლე-ჩქ**-ი˹ს˺ და-**ფარ**-ებ-ა“), შდრ. ქართ. ლეჩაქის დახურვა და ა. შ.

იდიომის თარგმნის ელემენტარულ პირობად საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია ის, რომ „ხელშესახები იყოს კავშირი გამოთქმის ამოსავალსა და ზოგად მნიშვნელობას შორის“, ანუ ნათლად უნდა ჩანდეს გამოთქმის მოტივაციის კვალი. აღნიშნული პირობა კი, არლ. თაყაიშვილის აზრით, აუცილებელიცაა (იქვე: 109), რადგანაც იდიომ-კალკი „ორჯერ განიცდის გადატანითობას: პირველად მშობლიურ ნიადაგზე, იდიომატური მნიშვნელობის შეძენის მომენტში; მეორედ კალკირების დროს, როდესაც უცხო ენაში შედის შეუსაბამო იდიომატური მნიშვნელობით“ (როჟანსკი 1948: 28), ამიტომაც აქაც, ისევე როგორც მშობლიურ ნიადაგზე დამკვიდრებისას, საჭიროა „პირდაპირ მნიშვნელობაში მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი გამოთქმის განზოგადების საფუძველი“ (თაყაიშვილი 1961: 109).

ჩვენ მიერ ზემოთწარმოდგენილი სააანალიზო მასალა თითქმის ქართულის იდენტურია, თუმცა ზოგჯერ ისიც ხდება, რომ სრული იდენტურობა არა გვაქვს (ანუ ამოსავალი იდიომისა და კალკის შემადგენელი ელემენტები ზუსტად არ ემთხვევა ერთმანეთს). მაგ., **თეთე ფხულე დემ იძგირი**, **ეჯგუაარ მუბირ ლი** (ბქ.) — თვალთან თითს ვერ მიიტანს კაცი, ისეთი სიბნელეა („**თვ**-ალ-ი˹ს˺-კენ თითი არ ი-**ძგირ**-ებ-ა, იმ-**გვარ**-ი სიბნელე არის“); **გუიამუჭუედ ხოფუე** (ბქ.) — გულ-მუცელი ეწვის მწუხარებისგან („**გულ**-ი და მკერდი უდუღს“); **მერმემ შდაარშუ ცხგნდრე ლიკედ** — სხვისი საშუალებით ძნელი ან სახიფათო საქმის კეთება („მე-**ორ**-ის ხელებით ნაკვერჩხლების აღება“), შდრ. ქართ. სხვისი ხელით ნარის გლეჯა; **ზისხ ი ზგნე ემგნწგრე** — გამამწარა („**სისხლ**-ი და წვენი გა-მო-მ-**წურ**-ა“), შდრ. ქართ.

სისხლი გამიშრო და ა. შ. ზოგ შემთხვევაში სვანურში აღნიშნული გამონათქვამები კიდევ უფრო დაკონკრეტებულია, რაც, მეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, გამოთქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ნიმუშია, ე. ი. გათვალისწინებულია ახალი გარემო და სათარგმნი ერთეული მისთვის ნიშანდობლივი სახით გადმოიცემა (იქვე: 110).

შენიშვნა: ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი საანალიზო მასალის ქართულ ენაზე თარგმნა არ გაგვჭირვებია, რადგანაც ქართულსა და სვანურში სიტყვიერ მნიშვნელობათა კავშირები ერთმანეთს დაემთხვა. და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ისინი ახლომონათესავე ენებია, თუმცა სვანურში ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულებიც გვხვდება, რომელთა წმინდა სვანურობაზე საუბარი დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული წერილობითი წყაროების უქონლობის გამო.

საინტერესოდ გვესახება სვანურში არსებული რიცხვითი სახელების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა მეტი წილი ქართულიდან უნდა იყოს შემოსული:

ათჳსქესაღა (ბჭ.), **ათასქესაღა** (ლშხ.) — არაფრის გულისათვის (ზედმიწ. „**ათას**-ი **ქის**-ʳის-აˀ-თვის"), შდრ. ქართ. **ათას ქისად** „არაფრის გულისთვის" (იგულისხმება: ათას ქისა მარჩილად),

ათჳს ქესაღა მად ლეჲკაკლე (ბჭ.) — თავისი გაიტანა, არ შეისმინა, ყურად არ იღო („**ათას**-ი **ქის**-ʳის-აˀ-თვის არ შეისმინა")

ყაფლან ათჳსქესაღა მად'აჩჳდ (ბჭ.) — ყაფლანი არაფრის გულისათვის („**ათას**-ი **ქის**-ʳის-აˀ-თვის") არ წავიდა

ბაპ ათასქესაღა ლიზის დემ იჩო (ლშხ.) — მღვდელი არაფრის გულისათვის არ მიდის („მღვდელი **ათას**-ი **ქის**-ʳის-აˀ-თვის წასვლას არ შვრება")

აშირისგა‖ათჳსისგა ეშხუʳნˀ — იშვიათად (ზედმიწ. „**ას**-ში‖**ათას**-ში ერთხელ"), შდრ. ქართ. ათასში ერთი‖ერთხელ

ამკჳლიბ გუეშ აშირისგა‖ათჳსისგა ეშხუʳნˀ ხეხოლი (ბჭ.) — ასეთი („ამ-**ყალიბ**-ი საქმე **ას**-ში‖**ათას**-ში ერთხელ ხვდება")

ეშდდ ლიქუეც — 1. ერთი კაცის მიერ მრავალგვარი საქმიანობისათვის ხელის მოკიდება, 2. შდრ. ქართ. ათად გაჭრა (შდრ. ქართ. **ათასად იჭრებოდა**, ე. ი. ბევრ საქმეს აკეთებდა)

ლჳდდ ეშდდ დეშ ქუეცნი (ბჭ.) — ყველაფერს ვერ გავაკეთებ („მთლად **ათ**-ად ვერ ვიჭრები")

ჩხარა თჳკუქა ნჳსკინ ზურალ — ცუდი ყოფაქცევის ქალი (ზედმიწ. „ცხრა **თოკ**-ზე ნახტომი ქალი"), შდრ. ქართ. ცხრა თოკში გამძვრალი, ცხრა თოკიდან აშვებული „ათასგვარ გაჭირვებას გადარჩენილი, მეტად გაქნილი, გამოცდილი, ეშმაკი, გაიძვერა"

ალ ზურალ იმჟიმოშ მარგჳდი მი, **ჩხარა თჳკუქა ნჳსკინ ლი**?! (ბჭ.) — ეს ქალი როგორ მელაპარაკება, ცუდი ყოფაქცევისაა („ცხრა **თოკ**-ზე ნახტომი არის")

ჩხარა თანღი ეჩხენჩუ — შორს ჩვენგან, შდრ. ქართ. ცხრა მთას იქით „უსაზღვრო სიშორე, ძალზე შორს"

ათხეჲ ჩხარა თანღი ეჩხენჩუოღუ ხჳრი! (ბქ.) — შორს ჩვენგან („ახლაც **ცხრა** უღელტეხილ[ს] იქითქვემც ხ-ა-**რ**“)!

თუმცა გვხვდება დამოუკიდებელი წარმომავლობის რიცხვითი სახელების შემცველი სვანური ფრაზეოლოგიური გამონათქვამებიც. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმეს:

ათჳსერუეშდთე ათქარჩუნე (ბქ.) — გადააკეთა, გადაასხვაფერა, ეცადა დაემალა, ათასჯერ შეცვალა (ზედმიწ. „**ათას ორ-ოც**-[რის]-კენ გადაასხვაფერა, შეცვალა“)

ათჳსერუეშდთე ლიხურდჳუი (ბქ.) — რაღაც ამბის გადასხვაფერება, ეჭვის შეტანა (ზედმიწ. „**ათას ორ-ოც**-[რის]-კენ გადა-**ხურდ**-ავ-ებ-ა“)

ათჳსერუეშდჳნ ლიქუისგ (ბქ.) — ბევრჯერ თქმა, ათასჯერ თქმა, ერთი და იმავეს რამდენჯერმე თქმა (ზედმიწ. „**ათას-ოც-ათ**-ჯერ თქმა“)

გარდა ამ გამონათქვამებისა, რიცხვითი სახელები დალოცვის ფორმულებშიც ხშირად გამოიყენება, რაც ნათლად ჩანს როგორც სვანური პროზაული ტექსტებიდან, ასევე ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული მასალებიდანაც.

უშხუჳრ ამჟი ხუჳშიაშიდ: „**ხოჩა ზჳჲმჳხეუ აჯსაცადახ**, **ტჳნთელდუ ხჳრიდ**, **ღებეთ ი მარე მჳგ ისკური ხოჩემი მუჩუემუ ლი**; **იმჳჲხო ქაჩეხი**, **ჩიჳგუ ხოჩემი სუე ი გამარჯუ ლაჯაოდა**; **ჩიგარ მომატებჳჲსკაუ ხჳრი ი ხოჩა დურეჲსკა**. **ათხე ერ ჯისკიდიხუი ხოჩამდ**, **ამჟი აშირ ათჳს ზაუ ხოჩამდუ აჯაჲა**!“ (ლნტ. სვან. პრ. ტექსტ., 1967, 57:18) — ერთმანეთს ასე ვასაჩუქრებთ („ხელს ვუხსნით“): „ბედნიერი („კარგი“) წელი („წელ-ახალიმც“) დაგდგომოდეთ („შეგნაცვლებიათ“), ჯანმრთელად („**ტან-მრთელ**-ად-მცა“) იყავით („ხ-ა-**რ**-თ“), ღმერთი და ადამიანი („კაცი“) ყველა შენი სიკეთის („კარგი[ს]“) მომტანი („მქმნელიმც“) იყოს („არის“); საითაც ფეხი გადადგა („გახვიდე“), ყველგან („ყველგანმცა“) გამარჯვება („**სვე** და **გამარჯვ**-ებ-ა-მც“) გქონდეს („მოგეცეს“); მუდამ („ყოველთვის“) მატება („მო-მა-**ტ**-ებ-ა-ში-მც“) გქონდეს („ხ-ა-**რ**“) და კარგი ცხოვრება („კარგ **დრო**-ში“). ახლა რომ გიყურებ ბედნიერს („კარგად“), ასე ყოფილიყავი ასიათასი წელი ბედნიერად („ასე **ას**-ი **ათას**-ი წელი კარგადმცა მოგსწრებია!“

აშირათჳსოღუ აჩიენა ხოჩა გუჟი! (ბქ.) — დალოცვილი ყოფილიყავი მუდამ (ზედმიწ. „**ას**-ი **ათას**-ი-მც მოგსწრებია კარგ **გულ**-ზე“)! ამგვარი დალოცვის ფორმულები სხვა ქართველურ ენებში ნაკლებად ფიქსირდება.

მიუხედავად სემანტიკური დამთხვევისა, **გამორიცხული არაა**, **რომ ზემოდასახელებული ზოგიერთი ფრაზეოლოგიური გამონათქვამი დამოუკიდებელი წარმოშობის იყოს ორივე ენაში ერთნაირი საზოგადოებრივ-ისტორიული პირობების გამო**.

საინტერესოა, აგრეთვე, ისიც, რომ ქართულ-სვანური ერთმანეთს უპირისპირდება ორგანულ ფორმათა და აღწერით კონსტრუქციათა (მაგ.: ქართ. დაძალება, შდრ. ლშხ. **ძალჳ ლიყრინე**, ქართ. დათანხმება, შდრ. ბქ. **თანახმას ლიჳედ**, ქართ. დაბანა, შდრ. ლშხ. **აბანო ლიყრინე**) გამოყენების

თვალსაზრისითაც. ე. ი. ქართულის ორგანულ ფორმებს სვანურში ხშირ შემთხვევაში აღწერითი კონსტრუქციები ენაცვლება.

სვანური ენის დიალექტებსა და კილოკავებში ორგანულ ფორმათა და აღწერით კონსტრუქციათა გამოყენების თვალსაზრისით დაპირისპირება ჩვეულებრივი მოვლენაა, უფრო მეტიც, ზოგჯერ ერთი დიალექტის ან კილოკავის შიგნითაც შეიძლება მონაცვლეობდნენ ორგანული და აღწერითი მონაცემები.

2. **ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმები**

ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმებით სვანური მეტად მდიდარია. საკუთრივ სვანური მრავალფეროვანი მასალის გვერდით ქართულიდან ნასესხები შესაბამისი გამოთქმებიც დადასტურდა.

... ბოფშარ ... ბაჩარს ხორხგნეხ უშხუარ ი ამჟი ტულიხ მაგ: „**ორიახო-კვირიახო**, **შენი სუი და შენი ჭამე**, **ჩუენსას ჯუარი დაგუიწერე**!“ (ლნტ., სვ. პრ. ტექსტ., 1967:66:10) — ბავშვები ქვებს ურახუნებენ ერთმანეთს და ყველანი ასე ამბობენ: „ორიახო-კვირიახო, შენი სვი და შენი ჭამე, ჩვენსას ჯვარი დაგვიწერე!“

კუმაშ ერ ჩუ ხოთუეფენიხ, ... ეჩქა ჟი აკურთხანიხ სკამს ი ამჟი ხომეზრეხ:

„**ეკენია-ბეკენია**, **ბეკენს ხატი სუენებია**.

იოუანე მოქარბუქობს მეუფეუის კარზედაო,

საგდაუელი ოქროსაო, **ნადირს პირი ჩაუბეჭდე**,

ჩააგდე ზღუასა, **ნუ აუშუებ უკუნის უკუნისამდე**.

ასეთი იყო ბრძანება ღუთისა“ (ლნტ., სვან. პრ. ტექსტ., 1967, 71:1-8) — საქონელი (შდრ. ძვ. ქართ. „**კუმაშ**-ი“) რომ დაეკარგებათ, მაშინ სკამს შეკრავენ ხოლმე და ასე ლოკულობენ („ულოკავენ“):

„ეკენია-ბეკენია, ბეკენს ხატი სვენებია.

იოვანე მოქარბუქობს მეუფევის კარზედაო,

საგდაველი ოქროსაო, ნადირს პირი ჩაუბეჭდე,

ჩააგდე ზღვასა. ნუ აუშვებ უკუნის უკუნისამდე.

ასეთი იყო ბრძანება ღვთისა“.

გუალისა ხაგდგნხ აჯაღ ამკალიბ ლიმზგრ: ეშხუ ზურაალ შიდ იყდანდა ეშხუ ფაკან ლგმერწუა ქაქს ი ჩუ იგნრლ ლენგულიმგყ, მერმე ზურაალ ლანწულაშ იგნრლ, ... სგამე ზურაალ ხატულდა ამჟი: „**ჩიჩა ფაფასაო**“, **ქამეშ ლახტიხა**: „**შალუა შატასაო**“. **ალეუდ ლახტულნა**, **ერე** „**დათუი უისა ყანასაო**?“ **ეჯი ლახტიხა**, **ერე** „**დათუი ლოქ სხუისა ყანასაო**“ **ი ამჟი ქ’ენშგლდნინახ**: „**მგელი უისა სურიელსა ლოქ**“, „**ჩიტი უისა ყანასა ლოქ**...“ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 244:28-34) — ბოსელში მართებდათ კიდევ ასეთი („**ამ-ყალიბ**-ი“) ლოცვა (შდრ. ძვ. ქართ. „**ზორ**-ვ-ა“): ერთი ქალი ხელში დაიჭერდა ხოლმე ერთ ჯამ ყველიან ფაფას და დადგებოდა ხოლმე ნაკელის გადასაყრელ ხვრელთან, მეორე ქალი სანაკელესთან დადგებოდა, შიგნითმყოფი ქალი ასე ეუბნებოდა: „ჩიჩა ფაფასაო“, გარეთა უპასუხებდა („დაუბრუნებდა“): „შალვა შატასაო“. ისევ ეს დაუძახებდა,

რომ „დათვი ვისა ყანასაო?“ ის უპასუხებდა, რომ „დათვი სხვისა ყანასაო“ და ასე ჩამოთვლიდნენ: „მგელი ვისა სურიელსაო“, „ჩიტი ვისა ყანასაო...“

მიუხედავად იმისა, რომ მგლის სვანური სახელწოდება არის **თხერე**, ქართულიდან ნასესხები ლექსიკური ერთეული „მგელი“ დალოცვის ფორმულებში ხშირად ფიქსირდება:

ეჩქანღო ეშხუ მარე ჟი ღგრი დენფნი ყრთეჟონ, ჯიჯუარს ი გალმოზარს ქა შიდე ი ტული: „**ოო, უ, გელო, ელოს აჯზგზე გელოდ, ამზაუ ალა ჯაც ი ზაუდ ბარჯს აჯკუანე**“! (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 9:19-21) — მერე („მაშინს მერე“) ერთი კაცი ავა დერეფნის კარებთან („კარებ⌜ის⌝კენზე“), ძვლებს და ხორცის კანებს გადაყრის და ამბობს: „ოო, უ, მგელო, ელოს გამოგიგზავნი მგელო (?), წელს ეს გქონდეს და მომავალ წელს ბეჭს გადმოგიგდებ“!

ქ’ანკიდ მალდ ... ლგქგნთრინე მგკრა ლემასგუხხანქა, ხაზმე თხერა ყიაჩუ ი ყგლე: „**აჭი-კაჭი, მეშხე ბედიშ გელიად**!“ (ბზ., სვან. პრ. ტექსტ., 1939, 362:1-2) — მელიამ გამოიღო გახურებული სახნისი ცეცხლიდან, მგელს ყელში უსწორებს („ა-**ზომ**-ავ-ს“) და ამბობს: „აჭი-კაჭი, უბედურო („შავი **ბედ**-ის“) მგელო!“

როგორც ამ უკანასკნელი ილუსტრაციიდან ჩანს, ერთსა და იმავე მთქმელთან სვანური **თხერე**-ს გვერდით ქართულიდან ნასესხები **მგელი**-ც დასტურდება.

მამისული სამთისა. გარდა შევიდე, გარდა მევიდე. კინა ხურსა ქუაბისა, აღი გული შეეყარა, გულსა ნახარ შემეყარე. ანაგეთ, მანაგეთ, ხინი ხუარამზელ. თოშეგსა, ფოშეგსა, წიბლითა ხინდო მახინდო თუერი. დედა მარიამისა, მამასკუელაისა, ნექჭა ნაბეგუისა, შაშიკო ბედნიერო (**შაშიკი ლიჭუდი**, ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 55:1-4) — მამისული სამთისა. გარდა შევიდე, გარდა მოვიდე. კინა ხურსა ქვაბისა, ალი გული შეეყარა, გულსა ნახარ შემეყარე. ანაგეთ, მანაგეთ, ხინი ხვარამზელ. თოშეგსა, ფოშეგსა, წიბლითა ხინდო მახინდო თვერი. დედა მარიამისა, მამასკველაისა, წარბი შუბლისა, შაშიკო ბედნიერო

ალ დაშნი ფუსდ ... ხობნე ლიჭუდის ⌜ხოლამ ბგნბი მაზგუუარს⌝: „**ელეგენი ქრისდესა, მელეგენი დედასა. ლაჩუსა, ერსკანსა, ღუაშსა, ჰილუსა, რაჭუა წკინტილსა, ერეუეზისა, ჩენ იყაუი ძალი, სამებისა ძალი შენი, ორონქო, მორონქო, ქრისდეს გარაქი, წმინდისა გიუორგისა ხანგარისა ძალი შენი, გამოშორდი, გამეცალი, სი ეშმაკისა ყაფლანი ხარ, სი მურდალისა დაჭრილისა ხარ, ონქორო, ქონქორო, თაუარ ანგელოზი, დასწარი ჯუარი შენი**!“ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 144:1-6) — ამ დაშნის პატრონი ბნედიანს („ცუდი **ბუნებ**-ი⌜ს⌝ მტკივანს“) უწყებს ლოცვის წაკითხვას („კითხვას“): „ელეგენი ქრისტესა, მელეგენი დედასა. ირემსა, არჩვსა, ჯიხვსა, ჯორსა, კურდღლის ცინდალსა, ერევეზისა, შენ იყავი ძალა, შენი სამების ძალა, ორონქო, მორონქო, ქრისტეს გარააქი (?), შენი წმინდა გიორგის იარაღის ძალა, გამშორდი, გამეცალე, შენ ეშმაკის ხაფანგი ხარ, შენ მურდალის დაჭრილი ხარ, ონქორო, ქონქორო, მთავარ ანგელოზო, დასწერე შენი ჯვარი!“

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმები სვანურში ძირითადად, ქართულია.

3. **წყევლის ფორმულები**

ავსიტყვაობა, როგორც ცნობილია, იმ სიტყვათა კრებულს აერთიანებს საკუთარ თავში, როგორიცაა: ტაბუირებული სიტყვები, ვულგარიზმები, ჟარგონები, ვერბალური წყევლა-კრულვის მაგალითები; ანუ ეს ის სიტყვები და სიტყვათა-კომბინაციებია, რომლებიც ერთი შეხედვით მიუღებელია საზოგადოებისათვის და არასასიამოვნოა ყურისთვის (ფრომკინი, როდმანი 1988), თუმცა უნდა ითქვას, რომ ამგვარ გამოთქმებში არა ერთი ენობრივად საინტერესო არქაული ფორმა დასტურდება.

ამჯერად ჩვენი წერილის ძირითადი მიზანია შევისწავლოთ სვანურში სხვა ენებიდან ნასესხები წყევლა-კრულვის აღმნიშვნელი ფორმულები, რომელთა რაოდენობა მაინცდამაინც თვალში საცემი არ არის, ვინაიდან საკუთრივ სვანური მასალა განსაკუთრებით უხვად არის წარმოდგენილი და ის ცალკე შესწავლის ობიექტია. უნდა ითქვას, რომ მათი ქართულ ენაზე თარგმნა ხშირ შემთხვევაში დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგანაც მათში უამრავი არქაული ლექსიკური ერთეული ფიქსირდება. თუმცა ქართულ ენაზე მათი თარგმნის სირთულეს მხოლოდ არქაული ფორმების არსებობას ვერ მივაწერთ, რადგანაც ამგვარი გამოთქმები სვანურში როგორც ლექსიკურად, ასევე მორფოსინტაქსურადაც ძალზე გართულებულია.

ერთადერთი ნაშრომი სვანური წყევლის ფორმულების შესახებ, ესაა ლ. მარგიანის იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების XXXIV ტომში დაბეჭდილი წერილი „სიტყვათა რიგი სვანური წყევლის ფორმულებში“ (მარგიანი 2000: 140-143), სადაც საკითხის ნათლად წარმოსაჩენად ავტორი ცალ-ცალკე განიხილავს სიტყვათა რიგის საკითხს სვანური წყევლის ფორმულებში წინადადებების ტიპების მიხედვით. წერილი თავისთავად საინტერესოა, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ ეს იყო პირველი ცდა სვანური წყევლის ფორმულების ანალიზისა.

სხვა ენებიდან უნდა იყოს ნასესხები შემდეგი წყევლის ფორმულები:

ბახსოლიანა გუარიშ ლგმარ ჰიმკად მგრმი მუტორბელ ი ამჟი ლოქ ოთჭათუნა: „**ახსოლ ბახსოლიანო**, **არც აშენდი და არც გადაშენდიო**!“ (ლშხ., სვ. პრ. ტექსტ., 1979, 249:9) — ბახსოლიანის გვარის ყოფილა ჰინკას დამჭერი ორბელელი და ასე დაუწყევლია: „ახსოლ ბახსოლიანო, არც აშენდი და არც გადაშენდიო!“

როგორც ვხედავთ, წყევლის აღმნიშვნელი ფორმულა „**ახსოლ ბახსოლიანო**, **არც აშენდი და არც გადაშენდიო**!“ ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილებების გარეშე არის ნასესხები ქართულიდან, რასაც ვერ ვიტყვით შემდეგ მაგალითებზე:

მეხი ლახუარუ ჯაბხა! (ლნტ.) — მეხი დაგეცეს („**მეხ**-ი[ს] **ლახვარ**-ი-მც გცემია!“)!

მეხოლუ ჯაუხა! (ბქ.) — მეხი დაგეცეს („**მეხ**-ი-მც გცემია!“)!

მიშგუ ცოდ ი სამგრთა̈ლ ლერთანთეჳ ჯა̈სპგნე! (ბზ.) — ჩემი ცოდვით დაიწვი, არ გაიხარო („ჩემი **ცოდვა** და **სამართალ**-ი მარცხნივ⸢ის⸣კენმც გატრიალებს“)!

ნოსა გა̄ხარო, **ღე̄რბეთ**, **ხოლა მა̄რემი ჲეხჳიგეზალ**! (ლშხ.) — არ გაახარო, ღმერთო, ცუდი კაცის ცოლ-შვილი!

ღერმათოღჳ ოთჭათა! (ბქ.) — ღმერთმა დაგწყევლოს („**ღმერთ**-ს-ა-მც დაუწყევლია“)!

ჳ᷑იჳ ა̈მეკედ ისკჳი ძირ ი მომაჳალ! (ლნტ.) — ამომწყდარიყოს შენი ძირი და მომავალი!

შა̈ნთიშ ბედიშ! (ბქ.) — შანთით დასაწვავი!, „**შანთ**-ის **ბედ**-ის-⸢ა⸣“!

ჯანდაბას ისგუ თხჳიმ! (ბქ.) — ჯანდაბას შენი თავი! და ა. შ.

ვერშოკ-ვერშოკდოღჳ ოლგენეხი! (ბქ.) — ნაკუწებად ქცეულიყავი („გოჯ-გოჯადმცა და-მ-**დგ**-არ-ხარ“, შდრ. რუს. **Вершок** „გოჯი“)!

აქ წარმოდგენილი წყევლის ფორმულები ფონეტიკურ-მორფოლოგიურად სახეცვლილია, თუმცა მათი ქართულიდან სესხება თუ კალკირება სავსებით ნათელია.

მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ სხვა ენებიდან ნასესხები თუ კალკირების გზით მიღებული წყევლის ფორმულები სვანურში ნაკლებად ფიქსირდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ სვანური ვერბალური წყევლა-კრულვის ფორმულები როგორც ლექსიკური ერთეულებით, ისე ემოციურ-ექსპრესიული თვალსაზრისითაც ბევრად უფრო მრავალფეროვანია ქართულთან შედარებით. საკითხის უფრო ნათლად წარმოსაჩენად დავასახელებთ რამდენიმეს დიალექტური მასალის გათვალისწინებით.

მინდჳერს ესღგრდე̄ედ, **მეხი ბედიშუ ხი**, **თანა̈ღს ესღგრდე̄ედ**, **ჟა̈ჰი ბედიშუ ხი**, **ცხეკს ესღგდე̄ედ**, **და̈ჳრეშ ი ნა̈დრარეშ ი წეჳრარე ბედიშუ ხი**, **ლახჳა̈რს ესღგრდე̄ედ**, **კოჯა̈ ბედიშუ ხი**, **ლგცქ’ე̄სღგრდე̄ედ**, **ჭჳეკი ბედიშუ ხი**, **ქორისგა ხარდე̄ედ**, **ჳ’ი̄ჳ ეჯრეღჳა**, **ჩუ მა̄ჲ ჯირდე̄ედს ქჳინლგმგენე**, **მა̈გ თხე̄რა̄ლე ბედიშდუ აჯსყე̄ნა**! **ჰი̄**! (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 56:22-25) — მინდორში („**მინდორ**-ს“) მიდიოდე, მეხი დაგეცეს („**მეხ**-ი⸢ს⸣ **ბედ**-ის-მცა ხარ“), უღელტეხილზე („უღელტეხილს“) გადადიოდე („მიდიოდეთ“), ზვავმა წაგიღოს („**ზვავ**-ი⸢ს⸣ **ბედ**-ის-ად-მცა ხარ“), ტყეში („ტყეს“) მიდიოდე, დევების, ნადირისა („ნადირების“) და მწევრების ლუკმა გამხდარიყავი („**ბედ**-ის-ად-მცა ხარ“), მთებზე („მთებს“) გადადიოდე („მიდიოდეთ“), კლდეზე გადავარდნილიყავი („კლდი⸢ს⸣ **ბედ**-ის-ად-მცა ხარ“), წყალზე გადადიოდე, ძელზე გადავარდნილიყავი („**ჭოკა**-ს **ბედ**-ის-ად-მცა ხარ“), სახლში იყო („იმყოფებოდე“) და თავზე დაგენგრეს („და-გ-**რღვ**-ევ-ია-მცა“), რაც კი საქონელი („სულ-**დგ**-მ-ულ-ი“) გყავდეს, ყველა მგლებს დაეგლიჯოთ („მგლები⸢ს⸣ **ბედ**-ის-ად-მცა გაგკეთებია“)! ჰე!

ბგლა̈ად მგგნადუ ეჯჳედა, **იმშა̈ჲენ ათა̈გნ ამის ი ქგთხე̄ლდუ ა̈მრელჳხი**! (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 56:37) — ნაფლეთებად გაქციოს („ნაფლეთებად და-მ-

დგ-ომ-ად-მცა მოგსვლია“), რასაც მიადექი („და-ა-**დექ**-ი“) ამან („ა-**მ**-ა-ს“) და მუწუკებად („მუწუკებადმცა“) ქცეულიყავი („და-**რღვ**-ეულ-ხარ“)!

ფისე̄მი ტომბხა̈ნქა ნომმა̈ჳ̈ ა̈მჳედე̄ლი ისგჳა ლითჳა̈ლეშ ი ლიწსა̈ლე ლე̄თ! (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 56:2) — კუპრის („**ფის**-ის-ი˹ს“) ტბიდან არ გამოსულიყოს („მოსულა“) შენი დაბადებისა და გაჩენის („და-**წეს**-ებ-ი˹ს“) ღამე!

სუნდუქ̈ჳ̈ დეცეშ მიჩა მეფშჳდა მა̈ზიგს ქა ნ̄მთე̄ჳ̈ ჯაქ̈ა̈ბუნე სი ი ისგჳა ქორს! (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 55:17) — ცის ღვთაებამ („სკივრი“) თავისი („მის“) გაშვებული („გაშვებულ“) ავადმყოფობა („ტკივილს“) არ („**ნუ**-არ-˹რის˺-კენ-მცა“) აგაცდინოს („გაცდის“) შენ და შენს ოჯახს („**ქორა**-ს“)!

ალ დიგეზალს ხა̈ქ̈ჳ̈ ხელწიფხედ: „**ემმა ხაკუთნოლნენს**, **ეჩქას მგხა̈რ ტუფი ნომოლჳ̈ ჯარხ ლგკგრცხალე**; **მამა ხაკუთნოლნენს**, **ლეცჳ̈მი იჰნი**, **ამჟი ლგჰნეოლჳ̈ ემხუად მგხა̈რ ჰამს**!“ (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 112:36-37, 113:1-2) — ამ დედა-შვილს უთხრა ხელმწიფემ: „თუ ღირსი იყო („**კუთნ**-ებ-ოდ-ე-ს“), მაშინ ხვალ კანიც („ტყავიც“) კი არ („**ნუ**-არ-მცა“) გქონდეთ („გაქვთ“) შებრაწუული; თუკი ღირსი არ იყო („**კუთნ**-ებ-ოდ-ე-ს“), ˹მაშინ˺ ცხიმი („**ცმ**-ელ-ი“) რომ დნება, ისეთი („ასე“) დამდნარი („დამდნარიმც“) დამხვედროდეთო („დამხვედრიხართ“) ხვალ დილას („**რიჟ**-რაჟ-ს“)!“

ჳეზირდ ხე̄ქ̈ჳ̈: „**მი ლოქ̣ დე̄სამა მიფშჳდა**, **მარა მიშგჳა ღე̄რბათს ლოქ̣ ხეხლი ი ხოლე̄მი მუგნოჳის ხოლაუ ხაყრა**!“ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 280:14-16) — ვეზირმა უთხრა: „მე არაფერი არ დამიტრაბახებიაო, მაგრამ ჩემმა („ჩემს“) ღმერთმა („**ღმერთ**-ს“) იცისო („ეცოდინება“) და ცუდის მომგონებელს ცუდი („ცუდიმც“) დაემართოსო („დამართნია“)!“

ჯანს ლოქ̣ ხოქ̈ჳ̈ა: „**უსგჳა ლადეღ ლოქ̣ იმშადნი ი მე̄ჲშგჳიდა ლადეღ ლოქ̣ ჲერჳა̈ჲდ ლახმგშჲა̈ლჳ̈ნას**, **ეჩის მეჯერუ ლოქ̣ ლახფგრენა ლერსგჳენ**!“ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 269:16-17) — ხარმა („**ხარ**-ს-ო“) თქვაო („უ-**თქ**-ვ-ამ-ს“): „ექვსი დღე ვიმუშავებო („ი-**მუშ**-ა-ვებ-ს“) და მეშვიდე დღეს ვინც მამუშავოსო („ა-**მუშ**-ავ-ო-ს“), იმას მარჯვენა მკლავი („მკლავიმცაო“) გაუხმესო („გახმობია“)!“

... ხელმწიფდ ... რაშჳა̈ლე აკჳატა̈რს ლახაბე ალ ჲერბი ზურალ ი ამჟინ ხა̈ქ̈ჳ̈: „**აღჳე ლოქ̣ ლგქ̈ა̈დ მად ლგმა̈რელასხ**, **ეჩქას ხოჩამდუ ა̈მეტეხელიხ**, **დორა̈ჲ აგჳა̈რ გარუ ახაყენახ ალ რაშჳა̈ლს**!“ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 317:4-6) — ხელმწიფემ ეს ორი ქალი რაშების კუდებს გამოაბა და ასე უთხრა: „აბა, თუ დამნაშავეები არ იყოთო („აბაო, შემცდარი არ ყოფილიყვნენ“), მაშინ მშვიდობით („კარგადმცა“) დაბრუნებულიყავითო („დაბრუნებულნა“), თუ არა და მხოლოდ ˹თქვენი˺ ქუსლები („ქუსლები მხოლოდმცა“) დაებრუნებინოთო („გამოყოლიან“) ამ რაშებს!“

4. ⌜და⌝**ლოცვის ფორმულები**

მილოცვა-დალოცვის ფორმულებით სვანური მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. საკუთრივ სვანური მასალის გვერდით, რასაკვირველია, გამოიყოფა სხვა ენებიდან შეთვისებული მასალაც:

სტარონ‖სტარნე‖სტარინ ხერა! (ბქ.) — ჯვარი სწერია (ავი ენა და თვალი რომ არ შეხვდეს და არ ავნოს, იმიტომ ითქმის ადამიანზეც და საქონელზეც, — ზედმიწ. „ჯვარი ექნება“)! შდრ. ბერძ. **σταυρός**

სტარინ ხერა, მა̈ ხოჩა მარე‖ზურალ ლი! (ბქ.) — ჯვარი ეწეროს, რა კარგი კაცი‖ქალი არის (ზედმიწ. „ჯვარი ექნება“)! კარგ გაგებასთან ერთად ხშირად სარკაზმიც თან სდევს ამგვარ დალოცვას

...კინტრ̄ კე̄სა̈რ⌜დ⌝[1] ... ანმა̈ზრე: „**დაღო, ათხე ლგმზგრე̄შ ლი, სული სულთან იყოს, უყვარდეს და აქ არ იყოს**“ (ბზ., სვ. პრ. ტექსტ., 1939, 116:12-14) — კინტო კეისარმა სადღეგრძელო თქვა („დალოცა“, შდრ. ძვ. ქართ. „**ზორ**-ვ-ა“): „აბა, ახლა დალოცვილი („დალოცვილიმცა“) იყოს („არის“) ⌜ის⌝, ⌜ვისი⌝ სულიც სულთან იყოს, უყვარდეს და აქ არ იყოს“

შრ̄ნდრ̄ ლა̈ქშისჟი ისმი ალ ამბრა̈რ: „**შე̄იწყადალოს სშლი მი̄სი შრ̄ნდრ̄**!“ (ლშხ., სვ. პრ. ტექსტ. 1979, 10:11) — შესანდობარის თქმის დროს ისმის ასეთი („ეს“) სიტყვები („**ამბ**-ებ-ი“): „შეიწყალოს სული მისი, შენდობა!“

ათხე ი ეჩქადი̄ ხოფა̈ნახ ... ჟიშჟიშადს ეშხუ ფაკან ლიცს ი ლაფა̈ნაჟი ხოშგნდობდახ ამჟი, ერე „**ჟიშჟიშას და მის შაჟუნას შრ̄ნდრ**!“ (იქვე, 252:17) — ახლაც და მანამდეც ერთ ჯამ წყალს წაუდგამდნენ ხოლმე ჟივჟივას და საკურთხის წადგმისას ასე უგზავნიან შენდობას, რომ „ჟივჟივას და მის ვაჟუნას შენდობა ⌜ჰქონდეთ⌝!“

თშიდ ი შაქა̈რდოღშ ეჯსიპენა! (ბქ.) — თაფლად და შაქრად („**შაქრ**-ად-მცა“) შეგერგოს („გქცევია“)!

სვანურში მიცვალებულთა შესანდობარში ძალიან ხშირად ფიგურირებს შემდეგი ფრაზა „**თქვენი მიცვალებულები იყოს იქ, სადაც რძით და თაფლით წვიმს და ბამბით თოვს**“, ე. ი., სამოთხეში.

ეჩქანღშე სოფლიშ ხოშამთე ჲერშა̈ ირიშ, ეჯი ლიშგნდების იბნა: „**იმგშ̈ესერ ზეთშ უჩხადეს ი ბამბა̈შ შდუადეს, ლაქუნ ესერ ეჩეჩუოღშ ხარ, ქორდ ი მიჩა სოფელდ ხოჩ̈ ესეროღშ ჭიშხ ხოცშირა**!“ (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 299:29-32) — მერე („მაშინს მერე“) სოფლის შედარებით უხუცესი („დიდისკენ“) ვინც იქნებოდა, ის შესანდობარს ამბობდა („იწყებდა“): „სადაც ზეთით წვიმდესო და ბამბით თოვდეს, იქ („იქმცა“) გქონდესო („აქვს“) სასუფეველი („სასულეთიო“, შდრ. ძვ. ქართ. „აღ-მო-**ქუინ**-ვ-ა“), ოჯახისთვის („სახლად“, შდრ. ძვ. ქართ. „**ქორა, ქორ**-ედ-ი“) და შენი („მისი“) სოფლისთვის კარგი („კარგიომცა“) ფეხი დაგეტოვებიოსო („უტოვებია“)!“

[1] კინტო კეისარი სვანური ცნობილი ზღაპრის „ჩალისიმეს“ ერთ-ერთი მოქმედი პერსონაჟია; საინტერესოა სხვა ქართველურ ენებში ფიქსირდება თუ არა მსგავსი რამ.

ეშხუ ხოჩა მარე ... ჟი იკედ ჭიქს ი ჩუ ხოშონდებდა: „**ხოჩა მარე ლოქ ლას ი შონდობა ლოქუ ხარ**, **განათლებად ლოქუ ხოგაჲდ**, **ქრისტეჲ სკუებინ ლოქუ იხიადაჲლ მიჩა ქუინ**, **ბამბაჲს ლოქუ ხაშტუე**, **ზეთს ლოქუ ხაუჩხე**!“ (ლნტ., III, სვან. პრ. ტექსტ., 1967, 55:6) — ერთი კარგი კაცი აიღებს ჭიქას და შესანდობარს გაუგზავნიდა („შე-უ-**ნდ**-ობ-დ-ა“): „კარგი კაცი იყოო და შენდობა („შე-**ნდ**-ობ-ა-ო-მცა“) ჰქონდესო („აქვს“), სინათლეში ყოფილიყავიო („გა-**ნათ**-ლ-ებ-ად-ო-მცა მართებს“), ქრისტეს წინაშე („წინაშეომცა“) ხაროობდესო („ხაროობს“) შენი („მისი“) სული (შდრ. ძვ. ქართ. „აღ-მო-**ქუინ**-ვ-ა“), ბამბით („**ბამბა**-ს-ო-მცა“) გათოვდესო („ათოვს“), ზეთით („**ზეთ**-ს-ო-მცა“) გაწვიმდესო („აწვიმს“)!“

ქუთაისის სახ.უნივერისტეტი დიალექტოლოგიის ინსტიტუტის სვანური მასალების მიხედვით „რძისა და თაფლის ქვეყნად მხოლოდ სასუფეველი მოიაზრება. ალბათ ეს გახდა მიზეზი საენათმეცნიეროლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებისა, რის თანახმადაც, „აღნიშნული გაგება უნდა უკავშირდებოდეს მეზობელი მუსლიმი ჩრდილო-კავკასიელების გავლენას. ყურანის თანახმად, უფლის სამკვიდრებელ ადგილას რძის შადრევნები და თაფლის მდინარეები მოედინება“ (ხაჭაპურიძე, ლომთაძე 2006: 307). ჩვენი აზრით, ამ გაგებას არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს მუსლიმი ჩრდილო-კავკასიელების გავლენასთან, რადგანაც „რძე“ და „თაფლი“ ხშირად ფიგურირებს ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში არა მხოლოდ სვანურში, არამედ სხვა ქართველურ ენებშიც, რაზეც ზემოდასახელებული მეცნიერებიც მიუთითებენ. მათ მიერ მოპოვებული ბიბლიური მასალების მიხედვით, „**რძისა და თაფლის ქვეყანა**“-ში მოიაზრება **სიმდიდრე და კეთილდღეობა**, თუმცა დღესდღეობით, ძირითადად, ირონიული გაგებით გვხვდება (იქვე,: 306-307). „რძე, თაფლი და ერბო“ სიმდიდრის აღმნიშვნელ ფრაზებში დღესაც ხშირად გვევლინება (მაგ.: „**ოჯახში ერბო და თაფლი უწვეთავს**“, „**ერბო**[1] **და თაფლი უწვიმთ**“ და სხვ., იქვე). რაღა თქმა უნდა, მსგავსი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები არც სვანურისთვის არის უცხო და მათში არავითარი ირონია არ იგრძნობა. თვალსაჩინოებისათვის დავასახელებთ რამდენიმეს.

თუიმი სარაგ ახაზიხ (ბქ.) — ძალიან მდიდრები არიან (ზედმიწ. „**თაფლ**-ის წყაროო მოსდით“)

თუიმი‖ლგჯემ ტობისგ'აყურეხ (ბქ.) — ძალიან მდიდრები არიან (ზედმიწ. „**თაფლ**-ის‖**რძ**-ის **ტბა**-ში წვანან“), **თუიმი ტობ ხაგნენახ** (ბქ.) — ძალიან მდიდრები ყოფილან (ზედმიწ. „**თაფლ**-ის **ტბა** ნა-**დგ**-ამ-ა-თ“) და ა. შ. გარდა ამ ლექსიკური ერთეულებისა, სვანურ ფრაზეოლოგიზმებში ქართულიდან ნასესხები „ზეთი“-ც ფიგურირებს. მაგ.: **ზეთოლღუ‖ზეთაროლღუ ხოფუე ამიშ ლითუალს** (ბქ.) — დაილოცოს ამისი გაჩენის დღე, (ზედმიწ. „**ზეთ**-ი-მც‖**ზეთ**-ებ-ი-მც უდუღს ა-**მ**-ის დაბადებას“) და სხვ.

[1] ერბო ანუ კარაქი სვანურში უფრო წყევლის ფორმულებში ფიგურირებს. მაგ.: **ლეცუმი-ნაცუმუნდოლღუ ლახგენენახ უშხუარ** — ისემც უქნიათ, რომ მიაწყდნენ‖მიაკვდნენ ერთმანეთს („სა-**ცმ**-ელ-ნა-**ცმ**-ელ-ად-მცა მ-ი-**დგ**-ომ-იან ერთმანეთს“).

როგორც ზემოგანხილული მასალიდან ჩანს, სვანურ ფრაზეოლოგიზმებშიც დომინირებს ლექსიკური კომპონენტები: **თუი** „თაფლი“, **ლგჯე** „რძე“, **ლეცუმი** „კარაქი, ცმელი, ქონი“, **ზეთ** „ზეთი“.

საინტერესოა სვანურის ზღაპრის ბოლოს წარმოდგენილი ფინალური ფორმულები, რომლებიც ძირითადად დალოცვითია. საკუთრივ სვანური მასალის გვერდით ტექსტებში ხშირად ფიქსირდება ქართულის გზით შემოსული მასალაც, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მთლიანად ფრაზაა ნასესხები ქართულიდან.

ჭირ ეჩეუ ა̈გუცუ̄რა, ხინ ამეჩუნ, შაქ̈არი ამეჩუ! ნა̈ჲ ხოჩა ლირდეუ ა̈გუჭ̄და ი ლგმზგრე̄უ ლიშდ მა̈გ საერთოდ (ბზ., სვ. პრ. ტექსტ., 1939, 162:27-28) — ჭირი იქ („იქმცა“) დაგვეტოვებინოს („დაგვიტოვებია“), ლხინი — აქ, შაქარიც — აქ! ჩვენ კარგი დრო („ყოფამც“) გვეტარებინოს („მოგვიტანია“) და საერთოდ ყველანი („ყველა“) დალოცვილები („დალოცვილიმცა“, შდრ. ძვ. ქართ. „**ზორ**-ვ-ა“) ვიყოთ („ვართ“)!

ჭირ ეჩე ა̈გუცუ̄რა, ხინ ამეჩუ ა̈გუჭგმრა! ლგმზგრე̄უ ლიშდ! (ბზ., იქვე, 113:5) — ჭირი იქ დაგვეტოვოს („დაგვიტოვებია“), ლხინი აქ მოგვეხმაროს („გვ-ი-**ხმარ**-ია“)! დალოცვილი („დალოცვილიმცა“) ვიყოთ („ვართ“)!“

ჭირ ეჩე ი ხინ ამე; **ხოლა მა̈გ ეჩე**, **ხოჩა ამჩუ**; **ხოლე̄მი მუჩუმა ჩიგარ ხოლა**, **ხოჩე̄მიშ — ხოჩა**! (ბზ., იქვე, 421:16-17) — ჭირი იქა და ლხინი აქა; ცუდი ყველაფერი იქ, კარგი აქ. ცუდის მომქმედნი („მ-**ქმ**-ნ-ელ-ნ-ი“) ყოველთვის ცუდნი („ცუდი“), კარგის — კარგები („კარგი“)“!

შდრ. საკუთრივ სვანური მასალა, რომელიც როგორც ლექსიკურად, ასევე სტრუქტურულ-სემანტიკურადაც საკმაოდ განსხვავებულია ქართული იგივეობრივი მასალისგან:

ეჩგიშ ხოჩა ამეჩუ ი ამგიშ ხოლა ეჩეჩუ! (ბჭ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 276:26) — ჭირი იქა, ლხინი აქა („იქაური კარგი აქ და აქაური ცუდი იქ“)!

ეჩგი ხოჩა ამეგ, **ამგი ხოლა ეჩეგ**! (ბზ., სვან. პრ. ტექსტ., 1939, 447:9) — ჭირი იქა („იქაური კარგი აქ“), ლხინი აქა („აქაური ცუდი იქ“)!

ეჩქიშ ხოჩა ამეჩუ, **ამგიშ ხოლა ეჩეჩუ**! (ბჭ., სვან. ქრესტ., 1978, 218:23) — ჭირი იქა, ლხინი აქა („იქაური კარგი აქ და აქაური ცუდი იქ“)!

ეჯგია ხოჩა ამეჩუ ი ამგია ხოლა ეჩეჩუ! (ბჭ., სვან. ქრესტ., 1978, 210:38-39) — ჭირი იქა, ლხინი აქა („იქაური კარგი აქ და აქაური ცუდი იქ“)!

სვანურში გვხვდება ისეთი სახის შერეული სვანურ-ქართული კონსტრუქციები, როგორიცაა:

⌜ალდა̈რ⌝ ტულიხ: „**ამა̈გ ქათალ**, **ამა̈გ კოშია̈**, **ამა̈გ ბა̈ტ**, **ამა̈გ კუ̄ა̈ტია̈ ა̈გუფიშირ**, **ღერბეთ**, **დიდაბ ა̈ჯჯად ი მა̈დილ ა̈ჯჯად**!“ (ლნტ., სვან. პრ. ტექსტ., 1967, 75:23) — ესენი ამბობენ: „ამდენი ქათამი, ამდენი ინდაური („**კოშია**“), ამდენი ბატი, ამდენი კვატია გვიმრავლე, ღმერთო, დიდება და მადლი შენს სახელს („მოგივიდა“)!“

ზოგი დალოცვის ფორმულაში ცალკეული ლექსიკური ერთეულებია ქართულიდან ნასესხები.

ეჩქას ტოლიბაშ იმზგრაჭლი: „**ბაჭრბოლს** ესერ **ძღუერ** ი **ბერექეთ** ესეროღ ლოჰოდა მინე ლასკაჭრდ!“ (ბჭ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 80:23-24) — მაშინ თამადა („**სტოლუმბაშ**-ი“) სადღეგრძელოს ამბობს („ლოცულობს“, შდრ. ძვ. ქართ. „**ზორ**-ვ-ა“): „წმინდა ბარბალემ („**ბარბალე**-ს-ო“) ყუათი („**ძღვენ**-ი“) და ბარაქა („**ბარაქა**-ო-მცა“) მისცესო („მიუცია“) ჩვენს („მათ“) სათემო (სადღეობო) გაერთიანებას („გაერთიანებისათვის“)!

მინე **ბედჟი სარჩო** დეშამა არდ ი ხადახ **გაჭირუებულდ** (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 286:10-11) — სარჩო არაფერი არ გააჩნდათ („მათ **ბედ**-ზე სარჩო არაფერი იმყოფებოდა“) და და გაჭირვებულად ცხოვრობდნენ („ჰქონდათ გა-**ჭირ**-ვ-ებ-ულ-ად“)

ლამჭრია ბედს ი **მარაქსუ** აბაქე ისგუა **კიბდონჭრისგა** ი ლაშდღუალუ ჯარხ დრსგ! (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 55:31) — წმინდა მარიამმა („წმინდა **მარიამ**-ი“) ხვავი („**ბედ**-ს“) და ბარაქა („**ბარაქა**-ს-მცა“) გააქროს („ა-**ბუქ**-ებ-ს“) თქვენს კიდობნებში და მალე („ადრე“) გასვენებისთვის („სამარხავიმცა“) გექცეთ („გაქვთ“)!

ეჩქანღო ჟი ხჭმზგრიხ **ლამჭრიას** ი ხეკგრაჭლხ, ერე „მინე ლჭში-მალაშას ხოჩა **ბედ** ი **ბარაქ** ლახრმას“ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 121:27-29) — მერე („მაშინს მერე“) წმინდა მარიამის სახელზე შესწირავენ („შე-ა-**ზორ**-ავ-ენ“) და ევედრებიან, რომ „მათ თესლეულობას კარგი სვე („**ბედ**-ი“) და ბარაქა მისცეს“

ეჩქა მიჩა მახუშიდ ლაქუ: „ჩიმი მენწირუ ლი, უოდ სემი **ქრისდე თჭსდრბ** ჩუ დო აკუშას... ეჩქა **ქაჯაუენთი** ყრრისგა მეზიუ ლი!“ (ბზ., სვან. პრ. ტექსტ., 1939, 88:25-26) — მაშინ მისმა უფროსმა („უ-ხ-უ-**ც**-ეს-მა“) თქვა: „ყველას მომრევი („მომრევიმცა“) იყოსო („არის“), ⌜მანამ⌝ სანამ ქრისტეს ფიცი („**თავ**-ს-**დ**-ებ-ობ-ა“) არ გატეხოსო... მაშინ ქაჯავეთის კარში შესულიყოსო („მსვლელიმცა არის“)!“ და სხვ.

ზემოთ დასახელებულ ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა ყოველი მეორე კომპონენტი, როგორც ვხედავთ, შეთვისებულია ქართულიდან ზოგ შემთხვევაში ფონეტიკურად უცვლელი სახით, ზოგ შემთხვევაში კი გაფორმებულია სვანური მორფოლოგიური ინვენტარით.

ფონეტიკურად უცვლელი სახით არის შეთვისებული შემდეგი სააანალიზო ლექსიკური ერთეულები: ბჭ. **ბერექეთ** „ბარაქა“(შდრ. თურქ. (< არაბ. bereket) ბერექეთ „სიკეთე, სიუხვე, უხვი მოსავალი), ლშხ. **სარჩო** „სარჩო“, ბზ. **ბედს** „ბედს“, **ბედ** „ბედ“, **ბარაქ** „ბარაქა“, ხოლო ფონეტიკურად შეცვლილი სახით არის წარმოდგენილი რამდენიმე ლექსემა, ესენია: **ბაჭრბოლს** „ბარბარეს“, **ბედჟი** „ბედზე“, **გაჭირუებულდ** „გაჭირვებულად“, **მარაქსუ** „ბარაქას“, **კიბდონჭრისგა** „კიდობნებში“, **ქრისდე თჭსდრბ** „ქრისტეს თავდებობა“, **ქაჯაუენთი** „ქაჯეთის“ (შდრ. ქართ. ქაჯავეთი[1]).

[1] დასტურდება ქართულ მითოლოგიაში.

უნდა ითქვას, რომ ნასესხებ **ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა**, **ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმათა**, **წყევლისა** და **დალოცვის ფორმულათა** ხვედრითი წონა, როგორც წესი, გაცილებით ნაკლებია საკუთრივ სვანურ მასალასთან შედარებით. ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, ძირითადად, კალკირების გზითაა მიღებული, ხოლო წყევლის, ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმათა და დალოცვის ფორმულებში ქართულიდან უცვლელად შეთვისებული ფრაზებიც ფიქსირდება.

ცხადია, ნასესხებ ერთეულებს სჭარბობს კალკირებული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც წიგნის ან ზეპირი მეტყველების გზით უნდა იყოს ქართულიდან შესული, თუმცა, მიუხედავად სემანტიკური დამთხვევისა, გამორიცხული არაა, რომ ზემოდასახელებული ზოგიერთი ფრაზეოლოგიური გამონათქვამი დამოუკიდებელი წარმოშობის იყოს ორივე ენაში ერთნაირი საზოგადოებრივ-ისტორიული პირობების გამო.

ლიტერატურა

ა) სამეცნიერო ლიტერატურა

ბაბლუანი 2009 — ა. ბაბლუანი, სვანური ზღაპრის სტაბილური ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, თბილისი.

ვინოგრადოვი 1946 — (В. В. Виноградов, Основные понятия русской фразеологии как лингвистической дисциплины. — "Труды юбилейной научной сесии ЛГУ", Ленинград.

თაყაიშვილი 1961 — ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი.

მარგიანი 2000 — ლ. მარგიანი, სიტყვათა რიგი სვანური წყევლის ფორმულებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXIV, თბილისი.

ონიანი 1954 — ალ. ონიანი, ქართულ-სვანური იდიომატიკა, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

როჟანსკი 1948 — А. Я. Рожанский, Идиомы и их перевод. — Иностранные языки в школе, № 3.

სახოკია 1979 — თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი.

სტეპანოვი 1975 — Ю. С. Степанов, Основы общего языкознания, Москва.

ფლაიშერი 1982 — W. Fleischer, Phraseologie der deutschen Gegenwartssprache. VEB Bibliographisches Institut, Leipzig.

ფრომკინი, როდმანი 1988 — V. Fromkin, R. Rodman. “An Introduction to Language”.

ფუტკარაძე 1993 — შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი.

შანიძე 1938 — ა. შანიძე, კავკასიის ალბანთა ახლად აღმოჩენილი ანბანი. — ენიმკის მოამბე, ტ. IV, თბილისი.

ჩიქობავა 1952 — არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

ცოცანიძე 1999 — გ. ცოცანიძე, ფრაზეოლოგია — მისი ლინგვისტურ-დიალექტოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორისტული ასპექტები. — ქართველური მემკვიდრეობა, III, თბილისი.

ხაჭაპურიძე, **ლომთაძე** 2006 — ლ. ხაჭაპურიძე, ლ. ლომთაძე, სატირისა და იუმორის გავლენა ბიბლიური ფრაზეოლოგიზმების სემანტიკაზე. — საენათმეცნიერო ძიებანი, XXIV, თბილისი.

ხოფერია 2007 — მ. ხოფერია, ფრაზეოლოგია როგორც ლინგვოკულტუროლოგიის ობიექტი ესპანურ ენაში. — საენათმეცნიერო ძიებანი, XXVI, თბილისი.

Русский язык, Енциклопедия, Москва.

ბ) ლექსიკონები

დონდუა 2001 — კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

თოფურია, **ქალდანი** 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

ლიპარტელიანი 1994 — ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ნიჟარაძე 2007 — ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

გ) წყაროები

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 — სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 — სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1967 — სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1979 — სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი.

სვან. ენის ქრესტ. 1978 — სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი.

ქართული მითოლოგია 1992 — ქართული მითოლოგია, შეადგინა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო აპოლონ ცანავამ, თბილისი.

MEDEA SAGLIANI

Towards the Analysis of Borrowing Phraseological and Old Religious Expressions, Blessing and Cursing Formulae in Svan

S u m m a r y

Svan **phraseological expressions** (**idioms** and **phraseologic correspondences**), **sayings with old religious contents, blessing** and **coursing formulae** are not thoroughly studies on the basis of dialectal and sub-dialectal material by anyone up-to-date.

People's culture, customs, life pictures and historical events are well kept just in such expressions. Owing to this studying a language from this standpoint promote to conscious the peculiarities of mental and soul life of the people speaking this or that language.

Observation on Svan prosaic texts dictionaries as well as their various material obtained by me during the field work showed, that one part of Svan phraseologisms have been originated from other languages on the basis of borrowing and calquing.

It should be said that comparatively the number of loan **phraseologic expressions**, **sayings of old religious contents**, **blessing** and **coursing formulae** as a rule is less then of prop. Svan material.

The paper represents structural-semantic analysis of analyzing lexical entries and word-correspondences in condition of historical-ethnographie and folklore material.

The paper represents structural-semantic analysis of analytical lexical entries and word-correspondences in condition of historical-ethnographie and folklore material.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXXIX 2011

მედეა საღლიანი, როენა ჭკადუა

სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა ლექსიკონის შედგენის მნიშვნელობა და ძირითადი პრინციპები

ფრაზეოლოგია, როგორც ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემა, ერთ-ერთი ყველაზე დაუმუშავებელი უბანთაგანია ენათმეცნიერებაში. მიუხედავად ცნობილ მეცნიერთა ცდებისა, დღემდე არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული აზრი ფრაზეოლოგიის საზღვრებისა და მოცულობის, მისი შესწავლის ობიექტის შესახებ. ასევე არ არის დადგენილი მისი ადგილი ენათმეცნიერებაში, ე. ი. არ არის სავსებით ნათელი, თუ ენათმეცნიერების რომელმა დარგმა უნდა იკვლიოს ფრაზეოლოგიურ სიტყვათშეერთებათა სტრუქტურა და სემანტიკა — სინტაქსმა თუ ლექსიკოლოგიამ. თუმცა ზოგი მეცნიერის თვალსაზრისის მიხედვით, რამდენადაც ფრაზეოლოგიზმი განუყოფელი და მთლიანია, ამდენად ის მას ლექსიკურ ერთეულად მიაჩნია (ღლონტი 1988: 98). გარდა ამისა, გაურკვეველია ფრაზეოლოგიური ერთეულის ცნების არსი და დაუდგენელია თვით ტერმინოლოგიაც კი.

ალ. ონიანის აზრით, „ეს განსაკუთრებით ითქმის ქართული და, მით უმეტეს, სვანური ფრაზეოლოგიის შესახებ“ (ონიანი 1954: 1).

საერთოდ, ამა თუ იმ ენის ფრაზეოლოგიის, კერძოდ, იდიომატიკის, ძირითადი საკითხების გაშუქებას დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს ამ ენის მეცნიერული შესწავლისათვის (იქვე). ლექსიკოლოგიის საკითხების შესწავლა არ შეიძლება სრულყოფილი იყოს ისე, თუ ჯეროვნად არ არის შესწავლილი იდიომატიკის საკითხები, რადგანაც იდიომატიკა ლექსიკოლოგიის თავისებური, მაგრამ განუყოფელი ნაწილია. იდიომატიკის საკითხების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ლექსიკოგრაფიის, სტილისტიკისა და გრამატიკისათვის, თუმცა არანაკლები მნიშვნელობა აქვს კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისითაც. თუ ენის ლექსიკა, როგორც ადამიანის ყოველ საქმიანობასთან დაკავშირებული, უნდა შევისწავლოთ საზოგადოების ისტორიასთან განუყრელ კავშირში, ეს შეეხება, უპირველეს ყოვლისა, იდიომებს. მათში ჩვენ ვპოულობთ საზოგადოების წარსული ცხოვრების, მისი ისტორიული ბედის, მისი უფლებრივი, პოლიტიკური, მხატვრული, ფილოსოფიური, რელიგიური შეხედულებების ანაბეჭდს. ამდენად, იდიომატიკა უკავშირდება სათანადო საზოგადოების ისტორიასა და ეთნოგრაფიას (ალ. ონიანი).

მიუხედავად ფრაზეოლოგიის დიდი ხვედრითი წონისა, მისი შესწავლის საქმე, როგორც არ. თაყაიშვილი შენიშნავს, ვერ დგას ჯეროვან სიმაღლეზე (თაყაიშვილი 1961: 6). უყურადღებოდა იყო დატოვებული დასავლეთ ევროპელ ლინგვისტთა მიერაც, ხოლო ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ქცევათა ანალიზის მხოლოდ ცალკეული ცდები აქვთ მოცემული ფრანგ ენათმეცნიერებს ა. სეშესა და შ. ბალის.

შედარებით ფართოდაა განხილული ფრაზეოლოგიური ერთეულები რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ რუსეთში XIX საუკუნის ბოლოს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კრებულებიც კი გამოიცა (მაგ., М. И. Михельсон, Русская мысль и речь, свое и чужое. Опыт русской фразеологии, т. I, и II. 1903-1904 г.; С. В. Максимов, Крылатые слова, 1899 г.), თუმცა, როგორც ალ. ონიანი შენიშნავს, „არავითარი მოძღვრება ფრაზეოლოგიის შესახებ არ არსებობდა“, რითაც იყო განპირობებული ის ნაკლოვანებანი, რაც ამ შრომებს ახლდა (ონიანი 1954: 2).

რუსული ენის ფრაზეოლოგიის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ა. ა. შახმატოვს, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა გაამახვილა ყურადღება რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზოგიერთი შესიტყვების სემანტიკურ დაუშლელობაზე. ფრაზეოლოგიის საკითხებს ეხებიან ასევე ი. ვულფიუსი და ს. ი. აბაკუმოვი, თუმცა მათი შეხედულებები არსებულ საკითხთან დაკავშირებით ძალიან ზოგადი და სქემატურია.

რუსული ენის ფრაზეოლოგიური ერთეულებისა და, საერთოდ, ფრაზეოლოგიის საკითხების მეცნიერული შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის აკად. ვ. ვ. ვინოგრადოვს, რომელიც აღნიშნულ საკითხს ყველაზე უფრო ფართოდ და თანმიმდევრულად აშუქებს (იხ. В. В. Виноградов: 1) Об основных типах фразеологических единиц в русском языке: Академик Шахматов. Сборник статей и материалов, М.-Л., 1974 (შემდეგში — Об основных типах фразеологических единиц); 2) Русский язык (Грамматическое учение о слове), М., 1974 (შემდეგში — Русский язык); 3) Основные типы лексических значений слова. — Вопросы языкознания, 1953, № 3 და სხვ.]. იგი ენაში გავრცელებულ მთელ ფრაზეოლოგიურ მასალას, როგორც ცნობილია, ყოფს სამ დიდ ჯგუფად: ფრაზეოლოგიური შენაზარდები (Фразеологические спращения), ფრაზეოლოგიური მთლიანობები (Фразеологические единства) და ფრაზეოლოგიური შესიტყვებები (Фразеологические сочетания), რაც სამეცნიერო ლიტერატურაში ვ. ვ. ვინოგრადოვის სამწევროვანი კლასიფიკაციითაა ცნობილი. მის მიერ გამოყოფილ პირველ და მეორე ჯგუფს შორის არსებული განსხვავება, ალ. ონიანის აზრით, საკმარისი არ არის მათი ცალ-ცალკე კატეგორიად გამოყოფისათვის (ონიანი 1954: 240).

ფრაზეოლოგიზმებს მიეძღვნა არაერთი სადისერტაციო ნაშრომი, რომლებ-

შიც წარმოდგენილია რუსული ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკური, სტილისტიკური და გრამატიკული კლასიფიკაციის ცდები. ფრაზეოლოგია, როგორც ლინგვისტური დისციპლინა, ვრცლად აქვს წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაციაში ა. კუნინს (იხ. Основные понятия английской фразеологий как лингвистической дисциплины и создание Англо-русского фразеологического словаря, Докт. дисс. м., 1964), რომელმაც შემდგომში სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვარიანტი დაურთო თავის ფუნდამენტურ ორტომეულს (Англо-русский фразеологический словарь, М., 1955).

ამასთანავე, საკითხი იდგა იმის შესახებაც, თუ მეცნიერების რომელ დარგს უნდა მიკუთნებოდა ფრაზეოლოგია. მასალის მიმართ ლინგვისტური პოზიციის არარსებობის გამო იგი ზოგ მეცნიერს ლიტერატურათმცოდნეობაში შეჰქონდა, ზოგმა სტილისტიკის საგნად გამოაცხადა (ვ. ფ. რუდოვი), მეცნიერთა ერთმა ნაწილმა კი მისი ლექსიკოლოგიაში შეტანის საკითხი დასვა (ვ. ვ. ვინოგრადოვი). ყოველივე ამის გამო, საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა იმას, რომ ფრაზეოლოგია მიჩნეული ყოფილიყო ცალკე ლინგვისტურ დისციპლინად.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ენათმეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ფრაზეოლოგია დამოუკიდებელი ლინგვისტური დარგია, რომელსაც შეხება აქვს სხვადასხვა დარგის მეცნიერებასთან, რადგანაც ფრაზეოლოგიზმებში კარგად ჩანს ხალხის ზნე-ჩვეულებანი, ყოფილი რეალიები თუ ისტორიული ამბები. სწორედ ამიტომ ამ კუთხით ენის შესწავლა განაპირობებს ამ ენაზე მეტყველი ხალხის გონებრივი თუ სულიერი ცხოვრების გამოცდილების შეცნობას. ძალიან ხშირად მას მიიჩნევდნენ მწერლის ენისთვის დამახასიათებელ მხატვრულ საშუალებად და აიგივებდნენ მეტაფორასთან, ეპითეტთან და სხვა ლიტერატურათმცოდნეობის ცნებებთან, მაგრამ არანაკლები სიხშირით გვხვდება ფრაზეოლოგიზმები ისეთ უმწერლობო ენაშიც, როგორიცაა სვანური.

ქართული ფრაზეოლოგიის შესახებ არსებული შრომები ძირითადად ეძღვნება, გულისხმობს სხვა ენების (რუსული, ინგლისური...) მასალასთან შეპირისპირებას, რადგანაც ცოტაა ქართული ფრაზეოლოგიის პრობლემისადმი მიძღვნილი გამოკვლევები. უშუალოდ ქართული ენის მასალასთან დაკავშირებით ვრცელი გამოკვლევა აქვს ა. თაყაიშვილს „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები“ (1961), ხოლო უხვი ფრაზეოლოგიური მასალა არის წარმოდგენილი თ. სახოკიას შრომაში „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ (1979). აღსანიშნავია, აგრეთვე, ალ. ონიანის „ქართული იდიომები“ (1966). ქართული იდიომატიკის ზოგიერთი საკითხის შესწავლის ცდა არის მოცემული აგრეთვე ა. ნეიმანისა (ქართული იდიომები „კაცია-ადამიანის“ მიხედვით და მათი რუსული შესატყვისები. — პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი, 1941) და შ. ძიძიგურის (წამძღვარებულია თ. სახოკიას წიგნზე „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, ტ. I, თბილისი, 1950) წერილებში. ფრაზეოლოგიური მასალის კლასიფიკაციასა და მისი დაჯგუფების პრინციპებს განიხილავს

აგრეთვე ლ. ლეჟავა (ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შესწავლისათვის. — ენათმეცნიერების ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1956), ხოლო რამდენიმე ავტორის (ნ. საყვარელიძე, გ. შალამბერიძე) გამოკვლევებში საგანგებოდ არის განხილული ილია ჭავჭავაძის თხზულებებში გამოყენებული ფრაზეოლოგიზმები.

როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა, **ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას** მწერლის ენაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი აზრით, აქ გამოჩნდება, რა სათქმელი ჰქონდა მწერალს და როგორ შეძლო მისი თქმა. მხატვრული სტილი შემოქმედის ინდივიდუალობას განსაზღვრავს, ხოლო სტილის რაობა-რაგვარობაში **ლექსიკა-ფრაზეოლოგიას** გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის.

ფრაზეოლოგიზმებს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სულხან-საბა ორბელიანი თავის „სიტყვის კონაში“, მაგრამ ამ მხრივ გამორჩეული მაინც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონია“, რომელშიც სიტყვების განმარტებებთან ერთად წარმოდგენილია ქართული მყარი გამოთქმების ძირითადი მასა. მყარ გამოთქმებად მიჩნეული მასალა: **იდიომები**, **მყარი ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი**, **მისალმებისა და წყევლის ფორმულები**, **ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმები** და სხვ. გამოყოფილია რომბით და სხვა შრიფტითაა დაბეჭდილი.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა გარკვეული მარაგი, როგორც ცნობილია, ყველა ენაში მოიპოვება, რაღა თქმა უნდა, ამ მხრივ არც სვანური წარმოადგენს გამონაკლისს, რომლის ლექსიკური ფონდი საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია.

სვანურის **ფრაზეოლოგიური გამონათქვამები** (**იდიომები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი**), **მეორეული კომპოზიტები**, **ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმები**, **მისალმების**, **წყევლისა და დალოცვის ფორმულები**... დღემდე მონოგრაფიულად არ შესწავლილა სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მასალაზე.

ერთადერთი ნაშრომი, რომელიც სვანურ ფრაზეოლოგიზმებს ეძღვნება, ეს არის ალ. ონიანის საკანდიდატო დისერტაცია „ქართულ-სვანური იდიომატიკის საკითხები“, სადაც ავტორი, ზოგადთეორიული საკითხების გარდა, აანალიზებს სვანურის (ძირითადად **ლაშხურის**) მონაცემებსაც. ერთმანეთს უდარებს იდიომსა და ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას და დაასკვნის, რომ ქართულ ენას ისტორიულად დიდი გავლენა მოუხდენია სვანური ენის იდიომატიკის განვითარებაზე, თუმცა, თავის მხრივ, სვანურსაც გარკვეული როლი შეუსრულებია ქართული ფრაზეოლოგიზმების ჩამოყალიბებაში (ონიანი 1954: 1-246).

მიუხედავად მასალის სიმცირისა, აღნიშნული ნაშრომი მაინც ძალზე საყურადღებოდ მიგვაჩნია, რადგანაც ეს იყო პირველი ცდა სვანური იდიომების შესწავლისა.

ჩვენი აზრით, ფრაზეოლოგიზმებთან დაკავშირებული საკითხების გამო-

წვლილვითი ანალიზი (სვანურის ყველა დიალექტისა და ამ დიალექტებში შემავალი კილოკავური მასალის მიხედვით), მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მსოფლიოში ძალზე გაცხოველებული პროცესი გლობალიზაციისა უმწერლობო ენებს „ჩაყლაპვით“ ემუქრება.

უკანასკნელ ხანებში, მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს უმწერლობო ქართველურ ენათა მონაცემები. **ამ მხრივ გამოირჩევა სვანური**, **რომლის ძირითად ლექსიკურ ფონდში**, **გრამატიკულ სტრუქტურასა თუ ფონოლოგიურ გარდაქმნებში არაერთი არქაიზმია შენარჩუნებული**. აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვნად გვესახება ისეთ რთულ ლინგვისტურ დარგზე მუშაობა, როგორიცაა სვანური ენის **ფრაზეოლოგიური გამონათქვამები** (**იდიომები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი**), **მეორეული კომპოზიტები**, **ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმები**, **მისალმების**, **წყევლისა და დალოცვის ფორმულები**..., რომლებიც ხშირად შეიცავენ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომელთა მეტი წილი თანამედროვე ენაში უკვე აღარ გვხვდება და მათი ეტიმოლოგიის დადგენაც, ცხადია, ძალზე რთულია. ისინი შემონახულია გაქვავებულ გამონათქვამებში და დიდია მათი მნიშვნელობა ენის ისტორიის კვლევა-ძიებისას. მაგ., **ლ̈არჭენდ ლგგნე** „ყოჩაღი, სწრაფი“, **კიკბერ ახბეკ** „ჩააცივდა“, **ɜოს ხოსიპ** „ცქმუტავს, მოუსვენრობს“, **ქაბაბ̈ɜშ ჯიჯრ̈არდ ეთსიპდა** „არ მოიხარშა, დიდი დრო დასჭირდა“, **გელა ლახუ ენცხიპ** „ბევრი იარა“, (ბქ.) **სგრიგაგას ჟი ხაგ** „აწრიალებულია“ და ა. შ. ამ გამოთქმათა სახელადი ნაწილი (**ლ̈არჭინ**, **კიკბერ**, **ɜოს**, **ქაბაბ̈ɜ**, **სგრიგაგა**) დღევანდელ სვანურში დამოუკიდებლად არ დასტურდება, ისინი მხოლოდ სხვა სიტყვებთან კავშირში გვხვდება და მათი ეტიმოლოგია, რა თქმა უნდა, დასადგენია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **ზღვასთან და ცასთან დაკავშირებული ლექსიკის შემცველი ისეთი ფრაზეოლოგიზმების არსებობა სვანურში**, როგორიცაა, მაგ., **აფრ ლგსპე** „დაბნეული“ (სიტყვასიტყვით — აფრა შებრუნებული), **ანსს ლგრკინე** „გაწამებული (ბევრი მუშაობით)“ (სიტყვასიტყვით — ანძაზე ჩამოკიდებული), **ძუღრუაშ მელ ამჩეხრ̈ნე** „გამაწამა, გამაწვალა“ (სიტყვასიტყვით — ზღვის ბალახი მომაძოვინა), **ძუღრუალგტობე მეზგე** „მდიდარი“ (სიტყვასიტყვით — ზღვადატბორილი ოჯახი), **დეცე ნ̈აკრუიშ გიმდ ანღრი** „კოკისპირულად წვიმს“ (სიტყვასიტყვით — ცის ნატეხი მიწაზე („მიწად“) მოდის), **დეცე ნ̈არჰი ოთთრუაფ** „გარდაიცვალა“ (სიტყვასიტყვით — ცის სინათლე დაეკარგა), ჩოლ. **დეცემეფხას ხეპენ̈ალ** „სწრაფია, მარდია“ (სიტყვასიტყვით — ცამოწმენდილს ახტება, აფრინდება), **დეცელაჰრ̈ას ფგტე** „კივის“ (სიტყვასიტყვით — ცის სარკმელს ხვრეტს), **დეცელაჰრ̈ა ოთფატხ** „ბედს ეწიენ“ (სიტყვასიტყვით — ცის სარკმელი გაეხვრიტათ), **ძუღრუოთგენახ** „დაუტბორიათ“ (სიტყვასიტყვით — ზღვა დაუყენებიათ) და მრავალი სხვა. უნდა ითქვას, რომ ზღვასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების შემცველი ფრაზეოლოგიზმების არსებობა სვანურ ენაში განსაკუთრებით საინტერესოა იმ კუთხით, რომ ბერძენ მწერალთა ცნობით, სვანები სახლობდნენ გაცილებით

უფრო დიდ ტერიტორიაზე, ვიდრე დღეს ცხოვრობენ, თვით დიოსკურიამდე (იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, წიგნი XI).

საინტერესოდ გვესახება, აგრეთვე, **რიცხვითი სახელების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულებისა** (მაგ.: **ათას ერუეშდთე ათქარჩუნე** „გადაადაკეთა, გადაასხვაფერა„ (სიტყვასიტყვით — ათას ოცამდე შეცვალა), **ათას ქესაღა მად ლეიკაკლე** „თავისი გაიტანა, არ შეისმინა“ (სიტყვასიტყვით — ათასი ქისისათვის არ შეისმინა), **აშირ ათასოლუ აჩიენა ხოჩა გუყი** „დალოცვილი ყოფილიყავი“ (სიტყვასიტყვით — ასიათასიმცა მოგსწრებია კარგ გულზე), რომლებიც ვერც ერთ ქართველურ ენაში ვერ დავაფიქსირეთ, და ფრაზეოლოგიზმებში დადასტურებული **გაურკვეველი ეტიმოლოგიის კომპოზიტების** არსებობა სვანურში (მაგ. ჩოლ.**ორიონ-კორიონს ხაჴიდ** „გაფანტა“, შდრ. ლშხ. **ორი-კორის ლახრმ** „გაფანტა“, ჩოლ. **სინტი-პინტის აჩადხ** „გაიფანტნენ“, შდრ. ბქ. **ანტა-პანტას ახსგურდახ** „გაიფანტნენ“, ბქ. **სადარ-კუდარ ჭაჭარლექუა ხაჴიდ** „გალანძღა“, ბქ. **მაგ ხურდუ-ბურდუდ ადგენე** „აურდაურია, ურთიერთობა გააფუჭა“, ბზ. **ოსრშ ი დოსრშ მირ მაგ ჩუ ჯიგფა** „ათასგვარი მითქმა-მოთქმა წინ გილაგია“ და სხვა.

სვანური ენის დიალექტებში მოიპოვება ისეთი იდიომებიც, რომლებიც ან მხოლოდ ერთი დიალექტისათვისაა დამახასიათებელი, ან ორისათვის, იშვიათად კი სამისათვის (მაგ.: იდიომი „**უშკუე ნაშყი**“ გვხვდება მხოლოდ ლაშხურში, „**ქორონიკ ახოსიბდა**“ მხოლოდ ლენტეხურში, „**ნინი ლიდეესგი**“ მხოლოდ ბალსზემოურში, **ბამბაჲ ფიცხჩიჩ** „მძინარა“ მხოლოდ ლაშხურში, **ბაჯიშ ლგდგარ** „ზარმაცი, მცონარა“ მხოლოდ ბალსქვემოურში, **ბიზიკდ ლგგ** „ჩქარია, მოხერხებულია, ყოჩაღია“ მხოლოდ ბალსზემოურში და ა. შ.). განსხვავება უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ფონეტიკური ხასიათისაა.

უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებით უხვად არის წარმოდგენილი სვანურში წყევლის აღმნიშვნელი ფორმულები, რომელთა ქართულ ენაზე თარგმნა ძალზე რთულად მიგვაჩნია, რადგანაც მათში უამრავი არქაული ლექსიკური ერთეული ფიქსირდება. ნიმუშისათვის დავასახელებთ რამდენიმეს. მაგ., ბზ. **ისგუა თერარს**, **ნიჩუარს ი ტანს ჲელაჲ მგლაშუ ხეკგრუალე დრსგ**! (სვან. ქრესტ., 1978, 56:3) — შენს თვალებს, სახესა და ტანს ელიას ცეცხლი („ნაპერწკალიმცა“) წაეკიდოს მალე („ადრე“)! **სუნდუქუ დეცეშ მიჩა მეფშუდა მაზიგს ქა ნრმთეუ ჯაქაბუნე სი ი ისგუა ქორს!** (სვან. ქრესტ., 1978, 55:17) — ცის ღვთაებამ („სკივრი“) თავისი („მის“) გაშვებული („გაშვებულ“) ავადმყოფობა („ტკივილს“) არ („**ნუ**-არ-ˈის˺-კენ-მცა“) აგაცდინოს („გაცდის“) შენ და შენს ოჯახს („**ქორა**-ს“)! **ჯგგრაგ წინალდ ი წირკამალდუ ჯაბლრკეხ სი ი ისგუა ლიზგე-ლირდეს**! (სვან. ქრესტ., 1978, 56:5) — წმინდა გიორგიმ („წმინდა გიორგი“) სამუდამოდ („ნასახად, მსგავსად“) მოგსპოთ („გსპობთ“) შენ და შენი ცხოვრება („მოსახლეობა-ყოფა“)! ბქ. **ფისეგარგასისგოლუ ხარ ლაქუნ**! — ჯოჯოხეთი იყოს მისი სამკვიდრო („მდუღარე ფისშიმცა აქვს სა-

სულეთი“)! და ა. შ.

ფრაზეოლოგიზმების ფუნდამენტური კვლევა და შესწავლა ძალზე მნიშვნელოვანია როგორც წმინდა **ლინგვისტური**, ასევე **კულტუროლოგიური** თვალსაზრისითაც.

ლინგვოკულტუროლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სწორედ მდგრადი სიტყვათშეთანხმების, ენათა ფრაზეოლოგიის შესწავლაა, ამ ტერმინების ფართო გაგებით. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, „ასეთ ერთეულთა განსახილველ კორპუსს შეადგენენ როგორც სიტყვებთან შეფარდებული ფრაზეოლოგიზმები, ასევე პრედიკატული შესიტყვებები, ანდაზები, თქმულებები, აფორიზმები და ა. შ. ამ ენობრივ ერთეულებში, რომელთა უმრავლესობა ინარჩუნებს გამომსახველობით-სტრუქტურულ მოტივაციას, ასახულია, ზოგჯერ განსაკუთრებული სისრულითა და სიცხადით, არა მარტო მატერიალური და სულიერი ობიექტები, რომლებსაც ეროვნული სპეციფიკა გააჩნიათ, არამედ ეროვნული სულისა და ეროვნული პიროვნების ცნების შემადგენელი ზნეობრივი, მორალური, ფსიქოლოგიური შეფასებები, მახასიათებლები, მიდრეკილებები. ფრაზეოლოგიის ანალიზი ლინგვოკულტუროლოგიური პოზიციებიდან მსოფლიოს ენობრივი სურათის უტყუარი მონაცემებით შევსების საშუალებასაც იძლევა. ვინაიდან ფრაზეოლოგიური ერთეულები ფართოდ არის წარმოდგენილი ენებში და მრავალფეროვანია ფორმითა და შინაარსით, მათი ნებისმიერი შესწავლა გარდაუვალად იფარგლება რაოდენობრივი და სემანტიკურ-გრამატიკული ჩარჩოებით“ (ხოფერია 2007: 330-331). ფრაზეოლოგიზმების ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი კი წარმოდგენას გვიქმნის ენის სისტემასა და კულტურას შორის ურთიერთქმედებაზე, ეგრეთ წოდებული ეროვნული მენტალიტეტის თავისებურებათა ასახვაზე ენაში (იქვე: 335).

მართალია, იდიომი თავისი სტრუქტურის მიხედვით დიდად არ განსხვავდება თავისუფალი შესიტყვებისაგან, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დარღვეულია სინტაქსური წყობა სიტყვებს შორის (მაგ., ბქ. **გიმს ხაჴიდ** — ნაცვლად **გიმჟი ხაჴიდ** ფორმისა „დაამცირა“ (სიტყვასიტყვით — მიწას დაარტყა, დაანარცხა), **გიმს ლახტყჷფნე** — ნაცვლად **გიმჟი ლახტყჷფნე** ფორმისა „დაამცირა“ (სიტყვასიტყვით — მიწას დაარტყა, დაანარცხა, მიატყეპა), ლხმ. **ჳიშკ-პილს დეშ ხასკდჷნე** — ნაცვლად **ჳიშკ-პილლისგა დეშ ასკდჷნე** „გაბრაზებულია“ (სიტყვასიტყვით — პირისახეში ვერ ატევს), ცხუმ. **ჳიშკ-ჴარჳს დეშ ხასკდჷნე ეჩა მანჩგლს** — ნაცვლად **ჳიშკ-პილისგა დეშ ასკდჷნე ეჩა მანჩგლს** „გაბრაზებულია“ (სიტყვასიტყვით — პირ-ხახას ვერ ატევს იმის საყვედურს), ცხუმ. **ჴიშხს ოსქორცხე** — ნაცვლად **ჴიშხდ ოსქორცხე** „წაბორძიკდა“ (სიტყვასიტყვით — ფეხს წაუბორძიკა) და ა. შ. შეიძლება ეს გამოწვეული იყოს თვითონ სვანურის სინტაქსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვათა სინტაქსური კავშირების საფუძვლიან შესწავლას, რომელიც ერთ, სემანტიკურად გაუთიშავ მთელად, იდიომატურ გამოთქმად გადაიქცევა ხოლმე, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ მოცემულ სინ-

ტაგმაში სიტყვათა ხმარების წესი დაირღვა.

ჩვენი თვალსაზრისით გამოსაკვლევია: **სიტყვათაწყობის მუდმივი რიგი სვანურ იდიომატურ გამოთქმებში**; **ლექსიკური არქაიზმები იდიომებში**; **გრამატიკული კატეგორიები და მათი გამოხატვის თავისებურებანი სვანური ენის იდიომებში**; **იდიომის ურთიერთობა თავისუფალ შესიტყვებასთან**; **ომონიმია და პოლისემია იდიომებში**; **ფრაზეოლოგიური შესიტყვება და მისი შემადგენელი ელემენტები**; **სიტყვათა კავშირები ფრაზეოლოგიაში**; **ხატოვნება ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში**; **ფრაზეოლოგიური შესიტყვების მიმართება იდიომთან**. გარდა ამისა, შესასწავლია ფრაზეოლოგიზმების მიმართება მოსაზღვრე ერთეულებთან: **ფრაზეოლოგიზმი და მეტაფორა**; **ფრაზეოლოგიზმი და კომპოზიტები**; **ფრაზეოლოგიზმი და დამხმარე სიტყვები**, **ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმების**, **მისალმების**, **წყევლისა და დალოცვის ფორმულების** მორფოსინტაქსური და სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი. ცხადია, ყურადღება უნდა მიექცეს ნასესხებ ლექსიკასაც.

გათვალისწინებული უნდა იყოს ქართველ თუ უცხოელ ლინგვისტთა შრომები, შედარებული იქნება საანალიზო ლექსიკური ერთეულები როგორც ქართულ, საველე პირობებში მოპოვებულ ახალ, უნიკალურ თანამედროვე სვანურ მასალასთან.

ზემოთ ჩამოთვლილ საკითხთა წარმატებითი კვლევისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს გამოკვლევას დაერთოს **იდიომებისა და ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა**, აგრეთვე, **მეორეულ კომპოზიტთა**, **მისალმების**, **წყევლისა და დალოცვის ფორმულათა** და ა. შ. სრული ლექსიკონი სვანური ენის ყველა დიალექტის (მათშორის ჩოლურული მეტყველებისა და ლახამულური კილოკავის) მონაცემთა მიხედვით. თითოეულ მათგანს ექნება როგორც **ლიტერატურული**, ასევე **სიტყვასიტყვითი** (ე. წ. **ბწკარედული**) **თარგმანი** და შეძლებისდაგვარად **ეკვივალენტური შესატყვისი** ქართულ ენაზე მისი ყველა შესაძლო სინონიმური ვარიანტით.

ლექსიკონში სიტყვა-სტატიად გამოტანილი იქნება ისეთი სიტყვები და შეხამებანი, რომელთაც დამოუკიდებელი ლექსიკური ღირებულება აქვთ. Mმასალის დიდი ნაწილი ძირითადად შემდეგი სახით იქნება წარმოდგენილი: **თხუმჟი მერს დემ იგნე** „მედიდურობს, ქედმაღლობს“ (სიტყვასიტყვით — თავზე ბუზს არ ისვამს), **გოუშარდ დას იკედ** „მედიდურობს, ქედმაღლობს“ (სიტყვასიტყვით — ტოლად არავის იღებს“), **თხერემ გუერაჟი ლგპრისდე** „დაუნდობელი, შეუბრალებელი, ბოროტი, ავი“ (სიტყვასიტყვით — მგლის ტყავზე მონათლული), **ხატს ლერთანხენ ლგირ** „უკუღმართი, ბოროტი“ (სიტყვასიტყვით — ხატს მარცხნიდან დაწერილი“), **გუშასპდ ადგენე** „გადაწვა, გადაბუგა“, **გოგს ხაჭიმ** „მათხოვრობს“ და ა. შ. თითოეული საანალიზო სალექსიკონო ერთეული, ბუნებრივია, ილუსტრირებული იქნება, აღებული ხალხური მეტყველებიდან.

წარმოდგენილი მასალები ქართულთან მიმართებაში პირობითად შეიძლე-

ბა სამ ძირითადად ჯგუფად დავყოთ:

1) ესა თუ ის იდიომი, ფრაზა ან გამოთქმა არის თავისთავადი და მას არა აქვს სემანტიკური პარალელი ქართულში (მაგ.: **თხერემ გუერაჟი ლგპრისდე** „დაუნდობელი, შეუბრალებელი, ბოროტი, ავი“ (სიტყვასიტყვით — მგლის ტყავზე მონათლული), **ძუღუაშ მელ ამჩეხუნე** „გამაწამა, გამაწვალა“ (სიტყვასიტყვით — ზღვის ბალახი მომაძოვინა), **სადარ-კუდარ ჰაჰარლექუა ხაÃიდ** „გალანძღა“...) ან ასეთი პარალელი აქვს, მაგრამ ფორმით სრულიად განსხვავებული (მაგ.: **ხარგად ბაჩარს** „შეაყარე კედელს ცერცვი“ (სიტყვასიტყვით — ელაპარაკე ქვებს), **ნებგუაშ წკალ მექუცე** „უსირცხვილო, უსინდისო“, შდრ. ქართ. შუბლმორეცხილი (სიტყვასიტყვით — შუბლის ძარღვგაწყვეტილი...).

2) ზოგჯერ ადგილი აქვს სრულ ფორმობრივ (სიტყვიერ) და სემანტიკურ დამთხვევასთან (მაგ., **ნგნემ კაცხუი მაზ** „ენის წვერზე მადევს“ (თითქოს მაგონდება, მაგრამ ვერ ვიგონებ), **საფლარუს ხობგრჯე** „სამარეს უთხრის“ (ღალატობს, საფრთხეს უქმნის) ან ნაწილობრივ ფორმობრივ თანხვედრას (მაგ.: **დაგრაშ პილს ლახბეკ** „სიკვდილის პირს მიაბჯინა, სიკვდილის პირას მიიყვანა“, **ხუად ხანიშ დემეგ ლი** „დიდი ხნის არ არის, დიდი დღე არ უწერია“...) სვანური ხატოვანი სიტყვა-თქმისა ქართულთან.

3) ლექსიკური ერთეულები, რომლებიც წიგნის ან ზეპირი მეტყველების გზით უნდა იყვნენ ქართულიდან შემოსული [მაგ.: **მახიადშუ ჰიშხუი უენდ ლგგ** „სიხარულით ფეხზე ძლივს დგას“ (შდრ. საკუთრივ სვანური გამოთქმა **გუიჲსგა ჯან ხობ** „გახარებულია ან რაღაც სწყინს“ (სიტყვასიტყვით — გულში ხარი უბია)], **ხოჩა დოშდულჟი ლგთარუ** „ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული“, **თეთე ფხულე დემ იძგირი** „თვალთან თითს ვერ მიიტანს კაცი (ისეთი სიბნელეა)“, **ქრისდე მირჰენ** „მირონით დანათესავებულნი, ნათელ-მირონობა“ და სხვ., თუმცა როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ასეთი ლექსიკური ერთეულების ხვედრითი წონა გაცილებით ნაკლებია საკუთრივ სვანურ მასალასთან შედარებით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სვანური იდიომებისა და ფრაზეოლოგიზმების კრებული დღემდე არა გვაქვს და ეს იქნება პირველი ცდა ასეთი სრული ლექსიკონის შედგენისა, რაც ერთგვარ სამსახურს გაუწევს როგორც ქართველური ენების მკვლევრებს, ასევე ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხების შესწავლით დაინტერესებულ მეცნიერებს.

ლიტერატურა

თაყაიშვილი 1961 — ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი.

ონიანი 1966 — ალ. ონიანი, ქართული იდიომები, თბილისი.

ონიანი 1954 — ალ. ონიანი, ქართულ-სვანური იდიომატიკა, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

სახოკია 1950 — თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. I, თბილისი.

ღლონტი 1988 — ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, მესამე გამოცემა, თბილისი.

ხოფერია 2007 — მ. ხოფერია, ფრაზეოლოგია როგორც ლინგვოკულტუროლოგიის ობიექტი ესპანურ ენაში. — საენათმეცნიერო ძიებანი, XXVI, თბილისი.

MEDEA SAGLIANI, ROENA TCHKADUA

Importance and Basic Principles of Compiling a Dictionary of Svan Phraseological Expressions

S u m m a r y

The paper deals with the importance and basic principles of compiling a dictionary of Svan **praseological expressions** (**idioms** and **phraseological word-correspondences**), **secondary composits**, **expressions of old religious contents**, **greeting**, **blessing and coursing formulae** and others. This will be added to the research **"Phraseological expressions in Svan"**. The work will take into account the works of Georgian and foreign linguists, as well. Analytical lexical entries will be compared with Georgian as well as unique modern Svan material obtained by the members of the group during the field work.

All Svan dialectal (among them **Cholurian speech** and **Lakhamulian subdialectal**) data will be entered in the dictionary. Each illustrative example will have **literary** as well as **word-for-word translation** and **equivalent correspondence** in Georgian.

As there is no collection of Svan idioms and phraseologisms this will be the first attempt of compiling a dictionary of this kind.

მურმან სუხიშვილი

პასიური და საშრომიერთო სემ ანტიკა გარდაშვალი ზმნის ე- პრეფიქსიან მოდელში

სამეცნიერო ლიტერატურაში ე- პრეფიქსის ოდენ ვნებითი გვარის მორფემად კვალიფიკაცია სათუოდ არის მიჩნეული, მას სხვა ფუნქციაც ეძებნება, მაგ. ქცევისა (შანიძე 1973: 350-351; დამენია 1982: 95) და ეს ეჭვი ე- პრეფიქსის დიაქრონიულ ინტერპრეტაციასაც ეხება; შდრ.: „ე- პრეფიქსის ხმარების არე ზოგ შემთხვევაში ანალოგიურად არის გაფართოებული, მაგრამ თავდაპირველად ის მარტო ვნებითის ნიშანი არ უნდა ყოფილიყო, როგორც ამას დღეს გადმონაშთის სახით „მი-ვ-ეც“ ფორმა გვიჩვენებს“ (შანიძე 1970: 300). ასევე: „ერთი რამ ნათელია: ე- პრეფიქსი თავდაპირველად არ იყო ვნებითის მაწარმოებელი ფორმანტი. ერთ-ერთი ძლიერი საბუთი ამისა არის ფაქტი, რომ ეგევე პრეფიქსი შენიშნულია მოქმედებითი გვარის ფორმებშიც (ჯორბენაძე 1975: 145).

ე- პრეფიქსი მოქმედებითი გვარის ზმნებში ახალ ქართულშიცაა წარმოდგენილი (იგივე მი-ვ-ე-ც, ე-ძებ-ს, ე-სროლ-ა...), გვაქვს ის საშუალი გვარის ფორმებშიც (ე-რჩის, ე-ტრფის, ერთვის...) (დეეტერსი 1930: 13; ჯორბენაძე 1975: 143...) და რაც არსებითია, ქართულში: „ენიანი ვნებითების გამოყენების ნახევარზე მეტს წარმოადგენენ ე- პრეფიქსიანი დეპონენსები: ეალერსება, ეამბორება, ეარშიყება, ეაჯება, ებაასება, ებატონება, ებოდიშება, ებრძოლება, ებულბულება, ებურთავება, ებუტბუტება, ებუტება, ებღაუჭება... და ა.შ. (ჯორბენაძე 1975: 147). ჩამონათვალში „და ასე შემდეგამდე“ ბ. ჯორბენაძე დეპონენსური შინაარსის 56 ზმნას ასახელებს და ასკვნის, რომ ე- პრეფიქსიან ზმნებს მოქმედებითი გვარის ფუნქცია უნდა ჰქონოდათ და ცალკეულ ფორმებში პარალელურად გამოვლენილი პასიური შინაარსის ანალოგიით ეს პასიური მნიშვნელობა ენიან ზმნათა ერთ ნაწილში განზოგადდა. ასეთი შეთავსება პასიური და დეპონენსური მნიშვნელობებისა ქართულისათვის უჩვეულო არ არის: „რომ შევადაროთ ერთმანეთს ეს ორი წინადადება: „ამ გარემოებას ანგარიში არ ეწევა“ და „მძიმე უღელს ეწევა“, დავრწმუნდებით, რომ ზმნა „ეწევა“ პირველში პასიურად არის ნახმარი, მეორეში კი — აქტიურად (ანგარიში არ ეწევა = ანგარიშს არ უწევენ; უღელს ეწევა = უღელს წევს). მაგრამ რადგანაც ფორმით ზმნა მეორე შემთხვევაში პასიურია, ამიტომ

მას პირველისაგან განსხვავებით დეპონენსს ვეძახით (შანიძე 1973: 298); საყურადღებოა, რომ ე წ ე ვ ა ფორმის პასიურ მნიშვნელობას ა. შანიძე კონვერსიული მოქმედებითი ფორმის უ წ ე ვ ე ნ განზოგადებულპირიანი ფორმით განმარტავს. ვნებითური და დეპონენსური მნიშვნელობის შენაცვლება ქართულში ერთეული შემთხვევა არ არის:

ე დ ე ბ ა — დეპონენს.: ღობე-ყორეს ე დ ე ბ ა
ვნებითი: კაბა ფეხებში ე დ ე ბ ა მებრძოლთ (ქეგლ)

ე რ ე ვ ა — დეპონენს.: მარაქაში ე რ ე ვ ა; მაგისთანა საქმეში ვერ ვ ე რ ე ვ ი;
ვნებითი: ენა ე რ ე ვ ა (ქეგლ) და მისთ.
(ჯორბენაძე 1975: 150).

ასე რომ, ენიან ვნებითთა მნიშვნელოვან ნაწილში აქტიური შინაარსის გამოვლენა და, საერთოდ, ამ პრეფიქსის პოლისემანტიკურობა (პოტენციალისის, მიჩნევის, გუნების მნიშვნელობის გამოხატვა) ბუნებრივად ბადებს აზრს პასიური შინაარსის ენიან ვნებითთა იშვიათობის შესახებ: „საერთოდ, ე- პრეფიქსიან პასივთა აბსოლუტურ უმრავლესობას რეალურად აქტიური სუბიექტი შეეწყობა... ძალიან იშვიათია პასიური სუბიექტის მქონე ზმნები“ (მელიქიშვილი 2001: 202). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქტიური შინაარსის ენიანი ვნებითის ფორმები გამოყენების სიხშირით პრესის ენის ერთ-ერთი სტილისტიკური მახასიათებელიცაა: „ვნებითურ ფორმათაგან ვნებითობის შინაარსი ყველაზე ნაკლები აქვს ე- პრეფიქსიან ფორმებს. ამიტომ ყველაზე ხშირად ისინი გამოიყენებიან აქტიური შინაასით გაზეთის ენაშიც“ (ღვინაძე 1980: 259). „ე- პრეფიქსიანი ფორმების ასე მრავალფეროვანი შინაარსით გამოყენების მისი სუსტი, საკუთრივ ვნებითური სემანტიკის მაჩვენებელია“ (იქვე 261).

ბუნებრივად ჩნდება აზრი ე- პრეფიქსისათვის ადეკვატური ფუნქციის მოძიების შესახებაც, შდრ.: „ე- პრეფიქსი პოლისემანტიკური აღმოჩნდა, მაგრამ ყველა შემთხვევაში შენარჩუნებული აქვს ირიბ ობიექზე მინიშნების ფუნქცია“ (ჯორბენაძე 1983: 105).

„ე- მაქცევრის ფუნქცია უფრო რთულია. გარდაუვალ ზმნებთან ი- მაქცევრიან ფორმებთან შეპირისპირებისას, ე- მაქცევარი წარმოქმნის ირიბ ობიექტს, მაგრამ გარდამავალ ზმნებთან შეპირისპირებისას პირდაპირი ობიექტის მოსპობის ფუნქციას ახორციელებს...“ „...სინქრონიულად ე- მაქცევრის ორმაგი ფუნქცია სავსებით დასაშვებია, რამდენადაც ის ასახავს ფორმათა რეალურ ოპოზიციას“ (მაჭავარიანი 1987: 10,11).

„ე- პრეფიქსი სუბიექტისა და ირიბი ობიექტის ურთიერთობას ასახავს გარდაუვალ ზმნაში — ამდენად უახლოვდება რეციპროკულ სემანტიკას. ი ს მ ა ს ე ბ რ ძ ვ ი ს = ი ს ი ნ ი ე ბ რ ძ ვ ი ა ნ ე რ თ მ ა ნ ე თ ს; ი ს მ ა ს

ეკამათება — ისინი კამათობენ ერთმანეთთან (მელიქიშვილი 2009: 91)...

ფაქტია, რომ რელატიურ ენიან ვნებითთა სემანტიკა ძალიან ბევრ შემთხვევაში აქტიურია. სუბიექტი ასეთ ზმნებში არა პაციენსად, არამედ რეალურ მოქმედად, აგენსად მოიაზრება (ეჭაჩება, ეზიდება, ეჯაჯგურება...) და ამგვარ ზმნათა ვნებითობას მხოლოდ ფორმალური მახასიათებლები ამოწმებს; თუმცა ასევე ბევრ შემთხვევაში ენიანი ვნებითების სუბიექტი სემანტიკურად პაციენსია და ე- გამოხატავს სუბიექტის მიმართებას ირიბი ობიექტისადმი, კონკრეტულად: პასიური სუბიექტის კუთვნილებით მიმართებას (მიკუთვნებას) ირიბი ობიექტისადმი, ეს პასიური სემანტიკა თვალსაჩინოდ აისახება ენიანი ვნებითების ქეგლისეულ განმარტებებში აბსოლუტური, **ი**ნიანი ვნებითის ფორმებისა და III პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის კომბინაციით: რომელიმე ეგრიხება ზმნა ჯერ დახასიათებულია გვარის (აქტივ-პასივის) მნიშვნელობის მიხედვით როგორც საოპოზიციო კონვერსიული პასივი სამპირიანი აქტიური უგრეხს ფორმისა, ხოლო უკვე ვნებითი გვარის შიდა მიმართებაში — როგორც ერთპირიანი ინიანი ვნებითის საოპოზიციო ორპირიანი ფორმა: ეგრიხებ-ა (დაეგრიხა, დაჰგრეხია) გრდუვ. ვნებ. უგრეხს ზმნისა — იგრიხება მისი. „სხეულის ყველა ასო ეგრიხებოდა, ეკრუნჩხებოდა (ეკ. გაბ.)... თავის ადგილას **ი**ნიანი პასივი (იგრიხება) ასევე დახასიათებულია როგორც სათანადო მოქმედებითის კონვერსივი და ახლავს განმარტება (ან განმარტებები), რომელიც მის პასიურობას ამოწმებს, — ამ კონკრეტულ შემთხვევაში სათანადო აქტივის განუსაზღვრელპირიანი მრავლობითის ფორმა, რომელიც ვნებითის შინაარსს გადმოსცემს (ჩიქობავა 1950: 060) და პოტენციალისის შინაარსის გამომხატველი შესიტყვება: იგრიხებ-ა (დაიგრიხა, დაგრეხილა) გრდუვ. ვნებ. გრეხს ზმნისა: 1. გრეხენ; გრეხა შეიძლება.. (ხაზგასმა ჩვენია, მ.ს.).

ასეთი განმარტებით ეგრიხება — „იგრიხება მისი“ **ი**ნიანი ვნებითების პასიური შინაარსი დუბლირებულია **ე**ნიან ვნებითებში, შდრ.:

ებანებ-ა გრდუვ. ვნებ. **ბანს** ზმნისა — იბანება მისი ან მისთვის

ებნევ-ა გრდუვ. ვნებ. **უბნევს** ზმნისა — იბნევა მისი

ებეგვებ-ა გრდუვ. ვნებ. **უბეგვავს** ზმნისა — იბეგვება მისი და ა.შ.

ებურცება იბურცება მისი, ებურძგნება იბურძგნება მისი, ებღუნძება იბღუნძება მისი, ეგანგლება იგანგლება მისი, ეგზავნება იგზავნება მისი, ეგლიჯება იგლიჯება მისი, ეგულება იგულება მისი, ედაგება იდაგება მისი, ევარცხნება ივარცხნება მისი, ევსება ივსება მისი ან მისთვის, ეზრდება იზრდება მისი ან მისთვის, ეზღუდება იზღუდება მისი ან მისთვის, ეთეთქვება ითეთქვება მისი, ეთითხნება ითითხნება მისი, ეთოშება ითოშება მისი, ეთუთქება ითუთქება მისი, ეთქვიფება ითქვიფება მისი, ეთხუპნება ითხუპნება მისი, ეკარგება იკარგება მისი, ეკაწრება იკაწრება მისი, ეკეცება იკეცება მისი ან მის-

თვის, ეკვეცება იკვეცება მისი, ეკოდება იკოდება მისი, ეკუმშება, ეკუმშვის იკუმშება მისი, ელახება ილახება მისი — თავმოყვარეობა ელახება, ელესება ილესება მისი ან მისთვის, ელეწება ილეწება მისი ან მისთვის, ემარხება იმარხება მისი, ემიჯნება იმიჯნება მისგან, ენახება ინახება მისი ან მისთვის, ენგრევა ინგრევა მისი, ენერგება ინერგება მისი ან მასში, ენთხევა ინთხევა მისი ან მასში, ენჯღრევა ინჯღრევა მისი, ეპობა იპობა მისი, ეჟეჟება იჟეჟება მისი, ეჟლიტება იჟლიტება მისი, ეჟღინთება იჟღინთება მისი და ა.შ.

ასეა პრევერბიან ფორმებშიც:

ა- აეგება აიგება მისი ან მისთვის, აეგლისება აიგლისება მასზე, აეგლიჯება აიგლიგება მისი...

ამო- ამოეჩრება ამოიჩრება მისი, ამოეთხრება ამოითხრება მისი, ამოეცლება ამოიცლება მისი, ამოეწმინდება ამოიწმინდება მისი, ამოუწმენდენ...

გა- გაეჩხირება გაიჩხირება მისაში, გაეთიშება გაითიშება მისგან, გაეთქვიფება გაითქვიფება მისი...

გამო- გამოეჭედება გამოუჭედენ — გამოიჭედება მისი ან მისთვის, გამოეჭრება გამოუჭრიან, გამოიჭრება მისი, გამოეხევა გამოიხევა მისი...

და- დაებეჟება დაიბეჟება მისი, დაებერტყება დაიბერტყება მისი, დაებეჭდება დაიბეჭდება მისი...

მო- მოედგმება მოიდგმება მისი ან მისაზე, მოედრიკება მოიდრიკება მისი, მოერთმევა მოუტანენ, მოართმევენ, მოესწრება მოასწრებენ, მოსწრება შეიძლება...

შე- შეებღალება შეუბღალავენ, შეიბღალება მისი, შეეზრდება შეიზრდება მასთან, შეეკუმშება შეუკუმშავენ, შეიკუმშება მისი...

შემო- შემოემტვრევა შემოუმტვრევენ, შემოიმტვრევა მისი, შემოეფანტება შემოიფანტება მისი, შემოეჭრება შემოსჭრიან: 1.შემოიჭრება მისი, შემოეხევა შემოიხევა მისი...

ჩა- ჩაეგება 1. ჩაიგება მისთვის ან მისაში, ჩაეთვლება ჩაითვლება მისი, ჩაეჩხვლიტება ჩაიჩხვლიტება მისი, ჩაუჩხვლეტენ...

ჩამო- ჩამოეგლიჯება ჩამოიგლიჯება მისი, ჩამოერეცხება ჩამოირეცხება მისი, ჩამოეცმევა ჩამოაცვამენ, შეიძლება ჩამოაცვან...

წა- წაეჭრება წაიჭრება მისი, წაეშლება წაიშლება მისი, წაექცევა წაიქცევა მისი...

წამო- წამოეზრდება წამოიზრდება მისი, წამოეინთება წამოინთება მისი, წამოეშლება წამოიშლება მისი ან მისთვის...

რა თქმა უნდა, **ე**ნიან ვნებითთა პასიურობის ამოსაცნობი განმარტების ასეთი ფორმულა (იდენტური ფუძის **ი**ნიანი აბსოლუტური ვნებითი პლუს III პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი უთანდებულოდ ან თანდებულით: სხვაგვარად: ე-ღ-ებ-ა = ი-ღ-ებ-ა მისი / მისთვის / მისგან და ა.შ.) ლექსიკონში ყველა **ე**ნიან ვნებითს არ ახლავს და ზოგჯერ არც მოერგება, მაგრამ არსებობს ზმნის პასიური სემანტიკის ამოსაცნობი სხვა საკონტროლო საშუალებებიც; ასეთია **ე**ნიანი ვნებითების განმარტების ადეკვატურობა მოქმედებითი გვარის განუსაზღვრელსუბიექტიანი მრავლობითის ფორმით, რასაც **ე**ნიან ვნებითთა (ისევე, როგორც სხვა სახის ვნებითების) განსამარტავად ქეგლიც იყენებს და ბევრ შემთხვევში, ზემოთ დასახელებული ფორმულის პარალელურადაც:

ა ე წ ე რ ე ბ ა — აიწერება მისი; აუწერენ
ე ბ რ ე ბ ა — ექვითება, ერიცხება; უკავებენ..., უბრიან
ე ბ მ ე ბ ა — იბმება მისი ან მისთვის; უბამენ მას (მას), შეაბამენ მისას
ე ბ ო ძ ე ბ ა — უბოძებენ
ე ბ რ ძ ა ნ ე ბ ა — უბრძანებენ
ე კ რ ძ ა ლ ე ბ ა — უკრძალავენ
ე კ უ რ თ ხ ე ბ ა — აკურთხებენ მისას, — უკურთხებენ
ე ნ ი შ ნ ე ბ ა — ინიშნება მისთვის; უნიშნავენ
ე თ ხ რ ე ბ ა — ითხრება მისთვის, — უთხრიან
ე კ ე ტ ე ბ ა — იკეტება მისი ან მისთვის, — უკეტავენ
გ ა მ ო ე რ ი ც ხ ე ბ ა — გამოირიცხება მისი, — გამოურიცხავენ
გ ა მ ო ე ჭ რ ე ბ ა — გამოიჭრება მისი, — გამოუჭრიან
გ ა ე კ ვ ე თ ე ბ ა — გაიკვეთება მისი, — გაუკვეთენ
მ ო ე რ თ მ ე ვ ა — მიუტანენ, მოართმევენ
შ ე ე კ უ მ შ ე ბ ა — შეუკუმშავენ
შ ე ე მ ა ტ ე ბ ა — შეუმატებენ, შეიძლება შეუმატონ
შ ე ე კ ე ც ე ბ ა — შეიკეცება მისი, — შეუკეცავენ
შ ე ე მ ღ ვ რ ე ვ ა — შეიმღვრევა მისი, — შეუმღვრევენ
შ ე მ ო ე მ ტ ვ რ ე ვ ა — შემოემტვრევა მისი, — შემოუმტვრევენ
ჩ ა ე კ ე ტ ე ბ ა — ჩაიკეტება მისი ან მისთვის, — ჩაუკეტავენ]]
უნებურად ჩაკეტავს
ჩ ა მ ო ე ც მ ე ვ ა — ჩამოაცვამენ; შეიძლება ჩამოაცვან
წ ა ე ს მ ე ბ ა — წაუსვამენ
წ ა ე კ ი თ ხ ე ბ ა — წაიკითხება მისთვის, — წაუკითხავენ და სხვა მ რ ა ვ ა ლ ი .

ენიანი ვნებითების პასიურობის განმსაზღვრელ განმარტებათა გვერდით განსამარტავ ფრაზებში ზოგჯერ პოტენციალისისა და უნებურობის სემანტიკაც დაჩნდება, რაც ვნებითობისა და ამ სემანტიკური ნიუანსების გარკვეულ შეთავსებითობაზე მიუთითებს:

ეკიჟინება — უკიჟინებენ, შეიძლება უკიჟინონ
ეპატიება — აპატიებენ, შეიძლება აპატიონ
ეხარჯება — იხარჯება მისი, — ხარჯი, გასავალი აქვს, ხარჯი მოსდის (თავისი სურვილის წინააღმდეგ)
მიეტევება — ეპატიება, მიუტევებენ, შეიძლება მიუტევონ
მოესწრება — მოასწრებენ, მოსწრება შეიძლება
ჩაეკეტება — ჩაიკეტება მისი ან მისთვის, — ჩაუკეტავენ]] უნებურად ჩაკეტავს
ჩამოეცმევა — ჩამოაცვამენ, შეიძლება ჩამოაცვან...

მიჩნევისა და გუნების ვნებითები თავიანთი სემანტიკის გამო მხოლოდ რელატიურ ვნებითებში რეალიზდება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის შეიძლება თავისებური „ქცევის“ სახეობა იყოს (ლომთათიძე 1970: 160).

პასიური და აქტიური (დეპონენსური) მნიშვნელობების შეთავსებაზე **ე**ნიან ვნებითებში (პას. **ენა** ერევა, აქტ. **მარაქაში** ერევა და მისთ.) ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ასეთი ფაქტები **ე**ნიანი ვნებითების პასიური მნიშვნელობით გამოყენების არეალს უფრო აფართოებს და ამ შეთავსებულ მნიშვნელობათა უწინარესობა—შემდგომადობის საკითხსაც სვამს.

ქართული ენის მასალა მიგვანიშნებს, რომ პასივის მნიშვნელობა შეიძლება საფუძვლად დასდებოდა ზოგ სხვა მნიშვნელობას (დეპონენსურს, რეფლექსურს): მაგ. უკვე ნასესხები ეგრიხება — იგრიხება მისი პასიური შინაარსისაა, ეს პასიური შინაარსი ძირითადია და ამას სათანადო აქტივის კონვერსივებიც ადასტურებენ: იგრიხება ის — გრეხს ის მას, ეგრიხება ის მას — უგრეხს ის მას მას. ფიგურალური მნიშვნელობით ნახმარი ეგრიხება უკვე აქტიური შინაარსით იტვირთება: „დილიდან საღამომდის თოხს ვეგრიხებოდი“ (ე. ნინოშ.). ეს აქტიური შინაარსი **ი**ნიან ვნებითებში ცალკე მნიშვნელობად არის გამოტანილი. ძირითადი და დამატებითი მნიშვნელობების შეჯერება გარკვეულწილად წარმოაჩენენ მნიშვნელობის ცვლილების მიმართულებას პასიური სუბიექტის გააქტიურებისკენ; შდრ.:

ებნევა — იბნევა მისი : 1. ეფანტება, უცვივდება... 2. გადატ. ერევა, არევ-დაერევა
იბნევა — აბნევენ : 1. ფანტვით იყრება... 2. გადატ. ირევა, აზრები ეფანტება, თავგზა ერევა...

შეიძლება **ე**ნიანმა და **ი**ნიანმა პასივებმა ერთმანეთისგან განსხვავებული სემანტიკური ნიუანსებიც გამოხატონ:

ემღერება — სიმღერის გუნებაზეა...
იმღერება — მღერიან; მღერა, სიმღერა შეიძლება...

ასე რომ, ე- პრეფიქსიან რელატიურ გარდაუვალ (აწმყოს ჯგუფებში -ებ-ი/-ებ-ა მოდელის მქონე) ზმნათა საკმაოდ დიდი ნაწილისათვის, კერძოდ, იმ ნაწილისათვის, რომელთაც საოპოზიციო აბსოლუტურ ცალებად ი- პრეფიქსი-

ანი ფორმები უდასტურდებათ, პასიური შინაარსი რეალობაა. ინიანი და ენიანი ვნებითების ოპოზიციური ცალები, ამასთან, სათანადო ორ- და სამპირიანი მოქმედებითების კონვერსივებია:

ზრდის ის მას — **ი-ზრდება** ის

უ-ზრდის ის მას მას — **ე-ზრდება** ის მას.

როგორც ა. შანიძე აღნიშნავს: „საზოგადოდ ქართულში ასეთი ვითარება გვაქვს: თუ ზმნას ი- პრეფიქსი აქვს და შეიძლება მისი ე-დ შეცვლა, პასივის ფორმებთან გვაქვს საქმე: ი-წვის — ე-წვის, ი-თქმის — ეთქმის, ი-ზრდება — ე-ზრდება და მისთ. (შანიძე 1973: 299).

წარმოდგენილი მასალის მიხედვით, ი- და ე- პრეფიქსები ვნებითი გვარის პირთა რაოდენობის მიხედვით განსხვავებულ ფორმათა მარკერებია და ერთმანეთის მიმართ კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაში არიან.

რაც შეეხება დეპონენსური შინაარსის ე-პრეფიქსიან ზმნათა იმ დიდ ჯგუფს, რომელთაც აქტიური (და არა განმცდელი) სუბიექტი შეეწყობა (ელაპარაკება, ეკამათება, ეზიდება, ედავება, ესაუბრება, ეამხანაგება, ემეგობრება, ელაქუცება, ეპირფერება, ესაყვედურება, ეხუმრება, ემეზობლება, ემოყვრება, ენათესავება, ემუსაიფება, ებაასება, ეთათბირება, ელაყბება, ეჭორავება, ედავება, ეჩხუბება, ეკამათება, ეურჩება, ეჯიუტება, ეჭიდავება /ეჭიდება, ეჯიბრება, ეკინკლავება, ეხმალავება, ეფარიკავება, ეწინააღმდეგება, ეჯიბრება, ეცილება, ეჯიკავება, ეჯაჯგურება, ებოდიშება, ესარჩლება, ეთამაშება, ებურთავება, ეგუნდავება, ეშაირება, ელექსება, ექილიკება, ელაზღანდარავება, ემასხრება, ეოხუნჯება, ეკენწლავება, ეჭიკჭიკება, ეჯაჯგურება, ეფაფხურება, ებულბულება და ა.შ.), ესენი სემანტიკურად ცალკე ჯგუფს ქმნიან (ძირითადად, ურთიერთობის აღმნიშვნელი ზმნებია) და სინტაქსურადაც არაერთგვაროვანნი (როგორც ორ-, ასევე სამვალენტიანები) არიან, მათ სხვაგვარი გრამატიკული (არაპასიური) კვალიფიკაცია ეძლევათ; ისინი, ე- პრეფიქსიანი ვნებითებისაგან განსხვავებით, სხვა გრამატიკულ მიმართებაში (ფიზიკურ, სიტყვიერ... ურთიერთობებში) მონაწილეობენ (აფრიდონიძე 1985: 8; ღვინაძე 1989: 42); საოპოზიციო ცალებად გარდაუვალ ზმნებში არა აბსოლუტური **ი**ნიანი ვნებითები, არამედ საშუალი გვარის აბსოლუტური ფორმები (ავტოტივები) მოუდით (აფრიდონიძე 1985: 8; მელიქიშვილი 2001: 204): ლაპარაკობს, კამათობს, ჩხუბობს, მეგობრობს, თათბირობს, ჯიუტობს, ჭიდაობს, თამაშობს, გუნდაობს, ოხუნჯობს, ჭიკჭიკობს და ა.შ.), მაგრამ რადგან ურთიერთობა მხოლოდ რელატიური შეიძლება იყოს, აბსოლუტურ ფორმებთან ეს ხარვეზი ფრაზაში ბთან თანდებულიანი უბრალო დამატების ჩართვით კომპენსირდება: ლაპარაკობს (ვიღაცასთან) — ელაპარაკება ვიღაცას, ჩხუბობს (ვიღაცასთან) — ეჩხუბება ვიღაცას და მისთ. (აფრიდონიძე 1985: 8, 10, 13).

განსხვავებული, რეციპროკული შინაარსი ეძლევა ლაპარაკობს — ელაპარაკება ტიპის მრავლობითი რიცხვის საოპოზიციო ფორმებს თუ მათ მიცემით ბრუნვაში დასმულ საურთიერთო ნაცვალსახელს „ერთმანეთს“ დავურთავთ:

საშუალი გვარის აბსოლუტურ ზმნებს -თან ან -ში თანდებულიანს (ერთმანეთთან, ერთმანეთში), რელატიურ ენიან ვნებითებს უთანდებულოს (ერთმანეთს):

ლაპარაკობენ ისინი (ძმები, მეგობრები, მეზობლები...)
ერთმანეთთან / ერთმანეთში

ელაპარაკებიან ისინი (ძმები, მეგობრები, მეზობლები) ერთმანეთს.

ასეთ სიტუაციებს სემანტიკურად ორი (ან მეტი) თანასუბიექტი (კოსუბიექტი) ჰყავს (ხოლოდოვიჩი 1979: 163), სინტაქსურად კი საურთიერთო ნაცვალსახელს თავისი ფუნქციები უნარჩუნდება: აბსოლუტურ ზმნებთან — უბრალო დამატების, ხოლო რელატიურებთან — ირიბი დამატებისა. ელაპარაკება, ეჩხუბება ტიპის რელატიური ენიანი ფორმები მნიშვნელობით ვნებითისაგან განსხვავებული, საურთიერთო მოქმედების გამომხატველი გარდაუვალი ზმნების დამოუკიდებელი კლასია (მელიქიშვილი 2001: 202); პირიანობის მიხედვით აბსოლუტურ საოპოზიციო ცალებად მოუდის იდენტური მნიშვნელობის საშუალი გვარის (ლაპარაკობს, ჩხუბობს...) ზმნები; გვარის კატეგორიის მნიშვნელობის მიხედვით არ უპირისპირდება სამპირიანი კონვერსიული აქტივები. სათანადო კაუზატიური მოქმედებითები შეიძლება სამპირიანიც იყოს, მაგრამ უფრო ბუნებრივი ჩანს ორპირიანი ფორმები; ირიბი ობიექტის შესაძლო ადგილი თან თანდებულიანი სახელით არის კომპენსირებული: ალაპარაკებს ის მას მას / მასთან, აჩხუბებს ის მას / მასთან, ამეგობრებს ის მას მას /მასთან... მოქმედების რეალური შემსრულებელი პირდაპირი ობიექტია (მელიქიშვილი 2001: 203). -თან თანდებულიანი სახელი მოქმედების რეალურ შემსრულებელთან, პირდაპირ ობიექტთან ურთიერთობას აფიქსირებს და, რაც საყურადღებოა, ამ ფორმებს მოქმედების რეალური შემსრულებლის (პირდაპირი ობიექტის) მრავლობითში გადაყვანის შემდეგ შეიძლება დაერთოს საურთიერთო ნაცვალსახელი „ერთმანეთს“ და გამოხატოს რეციპროკის მნიშვნელობა: **ა-ლაპარაკებს** ის მათ ერთმანეთს, **ა-ჩხუბებს** ის მათ ერთმანეთს /ერთმანეთთან და ა.შ.

პასიური და რეციპროკული მოდელების იდენტურობა ზოგადად უჩვეულო არ არის. პასიური მოდელი ხხვადასხვა მიმართებას, მათ შორის, რეციპროკულ მიმართებასაც ითავსებს და ეს სხვა ენებიდანაც ცნობილია (ასათიანი, 2009: 399).

თავისთავად, რეციპროკის შინაარსი აქტიური და პასიური პროცესების ერთდროულ ქმედებას გულისხმობს (ტენიერი, 1988: 266).

ლიტერატურა

ასათიანი 2009 — რ. ასათიანი, ვნებითი გვარის კონსტრუქციათა პრაგმატიკული თავისებურება ქართველურ ენებში, კრებ. ინფორმაციის სტრუქტურირება. — ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტი, თბილისი.

აფრიდონიძე 1985 — შ. აფრიდონიძე, ურთიერთობის გამომხატველი ზმნები და მათი ოპოზიციური ფორმები. — თსუ შრომები, ტ. 242, ენათმეცნიერება, 9, თბილისი.

დამენია 1982 — მ. დამენია, ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები, თბილისი.

დეეტერსი 1930 — G. Deeters, Das Kharthwelische Verbum, Leipzig.

ლომთათიძე 1970 — ქ. ლომთათიძე, მიჩნევის (მოჩვენების, მოჩვენებითობის) კატეგორიისათვის აფხაზურ-ადიღეურ ენებში და შესაბამისი ზმნური წარმოების საკითხი ქართულში. — იკე, XVII, თბილისი.

მაჭავარიანი 1987 — მ. მაჭავარიანი, ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, თბილისი.

მელიქიშვილი 2001 — დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, „ლოგოს პრესი“, თბილისი.

მელიქიშვილი 2009 — ი. მელიქიშვილი, ვნებითი გვარი და თავისუფალ სიტყვათა რიგი როგორც აქტანტების ტოპიკალიზაციის ალტერნატივები, კრებ. ინფორმაციის სტრუქტურირება. — ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტი, თბილისი.

ტენიერი 1988 — Л. Теньер, Основы структурного синтаксиса, Пер. с франц., Вступительная статья и общая ред. В. Г. Гака, "Прогресс", Москва.

ქეგლ 1950-1964 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი.

ღვინაძე 1980 — თ. ღვინაძე, ვნებითის ფორმათა გამოყენებისათვის თანამედროვე პრესის ენაში. — ქსკს, III, თბილისი.

შანიძე 1978 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი.

ჩიქობავა 1950 — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ I, თბილისი.

ხოლოდოვიჩი 1979 — А. А. Холодович, Проблемы грамматической теории, Академия наук СССР, "Наука", Ленинград.

ჯორბენაძე 1975 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ჯორბენაძე 1983 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბილისი.

MURMAN SUKHISHVILI

Passive and Reciprocal Semantic of Intransitive Verbs with the *e-* Prefix

S u m m a r y

Bipersonal intransitive verbs with the ***e-*** prefix are polysemantic in Georgian. According to meaning they are divided in two basic groups:

1. Verbs containing passive meaning:

e.g. **e-c'ereba is mas** (He/she/it is being written for him/her/it)
e-zrdeba is mas (He/she/it is growing for him/her/it)

2. Active verbs containing reciprocal contents. Plural form is an indicator of the reciprocal contents:

e.g. **e-lap'arak'eba is mas** (He/she is talking with him/her)
Plur. **e-lap'arak'ebian isini ertmanets** (They are talking with each other)
e-čxubeba is mas (He/she is quarreling with him/her)
Plur. **e-čxubebian isini ertmanets** (They are quarrelling with each other)

For displaying the passive meaning of a verb, dictionaries provide an explanation of the bipersonal forms with the ***e-*** prefix as follows:

a) monopersonal passive verb with the ***i-*** prefix of the same stem + possessive pronoun in the third person, ***misi*** (his/her/its);

b) active verb with an indefinite subject in the plural:

e-zrdeba is mas (He/she/it is growing for him/her/it) – **i-zrdeba misi** (His/her/its (hair) is growing); **uzrdian** (He/she/it is growing for them in general).

Semantic differences occurring in these two basic groups of the identical model derive from different grammatical relations:

Bipersonal passive verbs with the ***e-*** prefix have their opposition forms, i.e. monopersonal passive verbs with the ***i-*** prefix. But opposition forms of reciprocal active verbs with the ***e-*** prefix are monopersonal medial verbs with the same reciprocal meaning:

e-lap'arak'eba is mas (He is talking with him)
Plur. **e-lap'arak'ebian isini ertmanets** (They are talking with each other)
lap'arak'obs is mastan (He talks with him)
Plur. **lap'arak'oben ertmanettan** (They talk with each other)

Reciprocal meaning is expressed by attaching reciprocal pronoun *ertmaneti* (each other) in the dative case to the opposition forms in the plural. The reciprocal pronoun *ertmaneti* is used both with and without postpositions: with ***-tan*** (with) or ***-ši*** (in) postpositions it is added to medial monopersonal verbs, but bipersonal verbs attach it without postposition.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXXIX 2011

თედო უთურგაიძე

O^{dp} {ენ} (/-ენ/~/-ნ/) და O^{dp} {-თ} (/-თ/~/-Ø/) იდენტური მნიშვნელობის სუფიქსთა გრამატიკული ღირებულებისათვის

{-ენ} და {-თ} სუფიქსთა ხმარება პირდაპირი ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად ქართულ სამწერლობო ენაში ქრონოლოგიურად განსხვავებულია: {-ენ} ძველი და საშუალო ქართულის დასაწყისი პერიოდისაა, {-თ} კი — საშუალი ქართულის ბოლო პერიოდისა (დაახლოებით XVI საუკუნიდან) და ახალი ქართულისა. „ვეფხისტყაოსნის“ მე-17, მე-18 საუკუნეთა ხელნაწერებში არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით /-თ/-ს ირიბი და პირდაპირი ობიექტის სიმრავლის აღსანიშნად, მაგალითად: „თუ რა ოდეს შეღაგცოდოთ, მაშინ მომკალ...“ ეუბნება რამაზი ინდოთა სამეფო კარის წარმომადგენლებს (JT, 475_4). აქ /-თ/ ირიბი ობიექტის სიმრავლეს გამოხატავს.

„თქვენ დაგხოცთ თქვენი პატრონი...“ ეს კი ნესტან-დარეჯანის სიტყვებია (I, 1194_2). აქ /-თ/ პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს გამოხატავს. რა თქმა უნდა, ეს /-თ/ დედანს არ ეკუთვნის არც ერთგან.

შეიძლება ენაში გამოყენების მიხედვით გამოგვეყო O^{dp}{-ენ} და O^{dp}{-თ} პერიოდები. O^{dp} ინდექსი გამოხატავს პირდაპირ ობიექტს მრავლობით რიცხვში.

ჩვენი შემდგომი მსჯელობა ეხება სიმრავლის სახელურ და ზმნურ ფორმანტთა პარადიგმატულ და სინტაგმატურ მიმართებებს ქართულ ენაში, მათი ამ ფუნქციით (მრავლობითობის გამოხატვის უნარით) გამოსენების კანონზომიერებებს. არის ცდა, ხანმეტი პერიოდიდან დღემდე გამოვყოთ სინტაგმატურ კანონზომიერებათა განსხვავებული სახეები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

დისტრიბუციულად O^{dp}{-ენ} და O^{dp}{-თ} ორ ვარიანტს გვიჩვენებენ დროის ვერტიკალურ ღერძზე: ძველ ქართულში {-ენ} იყო გაბატონებული, ახალ ქართულში {-ენ}-ის ადგილი სველგან {-თ}-მ დაიყირა (დაგმალ-**ენ** მე **თქუენ**; შდრ. დაგმალე-**თ** მე **თქვენ**).

O^{dp} მარკერთა ცვლილების ფონზე არსებითი ხდება საერთოდ ზმნურ აქტანთა მრავლობითობის გამოხატვის დინამიკა თვით ზმნათა ფორმებში ხილულ პერიოდსა (V-XXI სს.) და უფრო ადრეულ საფეხურზეც შინაგანი რეკონსტრუქციის ჩვენების მიხედვით.

O^{dp}{-ენ} ძველ ქართულში

უპირველეს სოვლისა, ძველ ქართულში O^{dp}{-ენ} მხოლოდ II სერიის სველა მწკრივში და III სერიის სამ მწკრივში იხმარება. მას არ ისენებენ I სერიის მწკრივები და I თურმეობითი III სერიიდან.

წყვეტილი

	SO_3^{dp}	$S^pO_3^{dp}$
I	და-ვ-მალ-**ენ**	და-ვ-მალ-**ენ**-თ ‖ და-ვ-მალ-**ენ**-ი-თ
II	და-ხ-მალ-**ენ**	და-ხ-მალ-**ენ**-თ ‖ და-ხ-მალ-**ენ**-ი-თ
III	და-მალ-**ნ**-ა	და-მალ-**ნ**-ეს

ძველი ძეგლების მიხედვით უფრო გავრცელებულია -**ენ**-**ი**-**თ** დაბოლოება, სადაც **ი** ანაპტიქსური ხმოვანია (ჩიქობავა 2010: 27). ეს **ი** ჩნდება სონორისა (/ნ/) და ჩქამიერი თანხმოვნის (/თ/) არაბუნებრივი კომპლექსის დასაშლელად პაუზის წინ (უთურგაიძე 1976: 97, 100).

კავშირებითი მეორე

	SO_3^{dp}	$S^pO_3^{dp}$
I	და-ვ-მალ-**ნ**-ე	და-ვ-მალ-**ნ**-ე-თ
II	და-ხ-მალ-**ნ**-ე	და-ხ-მალ-**ნ**-ე-თ
III	და-მალ-**ნ**-ე-ს	და-მალ-**ნ**-ე-ნ

ხოლმეობითი II

	SO_3^{dp}	$S^pO_3^{dp}$
I	და-ვ-მალ-**ნ**-ი	და-ვ-მალ-**ნ**-ი-თ
II	და-ხ-მალ-**ნ**-ი	და-ხ-მალ-**ნ**-ი-თ
III	და-მალ-**ნ**-ი-ს	და-მალ-**ნ**-ი-ან

ბრძანებითი მეორე

	SO_3^{dp}	$S^pO_3^{dp}$
I	————	და-ვ-მალ-**ნ**-ე-თ
II	და-მალ-**ენ**	და-მალ-**ენ**-თ ‖ და-მალ-**ენ**-ი-თ
III	და-მალ-**ენ**-ი-ნ	და-მალ-**ნ**-ედ

III სერია

III სერიის ოთხი მწკრივიდან მხოლოდ სამ მწკრივში ჩნდება O^{dp}{-ენ} სუფიქსი. ამ ფორმებში {-ენ} ჭარბი ელემენტია: სიმრავლის S^p ელემენტებთან (-ეს, -ნ, -ან, -თ) ერთად /-ენ/~/-ნ/ სუბიექტური აქტანტის სიმრავლზე მიუთითებენ დამატებით, მაშასადამე ხდება {-ენ}-ის ფუნქციის შენაცვლება:

/

O^{dp}{-ენ} / S^{p}{-ენ}. ამ შენაცვლების საფუძველია სუბიექტად ინიციატორი აქტანტის მიჩნევა: I და II სერიების პირდაპირი ობიექტი იმიტომ იღებს სუბიექტის სტატუსს III სერიაში, რომ წარსულში ჩადენილი ქმედება შემდგომ დროში სწორედ პირდაპირი ობიექტით, ანუ ქ მ ე დ ე ბ ი ს შ ე დ ე გ ი თ ხდება საცნაური.

თურმეობითი მეორე

	$S_3{}^pO^d$	$S_3{}^pO^{dp}$
I	და-მ-ე-მალ-**ნ-ეს** (მე **იგინი**)	და-გუ-ე-მალ-**ნ-ეს** (ჩუენ **იგინი**)
II	და-გ-ე-მალ-**ნ**-ეს (შენ **იგინი**)	და-გ-ე-მალ-**ნ-ეს** (თქვენ **იგინი**)
III	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ეს (მას **იგინი**)	და-ხ-ე-მალ-**ნ-ეს** (მათ **იგინი**)

$S_2{}^pO_1{}^d$	და-მ-ე-მალ-**ნ**-ე-**თ** (**თქუენ** მე)
$S_2{}^pO_1{}^{dp}$	და-გუ-ე-მალ-**ნ**-ე-**თ** (**თქუენ** ჩუენ)
$S_2{}^pO_3{}^d$	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ე-**თ** (**თქუენ** მას)
$S_2{}^pO_3{}^{dp}$	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ე-**თ** (**თქუენ** მათ)

{-თ} სუფიქსი ძველ ქართულში სიმრავლის ნიშნად მხოლოდ სუბიექტურ პირს მოუდიოდა. III სერის ერთი ფორმის ფარგლებში {-ენ} და {-თ} ერთი და იმავე აქტანტის სიმრავლეს გამოხატავდნენ. ეს აქტანტი სუბიექტია.

კავშირებითი მესამე

	$S_3{}^pO^d$	$S_3{}^pO^{dp}$
I	და-მ-ე-მალ-**ნ**-ე-**ნ** (მე **იგინი**)	და-გუ-ე-მალ-**ნ**-ე-**ნ** (ჩუენ **იგინი**)
II	და-გ-ე-მალ-**ნ**-ე-**ნ** (შენ **იგინი**)	და-გ-ე-მალ-**ნ**-ე-**ნ** (თქვენ **იგინი**)
IIII	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ე-**ნ** (მას **იგინი**)	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ე-**ნ** (მათ **იგინი**)

$S_2{}^pO_1{}^d$	და-მ-ე-მალ-**ნ**-ე-**თ** (მე **თქუენ**)
$S_2{}^pO_1{}^{dp}$	და-გუ-ე-მალ-**ნ**-ე-**თ** (ჩუენ **თქუენ**)
$S_2{}^pO_3{}^d$	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ე-**თ** (მას **თქუენ**)
$S_2{}^pO_3{}^{dp}$	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ე-**თ** (მათ **თქუენ**)

ხოლმეობითი მესამე

	$S_3{}^pO^d$	$S_3{}^pO^{dp}$
I	და-მ-ე-მალ-**ნ**-ი-**ან** (მე **იგინი**)	და-გუ-ე-მალ-**ნ**-ი-**ან** (ჩუენ **იგინი**)
II	და-გ-ე-მალ-**ნ**-ი-**ან** (შენ **იგინი**)	და-გ-ე-მალ-**ნ**-ი-**ან** (თქვენ **იგინი**)
III	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ი-**ან** (მას **იგინი**)	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ი-**ან** (მათ **იგინი**)

$S_2{}^pO_1{}^d$	და-მ-ე-მალ-**ნ**-ი-**თ** (მე **თქუენ**)
$S_2{}^pO_1{}^{dp}$	და-გუ-ე-მალ-**ნ**-ი-**თ** (ჩუენ **თქუენ**)
$S_2{}^pO_3{}^d$	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ი-**თ** (მას **თქუენ**)
$S_2{}^pO_3{}^{dp}$	და-ხ-ე-მალ-**ნ**-ი-**თ** (მათ **თქუენ**)

III სერიაში რთული დროული მიმართებებია: აქ ერთიმეორეს ხვდებიან ან წარსული და აწმყო დრო (თურმეობითი პირველი), ან განსხვავებული წარსული ორი დრო. ორსავე მიმართებაში ქმედება ჩადენილია წინმსწრებ დროში, რაც საცნაური ხდება ამ ქმედების შედეგით, ანუ **პირდაპირი ობიექტით**, იმით, რაც ქმედების შედეგად წარმოიქმნება (აღმოშჩნებიეს სახლი, აღგიშჩნებიეს სახლი...). სწორედ ეს აძლევს ძველ ქართულსა და თანამედროვე ქართულშიც ინიციატორის ფუნქციას I და II სერიების პირდაპირ ობიექტს III სერიის პერფექტულ ფორმებში და რიცხვიც, ბუნებრივია, ეწარმოება როგორც სუბიექტს (აღმოშჩნები-**ან** სახლნი, აღგიშჩნები-**ან** სახლ**ნ**ი; აღმეშჩნ-**ნ-ეს** სახლ**ნ**ი და სხვ.).

ძველ ქართულში სიმრავლის საკუთარი ნიშანი (პირთან საზიაროდ) მხოლოდ O_1^{dp}-ს უჩნდებოდა სველა მწკრივში; რაც შეეხება O_2^{dp}-სა და O_3^{dp}-ს, I და III სერიათა მწკრივებში მათ სიმრავლე არ გამოეხატებოდათ: **გუ**-ხედავ (**ჩუენ** შენ), მაგრამ გ-ხედავს (თქუენ ის), გხედავ (თქუენ მე); შდრ. გ-ხედავს (შენ ის) და გ-ხედავ (შენ მე), მაგრამ ფაქტია ისაც, რომ „გხედავ მე თქუენ“ წინადადებაში „გხედავ“ დაკავშირებულია მრავლობითი რიცხვის მქონე ობიექტთან (გხედავ თქუენ-კაცთა). როგორც ფორმათა ისტორია გვიჩვენებს, გხედავ თქუენ უძველესი სინტაქსური წყვილია, რასაც გვაფიქრებინებს ძველ ქართულის „მხედავ ჩუენ“ წყვილი. მაშასადამე, თავდაპირველად სავარაუდებელია: (შენ) მხედავ (ჩუენ), (იგი) მხედავს (ჩუენ). ეს ფორმები დადასტურებულიც არის, მათ ძველ ქართულში დაშვება არა სყირდებათ. შესაბამისად თქმულისა, უღლების პარადიგმა ასე იმართებოდა:

იგი მხედავს **ჩუენ**
იგი გხედავს **თქუენ**
იგი ხედავს **მათ**

ამ პარადიგმამ ძველ ქართულში გარდაქმნა დაიწყო მხოლოდ I პირში: მ-ხედავს ჩუენ წყვილს გაუჩნდა პარალელური **გუ**-ხედავს ჩუენ. გუხედავს არასოდეს მიემართებოდა მხოლ. რიცხვის **მე** ნაცვალსახელს (არ არსებობდა „იგი გუხედავს **მე**“).

აქტივთა II სერიის ფორმებში პირდაპირი ობიექტის სიმრავლის მარკირება, თუ პირველი სერის ფორმებს გავითვალისწინებთ, მეორეული მოვალენა ჩანს: ჯერ უნდა ყოფილიყო პირდაპირი ობიექტის ცალმხრივი მარკირება შემასმენლისა და პირდაპირი დამატების წყვილში: */დავხატე სახლ**ნ**ი/, */დახატა სახლნი/... ანუ სიმრავლის ნიშანს წინადადებაში მხოლოდ პირდაპირი დამატება ატარებდა, როგორც ეს არის -**ებ** სუფიქსიან დამატებებთან: /დახატა სახლები/. შემდგომ პერიოდში, რომელსაც ძველი ქართული ასახავს, პირდაპირი ობიექტის სიმრავლის მარკირება შემასმენელშიც ხდება, როცა ეს ობიექტი -**ნ** სუფიქსიან მრავლობითში დგას. ამისთვის ენამ გამოიყენა სუბიექტის სიმრავლის -**ენ** სფიქსი (ხატვ-**ენ**, წერ-**ენ**...) (ჩიქობავა 2010: 33).

/

მრავლობითის -**ებ** საერთო ზანურ-ქართულ დონეზე რეკონსტრუირდება, როგორც ამავე მნიშვნელობის -**ნ** სუფიქსი.

მეგრული /თიქ დო-მ-ხანტ-ეს ჩქი/ „მან დამხატნა ჩუენ“ წინადადებაში **მ**- გამოხატავს პირდაპირ ობიექტის პირს; სუბიექტის სიმრავლის -**ეს** სუფიქსი ამ წინადადებაში პირდაპირი ობიექტის მხოლოდ მრავლობით რიცხვს გამოხატავს (სუბიექტის ნიშნად -**ეს** პირსაც გამოხატავს და ამ პირის მრ. რიცხვსაც). მოდელური თვალსაზრისით ძველი ქართულის /მან დამხატნა ჩუენ/ და მეგრული /თიქ დომხანტეს ჩქი/ ერთნაირი აგებულებისაა: ორივეგან **მ**- პირდაპირ ობიექტს გამოხატავს, მის სიმრავლეს კი, მეგრულში სუბიექტის -**ეს** სუფიქსი, რეინტერპრეტირებული რიცხვის ნიშნად, გამოხატავს და -**ნ** სუფიქსი ქართულში, ე. ი. ობიექტი პირისა და მრავლობითი რიცხვის გამოხატვაში სუბიექტის მსგავს მოდელზე გადავიდა: **პირი და მრ. რიცხვი განსხვავებული აფიქსებით გამოიხატა** [შდრ. /თქუენ და-**ს**-წერე-**თ** წერილი/ და /მე შთა-**გ**-წერ-**ენ** თქუენ წერილსა შინა/: **ს**- პრეფიქსი და -**თ** სუფიქსი სუბიექტურ მეორე პირსა და მრ. რიცხვს გამოხატავენ (S_2^p), **გ**- პრეფიქსი და -**ენ** სუფიქსი კი — ობიექტურ მეორე პირსა და მის მრ. რიცხვს (O_2^{dp})].

რაც შეეხება სახელთა მრავლობითის განსხვავებულ მაწარმოებელთა ასახვას ზმნის ფორმებში, ანუ **ფორმალურად განსხვავებულ სინტაქსურ კავშირებს**, ეს სხვა პრობლემის ნაწილია, რასაც კავშირი არა აქვს მრავლობითის -**ნ**/-**თ** სუფიქსთა და -**ებ** სუფიქსის, როგორც მრავლობითი რიცხვის ნიშანთა, მნიშვნელობასთან, ანუ /კაცები ხატავს/ და /კაცნი ხატვენ/ შესიტყვებებში „კაცები“ და „კაცნი“ სუბიექტის სიმრავლის იდენტურ გაგებას ატარებენ, ისევე როგორც ობიექტები /კაცები დახატა/ და /კაცნი დახატნა/ შესიტყვებებში, მიუხედავად მათთან დაკავშირებულ ზმნათა განსხვავებული ფორმებისა.

ძველი ქართული ვითარების სრული აღწერისთვის საყიროა ესეც: $S_1O_2^d$ და $S_2O_1^d$ კომბინაციებში სუბიექტის პირი ნულოვანი ალომორფებით წარმოდგება: გ-ხედავ მე (S_1) შენ (O_2^d), მ-ხედავ შენ (S_2) მე (O_1^d). ამ კომბინაციებში სუბიექტურ პირთა სიმრავლე უთუოდ -**თ** სუფიქსით უნდა აღნიშნულიყო: გ-ხედავ-**თ ჩუენ** (S_1^p) შენ და მ-ხედავ-**თ თქუენ** (S_2^p) მე. მხოლოდ $S_2^pO_1^{dp}$ კომბინაციის შემთხვევაში იყო შესაძლებელი ორივე პირის სიმრავლის გამოხატვა: გუ-ხედავ-თ [თქუენ (S_2^p) ჩუენ (O_1^{dp})], რომელსაც წინ უძღოლა და რომლის წარმოქმნამდეც ერთადერთი იყო ფორმა მ-ხედავ-თ [თქუენ (S_2^p) ჩუენ (O_1^{dp}).

იმ სისტემისთვის, რომელიც ძველ ქართულს უძღოდა წინ, სავარაუდებელია ისეთი პარადიგმები, რომლებშიც პირთა სიმრავლე აქტანტების რეალური ფორმით გადმოიცემოდა, ზმნის ფორმა კი მხოლობითი და მრავლობითი რიცხვებისთვის საზიარო

იყო, კერძოდ I სერიაში: მხედავს მე (O_1^d)/ ჩუენ (O_1^{dp}), გხედავს შენ (O_2^d)/ თქუენ (O_2^{dp}), ხედავს მას (O_3^d)/ მათ (O_3^{dp}); მხედავ მე (O_1^d)/ ჩუენ (O_1^{dp}), გხედავ შენ (O_2^d)/ თქუენ (O_2^{dp}); ვხედავ მას (O_3^d)/ მათ (O_3^{dp}), ხხედავ მას (O_3^d)/ მათ (O_3^{dp}). აქ წარმოდგენილი ფორმებიდან ყველა რეალურია ძველ ქართულში, მაშასადამე მათ არც წინა პერიოდისთვის სყირდება რეკონსტრუქცია — ისინი იმ დროსაც ივარაუდებიან.

ძველ ქართულში მხოლოდ O_1^{dp}-ს გაუჩნდა სიმრავლის ნიშანი პირთან შერწყმით. ზემოთ წარმოდგენილი O_1^{dp}-ის შემცველი ფორმების პარალელურად ჩნდება გუ- პრეფიქსიანი ფორმები. **გუ**- პირველ პირთან ერთად ამ პირის სიმრავლესაც გამოხატავდა, ესენი ახალი ფორმებია: **გუ**-ხედავს იგი **ჩუენ** ($S_3O_1^{dp}$), **გუ**-ხედავ შენ **ჩვენ** ($S_2O_1^{dp}$)...

თუ I სერიის ფორმათა მიხედაივ ვიმსჯელებთ, II სერიაში ძველ ქართულამდე, სავარაუდებელია: მ-იხილა მე/ჩუენ, გიხილა შენ/თქუენ იხილა იგი / იგინი (შდრ. /**ვ**-წერ-**თ** ჩუენ წერილს/, /**ვ**-წერე-**თ** ჩუენ წერილი/ — სუბიექტის პირი და მრ. რიცხვი ცალ-ცალკე ერთნაირად იყო გაფორმებული I და II სერიებში).

ობიექტურ პირთა ზემოთ წარმოდგენილ პარადიგმაში რეკონსტრუირებულია ის ზმნური ფორმები, რომლებშიც პირდაპირი ობიექტი წარმოდგენილი იყო -ნ სუფიქსიან მრავლობით რიცხვში, ესენია: (მან) *მიხილა ჩუენ, (მან) *გიხილა თქუენ და (მან) *იხილა იგინი. მათ ადგილზე ძველ ქართულში გაჩნდა (მან) მიხილ-**ნ**-ა (ჩუენ), (მან) გიხილ-**ნ**-ა (თქუენ), (მან) იხილ-**ნ**-ა **იგინი**. ამათ დაემატება $S_1O_2^{dp}$ და $S_2O_1^{dp}$ კომბინაციები: გიხილ-**ენ** (მე) **თქუენ**, მიხილ-**ენ** (შენ) **ჩუენ** (|| გუ-იხილ-ენ).

ინოვაცია განხორციელდა ძველ ქართულში: სუბიექტის -**ენ** სუფიქსმა, რომელიც ამ აქტანტის პირსა და მრ. რიცხვს გამოხატავდა, ობიექტური პირის ნიშნის გვერდით მხოლოდ ამ პირის სიმრავლე გამოხატა (შდრ. მეგრულის -**ეს** სუფიქსი და ობიექტური წყობის ზმნებში).

ზემოთ წარმოდგენილ ვარაუდს ძველი ქართულის ინოვაციური ცვლილების შესახებ II სერიაში — პირდაპირი ობიექტის მარკირებას ზმნის ფორმაშიც მხარს უყერს დასავლურ დიალექტებში ჩვენ თვალწინ (ანუ ხილულ პერიოდში) ამავე მოდელით პირდაპირი ობიექტის სიმრავლის გამოხატვა გარდამავალ ზმნათა ფორმებში, როგორიცაა: „რა დაგაწვენ**ენ** ახლა“ (თქვენ), „რამ გადაგრი**ენ**, ბაღნებო“... (ჯორბენაძე, 1989, 529); აქვეა იმერული დიალექტის მასალა: გიტაცებ**ენ** ის თქვენ (გვ. 475) და გაგიტაც**ენ** (მან თქვენ) (გვ. 476)...

როგორც ითქვა, O_1^{dp}-ის მარკირება ზმნათა ფორმებში უკვე ძველ ქართულში განხორციელდა და **შემდგომ პერიოდში** — საშუალ და ახალ ქართულში მარკირების პროცესი გაგრძელდა პარადიგმის მთელ სივრცეზე: ენის მორფოლოგიურმა სისტემამ განაგრძო პირდაპირი ობიექტის სიმრავლის მარკირება სუბიექტის -**თ** სუფიქსით პარადიგმის სხვა

/

წევრებში — II და III პირებში განურჩევლად სერიისა: /ჩვენ გვხატავს, თქვენ გხატავს**თ**, მათ ხატავს**თ**/. საშუალ ქართულში იყო ტენდენცია, **გუ**- პრეფიქსი მხოლოდ პირის ნიშნად მიჩნეულიყო, ამ პირის სიმრავლე კი ახლად ნასესხები **-თ** სუფიქსით გამოეხატათ, მსგავსად II და III პირებისა (სულხან-საბა ორბელიანი: გჯუურადა**თ**, შეგჯუუარებია**თ** — უთურგაიძე 1999: 99). მსგავსი ფორმები დასტურდება აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს ამ დროის სიგელ-გუჯრებში (სურმავა 1989: 141).

ახალ ქართულში მორფონოლოგიური ცვლილებით სუბიექტის მესამე პირის ნიშანი ნულოვანი ალომორფით გამოიხატება II და III პირებში: **-სთ** კომპლექსი პაუზის წინ არაბუნებრივია ქართული ენისთვის (გხატავსთ > გხატავ, ხატავსთ > ხატავთ). III პირის მრავლობითი რიცხვის აღნიშნული ფორმები ნელ-ნელა იკაფავენ გზას სალიტერატურო ენაში (კიკნაძე 1983: 83; 1987-8: 36).

თუ ძველ ქართულში პირდაპირი ობიექტის სიმრავლე მარკირებული იყო II და III სერიების განსაზღვრულ მწკრივებში (იხ. ზემოთ), საშუალ ქართულიდან მოყოლებული მისი მარკირება ხდება ნებისმიერ მწკრივში.

სუბიექტი, პირდაპირი და ირიბი ობიექტები ახლა უკვე ერთი ნიშნით არიან მარკირებული მრავლობით რიცხვში — ისტორიულად სუბიექტის სიმრავლის გამომხატველი **-თ** ნიშნით, რაც ხშირად იწვევს პირმიმართ აქტანტთა ნულოვან ალომორფებს, მაგალითად: (ჩვენ თქვენ — $S_1{}^pO_2{}^{dp}$) გხატავთ < *გხატავ-თ-თ; შდრ. (მე **თქვენ** $S_1O_2{}^{dp}$) გხატავ**თ** და (**ჩვენ** შენ — $S_1{}^pO_2{}^d$) გხატავ**თ**; (**ჩვენ თქვენ** მას — $S_1{}^pO_2{}^{indp}O_3{}^d$) გიხატავთ < *გიხატავ-თ-თ. აქაც, თუ $S_1{}^p$-ს ან $O_2{}^{indp}$-ს გადავიყვანთ მხოლობით რიცხვში, საქმე გვექნება გიხატავთ კანონიკურ ფორმასთან, რომელსაც შეუძლია განსხვავებულ კონტექსტებში გამოხატოს სუბიექტის ან ირიბი ობეიქტის მრავლობითი რიცხვი ობიექტთათვის ახალი **-თ** სუფიქსით.

ზემოთ წარმოდგენილი ვითარება საშუალებას იძლევა განყენებული სისტემის {-თ} სუფიქსს მეტყველებაში მივცეთ /-თ/~/-Ø/ ალომორფები: ნულოვანი ალომორფი ექნება ერთ-ერთ ობიექტს მრავლობით რიცხვში, როცა სუბიექტიც მრავლობით რიცხვში დგას.

ბუნებრივია დაისვას კითხვა: რას უკავშირდება აქტანტის სიმრავლის მარკირება შემასმენელში?

უპირველეს ყოვლისა, მსგავსად **-ებ** სუფიქსიანი აქტანტისა, ზმნაში სიმრავლე არ გამოეხატებოდათ **-თ** სუფიქსიანებს, თუ ისინი ობიექტებს (პირდაპირსა და ირიბს) გამოხატავდნენ: ხატავს კაცებს, ხატავს კაცთა. ზმნათა II და III პირთა ფორმებში ეს მკაცრად არის გატარებული ძველ ქართულში.

რაც შეეხება I პირს, აქ ანალოგიური ვითარებაც იყო, ერთი მხრით, (კაცებს მხატავს „კაცებს გვხატავს“, კაცთა მხატავს „კაცებს გვხატავს“) და, მეო-

რე მხრით, ამის გვერდით მრავლობითის ინოვაციური ფორმაც გაჩნდა (კაცებს **გუ**ხატავს, კაცთა **გუ**ხატავს). **გუ**- პრეფიქსიანი ფორმები ინოვაციურია, რადგან „მხატავს კაცებს“ და „მხატავს კაცთა“ სინტაქსური მიმართება მთელ პარადიგმას გასდევს, გუ-ხატავს კაცებს და გუ-ხატავს კაცთა მიმართება კი მხოლოდ I პირშია.

ზემოთ აღნიშნული სინტაქსური წყვილები, რომლებშიც სიმრავლის გაგება შემასმენელში აქტანტთა მრავლობითი რიცხვის ფორმებს შეაქვთ, შინაგანი რეკონსტრუქციით გვავარაუდებინებს, რომ ძველ ქართულზე უფრო ადრეულ საფეხურზე აქტანტთა -**ებ** და -**თ** სუფიქსებიან ფორმებთან შემასმენელს მრავლობითი რიცხვის გაგება ამ აქტანტებისგან (ობიექტებისგან) ეძლეოდა.

II სერიაში პირმიმართ აქტანტთა -**თ** და -**ნ** სუფიქსიანი ფორმები, შემასმენელში ნიშანს აჩენენ: კაც-**თა** დახატ**ეს** და კაცნი დახატ**ნ**ეს. სუბიექტის სიმრავლე ზმნაში -**ეს** სუფიქსით, ხოლო ობიექტისა -**ნ** სუფიქსით არის გამოხატული (შდრ. კაცმან დახატა და კაცი დახატა)

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირმიმართ აქტანტთა სიმრავლის გამომხატველი ზმნური აფიქსები წარმომავლობით სახელთა მრავლობითი რიცხვის მარკერებთანაა დაკავშირებული (იხ. ზემოთ), ზმნათა ფორმებში ისინი უთუოდ გვიან გაჩნდა, ანუ ქრონოლოგიურად წარმოადგენენ მეორე საფეხურს, რომელსაც წინ უძღოდა შინაგანი რეკონსტრუქციით ნავარაუდები სინტაქსური. ურთიერთობა, როდესაც შემასმენლისა და პირმიმართი აქტანტის წყვილში სიმრავლის ნიშანს მხოლოდ პირმიმართი აქტანტი (სახელი) ატარებდა.

ძველი ქართულის ჩვენების მიხედვი ჩანს, რომ -თ სუფიქსიანი აქტანტებიდან ჯერ სუბიექტის (ქვემდებარის) მარკირება დაწყებულა ზმნათა ფორმებში (კაც**თა** ხატ-**ეს**, კაც-**თა** ხატო**ნ**...). ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობაში ეს უკვე გაფორმებულია ძველ ქართულში; პირდაპირი ობიექტის სიმრავლის მარკირება კი -**ნ** სუფიქსით მოხდა. ესეც, ცნობილია, სახელური ფორმიდან გადმოსულია ზმნათა II სერიის ფორმებში. მაშასადამე, II სერიაში ზმნა-შემასმენლებს ძველ ქართულში შეეძლოთ როგორც სუბიექტის, ისე პირდაპირი ობიექტის მარკირება, ირიბი ობიექტი კი ძველი საფეხურის კვალად ისევ მრავლობითის საკუთარი ფორმით აძლევდა ზმნა-შემასმენელს სიმრავლის გაგებას (მეტყჳს **ჩუენ**, გეტყჳს თქუენ, ხეტყჳს **მათ**). უძველესი ვითარება II და III პირებში ახალ ქართულამდე შემოინახა ენამ (გეტყვის თქვენ, ეტყვის მათ).

ბუნებრივად იბადება კითხვა: როცა შესაძლებელი გახდა -**თ** ან -**ნ** სუფიქსიან აქტანტთა მარკირება შემასმენლის ფორმაში, იგივე რატომ ვერ მოხერხდა -**ებ** სუფიქსიან აქტანტებთან?

ამ განსხვავების ახსნის მცდელობა უკვე იყო: სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლობითობის -**ენ** სუფიქსი დაუკავშირეს ნივთის კლასის სახელთა სიმ-

/

რავლეს. ნივთის კლასებთან, არნ. ჩიქობავას ვარაუდით, მრავლობითობის ყველა ნიშანია დაკავშირებული, ეს იქნება სახელთა მრავლობითი რიცხვის ნიშნები: **-ნ, -თ, -ებ** თუ პირის ნიშნები მრავლობით რიცხვში: **-ენ, -ან, -ნ**. მისი აზრით, რიცხვი სახელისა და ზმნისთვის საზიარო კატეგორიაა და ბუნებრივია, რომ „ამ საზიარო კატეგორიისთვის საზიარო ფორმანტებიც გვაქვს“ (ჩიქობავა 1954: 68). საყურადღებოა ამ მხრივ მისი თვალსაზრისი **-ენ** სუფიქსზე: „**-ენ** ფორმანტს ძველს ქართულში შეეძლო აღენიშნა MOის მრავლობითობაც MSისაც. ეს არის ნაშთი იმ მდგომარეობისა, როდესაც MSისა და MOის ფორმანტები არ განირჩეოდნენ. ერთისა და იმავე ფორმანტით შეიძლებოდა აღნიშნულიყო როგორც ერთი, ისე მეორე“ (ჩიქობავა 2010: 33). მან ქართველურ ენათა მასშტაბით რიცხვის საზიარო ნიშნებად მიიჩნია ქართ. **-თ, -ნ/-ან, -ედ**; ზან. **-თ**; **-ან** და სვან. **-დ**. თავისებურად გამოაცხადა ქართულში **-ეს**, ხოლო სვანურში **-ხ** სუფიქსები მრავლობით რიცხვში.

არნ. ჩიქობავა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ამ საზიარო ფორმანტების მქონებლობა არა ერთხელ ყოფილა სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული“ (ჩიქობავა 1954: 68$_1$). ამ მხრივ აქ ნ. მარის თვალსაზრისს შევეხებით. ძველი ქართული ენის მიხედვით მან გამოყო **-ჲ↗-ბ**, **-ნ**, **-ს**, **-თ** ნიშნები მრავლობით რიცხვში და აღნიშნა, რომ ზოგი მათგანი საზიაროა სახელების, ნაცვალსახელებისა ("Общие именам и местоимениям") და ზმნებისათვის. კერძოდ, საზიაროა **-ნ** და **-თ**; **-ბ** მხოლოდ სახელებს აქვთ, **-ს** კი — მხოლოდ ზმნებს. სქემატურად ეს ასეა წარმოდგენილი:

"имена	мест.	глаголы
კაც-ნ-ი	იგ-ინ-ი	იტყჳ-ან
люди	они	они говорят
კაც-თა > კაც-თ	იმ-ათ	იტყჳ-თ
людей, людюям и др.	их, им и др.	вы говорите
კაც-ებ-ი	————————	————————
люди	————————	————————
————————	————————	შევიდ-ეს
————————	————————	они вошли" (მარი 1925: 34)

ამ სქემაში **-ბ**-ს სახელებში აქვს **-ებ** სუფიქსის ფორმა (კაც-**ებ**-ი), რომლის ამოსავლად მიჩნეულია დერივაციული **-ჲე**, რომელიც დასტურდება რაოდენობით რიცხვით სახელებში (ორ-**ჲე**-ოც, სამ-**ჲე**-ოც...) და წარმოდგენილია გარდაქმნის **-ებ** (↖-ემ) ფორმულით. ნ. მარს არ მიუთითებია **ჲე** > **ემ** (me > em) პროცესის შესახებ.

უღლების ფორმათა -**ეს** (შევიდ-**ეს**) ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია ძველი ქართულის სახელთა „კრებით“ -**ეთ** სუფიქსთან: **ეთ** > **ეც** > **ეს** — თანხმოვანი ელემენტსი აწევისა (подъем) და დესიბილაციური გარდაქმნის (ც > თ) გზით (მარი 1925: 35).

აქ არ გავარჩევთ ეტიმოლოგიურ ძიებათა გზებს. არსებითი ის არის, რომ მრავლობითი რიცხვის ნიშნები სახელთა და ზმნათათვის საზიარო წარმომავლობისად მიიჩნევა. ამ თვალსაზრისს სახელთა და ზმნათა ფორმებში ძველი ქართულის შემდგომი დროის ცვლილებებიც ადასტურებს.

თუ ეტიმოლოგიებს გამოვრიცხავთ და დავემყარებით მხოლოდ ძველი ქართულის ტექსტთა ჩვენებას, -**ებ**, ისევე როგორც -**თ** და -**ნ** სუფიქსები, არ არჩევდა რაიმე სახის სახელთა ჯგუფს სხვა ჯგუფთა სახელებისგან (დონდუა 1967: 158).

მიზეზი -**ებ** და, მეორე მხრით, -**თ** სუფიქსიან აქტანტთა მსაზღვრელთან და შემასმენელთან განსხვავებული ფორმალური ურთიერთობისა ძველ ქართულში უთუოდ -**ებ** სუფიქსისა და -**თა** სუფიქსის განსხვავებული ფუნქციონირებაა: -**ებ** მხოლოდ სიმრავლეს გამოხატავდა, -**თა** კი — სიმრავლესაც და ბრუნვასაც.

აქტანტის ფორმაში -**ებ** სუფიქსს მოსდევდა ბრუნვის ნიშანი, რომელიც აქ აქტანტის კავშირს ამყარებდა მსაზღვრელ წევრთანაც და შემასმენელთანაც: -**ებ** სუფიქსიანი პირმიმართი აქტანტი ბრუნვის ნიშნებით **ითანხმებდა** მსაზღვრელ წევრს ბრუნვაში და **მართავდა** შემასმენელს პირში; რიცხვის გაგება როგორც მსაზღვრელის, ისე შემასმენლის ფორმაში შეჰქონდა თვით აქტანტს თავისი მრავლობითობის გაგებით.

განვიხილოთ ცალ-ცალკე

„რომელსა ერქუა ტბები კეთილი“ (საქმე მოციქულთა 27, 8) — შეთანხმება საზღვრულსა და მსაზღვრელს შორის ხდება -**ი** სუფიქსით, -**ებ** მხოლოდ საზღვრულის (ტბები) სიმრავლეზე მიგვითითებს, **მსაზGვრელს** („კეთილი“) **სიმრავლის ნიშანი არც სჭირდება**, რადგან ყველა მსაზღვრელი არადისკრეტული ბუნებისაა. რა სინტაქსური მიმართებაც სახელობით ბრუნვაში („ტბები კეთილ**ი**) გვაქვს, იგივე რჩება მთელს პარადიგმაში (ტბებ-**მან** კეთილ-**მან**, ტბებ**სა** კეთილ**სა**...) ძველ ქართულში შეთანხმება ბრუნვებში ყველგან მატერიალურადაც ხორციელდებოდა, მიუხედავად მსაზღვრელის პოზიციისა და მისი ფუძის დაბოლოებისა.

უთუოდ სავარაუდებელია, რომ „ტბები“ ფორმაში ნავარაუდები ყველა ტბა არის „კეთილი“ — ეს სიმრავლის თავისებური გაგებაა არადისკრეტულ მსაზღვრელში.

რაც შეეხება შემასმენელთან ურთიერთობას, -**ებ** სუფიქსიან აქტანტთა სიმრავლის მარკირება არც შემასმენელში ხდებოდა: „ქალაქები იგი სო-

/

დომელთა“ და გომორელთა“ დაწუა“ (2 პეტ. 2, 6). შემასმენელში („დაწუა“) პირდაპირი ობიექტის სიმრავლე არ არის მარკირებული, მაგრამ, რა თქმა უნდა ივარაუდება, რომ „დაწუა“ ყველა ქალაქი, რომელიც „ქალაქები“ ფორმით ივარაუდება. აქაც ივარაუდება, რომ ზმნა-შემასმენლის ფორმაში სიმრავლის გაგება თვით აქტანტის ფორმით („ქალაქები“) ხდება (შდრ. ქალაქი დაწუა, სადაც მხოლოდ ერთ ქალაქზეა ლაპარაკი). არც **-ებ** სუფიქსიანი ქვემდებარე ითხოვდა შემასმენლის ფორმაში თავისი სიმრავლის მარკირებას: „რაბამი ქვები არს...“ (მრ. 13, 1); შდრ. „რაბამნი ქვანი არიან...“ (მრ. 13, 1C).

რაც შეეხება **-თ**, **-ნ** სუფიქსთა მიერ სიმრავლის გამოხატვას, ამ თვალსაზრისით **-ებ** სუფიქსისაგან არაფრით განსხვავდებიან ისინი: კაც-ებ-ი, კაც-თა, კაც-ნ-ი ერთნაირად გამოხატავენ **კაცი** სახელის სიმრავლეს ბრუნვათა ფორმებში: მათი განსხვავება ვლინდება სინტაქსურ წყვილთა (მსაზღვრელი და საზღვრული; პირმართი აქტანტი და ზმნა-შემასმენელი) გაფორმებაში: თუ გვქონდა „ტბები კეთილი“, „ტბებმან კეთილმან“... ეს მიმართება **-თ** და **-ნ** სუფიქსიან აქტანტთა სინტაქსურ წყვილებში მიუღებელი იყო: ერთ მხრით გვქონდა „ტბათა კეთილთა“ ხუთ ბრუნვაში (მოთხრობითში, მიცემითს, ნათესაობითს, მოქმედებითსა და ვითარებითში), მეორე მხრით, სახელობით ბრუნვაში იყო ტბა-ნ-ი კეთილ-ნ-ი. მართალია, **-ნ** მხოლოდ სიმრავლეს გამოხატავდა, მსგავსად **-ებ** სსუფიქსისა, მაგრამ **-ნ** სუფიქსიანი სახელის ფორმა **-თა** სუფიქსიანი პარადიგმის წევრი იყო და, ბუნებრივია, იქცეოდა ისე, როგორც **-თა** სუფიქსიანი სახელები იქცეოდნენ პარადიგმის ხუთ ბრუნვაში — მსაზღვრელიც იღებდა საზღვრული სახელის დაბოლოებას:

სახ.	ტბა-ნ-ი	კეთილ-ნ-ი
მოთხ.	ტბა-თა	კეთილ-თა
მიც.	ტბა-თა	კეთილ-თა და ა. შ.

რატომ გახდა აუცილებელი სრული ფორმალური შეთანხმება **-თა** სუფიქსიან საზღვრულსა და მის მსაზღვრელს შორის? — იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც მხოლობით რიცხვში ხდება შეთანხმება საზღვრულსა და მსაზღვრელს შორის, ოღონდ აქ რიცხვში შეთანხმება ფორმალურია, რადგან ცალ-ცალკე არ იყო წარმოდგენილი რიცხვისა და ბრუნვის ნიშნები. ამიტომ ბრუნვასთან ერთად რიცხვიც გამოიხატა შეთანხმებაში, თუმცა მსაზღვრელს იგი არა სჭირდებოდა.

შეთანხმების წყალობით მსაზღვრელი კონკრეტულ საზღვრულს მიეჟაყვება და საზღვრულთან ერთად ქმნის ერთ სინტაქსურ წყვილს და სრულიად დისტანცირდება უშუალო მეზობელი სხვა აქტანტისგან.

განვიხილავთ რამდენიმე შემთხვევას.

/ტბათა კეთილთა მზე“ უმზირდა/ — აქ თავისი ფორმით „კეთილთა“ განეკუთვნება „ტბათა“ საზღვრულს და არა მომდევნო „მზე““ სუბიექტს (ქვემ-

დებარეს): მსაზღვრელის განკუთვნება კონკრეტული აქტანტისთვის ბრუნვის ნიშნით ხდება.

წინადადებაში /ტბათა კეთილთა მთათა“ ჩრდილი ეფინების/ კონკრეტულ საზღვრულზე მიუთითებს სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანი მსაზღვრელის ბოლოს (მთათი), რომელიც „ჩრდილ**ი**“ საზღვრულს მიემართება სახელობით ბრუნვაში და არავითარი კავშირი არა აქვს მიცემით ბრუნვაში დასმულ „კეთილთა“ სიტყვასთან, რომელიც ასევე მიცემით ბრუნვაში დასმულ „ტბათა“ აქტანტის მსაზღვრელია. ხოლო ამ წინადადებაში /ტბათა კეთილთა მთათა წყალნი აღავსებენ/ შეუძლებელია მხოლოდ გამოხატულების პლანით მსაზღვრელი („კეთილთა“) მივაკუთვნოთ რომელიმე საზღვრულს („ტბათა“ ან „მთათა“ საზღვრულს). მიზეზი ამ სიტუაციის შექმნისა არის მიცემით („ტბა-**თა**“) და ნათესაობით („მთა**თა**“) ბრუნვათა ნიშნების (-თა) საზიარო გამოხატულების პლანი.

საზიარო გრამატიკული ფორმები ანალოგიურ სიტუაციებს საკმაოდ ხშირად ქმნიან ენაში, რაც მოითხოვს დამატებით ანალიზს კონტექსტის მიხედვით — კონტექსტმა უნდა განსაზღვროს ზემოთ შექმნილ სიტუაციაში რომელი საზღვრულის კუთვნილებაა მათ შორის მოქცეული მსაზღვრელი.

ძველი ქართულის ძეგლთა ჩვენებით, როგორც ვნახეთ, -**ებ** სუფიქსიანი აქტანტების: სუბიექტისა და პირმიმართი ორივე ობიექტის სიმრავლე ზმნაში არ აღინიშნებოდა; ზმნაში სიმრავლე არ გამოეხატებოდათ -**თ** სუფიქსიან პირმიმართ დამატებებსაც. რამდენიმე მაგალითი „ხანმეტი ლექციონარიდან“ (შანიძე, 1929): „თავადი ი˝ჯ მიხეახლა **მათ** [გვ. 333 (20)]; „წინა გიძღჯს **თქუენ** [გვ. 332 (13)]; „ხ˝ მან ხრქუა **მათ**“ [გვ. 331 (12)]; „ხუბრძანა **მათ** [გვ. 330 (7)] და სხვ.

-**ნ** სუფიქსიანი პირდაპირი ობიექტის მარკირება გარდამავალ ზმნათა II სერიის **I პირის ფორმებში**, არნ. ჩიქობავას აზრით, არალოგიკურია ქართული ზმნის რანგობრივი სისტემისთვის, რომელშიც კატეგორიებს არსებითად თითო ნიშანი მიემართება. ეს მიმართება ირღვეოდა სუბიექტური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებში, სადაც რიცხვის კატეგორიის ისტორიულ ნიშანს პირის გამოხატვაც დაჰკისრებია ძველ ქართულში (-ედ, -ენ, -ან, -ნ). ივარაუდება, რომ რიცხვის ნიშანთა რეინტერპრეტაციით მივიღეთ ფელექსური სუფიქსები III პირისა და მრავლობითი რიცხვის გაგებით.

პირდაპირი ობიექტის მრავლობითი რიცხვის მარკირება II და III პირებში ქართული სისტემის შესაბამისია: პირის მორფემა პრეფიქსია, მისი სიმრავლის გამომხატველი მორფემა — სუფიქსი, პირის ნიშანი მხოლობითსა და მრავლობითში ერთი და იგივეა, მარკირებულია მრავლობითი რიცხვი სპეციალური ნიშნით, როგორც ეს ხდება სუბიექტური I და II პირებში. ამ ფონზე სისტემისთვის, მართლაც, მოულოდნელია **გუ**- I პირის ნიშნისა და მისი სიმრავლის

/

ნიშნად და ამავე ფორმაში {-ენ} იმავე აქტანტსი სიმრავლის ნიშნად (და-**გუ**-ხატ-**ენ** შენ **ჩუენ**; და-**გუ**-ხატ-**ნ**-ა მან **ჩუენ**).

შეიძლება დავასკვნათ: შემასმენელსა და პირმიმართ აქტანტებს (ქვემდებარესა და დამატებებს) შორის სინტაქსური ურთიერთობის ძველქართულამდელ ვითარებას გამოხატავდა ძველი ქართულის -ებ სუფიქსიან აქტანტთა ურთიერთობა შემასმენელთან: (1) ზმნა-შემასმენელში პირი აღნიშნებოდა სამივე აქტანტს, რიცხვი კი — არც ერთს, რადგან ეს საყირო არ იყო იმ სისტემისთვის, სადაც პირთა კატეგორიები (სუბიექტი, პირდაპირი და ირიბი ობიექტები) უკვე გაფორმებული იყო სათანადო ნიშნებით, რიცხვის კატეგორია კი მაშინღა იწყებდა ჩამოყალიბებას ამ აქტანტებთან. (2) პირმიმართ აქტანტებსა და ზმნა-შემასმენელს შორის სინტაქსური კავშირები ძველი ქართულის წინა ქრონოლოგიურ ჭრილში ხორციელდებოდა პირისა და ბრუნვის ნიშნებით; აქტანტთა რიცხვი ზმნა-შემასმენელში თვით აქტანტთა ფორმით განისაზღვრებოდა. კატეგორიის ამოსავალი იყო სახელ-აქტანტთა რიცხვის ფორმები, ე. ი. ხდებოდა რიცხვის კატეგორიის ცალმხრივი მარკირება: თუ აქტანტი მხოლობით რიცხვში იდგა, ზმნური ქმედებაც შესაბამისად ერთის ქმედებას გამოხატავდა; თუ აქტანტი მრავლობით რიცხვში იდგა, შესაბამისად ზმნური ქმედებაც მრავალთ მიეწერებოდათ, თუმცა ზმნის ფორმა რიცხვის მიხედვით არ იცვლებოდა. შემდგომ სწორედ ამ სავარაუდებელ მნიშვნელობებს გაუჩნდა სპეციალური მარკერები ზმნაში. ამ ვარაუდს განამტკიცებს ის, რომ -**თა** სუფიქსიანი მარვლობითი რიცხვის დამატებებიც ზმნა-შემასმენელთან ურთიერთობაში ცალმხრივ იყო მარკირებული ძველ ქართულში.

ყველანაირად ჩანს, რომ სუბიექტის პირისა და რიცხვის მარკირება ზმნათა ფორმებში წინ უსწრებდა ობიექტთა მარკირებას ამ კატეგორიათა მიხედვით: (ა) ობიექტთაგან განსხვავებით, -**თა** სუფიქსიან მრავლობითში მდგარი სუბიექტი მარკირებულია პირისა და რიცხვის მიხედვით: /ჩუენ (კაც-**თა**) **ვ**-წერე-**თ**, თქუენ (კაც-**თა**) **ხ**-წერე-**თ**/. III პირის ფორმა მრავლობით რიცხვში პირისა და მრავლობითი რიცხვის ცალ-ცალკე მარკირების პრინციპს არღვევს /**მათ** (კაც-**თა**) წერ-**ეს**/ იმ მიზეზით, რომ აქ მოხდა რიცხვის მარკერის რეინტერპრეტაცია — იგი პირის ნიშანიც გახდა. ივარაუდება, რომ $Ш_3$ საერთოდ პირის ნიშნის გარეშე უპირისპირდებოდა I და II პირებს; (ბ) ობიექტებმა (პირდაპირმა და ირიბმა მიცემით ბრუნვაში) ნიშანი პირდაპირ გადაიღეს სუბიექტური მეორე პირისგან*; (გ) პირდაპირმა ობიექტმა სიმრავლის აღსანიშნად {-ენ} სუფიქსი სუბიექტის მესამე პირისგან გადაიღო; (დ) უფრო გვიან ობიექტმა სიმრავლის -**თ** სუფიქსიც სუბიექტისგან გადაიღეს. ეს ერთი პრინციპით განხორციელებული ცვლილებებია უძველესი დროიდან დღემდე. (ე) პირდაპირი

* რაც იმაზე მიგვითითებს, რომ მათი სახით საქმე გვაქვს განსხვავებულ კატეგორიებთან (უთურგაიძე 2002: 34).

ობიექტის მარკირება ზმნებში ტრანზიტულობის განვითარების შედეგია. შემდეგ, შედარებით გვიან, ირიბმა ობიექტმაც იგივე ნიშნები გაიჩინა, როგორც ახალმა კატეგორიამ.

ძველი ქართული ენის ტექსტები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დაფიქსირდეს რომელიმე აქტანტის უნიშნობა ზმნის ფორმაში — პირთა ნიშნები ყველა აქტანტს გააჩნია. მათი რეკონსტრუირება საერთო-ქართველურ დონეზეც ხერხდება.

თუ ამოვალთ იმ ფაქტიდან, რომ როგორც პირის, ისე მრავლობითი რიცხვის მარკირება ნაცვალსახელური წარმომავლობისაა, რიცხვის ნიშნებთან ამის შესამჩნევი კვალი, როგორც ვნახეთ, ძველ ქართულშიც არის.

საწყის პერიოდში რომ შესაძლებელი იყო ზმნაში აქტანტთა პირი და რიცხვი არ ყოფილიყო მარკირებული, რომ ადგილი უნდა ჰქონოდა ამ კატეგორიათა ცალმხრივ მარკირებას (ზმნა ერთი ფორმით იყო წარმოდგენილი, პირისა და რიცხვის გაგება კი ფორმაცვალებით ნაცვალსახელებს შეჰქონდათ ზმნის უცვლელ ფორმაში), ეს შეიძლება დავინახოთ წოვა-თუშური ენის უკლასნიშნო და კლასნიშნიან ზმნათა ურთიერთობაში ფორმაცვალებად ნაცვალსახელებთან. ამ რიგის ურთიერთობას აღწერს კ. ყრელაშვილი:

„ I პირი ას „მე“
II პირი აჰა „შენ“ ხატი[ნ] „წავიკითხე, წაიკითხე, წაიკითხა;
III პირი ოჯუს „მან“ წავიკითხეთ, წაიკითხეთ,
I პირი ათხ „ჩვენ“ წაიკითხეს“
II პირი ა“შ „თქვენ“
III პირი ოჯარ „მათ“ როგორც ვხედავთ, განაგრძობს ავტორი,

ილუსტრირებულ მაგალითებში ქართულის **ექვს ფორმას** წოვა-თუშურში **მხოლოდ ერთი ფორმა შეესაბამება**“ (ჭრელაშვილი 2002: 164).

კლასნიშნიანი ზმნებიც ანალოგიურად გამოხატავდნენ აქტანტთა პირსა და რიცხვს. აქაც ნაცვალსახელი იყო პირზე და რიცხვზე მიმთითებელი. ნეიტრალურ ფუძეს მხოლოდ კლასნიშანი ახლდა, რომელიც უღლების პარადიგმაში, ბუნებრივია, ყველგან მისდევდა ფუძეს; პირისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიების ცალმხრივად გამოხატვა მხოლოდ პირის ნაცვალსახელებს ევალებოდა, მაგალითად: ას ვაგი[ნ] „მე ვნახე“, აჰა ვაგი[ნ] „შენ ნახე“, ოჯუს ვაგი[ნ] „მან ნახა“ (**ვ**- პრეფიქსი მამაკაცის კლასნიშანია ყველგან). მრავლობით რიცხვში ისევ ნაცვალსახელები ენაცვლებიან ერთმეორეს: **ათხ** ვაგი[ნ] „**ჩვენ** ვნახეთ“, **აჲშ** ვაგი[ნ] „**თქვენ** ნახეთ“ და ა. შ.

როდესაც პიროვანი უღლება დაიწყო, სწორედ ზემოთ მითითებული პირის ნაცვალსახელები მიუერთდნენ ზმნის ნეიტრალურ ფუძეს პირისა და რიცხვის მარკირებისათვის. ავიღოთ იგივე ზმნა: ვაიგნ-**ას** „**ვ**-ნახე“, ვაიგნ-**აჰა** „**ჰ**-ნახე“. მესამე პირი უნიშნობით უპირისპირდება I და II პირებს: ვაგი[ნ]

/

ოჯუს „ნახა **მან**“. სუფიქსებად ის პირის ნაცვალსახელებია გამოყენებული, რომლებიც ადრე დამოუკიდებლად, ცალმხრივ ახდენდნენ მითითებას ზმნურ ქმედებაში ჩართულ აქტანტებზე, ახლა კი მათ შეუძლიათ ერთად განმეორდნენ ზმნასთან (**ას** ვაჲგნ-**ას**) და დამოუკიდებლადაც, ნაცვალსახელის გარეშე, მოახდინოთ ზმნის ფორმაში პირის რომლობისა და რიცხვის მარკირება: ვაჲგნ**ას** „ვნახე“ — სუბიექტი I პირშია და მხოლობით რიცხთში, რაც -**ას** სუფიქსით არის გამოხატული; ვაჲგნათხ „ვნახეთ“ — სუბიექტი პირველ პირშია და მრავლობით რიცხვში და ა. შ.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, უღლების ეს განსხვავებული ტიპები ერთიმეორის გვერდით ფუნქციონირებენ (ჭრელაშვილი 2002: 198).

აქ წარმოვადგინეთ სხვა ენის — წოვა-თუშების მასალა, რათა ფაქტობრივ გვეჩვენებინა წინადადების წევრთა შორის ურთიერთობის დამყარება გრამატიკულ კატეგორიათა ცალმხრივი მარკირებით, რაც დროთა განმავლობაში გადავიდა ორმხრივ მარკირებაზე. ხდება პირიქითაც — ისტორიული ორმხრივი მარკირება. წინადადების წევრებს შორის გადადის ცალმხრივ მარკირებაზე. ენობრივი მონაცემები დროის ღერძზე ორივე სახის ურთიერთობას აფიქსირებენ. მათ თან ახლავს განსაზღვრული პირობები, რომელთა აღწერასაც ვცდილობთ ქართული ენის V-XXI საუკუნეების ძეგლთა მიხედვით.

რაც შეეხება მრავლობითობის O^{dp} {-ენ} და O^{dp} {-თ} სუფიქსთა ღირებულების ცვლილებას, ქართული ენის ქვესისტემებში (სალიტერატურო ენასა და დიალექტებში) განსხვავებულია, თუმცა ცვლილების ზოგადი მიმართულება საერთოა ქართულ ენაში, კერძოდ, საერთოა ის, რომ გაიზარდა O^{dp} {-თ}-ს ღირებულება ზმნურ ფორმებში, შემცირდა სახელთა ფორმებში.

სალიტერატურო ენის ზმნათა ფორმებში {-თ} სუფიქსმა **ყველგან** შეცვალა O^{dp} {-ენ}. O^{dp} {-თ}-ს ღირებულება იმ მხრივაც გაიზარდა, რომ /-თ/ სუფიქსს I სერიის ფორმებშიც იყენებს ენა პირდაპირი ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად, რაც ძელ ქართულსა და საშუალი ქართულის დასაწყის პერიოდებში გამორიცხული იყო. გვიან XV-XVI საუკუნეებიდან საშუალ ქართულშიც ჩნდება ამ ფუნქციის /-თ/ (გხატავსთ, დაგხატავსთ, დაგარტყამსთ, აგაშენებსთ...), რაც ახალი ქართულისთვის ჩვეულებრივი გახდა მორფონოლოგიური ცვლილებით (გხატავთ, დაგხატავთ, დაგარტყამთ, აგაშენებთ...).

რადგან O^{dp} {-თ}-ს ღირებულების ცვლილებაზე ვლაპარაკობთ, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალ ქართულში /-თ/ გამოხატავს ირიბი ობიექტის II და III პირთა სიმრავლესაც, რაც ძველ ქართულში არა ხდებოდა (/გიხატავს**თ** ის **თქვენ** სურათს/, /გიშენებს**თ** ის **თქვენ** სახლს/ და სხვ.).

რაც შეეხება დიალექტურ ქვესისტემებს, აღსანიშნავია აღმოსავლეთი საქართველოს მთის დიალექტებში (ე. წ. არქაულ დიალექტებში) შემონახული როგორც ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი, ისე ახლის ინოვაციური

და შერეული ფორმები, კერძოდ, ძველი ქართულისაა O^{dp} აქტანტის გამოხატველი II სერიის ყველა ფორმა, როგორიცაა: დაგმალენ, დამალნეს, დაგვმალენთ და სხვ. შესაძლებელია II სერიის ყველა მწკრივში, გარდა ბრძანებითის III პირისა[1], გავიმეოროთ ძველი ქართულის პარადიგმები.

ინოვაციურია ფორმები, რომლებშიც O^{dp} {-ენ}-ის გვერდით ახალი ქართულის O^{dp} {-თ}-ც ჩნდება, კერძოდ თუშურსა და ხევსურულში $S_1O_2^{dp}$ და $S_3O_2^{dp}$ ფორმები ობიექტის სიმრავლეს ყარბად გამოხატავენ: /მე დაგმალ**ენთ თქვენ**/ შდრ. ძვ. ქართული /მე დაგმალ**ენ თქუენ**/ და ახალი ქართული /მე დაგმალე**თ თქვენ**/. და-გ-მალ-**ენ-თ** ფორმაში /-ენ/ და /-თ/ — ორივე O_2^{dp}-ის მარკერია, ე. ი. დაწყებულია /-ენ/ სუფიქსის გაუფუნქციოება და სიმრავლის მაწარმოებლად /-თ/-ს გაბატონება. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი ახალი ქართულის დაგმალეთ ტიპის ფორმათა ხმარებისა დაგმალენთ ტიპის ფორმათა პარალელურად ამ დიალექტებში.

დაგმალენთ ტიპის შერეული ფორმაა /დაგლივნათ მან თქვენ/. აქაც /-ნ/ და /-თ/ ერთი და იმავე აქტანტის O_2^{dp} -ის სიმრავლეს გამოხატავენ, პირი კი /გ-/ პრეფიქსით არის გამოხატული.

აქ ყურადღება უთუოდ იმაზეც უნდა გამახვილდეს, რომ /დაგმალენთ/ გამოხატავს როგორც $S_1O_2^{dp}$-ს (/დაგმალენთ მე თქვენ/), ისე $S_1{}^pO_2^{dp}$-ს (/დაგმალენთ ჩვენ თქვენ/). ფორმაში მოსალოდნელი იყო ორი /-თ/ (შდრ. /დაგმალე**თ ჩვენ** შენ/), მაშასადამე, პირთა ფორმულაში O_2^{dp}-ის /-თ/ უნდა გამოიხატოს ნულოვანი ალომორფით, რადგან I პირის სუბიექტს სიმრავლე ყოველთვის გამოეხატებოდა ენაში, მაშასადამე, $S_1{}^pO_2^{dp}$-ის ფორმა გრამატიკულად ასე ჩაიწერება: და-გ-მალ-ენ-თ-∅; $S_3{}^pO_2^{dp}$-ის ფორმა თუშურსა და ხევსურულში იქნება დაგლივნესთ (და-გ-ლივ-ნ-**ეს**-თ **მათ** თქვენ), სადაც $S_3{}^p$-ის /-ეს/ შუაზე ყოფს ერთი და იმავე გრამატიკული მნიშვნელობის /-ნ/ და /-თ/ სუფიქსებს.

[1] ძველი ქართულის ბრძანებითის ფორმები II სერიის ბრძანებითის II პირში კარგად არის დაცული დღემდე და არ ემთხვევა წყვეტილის II პირსი ფორმას გაღბედი „გაბედე“ თხრ. კილოს ფორმაა (წყვეტილი, II პირი), გაბედი „გაბედე!“ — ბრძანებითია. თხრობითი და ბრძანებითი კილოების ფორმების დაპირისპირება ძვ. ქართულის წესით ხდება.

/

ლიტერატურა

დონდუა 1967 — К. Дондуа, О двух суффиксах монжественности в грузинском. — რჩეული შრომები, I, თბილისი.

კიკნაძე 1983 — ი. კიკნაძე, ერთი ენობრივი ტენდენციის შესახებ თანამედროვე ქართულში. — კრებული: საენათმეცნიერო ძიებანი, თბილისი.

კიკნაძე 1987-8 — ი. კიკნაძე, მესამე პირის ობიექტის მრავლობითობის გამოხატვისათვის თანამედროვე ქართულში. — დიალექტებთან მიმართებით; დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი.

მარი 1925 — Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград.

სურმავა 1989 — ნ. სურმავა, ზმნის პირთა რიცხვის აღნიშვნის ისტორიიდან7 — იკე, ტ. XXVIII, ფ.ნლნვნ7

უთურგაიძე 1976 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი.

უთურგაიძე 1999 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბილისი.

უთურგაიძე 2002 — თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბილისი.

შანიძე 1929 — ა. შანიძე, ქართული ხელნაწერები გრაცში, ტუმ, IX, ტფილისი.

ჩიქობავა 1954 — არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში. — იკე, VI, თბილისი.

ჩიქობავა 2010 — არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითობის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში. — შრომები, II, თბილისი.

ჭრელაშვილი 2002 — კ. ჭრელაშვილი, წოვა-თუშური ენა, თბილისი.

ჯორბენაძე 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

TEDO UTURGAIDZE

Towards the Grammatical Value of O^{dp} {en} (/-en/~/-n/) and O^{dp} {-t} (/-t/~/-∅/) Suffixes having Identific Suffixes

S u m m a r y

Using of **-en** and **-t** suffixes as a marker of O^{dp} in Georgian is chronologically different: **-en** is of first period of Old and Middle Georgian, **-t** – is of late period of Middle (about since the 16th c.) and New Georgian. This suffix occurs in II and III series of Old Georgian in the form of **-en -n** allomorphs. In III series the function is changed and it is became as a pleonastic element; e. g.: in II Perfect along with a III person subject and plural **-es** suffix **-n** expresses the plurality of the same person (damcmal-**n-es** mc **igini**).

III series is of resultative series, where pointing to the result of action is essential. That actant which represents a result, gains a status of subject like in static verbs, which are resultatives by nature (e. g.: mičirav-**s** mc **igi**). An analogous situation occurs in passives with conversive **i-**/**e-** prefixes of actives ("**saǯurčleni gasces**, **a i v s n e s l a š k a r n i saboǯvarita**") ("The knight in the panther's skin", 32b, 4). Here an action is shown by an aspect of patience ("**laškarni**"), demonstrator of an action's result and a subject (S_3^p) marker (**-es**) belongs to it. Here **-n** suffix is pleonastic and additionally expresses the plurality of S_3^p.

A suffix **-en** which historically expressed III subject person and its plurality, a language used as a marker of a direct object, as well (Arn. Chikobava). An analogous situation occurs in western dialects of Georgian and Megrelian.

In a verb **-en** moved from the forms of nouns plural (N. Marr, Arn. Chikobava).

The paper expresses an assumption, that on pre-Old Georgian chronological stage in verbs' forms the plurality of marked actant. Relation of the actants with **-eb** suffixes with verbs in old Georgian is considered to be supported. On that chronological stage plurality in verbs' personal forms was expressed by marked actants connected with them by own plural forms, that then on the following stage was finished by marking their plurality in verbs' forms.

An analogous formation of reconstructed old situation is shown in the modern Tsova-Tushian forms.

In modern Georgian an old **-en** (O^d_p) was changed by **-t** suffix, at the same time it expresses the plurality of three marked actants (S, O^d, O_{ind}) that resulted a zero allomorph of **-t**, when a subject and any object is simultaneously in plural: ("**čven dagxaṭe-t-Ø tkven**"); cf.: "**čven dagxaṭe-t šen**" and "**me dagxaṭe-t tkven**"...

In archaic dialects there occurred mixed forms, in which $\mathbf{O^{dp}}$ is marked by old and modern markers. In Tushian and Khevsurian it is characteristic: "me dagxaṭ-**en-t tkven**", "iman dagxaṭ-**n**-a-**t tkven**", "imat dagxaṭ-**n-es**-t **tkven**"; cf.: Old Georgian "me dagxaṭ-**en tkuen**", "man dagxaṭ-**n-**a tkuen" and "mat dagxaṭ-**n**-es tkuen" and New Georgian "me dagxaṭe-**t** tkven"; "man dagxaṭa-**t** tkven", "mat dagxaṭ-**es** tkven"...

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXXIX 2011

როსტომ ფარეულიძე

მარცვლის გახსნასთან დაკავშირებული საკითხები ნახურ ენებში

ნახურ ენებში არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში ფუძეს წარმოადგენს. მაშასადამე, სახელს სახელობითში დაბოლოება (ნიშანი) არა აქვს.

ზოგი არსებითი სახელის ფუძის საკითხი ჩეჩნურში დაკვირვების საგანი თავიდანვე გახდა. ასე, მაგალითად, ნ-ზე დაბოლოებულ სახელებში აღნიშნული ბგერის დასუსტება, რის შედეგადაც წინა ხმოვანი ნაზალური გახდა, შენიშნული აქვს ჩეჩნური ენის პირველ მკვლევარს პ. უსლარს. სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ჩეჩნურში პ. უსლარის მიერ ჩაწერილი მასალიდან, დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ, ზოგ სახელს ნაზალობაც მოშლილი აქვს, დიალექტებში კი — ბოლო პოზიციაში აღმოჩენილი ხმოვანიც ჩავარდნილია. მაშასადამე, სახელთა ერთ ჯგუფს ისტორიულად დაკარგული აქვს მთელი მარცვალი, ფუძე გაცვეთილია.

სახელის ფუძის ბოლოკიდური **ნ**არ-ის დასუსტებისა და მოკვეცის შემთხვევები ჩეჩნურში განსაკუთრებით გამოკვეთილად ჩანს ნასესხებ სიტყვებში, როგორიცაა: საპონ-ი, დუქან-ი, თუმან-ი... შდრ., ჩეჩნური: საბ(ა), თუქ(ა), თუმ(ა)...

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ნახურ ენათაგან სახელის ფუძე, ხშირ შემთხვევაში, წოვა-თუშურ ენაში უფრო ნაკლებად ექვემდებარება ფონეტიკურ ცვლილებებს, ვიდრე, მაგალითად, ჩეჩნურში. მხედველობაში გვაქვს CVC სტრუქტურის სახელებში ბოლოკიდური თანხმოვნის მისი ფონეტიკური ვარიანტით შეცვლის ან მოკვეცის შემთხვევები.

CVC სტრუქტურის სახელებში ფუძისეული თანხმოვნის მოკვეცით თანხმოვანფუძიანი სახელი ხმოვანფუძიანი ხდება. მაშასადამე, ეს არის ფონეტიკური მოვლენა, როცა **დახურული მარცვალი იხსნება**.

როგორც ითქვა, სახელის აუსლაუტში კონსონანტის მოკვეცის ერთეული ფაქტები შენიშნულია ნახურ ენათა მკვლევრების მიერ (ი. დეშერიევი, ი. არსახანოვი, ა, თიმაევი...). მიუხედავად ამისა, ჩვენთვის საინტერესო საკითხი დღემდე სათანადოდ, სისტემის სახით, არ არის შესწავლილი. საკითხის გარშემო ფაქტობრივი მასალის მოპოვებისა და ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ჩეჩნურში სახელის აუსლაუტში კონსონანტის მოკვეცის შემთხვევები ერთგვაროვანი არ არის: სახელის აუსლაუტში თანხმოვნის მოკვეცისან მეტათეზისის

შედეგად, ჯერ ერთი, დახურული მარცვალი იხსნება, მეორე, აღნიშნულ პოზიციაში იკვეცება სხვადასხვა თანხმოვანი. გარდა ამისა, სახელთა ერთ ჯგუფში ხდება სხვა სახის ფონეტიკური ცვლილებებიც.

განვიხილოთ აღნიშნული სტრუქტურის სახელთა და ზმნათა ფუძეებში ბოლოკიდური თანხმოვნის ცვლილების შემთხვევები ნახურ ენებში.

1. **-ვ** თანხმოვნის მოკვეცის შედეგად დახურული მარცვალი ჩეჩნურში გახსნილია შემდეგ ერთმარცვლიან სახელებში:

წოვა-თუშური	ჩეჩნური
კავ „ხორბალი, ყანა“	**კა** (**კā** დიალ. ვარიანტი)
ჴავ „ყანა“	**ჴა** (**ჴā** დიალ. ვარიანტი)
ფხუ „ხუფი, სარქველი“	(**ფხუ** „ძირი, ფსკერი“ — დიალ. ვარიანტი)
ʻუვ „მწყემსი“	**ʻუ**
ჰუვ „თესლი, კურკა“, „ჯიში“	**ჰუ**
ყუვ‖ყუ „ქურდი“	**ყუ**

ამ რიგის მაგალითების მოხმობა ჩეჩნურ-ინგუშური ენა-კილოებიდანაც შეიძლება.

ბოლო მაგალითიდან ჩანს, რომ სახელის ბოლოკიდურ პოზიციაში **ვ**-ს მოკვეცის პროცესი წოვა-თუშურშიც დაწყებულა.

ვ-ზეა დაბოლოებული წოვა-თუშურში **სკივ** „ნაპერწკალი, რომლის შესატყვისი ჩეჩნურში არის **სუი**. იგი მიღებული ჩანს სკივ-ისაგან თავკიდური თანხმოვანთკომპლექსის გამარტივებითა და ვ-ს წინ გადმოსმით, რასაც შედეგად დიფთონგის გაჩენა მოჰყვა. შდრ. ინგუშური **სიი** (< **სუი**-საგან რეგრესული სრული ასიმილაციით), ან კიდევ **სჳ** (აუსლაუტისეული **ი**-ს გავლენით **უ** ხმოვნის გაუმლაუტებით). **სკივ**-ის შესატყვისი ქისტურში არის როგორც **სუი**, ისე **სიუ‖სიჳ**.

ამ რიგის ზოგი სახელი თანხმოვანფუძიანია, მაგალითად, ინგუშურში. შდრ., ინგ. **ღუვ** „ჭა“, „ურდული“, **შუვ** „ბორცვი, ფლატე“ და ჩეჩნური **ღუი‖ღიჳ** (დიალ. ვარიანტი) „ურდული“-ს მნიშვნელობით, მაგრამ: **ღუ** „ჭა“, **შუ** „ბორცვი, ფლატე“. ამ შემთხვევაში **უ** ხმოვანი მოკვეცილი **ვ** თანხმოვნის საკომპესაციოდ ჩანს დაგრძელებული. **ღუვ, ღუ,** „ჭის“ მნიშვნელობით, ქისტურში არ გვხვდება, მის ნაცვლად იხმარება **ბულაყ,** ორივე ეს სიტყვა ნასესხებია თურქული ენებიდან.

ჩამოთვლილთაგან ზოგ სიტყვაში ბოლოკიდური **ვ** მიჩნეულია ოდინდელი გრამატიკული კლასის ნიშნად (თიმაევი 1983: 118-119). ისმის კითხვა: რატომ არის გამოყენებული პიროვნების (მამაკაცთა) აღმნიშვნელი გრამატიკული კლასის ნიშანი ნივთის კლასის სახელებში? გარდა ამისა, გრამატიკული კლა-

სის ნიშანი ჩეჩნურში, ჩვეულებრივ, პრეფიქსია და არა სუფიქსი. მისი წარმოჩენა ბოლოკიდურ პოზიციაში ახსნას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ **-უ-**ხმოვანზე დაბოლოებულ ერთმაცვლიან ფუძეებთან ფონეტიკური დანართი **-ვ**-ს სახით ჩნდება ქართულ დიალექტებშიც. ცნობილია მაგალითები, როგორიცაა: რუ > რუ-ვ-ი, ღრუ > ღრუ-ვ-ი, ბუ > ბუ-ვ-ი, ყრუ > ყრუ-ვ-ი, ცრუ > ცრუ-ვ-ი... წოვა-თუშურს ქართული დიალექტებიდან სახელობითი ბრუნვის ნიშნის მოკვეცით ნასესხები აქვს **რუვ** „რუ“, **ღრუვ** „ღრუ“ და მისთანანი.

წოვა-თუშური **ტივ** „ხიდი“ ქართული **ტივი**-საგან უნდა მომდინარეობდეს. მის ფონეტიკურ ვარიანტებს წარმოადგენენ ფორმები: ტაᲘ (ჩეჩ. სალიტ. ენა, ახიური და ჭებ. დიალ.), ტᾱ (< ტიᲘ < ტივ) (ინგ., ხილდ. დიალ.), ტეᲘ (მაისთ., ითუმყ.). ნათელია, რომ აქაც მარცვლის გახსნის მოვლენასთან გვაქვს საქმე.

2. მცირერიცხოვანი სახელები, რომლებიც წოვურში ბოლოვდებიან ხმოვანი + ვ-ზე, ზოგ თავისებურებას გვიჩვენებენ. შდრ.:

წოვა-თუშური	**ჩეჩნური**
ლავ „თოვლი“	ლუო
ატტივ „ბედი“	᾽თთუო
ბაცავ „წოვა-თუში“	ბᾱცუო
შოვ „ფშაველი“	შუო
ფხევ „ხევსური“	ფხიIIფხᲘე
მასთხოვ „მტერი“	მოსთაღ(ო)(<*მასთაღ-უო)...

ამ ყალიბითაა ნაწარმოები წოვურში ეთნონიმთა აღმნიშვნელი სხვა სახელებიც, როგორიცაა:

ჩაჩნოვ „ჩეჩენი“, სომფხოვ „სომეხი“, ჩინლოვ „ჩინელი“, კოხოვ „ქართველი“ (კახელი), რაჭოვ „რაჭველი“, იმერლოვ „იმერელი“ ...

მაშასადამე, აღნიშნულ სახელებში აუსლაუტისეული ვ თანხმოვანი წოვა-თუშურში გადასმულია სახელის ფუძეში. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ **უო**-დაბოლოებიანი სახელები ჩეჩნურში მეორეულია და ამ დიფთონგის **უ** სეგმენტი წარმოადგენს წინ გადმოსმულ ბოლოკიდურ **ვ**-ს, რომლის დაკავშირება გრამატიკული კლასის **ვ**- ფორმანტთან ხელობის, ეთნიკური წარმომავლობის სახელებში დამატებით დასაბუთებას, არგუმენტაციას მოითხოვს (თიმაევი 1983: 114).

3. საინტერესოა, რომ **ვ** ბგერის პოზიცია ჩეჩნურში ინლაუტშიც არ არის მყარი. იგი დაკარგული ჩანს მარცვლის ბოლოს ინტერვოკალურ პოზიციაშიც. **ვ**-ს ჩავარდნის შედეგად მიღებულია დიფთონგი ან გრძელი ხმოვანი. ამ ვარაუდს ადასტურებს სათანადო წოვა-თუშური მასალა, სადაც **ვ** ბგერა შემონახულია. მოვიყვანთ მაგალითებს:

წოვა-თუშური	**ჩეჩნური**
ლავ-ა-რ „მოთმენა, გაძლება“	ლᾱრ
ლავ-ა-რ „ხმის გაცემა, გამოლაპარაკება“	ლѲᾱრ „ლაპარაკი“
დ-ავ-ა-რ „დაკარგვა“, „დახოცვა“	დ-ᾱრ
‘ერ დ-ავ-ა-რ „გაფუჭება“	‘ᾱრ დ-ᾱრ...

ლѲᾱრ ჩეჩნურში დიურატიული ასპექტის ფორმაა, თუმცა საოპოზიციო წყვილი დაკარგული აქვს.

‘ᾱრ სიტყვა, ქისტურის გარდა, ჩეჩნურ დიალექტებში არ იძებნება. ქისტურშიც ცალკე აღარ იხმარება, თავდაპირველი მნიშვნელობა დაჩრდილული აქვს.

მასდარულ ფორმებში:

ჰაѲᾱ-რ „მოთელვა, მოქნა, ზელა“

დ-Ѳᾱ-რ „დაკვლა“

დ-Ѳᾱ-რ „თესვა, დარგვა“

თѲᾱ-რ „დამშვიდება, დაწყნარება“

დაკარგულია იგივე ხმოვანი **ვ**: შეადარეთ, წოვა-თუშური შესატყვისები:

ჰაევ-ა-რ „მოთელვა, მოქნა“

დ-‘ევ-ა-რ „დაკვლა“

დ-ივ-ა-რ „თესვა, დარგვა“

თივ-ა-რ „დამშვიდება, დაწყნარება“

მაშასადამე, ჩეჩნური ჰაѲᾱ-რ მიღებულია ǁ ევ-არ-ისაგან და ა. შ.

4. გარდა ამისა, ჩეჩნურში შეინიშნება ვ ბგერის დაკარგვის სხვა შემთხვევებიც. თუმცა ვ-ს დაკარგვით, ასეთ შემთხვევებში, მარცვლის გახსნასთან არა გვაქვს საქმე. შდრ.:

წოვა-თუშური	**ჩეჩნური**
დ-‘ივ̀ „ოთხი“	დ-ი̀
სივჰა „აქეთ“	სѲᾱჰა (< სᾱჰა < სივჰა)
დივჰა „იქით“	დѲᾱჰა (< დᾱჰა < დივჰა)

შდრ., აგრეთვე:

ღირსუვხ „უფრო ღირსი“	ღირსუხllღირსოხ (ქისტური დიალ.)
ბუѲსა ll ბუѲსვა „ღამე“	ბუѲს(ა)
(დე-ბუѲსა „დღე-ღამე“	დѲე-ბუѲსა

II

სახელის ბოლოკიდურ პოზიციაში, **ვ**-ს გარდა, ჩეჩნურში მოკვეცილია **დ** თანხმოვანიც, რომლის მოკვეცის შედეგად დახურული მარცვალი იხსნება. მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები:

წოვა-თუშური	**ჩეჩნური**
ჰაად „ტვინი“	ჰაჲე (< ჰაა, შდრ.: ითუმყ. ჰაა, ქისტ. ჰაჳ)
დად „მამა“	დჳ
(მარდად „მამამთილი“)	მარდჳ

„ნაიარევი“-ს შესატყვისად წოვურში დასტურდება **მად**, რომელსაც ჩეჩნურში შეესაბამება **მშო**. აღნიშნულ სიტყვაში **შო** დიფთონგი მიღებულია **ავ**-ისაგან. შდრ., წოვა-თუშური **ლავ** და ჩეჩნური **ლშო** „თოვლი“ (ამ რიგის მაგალითები იხილეთ ზემოთ). აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წოვური ფორმა მომდინარეობს **მავ**-ისაგან. ასახსნელია მიზეზი, რომლის საფუძველზეც მოხდა ფუძისეული შესაძლო **ვ**-ს **დ**-თი შეცვლა.

სავარაუდოა, რომ ჩეჩნურში ქართულიდან (ქართულში კი — სპარსულიდან) არის ნასესხები სიტყვა ქუჲ „ქუდ-ი“. ამ შემთხვევაში ასახსნელია, რომელი ბგერის (დ-ს თუ ი-ს) ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს ჩეჩნურში **ჲ**. თუ სესხების ვარაუდი სარწმუნოა, მაშინ ამ სიტყვაშიც მარცვალი არის გახსნილი.

ლიტერატურა

თიმაევი 1983 — А. Дж. Тимаев, Категория грамматических классов в нахских языков. Ростов-на-Дону.

ROSTOM PAREULIDZE

The Issues Connected with Syllable Opening in the Nakh Languages

S u m m a r y

A few cases of loosing a stem-consonant of a noun (or a verb) are revealed in the special literature. In spite of this, the mentioned issue has not been studied as a system up-to-date.

On the basis of the analysis of a language material connected with the issue under research it is clarified, that syllable opening is connected with elision of a consonant as well as metathesis.

The paper discusses the issues of syllable opening, which are connected with changing of auslaut ***ν***- of a stem.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXXIX 2011

ნათუნა ჟანდაშვილი

მრავალგზისობის გამოხატვა ქართული ენის კახურ დიალექტში

სამეცნიერო ლიტერატურაში ხოლმეობითობისა და მრავალგზისობის აღსანიშნავად ხშირად ერთსა და იმავე ტერმინს გამოიყენებენ, თუმცა ხოლმეობითობა მუდმივ მოქმედებაზე მიუთითებს, ხოლო მრავალგზისობა განმეორებად ქმედებას აღნიშნავს, მაგრამ ამ ორი ცნების აღსანიშნავად გიხმარება ერთი ტერმინი ,,ხოლმეობითობა“. არნ. ჩიქობავა გამოიყენებს ტერმინს: „პერმანსივი“ (ჩიქობავა 1948: 6). იგი აღნიშნავს, რომ ტერმინ „ხოლმეობითის“ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მისი აღრევა ადვილად ხდება მრავალგზისთან. „აკეთებს ხოლმე“ შეიძლება ისე იქნეს გაგებული, თითქოს „კეთების“ განმეორებას ექცეოდეს ყურადღება, ნამდვილად კი საჭიროა გადმოიცეს, რომ მოქმედება „ჩვეულებრივ ხდება“ (შანიძე 1948: 7). მიუხედავად ამისა, ავტორი მაინც მხარს უჭერს ა. შანიძის მიერ დამკვიდრებულ ტერმინ „ხოლმეობითობას“, რომელიც მარჯვედ შერჩეული ტერმინია, ამიტომ ჩვენც არ განვასხვავებთ, თუმცა იგი ზოგჯერ შეიძლება ჩვეულებრივ მოქმედებას გამოხატავდეს, ზოგჯერ — მრავალგზის მოქმედებას.

მრავალგზისობას ძველ ქართულში მორფოლოგიურად ხოლმეობითის მწკრივები გამოხატავდნენ: აწმყოს ხოლმეობითი, უწყვეტლის ხოლმეობითი, II ხოლმეობითი და III ხოლმეობითი.

თანამედროვე ქართულში მრავალგზისობა მორფოლოგიურად აღარ გამოიხატება. ხოლმეობითის მწკრივები მრავალჯერადი მოქმედების გამოსახატავად მთის კილოებსა და ქიზიყურშია დაცული. მთის კილოებში შემონახულია ძველი ქართულის სამივე ხოლმეობითი: უწყვეტლის ხოლმეობითი, II ხოლმეობითი, III ხოლმეობითი; საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს კახური დიალექტი მრავალგზისობის გამოხატვის თვალსაზრისით. საანალიზო მასალად გამოვიყენეთ „ქართულ დიალექტოლოგიასა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961) და „ქართული ენის კახურ დიალექტში“ (მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956).

როგორც აღვნიშნეთ, განსხვავებული ვითარებაა კილოკავთა მიხედვით. მხოლოდ კახური დიალექტის ქიზიყურ კილოკავშია შემორჩენილი მრავალგზი-

სობის ორგანული წარმოება. აღნიშნული კატეგორიის გამოსახატავად გამოიყენება უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი:

„გრძელ მიწებშიცა **გვჭონდის** მიწა“ (214; 17).

„ოთხს-ხუთასი ცხვარი **კვყანდის** ერ ბინაში“ (167; 15).

წყვეტლის ხოლმეობითის მწკრივთან შედარებით აქტიურად გამოიყენება II ხოლმეობითის ფორმები:

„**შააბიან** გათენები ხან ურემი, მამა-შვილი **დაწვიან** დაბადქვეშ, მე **გამიმძღვარიან** ურემ წინა, თითონ კი ხვრინამდნენ“ (221; 38).

„მეორე წელიწად ფოშტი ფული ჴელმეორეთ **გაგვაწერის**“ (163; 38).

„მამაჩემი **მოვიდის** გვერდიდამ ჴმლით და **დაჰკრის** კისრში და **გადახტის** უკან, რო ბოლო არ მაიქნივოს და შიგ არ მამატანოსო“ (164; 5).

„მემრე **მუუხდის** თავში, **დააყრის** თავში ჴმალი“ (164; 8).

ვხვდებით იმგვარ შემთხვევებს, როცა ერთად არის წარმოდგენილი I და II ხოლმეობითის მწკრივის ფორმები:

„მამა **მაიფშვნეტამდის** თვალებ და **შაიჩმუჩნის** და **იტყოდის**: ეს რა ყოჩაღი ბია, კაცოო!“ (222;4).

„მაიფშვნეტამდის“ და **„იტყოდის“** I ხოლმეობითის მწკრივებია, ხოლო **„შაიჩმუჩნის“** — II ხოლმეობითისა.

ქიზიყურ კილოკავში მრავალგზისობის გამოხატვის თვალსაზრისით უპირატესობა აღწერით წარმოებას აქვს. მრავალჯერადი მოქმედების გამოსახატავად გამოვლინდა ისეთი შემთხვევები, როდესაც ხოლმეობითის ორგანულ ფორმებს დაერთვის „ხოლმე“ ნაწილაკი, სხვა მწკრივის ფორმებთან ერთად გვხვდება „ხოლმე“ ნაწილაკი, გამოიყენება -ყე||-კე ნაწილაკთა სახესხვაობები და უწყვეტლის მწკრივი.

„ხანდახან ქარი **მაიტეხამდის** ხოლმე ხი ტოტ და ზამპა **გაიცვიოდის** დაბლა“ (213; 14).

„**იყვის ხოლმე** ნომენტი, რო ფრთემოქცეულზე პური **დაჭეჭილდის ხოლმე**, რო ვერ ვასწრებდით კალოებზე ამოზიდვაი“ (214;34).

„კაი მცხობელი დედაკაცი **დაიშოთამდის ხოლმე** ალხეინათ, თუკი პური კარგი იყო“ (215; 17).

მოყვანილი მაგალითების მიხედვით ორგანული წარმოების გვერდით ლექსიკური საშუალება „ხოლმე“ ნაწილაკია გამოყენებული. როგორც მივუთითეთ, „ხოლმე“ ნაწილაკია გამოყენებული სხვა მწკრივის ფორმებთანაც:

აწმყოსთან: „კოლექტივში ეხლა იგეთი ვაზი მაიყავთ, რო სამ-ოთ რქაი **აძლევენ ხოლმე**“ (216; 24).

უწყვეტელთან: „კარგი მკელი ერთ ძნაი ორი ჴელეირით **აათებდა ხოლმე**“ (214; 26).

მყოფადთან: „ი დალოცვილი ბოლთაი რო თავისაი **გაამართლებს ხოლმე**, იმაი რა ჯობია“ (215; 25).

I თურმეობითთან: „ყოფილა შამთხვევა, რო ღვინობი და გიორგობითვეში პური **მილეწნია ხოლმე**“ (215;25).

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთ წინადადებაში ვხვდებით მრავალგზისობის ორგანულ წარმოებას და მორფოლოგიურად გამოხატული მრავალგზისი მოქმედების გვერდით აღწერით წარმოებას:

„როცა ჯეჯილი მუხლში **შავიდოდის**, ბალახიც **მეერეოდა ხოლმე** და **გავმარგლამდით ხოლმე**“ (214; 19).

I ხოლმეობითი — შავიდოდის.

წყვეტლის მწკრივთან „ხოლმე“ ნაწილაკი — ,,მეერეოდა ხოლმე“; „გავმარგლამდით ხოლმე“.

მრავალგზისობა ქიზიყურ კილოკავში გამოიხატება უწყვეტლის მწკრივის საშუალებით:

„ზამთრობით მთელ დღეი ვარებ **დავდევდი**, საღამოთი **მოიდოდი** ამოზუნზლული“ (222; 23).

მრავალგზისობის გამოხატვის თვალსაზრისით განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს გარე- და შიგნიკახური. ამ კილოკავებში მრავალჯერად მოქმედებას ძირითადად გამოხატავს ნაწილაკადართული ფორმები, მაგრამ იშვიათად გვხვდება ხოლმეობითის მწკრივები. წარმოვადგენთ მაგალითებს ხოლმეობითის მწკრივის ფორმებით გამოხატული მრავალგზისი მოქმედებისა:

„მერე **მოუჩხრეკნიან** დამწვარ ფიჩხს და მოაქუჩებენ შუაგულში“ (50; 22) — შიგნიკახური.

არქაულ ფორმასთან ერთად გვხვდება „ხომე“ ნაწილაკი:

„შიგ **შავიდი ხომე** მგელი ჯოგში“ (20; 30) — შიგნიკახური.

მრავალგზისობის გამოსახატავად ვხვდებით ხოლმე||ხომე ნაწილაკთაგან „ხომე“ ნაწილაკს ენიჭება:

„მამაჩემი **იტყოდა ხომე:** ჩვენი პაპა არისო ქართლიდანაო“ (19; 30).

„ილტოს გაღმიდან **გამოდის ხომეო**“ (26;3).

მრავალგზისობა კახურში ასევე გამოიხატება -ყე||-კე გამალიერებელი საშუალებებით. -ყე||-კე ნაწილაკები გამოხატავენ როგორც ხოლმეობითობას, ასევე ობიექტის მრავლობითობასაც. გარჩევა შესაძლებელია: „ერთვალენტიან ზმნებთან -ყე||-კე მხოლოდ ხოლმეობითის გამომხატველი შეიძლება იყოს“ (ჯორბენაძე 1989: 330). როდესაც ობიექტი მხოლობით რიცხვშია ორ- და სამვალენტიან ზმნებთან, ეს ნაწილაკები იმავე ფუნქციას აღნიშნავენ. მაშინ კი, როდესაც ორივე ფუნქციით გამოხატვის შესაძლებლობაა, გარჩევა ხდება კონტექსტის საშუალებით. „იმავდროულად შესაძლებელია გამოვიყენოთ ფორმათა ჩანაცვლების ხერხიც: ეტყოდა-ყე||ეტყოდა-კე — თუ კონტექსტის შესაბამისად მას შეენაცვლება იტყოდ-ი-ს ან ეტყოდა ხოლმე, მაშინ ხოლმეობითთან გვაქვს საქმე (ჯორბენაძე 1989: 330), სხვა შემთხვევაში ირიბი ობიექტის მრავლობითობას გვიჩვენებენ. წარმოვადგენთ ნიმუშებს:

„მამაჩემი **იტყოდაყე:** ბატონი ჩვეი წინა მხარში, გურჯაანში კყვანდაო“ (132; 5).

„მე იმათ **ვინახავდიყე**“ (17; 11).

მოცემულ მაგალითში **„ვინახავდიყე“** გამოხატავს ხოლმეობითობასაც და ობიექტის მრავლობითობასაც. ასევე ორივე ფუნქციის გამომხატველია შემდეგი მაგალითიც:

„შვილეფს სუ სკოლაში **ვასწავლიდიყე**“ (17; 20).

შემდეგი მაგალითით წარმოვადგენთ ჯერ ნაწილაკით გამოხატულ მრავალგზის მოქმედებას:

„მე როგორც პატარა, **ვეხვევიკე**, ხან უბეში **უძვრებიკე**, ხან ყელზე **ვეხვევიკე** მამათილს, დედამთილს, მაზლებს და მულებს“ (26; 29).

მრავალგზისობა გამოიხატება აღწერითი საშუალებით — „დღე და ღამე“:

„**დღე და ღამე** ვწვალობდი“ (197; 30).

მრავალჯერადი მოქმედება გამოიხატება უსრული ასპექტის ნამყო ძირითადის ფორმათა განმეორებითაც:

„**მიდიან, მიდიან**, ბოლოს იპოვეს“ (193; 42).

„წამოდგა დაჭრილი ხოშატი, **იარა, იარა, იარა** და ერთ ძველ ეკლესიში კარებში დაწვა“ (192; 8).

მასალის დამუშავების შედაგად ქართული ენის კახურ დიალექტში მრავალგზისობის გამოხატვის თვალსაზრისით შემდეგი საშუალებები გამოვლინდა: ქიზიყურ კილოკავში შემორჩენილია მრავალგზისობის ორგანული წარმოება. ვხვდებით I და II ხოლმეობითის მწკრივებს: „წამოიდის“, „დაჰკრის“, „დაწერიან“.

არის შემთხვევები, როცა არქაულ ფორმას დაერთვის „ხოლმე“ ნაწილაკი: „**მოკვდის ხოლმე**“, „**გააგორიან ხოლმე**“, „**აიღებდის ხოლმე**“.

„ხოლმე“ ნაწილაკი დაერთვის სხვა მწკრივის ფორმებსაც: **„გაიტანდა ხოლმე“, „შემიჭამიან ხოლმე“**, **„ათესამს ხოლმე“**, **„იტყვიან ხოლმე“**.

მრავალგზისობა გამოიხატება უწყვეტლის მწკრივით; **„დავდევი“**, **„მოიდოდი“**.

გარე- და შიგნიკახურში მრავალჯერად მოქმედებას ძირითადად გამოხატავს ნაწილაკდართული ფორმები, მაგრამ იშვიათად გვხვდება ხოლმეობითის მწკრივები: **„მოუჩხრიკნიან“**.

არქაულ ფორმასთან ერთად გვხვდება „ხომე„ ნაწილაკი: **„შავიდი ხომე“**.

მრავალგზისობია გამოსახატავად ვხვდებით ხოლმე||ხომე ნაწილაკებს სხვა მწკრივის ფორმებთან:

-კე||ყე ნაწილაკებით გამოიხატება მრავალჯერადი მოქმედება: **„ვეხვევიკე“, „ვასწავლიდიყე“**.

მრავალგზისი მოქმედება გამოიხატება ზმნის გამეორებით: **„მიდიან, მიდიან,** ბოლოს იპოვეს“.

გამოვლინდა მრავაგზისობის წარმოების აღწერითი ფორმა: „დღე და ღამე“: „**დღე და ღამე** ვწვალობდი“.

ლიტერატურა

გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961 — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე. — ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

გოგოლაშვილი 2010 — გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა (ფორმათწარმოების საკითხები), თბილისი.

მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956 — ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი.

სარჯველაძე 1984 — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის შესავალი, თბილისი.

შანიძე 1930 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკა I, მორფოლოგია, თბილისი.

ჩიქობავა 1948 — ა. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი.

ჯორბენაძე 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

KHATUNA QANDASHVILI

Expressing of Multiplicity in the Kakhian Dialect of Georgian

S u m m a r y

There are different pictures for expressing multiplicity in the Kakhian dialect. In the **Kisiqian sub-dialect** organic formation of multiplicity is preserved – there are the forms of I as well as II permansive. **ċamoidis**, **dahḳris**, **ganaxverdis**, **daċerian**. There are cases when the forms of organic formation are added by **xolme** particle: **moḳvdis xolme**, **aiγebdis xolme**. A particle **xolme** is added to the forms of other screeves: **gaiṭanda xolme**, **šemiċamnia xolme**, **jtesams xolme**, **iṭqvian xolme**...

In outer and inner Kakhian multiplicity is mainly expressed by the forms with particles, but the screeves of permansive occur rarely: **mouxriḳnian**. A particle **xome** also occurs along with the organic forms: **šavidi xome**.

The particles **-ǧe**/**-ḳe** and **xolme**/**xome** express multiplicity, as well: **vexveviḳe**, **vasċavliditḳe**, **vinaxavdiqe**. Of the **xolme**/**xome** particles **xome** is often used: **iṭqoda xome**, **gvazeldnen xome**... A multiple action is expressed by repeating of a verb: **midian**, **midian**, **bolos ipoves**.

Sometimes multiplicity is expressed by descriptive formation, lexical tools: e. g.: **dγe da γame**: "**dγe da γame vċvalobdi**"...

XXXIX 2011

ნატო შავრეშიანი

დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველი ფრაზეოლოგიური ქვეწყობილი წინადადებები სვანურში

სამეცნიერო საზოგადოებაში აზრთასხვადასხვაობაა, იმის შესახებ, თუ მეცნიერების რომელ დარგს განეკუთვნება ფრაზეოლოგია, იგი სხვადასხვა დროს განიხილებოდა ლექსიკოგრაფიაში, სტილისტიკასა და სინტაქსში.

ზოგიერთი მკვლევარი ფრაზეოლოგიას განიხილავს, როგორც ენათმეცნიერების დამოუკიდებელ დარგს (ბ. ლარინი) და შესაბამისად მ. მიხელსონი ასეთ დეფინიციას იძლევა: ,,ფრაზეოლოგიად საერთოდ იწოდება მეცნიერება ან მეცნიერული დისციპლინა, რომელიც სწავლობს მეტყველებას“ (თაყაიშვილი 1961: 12).

მრავალფეროვანია თვით ტერმინის განმარტებაც: „ტერმინი „ფრაზეოლოგია“ ენათმეცნიერულ პრაქტიკაში სამნაირი მნიშვნელობით გამოიყენება: I. ენათეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს გამონათქვამში ანუ ფრაზაში სიტყვათა ლექსიკურ-სემანტიკური შეკავშირების წესებს. 2. ენაში მყარ იდიომატურ-ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა მარაგი, ფონდი და 3. ენათმეცნიერების დარგი, რომელიც ამ გამოთქმებს შეისწავლის“ (ცოცანიძე 1999, 219).

საკითხისადმი ინტერესი დღესაც აქტუალურია. საყურადღებოა გ. ცოცანიძის განმარტება, რომელიც ყველა ასპექტში ახასიათებს აღნიშნულ საკითხს: „ფრაზეოლოგიზმი ენის ლექსიკური დონის ერთეულია, რომელიც ფორმით შესიტყვების (წინადადების) ტოლია, მნიშვნელობით სიტყვის ექვივალენტია – წინადადებაში წინადადების წევრის ფუნქციას ასრულებს, ახასიათებს: ფორმალური დანაწევრების ფონზე მნიშვნელობის მთლიანობა, ხატოვანება, კონოტაციურობა, მნიშვნელობის უნიკალურობა“ (ცოცანიძე 1999: 223).

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ფრაზეოლოგიზმთა სინტაქსურ ფუნქციაზე სვანურში, ვინაიდან ცნობილია, რომ ფრაზეოლოგიზმებით შეიძლება გამოიხატოს წინადადების წევრები, სინტაქსური ერთეულები, მარტივი თუ შერწყმული წინადადებები, ასევე რთული წინადადების ნაწილები და თვით რთული წინადადებებიც.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ავტორს ეჭვი შეაქვს ფრაზეოლოგიური შესიტყვების სინტაქსურ ფუნქციაში (მაგ., არხანგელსკი). მათი აზრით, ფრაზეოლოგიური შესიტყვება არ ასრულებს წინადადების ცალკეული წევრის როლს, არა-

მედ ჩვეულებრივ წარმოადგენს წინადადების ორ წევრს (თაყაიშვილი 1961: 81-82).

ფრაზეოლოგიზმებს სინტაქსური პოზიციებიდან არაერთი მკვლევარი განიხილავდა: „ბოლო ხანებში ფრაზეოლოგიურ მასალას შეხედეს ლინგვისტური თვალსაზრისით. ...ა. შახმატოვს, ი. მეშჩანინოვსა და სხვებს იზიდავდა ფრაზეოლოგიური ერთეულის ფორმა: იგი შესიტყვებას წარმოადგენდა და ამდენად სინტაქსის შესწავლის საგანი უნდა ყოფილიყო“(თაყაიშვილი 1961: 127).

კვლევებმა ცხადყო, რომ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი აქვს მინიჭებული, ფრაზეოლოგიურ კომპონენტებს ცოცხალი სინტაქსური კავშირი ახასიათებთ და წინადადებაში ასრულებენ ერთერთი წევრის ფუნქციას.

„სწორედ წინადადებაში ფუნქციონირების მიხედვით ფრაზეოლოგიზმებს ორ ნაწილად ყოფენ: ზმნურ-პრედიკატულნი, რომლებიც წინადადებაში შემასმენლის ფუნქციას ასრულებენ და სუბსტანტიურნი, რომლებიც არსებითი სახელის ფუნქციით გამოიყენება“ (ცოცანიძე1999: 219).

ფრაზეოლოგიური თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ ენები, არამედ ერთი ენის შიგნით არსებული დიალექტებიც. ხშირად სხვაობა დიალექტებს შორის საგრძნობია ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისითაც.

სვანური მდიდარია ფრაზეოლოგიზმებითა და მასთან მნიშვნელობით ახლოს მდგომი იდიომებითა თუ მყარი ლექსიკური გამონათქვამებით, დალოცვისა და წყევლის ფორმულების გადმომცემი წინადადებებით. ამ სიუხვეს დიალექტური ნაირსახეობები და ვარიანტები განაპირობებს.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ანდაზებზე, დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველ ჰიპოტაქსურ წინადადებებზე და შევეცდებით მათი სინტაქსური ანალიზი წარმოვადგინოთ სვანურის ყველა დიალექტის მიხედვით, მათ შორის წარმოდგენილი იქნება ჩოლურული მეტყველების ნიმუშებიც.

საანალიზო მასალაში უხვად გვხვდება გარემოებით დამოკიდებული (დროისა, ადგილისა, ვითარებისა, მიზეზისა), ქვემდებარულ დამოკიდებული, პირდაპირ დამატებითი დამოკიდებული და განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადებები. რაც შეეხება დამოკიდებული წინადადების დანარჩენ ჯგუფებს, შემასმენლურ დამოკიდებული, ირიბ დამატებითი დამოკიდებული, უბრალო დამატებითი დამოკიდებული და მიზნის გარემოებით დამოკიდებული წინადადებები არ შეგვხვედრია.

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებები

ერშ̃ა̈ჲ ჯ̈არს ჯაყახ, ეჯი შუდებდუ აჯაჴედახ!“ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 292:11-12) — ვინც ჯარში გყავთ, ის მშვიდობით („**მშვიდობ**-ით-მცა“) დაგბრუნებოდეთ („მოგსვლიათ“)!

ეჩის ხედა̃შ̃ ათშდეხა ლადეღ, ჲერშ̃ა̈ად ალე სგაჲ ქა ჯ̄ე̄ქ̄შ̃ხ“ (ლშხ. სვან. პრ. 125:7) — ისემც მას გამოლეოდეს დღე, ვინც თქვენ ეს გითხრათ

ᲓᲔᲠᲬᲐᲓᲓ ᲚᲝᲥ ᲚᲐᲓᲘ ᲧᲬᲔᲜᲒᲚᲮᲘᲜᲐᲡ Ი ᲮᲝᲩᲐᲛᲓ ᲐᲠᲓᲔᲡ, ᲔᲩᲘᲡ ᲚᲝᲥ ᲛᲐᲨᲔᲓᲣ ᲮᲐᲠ ᲗᲐᲠᲘᲫᲔᲚ ᲥᲣᲨᲐᲨᲘᲨ“ (ლშხ. სვან. პრ. 212:17) — ვინც დღეს მოილხინოს და კარგად იყოს, მას შეეწიოს ქუშის მთავარანგელოზი

ᲓᲔᲠᲬᲐᲓᲐᲡ ᲔᲩᲐ ᲛᲐᲬᲘᲜ ᲮᲔᲙᲬᲔᲡ, ᲔᲯᲘᲨ ᲚᲐᲮᲘᲔᲜᲐ ᲛᲘᲩᲐ ᲛᲐᲩᲔᲜᲐᲡ (ჩოლ.) — ვისაც მისი ცუდი („ვნება“) უნდოდეს, ის მისწეოდეს თავის საუკეთესოს (იგულისხმება მიცვალებული).

ᲐᲛᲐᲑᲐᲡᲓ ᲥᲐ ᲛᲐ ᲐᲯᲙᲐᲚᲜᲔᲜᲮ, ᲔᲯᲘ ᲔᲯᲐᲑᲐᲡᲓ ᲮᲝᲩᲐᲛᲨᲣᲚᲣ ᲚᲐᲓᲢᲔᲮᲐᲮ (ბქ. სვან. ქრესტ., 1978,174:12-23) — ამ ქვეყნად („საააქაოს“) თუ რამე დაგაკლდათ („და-გ-**კლ**-ებ-ოდ-ე-თ“), ის იმ ქვეყნად („საიქიოს“) აგნაზღაურებოდეთ („კარგითმცა და-გბრუნებიათ“)

„**ᲓᲔᲠᲬᲐᲓ ᲚᲝᲥ ᲛᲘᲩᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲓᲝᲨ ᲘᲒᲕᲔ, ᲔᲯᲘ ᲚᲝᲥ ᲘᲨᲒᲔᲜᲡ ᲓᲔᲨ ᲘᲗᲮᲔᲚᲘ** (ლშხ. სვან. პრ. 276:10) — ვინც თავისიანს ვერ შეინახავსო, ის სხვას ვერ იპოვისო

ᲥᲬᲔᲡᲔᲠ ᲓᲔᲠᲓᲣᲓ ᲛᲝᲓᲔ ᲚᲐᲮᲢᲒᲮᲔᲡ ᲙᲣᲑᲐᲨ ᲔᲡᲔᲠᲝᲚᲣ ᲚᲐᲢᲐᲑᲐ ᲮᲐᲠ (ლხმ.) — ვინც არ დამიბრუნოს კუბოს სათლელიმცა აქვსო

ᲒᲣ ᲮᲐᲡᲘᲡᲒ, ᲔᲯᲘ ᲗᲔᲡ ᲔᲡᲔᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲡᲒ (ლხმ.) — გულს რომ სძულს, იგი თვალსაც სძულს

ᲚᲒᲧᲩ’ᲔᲡᲔᲠ, ᲓᲔᲡᲨᲐᲡ ᲛᲐᲠᲔᲛ ᲥᲨᲘᲜ ᲮᲐᲜᲐᲮ (ლხმ.) — დამწვარი, ვისაც კაცის სუნი სდისო.

პირდაპირ დამატებითი დამოკიდებული წინადადებები

ᲥᲐ ᲛᲐ ᲐᲯᲙᲐᲚᲘᲓᲔᲮ ᲜᲘᲨᲒᲨᲔᲨᲮᲔᲜᲥᲐ, ᲔᲯᲘ ᲥᲠᲘᲡᲓᲔᲡᲝᲚᲣ ᲝᲗᲢᲘᲮᲐ ᲮᲝᲩᲐᲛᲨᲣ (ბქ., სვან. ქრესტ. 1978, 174:12-23) — ჩვენგან რაც დაგაკლდეთ, ის ქრისტეს („**ქრის-ტე**-ს-მცა“) აენაზღაურებინოს სიკეთით („დაუბრუნებია კარგით“).

ᲛᲐᲩᲔᲜᲔ ᲨᲣᲘᲓᲑᲐᲐᲜ, ᲑᲐᲠᲥᲐᲐᲜ Ი ᲧᲣᲜᲓᲘ ᲥᲝᲠᲐ ᲚᲘᲒᲔᲛ ᲩᲣᲜ ᲮᲐᲛᲣᲠᲯᲜᲔᲜᲡ, ᲔᲯᲐ ᲛᲔᲠᲛᲐᲛᲓ ᲜᲐᲐ ᲐᲜᲛᲐᲠᲯᲣ (ბზ., სვან. ქრესტ. 1978, 111:42-43 — 112:1-5) — ყველაზე უფრო მშვიდობიანი, ბარაქიანი და მყუდრო სახლის აშენება („ა-**გ**-ებ-ა“) ვისაც დასცლოდეს („ე-**მარჯვ**-ებ-ოდ-ეს“), ის მეორედ ჩვენ გაგვიმართლე („გა-გვ-ი-**მარჯვ**-ე“).

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები:

ᲨᲝᲨᲐ ᲨᲔᲓ ᲚᲝᲥ ᲐᲚ ᲬᲔᲠᲔᲥᲨᲣᲡ ᲮᲐᲑᲖᲓᲔᲜᲐ, ᲔᲩᲨᲔᲚᲓ ᲖᲐᲓᲣ ᲚᲝᲥ ᲮᲐᲠᲘ ᲣᲛ-ᲖᲘᲒᲐᲠᲐᲓ“ (ლშხ. პრ. 38:13)— რამდენი წვეთიც ამ თომს დასხმია, იმდენი წელი გეცოცხლოს („ხარ“) ტკივილის გარეშე („უმტკივნეულოდ“)!

ᲛᲘᲜᲔ ᲥᲝᲠᲡ ᲔᲡᲔᲠ ᲔᲭᲙᲐᲚᲝᲑ ᲙᲨᲐᲛᲣ ᲔᲡᲜᲖᲘᲮ ᲚᲔᲖᲖᲒᲠᲣᲜ, ᲘᲛᲨᲐᲓᲣᲘ ᲐᲚ Ი ᲐᲚ ᲚᲒᲤᲨᲘᲠ ᲛᲔᲖᲖ’ᲔᲡᲜᲖᲘ“ (ბზ., სვან. ქრესტ. 1978, 28:20-21) — თქვენს („მათ“) სახლს („**ქორა**-ს-ო“) იმისთანა („ის-**ყალიბ**-ი“) კვამლი („**კვამლ**-ი-მცა“) აუვიდეს („ასდით“) სახურავზე, როგორც ამა და ამ მრავალრიცხოვან („გამრავლებულ“) ოჯახს („მოსახლე[ს]“) ასდის

ᲔᲓᲙᲐᲓ ‖ ᲔᲯᲙᲐᲚᲘ ᲚᲘᲠᲓᲔᲨ ᲔᲓᲨᲔᲓᲐ, ᲪᲮᲨᲐᲓᲘᲡ’ᲔᲠ ᲛᲔᲠᲮᲔᲚᲡ ᲮᲐᲠ (ლშხ.) — ისეთი ცხოვრება გაგეტარებინოს, ქვაბში რომ ჭინჭარს აქვს

ეჭკაჲ ლიორდ̄ეჳ ეჯჲახ, ცხჳადისა ერ მერხელს ხ̄არ (ჩოლ.) — ისე გეცხოვროთ, ქვაბში რომ ჭინჭარს აქვს

ამჟი თგმიჳ ახ̄ვედა მიჩა დედეს, მი ერ თგმი̄შდ ხჳი (ლშხ.) — ასეთი ტანჯვა ჰქონოდეს (მისვლოდეს) თავის დედას, მე რომ გაჭირვებულად ვარ

ეჯკაჲლიბ ბედ ი ლიორდ̄ეჳ აჯჰენ'̄ერე ისგჳა ჯიჯჳაჲრს ისგოჳშ ხიჳშდაჲნდედ! (ბზ., სვან. ქრესტ. 1978, 56:14) — ისეთი ცხოვრება („**ბედ**-ი და ყოფამცა“) მოგესწროს („მოგსწრებია“), რომ შენს ძვლებს შენით იხრავდე!

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები

ჳოდ ლოქ ამნ̄ემ ხოჩა დრს ხაყრის ამანღო, ეჩქად ისგჳე ხოლა ნრსუ ლოქ ხასმა!“ (ლშხ. სვან. პრ. 9:14) — სანამ ეს („ამან“) აწი („ამის მერე“) ვინმეს („არავის“) სიკეთეს („კარგი“) გაუკეთებს („დამართოს“), მანამდე თქვენი ცუდი არავის გაეგოს („სმენია“)!“

ისგუ ლაჯჳაჲმის როქჳ ჳოდ ოხჟანდე, ეჩქად ისგუ ლიორდეს ღერმეთ ი მარე ნომა როქოჳ ახჟარა“ (ბქ., სვან. ქრესტ. 1978, 177:2-4) — სანამ შენთვის ჭიქის გადმოლოცვა მომბეზრდებოდეს („შენს გადმოლოცვასომცა სანამ მოვბეზრდე“), მანამდე („მაშინად“) შენი („შენს“) ცხოვრება („ყოფას“) ღმერთს („**ღმერთ**-ი“) და ადამიანსაც („კაცი“) არ („**ნუ**-არ-ო-მცა“) მობეზრებოდეთ („მობეზრებია“)

ჳოდ ეჯჲრს ლეწ̄ედ, ეჩქადუ ლჲრიდ (ბქ., სვან. ქრესტ. 1978, 224:8) — სანამ იმათ („იმეებს“) ვნახავთ („ვნახოთ“), მანამდე („მაშინადმცა“) ვიცოცხლოთ („ვართ“).

ჳოდ ლოქ ალ ფგრი ბ̄აჲრახ დო ედზგსყენდეს ი ბალარ მრდ ენ̄ჳგდის, ეჩქად ლოქ ეჩა საშჳელ ნრსაჳ̄ ლი (ლშხ. სვან. პრ. 212:17) — სანამ ეს ხმელი ბაირახი არ დასველდება და ფოთლებს არ გამოიღებს, მანამ მისი საშველი არ იყოს

ჳოდ ლოქ დენ̄აჲ ქიმ ლოქ ჲსეწ̄ექჳნენს, ეჩქად გოლჲაშჲაპდ ლოქუ ჲრი (ლნტ.) — სანამ ქალის ცრემლი დაგეწვეთებოდესო, მანამ გველეშაპად ყოფილიყავიო

ჩჳ̄ესა ოსგჳ̄რდე ისგვე ლესკხენ, ეჩქ̄აჳ ემკგთხნა ჭიშხარ (ჩოლ.) — თუ დავჯდე თქვენ გვერდით, მაშინ გამეჭიმოს ფეხები

აღჳე ლოქ ლგქ̄ად მად ლგმჲრელასხ, ეჩქას ხოჩამდუ ჲმეტეხელიხ, დორჲაჲ აგჳ̄არ გარუ ახაყენახ ალ რაშჳ̄ალს!“ (ლნტ., სვან. ქრესტ. 1978, 317:4-6) — თუ დამნაშავეები არ იყოთო („თუო შემცდარი არ ყოფილიყვნენ“), მაშინ მშვიდობით („კარგადმცა“) დაბრუნებულიყავითო („დაბრუნებულან“), თუ არა და მხოლოდ ⌜თქვენი⌝ ქუსლები („ქუსლები მხოლოდმცა“) დაებრუნებინოთო („გამოყოლიან“) ამ რაშებს!

ოდ დო ლიც ანღრი, ეჩქადუ მაყ̄ახი (ჩოლ.) — სანამ წყალი მოდის მანამ მყავდე (წყალს რომ დაალევინებენ მადლობის ნიშნად ამბობენ)

ეჩქარუ ალგნწგრდელი მიშგში ზისხ, სგაჲ ერ ჩუ ჯიღლატა (ჩოლ.) — მაშინ დაწრეტილიყოს ჩემი სისხლი, თქვენ რომ გიღალატო.

ისგში მიშგშიობ ერ ჟიბნი, **ეჯი ოჯახს მარ ხაყა** — შენი ჩემობა რომ დაიწყება, ის ოჯახი არ ვარგა

ადგილის გარემოებითი დამოკუდებული წინადადებები

იმაჲხო ქაჩეხი, **ჩიაგუ ხოჩემი სუე ი გამარჯუ ლაჯაოდა** (ლნტ. სვან. პრ. 57:18) — სადაც წახვიდე, ყველგან სვე და გამარჯვება მოგცემოდეს

იმგშა ზეთშუ უჩხადეს ი ბამბაშუ შდუადეს, **ეჩეჩუოღუ ჯარხ ლაქუნ** (ბქ., სვან. ქრესტ. 1978, 174:12-23) — სადაც ზეთით წვიმდეს და ბამბით თოვდეს, იქ („იქამც“) იყოს („გაქვთ“) თქვენი სასუფეველი („სასულეთი“)

იმთეჲ ქაითგა შაგ, ჩიხენ ლაკრდუშუ ოხყახი (ჩოლ.) — სადაც გაადგა ნაბიჯი, ყველა მხრიდან ატოტებული (გარდაცვლილი) მოჰყავდე

ლიყიბაალ ერ ჟიბნი, **მა ხეფსი ეშჩუ ლიქორ-ლიმარ** — ჩხუბი რომ დაიწყება, არ გამოდის იქ სახლიკაცობა

ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები

ბაჩრუანაჲ ლიზგეუ ესერ ოხსყა მიჩ, **ეჩყინუ ესერ ოთმაზრა ღერბათ მიჩა ლიზგე ი ლირდე**“! (ბზ. სვან. ქრესტ. 1978, 93:34-36) — ბარვანის ⌜ნაირი⌝ ცხოვრება („სახლობამცაო“) მოგეწყოსო („გაუკეთებია“) შენ, ისე („ისზემცაო“) დალოცოსო („დაულოცია“, შდრ. ძვ. ქართ. „**ზორ**-ვ-ა“) ღმერთმა („**ღმერთ**-ს“) შენი („მისი“) ყოფა-ცხოვრება („სახლობა და ყოფა“)

ათხე ერ ჯისკიდიხუი ხოჩამდ, **ამჟი აშირ ათაჲს ზაუ ხოჩამდუ აჯაჲა**!“ (ლნტ. სვან. პრ. 57:18) — ახლა რომ გიყურებ კარგად, ასე ასი ათასი წელი მოგსწრებოდეს კარგად????

იმაჲჟი ლოქ ალე ლი გუეში, **ალ გაკ**, **ამჟი ლოქუ ანაგოშლე მიჩა ოჯახ ქონებაუშ**“! (ლნტ., სვან. ქრესტ. 1978, 310:16-18) — როგორც ეს არისო სავსე, ეს კაკალი, ასე გაავსეო ჩემი („მისი“) ოჯახი ქონებით

ეჯყინენუ ოთმეზრაჲხი ხოშა ღებეთს, იმყინენი ბაჳ ეჯბაჳან გუშგუეთეჲსა (ჩოლ.) — ისე დაელოცო ღმერთს, როგორც ნაბიჯი გადმოგებიჯოს ჩვენთან („ჩვენ-სა-ს-ში“)

ეჯკაჲ ლადელს ეჲტყუიფე, ერე ჲერუ მარე ეშხუარ ხეჭუდჲელნი (ჩოლ.) — ისეთ დღეს დაგაყრი, რომ ორი კაცი ერთმანეთს ეკითხებოდეს

აშხუნღო ეჩყინუ ესშურენა ალ ლეთრ’ერე პინტოლდ ათეგენ! (ბზ., სვან. ქრესტ. 1978, 56:36) — ერთხელაც („ერთის მერე“) ისე („ისზემცა“) გაწყინოს („???“) ამ სასმელმა („სასმელს“), რომ ნაფლეთებად იქცე („და-**დგ**-ე“)!

ეჭკა გაუარიაჲ ხუაყ, ე ხესკრლ (ჩოლ.) — ისე გავლანძღე, რომ უხდებოდა

ამჟრუ ლაჯშტეხახ ხოჩემი მექუის, მი ერ მეფრებალ ლემშტახ (ჩოლ.) — ასე შემოგლეოდეთ კარგის მთქმელი, მე რომ მომფერებელი შემომელია.

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები

შდიმ ესერ ეჯლა დემ იცხემ, **ერე ჩიგარ მერმე-მერმ'ესერ ხესმი** (ბქ.) — ყური იმიტომ არ იზრდება, რომ ყოველთვის სხვადასხვა ესმისო.

მადილუ ლოქ ხ̄არ ღ̄ერბათს, **შიდობდ ერ ანღრიდ**"! (ლშხ. სვან. ქრესტ., 1978, 252: 4-5) — დიდება („**მადლ**-ი-მცა-ო აქვს") უფალს („**ღმერთ**-ს"), მშვიდობით რომ მოდიხართო

დამოკიდებული წინადადების მთავრისადმი დასაქვემდებარებლად გამოყენებულია: მაქვემდებარებელი კავშირები **ერე ‖ერ ‖ ერ ‖ ე** („რომ"), **აღშე** („თუ") **ე̄სა** („თუ") და საკავშირებელი სიტყვები — მიმართებითი ნაცვალსახელები **მა̈** („რაც"), **იმა̈ჯი ‖ იმჟი̄ნე̄ნი** („როგორც"), **ხედი̄** („რომელიც"), **ჯარსი̄** („ვისაც") და მიმართებითი ზმნიზედები **იმა̈ჯხო**, **იმგშა** („სადაც"), **იმთე̄ჯ** („საითაც"), **შოდ ‖ ოდ დო** („სანამდეც").

ხშირად რთულ ქვეწყობილ წინადადებაში არ არის წარმოდგენილი მაქვემდებარებელი კავშირი **ერე** („რომ") და **შოდ ‖ შოდ დო** (სანამ) საკავშირებელი სიტყვა, შესაბამისად, გვაქვს უკავშირო შეერთება, თუმცა მათი აღდგენა ადვილად ხერხდება.

უკავშირო ჰიპოტაქსურ წინადადებაში დამოკიდებულისა და მთავარი წინადადების ურთიერთობა არაფრით განსხვავდება კავშირიანი ქვეწყობილისაგან. დამოკიდებული წინადადებები ისევეა მთავრის ამხსნელი და ისევე მიემართება მთავარს, როგორც კავშირიანში. მაგ.:

მგჰი ლეხლერ მახად ლამღშ̈აჲს ხეტეხეს, **ეჩეჩშოღშ ლი ისგე ლაქუნ** (ბქ., სვან. ქრესტ. 1978, 174:12-23) — მწიფე ხილნარი („სა-**ხილ**-ე") ხელახლა ყვაოდეს („ახლად ყვავილობას ებრუნებოდეს"), იქ („იქმცა") ყოფილიყოს („იყოს") თქვენი სასუფეველი („სასულეთი")

ანჭედენიხი ლოქ ბაზი ა̈გხო, **ეჩქა ლოქ ჯეჩო თშალისეირს**" (ლნტ. სვან. პრ. 175:38) — მოხვალო ამაღამ სახლში, მაშინ გიზამო თვალის სეირს

ჩ̄ი ხინ ი ხიად ხ̄ა̈ც, **ეჩქას ისგშა ლა̈ზგაისგა ლა̈ლჭ̄ა̈ლ-ლა̈კ̄ლჲა̈ლუ ლი**! (ბზ., სვან. ქრესტ. 1978, 55:28) — ყველას ლხინი და სიხარული აქვს, მაშინ შენს ოჯახში („სამოსახლოში") მოთქმა-კივილი („სა-**კივ**-ლ-ელ-ი-მცა") იყოს („არის")!

ალ მეპე̄რუნ̄ა̈ლ მიჟილდ აგეჭს, **ეჩქადუ გარ ამგეჭე̄ლი ისგუ ლადა̈ღ**! (ბზ., სვან. ქრესტ. 1978, 56:6) — ამ („ეს") მფრინავმა („მფრინავი") მზემ („**მზე**-უკა") გაძლოს, აი, მხოლოდ მანამდე („მაშინადმცა") გაგეძლოს („გაძლებულა შენი **დღე**")!

ეჩქად ნოსამ̄აშ ეჯჯე̄ჩახ ი ეჯტ̄ემახ, მი ეჯგრბიელა სგაჲ (ჩოლ.) — მანამ არაფერი მოგენელებინოთ, მე არ გამოგიცხო თქვენ

ეჯკაჲდ აჲლგნძღაშნე, **რიონ დეშ აჲრგჩხნი** (ლშხ.) — ისე გაგლანძღავ, რიონი ვერ გაგრეცხავს („გაგავლებს").

ალა ს'ა̈ჯწ̄უხშ̄ა, **ამჟ̄ინუ აჯწ̄უხშ̄ენა ლიზგე-ლირდე**, **ისგშა იშალადა̈ღ**! (ბზ., სვან. ქრესტ. 1978, 56:38) — შენ ეს გაამწარე („შე-გ-ი-**წუხ**-ებ-ია"), ასე გა-

მწარებულიყოს („შე-გ-**წუხ**-ებ-ია“) შენი ცხოვრება („მოსახლეობა-ყოფა“), მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე („**ევა**-ˮსˮ **დღე**“)! (მისათებელი აღსადგენია).

დრს ხოწუენს ი ხომჳერენს, **ეჯკალიბ მაზიგუ აჯთხანენახ** (ბზ., სვან. ქრესტ. 1978, 56:9) — არავის არ ენახოს და გაეგოს, იმისთანა („ის **ყალიბ**-ი“) ავადმყოფობა („ტკივილიმცა“) შეგეყაროთ („გამოგჩენიათ“) და („წაეღოს“)!

მთავარ წინადადებაში მისათითებელ ანუ საკორელაციო სიტყვებად გამოყენებულია **ეჯი** („ის“), **ეჩის** („მას“), **ეჩშელდ** („იმდენი“), **ეჯკალიბ || ეჯკაჲდ || ეჯკაჲდ || ეჯკალი || ეჭკა || ეჲკაჲ** („ისეთი“), **ამჟი ||ამჟინ** („ასე“), **ეჯგუშარდ || ეჯკაჲდ** („ისე“), **ეჩქად** („მანამ“), **ეჩქა || ეჩქას** („მაშინ“), **ჩიაგუ** („ყველგან“), **ჩინენ** („ყველა მხრიდან“) **ეჯუინენ || ეჩუინუ || ეჯჟი** („ისე“), **ეჯლა** („იმიტომ“), **ეჩეჩუოლუ** („იქ“) ნაცვალსახელები და ზმნიზდები.

მსგავსად დამოკიდებული წინადადებებისა, სადაც გამოტოვებული იყო მაქვემდებარებელი კავშირები, მთავარ წინადადებაშიც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს მისათითებელი სიტყვების გამოტოვება, რომლებიც კონტექსტის თანახმად ივარაუდება და თავისუფლად აღდგება:

ნოსაუ ახიენა თამფა ცაშ, ჲარსი მიშგუი ნაცუდილაჲლ სგა ლოხ-ჩხატურენს (ჩოლ.) — არ მოსწრებოდეს აღდგომის ხუთშაბათი, ვისაც ჩემი ნაწვალები („ნაცოდვილარი“) მიეთვისოს

მიჩა დედე ქუნარე სამგრთალ ლოქ ესა წუანდეს, **ალე სარკ ჟინუ ახყუიფუნე ი აგითეუ ათჲესუნე**!“ (ლშხ. სვან. პრ. 79:10) — დედაჩემის სულის („სულების“) სამართალი თუ ჩანდეს, ეს სარკე ამომაძრობინეო („ამოაძრობინამცა“) და შინ წამაღებინეო („წააღებინა“)!

ისგე ლაშგდაშ პატიუ ე დეშ ჯაყრიდ, **ნომა ნანდროუად მაღდაანუ**! (ბქ., სვან. ქრესტ. 1978, 174:12-23) — თუ თქვენი საკადრისი პატივი ვერ გეცით („დაგმართოთ“), არ დაგვენდუროთ მადლიანებო!

ჯგგრაგ მიჩა ცხუისუ ჯატყცი ყოქანჩუნ, **ერე ზისხ ეშ ჯიჩხრგნედს**! (ბზ., სვან. ქრესტ. 1978, 56:32) — წმინდა გიორგიმ („წმინდა გიორგი“) თავისი („თავის“) ისარი („ტყვიას“) გესროლოს („გირტყამს“) ზემოდან ˹ისე˺, რომ სისხლი თქრიალით მოგდიოდეს („ისე გ-ი-**ჩხრ**-იალ-ებ-დ-ეს“)

მგყრნტალ ლოქ ერ ჰედნიხ, **ეჯაარს ეშხუ ლიჰედ მუსი ლოქ ხაჭიმ** (ლშხ. სვან. პრ. 30:12) — ჩიტები რომ მოდიან, იმათ ერთი მოსვლა თოვლიც მოსდევთო

ხამ ლოქ ერ ჩუიბზი, ღობრას ლოქ ქა ასპე (ჩოლ.) — ღორი რომ გაძღება, საჭმელს გადააბრუნებსო

წარმოდგენილ ილუსტრაციებში აღსადგენია **ეჯი** („ის“), **ეჯჟი** („ისე“) და **ეჩქა** („მაშინ“) მისათითებელი სიტყვები.

იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთდროულად დამოკიდებულში **ერ** („რომ“) მაქვემდებერებელი კავშირია გამოტოვებული და მთავარში **ეჩქა** („მაშინ“) კორელატი:

მინდჳერს ესღგრდედ, **მეხი ბედიშუ ხი**, **თანაღს ესღგრდედ**, **ჟაჰი ბედიშუ ხი**, **ცხეკს ესღგდედ**, **დაჳრეშ ი ნადრარეშ ი წეჳრარე ბედიშუ ხი**, **ლახჳარს ესღგრდედ**, **კოჯა ბედიშუ ხი**, **ლგცქ'ესღგრდედ**, **ჰჳეკი ბედიშუ ხი**... (ბზ. სვან. ქრესტ. 1978, 56:22-25) — მინდორში („**მინდორ**-ს“) მიდიოდე, მეხი დაგეცეს („**მეხ**-ი˥ს˥ **ბედ**-ის-მცა ხარ“), უღელტეხილზე („უღელტეხილს“) გადადიოდე („მიდიოდეთ“), ზვავმა წაგიღოს („**ზვავ**-ი˥ს˥ **ბედ**-ის-ად-მცა ხარ“), ტყეში („ტყეს“) მიდიოდე, დევების, ნადირისა („ნადირების“) და მწევრების ლუკმა გამხდარიყავი („**ბედ**-ის-ად-მცა ხარ“), მთებზე („მთებს“) გადადიოდე („მიდიოდეთ“), კლდეზე გადავარდნილიყავი („კლდი˥ს˥ **ბედ**-ის-ად-მცა ხარ“), წყალზე გადადიოდე, ძელზე გადავარდნილიყავი („**ჰოკა**-ს **ბედ**-ის-ად-მცა ხარ“).

სვანურში მაქვემდებარებელი კავშირის ადგილი დამოკიდებულ წინადადებაში საკავშირებელი სიტყვისაგან განსხვავებით უფრო თავისუფალია, იგი ან იწყებს წინადადებას ან დამოკიდებულის შიგნითაა მოქცეული, უფრო მეტიც შეიძლება ზმნისწინსა და ზმნა-შემასმენელს შორის აღმოჩნდეს, ხოლო საკავშირებელი სიტყვა, ძირითადად, დამოკიდებულის თავშია მოქცეული და იშვიათად გვხვდება წინადადების შუაში:

ერ ახღელდე სედას, ეჩქა ნოსაჳ ჯაღრისენა შომა (ჩოლ.) — რომ ელოდებოდე გადარჩენას, მაშინ არ გღირსებოდეს დასვენება

ყვალს აჯყუილე ეჯჟი, **ერე** რიჳენ დეშ აჯშყოდნე (ჩოლ.) — ისე გაგლანძღავ, რომ რიონი ვერ გაგრეცხავს

ეჯიჳ ოხკიდად ლამარიას, ეჯდარ **ერ** ენძგირბრლანხ (ჩოლ.) — ისე ამოეწყვიტეთ წმ. მარიამს, ისინი რომ ამოიძირკვნენ

ამაბასდ **ქა მა აჯკალნენხ**, ეჯი ეჯაბასდ ხოჩამშჳოღჳ ლაჲტეხახ (ბქ., სვან. ქრესტ. 1978, 174:12-23) — ამ ქვეყნად („სააქაოს“) თუ რამე დაგაკლდათ („დაგ-**კლ**-ებ-ოდ-ე-თ“), ის იმ ქვეყნად („საიქიოს“) აგნაზღაურებოდეთ („კარგითმცა დაგბრუნებიათ“).

ჳოდ ლოქ ამნემ ხოჩა დრს ხაყრის ამანღო, ეჩქად ისგჳე ხოლა ნრსუ ლოქ ხასმა!“ (ლშხ. პრ. 9:14) — სანამ ეს („ამან“) აწი („ამის მერე“) ვინმეს („არავის“) სიკეთეს („კარგი“) გაუკეთებს („დამართოს“), მანამდე თქვენი ცუდი არავის გაეგოს („სმენია“)!“

დეციშ ი გომი ნესკა **ოდ დო** ანღგრდეს ლიც, ეჩქადჳ მაყახი ხოჩამდ (ჩოლ.) — ცისა და მიწის შუა სანამდეც წყალი მოდიოდეს, მანამ მყოლოდე კარგად

მთავარი წინადადების ძირითადი კომპონენტი საკორელაციო სიტყვა, უმეტესწილად, იწყებს წინადადებას, თუმცა შეიძლება შუაშიც შეგვხდეს და წინადადების ბოლოშიც:

ეჯიი გეზალჳ აჯშგირენა წიწილშალ, ხედი მაშენე ჯალტგნდეს (ჩოლ.) — ის შვილი მოგკვდომოდეს წიწილასავით, რომელიც მეტად გიყვარდეს

იმედ ქრისტე ტაბაგ ხამზგრა, ისგჳე ლაქუნ **ეჩეჩჳ** ლი (ჩოლ.) — სადაც ქრისტეს ტაბაგია დალოცილი, თქვენი განსასვენებელი იქ ყოფილიყოს

ჩ̄ს ერ ტაშ-ფანდურს ხ̄დეს, ისგუ̄შმოყ უ̄ად-უ̄არ̄უ̄ ლი **ეჩქა** (ლშხ.) — ყველას რომ ტაშ-ფანდური ჰქონდეს, შენთან მოთქმა ყოფილიყოს მაშინ

სამეცნიეროლიტერატურაში ფრაზეოლოგიზმების შემცველ ქვეწყობილ წინადადებების განხილვისას გვხვდება ,,საკავშირებელი ფრაზოლოგიზმის" ცნებაც: „ფრაზეოლოგიზმის მთლიანობებში სრულმნიშვნელოვანი გამოთქმების გვერდით ათავსებენ რთულ საკავშირებელ ერთეულებსაც, რომლებსაც გაქვავებული სინტაქსური ფორმები აქვთ... საკავშირებელი ერთეულები მარეგულირებლის როლში გამოდიან სრულმნიშვნელოვანი სიტყვებისა და ფრაზეოლოგიზმების მიმართებაში. მათი აზრობრივი შინაარსი გამოხატულია მათი გრამატიკული კავშირებით... საკავშირებელი ერთეულები... მნიშვნელობის მქონე ფრაზეოლოგიზმებისაგან განასასხვავებლად შემოაქვთ ,,საკავშირებელი ფრაზეოლოგიზმის" ცნება"(თაყაიშვილი1961: 94).

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებულის ადგილი მკაცრად არ არის განსაზღვრული. მთავარის მიმართ დამოკიდებული წინადადების პოზიცია სამგვარი შეიძლება იყოს: დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს, მოსდევს მას, ანდა მთავარ წინადადებაშია მოქცეული.

დამოკიდებული იწყებს ჰიპოტაქსურ წინადადებას

ანჳედენიხი ლოქ̆ ბაზი ა̈გხო, ეჩქა ლოქ̆ ჯეჩო თუ̄ალისეირს" (ლნტ. სვან. პრ. 175:38) — მოხვალო ამაღამ სახლში, მაშინ გიზამო თვალის სეირს

ეჩის დეცე ლაჯუ̄რა ლოქ̆ ათკარე̄ნა, ეჩთა̄ნ ბედენიერ მა̄რე ლოქ̆ ლი ი ეჩთა̄ნ ხოჩა გუ̄ეშ ლოქ̆ ხაყრა (ლშხ. სვან. პრ. 17:9) — იმას ცა („ც-ი˹ს˺ სარკმელი") გაეხსნაო („გაღებია"), იმისთანა ბედნიერი ადამიანი არისო და იმისთანა კარგი საქმე დაემართაო

უ̄ოდ მი დრ̄სა ჯა̄მნა, ეჩქად ნრ̄სმა̄უ̄ ლეჲმამა (ლშხ.) — სანამ მე არ გაჭამო, მანამ არაფერი გეჭამოს

დამოკიდებული მოსდევს მთავარ წინადადებას:

ეჲკაჲ ‖ ეჯკალი ლირდე̄უ̄ ეჲჯ̄და, **ცხუ̄ადის'ე̄რ მერხელს ხა̄რ** (ლშხ.) — ისეთი ცხოვრება გქონოდეს, ქვაბში რომ ჭინჭარს აქვს

ეჯ̄უ̄ ათღერა მიჩა დედეს, **იარსი̄ ეჩა ხოლა ხეკუ̄ეს** (ჩოლ.) — ის მოჰკვდომოდეს თავის დედას, ვისაც მისი ცუდი უნდოდეს

დამოკიდებული წინადადება მთავარშია მოქცეული:

ლამა̈რია ჳუ̄იდიშ გა̄ნთხა̈რს ი ასუ̄ა̈რსუ ჯიკუ̄ნკუ̄ე, დე̄მ ანღელდე̄დ, ეჩქას! (ბზ., სვან. ქრესტ. 1978, 55:18) — ხვიდის წმინდა მარიამი ფეხების უკანა მხარეს და სხეულის ნაწილებს („**ასო**-ებ-ს-მცა") გიკაკვავდეს, როცა არ ელოდებოდეთ, მაშინ!

ჩიჲა̈ ლასე̄ნტყუ̄ა̄დუ ა̈მსედეხი, **ჰა̄ლ ჩუ მესდე ხი**, **ამჟი**! (სვან. ქრესტ., 1978, ბზ., 57:2) — ყველას თავში ხელების წასაშენი გამხდარიყავი („დარჩენილხარ"), როგორც ხარ („დარჩენილი ხარ"), ისე („ასზე")!

ჲელ ლიუჭმჳლ ლენთუ ჯატყცი მიჩა მგლჳმს, ლეზგგრჩუნ ლუმჭუმუ ხესუდ, ეჩქა! (ბზ.,სვან. ქრესტ. 1978, 55:26-27) — წმინდა ელიამ („**ელია**“) შობის მარხვის ღამეს („ღამემცა“) დაგარტყას („გირტყამს“) მეხი („ნაპერწკალს“) სახურავიდან იყოთ, მაშინ!

ბგლჳად მგნადუ ეჯჭედა, იმუჳღენ ათჳგნ ამის, ქგთხგლდუ ჳმრეღუხი! (ბზ., სვან. ქრესტ. 1978, 56:37) — ნაფლეთებად გაქციოს („ნაფლეთებად და-მ-**დგ**-ომ-ად-მცა მოგსვლია“), რასაც მიადექი („და-ა-**დექ**-ი“) ამან („ა-**მ**-ა-ს“) და მუწუკებად („მუწუკებადმცა“) ქცეულიყავი („და-**რღვ**-ეულ-ხარ“)

ჰიპოტაქსურ წინადადებაში, როგორც ცნობილია, ხშირად ერთ მთავართან ორი დამოკიდებული წინადადებაა შეწყობილი. ამ დამოკიდებულთაგან ან ორივე მთავარს მიემართება და გვაქვს თანადაქვემდებარება, ან ერთი მიემართება მთავარს, ხოლო მეორე დამოკიდებულის ამხსნელია და შესაბამისად, ასეთ ურთიერთობას თანამიმდევრული დაქვემდებარება ეწოდება.

სვანურშიც, ქართულის მსგავსად გვაქვს ერთგვარი თანადაქვემდებარების შემთხვევები, როცა დამოკიდებული წინადადებები მთავრის ერთსა და იმავე წევრს მიემართებიან (ხსნიან) და, შესაბამისად, ყველა ერთი და იგივე სახისაა, მაგ.:

სოფლიშ მჳე ხოჩამდ ჴედენდენდს, ეჯას გარ მრდ ხეშდჳბხ, მინე ხოჩჳმდ სოფლი ხოჩა მრდ ჳნცხენახ, ჟიხი ი ჩუხი ჩუ დჳრ ესყედჳნახ ი მუგუქა მრდ ესღგრდენდხ, ნჳთი ი მეჰერ მუგუდ მრდ ესყედჳნახ, ალ ხჳტ აშხუ ესერ ქ'ჳუ ხაბჳჴუნ ი მენრმაჟინ წინწილშჳლუ ჳშგრეხ!“ (ბზ., სვან. ქრესტ. 1978, 95:36-39) — სოფლისთვის რაც კარგი („კარგად“) იყოს („მოდიოდეს“), მხოლოდ იმას რომ არ ცდილობდნენ („მუშაობდნენ“), საკუთარს („მათ კარგად“) სოფლის სიკეთე („კარგი“) არ ირჩიონ და სისწორეზე („სწორზე“) არ მიდიოდნენ, ნათესავი და არანათესავი („უცხო“) ტოლად („სწორად“) რომ არ მიიღონ („დაიკავონ“), (მაშინ) ეს ხატი ერთხელ აცდეთ და მეორედ სული გააფრთხობინოს („**წიწილა**-ს-ავით-მცა ახრჩობენ“)

ოშუჳდ ბჳჩ ნჳე უშხუჳრჟინ ოთგედ, ოშუჳდ ნარმეცხ კირ, ოშუჳდ კუნკუილ ქუიშე ხაჴმარა ალ ქორს, ეჩშელდ ხოჩენრობა ლჳხო, მჳლდჳნ სოლომნ, ალ ქორს (ბზ., სვან. ქრესტ. 1978, 111:42-43 — 112:1-5) — რამდენი ქვაც ჩვენ ერთმანეთზე დავადეთ („ა-ვ-ა-**გ**-ე-თ“), რამდენი ნამცეცი კირი, რამდენი მარცვალი ქვიშაც ამ სახლს ახმარია, იმდენი („ის რაოდენობა“) კარგი („კარგეულობა“) მიეცი, მადლიანო სოლომონ, ამ ოჯახს

პირველ ილუსტრაციაში მოცემული დამოკიდებული წინადადებები ხსნიან მთავარში ნაცვალსახელით გადმოცემული ქვემდებარის შინაარს, მეორე ქვეწყობილში კი განსაზღვრებას.

განხილულმა მასალამ ცხადყო, რომ სვანური მდიდარია დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველი გარემოებით დამოკიდებულიანი წინადადებებით (რასაც ვერ ვიტყვით ანდაზებზე), აქედან მეტი წილი დროის გარემოებითი წინადადებაა, ხოლო რაც შეეხება შემასმენლურ, ირიბ დამატებით და უბრალო დამა-

ტებით დამოკიდებულ წინადადებებს, ისინი ვერც ფიქსირებულ და ვერც ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებულ მასალაში ვერ დავაფიქსირეთ.

ლიტერატურა

თაყაიშვილი 1961 — ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი.

ცოცანიძე 1999 — გ. ცოცანიძე, ფრაზეოლოგია – მისი ლინგვისტურ-დიალექტოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ასპექტები. ქართველური მემკვიდრეობა, II, თბილისი.

NATO SHAVRESHIANI

Hypotactic Sentences Expressing Blessing, Cursing and Threatening in Svan

S u m m a r y

A discussed material clarified, that Svan is rich with subordinate clauses expressing blessing, cursing and threatening. There are the abundance of subordinate clause of adverbial modifier (of time, place, condition, cause), subject subordinate, direct object subordinate and attributive subordinate clauses. As regards other groups of subordinate clause (predicative subordinate, indirect object subordinate, simple object subordinate and subordinate clause of adverbial modifier of purpose clauses) they are not fixed in already fixed material as well as the material obtained by me during a field work.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXXIX 2011

იზა ჩანტლაძე

ქართული ენის სამხრული დიალექტები კომპარატივისტიკის თვალსაზრისით

დღემდე ცნობილი ყველა ისტორიულ-შედარებითი ლექსიკონის ავტორები (მ. ჯანაშვილი, არნ. ჩიქობავა, კ. შმიდტი, გ.კლიმოვი, ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი, მ. ჩუხუა, მ. ქურდიანი) კონკრეტულ ძირთა ეტიმოლოგიური კვლევისას ძალზე ხშირად მიმართავდნენ არა მხოლოდ სალიტერატურო ქართულისა თუ ზანურ-სვანური ენების მონაცემებს, არამედ თანამედროვე ცოცხალი დიალექტების მასალებსაც, რომლებშიც არაერთი არქაიზმია შემონახული.

ამ მხრივ მეტად სპეციფიკურია სამხრული დიალექტების ვითარება, სადაც თურქულ-სპარსულ ენათა გავლენით დაფიქსირებული ინოვაციების გვერდით გარკვეული მორფონოლოგიური არქაიზმებიცაა დადასტურებული, რომელთაც შეუძლიათ ესა თუ ის კორექტივი შეიტანონ თვით კლასიკურ ბგერათშესატყვისობათა ამსახველ ილუსტრაციებშიც კი.

ამჯერად შევეხებით „ძაღლის“ აღმნიშვნელ **ძალ**- (ქართ.), **ჯოღ**- (ზან.) და **ჟელ**- (სვან.) ძირებს. ჯერ კიდევ გ. როზენისა (1847 წ.) და ნ. მარის (1914 წ.) შრომების შემდეგ ცნობილია, რომ სვანური ლექსემის ანლაუტში თანხმოვნის დეზაფრიკატიზაცია ხდება: ქართველურ სიბილანტთა ფონოტაქტიკური წესების მოქმედების შედეგად (**ძ**>**ჯ**>**ჟ**) ვღებულობთ შიშინა მჟღერ სპირანტს, რომელიც მომდინარეობს შესაბამისი სისინა მჟღერი აფრიკატისგან. მათ შორის გარდამავალია შიშინა მჟღერი აფრიკატი, რომელიც დღეს დადასტურებულია მეგრულ-ჭანურში.

სპირანტული ვარიანტი **ზალ**-არ-ი („მეძებარი, მშიერი, მოხეტიალე ძაღლი“) გვხვდება ქართული ენის ჯავახურ მეტყველებაში (ბერიძე 1981:56), რომელიც დღემდე არც ერთ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში არ ყოფილა ასახული ფორმათა შეპირისპირებისას. ბუნებრივია, რომ იგივე ვითარებაა ანლაუტის თანხმოვანთან დაკავშირებით ინგილოურ და იმერხეულ დიალექტებში („ზაღლი“), ხოლო აჭარულსა და ფერეიდანულში დაცულია ამოსავალი აფრიკატი („ძაღლი“).

რაღა თქმა უნდა, ერთი მხრივ, სვანური ენის, ხოლო, მეორე მხრივ, ქართული ენის სამხრული დიალექტების მონაცემები სხვადასხვა ქრონოლოგიურ სიბრტყეს ასახავენ: პირველი სპირანტიზაცია (**ძ**>**ჯ**>**ჟ**) უძველესი საფეხურის ანარეკლია, შეპირობებული ქართველურ ენათა ისტორიული განვითარების შინაგანი კანონებით, ხოლო მეორე (**ძ**>**ზ**) შედარებით ახალია, გამოწვეული

გარეგანი ფაქტორებით (უცხო ენათა გავლენით).

საყურადღებოა, რომ **ძაღ**- ძირი ჯავახურის არაერთ ლექსემასა და სინტაგმაშია დადასტურებული („ძაღლი“, „ძაღლაჭინჭარი“, „ძაღლბალახა“, „ძაღლი კუდი“, „ძაღლი ყეფა“, „ძაღლი ძუძუ“, „ძაღლი მეცხვრისა“, „ძაღლამარწყვა“, „ძაღლნიორა“, „ძაღლხახვა“, „ძაღლყურძენა“, „ძაღლური“,...), ხოლო იმერხეულში ფონემა **ძ** საკმაოდაა გავრცელებული, ოღონდ არა „ძაღლის“ აღმნიშვნელ სიტყვაში. მოსალოდნელია, რომ „ზაღლი, ზაღლიმარწყვაი, ზაღლაი“ და მისთანები თავდაპირველად საუკუნეების წინ თურქეთის ტერიტორიაზე მოხვედრილი ჯავახების შთამომავალთა მეტყველებაში დასტურდებოდა და მერე აქედან გავრცელდა ისტორიული ტაო-კლარჯეთის მთელ ტერიტორიაზე.

საჭიროა ექსპერიმენტული ფონეტიკის მეთოდებით იქნეს შესწავლილი, აჭარულ დიალექტში რატომ არ დასტურდება **ძ**>**ზ** პროცესი (ჯერ-ჯერობით ამის მაგალითებს ვერ მივაკვლიეთ), ხოლო იმავე თურქული ენის გავლენით იმერხეულში იგივე მოვლენა ხან გვაქვს და ხან — არა. რაც შეეხება ინგილოურ დიალექტს, აქ აზერბაიჯანულისა და მეზობელი ხუნძური ენის ზემოქმედება ქართული ენის ისტორიულ კახურ მეტყველებაზე იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ამ სისტემიდან საერთოდ გამოიდევნა **ძ** და **ჯ** აფრიკატები.

სპარსული ენის გარემოცვაში ფუნქციონირებული ფერეიდნული დიალექტი ცდილობს, შეინარჩუნოს **ძ** ფონემა.

ზაღ-არ-ი საინტერესოა სუფიქსის თვალსაზრისითაც, რომელიც მეგრული **ჯოღ**-ორ'ის ანალოგიური ჩანს თანხმოვნის მხრივ. ამგვარი რამ სრულიადაც არ არის გასაკვირი სამცხურ-ჯავახურ დიალექტში, სადაც კარგა ხანია შენიშნულია მეგრულ გრამატიკულ მოვლენებთან ინტერფერენცირებული ფაქტები. სპეციალურ ლიტერატურაში რაც შეეხება -**ა**- ხმოვანს, ის შესაძლოა უძველესი საფეხურის (**ძაღ**-**ლ**-< ***ძაღ**-**ალ**- ან ***ძაღ**-**ლ**-) ამსახველიც იყოს. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ ფორმის არსებობაში რამე წვლილი თურქულ სინჰარმონიზმსაც მიუძღოდეს.

იყო თუ არა სვანურ ენაში ანალოგიური სუფიქსი „ძაღლის“ აღმნიშვნელ სიტყვასთან? დიახ, იყო და ესაა -**ჟ** სონანტი.

სხვადასხვა დროს არაერთ მკვლევარს უმსჯელია აღნიშნული მონაცემის როგორც ენობრივი ფაქტის (და არა როგორც ენათმეცნიერის მიერ აღდგენილი სავარაუდო ფორმის) შესახებ; 1969 წლამდე არც არავის შეუტანია ეჭვი **ჟეღ**-**ჟ** ფორმის რეალობაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ნაშრომს „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ (1965 წ.), რომელშიც მხოლოდ 85-ე გვერდზეა ნათქვამი, რომ „**ჟეღჟ თითქმის გამოსულია ხმარებიდან**, **ჩვეულებრივია** „**ჟეღ**“, სხვაგან კი **ჟეღჟ** განიხილება იმ ფორმათა შორის, სადაც წარმოდგენილია ქართულ-სვანური **ლ** : **ჟ** შესატყვისობის ამსახველი მასალა. ბუნებრივია, თუ ამ დროისათვის **ჟეღჟ** თითქმის გამოსულია ხმარებიდან, სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ 1938 წელს არნ. ჩიქობავამ ეს ფორმა საგანგებოდ წარმოადგინა

ჟელ˹უ˺-ის სახით „ჭანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონზე“ დართულ შეცდომათა გასწორებაში, რითაც ხაზი გაუსვა იმას, რომ, მაშინ სვანურში იხმარებოდა როგორც **ჟელუ** ისე **ჟელ** ვარიანტები და არამც და არამც მხოლოდ **ჟელუ** რომელიც წიგნის ასოთამწყობისა თუ კორექტორის დაუკვირველობის გამო ნაშრომის ძირითად ტექსტშია გაპარული.

მაშასადამე, საქმე გვქონია არა **თანამედროვე ენობრივი ფაქტის მცდარ ჩაწერასთან**, როგორც ეს ალ. ონიანის მონოგრაფიაშია („ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები“, გვ.169) კვალიფიცირებული (მაშინ იგივე ბრალდება მით უფრო წაეყენებათ თითქმის სამი ათეული წლით გვიან გამოცემული ნაშრომების ავტორებს — თ. გამყრელიძეს, გ. მაჭავარიანს — 1965 წ., მ.ქალდანს — 1969 წ.), არამედ მცდარად დაბეჭდილი მასალისადმი ძალიან ფრთხილად დამოკიდებულებასთან. რომ ეს ასეა, ჩანს არნ. ჩიქობავას მომდევნო გამოკვლევიდან „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, სადაც 1938 წელს **არასწორად ფიქსირებული ენობრივი ფაქტი კი არ დაზუსტდა** (ონიანი 1989:198), არამედ აუსლაუტში წარმოდგენილი **-უ** ბგერის არამდგრადმა ბუნებამ განაპირობა შესაბამისი ფორმის მრავალჯერადი შემოწმება მთქმელებთან, რათა ნაჩვენები ყოფილიყო, ორი შესაძლო ვარიანტიდან (**ჟელუ/ჟელ**) რომელს ჰქონდა თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში დამკვიდრების ტენდენცია.

დიდ ენათმეცნიერს, რომელიც სულ იმაზე ოცნებობდა — ნეტავ შეიძლებოდეს სამეცნიერო მივლინებებისა და ექსპედიციების მოწყობა ცოცხალ მეტყველებაზე სამუშაოდ არა წელიწადში ერთ თვეს, არამედ — თერთმეტსო, სწორედ რომ არ შეეშლებოდა ლინგვისტურ მონაცემთა ფიქსირება. **პიროვნება, ვინც მოწაფეებისგან მკაცრად მოითხოვდა უმწერლობო ენათა გამოწვლილვით, სოფელ-სოფელ შესწავლას (რადგანაც ეს ძალზე საშურ საქმედ მიაჩნდა!) თავის გამოკვლევებში საანალიზო მასალას ჰაიჰარად არ შეიტანდა.**

აქვე შევნიშნავთ, რომ ვ. თოფურიას ნაშრომში „ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით“ (1944 წ.) განხილულია მხოლოდ **ჟელ** ფორმა. იგივე მდგომარეობაა გ.მაჭავარიანის მიერ 1950 წელს ჩაწერილ ლაშხურ ტექსტებშიც (ინახება არნოლდ ჩიქობავს სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების არქივში). ვფიქრობთ, რომ ლაშხურ-ლენტეხურშიც, საზოგადოდ, უფრო ადრე დაიკარგა აუსლაუტის **-უ** (მათ შორის **ჟელუ** ფუძეშიც), ვიდრე ზემოსვანურ დიალექტებში.

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ XXI და XXIII ტომებში გამოქვეყნებული ფერეიდნული ტექსტების ძალზე მცირე (13 გვ.) ლექსიკონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, **ძ** გრაფემა დადასტურებულია ოცზე მეტ შემთხვევაში, ამათგან ყველაზე ხშირად ლექსემაში „ძმა“ (**გაძაბვა** — ქსლის ძაფების გაბმა საქსოვ დაზგაზე; **ძივების** გორვება — გოგონების თამაში, **მამაძაღლი** — სა-

ლანძღავია, ძროხა*[1], **ბიძას ბიჭი** — ბიძაშვილი ვაჟი, **ახანძალი** — პატარძალი, **ძმის დედაკაცი** — რძალი, **მინაძღა** — ვინ, **რაძღა** — რა, დაძმავდითო — დაძმობილდითო), ხოლო მისი დეზაფრიკატიზებული ვარიანტი — **ზ** სპირანტი გვხვდება მხოლოდ ორჯერ (**ზალი** „რძალი“, **ზე** „რძე“).

ალბათ, სპარსულის გარკვეული გავლენის ბრალია ისიც, რომ **ძ/ზ** ფონემები ერთმანეთს კანონზომიერად (სპირანტიზაციის გზით) კი არ ენაცვლება, არამედ ისინი 400 წლის წინ დედასამშობლოდან სპარსეთში გადაკარგულ ქართველებს შეიძლება ერთმანეთშიც კი აერიოთ:

თაის **საძღოწარსაყე** გაიდაღა და თამაშობა წააგო (იკე, XXIII,183,3), შდრ. ძვ. ქ. **საზღვარი/საზღაური**, ახ. ქ. **საზღვარი**.

თუმცა საანალიზო ლექსემაში **ძ** შეიძლება სხვაგანაც დადასტურდეს. ასე მაგალითად:

საზღაური არს სიტყვა მოკლე საცნაურ მყოფელი საქმისა წინა მდებარისა, არსებობისა მსწრაფლ გარე შემცვლელი, ძალსა გულის ხმის მყოფისასა; ხოლო **საზღვარი განსაძღურებასაცა** დაჰნიშნავს და საზღვრის დადებასა და დასასრულსა, ვითარ იგი საზღვრად ადგილისა სხვათა ადგილი და რიცხ', რომელ საზღვარ ყოს ვინმე (საბა).

ქართველოლოგთა (ვ. თოფურია, გ. როგავა, გ. მაჭავარიანი, ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი,...) შორის აღიარებულ კიდევ ერთ ფონემათშესატყვისობას თუ გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ თურმე იქაც ყოფილა აუცილებელი ქართული ენის სამხრული დიალექტების ჩვენებათა გათვალისწინება. ესაა ძვ. ქ., ხევს., ქიზ. **ჩხიბ**-ვ-ა „ხლართვა, გრძნება“ და სვანური ლი-**შხბ**-ი (ზს.,ლშხ.) < ლი-**შხებ**-ი (ლნტ) „კერვა“, რომელშიც მეგრულ-ლაზური მონაცემები არასდროს ყოფილა გათვალისწინებული, თუმცა იქაც **ჩხ**- კომპლექსი ივარაუდებოდა ამოსავლად, ოღონდ ლაზურისა და სვანურისთვის კითხვის ნიშნის ქვეშ (მაჭავარიანი 1965 : 85). თუ „გრძნეულების“ სემანტიკიდან ამოვალთ, მაშინ შეიძლებოდა გაგვეთვალისწინებინა მეგრული ზმნური ფორმები და ნაზმნარი სახელები: **ჩხიბ**-უნ-ს („თვალავს“), მა-**ჩხიბ**-ალ-ი („გამთვალავი“), გო-**ჩხიბ**-ირ-ი („გათვალული“), შდრ. ძვ. ქ. **ჩხიბ**-ავ-ს („ათვალიერებს, უკვირდება, სინჯავს“).

ვფიქრობთ, ფერეიდნული დიალექტის მოხმობა მეტ სინათლეს მოჰფენს ზემოაღნიშნულ ფონემათშესატყვისობას:

ჩა-**ცხიბ**-ვ-ა („ქალქიტის ჩარტყმა ქსლის ქსოვის დროს“);

„ოთხი ყალიჩა („ხალიჩა“) მაქ, ძალიან კარგებია... ერთი დანა გუჭირავ, ერთი სავარცხელი გუჭირავ, ერთიც მაკრატელი. ექით ამოიღეფთ, ემას ომოვათრევ დ'ემასაც მოვჰკრენჭავ, ქირქიტიც („ირმის ან ჯიხვის რქისაგან გაკეთებული საქსოვი ხელსაწყო) გოქ, „ჩა-ვ-**ცხებ**-ავ-თ“ (იკე 1985:209,220).

ფერეიდნული დიალექტის მონაცემთა გათვალისწინება, ალბათ, გადაგვა-

[1] არც **ზროხა** იყო მოულოდნელი (შდრ. ძვ. ქ. და თანამედროვე კახურის **ზროხა/ძროხა** „ძროხა, საქონელი“).

სინჯინებს ქართ. **ჩხ** — ზან. **ჩხ** — სვან. **შხ** ფონემათშესატყვისობას და საერთოქართველური ფუძეენისთვის სავარაუდო არქეტიპსაც. შესაბამისად, შუა სიბილანტური რიგიდან ამოსვლით ჩანაწერიც განსხავებული იქნება:

ფუძეენა ***ცჱხებ-/*ცᲩხიბ-**, ქართ. **ცხებ-/ცხიბ-**, ზან. **ჩხებ-/ჩხიბ-**, სვან. **შხებ-/შხიბ**<***ჩხებ-/ჩხიბ-** ძველ ქართულში, ხევსურულსა და ქიზიყურში შემორჩენილი **ჩხებ-/ჩხიბ-** ძირი ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქის კუთვნილება ჩანს.

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ მეტად საინტერესო გამოკვლევებია ჩატარებული, დღემდე მონოგრაფიულად არ გვაქვს შესწავლილი არც სამცხურ-ჯავახური, არც ფერეიდნული, რაც ძალზე აღარიბებს ქართველოლოგიას.

შემთხვევითი არ იყო , რომ ჯერ კიდევ 1927 წელს წერდა არნოლდ ჩიქობავა: „უცხო ტომთა შორის მოქცეული, ქართულ კილოებს მოწყვეტილი და მათთან ურთიერთობას მოკლებული, სამწერლობო ქართულის ზეგავლენისაგან სრულიად განთავისუფლებული ფერეიდნული პრინციპულად უნიკუმს წარმოადგენს ქართულ კილოთა შორის. მისი სახეობა არის შედეგი ცოცხალ თქმაზე მოხდენილის ექსპერიმენტისა: საშუალება გვეძლევა მის მიხედვით გავითვალისწინოთ, რა სახეს მიიღებს ქართული მეტყველება, გარკვეულს უცხო ენობრივ წრეში მოქცეული, როგორ გაიშლება მისი იმანენტი ყოფის დამახასიათებელი ტენდენციები და როგორ იმოქმედებს მასზე უცხო ენობრივი გარემო“ (ჩიქობავა 1927:199).

სვანურად **კა** ეწოდება „ფიქალ ქვას“, ხოლო მეგრულად — „კლდეს“. ქართული ენის ჯავახურ მეტყველებაში „კარკალი“ არის „ქვაღორღი“. აშკარაა, რომ **კარ-კალ**-ი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტია, **კარ**- (დისიმილაციით **კალ**-) კომპონენტისგან შემდგარი. სწორედ ეს ძირი უნდა ყოფილიყო სვანურშიც, სადაც იგი მარტო მრავლობით რიცხვშია დაცული დღეს: **კᲐრᲐლ**<***კა-არ-ალ-ე*/*ი**(ბზ.), **კᲐრალ** (ლშხ.), **კარᲐრ** (ბქ.) — „ფიქალი ქვები“. იგივე ძირი მონაწილეობს დერივაციულ ფორმებშიც (ლე-**კᲐრ**-ე ბზ., ლშხ., ლე-**კარ**-ე ბქ. „საფიქალე ადგილი“, ლგ-**კᲔრ**-ა ბზ., ლშხ., ლგ-**კერ**-ა ბქ. „ფიქალიანი სხვენი“).

შესაძლოა იმერხეულ და გურულ **კარ**-იე, აგრეთვე მეგრულ ო-**კარ**-იე („საქათმე“) ლექსემებშიც დავინახოთ იგივე **კარ**-ძირი[1]. მეგრულის ა (და არა **ო**) გახმოვანება მიუთითებს იმაზე, რომ ძირიცა და წარმოების წესიც (შდრ. გურული **სა-კარ-იე**) ნასეხებია ქართული ენიდან. საყურადღებოა, რომ სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ გვხვდება სამცხურ-ჯავახურ დიალექტში დადასტურებული კომპოზიტის ანალოგიური ლექსემები: **კარ-კალ**-ი („დიდი ქვავნარი“) და **კარ-კარ**-ი („წყლტუ კლდე“). ამასთანავე, თუ გურულ **კარ-ჩხალ**- („კლდოვანი მთა“) და **კარწახ**-(„დიდი აღმართი“) ფუძეებს შევუპირისპირებთ ერთმანეთს, ალბათ, მოხერხდება მათი სეგმენტაციაც **კარ-ჩხალ**- და **კარ-წახ**- ელემენტებად, სადაც **კარ**-, როგორც ჩანს, „ქვას“ აღნიშნავს.

[1] განსხვავებული ეტიმოლოგიისათვის იხ. მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებით ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003, გვ.118.

ი. მაისურაძეს მესხურ დიალექტში დადასტურებული აქვს „კარკნალი“(„ქვების გროვა, ქვაყრილი“), რომელიც იგივეა, რაც ჩვენ მიერ გაანალიზებული ჯავახური და საბასეული **კარ-კალ**-ი, ოღონდ სონორჩართული. ინლაუტში **ნ**ს ჩართვა ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ქართველურ ენაში.

მეგრულში რომ ამოსავალი არქიფორმა დარჩენილიყო, მაშინ კანონზომიერი ფონემათშესატყვისობის წესების მიხედვით უნდა გვქონოდა ***კორ**-, მაგრამ, რაკიღა **კა** გვაქვს, უნდა ვივარაუდოთ, რომ აუსლაუტის ცვეთა გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო, ვიდრე **ა>ო** ხმოვანთგადაწევა, სახელთა (გარდა რიცხვებისა) აბსოლუტურ ბოლოში კი ქართულ -**ა** ხმოვანს მეგრულ-ლაზურში რეგულარულად შეესატყვისება -**ა**.

ჯავახურ და ქიზიყურ ლექსიკონებში გვხვდება **გოხ**- ძირის შემცველი ზმნური თუ სახელური ერთეულები:

მო-**გოხ**-ვ-ა („მწიფე და მკვახე ხილის ერთად მოკრეფა განურჩევლად“), მო-**გოხ**-ილ-ი, მო-უ-**გოხ**-ი-ა-თ,.. შდრ. სვანური (ჩოლურული) **გუხ** („უმწიფარი მაგარი ხილი“), თუ აქ „მკვახე“-ს დასავლურქართული ვარიანტის („კუხე“) გამყღერებულ ფორმასთან არ გვაქვს საქმე, რაც სვანური ენისთვის ბუნებრივი პროცესია.

ჯავახურსა და კახურ დიალექტებში „აცდენის, გაცდენის, სამუშაოსგან თავის არიდების, საქმეზე გულის აყრის“ მნიშვნელობით იხმარება მო-**ქედ**-ურებ-ა ზმნის როგორც პირიანი, ისე უპირო ფორმები. სვანური ენის ყველა დიალექტში გამოიყენება იმავე ძირის ნაუმლაუტარი **ქ̈ად**- ძირი როგორც რედუცირებული, ისე არარედუცირებული სახით:

ჯავახ. „ცოტა ხან კარქათ იმუშავა, მერე მო-ი-**ქედ**-ურ-ა და გამოიქცა“ (ბერიძე 1981:91).

სვან. (ბზ.) დ̈აშდ̈უ̈ ფინდხი ლი-**ქ̈დ**-ენ-ი ლი შგ̈ირ, ადო ნ̈აპ̄რლ̈ ლი-**ქ̈დ**-ენ-ი-ს მ̈ამგდ ხოჭირ! — დათვისთვის ტყვიის („**ფინდხ**-ი⌜ს⌝“) აცდენაა სირცხვილი, თორემ ჩიტი⌜ს⌝ აცდენას არა უჭირს-რა!

(ლნტ.) ლიმშა̈ჳი ლი-**ქ̈ად**-ნ-ე ნომ ჯ̈ამთქ̈ჳა! — სამუშაოს გაცდენა ნუ გჩვევია!

შდრ. ჩოლურული ლი-**ქ̈ად**-ურ-ა̈ლ („საქმისთვის თავის არიდება“) (თოფ., ქალდ. 2000:453).

იმერხეულში შ. ფუტკარაძეს დადასტურებული აქვს ვნებითი გვარის მიმღეობის ერთი ფორმა: ესაა გა-**ძუნძღლ**-ილ-ი („დასველებული“), რომელიც შეიძლება დავუკავშიროთ ქვემოსვანურ მიმღეობას მგ-**ძღიარ** („სველი“).

აქამდე ჩვენ ვიცოდით იმერულ-გურული **ღარ-ღალ**-ი/**ღარ-ღილ**-ი („ხმამაღალი ლაპარაკი“) და ლეჩხუმური **რაგად**-ი („ქალების ლაპარაკი“); ორივე მათგანს ვუკავშირებდით სვანურ **გა̈რ-გლ-ა** (ბზ.), **გარ-გლ-ა** (ლშხ.), **გარ-გალ-ა** (ლნტ.) და **რაგ̈ად**-ს (ბქ.) „ლაპარაკი“. ახლა კი ამ ლექსემებს დაემატა იმერხეული **გირ-გილ**-ობ-ა („დაწოლამდი ერთათ **ვ-გირ-გილ-ოფ-თ**“), რომელიც „ტკბილ საუბარს“ აღნიშნავს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მასში დაცულია

არა მეგრულსა თუ ქართული ენის დასავლურ კილოებში გავრცელებულ ლექსემათა თავკიდური თანხმოვანი, არამედ სწორედ სვანურ ენასთან იდენტური ანლაუტი, ვფიქრობთ, შედარებით უფრო არქაული **გ**- (შდრ. მეგრული **ღარ-ღალ**-ი და მ. ჩუხუას განსხვავებული ეტიმოლოგია — იხ. ჩუხუა 2000-2003: 265).

იმერხეულ დიალექტში „პირუტყვის მკბენარის“ მნიშვნელობით შეგვხვდა **გიჯლ**-იბ-ა-ჲ, რომელიც ძალიან ჰგავს სვანურ **გარჯლ˹ნ˺** (ლხმ., ჩბხ.), **გგ˹რ˺ჯლ** (ქს.), **ღაჯგ** (ბქ.), **ლგჯგ** (ბზ.) „ტკიპა“-ს აღმნიშვნელ სიტყვას. შ. ფუტკარაძეს (ფუტკარაძე 1993:417) მასთან შესადარებლად მოჰყავს „სიტყვის კონაში“ დადასტურებული ერთ-ერთი მნიშვნელობა **კირჩხ**-იბ-იშა („მუწუკი მჭამელი“).

საანალიზო ძირს შესაძლოა უკავშირდებოდეს სულხან-საბას ლექსიკონშივე მოცემული **ჯლ-იბ-ა** („ტკიპასავით ტილი“), რომელიც დღეს გურულ დიალექტში გვხვდება „ტკიპას“, „მკბენარის“ მნიშვნელობით. იგი „ტკიპას მსგავსი მწერია“ ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში, ხოლო ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ბოქვენის მკბენარიცაა“ და „ტკიპას“ სინონიმიც.

ძველ ქართულში **ჭარახსი** „ერთგვარ საწყაოს“ აღნიშნავდა. სულხან-საბა ორბელიანისთვის ის „დიდი ყანწია“. იგივე მნიშვნელობა აქვს მას სვანური ენის ბალსზემოურსა (**ჭჳრაჴს**) და ლაშხურ (**ჭერახს**) დიალექტებში. ვაჟა-ფშაველას მიხედვით, „ქარასხა სტვირის მთავარი ნაწილია რქისა, რომელიც ოდნავ მოკაკულია და ბოლოსკენ მსხვილდება“, ხოლო იმერხეულ დიალექტში **ქარაჯს**-ი არის „დიდი რქა, ფრჩხილი“.

თავის დროზე (1938 წ.) არნ. ჩიქობავამ ერთმანეთს შეუდარა ქართული **ღრძ**-ილ-ი და ლაზური **ღინჯგ**-ილ-ი/**ღენჯგ**-ილ-ი, ხოლო გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა ***ღრჯ**- არქეტიპი (კლიმოვი 1964:207), რაც პრობლემატურად მიიჩნიეს ჰ. ფენრიხმა და ზ. სარჯველაძემ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:522). იმ დროისთვის არც სვანური (ჩოლურული) **ღჯილ** („ღრძილი“) იყო ცნობილი და არც იმერხეული **ღძილ**-ი/**ღჯილ**-ი. ეს უკანასკნელი ფორმა ქართული ენის დასავლურ დიალექტებშიც (ლეჩხუმური, იმერული, გურული) დასტურდება. რაც შეეხება იმერხეულის ვარიანტებს, ისინი არ წარმოადგენენ ერთი და იმავე მოსახლეობის მეტყველებას: სისინა ვარიანტი ინეგოლის (ბურსის ვილაიეთი) რეგიონისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო შიშინა — ქალაქ ადაფაზარისა. ორივე მუჰაჯირთა ქართულია, მაგრამ, ვფიქრობთ, სისინა აფრიკატის შემცველი ლექსემა აღმოსავლეთ საქართველოდან თურქეთში იძულებით გადასახლებულთა შთამომავლებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო შიშინა ვარიანტი — დასავლეთ საქართველოდან იქ მოხვედრილთა მემკვიდრეების მეტყველების ნიმუშია. ამგვარი რამ ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა ინტერფერენციული ენებისა თუ დიალექტებისთვის!

რაც შეეხება სვანურს, თუ **ღჯილ**- ფუძე დასავლური ქართულიდან არაა ჩოლურულში შესული, ის გამოგვადგებოდა ქართ. **ძ** — ზან. **ჯ** — სვან. **ჯ** ფონემათშესატყვისობის საილუსტრაციოდ და მაშინ შესაბამისი მასალა უნდა

განვიხილოთ ქართველური ფუძე ენის და არა მხოლოდ ქართულ-ზანური ერთიანობის (როგორც დღემდე იყო) დონეზე. საგულისხმოა, რომ ძველ ქართულში გვაქვს **გრძ**-ილ-ი/ **გძ**-ილ-ი. **გ/ლ** მონაცვლეობა უცხო არაა ქართველური ენებისთვის (გაგანია — გურ. ღაღადური „დიდი ცეცხლი“, სვან. (ლენტ.) გარგალა — გურ., იმერ. ღარღალი „ლაპარაკი“, ჯავახ. გლერძა — ქართ. ღვლერძა, გიზგიზა — ლეჩხ. ღიზღიზა, ქიზ. გოჭიკანაllღოჭიკანა „ტიტლიკანა ბავშვი“...).

სპეციალურ ლიტერატურაში „ჩიყვის“ აღმნიშვნელ სვანურ სიტყვასთან **ყუყუ/ყუიყუ** დაკავშირებულია იმავე მნიშვნელობის ქიზიყური **ყიყვ**-ი და „ჩინჩახვის“ სემანტიკის მქონე ფშაური ლექსემა (ჩუხუა 2000-2003:281). ეს ძირი დასტურდება ქართული ენის სამხრულ დიალექტებშიც (იმერხეულში, აჭარულში) და არა მარტო აქ (იხ. იმერული, რაჭული, ხევსურული ლექსიკონები).

ზ. სარჯველაძეს ქართული **ნიჩვ**-ი („დრუნჩი, ტუჩი“) შეპირისპირებული აქვს მეგრულ **ნიჩქვ**- ფუძესთან („უშნო სახე“) და ***ნიჩუ**- არქეტიპი აღდგენილი აქვს ქართულ-ზანური ერთიანობის დონისთვის (სარჯველაძე 1985:24). მას რომ სვანური ენის მონაცემებიც (ბზ., ლშხ. **ნიჩუ**, ბქ., ლნტ. **ნიჩუ** „პირისახე; დრუნჩი, დინგი“) გაეთვალისწინებინა, თავისთავად ცხადია, არქეტიპი აღდგებოდა საერთოქართველურ დონეზე. გარდა ამისა, იმერხეულ და გურულ დიალექტებში დასტურდება ისეთივე ასიმილირებული ვარიანტი (**ჩიჩვ**-ირ-ი — სქელი ბაგე, ტუჩი, ლაში; ცხენის ქვედა ტუჩი), როგორიც „სიტყვის კონაშია“ მოცემული რამდენადმე განსხვავებული სემანტიკით („სპილოს ხორთუმი“). სულხან-საბა ამოსავალ ფორმაზეც მიუთითებს, ესაა **ნიჩვ**-რ-ი, ხოლო დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ **ნიჩვ**-ირ-ი გვხვდება (შდრ. ძვ. ქ., ქიზიყ. **ნიჩ**-ურ-ი „ნესტო, ხორთუმი“, იმერ. **ნიჩბ**-ი „დინგი ღორისა“, **ნიჩვ**-ი „ცხვირი, დინგი“, ლეჩხ./იმერ. **ნიჩქვ**-ი „უშნო სახე“,...). საინტერესოა, რომ ქართული ენის რაჭულ დიალექტში **წკვ**-რ-ელ-ვ-ა „ყმაწვილის მიერ თავისი საცოლის (ან ქალისგან საქმროს) ყურადღებით დათვალიერებას, ნახვას“ ნიშნავს (ბერიძე 1981:95): სარძლოს **წკვ**-რ-ელ-ამ-დ-ენ (კობახიძე 1987:128), სვანური ენის ჩოლურულ მეტყველებაში კი „წვრილთვალება“-ს აღსანიშნავად **წკუ**-ირ-ა-ჲ იხმარება, სადაც სისინა კომპლექსის არსებობა ამ მეტყველების რაჭულთან განსაკუთრებული სიახლოვით შეიძლება აიხსნას ან „თვალების **წკვ**-ერ-ვ-ა“-ს უკავშირდებოდეს, რომლის ძირი ყველა ქართველურ ენაში სისინა თანხმოვანს შეიცავს (შდრ. მეგრული **წკ**-ურ-უ-ა „თვალების დახუჭვა“, **წკ**-ურ-ილ-ი „თვალდახუჭული < თვალდა-**წკ**-ურ-ულ-ი“).

მაშასადამე, ქართული ენის დასავლურ თუ სამხრულ დიალექტებსა (ძირითადად!) და სვანურში გავრცელებული შიშინა **ჭუ**- კომპლექსის შემცველი ძირი („თვალთვალის მნიშვნელობით“) უნდა შეესატყვისებოდეს დღევანდელ რაჭულში შემორჩენილ იმავე სემანტიკის სისინა **წკ**- კომპლექსიან ძირს (მომავალმა კვლევა-ძიებამ შესაძლოა ქართულის სხვა დიალექტებშიც და მეგრულ-ლაზურშიც დაადასტუროს შესაბამისი მონაცემები).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ჩიჩვირ“-ს ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ცხენისა და მისთანათა ქვედა ტუჩი; 2. გრძელი ბიბილოსებური წანაზარდი ინდაურის ნისკარტზე.

ჯავახურ, იმერხეულ, აჭარულ, იმერულ და გურულ დიალექტებში საკმაოდ გავრცელებულია **ჭყ-ერ-** ფუძე „დაჟინებული ცქერის, გაბედული ყურების“ მნიშვნელობით:

იმერხ. მაგან ქალებზე უშნოდ **ჭყ-ერ-ა** იცის (ფუტკარაძე 1993:665). სვანეთში „ბრუტიან, ელამ, ბეც“ ადამიანს **ჭყ**-იუ-ჱრ'ს უწოდებენ.

ჯავახურ მეტყველებაში **ფშან**'ს ორი მნიშვნელობა აქვს:

1. **მინდვრიანი ადგილი** კლდის ძირში, სადაც რამდენიმე ადგილას წყარო გამოდის (მარტიროსოვი 1984:247);

2. კლდეებიდან გამოსული პატარა **წყაროები**, რომლებიც ბალახითაა დაფარული (ბერიძე 1981:132).

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც“ ამ სიტყვის ორი მნიშვნელობაა მითითებული, ოღონდ ცოტაოდენი სემანტიკურ-ნიუანსური გადახრებით:

ფშა/ფშანი „მდინარის პირას გამომდინარე წყარო ან მდინარის პატარა შენაკადია“, ხოლო ზოგ ადგილას **ფშანი** „ხის ფესვებიდან ახალამოყრილ მცენარეს, ნერგს“ აღნიშნავს.

ეს ლექსემა საქართველოს ბევრ კუთხეში იხმარება, დადასტურებულია „სიტყვის კონაშიც“. სვანური ენის ბალსქვემოურსა (**ფშალ**) და ლაშხურ (**ფშალად**) დიალექტებშიც მას ორი მნიშვნელობა აქვს (1. ყლორტი, მორჩი; ნორჩი და 2. სვია), ამასთანავე, სხვა სონორია წარმოდგენილი და როგორც ფორმით, ისე შინაარსით, ძალიან ახლოს დგას იმერული დიალექტის მონაცემთან:

ფშალა — სვია (ხვიარა ბალახოვანი მცენარე, იზრდება ღელეების პირას, მის ნორჩ ყლორტებს მხლად ხმარობენ) — (გაჩეჩილაძე 1976:138).

იმერხეულ დიალექტში „**ხბო**“-ს აღსანიშნავად გამოიყენება **ხობ**-ო (ll**ჯბ**-ო), რომლის ძირისეული **ო** მრავლობით რიცხვში ხან წარმოდგენილია და ხან — არა.

„**ხობ-ი-ებ**-ი ეფეიჯა (თურქ. პეყცე — ძალიან) გაზდილან“ (ფუტკარაძე 1993:675), შდრ. „**ხბ-ი**-ებ-ი (< **ხობ-ო**-ებ-ი) ჭალაში იყვნენ“ (იქვე).

ეს ძირი არა მხოლოდ თანხმოვნების, არამედ ხმოვნების მხრივაც პრობლემატურია ქართველურ ენებში, ალბათ, ლაზურისგან მომდინარე იმერხეული მონაცემი კი აძლიერებს სვანური **ხაბ**-ნ-ა (ზს.), **ღაბ**-ნ-ა (ლშხ.), **ღაბ**-ენ-ა (ლნტ.) ფორმათა მიხედვით საერთოქართველურისთვის სავარაუდო არქიფორმაში -**ა**- (და არა -ე-[1] ხმოვნის აღდეგენის შესაძლებლობას, რაღა თქმა უნდა, თუ **ხობ-ო** თურქული სინჰარმონიზმით გამოწვეული მონაცემები არ არის. სპეციალურ ლიტერატურაში (ჩუხუა 2000-2003:262) ეს ძირები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ოღონდ საილუსტრაციო მასალაში გამოტოვებულია: სვანური **ხაბ**-ნ-ა („მოზვერი“), მეგრული **ხაფა** („დოლი“, შდრ. **ხაფ**-ა-ს „ხბოების

[1] შდრ. მ. ჩუხუას თვალსაზრისი (ჩუხუა 2000-2003:262).

მოგების დროზე“ — გახარია 2005:142, ქაჯაია 2009:589), შდრ. **ქაბ**-ულ-ა („მოზრდილი ხბო“), ძველი ქართული **ჴბ**-ოვ-რ-ედ-ი („ხბოიანი“), **ჴბ**-ო-შ-ერ-ი („ჴბო რჩეული, გინა ხის ახალი ყლორტი“ — საბა), დიალექტური **ხბ**-ო-ჯორ-ი (ჯავახ. „ხბოებისა და ვირების ჯოგი“||**ხბ**-ო — სოფელი ხიზაბავრა), **ჴბ**-ე-ებ-ი (მოხ. „ხბო⌜რ⌝ები), **ჴბ**-ო-დე-და-ფური (ქიზიყ. „ხბოიანი ფური“), **ჴბ**-ო-სა-სუქ-ა (ხევს. „სათიბი ბალახი“), **ხბ**-ო-შუბ-ლ-ა (რაჭ., ლეჩხ., იმერ., ქართლ., „ცერცველა“, **ხფ**-ო-ჲ (გურ. „ხბო“)...

არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით (ჩიქობავა 1938:198), ქართულ **ღამ**-ე’ში -**ე** სუფიქსური წარმომავლობისაა მეგრულ-ჭანური მონაცემების მიხედვით (ჭან. **ღომ**-ანი||**ღომ**-ა „გუშინ“), **ღომ**-ან-ერ-ი „გუშინდელი“, მეგრ. **ღუმ**-ა „წუხელ“, **ღუმ**-ან-ერ-ი „წუხანდელი“). მოგვიანებით მ. ჩუხუამ ამ ძირს ძალზე საინტერესოდ დაუკავშირა სვანური ლი-**ღ̄ამ**-ნ-ე „დროის მიცემა, დალოდება“ — (ჩუხუა 2000-2003:262), ახლა კი შესაბამის მასალებს ჩვენ ვუმატებთ იმერხეულ მო-**ღამ**-ებ-ა’საც („ცხოვრების გატარება“):

ჩვენ ისე მუ-ა-**ღამ**-ე-თ, გაბუკვა⌜ნ⌝ („გაბუტვა“) არ ვიცით (ფაღავა, ცინცაძე 2007:293,301).

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლებმა 2005 წელს იმერხევში დააფიქსირეს ლექსემა **ჭოჭ**-ე „ძუნწის მნიშვნელობით“. თუ ვივარაუდებთ, რომ ამ შემთხვევაშიც შესაძლოა ლაზურის გავლენით მიღებულ მონაცემთან გვქონდეს საქმე, მაშინ ქართულ ენაში უნდა დავიწყოთ სისინა აფრიკატის ძიება. და მართლაც, ასეთი უნდა იყოს „**წუწ**-ურ-აქ“- ფუძეში წარმოდგენილი **წ**; შდრ. ლეჩხ. **წუწ**-უნ-აქ-ი („ძუნწი“) და ქიზიყ. **წურ**-იკ-ა („ძალიან ძუნწი“). „წუწურაქის“ პარალელურად ქართლურ და ქიზიყურ დიალექტებში **ო** გახმოვანებიანი ფუძეც იხმარება (**წოწ**-ონ-აქ-ი), რაც შეესაბამება იმერხეულ მონაცემს. რაც შეეხება სვანურს, აქ სირთულეები გვაქვს ძირეულ თანხმოვნებთან დაკავშირებით — მოსალოდნელ შიშინას ნაცვლად სისინაა: **წუინწკ** (ჩოლ.), **წუნწ** (ლშხ.).

გათხოვილ ქალს ჯავახეთში „ნაწვევი“ ეწოდება, რომელიც, ვფიქრობთ, უნდა უკავშირდებოდეს ქართულ, სვანურ და მეგრულ ლაზურ ენებში დღემდე დაცულ მასდარისეულ ფორმათა **წუ**-/**წვ**- ძირს (ძვ. ქ. **წუ**-ევ-ა „მოწოდება, იძულება, მიწვევა, წაქეზება, ახ. ქ. მი-**წვ**-ევ-ა „მიპატიჟება, დაპატიჟება“; მეგრ. გი-მო-**წვ**-ი-ებ-ა „მოწვევა, მოპატიჟება“; სვან. ლი-**წუ**-ᾱლ-ე „გათხოვება“). ქართული ენის ფშაურ დიალექტში ნა-**წ**-ევ-ი (<ნა-**წვ**-ევ-ი) „მოწვეულს, მოპატიჟებულს“ ნიშნავს, ხოლო ბალსქვემო სვანეთში (სოფელი ლახამულა) ჩაწერილ ერთ-ერთ ანდაზაში (**ნაწენუ ი ნაშდებუ ლადი-ბაზიშ გარ ესერ ლი** — „ნათხოვარი და ნასესხები მხოლოდ ერთი-ორი დღის საკმარისი არისო“, დავითიანი 1973:113) ნა-**წ**-ენ-უ < ბქ.ნა-**წუ**-ენ-უ (დეალბიალიზაცია ჩვეულებრივი მოვლენაა ლახამულურ კილოკავში) — „ნათხოვარს“.

სვანურ ენაში „მიწვევა-მიპატიჟების“ სემანტიკას გადმოსცემს, აგრეთვე:

ლი-**წჰ**-ი (ზს.), ლი-**წს**-ი, ლი-**წც**-ი (ბჭ.), ლი-**წჲ**-ენ-ი (ლშხ.), ლი-**წი**-ი (ლნტ.), მაგრამ, როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი (თოფურია 1960:155, ფენრიხი 1998:94), ის მომდინარეობს -**წეს**- ძირიდან, რომლისთვისაც „დაძახების, მოხმობის“ მნიშვნელობა უფრო უნდა იყოს ამოსავალი (შდრ. ძვ. ქ. უ-**წეს**-ს „უძახის, უხმობს“, მეგრ. **წის**-აფ-ა „დაპატიჟება“), ვიდრე „მოწვევისა“.

ჯერჯერობით პრობლემატურია **ი** ხმოვნის სიგრძის საკითხი სვანურში „გათხოვების“ აღმნიშვნელი ზმნის პირიანსა თუ უპიროო ფორმებში, ისე კი აშკარაა, რომ -**ᾱლ**(<-**ი**+-**გლ**) ქართული -**ევ** და მეგრული -**ი** (<-**ივ**) სუფიქსთა მორფონოლოგიური შესატყვისია.

ჩვენ ადრე გვქონდა მცდელობა ლი-**წუ̄ლ**-ეს დაკავშირებისა სვანური **წუ̄ლ** („პატარძალი; დედოფალი“) და ქართულ **წულ**- („ახალშობილი; ვაჟი; მამაკაცი“) ძირებთან (ჩანტლაძე 2008:170-175); ამ კონტექსტში უპრიანი იქნებოდა ყმა-**წვილ**-ი’ს მოხმობაც, მაგრამ იგი არათუ ძველ ქართულ ტექსტებში, არამედ „სიტყვის კონაშიც“ კი არაა დადასტურებული, რადგანაც შედარებით გვიან შექმნილი კომპოზიტი ჩანს. და, რაც მთავარია, სვანური **ლიწუილე** და **წუილ** რომ **წულ**- ძირიდან მომდინარეობდეს, უუმლაუტო დიალექტებში მაინც ხომ უნდა გვქონოდა სადმე დაცული ამოსავალი -**უ**- ხმოვანი. როგორც ზემო, ისე ქვემოსვანურში ეს ორი ლექსემა ერთნაირადაა (სწორედ -**უი**- კომპლექსით) წარმოდგენილი, რაც სემანტიკურადაც „პატარძლის“ აღმნიშვნელ ჯავახურ ნა-**წვ**-ევ’ს უკავშირდება (შდრ. **ჰუშ** — ვაჟიშვილი, რომელიც მხოლოდ ლაშხური ფორმაა, სხვაგან კი უმლაუტიზებული **ჰჳიშ** გჭხვდება ქართული **წულ**- ძირის შესატყვისად, მაგრამ ქართული **ლ** : სვანური **შ** შესატყვისობის გვერდით იმავე ძირთან ნა-**ჰუ̄ლ**-ა̈შ („ურვადი“) ლექსემის დაკავშირება რამდენადმე პრობლემატური ჩანს, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პოზიციასთან გვაქვს საქმე (ერთი მხრივ, აუსლაუტთან, ხოლო, მეორე მხრივ, ინლაუტთან), მაინც ერთსა და იმავე ძირში ხან **ლ/შ** და ხანაც **ლ/ლ** შესატყვისობის დაშვება, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია.

ქართული ენის სამხრულ დიალექტებს დანარჩენ ქართველურ ენებთან საერთო აქვთ **ფრაზეოლოგიაც**. ასე მაგალითად:

ჯავახურში „სუფრის აღება“ გამოიხატება არა მაგიდის ალაგებით თუ რისამე მოკლებით, არამედ სინტაგმით „სუფრის ამატება“, შდრ. **სვანური** „ტაბაგი ჟი **ლი-და̈წუ-ე** (ტაბაკის **და-წუ-ობ-ა** და არა „ალაგება“), ჟი ლი-ნჭუ**რ**-ე („აგროვება, მატება“ და არა „კლება“). ქვემოსვანურში ქართულიდან შედარებით გვიან შესული ლექსემებიც გვაქვს: ლი-ლ-**გ**-აუ̈-ე (ლშხ.), ლი-ლა-**გ**-ა̈უ̈-ე (ლნტ.).

ჯავახეთში „ერთ თავ ყველს“ **ქალლა** ჰქვია, რომელიც მოგვაგონებს ჯერ კიდევ ძველი ქართული ტექსტებიდან (კირიონი) ცნობილ კომპოზიტს **ქალა**დო („დოს შეჭამანდი“), დღესაც დადასტურებული რომაა ქართლურ, აჭარულ, იმერხეულ და ფერეიდნულ დიალექტებში. სვანეთში „ერთ წველა

ყველს“ ეწოდება **ქიშ** და, ვფიქრობთ, რომ ის „ჭურჭლის აღმნიშვნელ არაბულ-თურქულ **ქილა**“ს[1] კი არ უნდა უკავშირდებოდეს, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია (ჩუხუა 2000-2003:254) აღნიშნული, არამედ ქართული ენის სამხრულ დიალექტებში დაცულ **ქალა**’ს. აუსლაუტის ხმოვნის მოკვეცისა და ღიამარცვლიანი სტრუქტურების დახურულმარცვლიანად გარდაქმნის ტენდენცია სვანურში აღიარებული ფაქტია სპეციალისტთა მიერ. ასე რომ, ფონეტიკურ მოვლენათა განვითარების უწინარესობა-შემდგომადობის პროცესი შესაძლოა შემდეგნაირად წარმოვადგინოთ, თუ **ლ**>**შ** ფონემათშესატყვისობასაც გავითვალისწინებთ:

ქართ. **ქალა**>სვან. **ქალ**>**ქაშ**+**ი**>**ქაშ**>**ქეშ**>**ქიშ** არც **ქალლა** უნდა იყოს საკუთრივ ქართული სიტყვა (შდრ. სპარსული კალაქუშ), მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველურ ენათა დიფერენციაციის (ე. ი. უძველესი) ეპოქისაა.

1985 წელს ჰაინც ფენრიხმა ერთმანეთს შეუპირისპირა სვანური **კოლ** („განავალი“), იმერული **კელ**-ა („ნაკელი, ნეხვი“) და ქიზიყურ-ფშაურ-თუშური **კელ**-ა („მწერი“) — ეს უკანასკნელი „სიტყვის კონაშიცაა“ დაცული „მწერის“ აღმნიშვნელი სიმბოლოს მითითებით, ოღონდ განმარტების გარეშე. იქვე გვხვდება **კელ**-ი’ც („ნეხვი“). ამ მასალას ჩვენ ვუმატებთ ლეჩხუმურ **კელ**-ა’ს („ნაკელი“) და, რაც მთავარია, ჯავახურ **კილ**-ს („ქათმის განავალი თეთრად“ — მარტიროსოვი 1984:236), რომელსაც ზემოსვანურად **კინ**-**კულ** ჰქვია. „თხისა და ცხვრის განავლის“ აღსანიშნავად ლაშხურ დიალექტში **კურ**-**კულ** იხმარება, ხოლო ჩოლურულ მეტყველებაში — მისი ნაუმლაუტარი **კურ**-**კჳილ**, ლენტეხურში კი **კირ**-**კოლ**. მაშასადამე, როგორც საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, არ არის სავალდებულო, რომ ამ ძირში ქართულშიც დავუშვათ უმლაუტის (კელ-<*კოლ-) არსებობა (სარჯველაძე 1985:197-199), რადგანაც მასში თითქმის ყველა ხმოვანი (ე — ი — ო — უ) ენაცვლება ერთმანეთს ქართველურ ენებში (შდრ. აგრეთვე **კელ**-ი „კამბეჩთ სკორე“).

ქართველოლოგიაში კარგა ხანია (მარი 1913:10) აღიარებულია ძვ. ქართ. **თხევ**-ლ-ა („თევზაობა“), მ-**თხევ**-ლ-არ-ი („მოთევზავე“) და სა-**თხევ**-ელ-ი („ბადე“) ლექსემათა კავშირი სვანურ ლი-**თხე**-ლ-ი („ძებნა“), მე-**თხშ**-ე-შ-აჴრ („მონადირე“) და ლა-**თხშ**-ე-შ-აჴრ („სანადირო“) ფუძეებთან. ამ მონაცემებიდან არ ჩანს, რომ საანალიზო **თხევ**- ძირი დღესაც იხმარება ქართულში ჯავახურ მეტყველებაში დადასტურებული მე-სა-ნ-**თხევ**-ლ-ე („მე-ბად-ურ-ი“) ფორმის სახით.

აჭარულში, მესხურ-ჯავახურში, იმერხეულში და სხვა (ძირითადად, მთის) დიალექტებში გვხვდება მეტად საინტერესო კომპოზიტი, რომელიც მთლიანადაა შესული სვანურ ენაში. ესაა **ხერ**-**ტალ**-ი (აჭარ., მესხ.-ჯავახ.,იმერხ., ქართლ., თუშ., ხევს.) < **ხელ**-**ტარ**-ი („ძაფის დასაძახავი თითისტარი, კვირისთავი); ზოგან იგი წარმოდგენილია **ჴ** ფონემით. სვანურში არა მხოლოდ არსე-

[1] ჩოლურულ მეტყველებაში **ქილა**’ს სწორედ ქართულიდან შესული **ქილაშ**-ე აღნიშნავს (ლიპარტელიანი 1994:285), სადაც არ მომხდარა **ლ**>**შ** პროცესი.

ბითი სახელია საანალიზო ლექსემა, არამედ ზმნაც (როგორც პირიანი, ისე უპირო): **ჴელ-ტარ** („ხელსაქმე“), მგ-**ჴგლ-ტარ**-ი („ფეიქარი,მქსოველი“), ზს. ლი-**ჴგლ-ტარ**-ი/ლი-**ჴგლ-ტარ**-ე (1. „რთვა“; 2. „რთვა-ქსოვა, ხელსაქმე“), ა-**ჴგლ-ტარ**-ი (1. „რთავს“; 2. „რთავს და ქსოვს, ხელსაქმობას ეწევა“). სვანურის ყველა დიალექტში დაცულია ამოსავალი, უმეტათეზისო ფორმები და არქაული **ჴ** თანხმოვანი, ქართული ენის დიალექტებში კი ზოგი ამოსავალ ვარიანტს უჩვენებს, ზოგი კი — შედარებით ახალს. **ხჩ-ოლ-** ფუძე სხვადასხვა მნიშვნელობისაა ქართული ენის დიალექტებში: იმერულსა და ლეჩხუმურში იგი „კვამლს“ ნიშნავს (და **ხრჩ-ოლ-ვ-ა**'ს უკავშირდება),აჭარულში — „წნელის რგოლებით ასხმულ საბმელს„, ხოლო ჯავახურში — „წნელს“. გურიაში „ჩიტის ბადის საქსოვ ხელსაწყოს“ ეწოდება **ჩხ-არ-ი**, ხოლო თავად „საქსოვ ჩხირს“ — **ჩხ-აშ-ი / ჩხ-აჟ-ი;** იმერეთში „წვრილ ჩხირს“ **ჩხ-იკ-ი** ჰქვია, ხოლო „გამხმარი წნელისაგან გაკეთებულ ცოცხს“ **ჩხ-ოკ**'ს უწოდებენ გურიაში. ხუთივე ლექსემა ძალიან ჰგავს ზანური სტრუქტურის ფუძეს (შდრ. **ო-ნ-ჩხ-აკ-ალ-ე** „თხილის საბერტყი ჯოხი“).

აშკარაა, რომ ძირში ყველგან **ჩხ**- კომპლექსია ან მეტათეზისის შედეგი **ხჩ**-; სვანური ლი-**შხ**-ერ („პობა, სკდომა“) შეიძლება იყოს ქართული **ჩხ-ერ**/**ჩხ-ირ** ძირის სპირანტიზებული სახე. მოსალოდნელია, რომ **ლი-ჩხ-ინ-ე** („გაჩხირვა, გარჭობა“) იმავე **ჩხ**- ძირის შემცველი მასდარია.

იმავე ჰარმონიული კომპლექსის სისინა ვარიანტიც (**ცხ**-) გვხვდება ყველა ქართველურ ენაში: ძველ ქართულში „სართავი მოწყობილობის ჯოხი“ არის **ცხ-ემ-ლ-ი**, **ცხ-ემ-ლ-ა** კი გურულ დიალექტში „რცხილა“-ა. ჯავახეთში **ცხ-ემ-ლ-ი** არის „ქსელში ნართის გასაყრელი ხე“, თუშეთში კი „წინდისა და ხელთათმანის საქსოვ რკინის ჩხირებს“ **ცხ-ემ-ლ-ებ-ი** ჰქვია (მხ. რ. **ცხ-ემ-ლ-ი**). „ფიჩხის“ აღსანიშნავად მეგრულში **ცხ-ვ-ეკ** იხმარება, ხოლო ლაზურში — **ცხ-იკ**. სვანურში **ცხეკ** (ბზ., ქს.)/**ცხიკ** (ზს.) „ტყეს“ აღნიშნავს. იგივე ძირი ჩანს ჩოლურული მეტყველების **ცხ-გპ-ერტ** („წვრილი წნელი“), **ცხ-გნტ-რ-ჱლ** („წვრილი გამხმარი შტოები“) ფორმებში და ზემოსვანურ **ცხ**-ირა („ხიწვი, ხიჭვი“) ფუძეში. **ცხ-ეკ-ნ-ელ-ა** ტოპონიმია (გაუქმებული სოფლის სახელწოდება) სამცხეში (ბერიძე 2005:148).

მაშასადამე, „წნელის>ჯოხის > ჩხირის > ტყის“ აღსანიშნავად ქართველურ ენებში გამოიყენება ერთი და იმავე ჰარმონიული კომპლექსის როგორც სისინა (**ცხ**-), ისე შიშინა (**ჩხ**-) ვარიანტები ქართულშიც, მეგრულშიც, ლაზურშიც და სვანურშიც, რაც **ერთგვარად არღვევს კომპარატივისტული ქართველოლოგიის ძირითად პრინციპებს**[1].

[1] შიშინა და სისინა სიბილანტთა აღრევის შესახებ ქართული ენის დიალექტებში იხ. ჩვენი სტატიები: „პირველად და მეორეულ ფონემათშესატყვისობათა ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში“, „ივერია“, პარიზი, 2004-2005 და ფონემათშესატყვისობათა ორი რიგი ქართველურ ენებში“, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, თბილისი, 2005.

როცა სამხრულქართულის ყველა პუბლიკაცია დამუშავდება კომპარატივისტიკის თვალსაზრისით (რისთვისაც დღემდე სპეციალისტებს ყურადღება არ მიუქცევიათ), ცხადია, უფრო მეტი ფონემათშესატყვისობა გამოვლინდება ქართველურ ენებში ან დაზუსტდება დღემდე არსებული ფონოტაქტიკური წესები...

ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას ამ მიმართულებით...

ლიტერატურა

აბაშვილი 2009 — ვ. აბაშვილი (კუზიბაბაშვილი), ქართული ენის ინგილოური დიალექტი, თბილისი, 2009.

ბერიძე 1981 — გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი.

ბერიძე, **ბერიძე** 2005 — მ. ბერიძე, ნ. ბერიძე, ზანურ-მესხური შეხვედრები, საენათმეცნიერო ძიებანი, XIX, თბილისი.

გამყრელიძე, **მაჭავარიანი 1965** — თ. გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

თოფურია 1979 — ვ. თოფურია, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი,შრომები, III, თბილისი.

თოფურია 2002 — ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით, შრომები, II, თბილისი.

მარი — Марр Н. Я., Определение языка второй категорий Ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкознания, ЗВОРАО, XXII, Санкт-Петербург.

მაჭავარიანი 1965 — გ. მაჭავარიანი, საერთოქართველური კონსონანტური სიტემა, თბილისი.

ნიჟარაძე 1975 — შ. ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი.

ონიანი 1989 — ალ. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბილისი.

როგავა 1952 — გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებით შესწავლის ძირითადი საკითხები, იკე, IV, თბილისი.

როზენი 1847 — G. Rosen, Über das Mingrelische, Suanische und Abchasische, Berlin.

საბა 1949 — ორბელიანი სულხან-საბა, სიტყვის კონა, თბილისი.

სარჯველაძე 1985 — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი.

უთურგაიძე, **ჩხუბიანიშვილი**, **გიუნაშვილი 1979** — თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, ფერეიდნული მეტყველების შესწავლისათვის, იკე, XXI, თბილისი.

უთურგაიძე, **ჩხუბიანიშვილი**, **გიუნაშვილი 1985** — თ. უთურგაიძე, დ. ჩუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, ფერეიდნული ტექსტები, იკე, XXIII, თბილისი.

ფენრიხი, **სარჯველაძე 2000** — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ფუტკარაძე 1993 — შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი.

ფაღავა, **ცინცაძე 2007** — მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, იმერხეული ტექსტები, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, ტ.V, ბათუმი.

ქალდანი 1969 — მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სიტემა სვანურში, თბილისი.

ქაჯაია 2001 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, თბილისი.

ჩანტლაძე 1998 — ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ჩიქობავა 1927 — არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტუმ, VII, ტფილისი.

ჩიქობავა 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩიქობავა 1942 — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 — არნ. ჩიქობავა, ი.ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბილისი.

ჩუხუა 2000-2003 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჯორბენაძე 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

ჯორბენაძე 1995 — ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისი.

IZA CHANTLADZE

Georgian Southern Dialects from Comparativistic Viewpoint

S u m m a r y

The paper deals with the fact, that today the data of Georgian southern dialects is not taken into account in comparativistic Kartvelology. Some new etymological connections are given for illustration and it is assumed, that when all publications of south Georgian are processed from the comparativistic standpoint (on what specialists have not focused their attention) more phoneme correspondences will be revealed in the Kartvelian languages and phonotactic rules existing till today will be defined.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXXIX 2011

მანანა ჩაჩანიძე

ქართული იდიომატიკონის ლინგვისტურ-ლექსიკოგრაფიული კონსტრუირებისათვის

ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაციისას სიტყვა-სტატიის განსაკუთრებულ ზონას ქმნის ე. წ. სიტყვათა მყარი შეხამებანი: იდიომური და ფრაზეოლოგიური ერთეულები. სალიტერატურო ენის განმარტებით ლექსიკონებში ამგვარი ლექსიკა წარმოდგენილია ლექსიკონთა მიზნების შესაბამისად, ხოლო როგორც დამოუკიდებელი და ძირითადი სალექსიკონო ერთეულები, ისინი აღიწერება ლექსიკოგრაფიის კონკრეტული ქვედარგის — ფრაზეოგრაფიის — მიერ.

ფრაზეოლოგიის პრობლემატიკის კვლევასა და ფრაზეოლოგიური ლექსიკონების შედგენას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ ისტორიიდან და ტრადიციული მემკვიდრეობიდან ფასეულია მრავალი მონაპოვარი, თუმცა ფრაზეოლოგიური კვლევის ახალ პარამეტრებზე საუბრისას მკვლევრები ცალსახად მიუთითებენ, რომ „ფრაზეოლოგიამ დაძლია კულტურულ-ტაქსონომიური პარადიგმა და ანთროპოლოგიურ პარადიგმას და ლინგვოკულტუროლოგიურ ანალიზს მიუახლოვდა“ (სამნიაშვილი 2005: 204). ფრაზეოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ისტორია ადასტურებს ამ თვალსაზრისის მართებულობას და, ამის პარალელურად, იმპერატივის ფორმით გამუდმებით დღის წესრიგში აყენებს ფრაზეოლოგიური ფონდის მაქსიმალურ აღნუსხვას, რამდენადაც ფრაზეოლოგიური ფონდი არის ნომინაციური მარაგის ყველაზე თავისებური ნაწილი კულტურულ-ენობრივი თვალსაზრისით.

საზოგადოდ, ფრაზეოგრაფიაში სალექსიკონო ერთეული არის სინტაგმა. სწორედ იმის გამო, რომ იდიომები ინფორმაციის კომპრესიის უძლიერესი საშუალებაა, იდიომთა აღწერის მეტაენის აგება არის ურთულესი ამოცანა ყოველ ნაციონალურ ლექსიკოგრაფიაში. ამასთან მიმართებით, იდიომურ ერთეულთა რეგისტრაციასა და ინტერპრეტაციას, როგორც მათი აღწერა-გამოკვლევის ხერხს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლინგვისტურ-ლექსიკოგრაფიულ კონსტრუირებისას. ლინგვისტური კონსტრუირების მთავარი პრინციპი — „როგორ გავაკეთოთ“ — არ არის მხოლოდ ტექნიკური შინაარსის, ის არის შესწავლის მეთოდიც, რომელიც ვარაუდობს როგორც ანალიზს, ისე სინთეზს (კარაულოვი 1981). ჩვენ მიერ შემოთავაზებული ლინგვისტურ-ლექსიკოგრა-

ფიული კონსტრუირება იძლევა რიგ ამოცანათა არა მარტო თვისებრივ, არამედ რაოდენობრივ გადაწყვეტასაც. გარდა ამისა, ლინგვისტურ-ლექსიკოგრაფიული კონსტრუირება კომპლექსური მიდგომის ფარგლებში ეფუძნება იმგვარი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა: დესკრიფციული (აღწერითი) მეთოდი, ლექსკოგრაფიული პარა-

მეტრიზაცია, ლექსიკოგრაფიულ კოორდინატთა სისტემა, ლექსიკოგრაფიული ზონა, ციტაცია, ვერიფიკაცია, მონაცემთა ბაზების ქსელური, იერარქიული და რელაციური ფორმატი, ელექტრონული ლექსიკონის ფორმატი.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ლექსიკოგრაფიული ინტერპრეტაციის ჩვენეული მიდგომა მაქსიმალურად ითვალისწინებს როგორც ეროვნულ ლექსიკოგრაფიულ ტრადიციებს, ისე თეორიული ლინგვისტიკისა და ლექსიკოლოგიის განვითარების თანამედროვე დონესა და ტენდენციებს, კომპიუტერული ლექსიკოგრაფიის უახლეს მიღწევებსა და შესაძლებლობებს.

ლინგვისტურ-ლექსიკოგრაფიული კონსტრუირების ფარგლებში პრინციპული მეთოდოლოგიური სიახლეა: ლინგვისტური (სტრუქტურული) და ფსიქო-სემანტიკური (მნიშვნელობა გრადაციებითა და კონოტაციებით) მიდგომის შეჯერებულად გამოყენება იდიომატიკის ანალიზისას და, ამ ერთგვარად ინტერდისციპლინური მიდგომის საფუძველზე, ფრაზეოლოგიზმთა მნიშვნელობის მაკროკომპონენტური მოდელის აგება.

იდიომთა რელევანტური ნიშნების კონსტრუირების პრობლემა წარმატებით შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ იდიომურ ერთეულთა დიდი რაოდენობის ანალიზის საფუძველზე. ჩვენს ხელთ არსებული უზარმაზარი ფაქტობრივი მასალა — ქართული ენის ფრაზეოლოგიური ფონდი (როგორც ნაწილი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სადოკუმენტაციო ფონდისა) გვაძლევს საშუალებას განხორციელდეს იდიომურ ერთეულთა ლინგვისტურ-ლექსიკოგრაფიული კონსტრუირება უკლებლივ ყველა ლექსიკოგრაფიული კოორდინატის მიხედვით, კერძოდ:

I. კოორდინატთა ლინგვისტური სისტემა მოიცავს იდიომთა სამ სემანტიკურ კლასს:

ა) იდიომატიკას, ბ) იდიოფრაზეომატიკას, გ) ფრაზეომატიკას. ამასთან, საკვლევი ლექსიკის ქრონოლოგიური (დროული) და სივრცული (დიალექტური) პარამეტრიზაციაც მასშტაბურია — ეფუძნება აღნიშნულ სადოკუმენტაციო ფონდს ინტერნეტის შესაძლებლობების ჩათვლით.

II. კოორდინატთა ფსიქოლოგიური სისტემა ვარაუდობს: ა) ფრაზეოლოგიზაციის პროცესის ჩვენებას (იქ, სადაც ამის წარმოდგენის რეალურ საშუალებას იძლევა სადოკუმენტაციო ფონდი; ცხადია, ლექსიკონში ეს სათანადო კვალიფიკაციებით აღინიშნება); ბ) ფრაზეოლოგიზმთა ფსიქოლოგიური, ეთნოლინგვისტური, ნაციონალურ-კულტუროლოგიური სპეციფიკის ჩვენებას. ფრაზეოლოგიზმები, როგორც ინფორმაციის კომპრესიის უძლიერესი საშუა-

ლება, უძვირფასესი წყაროა ლინგვოკულტუროლოგიური კვლევებისათვის; გ) ფრაზეოლოგიზმთა მნიშვნელობის ანალიზს ფსიქო-სემანტიკური მიდგომის ფარგლებში, რომელიც ორიენტირებულია ასე ვთქვათ „მოხმარების რეჟიმზე“, გამოყენების სფეროზე; დ) ადრესატის პრობლემას.

III. კოორდინატთა სემიოტიკური სისტემა გულისხმობს იდიომატიკონის მეტაენის აგებას. სპეციალისტთათვის უდავოა, რომ ამ რიგის მეტაენის ანუ ფრაზეოლოგიზმთა მნიშვნელობების მაკროკომპონენტური მოდელის აგება ურთულესი ამოცანაა ყოველ ნაციონალურ ლექსიკოგრაფიაში. ეს აქსიომაა ქართული ლექსიკოგრაფიისთვისაც, მითუმეტეს, რომ ფრაზეოგრაფია, როგორც დამოუკიდებელი დარგი ლექსიკოგრაფიისა მეტად მწირად გამოიყურება გასული საუკუნის ორიოდე მარტივი დესკრიფციული ხასიათის ნაშრომით. კომპიუტერული ლექსიკოგრაფიისა და ელექტრონული ლექსიკონების ეპოქაში ლექსიკური მასალის მოწოდებისა და განლაგების რაციონალური და ეფექტური პრინციპები, სალექსიკონო ინფორმაციის ფიქსაციისა და პრეზენტაციის საშუალებები, განმარტებებისა და კვალფიკაციების პრობლემატიკა, ნიშნადი, მეტაენობრივი და სიმბოლური აპარატი უმნიშვნელოვანესია.

IV. კოორდინატთა სოციოლოგიური სისტემა მოითხოვს ადგილისა და დროის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით გადაწყდეს დანარჩენი, ზემოთ დასახელებული კოორდინატებით ნავარაუდევი საკითხები.

ლინგვისტურ-ლექსიკოგრაფიული კონსტრუირების მიზნების შესაბამისად, ქართული იდიომატიკონისათვის განისაზღვრება ამოცანათა ორი ძირითადი ჯგუფი:

ა) იდიომთა ფონდის არქიტექტონიკული სისტემატიზაცია — ამ ჯგუფის ამოცანათა შესრულების შედეგად შეიქმნება: იდიომთა ერთიანი წინასწარი სიტყვანი და, შემდეგ, გენერალური სიტყვანი; ჩვენ მიერ აგებული იდიომთა მაკროკომპონენტური მოდელის თანახმად ჩატარდება წინასარედაქციო სამუშაოები; ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით, ახალი და უხალესი სადოკუმენტაციო ფონდის ბაზაზე დაზუსტდება და რედაქტირებისათვის მომოზადდება განსამარტავი ერთეულის საილუსტრაციო მასალა;

ბ) იდიომთა ლექსიკოგრაფიული ინტერპრეტაცია და მანქანური რეალიზაცია — ამ ჯგუფის ამოცანათა შესრულების შედეგად დადგინდება: ფრაზეოლოგიურ ერთეულთა რიგები (სინონიმური, ანტონიმური); იდიომური სიტყვა-სტატია მიიღებს დასრულებულ სახეს: განმარტება, კვალიფიკაცია + დოკუმენტური მასალა.

ლიტერატურა

კარაულოვი 1981 — Ю. Н. Караулов. Лингвистическое конструирование и тезаурус литературного языка. – Москва.

სამნიაშვილი 2005 — კ. სამნიაშვილი. ფრაზეოლოგიური კვლევის ახალი პარამეტრები. — საენათმეცნიერო ძიებანი, XX, თბილისი.

MANANA CHACHANIDZE

Towards the Linguistic-Lexicographic Constructing of Georgian Idiomaticon

S u m m a r y

Two basic groups of tasks for the Georgian idiomaticon are defined relevantly with the goal of linguistic-lexicographic constructing:

a) Archi-techtonic systematization of the funds of idioms – by fulfilling the tasks of this group the followings will be created: complete previous wod-list of idioms and afterward general word-list. According to macro-componental model of the idioms constructed by us pre-editorial works will be carried out; by maintaining the chronological principles, on the basis of new and the modern documentary fund an illustrative material of explanating entry will be difined and prepared for editing;

b) Lexicographic interpretation and machinery realization of idioms – as a result of fulfilling the tasks of this group the followings will be established: orders of phraseologic entries (synonymic, antonymic); an idiomatic word-entry will have a completed form: explanation, qualification + documentary material.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXXIX 2011

ალექსი ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სადაურობისათვის

შემთხვევა მქონდა, ერთ-ერთ წერილში აღმენიშნა, რომ ჰერულ-ინგილოურსა და „ვეფხისტყაოსანში“ არ არსებობს შესიტყვება „*ზედა მიპარება*“, არამედ არსებობს *ზედა მისვლა*, რაც გულისხმობს პირდაპირ, ჯიქურ მისვლას, მივარდნას, მიჭრას. ზოგი ასეთი შინაარსის მქონე ზმნა ზმნიზედა „ზედა“-სთან შეწყვილებასაც აღარ საჭიროებს. ასეთ შემთხვევებში ჯერ პოემის გადამწერთ, შემდეგ პოემის ტექსტის გამომცემელთ, არცთუ იშვიათად, ავტოგრაფი დაუმახინჯებიათ... ცხადია, გზადაგზა ასეთი ნებსითი თუ უნებლიე შეცდომების გამართვაც იქნება საჭირო.

არაერთხელ თქმულა: ჯერ სპარსთა და არაბთა ბატონობამ, შემდეგ კი თურქულენოვან ხალხში შერევამ გადაგვარების ზღვარზე მიიყვანა ჰერეთის მკვიდრთა მეტყველება: მყარი იდიომია ქართულში **სიტყვის თავზე** (= „ყოველი სიტყვის შემდეგ, ყოველ სიტყვაზე“). ღორი, ძაღლი, კატა, ხვლიკი, ხე, ქვა, ყველაფერი მე გამხადა და სიტყვის თავზე კი “ტყისკაციშვილოს“ მაყრიდა ჩეჩქივით („ხოლერამ მიშველა“, IV) (**1**). ეს იდიომი უდავოდ ჰერულშიაც გვქონდა, ახლა კი გვაქვს: „**ჟულაბი თავზე** ყოველი სიტყვის თქმისას, ლაპარაკის დაწყებისას, ყოველ სიტყვაზე. ~ „*ჟულაბი თავზე* ეს აქონდა: ბუთუმ რამ დამმირწყდავ (ყოველ სიტყვას ამით იწყებდა — ყველაფერი დამავიწყდაო) (**2**. 224).

ახალმა კომისიამ კი რუსთველს არ აპატია, ვრცელი თავგადასავლის თხრობის წინ ტარიელს რომ ათქმევინა: „აღარა ვიცი, *დამვიწყდეს*, თუცა დიადი წელია“ (336; 342/339) და ეს რუსთველის სტროფი ამოიღეს ტექსტიდან.

პირდაპირ მისვლის შინაარსის გადმოსაცემად „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულია ობიექტის მიმართულებით მოძრაობის აღმნიშვნელი „ზედა“-სთან შეწყვილებული სხვა ზმნებიც. მაგ.,

„შენ მინდორს გნახეთ გაჭრილი, ჩვენ *ზედა გარდგეკიდენით*“ (284; 283/287);

„სწადდა, მაგრა ვეღარა ქნეს ჩემი *ზედა* წამოქელვა“ (603; 608/605);

„ვინცა მდევდა, ვერ *შემომხდა*, მიუბრუნდი, მივაბრუნვე“ (605; 610/607);

„ფიცხლა ზედა *შევჯახე*, მათ დაიწყეს *ამოდ ცურვა*“ (612; 617/614).

„*ზედა მოატყდა* მჭვრეტელი, გახდა ზათქი და ზარები“ (1175; 1179);

იარეს და *ზედა შეჰდეს* ნურადინის მეჯოგეთა“ (1369; 1374/1375);

შენიშვნა: ა) „შემომხდა“ და „მოატყდეს“ ზმნებს „ზედა“ არ ახლავთ, მაგრამ უმისოდაც იმავე შინაარსს გადმოსცემენ; ბ) ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ტარიელის „ფიცხლა ზედა შეჯახების“ შემდეგ მის მტერს „ამოდ ცურვა დაეწყო“. ელვისებური ომის სრული სურათი ასეთია:

„... ნავი წინა მომეგება, არა ვიცი, შვიდი თუ რვა,
ფიცხლა *ზედა შევჯახე*, მათ დაიწყეს *ამოდ ცურვა*.
წიხლი ვკარ და დაუქციე, დაიზახნეს დიაცურ „ვა!“ (612; 617/614)

როგორც ჩანს, საუბარია დანგრეული ნავებიდან ზღვაში გადაყრილ მებრძოლთაგან თავის გადარჩენის მცდელობაზე, მათს **ამოცურვა** — **ამოყვინთვაზე**. დიალექტებში (მაგ., ხევსურულში) **ამოდ** ნიშნავს „ნელად, წყნარად“. „ვეფხისტყაოსანში“ არ დასტურდება არც ერთი შემთხვევა „ამოდ“-ის ამ მნიშვნელობით ხმარებისა. ამიტომ არ არის ზუსტი ნ. ნათაძის განმარტება: „**ამოდ** — ნელა“ (**3**. 208). შეცდომა დაშვებული ჩანს გადამწერის მიერ ასეთი კონტექსტების გავლენით: მიჰხვდეს ამინდსა **ამოსა**, **ნიადაგ ამოდ** ვლიდიან (1056; 1060). შდრ. ავთანდილის ელვისებური ომი მეკობრეებთან:

„მათ ლაშქართა გულუშიშრად ასრე ჰხოცდა, ვითა თხასა;
ზოგი ნავსა შეანარცხის, ზოგსა ჰყრიდა შიგან ზღვასა;
ერთმანერთსა შემოსტყორცის, რვა ცხრასა და ცხრა ჰკრის რვასა;
დაკოდილნი მკვდართა შუა იმალვიან, მალვენ ხმასა“ (1040; 1044).

ცხადია, ასეთი შტურმის დროს „ამოდ ცურვაზე“ საუბარი აბსურდია. „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს ზმნური ძირი **ტევ**-/**ტივ**-: დატევება, მოტევება, შეტევება, შენატევები... ამ ზმნათა შინაარსიც არის „ზედა მისვლა“, იერიშის მიტანა, ჯიქურ მისვლა, მივარდნა. საჭირო ჩანს ზოგი მათგანის განხილვაც.

პირველი შეხვედრისას, მიუხედავად იმისა, რომ პაემანი მისგან იყო დანიშნული, ნესტანმა დაიმორცხვა, შეკრთა და ტარიელი უუბრად გამოუშვა. ტარიელს მიჯნურთან ასე განშორება ძალიან დაუმძიმდა:

„ასმათ წამომყვა, წამოვე, ფარდაგი გამოვიარე,
ვთქვი: „საწუთროო, ვინ წელან გული დარმანთა *მიარე,*
მაშინ *მოგეცა* იმედი, ლხინი რად გამიზიარე?“
გულმან გაყრისა სიძნელე კვლა უფრო **დამიტია-რე**!“ (394; 399/396).

ნ. ნათაძის კომენტარები ასეთია:

„ა. ...**დარმანი** — წამალი, საშუალება: **გული დარმანთა მიარე** გული წამალს მომიახლოვე, ხსნის შესაძლებლობა დამანახვე.

გ. **გამიზიარე** გამიყავ, გამინახევრე. **ბ** და **გ** ტაეპების აზრია: საწუთრომ, წელან რომ ხსნის იმედი *მომეცი* ნესტანის წერილის მიღებით, ახლა კვლავ მწუხარებაში რად ჩამაგდე?

დ. **დამიტია-რე** — დამიტია. ჩემმა გულმა (ტკივილი) დაიტია, გულმა კვლავ გაყრის სიმძიმილი იგრძნო“ (**3**. 134-135).

მე კი მგონია, რომ:

ა. **გული დარმანთა მიარე** ნიშნავს: გული წამლებთან მიიყვანე („რება“ ზმნა და არა „არე“, „ადგილი“).

ბ. რა თქმა უნდა, გრაფიკული შეცდომაა (**გ** და **მ** ასო-ბგერათა აღრევაა) და ამიტომ ნონსენსია **მოგეცა**. უნდა დავბეჭდოთ: *მომეცა* (შდრ.: გა-**მ**-ი-ზიარე).

გ. **კვლა უფრო დამიტია-რე** ნიშნავს: უფრო მძაფრად შემომიტია.

თითქოს ნ. ნათაძისეული მოსაზრების გამყარებას ცდილობს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის წევრი შ. ძიძიგური: „ძველ ქართულში *დატევა // დატევნა* ზმნას „ტვირთვის“, „ატანის“, „დათმენის“ მნიშვნელობა ჰქონდა (იხ. *ილ. აბულაძე*, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები) თბ. 1973, გვ. 125). ამიტომ მეოთხე ტაეპის აზრი შეიძლება ასე გავიგოთ: გულმა გაყრის სიძნელე კიდევ უფრო იტვირთა, გაყრის სიძნელე კიდევ უფრო დაუმძიმდა გულს“ (**4**. 180).

რომელ დატევნა-დათმენაზეა საუბარი, როცა იქიდან შინ მოსული ტარიელი ამბობს:

„შევჯე, წამოვე, მდიოდა ნაკადი ცრემლთა მილისა;
საწოლს შემოვე, ხელქმნილსა ღონე არ მქონდა ძილისა,
ბროლი და ლალი შევიქენ მე ულურჯესი ლილისა;
ღამე მერჩია, მეწადა არ გათენება დილისა“ (397; 402/399).

„ვეფხისტყაოსანში“ ზედ მისვლის აღმნიშვნელ **ტევ-/ტივ-** ზმნას ზმნიზედა „ზედა“ აღარ ერთვის:

[მეფე] „შეჯდა, ქორნი *მიუტივნა*, დურაჯები დაინაბა“ (365; 370/367);
„ზღვა გავიარეთ, გავედით, *შემოგვიტიეს* ცხენია“ (614; 619/615);
„დავაპირე *შეტევება*, ვთქვი: „წავიდე მათკე მე, წა-“ (625; 630/627).

ჰერულ-ინგილოურში **ტევ-/ტივ-** ძირი თითქოს აღარა ჩანს, მაგრამ შემონახულია მისი სინონიმი **ტან-** ზმნური ძირი, რომელიც პრეფიქს **და-**ს დართვით და **ზედ** ზმნიზედით ან უმისოდ იმასვე ნიშნავს, რასაც „ვეფხისტყაოსნის“ „ზედა მისვლა“..:

„**ზედ დატანევაი, დატენევაი** 1. პირდაპირ, ჯიქურ მისვლა ვინმესთან ან რამესთან. ~ დათ დაჭრაში ინსანზე *ზედ ატანევს (/// ატენევს)* (დაყოფა აქაც და ქვემოთაც ჩემია, ა. ჭ.) (დათვი დაჭრისას პირდაპირ ადამიანზე მოდის, ადამიანისკენ მოიწევს); ჩონ ორღობეში ორდენა გრილოჲ (ორი აჩრდილი) დოჲნახ, არ შემეშინდა, *ზედ დავატან,* წ̈ველ, ხ̈დავ, ჩონ ნაცნოვ ინსნევ (კაცები) ყოფილან, მე ქურდევ მეგონა; ̈ზ̈ში ფინ ზაღლევ იყნ̈ნ, *ზედ დუატან,* შეველ ̈ზ̈ში; ყონაღმა დაროზაჲ არ დაჰკრა (სტუმარმა ჭიშკარზე არ დააკაკუნა), *ზედ* დაატანა, შ(ო)მო̈და უდოუზახნელა ̈ზ̈ში; დილანჩიჲს ჰეჩბეთ ზაღლევიზგან არ შეე̈შინდა (მათხოვარს ძაღლებისა სრულებით არ შეეშინდა) *ზედ დაატანა*, მო̈და; ის აჲქ არ უნდა წასულეყოს, მაჲნც *დაატანა, წო̈და* ზედ“. (**2**. 213).

ამ შესიტყვების სინონიმია ჰერულ-ინგილოური და „ვეფხისტყაოსნისეული“ **ზედ** (**ზე**) **გასვლა** — და *ზედ მოსვლა*:

[ავთანდილმა] ქვაბნი ნახნა, გაეხარნეს, ზე (EF ხელნაწერებში — *ზედ*) *გავიდა ქვაბთა კარსა* (839; 843/842). ე. ი. პირდაპირ მიადგა ქვაბის კარებს.

„ზედ გასწლა, ზ. გ(ო)მოსწლაჲ, ზ. წასწლაჲ თავზე წადგომა, მოულოდნელად მისვლა ვინმესთან და თავზე დადგომა, შესწრება. ~ ქურდ შ(ო)მოსულეყო მანაპარ ადგილში (იმ ადგილში, სადაც იპარავდა), *ზედ გეველ* (თავზე წავადექი). ქურდს ავაჰწყარ (შევუსწარი); გადაჲ (ვაჟი) და ქალ ლაპარიკოვდნენ. *ზედ გეველ* დამცხონდა (შემრცხვა); ი დეკაცი თავ მეჭირეოდა (ის ქალი მჭირდებოდა), რა კაჲ იქნა, *ზედ გეველ* (მოულოდნელად წავაწყდი), სათქმელ რამ ვუთხარ; სხალ ვიპარავდი, პატრონ *ზედ გო(მ)ჳდა*, ვერ გოდოჲხორწ, დამცხრონდა (შემრცხვა). (**2**. 213).

ზედ მოსწლაჲ (მოსლაჲ) 1. სწორედ მაშინ, სწორედ იმ დროს, იმ შემთხვევასთან ერთად მოსვლა. ~ ზინაანთა წეველ, ბებერიც *ზედ მოჳდა* (სწორედ იმ დროს მოვიდა).

2. იგივეა, რაც ზედ გასწლაჲ. ~ ერ რამ ვიპარავდი, პატრონ *ზედ მოჳდა*, ვერ გოდოჲხორწ, დამცხონდა (ერთ რაღაცას ვიპარავდ, პატრონი თავზე დამადგა, ვერ გავიქეცი, შემრცხვა); მინამს (ვინმეს) თუ ველაპარაკე და ერ ინსან (ვინმე) ნაგახტან (უეცრად) მოჳდა, აჲმაშინ ამბოვენ — ზედ *მოსულ*.

3. იგივეა, რაც ზედ დატანევაჲ, მნიშვ. 1. ~ გიორგი თოფს ესრჳს (ესვრის) დათს, დათ *ზედ მოდის, ეტანევის*“ (**2**. 214).

ზედ მისვლა „ვეფხისტყაოსანში“ და ხევსურულშიაც იმასვე ნიშნავს, რასაც ჰერულ-ინგილოურში.

„ვეფხისტყაოსანი“:

„თქვენ თუ არ მოხვალთ, ჩვენ *მოვალთ ზედა*, არ მოგეპარებით“ (386; 391/388).

გამოცემებში (ა. შანიძისა და ალ. ბარამიძისა, 1966 წ., „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციისა, 1988 წ.) და ნ. ნათაძის სასკოლო გამოცემაში მძიმე „მოვალთ“-ის მიმყოლ ზის. ეს შეცდომაა: საუბარია, არა „ზედა არ მიპარებაზე“, არამედ „ზედ პირდაპირ მისვლაზე, ჯიქურ მისვლაზე“. ამიტომ, მძიმე *ზედა*-ს მიმყოლ უნდა დაისვას.

ხევსურული:

მელექსე თერგის ხეობაში, სოფელ ბალთაში მამუკა ბუჩუკურელისთვის შემბმელ ქისტს მიმართავს:

(მამუკას) შენ მეტმ ვერავინ დასწონა, **ზედ მიხვე** შორით გამხტარი, მდარშიით გარმაქნეულმა დაგიჭრნა უბის მასრანი.

ხევსურულშიც **ზედ მიტანება** იმასვე ნიშნავს რასაც ჰერულ-ინგილოურში. **„ზედმიმტანე** მიმხდომი, კაცი, რომელიც სხვას სახლში მიუვარდება“. ანდაზაა: „ზედმიმტანესავ სუდარივ ჯიბაჩი უნდა ედვასავ“ (**5**).

ახლა კი ამ ყაიდის ზმნებში ორიოდე სადავო ადგილის შესახებ.

ავთანდილმა ნესტანის ასავალ-დასავალი ზუსტად დაადგინა, მოვიდა და

ძმადნაფიცს ახარა. იმედგადაწურულმა ტარიელმა სიტყვა ბანზე აუგდო: მე ის მიხარის, რომ შენ ცოცხალი ხარ, თორემ „კაცმანცა სოფელს ვით პოვა რაცა-რა საქმე ზენია!“-ო.

„რა ტარიელ არ შესჯერდა, ავთანდილცა არ დაწყნარდა,
მის ამბისა დაყოვნება ვეღარ გასძლო, აუჩქარდა,
გამოიღო რიდე მისი, ვინ **ბაგეთა** ვარდი ვარდა.
რა ტარიელ ნახა, იცნა, გამოუღო **შემოვარდა**“ (1334; 1339).

შენიშვნები: ა) ყველა (12) ძირითად ხელნაწერში იკითხება **ბაგეთათ**. არავითარი საბაბი და უფლება არა გვაქვს ამ ფორმის შეცვლისა.

ბ) „შემოვარდა“ აბსოლუტურად უაზრო ფორმაა! უნდა დაიბეჭდოს — **შემოჰვარდა** (= „ტარიელი მი-ჰ-ვარდა ავთანდილს“). შდრ. იქვე, ერთი სტროფის ქვემოთ:

გ) ავთანდილ უჭვრეტს ტარიელს უსულოთ ქვემდებარესა;
შეფრინდა, შველად **მიმართა** მას. ტკბილად მოუბარესა (1336; 1341).

თორმეტი ძირითადი ხელნაწერიდან რვაში იკითხება **შეჰფრინდა**, რაც ნიშნავს „მიჰვარდა“.

დ) „შეჰფრინდა“-ს განმარტებაა მისი მომდევნო ზმნა **მიმართა,** ოღონდ პირის ნიშანი აკლია, უნდა დავბეჭდოთ — **მიჰმართა**.

ამ ფორმების დამადასტურებელი ზმნები შეიძლება ინგილოურში ვეღარც დაიძებნოს, მაგრამ მათი პოვნიერება ფხოურ დიალექტებში, კერძოდ, ხევსურულში, რომელიც უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ინგილოურთან, ვიდრე მის უშუალო მეზობელ ქიზიყურთან, გვაძლევს საშუალებას დავუშვათ, რომ ეს ფორმები ჰერულისაა და არა რომელიმე სხვა ქართული დიალექტისა.

ვიმოწმებ ხევსურულ და ფშავურ ფორმებს.

ვეფხვს *შამავღვარდი* ნაწოლსა, ხანნ იყვნეს შუღამისანი (**5**).

ვაჟი ნადირთკე წასული ბევრა *შაღვარდა* მზირსაო (იქვე)

„**შა**-ხ-**ფრინდები**-ს შეახტება. ისეთ მწარე არაყ იყვ, ცეცხლჩი ჩაასხა’ ალ თავ-პირჩი *შახფრინდ* (იქვე); ქოო ემაამაუღებელს *მიხფრინდ*, ცემა დაუწყ (იქვე).

„**შემო**-ჰ-**ვარდებ**-ა წამოაწყდება, გადმოეყრება, მოულოდნელად ზედ შეადგება.

„ადექი, კაცო, გაგთელავს მიმავალ-მომავალია, ან ცხენი *შემოგვარდება* გადგივლის ურმის თვალია“ (ვაჟა — „ამერ-იმერი“) (**1**).

შა-ჰ-**ვარდებ**-ა წააწყდება, გადაეყრება, ზედ წაადგება. მკითხავები ...სხვადასხვა ხატის მიზეზს მიაწერდნენ კარახელის ავადობას... წმინდა გიორგის სამგზავრო ადგილს დასძინებია, ხატი *შაჰვარდნია* ზედ და იმის მიზეზი არისო“ (ვაჟა — „ფშაველი და...“ I) (იქვე).

ლიტერატურა

ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა *ალექსი ჭინჭარაულმა* თბილისი, 1969 წ.

ღამბაშიძე 1988 — რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბილისი.

შ. რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ამხსნელი მასალა და კომენტარები დაურთო *ნ. ნათაძემ*, თბილისი, 1992 წ.

ჟურნ. მაცნე, №3, თბილისი, 1976 წ.

ჭინჭარაული 2005 — ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

ALEXI TCHINTCHARAULI

Towards the Origin of the Author of "The Knight in the Panther's Skin"

S u m m a r y

1. A Georgian idiom – "(**ɋoveli**) **siṭɋvit tavze**" corresponds (**ɋoveli**) **žuɣabi tavze**" with Herian-Ingilo.

2. **diadi ɕeli** means "many years": "**vadiadenit**" (1116/1120); "**saubari midiades**" (936; 940 (939); "**ɕɋalobani mediada**" (135, 138/135).

3. In some context "**zed misvla**", "**zed šežaxeba**", "**zeda šeqdoma**", "**zeda moṭɋdoma**" means "to attack directly".

4. In the poem **amaod curva** does not mean "to swim slowly". It means "to swim pleasantly". In the origin **amocurva** i. e. "surfacing" should have occurred.

5. It is a graphical mistaken "**mašin mogeca imedi**"; **momeca** should be printed.

6. In Herian-Ingilo **ṭev/ṭiv** ("He attacks, "He attacked") verb does not occur, but there is its synonym **ṭan**: **zed daṭanevaj** ("to attack directly").

7. In Khevsurian **zed miṭaneba** has the same meaning as in Herian-Ingilo, but here it implies "attacking to an enemy at home".

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXXIX 2011

როენა ჭკადუა

ფუძედრეკად ზმნათაგან მიმღეობის წარმოებისათვის სვანურში

არსად არ არის არეული ერთმანეთში სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა კილოს ქონება, როგორც მიმღეობის ფორმებში — ბრძანებს ა. შანიძე (შანიძე 1980: 569). კონკრეტულ შემთხვევაში პატივცემული მეცნიერი ქართული ენის მასალას გულისხმობს, მაგრამ იგივე ითქმის დანარჩენი ქართველური ენების მონაცემებზეც.

სვანურში, დროის გამოხატვის თვალსაზრისით, აწმყოს, მყოფადისა და ნამყოს მიმღეობებს გამოყოფენ (ვ. თოფურია, ალ. ონიანი, ზ. ჭუმბურიძე...). მიმღეობურ მაწარმოებლად მიიჩნევენ როგორც პრეფიქსებს, ასევე კონფიქსებსაც. კონფიქსით ნაწარმოებ მიმღეობებში სუფიქსური ელემენტების განაწილება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ალომორფია წარმოდგენილი შესაბამისი ზმნების პირიან ფორმათა აწმყოს მწკრივში (ეს გარემოება აძლევს საფუძველს მეცნიერთა ნაწილს, რომ მხოლოდ პრეფიქსი ჩათვალონ მიმღეობის მაწარმოებელ მორფოლოგიურ ერთეულად). თავის მხრივ, პრეფიქსულ მაწარმოებლებშიც გამოყოფენ თანხმოვნით ნაწილს, რომელსაც „... შეიძლება ხმოვანიც ახლდეს“ (ჩიქობავა 1942: 23).

სამეცნიერო ლიტერატურაში სვანური მიმღეობური აფიქსები შემდეგნაირად არის დაჯგუფებული:

აწმყო: **მგ**- ‖ ასიმილირებული **მუ**-, **მგ**- ‖ **მუ**- — -**ე**, **მგ**- ‖ **მუ**- — -**ი**, **მე**-, **მო**-, **მე**- — -**ე**

მყოფადი: **ლე**-, **ლე**- — -**ე**, **ლე**- — **ი**, **ლა**-, **ლა**- — **ა**, **ლა**- — -**ი**.

ნამყო: **ლგ**- ‖ **ლუ**-, **ლგ**- ‖ **ლუ**- — -**ე**, **ლგ**- ‖ **ლუ**- — -**ი**, **მგ**- ‖ **მუ**-, **მგ**- ‖ **მუ**- — -**ე**, **მგ**- ‖ **მუ**- — -**ი**, **ნა**- — ⌜**უ**⌝.

საკლასიფიკაციო ნიშნის აღრევის თავიდან ასაცილებლად უარყოფითი (**უ**- — -**ა**), რომელსაც დროული გაგება ნაკლებად აქვს, შეტანილია ნამყოს მიმღეობათა რიგში, როგორც წარსულში შეუსრულებელი მოქმედების აღმნიშვნელი. ამ დაჯგუფების მიღმა მაინც რჩება მიმღეობები (მასალის, დანიშნულების...), რომლებიც დროულ დაპირისპირებას არ გამოხატავენ. უნდა შევნიშნოთ, რომ „მიმღეობის დრო არა დამოუკიდებელი დროა, როგორც პირიან ფორმებში საზოგადოდ, არამედ მიმართებითი“ (შანიძე 1980: 568).

ზოგადად, მიმღეობა შედგება მოქმედების ან მდგომარეობის სემანტიკის მქონე ზმნური ძირისა და აფიქსებისაგან. ექსპოზიციური კვლევა გვიჩვენებს, რომ სვანურში მიმღეობათა მაწარმოებლები ჩვეულებრივ პირველად სახელებთანაც გვხვდება. ვ. თოფურია სიტყვაწარმოებაში განიხილავს პირველად სახელთა და მიმღეობათა წარმოებას.

ფუძედრეკად ზმნათა მიმღეობები, ძირითადად, წარმოების ზოგად წესს მიჰყვებიან (განსაკუთრებით მაწარმოებელი ინვენტარის მიხედვით), მაგრამ, რადგან სვანურში ფუძის ფლექსია მკვეთრად ჩამოყალიბებული მოვლენაა, ამიტომ სახელზმნურ წარმოებაში რიგი თავისებურებანი ვლინდება. მაგალითად, თუ ქართულში ფუძედრეკადთა კლასის ვნებითი გვარის მიმღეობები აქტივის ფუძისათვის დამახასიათებელ -ე-ს შეიცავენ (დრეკილ, წყვეტილ...), სვანურში პასივის მიმღეობები უშუალოდ ვნებითის ძირს ეყრდნობიან, რისი დამადასტურებელიც არის ლენტეხურის ურედუქციო ფორმები.

დეგ-ნ-ი „ქრება“ — **მე-დგ-ე** „ჩამქრალი“, **მე-დეგ-ე** ლნტ.

რეღუ-ნ-ი „იშლება“ — **მე-რღუ-ე** „დაშლილი“, **მე-რეღუ-ე** ლნტ.

ნეკუ-ნ-ი „იხრება“ — **მე-ნკუ-ე** „დახრილი“, **მე-ნეკუ-ე** ლნტ.

რაც შეეხება საწყისს, ცნობილია, რომ ფუძედრეკადებს მოქმედებითისა და ვნებითის კორელაციური ფორმები გააჩნიათ (**დიგე** „აქრობს“ — **ლიდგე** „ჩაქრობა“, **დეგ-ნ-ი** „ქრება“ — **ლიდეგ** „ქრობა“; **ლიგჰე** — **ლიგეჰ** „გაძლება“, **ლიშდხე** — **ლიშდეხ** „დამთავრება“ და ა. შ.

სვანურში შემორჩენილია ამ კატეგორიის ზმნათა -**ა** სუფიქსიანი მასდარიც (**ხუეტა, კუეშ-ა, ქეხ-ა**...), რომელიც უფრო სუბსტანტიურ ხასიათს ატარებს და როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში „...ნაკლებად არის დაკავშირებული ზმნის სისტემასთან“[1] (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 210). ფუძედრეკადთა კატეგორიის მიმღეობურ წარმოებაში გასათვალისწინებელია ხმოვანმონაცვლე მასდარული ძირებიც.

სვანურის მიმღეობურ წარმოებაში ერთმანეთს უპირისპირდება **ლგ**- და **მგ**- ოდენპრეფიქსული მიმღეობები. რიგ შემთხვევაში ისინი თავისუფლად მონაცვლეობენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უსუფიქსოდ არიან წარმოდგენილი:

ლგ-ტყაბ — **მგ-ტყაბ** „შემწვარი“

ლგ-ჯაბ — **მგ-ჯაბ** „მოხარშული“

ლგ-ჭაბ — **მგ-ჭაბ** „დაბარებული“

შედარებით იშვიათად, მაგრამ ასეთი მონაცვლეობა მაინც გვაქვს ფუძედრეკადთა კლასშიც:

ფხირ-ე „ახელს“ — **ლგ-ფხირ** — **მგ-ფხირ** „გახელილი“

[1] -**ა** სუფიქსიანი მასდარის სუბსტანციური ხასიათის გამო ვ. თოფურია მათ განყენებულ სახელებში განიხილავს (თოფურია 1967: 212-213).

ფხიჟ-ე „ʳგა˥შლის“ — **ლგ-ფხიჟ** — **მგ-ფხიჟ** „გაშლილი“

ვნებითის ნამყო დროის მიმღეობებს ძირითადად, **ლგ**- პრეფიქსი აქვთ მაწარმოებლად:

ტიხ-ე „ʳდა˥აბრუნებს“ — **ლგ-ტიხ** „დაბრუნებული“

გადან ქა ლგტ̄ხ მ̄არ ჩიმიშდ (ბზ.) „ვალი დაბრუნებული მაქვს ყველასათვის“.

კუიშ-ე „ტეხს“ — **ლუ-კუიშ** „გატეხილი“

ჰყინტს ქრხჳ̄და ლუკუიშ სტამან (ლშხ.) „ბიჭს გატეხილი დოქი გამოუტანია“

ხუიტ-ე „ʳამო˥წყვეტს“, „ʳამო˥ხოცავს“ — **ლუ-ხუიტ** „ამოწყვეტილი“

ლუხუიტ აფხნიკარს ლოხცუდე დ̄აუა თუელ (ლშხ.) „დახოცილ ამხანაგებს დევის ტვინი წაუსვა“.

ოდენ ლგ- (ასიმილირებული **ლუ**-) პრეფიქსიანი წარმოების პარალელურად მოქმედებს **ლგ**- ‖ **ლუ**- — -**ე** კონფიქსიანი წარმოებაც.

ყუილ-ე „ყოფს“

ლუ-ყუილ ‖ **ლუ-ყულ-ე** „გაყოფილი“

ჭიხ-ე „ʳგადა˥წევს“

ლგ-ჭიხ ‖ **ლგ-ჭხ-ე** „გადაწეული“

კიჰ-ე „ʳგა˥აქრობს“

ლგ-კიჰ ‖ **ლგ-კჰ-ე** „გამქრალი“

ლგ- ‖ **ლუ**- პრეფიქსი, ზოგადად, მქონებლობის აღმნიშვნელი ფორმანტია პირველადი სახელების წარმოებისას და საკმაოდ პროდუქტიულიც (**ლგ-ბ̄ალ** „ფოთლიანი“, **ლგ-ბ̄აჩ** „ქვიანი“, **ლგ-ლიც** „წყლიანი“ და სხვ.)

პირველად სახელთა წარმოებისასაც ზოგჯერ ერთსა და იმავე დიალექტში ერთმანეთს ენაცვლებიან ოდენპრეფიქსული და პრეფიქსულ-სუფიქსური ფორმები, გვაქვს დიალექტური ვარიანტებიც:

ლგ-ბჭედ ზს., **ლგ-ბჭედ-ე** ბქ. ლშხ., **ლგ-ბეჭდ-ე** ლნტ.

ლგ-ნშ̄ან ზს., **ლგ-ნშან-ე** ზს., **ლგ-ლშან** ლშხ., **ლგ-ლშ̄ან** ლნტ. „ნიშნიანი“.

ლგ- (ასიმილ. **ლუ**-) პრეფიქსის გარდა გვაქვს **ლე**-, **ლე**- — -**ე** **ლა**-, **ლა**- — -**ა**, **ლა**- — -**ი** მყოფადის მიმღეობების მაწარმოებელი ფორმანტები ვნებითის გაგებით.

ლე-ზობ „საჭმელი“, **ლე-მარ-ე** „გასამზადებელი“, **ლ̄ა-შხი** „დასაწვავი“, **ლა-ჯაბ** „მოსახარში“, **ლა-თრ-ა** „დასალევი“ და სხვ.

ფუძედრეკადთა კლასში ერთმანეთს უპირისპირდებიან ოდენ **ლე**- პრეფიქსიანი და **ლე**- — -**ე** კონფიქსიანი მიმღეობები.

ლე-ტხ-ე „დასაბრუნებელი; ის, ვინც (ან რაც) უნდა დააბრუნო“

ლე-ტეხ „დასაბრუნებელი; ის, ვინც უნდა დაბრუნდეს“

ნაშდებ დიჳრ ნებოზთექა ქა ლეტხე ხად „ნასესხები პური საღამო-

მდე დასაბრუნებელი ჰქონდა“.

ლახუთე დოსდ ხად ლეტეხ „მთაში ადრე უნდა დაბრუნებულიყო („ადრე ჰქონდა დასაბრუნებელი“)“.

ლე-ქხ-ე „გასაწევი; ის, ვინც (ან რაც) უნდა გაწიონ“

ლე-ქეხ „გასაწევი, ის, ვინც (ან რაც) უნდა გაიწიოს“

ბარგ მახე ქორთე მად ლექხე „ბარგი ახალ სახლში მქონდა გადასატანი“.

მახე ქორთე მარ ლექეხ „ახალ სახლში ვარ (მაქვს) გადასასვლელი“

ლე-თუფ-ე „დასაკარგი; ის, ვინც (ან რაც) უნდა დაკარგონ“

ლე-თუეფ „დასაკარგი; ის, ვინც (ან რაც) უნდა დაიკარგოს“

ლეთუფე ნათი დემეგ მირი „დასაკარგი ნათესავი არა მყავს“

ეჯგუხარ გუე ჩუემინ, ერე ლეთეფ ხარ „ისეთი საქმე გააკეთა, რომ უნდა გადაიკარგოს („დასაკარგი აქვს“)“.

ზემოთ ნაჩვენებ დაპირისპირებაში კონფიქსიანი ფორმები წარმოადგენენ მოქმედებითი გვარის (**ტიხ-ე, ქიხ-ე, თუიფ-ე**...) ფორმებიდან ნაწარმოებ საობიექტო მიმღეობებს, რომლებიც პირდაპირ ობიექტს გამოხატავენ, რაც შეეხება ოდენპრეფიქსიან ლექსემებს, ისინი ნაწარმოებია მედიოპასიური (**ტეხ-ნ-ი**, **ქეხ-ნ-ი**, **თუეფ-ნ-ი**) ფორმებიდან და როგორც სუბიექტის ფარდ სახელებს, შეგვიძლია სასუბიექტო მიმღეობები ვუწოდოთ.

ქ. ლომთათიძე წერილში „თბება ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში“ წერს, რომ „მიმღეობა მოეპოვება მხოლოდ მოქმედებითისა და უგვარო ზმნებს ქართულში. ვნებითს მიმღეობა არა აქვს“ (ლომთათიძე 1952, 77). აშკარაა, რომ სვანურში ფუძედრეკადთა ვნებითებიდან იწარმოება სასუბიექტო მიმღეობები, თუმცა აქ შეიძლება გავითვალისწინოთ გ. მაჭავარიანის მოსაზრება, რომ „... ფუძედრეკადი ვნებითი სვანურში ისტორიულად ნამდვილად უნიშნო იყო“ (მაჭავარიანი 1958: 128). სვანურში ამ ტიპის ზმნებს რომ სუბიექტური მიმღეობა (**მე-ტხ-ე**, **მე-ჰდ-ე**...) ეწარმოებათ, ამას სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებით ახსნის ავტორი.

-**ე**- გახმოვანება გვაქვს **მე**- ოდენ პრეფიქსითა და **მე**- — -**ე** კონფიქსით ნაწარმოებ აწმყოს მიმღეობებში:

მე- — -∅

მე-გეჯ „გამძლები“, **მე-კუეშ** „მეტეხი, მტვრევადი“, **მე-დეგ** „ქრობადი“, **მე-რელუ** „მსხვრევადი“, **მე-ფეშგ** „ხსნადი“, **მე-ქეხ** „ჩამწევი, მიმწევი“, **მე-ჰეჩ** „ცვეთადი“ და სხვ.

მე- — -**ე**

ზს. ლშხ. **მე-გჯ-ე** ლნტ. **მე-გეჯ-ე** „მაგარი“

ზს. ლშხ. **მე-დღბ-ე** ლნტ. **მე-დღებ-ე** „დამპალი“

ზს. ლშხ. **მე-ფტ-ე** ლნტ. **მე-ფეტ-ე** „გახვრეტილი“ და სხვ.

ვ. თოფურია მიუთითებს, რომ ოდენ **მე**- პრეფიქსიან ფორმებს ლენტეხურ-

ში **ა**- (**ე** → **ა**) ხმოვნიანები ენაცვლება (**მეტახ**, **მედაგ**, **მექახ**...). უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ლექსემები **ა** გახმოვანებით, თანდებულდართული სხვა დიალექტებშიც გვხვდება. მაგალითად, ბალსქვემოურში:

ბაზიშ ჩუ მეჯადჟი აჩად „ამაღამ უნდა ჩამობრუნდეს“ (ზედმიწ. „ჩამოსვლაზე წავიდა“)

შიშდ მეტახჟი ხუასუდ ლგრგჯადნე „ხელად დაბრუნებაზე ვიყავით მოლაპარაკებული“.

წარმოდგენილ კონტექსტებში მიმღეობა მასდარის ფუნქციით არის წარმოდგენილი, ისევე, როგორც **ლა**- — -**ა** კონფიქსით ნაწარმოები მიმღეობების შემთხვევაში (სუხიშვილი 1998: 241), რაც მხარს უჭერს არნ. ჩიქობავას მოსაზრებას, რომ ისტორიულად მიმღეობასა და მასდარს ერთგვარი წარმოება ახასიათებდა, ხოლო დიფერენციაცია მეორეულია.

ლა- — -**ა** პრეფიქს-სუფიქსიან მიმღეობებში **-უე** ‖ -**ე** ხმოვნიანი ძირი ფიქსირდება, რასაც ადასტურებს ქვემოსვანურის მონაცემები:

ზს. ლნტ. **ლჳ-თუფ-ა**, ლშხ. **ლა-თუეფ** „დასაკარგავი“ — **თუიფ-ე** „კარგავს“

ზს. ლნტ. **ლჳ-ტყც-ა**, ლშხ. **ლა-ტყეც** „დასარღვევი, დასაშლელი“ — **ტყიცე** „არღვევს“

ზს. **ლჳ-ფშგ-ა**, ლნტ. **ლა-ფშკ-ა**, ლშხ. **ლა-ფეშგ** „გასახსნელი“ — **ფიშგ-ე** „ხსნის“

თავისებურებას ავლენენ **ნა**- პრეფიქსით ნაწარმოები ნამყოს მიმღეობები. ისინი აქტიურ და პასიურ შინაარს განარჩევენ ძირისეული ხმოვნის მონაცვლეობით:

ზს. ლნტ. **ნჳ-ჴიდუ**, ლშხ. **ნა-ჴიდ** „მოტანილი, მოყვანილი“.

ბზ. **ნა-ჴჳდუ**; ბქ. ლნტ. **ნჳ-ჴედუ**; ლშხ. **ნა-ჴადუ** „მოსული, მონასვლელი“

ბაღჳრისგა ხოლჯახ, ეჩხენ ნჳჴიდუ ხილჳრ (ბქ.) „ბაღებში ურგიათ იქიდან მოტანილი ხილი“

შუჳნხენ ნჳჴიდუ ლი ალ ხჳტ (ლნტ.) „ეს ხატი სვანეთიდან არის მოტანილი“

იმხან ნაჴჳდუ ესერ ლი (ბზ.) „საიდან ხარ მოსულიო (ზედმიწ. „მონასვლელი“)“.

სგიმართე ნაჴედუარ ხოფშირა ლეგმერდელ ლიხ (ლშხ.) „ვეძაზე მოსულები მეტწილად ავადმყოფები არიან“

ნატიხუ „მონატანი, მონაბრუნები“

ნა-ტეხუ „მონასვლელი, მობრუნებული“

ლამთიელხენ ნჳტიხუ კიბდენს დემნჳრ ხეყად (ბქ.) „ქმრისეული სახლიდან მოტანილი (ზედმიწ. „მონატანი, დანაბრუნები“) კიდობანი არაფრად

ვარგოდა“.

ლაქინოშუ ნატეხუ ქუნ ვედდგარ იკადუ (ბქ.) „სირბილით მოსული (ზედმიწ. „მონასვლელი“) სულს ძლივს ითქვამდა“.

უარყოფითი მიმღეობები (**უ**- — -**ა**) მხოლოდ ლენტეხურში განარჩევენ აქტივ-პასივს ხმოვანმონაცვლეობით (**უ-ჰიდ-ა** „მოუტანელი, მოუყვანელი“, **უ-ჰედ-ა** „მოუსვლელი“), დანარჩენ დიალექტებში აქტივ-პასივი არ არის გარჩეული. მაგ.:

სუიმონ უტიხა ლასუ ქუერწილხენ (ბქ.) „სიმონი არ იყო დაბრუნებული (ზედმიწ. „დაუბრუნებელი იყო“) ქორწილიდან“.

ნაშდებ ითქ ქა უტიხა მად (ბქ.) „ნასესხები მარცვლეული არ მქონდა დაბრუნებული (ზედმიწ. „დაუბრუნებული“) მქონდა“.

მოქმედებითი გვარის (სასუბიექტო) მიმღეობის მაწარმოებლად ფუძედრეკად ზმნებში, ძირითადად, გვაქვს **მგ**- (ასიმილ.) / **მუ**- — -**ე** კონფიქსი: **მუ-კუშ-ე** „გამტეხი“, **მგ-ჰდ-ე** „მომტანი“, **მუ-ცურ-ე** „დამტოვებელი“, **მუ-ყუფ-ე** „გამფუფქი“ და სხვ.

ამ ტიპის მიმღეობები ლენტეხურშიც რედუცირებული ფორმითაა წარმოდგენილი: **მგ-ფშკ-ე** „გამხსნელი“, **მგ-ფხუ-ე** „გამშლელი“, -**იან** || -**ან** ელემენტებიდართულ მიმღეობებში აქტივის ფორმათა ძირეული -**ი**- აღდგება, საიდანაც ჩანს, რომ ეს მიმღეობები სწორედ აქტივის ფუძეს ეყრდნობა:

ბზ. **მუ-ქუიც-იან** „მჭრელი“

ლშხ. **მუ-ბიჭკუ-იან** „გამხეთქი“

ლნტ. **მგ-ფიშკ-იან** „გამხსნელი“ და სხვ.

ბალსქვემოური დიალექტში განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული -**ან** ელემენტდართული ლექსემები: **მგ-კიდ-ან** „ამომწყვეტი“, **მუ-ყუიფ-ან** „ამომძირკვავი“, **მგ-შდიხ-ან** „ამომთავებელი“. განსაკუთრებით ხშირად მსგავსი ლექსემები გამოიყენება წყევლის ფორმულებში: **მა მიჩა მგკიდან ი მგშდიხან ხაკუ**? „რა მისი ამომწყვეტი და ამომთავებელი უნდა?“

ზემოთ განხილული მასალიდან ჩანს, რომ ფუძედრეკადთა კატეგორიის მიმღეობური წარმოება, ისევე როგორც მასდარული, ხშირ შემთხვევაში განარჩევს ერთმანეთისაგან სასუბიექტო და საობიექტო მიმღეობას ძირისეული ხმოვანმონაცვლეობით. იგი იყენებს ზმნის ძირს, რომელიც ნეიტრალურ მონაცემს არ წარმოადგენს და იმთავითვე განსაზღვრავს მის აქტიურ თუ პასიურ მნიშვნელობას.

ლიტერატურა

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

მაჭავარიანი 1958 — გ. მაჭავარიანი, „უნიშნო ვნებითი“ ქართველურ

ენებში. — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბილისი.

ლომთათიძე 1952 — ქ. ლომთათიძე, **თბება** ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში. — იკე, IV, თბილისი.

სუხიშვილი 1998 — მ. სუხიშვილი, **ლა**- პრეფიქსიანი მიმღეობის ფორმები მასდარის მნიშვნელობით სვანურში. — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VII, თბილისი.

შანიძე 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. — შრომები, ტ. III, თბილისი.

ჩიქობავა 1942 — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

ROENA TCHKADUA

Towards the Formation of Participle From Stem-Changing Verbs in Svan

S u m m a r y

Participles of stem-changing verbs mainly follow a general formation rule. But as in Svan inflexion of a stem is a firmly developed phenomenon, thus in formation of a deverbative noun some peculiarities are revealed. In particular, in most cases the participles formed from vowel-changing verbs differ subjecting and objecting participles by changing of a root vowel.

ნინო ჯორბენაძე

არსებით სახელთა დაჯგუფების ახალი პრინციპებისათვის ქართულში

თანამედროვე განმარტებებით, მორფოლოგია გრამატიკის ის დარგია, რომელიც სწავლობს სიტყვების გრამატიკულ კლასებს (ე. წ. მეტყველების ნაწილებს), მათ მორფოლოგიურ კატეგორიებსა და ფორმაწარმოებას.

სიტყვების გრამატიკულ კლასებში გაწევრიანება ხდება როგორც ფუნქციური, ისე ფორმობრივი მახასიათებლების მხრივაც. ეს ორი კომპონენტი აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ამ კლასების გამოყოფისას...

ძველ გრამატიკებში ანგარიში, ძირითადად, მხოლოდ ფუნქციასა და სიტყვის მნიშვნელობას ენიჭებოდა, ამიტომ მეტყველების ცალკე ნაწილებად გამოიყოფოდა არსებითი, ზედსართავი, ზმნა, ზმნიზედა და ა. შ... ქართულშიც იდენტური ვითარება გვაქვს: ა. შანიძის „გრამატიკის საფუძვლებში“ ამ პრინციპზე დამყარებით 10 მეტყველების ნაწილია გამოყოფილი (შანიძე 1973: 34).

თითქოსდა ამ წინააღმდეგობების დასაძლევად თანამედროვე გრამატიკებში მეტყველების ნაწილები მახასიათებლების მიხედვით სამ ფართო კლასშია გაერთიანებული, რაც უნივერსალური ჩანს ყველა ენისთვის. ეს მახასიათებლებია: 1. **საგნის მახასიათებელი** და **პროცესის მახასიათებელი**, რომელიც თავისთავად იყოფა: 2. **პროცესუალურ** (მოქმედების ან მდგომარეობის) და 3. **არაპროცესუალურ** (თვისებისა თუ ხარისხის) მახასიათებლებად. აღსანიშნავია, რომ ამგვარ დაყოფაშიც ფუნქციის გავლენა მეტია. გარდა ამისა, ამათ შიგნით კიდევ გამოიყოფა მეტყველების ნაწილები ადრე არსებული დეფინიციის მიხედვით; ასე რომ, ისევ და ისევ შინაარსობრივი დაყოფა ხდება სიტყვებისა; ამის გასამართლებლად ხშირად აღნიშნავენ, რომ მეტყველების ნაწილები ლექსიკოგრამატიკული კატეგორიებია (რუსული გრამატიკა), რაც თავისთავად სწორი მიდგომა არ არის გრამატიკის აღწერისას. ამიტომ ბ. ჯორბენაძის პროგრამა-კონსპექტში, რომლის მიხედვითაც ქართული ენის მორფოლოგიის ახალი კურსი უნდა დაწერილიყო და რომელზეც პროფ. გ. გოგოლაშვილის ხელმძღვანელობით ამჟამად ავტორთა ჯგუფი მუშაობს, ერთ ჯგუფშია გაერთიანებული არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელი და ასევე — ზმნიზედები, რადგან ფორმაწარმოების თვალსაზრისით მათ შორის ფუნდამენტური სხვაობა არ არის (ჯორბენაძე, 1995: 23-25).

აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ არსებული წინააღმდეგობა მეტყველების ნაწილების ტრადიციული დაყოფისა იმდენად აშკარაა, რომ ზოგიერთ (მაგ., რუსულ გრამატიკებში) შესაძლებლად თვლიან ამ ლექსიკოგრამატიკულ კლასებად (ანუ მეტყველების ნაწილებად დაყოფის) პარალელურად მოახდინონ წმინდა ფორმობრივ-გრამატიკული, მორფოლოგიური დაყოფა და ამის მიხედვით სულ სხვა ჯგუფები გამოიყოფა: 1. სიტყვები, რომლებსაც მხოლოდ ბრუნვის კატეგორია აქვს; 2. სიტყვები, რომელთაც აქვთ ბრუნვისა და რიცხვის კატეგორია; 3. სიტყვები, რომელთაც აქვთ ბრუნვის, რიცხვისა და სქესის კატეგორია; 4. ცალკე ერთეულად გამოიყოფა ზმნა და ა. შ. (რუსული გრამატიკა).

ვფიქრობთ, ქართულშიც, მეტყველების ნაწილთა არსებული სისტემის ნაცვლად, უნდა ჩამოყალიბდეს სულ სხვა, მხოლოდ მორფოლოგიურ-სინტაქსურ მაჩვენებლებზე დამყარებული სისტემა ენაში არსებული ფორმებისა... გასამიჯნია ფორმისა და ფორმანტის აღრევის შემთხვევები (მაგ., როდესაც ცალკე მეტყველების ნაწილად გამოყოფილია თანდებული, მაშინ, როდესაც ის ფორმანტია და არა — სიტყვა... იგივე შეიძლება ითქვას კავშირზე, ნაწილაკზე და გარკვეულწილად — შორისდებულზეც.). ეს კარგად არის შენიშნული და გასწორებული ზემოაღნიშნულ პროგრამა-კონსპექტშიც...

ის პრინციპები, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, ასევე შეიძლება იქნას გამოყენებული არსებითი სახელების ჯგუფების გამოყოფისასაც...

არსებით სახელთა დაჯგუფებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ფორმაწარმოებასა და სინტაქსურ ურთიერთობებს და არა — შინაარსს, რაც სრულიად არ იყო გათვალისწინებული ადრეულ გრამატიკებში... ეს პრინციპი დარღვეულია თანამედროვე უცხოურ გრამატიკებშიც. პოზიციის განსამტკიცებლად განმარტებულია, რომ აღნიშნული ჯგუფები ლექსიკურ-გრამატიკულ პრინციპზე დამყარებითაა გამოყოფილი, რაც, როგორც უკვე ითქვა, არასწორი პრინციპია გრამატიკის აღწერის დროს...

აღნიშნული პრობლემა სწორად არის გადაწყვეტილი ნახსენებ პროგრამა-კონსპექტში, სადაც არსებითი სახელის ადრინდელი ჯგუფების ნაცვლად (რომლებიც საყოველთაოდაა ცნობილი და ამაზე აღარ შევჩერდებით) გამოყოფილია შემდეგი სამი ჯგუფი (ფორმაწარმოებისა თუ სინტაქსური მოქცევის თვალსაზრისით):

1. **ვინ და რა ჯგუფის** არსებითი სახელები;
2. **სულიერი და უსულო** არსებითი სახელები;
3. **საზოგადო და საკუთარი** არსებითი სახელები; (ჯორბენაძე 1995: 38).

ჯგუფების გამოყოფის საფუძველი, ვფიქრობთ, სწორია, თუმცა, ჩვენი აზრით, ფორმაწარმოების თვალსაზრისით ანგარიში უნდა გაეწიოს მრავლობითი რიცხვის კატეგორიასაც, როგორც სრულუფლებიან გრამატიკულ კატეგორიას. ამის მიხედვით ქართულში არსებით სახელთა 4 ჯგუფის გამოყოფა იქნება შესაძლებელი:

1. **ვინ და რა ჯგუფის** არსებითი სახელები;
2. **სულიერი და უსულო** არსებითი სახელები;
3. **საზოგადო და საკუთარი** არსებითი სახელები;
4. **აბსტრაქტული არსებითი** სახელები (რაც არ უდრის ტრადიციულად მიღებულ აბსტრაქტულ სახელებს).

მოკლედ რომ მიმოვიხილოთ არსებული ჯგუფები, შეიძლება ითქვას შემდეგი:

ვინ და რა ჯგუფის არსებითი სახელები

აქ კვლავ ის არსებითები გაერთიანდება, რომლებიც ა. შანიძის გრამატიკაში ამავე ჯგუფში იყო გამოყოფილი: ცნობილია, რომ კითხვების მიხედვით არსებითი სახელები ორგვარია: **ვინ** ჯგუფისა და **რა** ჯგუფისა. *ვინ* კითხვა დაესმის ადამიანთა სახელებს, **რა** კითხვა — ყველა დანარჩენს.

ისიც აღსანიშნავია, რომ კონტექსტის მიხედვით ზოგიერთი არსებითი სახელი შეიძლება სხვადასხვა ჯგუფს განეკუთვნოს. მაგ.: *ახალგაზრდობას* („**ვინ**“ ჯგუფი) ბაღში მოეყარა თავი; მაგრამ: მთელი *ახალგაზრდობა* („**რა**“ ჯგუფი) გაჭირვებაში გაატარა.

აღნიშნული ჯგუფის ცალკე გამოყოფის საფუძველია თუნდაც თავად ის განსხვავებული კითხვები, რომლებიც მათ მიემართება — ერთი მხრივ „ვინ“ და მეორე მხრივ — „რა“...

სულიერი და უსულო არსებითი სახელები

ნივთიერი სახის მქონე საგანი ორგვარია: **სულიერი** ან **უსულო**.

სულიერია საგანი, რომელსაც სამშვინველი აქვს და საკუთარი ძალით მოძრაობს: ადამიანი, ცხოველი, ფრინველი, თევზი, მწერი, ქვეწარმავალი...

უსულოა საგანი, რომელსაც არც სამშვინველი არ გააჩნია და არც საკუთარი ძალით მოძრაობა არ შეუძლია: ხე, მიწა, ქვა, ზღვა, მთა...

რაც მთავარია, სულიერი და უსულო არსებითი სახელები განსხვავებულად იქცევიან სინტაქსური ურთიერთობის დროს, კერძოდ — ზმნასთან რიცხვში შეწყობისას (*კაცები მიდიან, ხეები დგას*...), **რაც ხდება კიდევაც საფუძველი მათი ცალკე ჯგუფად გამოყოფისა**...

საზოგადო და საკუთარი სახელები

ამათგან, საკუთარ სახელებში შედის:

1. **ადამიანთა სახელები** (ნინო, დავითი...);
2. **ადამიანთა გვარები** (ჭავჭავაძე, დადიანი, შენგელია...);
3. **ცხოველთათვის შერქმეული სახელები** (წიქარა, ღვინია...);
4. **გეოგრაფიული სახელები** (საქართველო, თბილისი, მტკვარი, მთაწმინდა...);
5. **ციურ მნათობთა სახელები** (მზე, მთვარე, ვენერა...);
6. **ჟურნალ-გაზეთების, დაწესებულება-ორგანიზაციების სახელწოდებები** („მნათობი“, თსუ...)...

საკუთარი სახელები განსხვავებულად იბრუნიან... **ამასთანავე**, **ბრუნების მიხედვით განსხვავებული ჯგუფები გამოიყოფა თვითონ საკუთარი სახელების შიგნითაც**, **რაც მათი ცალკე გამოყოფის საფუძვლად მიიჩნევა**...

აბსტრაქტული სახელები

აბსტრაქტულ არსებითებში ვაერთიანებთ შემდეგი ტიპის სახელებს (რომლებიც ადრე ცალკე ჯგუფებად იყო გამოყოფილი):

1. **არანივთიერი სახის მქონე** (ტრადიციულად, აბსტრაქტულს რომ უწოდებენ) — სიხარული, ბედნიერება, სინანული...;

2. **ნივთიერებათა** — ოქრო, შაქარი, ბამბა, რძე, თაფლი...;

3. **კრებით** — ახალგაზრდობა, ხალხი, ერი, ნაძვნარი...;

4. **მოვლენის აღმნიშვნელ** — წერა, კეთება, სიყვარული...

აბსტრაქტული სახელების ძირითადი თავისებურება ის არის, **რომ მათ მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოებათ**, **ისევე**, **როგორც საკუთარ სახელებს**; **მაგრამ მათ საკუთარი სახელებისაგან განსხვავებული ბრუნება აქვთ**, **რაც**, **ჩვენი აზრით**, **საკმარისი საფუძველია მათი ცალკე ჯგუფად გამოყოფისათვის**...

აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი სქემა მხოლოდ წინასწარი ზოგადი სურათია და ის დახვეწასა და სრულყოფილ შესწავლა-შემოწმებას საჭიროებს.

ლიტერატურა

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1, თბილისი.

რუსული გრამატიკა — http://rusgram.narod.ru/index1.html.

ჯორბენაძე 1995 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი.

NINO JORBENADZE

Towards the New Grouping Principles of Nouns in Georgian

S u m m a r y

According to the modern explanations, morphology is that branch of grammar, which studies grammatical classes of words (so called parts of speech), their morphological categories and form-building.

Membership of words in grammatical classes takes place according to functional as well as form characteristics. These two components should be taken into account in distinguishing these classes (in old grammars function and a word's meaning was basically taken into account, and owing to this a noun, an adjective, a verb, an adverb... are distinguished as separate parts of speech. An analogous situation occurs in Georgian, as well: in A. Shanidze's "Foundations of grammar" 10 parts of speech are distinguished based on this principle).

Abovementioned two components should be taken into account in distinguishing the groups of nouns and at this time decisive importance should be given to a form-building and syntactic relations and not only to context. In accordance with it to distinguish 4 groups of nouns in Georgian is possible:

1. **nouns of who and what group**;
2. **animate and inanimate nouns**;
3. **general and proper nouns**;
4. **abstract nouns** (that does not imply traditional abstract nouns).

მუხადინ კუმახოვის ხსოვნას

2008 წლის 7 ივნისს გარდაიცვალა გამოჩენილი ყაბარდოელი მეცნიერი, მსოფლიო სახელის მქონე კავკასიოლოგი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თბილისური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, პროფესორი **მუხადინ კუმახოვი**.

მუხადინ აბუბექირის ძე კუმახოვი დაიბადა ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის სოფელ ლესკენში; იქვე მიიღო საშუალო განათლება. 1947-52 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე. ასპირანტურის კურსი გაიარა მოსკოვში, ენათმეცნიერების ინსტიტუტში, სადაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მუშაობდა ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ, სხვადასხვა დროს — ინსტიტუტის კავკასიურ ენათა და ლინგვისტური კომპარატივისტიკის განყოფილების გამგედ, ხოლო 2005 წლიდან გარდაცვა-

ლებამდე — მთავარ მეცნიერ თანამშრომლად. 1966 წელს მ. კუმახოვმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „ადიღურ ენათა მორფოლოგია“.

მ. კუმახოვი კითხულობდა ლექციებს მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში; 1978 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1991-98 წლებში, როგორც მიწვეული პროფესორი, მუშაობდა ლუნდის უნივერსიტეტში.

მ. კუმახოვის სამეცნიერო მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო: იკვლევდა აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა ფონეტიკას, მორფოლოგიას, სინტაქსსა და ლექსიკას აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით, გრამატიკის, ტიპოლოგიისა და კომპარატივისტიკის ზოგად საკითხებს; მისი კვლევის საგანი იყო, აგრეთვე, ფოლკლორი და მისი კავშირი ენასა და კულტურასთან.

მ. კუმახოვი მეტად ნაყოფიერი მკვლევარი იყო. მას ეკუთვნის 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის — 13 მონოგრაფია:

1. **ადიღურ ენათა მორფოლოგია.** სინქრონიულ-დიაქრონიული დახასიათება. I, ნალჩიკი, 1964 (რუს. ენაზე).

2. **უბიხური ენა.** — კრებ. „სსრკ ხალხთა ენები. IV. იბერიულ-კავკასიური ენები“, მოსკოვი, 1967 (რუს. ენაზე).

3. **ყუბანის დიალექტი**. — კრებ. „ყაბარდოულ-ჩერქეზული დიალექტოლოგიის ნარკვევები, ნალჩიკი, 1969 (რუს. ენაზე).

4. **ადიღურ ენათა სიტყვათცვალება**, მოსკოვი, 1971 (რუს. ენაზე).

5. **ადიღურ ენათა ფუნქციური სტილისტიკა**, მოსკოვი, 1975 (თანაავტორი — ზ. კუმახოვა, რუს. ენაზე).

6. **ადიღურ (ჩერქეზულ) ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკა**, მოსკოვი, 1981.

7. **ზოგადი და კავკასიური ენათმეცნიერების ნარკვევები**, ნალჩიკი, 1984.

8. **ადიღური ფოლკლორის ენა**. ნართების ეპოსი, მოსკოვი, 1985 (თანაავტორი — ზ. კუმახოვა, რუს. ენაზე).

9. **ადიღურ (ჩერქეზულ) ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა**, მოსკოვი, 1989 (რუს. ენაზე).

10. **ნართების ეპოსი**. ენა და კულტურა, მოსკოვი, 1998 (თანაავტორი — ზ. კუმახოვა, რუს. ენაზე).

11. **დამატებითი კონსტრუქციები ყაბარდოულ-ჩერქეზულ ენაში**, ლუნდი, 1998 (თანაავტორი — კ. ვამლინგი, რუს. ენაზე).

12. **ერგატიულობა ჩერქეზულ ენაში**, მალმიო, 2000 (თანაავტორი —

კ. ვამლინგი, რუს. ენაზე).

13. **ჩერქეზული წინადადების სტრუქტურა**, მალმიო, 2009 (თანაავტორი — კ. ვამლინგი, ინგლ. ენაზე).

მ. კუმახოვი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის უძველესი მკვიდრი ხალხის ენის — უბიხური ენის ვრცელ გრამატიკაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი გამოცემა ვერ მოასწრო.

ცხოვრების უკანასკნელ წლებში მ. კუმახოვის ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა ორი დიდი ნაშრომი — „ადიღური (ჩერქეზული) ენციკლოპედია“ (2006) და ორტომეული „ყაბარდოული ენა“. იყო ორივე ამ გამოცემის მთავარი რედაქტორი და ძირითადი ავტორი. ხელმძღვანელობდა ადიღურ ენათა ანბანებისა და ორთოგრაფიის უნიფიკაციის პროექტის შედგენას.

მ. კუმახოვის ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით მრავალი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია დაიწერა. მისი მოწაფეები ახლაც წარმატებით მუშაობენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასა თუ უმაღლეს სასწავლებელ'ში.

მ. კუმახოვი თავისი სამშობლოს — ყაბარდოსა და მთელი საჩერქეზოს დიდი პატრიოტი იყო, ამავე დროს — საქართველოს გულწრფელი პატივისმცემელი და მეგობარი. დამახასიათებელია ის გულთბილი წერილი, რომელიც მან არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს გამოუგზავნა 2002 წლის 4 ივლისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში (სრულიად დამსახურებულად) მის არჩევასთან დაკავშირებით (მოგვყავს წერილის თარგმანი მცირეოდენი შემოკლებით):

„ძვირფასო მეგობრებო და კოლეგებო!

მე ძალიან მადლიერი ვარ თქვენი ინსტიტუტის მთელი კოლექტივისა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად (აკადემიკოსად) არჩევისათვის. კარგად ვაცნობიერებ იმ ფაქტს, რომ მთელი ინიციატივა და დამსახურება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ჩემი არჩევისა მთლიანად და სავსებით თქვენია, ჩემი ძვირფასი მეგობრებისა და კოლეგების.

საქართველომ მიმიღო მე თავის უნივერსიტეტში, დამეხმარა კავკასიოლოგი გავმხდარიყავი, დამეცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. თქვენ ჩაუყარეთ საფუძველი ჩემს ლინგვისტურ განათლებას, ჩემს საყვარელ Alma Mater-ში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჩამოაყალიბეთ სამეცნიერო მიმართულება, რომელიც მთელს ლინგვისტურ სამყაროში კავკასიოლოგთა თბილისურ სკოლად იწოდება. არასოდეს დამავიწყდება ჩემი დიდი მასწავლებლები — არნოლდ ჩიქობავა, გიორგი როგავა, ქეთევან ლომთათიძე, ვარლამ თოფურია და ამ შესანიშნავი სკოლის სხვა სახელოვანი წარმომად-

გენლები. მუდამ ვამბობდი და სიცოცხლის ბოლომდე ვიტყვი, რომ ვერ გადავიხდი იმ დიდ ამაგს, რაც ჩემზე გასწიეს საქართველომ, მისმა კეთილმა და დიდმა ხალხმა, მისმა სახელგანთქმულმა მეცნიერებმა.

დიდი მადლობა თქვენ ყველაფრისათვის!“

მ. კუმახოვი იყო შესანიშნავი პიროვნება, ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებული შესაშური გარეგნობითა და შინაგანი კულტურით, გონიერი, დინჯი, დარბაისელი, სტუმართმოყვარე ადამიანი, რომელიც ჩერქეზთა საუკეთესო თვისებებს განასახიერებდა.

მუხადინ კუმახოვის დიდმა სამეცნიერო მემკვიდრეობამ სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ოქროს ფონდში, ხოლო მისი, როგორც ყოველმხრივ შემკული პიროვნების, დიდი ჩერქეზისა და დიდი კავკასიელის სახელი მუდამ საამაყოდ ექნება მის სამშობლოსა და მთელს კავკასიას.

პროფ. **ვ. შენგელია**,
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ
ენათა განყოფილების ხელმძღვანელი



« Il n’y a pas de petites cultures »

(Georges Charachidzé)

Peut-être certains se souviennent-ils encore de cette réunion de chercheurs du C. N. R. S., à l’occasion d’un ènième projet de réforme, et de la réaction de Georges Charachidzé à une expression malheureuse d’un des directeurs d’alors : « Vous qui travaillez sur des petites cultures. . . » Ce à quoi G. Charachidzé tint à répliquer immédiatement, exprimant ainsi une des convictions profondes de toute sa vie de chercheur et d’enseignant : « Il n’y a pas de petites cultures » .

Georges Charachidzé naît à Paris le 11 février 1930, d’un père député de la première république de Géorgie et d’une institutrice française. Comme son père, il fréquente les membres du gouvernement géorgien réfugiés à Leuville-sur-Orge, où ils habitent, et il y apprend très jeune la langue géorgienne auprès de son père – qui meurt quand il a cinq ans – puis perfectionne ses connaissances, lecture, écriture, littérature, auprès de Samson Pirtskhalava, vice-président de l’Assemblée constituante de la république de Géorgie. A l’école française, il fait de fortes études, apprend le russe et l’arménien, ajoute au géorgien moderne l’ancien géorgien, puis prépare son doctorat. Intéressé par l’histoire ancienne, il veut étudier le paganisme géorgien et s’adresse au maître des études caucasiennes en France : Georges Dumézil. Se reproduit alors une scène proche de celle que Dumézil avait lui-même vécue quand il avait demandé à Antoine Meillet, spécialiste de linguistique comparée indo-européenne, de diriger sa propre thèse : Dumézil a de la peine à se laisser convaincre. Mais, finalement, il accepte de diriger le projet. A l’époque, il n’était pas pensable pour un fils de condamné à mort par les bolchéviques d’aller en Géorgie. Aussi la thèse repose-t-elle sur les très riches informations collectées par les ethnographes géorgiens ; G. Charachidzé pensait que les rituels pré-chrétiens qu’il analysait avaient disparu. Lorsque, bien plus tard, il assista à

la projection d'un film tourné peu de temps auparavant, son émotion fut si forte de voir la permanence de ces fêtes, qu'au lieu du commentaire qu'on attendait de lui, il ne put que présenter des larmes de joie et d'émotion.

Toute sa vie, il demeurera lié à Georges Dumézil et, curieusement, un certain nombre de caractéristiques leur sont communes : le refus d'avoir une « chapelle » de disciples, le perfectionnisme, l'admiration pour les Caucasiens, l'amour de la belle langue française dans leurs écrits, par exemple.

G. Charachidzé fut, à vrai dire, le seul qui marcha dans la double voie frayée par le m aître : d'abord, l'étude des langues sur le terrain – c'est ainsi que G. Charachidzé nous a donné une *Grammaire de la langue avar (langue du Caucase Nord-Est)* en 1981, issue de missions en Turquie, mais aussi remarquable par l'indépendance d'interprétation des faits linguistiques.

En cela aussi, il se montre l'héritier de ses lointains devanciers qui, me dit-il un jour « il y a trois mille ans, avaient du temps pour raffiner les concepts ». Georges Dumézil l'introduisit auprès de ses informateurs oubykh, et, avant sa mort, lui transmit la charge de terminer et de publier le *Dictionnaire de la langue oubykh* sur lequel il avait tant oeuvré ; malheureusement, ces fiches sont inédites à ce jour. Lui aussi, durant ses missions auprès des Oubykhs, se réservait le temps de la réflexion, travaillant le matin avec ses informateurs, mais allant faire de longues promenades solitaires l'après-midi.

Le second domaine dans lequel il suivit, à sa manière, Dumézil, fut l'analyse comparative des cultures du Caucase : sa thèse *Le système religieux de la Géorgie païenne Analyse structurale d'une civilisation* parut en 1968 chez Maspero – cela ne s'invente pas ! Elle a été rééditée sans changements en 2001 aux éditions La Découverte. Ici encore, un important ouvrage reste inédit : une analyse structurale des cultures des Caucasiens du nord-ouest, du monde tcherkesse, à laquelle il a longuement travaillé pendant la dernière période de sa vie.

Le mot d'analyse structurale renvoie à son deuxième maître, celui qui l'accueillit au C. N. R. S. , Claude Lévi-Strauss. Dans sa préface au *Prométhée ou le Caucase Essai de mythologie contrastive,* G. Dumézil explique ainsi le sous-titre : « Personnellement, j'y vois une heureuse alliance de « mythologie comparée» ... et d'analyse structurale. »

Combinant la comparaison dumézilienne avec le structuralisme de Lévi-Strauss, G. Charachidzé apporte un regard nouveau sur les vieux mythes du Caucase. Il avait pleinement conscience de ce qu'il apportait. A plusieurs reprises, je l'ai entendu proclamer en souriant qu'il travaillait sur les mêmes matériaux que les ethnographes géorgiens, mais qu'il parvenait à de tout autres interprétations.

Il importe de remarquer que cet usage combiné du comparatisme et de la méthode structurale avait été mis en oeuvre beaucoup plus tôt, dès l'*Introduction à l'étude de la féodalité géorgienne (Le Code de Georges le Brillant) :* Dans cette étude publiée dès 1971, à propos de la comparaison des féodalités française et géorgienne, il écrivait : « Il conviendrait de procéder de la façon suivante : étudier séparément les réalités , les notions et les vocables qui les désignent, ainsi que leur évolution respective, à l'intérieur du système géorgien et rendre compte de chacun de ces éléments par référence – et souvent par opposition – à ceux qui leur correspondent dans le système français : enfin, déterminer la fonction et la position de chaque pièce par rapport à la structure de l'ensemble géorgien et comparer ces relations à celles qui sont propres à la société française. » G. Charachidzé supportait mal imprécisions ou erreurs au sujet du Caucase en général et de la Géorgie en particulier. Son *Introduction*, destinée à avertir des pièges que recélait la traduction de J. Karst, est un très brillant exemple de son érudition en géorgien, ancien, moyen et moderne.

Chercheur, il ne cessa jamais de l'être, mais il fut aussi enseignant. Il créa aux Langues'0 l'enseignement du géorgien, en 1965, enseignement qui aurait dû revenir à Dumézil dans les années 30, mais dont les foudres du prince N.Troubetskoy le privèrent à jamais. En 1983, l'intitulé s'élargit, comprenant désormais les Etudes géorgiennes et caucasiques. Dès 1969, il fut aussi chargé de conférences de langues et civilisations caucasiennes à l'Ecole pratique des hautes études, section des sciences philologiques. Aux Langues'O, il remplit de nombreuses fonctions administratives, il fut notamment le responsable de l'Unité de recherche « Caucase et monde indo-européen » , qui associait des chercheurs du C. N. R. S. A des chercheurs de l'Ecole. C'était un directeur extrêmement agréable, surtout pour quelqu'un qui – c'était mon cas – ne travaillait pas dans le même champ que lui. Les pesanteurs administratives ne lui échappaient pas, aussi, au moment des rapports d'activité à rendre périodiquement recevions-nous un mot de ce genre : « L'administration s'ingénie encore à nous faire perdre notre temps; aussi, envoyez-moi une note brève, je rédigerai moi-même le rapport. » Comme il était connu pour être un directeur très humain, il recevait parfois de nouveaux membres dont le profil n'était pas tout-à-fait celui de l'unité, mais qu'il était délicat d'intégrer ailleurs.

Du reste, nous n'avions pas de local capable de nous abriter tous !

La Revue *Bedi Kartlisa,* fondée en 1957 sous sa forme en langues de l'Europe de l'ouest, fut dirigée jusqu'en 1984 par son fondateur, K. Salia : il n'y avait pas place pour deux directeurs . . . Mais de 1985 à 1993, G. Charachidzé parvint à continuer la publication, sous son ancien sous-titre : *Revue des études géorgiennes et caucasiennes.*

Il avait une vive conscience de ce que la conquête russe du XIX^{e} siècle avait détruit dans le monde caucasique, et répétait avec tristesse : « Nous arrivons trop tard. » C'est pourquoi il ne comprenait pas, encore moins n'approuvait-il l'enthousiasme pro-impérialiste de telle de ses

compatriotes. Pour autant, il n'entrait aucunement dans les mouvements nationalistes géorgiens, ce qui parfois était incompris des Géorgiens de France ; jamais, évidemment, il n'avait soutenu le régime communiste. Sa lucidité sur les limitations des démocraties était d'ailleurs terrible ; qu'on relise les pages extrêmement fortes parues dans *Le genre humain* du printemps-été 1995, un numéro dont le thème était *Les bons sentiments.* Dans son article « Les Tchétchènes, un peuple en sursis » ; à l'ordinaire, il manie la provocation : « Je ne puis m'empêcher d'évoquer le « Monsieur Hitler » des tristes gazettes de 1938-1939 : il ne fallait surtout pas gêner « Monsieur Hitler ». Cette dénomination m'a toujours stupéfié. Aujourd'hui, c'est « Boris Eltsine » qu'il ne faut surtout pas gêner, au cas où cela l 'empêcherait d'en finir une fois pour toutes avec les Tchétchènes et les Ingouches. » Voila donc quelqu'un qui n'avait pas d'illusions excessives sur le genre humain, surtout sur l'homme politique. Malgré la distance qu'il a toujours voulu garder à l'endroit des mouvements nationalistes, il avait de nombreux et fidèles amis dans la communauté géorgienne de Paris et de la région parisienne. Sa vaste culture, sa connaissance des êtres humains et son sens de l'humour – ajoutez à cela qu'il aimait bien vider un verre, à l'occasion d'une rencontre, - ont fait de lui l'un des thamadas, des animateurs de repas, très recherché, justifiant son assertion : « Nous avons affaire à des cultures pour lesquelles la fête est un élément central. Et plus précisément, le festin. »

Il n'avait pas, me semble-t-il, la fibre arriviste. Il aurait certes aimé couronner sa carrière d'enseignant comme professeur au Collège de France. G. Dumézil ne le soutint pas et la chose ne se fit pas. G. Charachidzé a souffert de se voir parfois concurrencé par des personnes qui n'avaient pas ses vastes connaissances.

Sa connaissance, pratique et théorique, de très nombreuses langues, dont une dizaine de langues du Caucase, lui donnait naturellement place à la Société de linguistique de Paris : il la présida en 1984. Il restait très attentif à se trouver des informateurs ; ayant appris qu'une Ingouche venait en France et était dirigée en province, il s'arrangea pour qu'elle puisse venir à Paris ; ainsi pourrait-il profiter de ses connaissances.

De mauvais procès avaient été tardivement faits à Georges Dumézil : Georges Charachidzé, pour sa part, s'employa à dissiper toute ambiguité sur la pensée du maître ; c'est l'un des buts de *La mémoire indo-européenne du Caucase*, riche petit livre paru en 1987, peu après la disparition de G. Dumézil. Le livre se termine par une note très explicite : « Les Aryens mode d'emploi. »

En 1990, il publia dans le recueil en quatre tomes *The indigenous Languages of Caucasus* une description de la langue oubykh.

Comme Dumézil l'avait fait dans les années trente du siècle passé, il sut prendre parti dans les conflits issus de l'effondrement du monde soviétique, en particulier en faveur des Tchétchènes. Il le fit dans des revues scientifiques, mais aussi – en notre temps d'experts – dans des hebdomadaires à grand tirage, comme *Le Nouvel Observateur*, voire dans de grands quotidiens, tels *Le Monde* : « Il appartient à toutes les personnes qui ont quelque estime pour la liberté de soutenir les Tchétchènes » (*Le Monde*, 9 mars 1996). Pour lui, le grand jeu reprenait avec la chute de l'U. R. S. S. , et n'était pas prêt de se calmer. Les peuples du Caucase en étaient partie prenante pour longtemps.

Il s'est éteint paisiblement à Paris, le 20 février 2010. Il a illustré la science française de longues années. Au Caucase, c'est par le titre de «digne fils du Caucase » que l'on honore ceux qui ont été remarquables par leur activité en faveur de cette région si attachante : c'est un titre que mieux que nul autre Géorgien en France, Georges Charachidzé mérite de se voir décerner. Aucun autre fils d'émigré de sa génération n'a autant fait pour faire connaître et aimer ce coin du monde.

B. OUTTIER
C. N. R. S

„არ არსებობენ პატარა კულტურები“
(გიორგი შარაშიძე)

შესაძლოა, ზოგიერთებს ჯერ კიდევ ახსოვთ C.N.R.S.-ის („მეცნიერული კვლევის ნაციონალური ცენტრი“) შეკრება, მიძღვნილი რეფორმის უცნაური პროექტისადმი და გიორგი შარაშიძის რეაქცია ერთ-ერთი ხელმძღვანელის სამწუხარო გამონათქვამთან — „თქვენ, ვინც პატარა კულტურებზე მუშაობთ...“ დაკავშირებით. ამაზე გ. შარაშიძემ მყისიერად უპასუხა ის, რაც გამოხატავს მთელი მისი ცხოვრების ღრმა რწმენას: „არ არსებობენ პატარა კულტურები“.

გიორგი შარაშიძე დაიბადა პარიზში 1930 წლის 11 თებერვალს მამის, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დეპუტატისა, და დედის, ფრანგი მასწავლებლის, ოჯახში. თავისი მამის მსგავსად იგი ხშირად ხვდება საქართველოს ლტოლვილი მთავრობის წევრებს ლევილში (ორჟზე), სადაც ისინი ცხოვრობენ. აქ ის, პატარა, ითვისებს ქართულს მამისაგან. ხუთი წლისა იყო, როცა მამა მოუკვდა. შემდგომ თავის ცოდნას წერა-კითხვაში, ლიტერატურაში იგი ხვეწს სამსონ ფირცხალავასთან, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ვიცე-პრეზიდენტთან. ფრანგულ სასწავლებელში იგი ბევრს მეცადინეობს, ითვისებს რუსულსა და სომხურს, თანამედროვე ქართულს ამატებს ძველი ქართულის ცოდნას, შემდგომ ამზადებს სადოქტორო ნაშრომს. ძველი ისტორიით დაინტერესებულს, მას სურს ქართული პაგანიზმის (წარმართობის) კვლევა. ამიტომ ის მიმართავს კავკასიოლოგიური კვლევების წამყვან მეცნიერს ჟორჟ დიუმეზილს. განმეორდა მსგავსი იმისა, რაც თავს გადახდა დიუმეზილს, როცა მან სთხოვა ანტუან მეიეს, ინდო-ევროპული შედარებითი ენათმეცნიერების სპეციალისტს, ეხელმძღვანელა მისი გამოკვლევისთვის. დიუმეზილს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, მაგრამ, საბოლოოდ, ხელმძღვანელობა თვითონ იკისრა. იმ დროს წარმოუდგენელი იყო, რომ ბოლშევიკების მიერ სასიკვდილოდ განწირულის შვილი წასულიყო საქართველოში.

საკვლევი თემის ირგვლივ ქართველი ეთნოგრაფების მიერ ძალიან მდიდარი მასალა იყო შეგროვებული. გ. შარაშიძე ფიქრობდა, რომ წინარექრისტიანული რიტუალები, რომლებსაც იგი იკვლევდა, უკვე გამქრალი იყო. თუმცა, მოგვიანებით, იგი დაესწრო ადრე გადაღებული პატარა ფილმის ჩვენებას, რამაც ისე ააღელვა, რომ ვერ იკავებდა სიხარულითა და ემოციით გამოწვეულ ცრემლებს.

მთელი სიცოცხლე ის ჟორჟ დიუმეზილის გვერდით იყო. ზოგ თვისებათაგან ორივეს ერთნაირად ახასიათებდა შემდეგი: უარის თქმა მოწაფეთა სწავლის „დახურვაზე“, კვლევის სრულყოფილება, კავკასიელების პატივისცემა, სიყვარული დახვეწილი ლამაზი ფრანგულით წერისადმი.

გ. შარაშიძე ერთადერთი იყო, ვინც მასწავლებლის მიერ გაკვალულ ორივე გზას გაჰყვა. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ენების ადგილზე შესწავლა. ასე შექმნა გ. შარაშიძემ „ხუნძური ენის გრამატიკა“ 1981 წელს, თურქეთში

ჩატარებული სამეცნიერო მივლინებების შედეგად. ასევე ცხადდება საკმაოდ შორეული წინაპრების მემკვიდრეობა; ერთხელ მან მითხრა: „მსოფლმხედველობის ცნებათა ჩამოყალიბებიდან სამი ათასი წელია გასულიო“. ჟორჟ დიუმეზილმა იგი გააცნო თავის უბიხ ინფორმატორებს, სიკვდილის წინ კი გადასცა „უბიხური ენის ლექსიკონის“ დამთავრებისა და გამოცემის ტვირთი, რომელზეც დიდხანს მუშაობდა. სამწუხაროდ, ეს სურვილი დღემდე განუხორციელებელია. თვითონ შარაშიძე, უბიხებთან მივლინებებში ყოფნისას დროს ზოგავდა გააზრებისათვის. ინფორმატორებთან მუშაობდა დილაობით, შუადღის მერე კი მარტო დიდხანს სეირნობდა.

მეორე სფერო, რომელშიც იგი თავისებურად მიჰყვებოდა დიუმეზილს, იყო კავკასიის კულტურათა შედარებითი ანალიზი. მისი გამოკვლევა „საქართველოს წარმართული რელიგიის სისტემა — ერთი ცივილიზაციის სტრუქტურული ანალიზი“ გამოიცა 1968 წელს (გამომც. Maspero). ეს არ არის გამონაგონი! ეს, ყოველგვარი ცვლილების გარეშე, მეორედ გამოიცა 2001 წელს (გამომც. La Découverte). ასევე გამოუცემელი რჩება მნიშვნელოვანი გამოკვლევა „ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელების კულტურათა სტრუქტურული ანალიზი — ჩერქეზული სამყარო“. ამაზე ის დიდხანს მუშაობდა სიცოცხლის ბოლო პერიოდში. სიტყვის სტრუქტურულ ანალიზს მივყავართ მის მეორე მასწავლებელთან, რომელსაც დაუახლოვდა „მეცნიერული კვლევის ნაციონალურ ცენტრში“ (C.N.R.S.). ეს არის კლოდ ლევი-სტროსი. ჟ. დიუმეზილი თავისი ნაშრომის „პრომეთე ანუ კონტრასტული მითოლოგიის კავკასიის ესე“-ს შესავლის ქვესათაურს ასე ხსნის: „პირადად მე ამაში ვხედავ კარგ ალიანსს „შედარებით მითოლოგიასა“... და სტრუქტურულ ანალიზს შორის“. ესაა დიუმეზილისეული შედარების კომბინაცია ლევი-სტროსის სტრუქტურალიზმთან.

გ. შარაშიძეს შემოაქვს ახალი ხედვა კავკასიის ძველი მითების შესახებ, რაც მის მსოფლმხედველობას სრულად ეთანხმება. ღიმილით გაჟღერებული შენიშვნები ხშირად მომისმენია, რომ ის მუშაობდა იმავე მასალებზე, რაზეც ქართველი ეთნოგრაფები, მაგრამ შედეგს აღწევდა სრულიად სხვა ინტერპრეტაციებითო.

მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას, რომ ეს ხერხი, შემდგარი კომპარატივიზმისა და სტრუქტურული მეთოდისგან, გამოყენებულ იქნა გაცილებით ადრე ნაშრომში „შესავალი ქართული ფეოდალური წყობის შესწავლაში“ („გიორგი ბრწყინვალის კოდექსი“). ნაშრომი გამოქვეყნდა 1971 წელს ფრანგული და ქართული ფეოდალური წყობების შედარებისას იგი წერდა: „სასურველია მოვიქცეთ შემდეგნაირად: რეალიები გამოკვლეულ იქნეს ცალ-ცალკე; მათი აღმნიშვნელი ცნებები და სიტყვები ისევე, როგორც მათთვის მოსალოდნელი ევოლუცია შესწავლილ იქნეს ქართული სისტემის შინაგანი ბუნებიდან და თითოეული ამ ელემენტის დამოწმებით და — ხშირად საწინააღმდეგოს ჩვენებითაც — შესატყვის ფრანგულ სისტემაში; დაბოლოს, თითოეული მონაკვეთის

ფუნქციისა და პოზიციის განსაზღვრა ქართულ ერთიან სტრუქტურასთან მიმართებაში და ამ შეფარდებათა შედარება ფრანგული საზოგადოების მახასიათებლებთან“. გ. შარაშიძე ვერ იტანდა უზუსტობებსა თუ შეცდომებს ზოგადად კავკასიისა და კერძოდ საქართველოს მიმართ. მისი „შესავალი“, მიმართული ი. კარსტის თარგმანში შეფარულის თავიდან ასაცილებლად, ბრწყინვალე ნიმუშია მისი ქართული ენისა ცოდნისა — ძველის, საშუალოსი და ახლის.

კვლევა, რაც მას არასოდეს შეუწყვეტია, და ამავდროულად იგი მასწავლებელიც იყო. მან 1965 წელს შექმნა ქართული ენის კურსი, რითაც შეძლო 30-იანი წლების დიუმეზილთან დაბრუნება, მაგრამ თავად ტრუბეცკოის რისხვას საბოლოოდ ჩამოაშორა. 1983 წელს მისი კვლევის სფერო ფართოვდება, იგი ახლა უკვე ითავსებს ქართულისა და კავკასიური ენების კვლევას. 1969 წლიდან ის ასევე კითხულობს ლექციებს კავკასიურ ენათა და ცივილიზაციათა შესახებ უმაღლესი საფეხურის სასწავლებელში ფილოლოგიურ მეცნიერებათა სექციაში. აღმოსავლურ ენათა სასწავლებელში მას ბევრი ადამიანის — ტრადიციული ფუნქციაც ეკისრებოდა, კერძოდ, იგი პასუხისმგებელი იყო კვლევითი გაერთიანების „კავკასია და ინდო-ევროპული სამყარო“-ს წინაშე. ამ გაერთიანებით ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ C.N.R.S-ისა და უმაღლესი სკოლის მკვლევრები. იგი იყო საოცრად სასიამოვნო მმართველი, განსაკუთრებით იმათთვის — ამ შემთხვევაში ჩემთვის — ვინც იმავე სფეროში მუშაობდა, რომელშიც — თვითონ. ადმინისტრაციული დატვირთვები მას არ ათავისუფლებდა არც მაშინ, როცა იჩენდა აქტიურობას დაბრუნებისას. პერიოდულად მისგან გვესმოდა: „ადმინისტრაცია ჯერ კიდევ ახერხებს, რომ დაგვაკარგვინოს ჩვენი დრო; ამიტომ გამომიგზავნეთ მოკლე შენიშვნა. მე თვითონ შევადგენ ანგარიშს“. რაკი იგი ცნობილი იყო როგორც ჰუმანური მმართველი, ის ზოგჯერ იღებდა ახალ წევრებს, რომელთა პროფილი სრულად არ შეეფერებოდა გაერთიანებას, მაგრამ იგი იყო დელიკატური სხვების ინტეგრირებისას. თუმცა ჩვენ არ შეგვწევდა უნარი ყველას მიღებისა!

მიმომხილველს „ბედი ქართლისა“, დაარსებულს 1957 წელს დასავლეთევროპულ ენებზე, 1984 წლამდე რედაქტორობდა ჟურნალის დამფუძნებელი კ. სალია. ორი მმართველისთვის ადგილი არ იყო... მაგრამ 1985 წლიდან 1993 წლამდე გ. შარაშიძეს წილად ხვდა გამოცემის გაგრძელება ძველი სუბტიტრით „ქართული და კავკასიური კვლევების მიმომხილველი“.

მას ჰქონდა ცოცხალი შეგრძნება იმისა, თუ რა ნგრევა მოჰყვა რუსულ დაპყრობას XIX საუკუნეში. იგი ნაღვლიანად იმეორებდა ხოლმე: „ჩვენ ამას ძალიან გვიან ვხვდებით!“. ამიტომაც იყო, რომ მას არ ესმოდა კომპატრიოტების პროიმპერიალისტური ენთუზიაზმის გამოვლენა. მიუხედავად ამისა, იგი არაფრით არ უერთდებოდა ქართველი ნაციონალისტების მოძრაობას, რაც ხშირად გაუგებარი იყო საფრანგეთის ქართველებისათვის. რასაკვირველია, ის არასოდეს უჭერდა მხარს კომუნისტურ რეჟიმს. მისი გამჭრიახობა დემოკრატიის უფლებების შევიწროებასთან დაკავშირებით ამასთანავე საშინელიც იყო.

გადავიკითხოთ ძალიან მაგარი გვერდები, დაბეჭდილი „ჰუმანურ ჟანრ“-ში (Le genre humain), 1995 წლის გაზაფხული-ზაფხულის ნომერში, რომლის თემა იყო „კეთილი სანტიმენტები“. თავის სტატიაში „ჩეჩნები, გადასახლებული ხალხი“, როგორც ჩვეულებრივ, ის დაუფარავად აღნიშნავს: „არ შემიძლია თავი შევიკავო „მესიე ჰიტლერის“ გახსენებისგან 1938-1939 წლების სამწუხარო გაზეთებში: „მესიე ჰიტლერი“ არ უნდა შეეწუხებინათ განსაკუთრებით. ეს მოწოდება ყოველთვის მაოცებს დღეს ეს „ბორის ელცინია“, რომელიც არ შეწუხდება იმ შემთხვევაში, თუ ხელი არ შეეშლება სამუდამოდ დაასრულოს ყველაფერი ჩეჩნებსა და ინგუშებთან დაკავშირებით. აი, ის ადამიანი, რომელსაც არ ჰქონდა ილუზიები ადამიანთა მოდგმაზე, მით უმეტეს პოლიტიკოსებზე. მიუხედავად იმ დისტანცირებისა ნაციონალისტურ მოძრაობისაგან, რომლის შენარჩუნებასაც ის მუდმივად ცდილობდა, მას ჰყავდა ბევრი ერთგული მეგობარი პარიზისა და მისი შემოგარენის ქართულ სათვისტომოში. მას ახასიათებდა დიდი შინაგანი კულტურა, ადამიანთა შემეცნების უნარი და იუმორის გრძნობა და ამას დავუმატოთ, თუ როგორ უყვარდა ჭიქის დაცლა რაიმე შეხვედრაზე. მას ირჩევდნენ თამადად თავშეყრის მოთავენი, რომლებიც აზუსტებდნენ გადაწყვეტილებას: „ჩვენი შექმნილია ბევრი კულტურა, რომლისთვისაც მთავარია დღესასწაული და უფრო ზუსტად ნადიმი“.

ჩემი აზრით, მას არ გააჩნდა კარიერისტული ძარღვი. მას, რასაკვირველია, სურდა თავისი სამასწავლებლო კარიერის დაგვირგვინება როგორც კოლეჟ დე ფრანსის პროფესორს. ჟ. დიუმეზილმა არ დაუჭირა მას მხარი და საქმე არ შედგა. გ. შარაშიძეს უჭირდა აეტანა კონკურენცია ისეთი პირებისა, რომლებსაც მისი მსგავსი ფართო ცოდნა არ გააჩნდათ.

მისმა ცოდნამ, პრაქტიკულმა და თეორიულმა ძალიან ბევრი ენისა, მათ შორის ათამდე კავკასიური ენისა, ბუნებრივად დაუმკვიდრა ადგილი „პარიზის ლინგვისტურ საზოგადოებაში“, რომელსაც იგი 1984 წელს ხელმძღვანელობდა. ის ძალიან ყურადღებიანი იყო ინფორმატორების მიმართ. როცა მან გაიგო ერთი ინგუში ქალის საფრანგეთში ჩამოსვლისა და პროვინციაში გაგზავნის ამბავი, მოახერხა მისი პარიზში დაბრუნება. ამ შემთხვევაში მან ისარგებლა ნაცნობთა დახმარებით.

ჟ. დიუმეზილს მოგვიანებით ცუდი ამბები წამოეწია. გიორგი შარაშიძე თავის მხრივ შეეცადა გაეფანტა ორაზროვნება მასწავლებლის მოსაზრებაზე. ეს იყო ერთ-ერთი მიზანი ნაშრომისა „ინდო-ევროპული მემუარები კავკასიაზე“, ეს პატარა წიგნი გამოქვეყნდა 1987 წელს, ჟ. დიუმეზილის გარდაცვალებიდან მალე. წიგნი თავდება ძალიან ნათელი ფრაზით: Les Aryens mode d’emploi (არიელების გამოყენების ხერხი).

1990 წ. ოთხტომიან კრებულში The indigenous Languages of Caucasus („კავკასიის მკვიდრი ენები“) მისი „უბიხური ენის მიმოხილვა“ დაიბეჭდა.

როგორც დიუმეზილი მოიქცა გასული საუკუნის 30-იან წლებში, ისე იგიც იღებდა მონაწილეობას საბჭოთა სამყაროს დამანგრეველ კონფლიქტებში, კერძოდ ჩეჩნების სასარგებლოდ. იგი წერდა მეცნიერულ მიმომხილველებში და ასევე ჩვენი დროის დიდტირაჟიან ყოველკვირეულში, როგორიცაა Le Nouvel Observateur-ში, ყოველდღიურ Le Monde-ში („მსოფლიო“). მისთვის დიდი სიხარულის მომგვრელი იყო სსრკ-ს დაცემა. ის არ იყო მზად, რომ დაწუნარებულიყო. კავკასიის ხალხები დიდი ხნით რჩებოდნენ დამოკიდებულნი.

გ. შარაშიძე წყნარად ჩაქრა პარიზში 2010 წლის 20 თებერვალს. იგი დიდხანს უთქვამდა სახელს ფრანგულ მეცნიერებას. კავკასიაში პატივს სცემდნენ როგორც „კავკასიის ღირსეულ ვაჟკაცს“ იმათ, ვინც იმსახურებს ამ სახელს თავისი გამორჩეული აქტიურობით ამ ბრწყინვალე რეგიონის სასარგებლოდ. ამ წოდებას გიორგი შარაშიძის გარდა საფრანგეთში არცერთი ქართველი არ იმსახურებს. მისი თაობის არცერთ ემიგრანტის შვილს მსოფლიოსთვის ამ კუთხის გასაცნობად და შესაყვარებლად იმდენი არ გაუკეთებია, რამდენიც — მას.

ბერნარ უტიე
C. N. R. S.

* ბერნარ უტიე — პროფესორი, საფრანგეთის მეცნიერული კვლევის ნაციონალური ცენტრის თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი.
სტატიის ქართული ვარიანტი მოამზადა რ. ჯანაშიამ.

გიორგი შარაშიძე

2010 წლის 26 თებერვალს, პარასკევს პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიაში გაიმართა დიდი ქართველოლოგისა და კავკასიოლოგის გიორგი შარაშიძის სამგლოვიარო პანაშვიდი. პატარა ეკლესია ხალხს ვერ იტევდა, ყველას უნდოდა ღირსეული პატივი მიეგო ამ სახელოვანი პიროვნებისათვის. ქართველებიცა და ფრანგებიც გაეერთიანებინა უდიდეს მწუხარებას ორივე ერის გამორჩეული შვილის დაკარგვის გამო. თავისივე დიდი მოსახელის წმინდა გიორგის ხატი მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე.

გიორგი შარაშიძე დაიბადა პარიზში 1930 წლის 11 თებერვალს. მისი მამა დავით შარაშიძე ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის გიგო შარაშიძის ვაჟი გახლდათ, ხოლო დედა ელენე — ფრანგი. დავითის დედა — ნინო ქიქოძე გაბრიელ ეპისკოპოსის ძმისწული თავის მეუღლესთან ერთად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ეპისკოპოსის მიერვე აშენებულ ბახვის სკოლაში. მათი ქალიშვილი ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე კი მეცნიერ-ისტორიკოსი იყო.

ვრცელი, მრავალმხრივი და მდიდარია გიორგი შარაშიძის მოღვაწეობის სფერო: ანთროპოლოგი, ისტორიკოსი, ლინგვისტი, თავის ნაშრომებში ეხება აგრეთვე ქართული სამართლის საკითხებსაც. გიორგი შარაშიძე ლექციებს კითხულობდა აღმოსავლურ ენათა და ცივილიზაციათა ინსტიტუტში, "ekol pratik dez ot etiudis" მეოთხე სექციაში. ხელმძღვანელობდა ამავე ინსტიტუტის ქართული ენის კათედრას. იგი იყო „სააზიო საზოგადოების“ და „ლინგვისტური საზოგადოების“ წევრი.

1996 წლიდან იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრია ქართველოლოგიის დარგში.

გიორგი შარაშიძის შემოქმედება განუყოფლადაა დაკავშირებული კავკასიასთან, „ენათა მთასთან“. ამასთანავე, მეცნიერი ამას ახორციელებს ინდო-ევროპულ არეალთან მუდმივ კონტაქტში, ეს კარგად ჩანს მის ნაშრომებშიც. მას „კავკასიის ატლანტადაც“ კი მოიხსენიებენ საფრანგეთში. მისი არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა.

კავკასიის მიმართ ლტოლვა მისი შორეული ბავშვობიდან იწყება. ოჯახში ის ერთდროულად იწყებს ქართული და ფრანგული ენების შესწავლას. ქართული ენის დაუფლებაში მას დიდად შეუწყო ხელი ასევე ფილიპე შარაძემ. არ შეიძლება არ აღინიშნოს დიდი ქართველი მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის როლი გიორგი შარაშიძის პიროვნების ფორმირებაში. შარაშიძე განსაკუთრებული ემოციებით იხსენებს ემიგრაციაში მყოფ თავის სულიერ მოძღვარს :

1942 წელს ექვთიმეს მისთვის უსწავლებია ძველი ბერძნული, მაშინ ექვთიმე რვა ათეულ წელს ითვლიდა, ხოლო მისი მოწაფე კი თორმეტიოდეს. დღევანდელი გადმოსახედიდან ჩანს, რომ გიორგი შარაშიძის მეცნიერულ აზროვნებას ადრეული ასაკიდან ეყრება საფუძველი.

1953 წელს 23 წლის გიორგი შარაშიძე ხვდება საყოველთაოდ ცნობილ მეცნიერს ჟორჟ დიუმეზილს. მას სჭირდება სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი თავისი პირველი ნაშრომისათვის „წარმართული საქართველოს რელიგიური სისტემა“. მათი შეხვედრა გამოცდას ჰგავდა: დიუმეზილმა ქართული წიგნი მიაწოდა და წაკითხვა სთხოვა, რასაც მრავალი შეკითხვა მოჰყვა და მხოლოდ ამის შემდეგ მისცა თანხმობა ახალგაზრდა მეცნიერს. ამას ხელი შეუწყო ენების ცოდნამაც, გიორგი შარაშიძე ფლობდა ლათინურ, ბერძნულ, რუსულ, ქართულ, გერმანულ, ინგლისურ ენებს. მოგვიანებით ამას დაემატა სომხური და სხვა კავკასიური ენები. კიდევ ერთი განსაკუთრებული სახელი უკავშირდება მისი სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისს: კლოდ ლევი-სტროსი. აი, ის გამორჩეული გარემო, სადაც ყალიბდებოდა შარაშიძის მეცნიერული მსოფლმხედველობა.

გიორგი შარაშიძე მხოლოდ „თეორიული“ მეცნიერი არ ყოფილა. ის საველე მუშაობასაც ეწეოდა, ბევრჯერ იმოგზაურა თურქეთში, სადაც ჰქონდა შეხვედრები გადმოსახლებულ ჩეჩნებთან, აფხაზებთან, უბიხების უკანასკნელ წარმომადგენლებთან დიუმეზილთან ერთად იკვლევდა უბიხურ ენას.

გიორგი შარაშიძის სახელს უკავშირდება ასევე ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური ჟურნალის "Revue des Etudes Géorgiennes et Caucasiennes" დაარსება და გამოცემა ჟორჟ დიუმეზილთან ერთად 1985 წლიდან. ამ გამოცემამ ჩაანაცვლა მანამდე ნინო და კალისტრატე სალიების მიერ გამოცემული ჟურნალი „ბედი ქართლისა“ და 1995 წლამდე იარსება.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი შარაშიძე დაიბადა და გაიზარდა საფრანგეთში, მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართულ სამეცნიერო სამყაროსთან, მის ტრადიციებთან. როგორც ფრანგი, ბუნებრივია, შესანიშნავად იცნობდა ფრანგულ სამეცნიერო სისტემებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სამაგალითოა მისეული ანალიზი ქართული მეცნიერული აზროვნებისა. 1998 წელს პარიზში საქართველოს საელჩოს ინიციატივით და იუნესკოს ეგიდით ჩატარებულ საერთაშორისო კოლოკვიუმზე წაკითხულ მოხსენებაში „ქართული ისტორიის ფუძემდებლები“ მან მხოლოდ მისთვის ჩვეული სიღრმისეულობით კიდევ ერთხელ გააცოცხლა ორი წმინდა პიროვნება ივანე ჯავახიშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი, მათი გასაოცარი ღვაწლი და თავგანწირვა. მათმა სულიერმა შვილმა, გიორგი შარაშიძემ ხომ კარგად უწყოდა (და აღნიშნა კიდეც თავის მოხსენებაში), რომ ეს ორი ბრწყინვალე სახელიც კმაროდა ჭეშმარიტი ქართული სამეცნიერო ტრადიციის გასაშუქებლად. ამ ტრადიციებზე აღზრდილი გიორგი შარაშიძე მთელი ცხოვრების განმავლობაში თავისი ლექციების, უკვე კლასიკურად აღიარებული

შრომების, პირადი მაგალითის მეშვეობით აზიარებდა ევროპელებს ქართველურ-კავკასიური სამყაროს უკვდავ ფასეულობებს.

ზემოთაც აღვნიშნეთ და კიდევ გავიმეორებთ, გიორგი შარაშიძე „კავკასიის ატლანტადაც“ მოუხსენებიათ, ჩვენი აზრით, მან მართლაც ნამდვილი ქართველი რაინდისა და „კაი ყმის“ შემართებით ატარა ის მძიმე ტვირთი, რომელიც მას დაბადებიდან დაეკისრა და ვალმოხდილი შეუერთდა თავის დიდებულ ქართველ თუ ფრანგ წინაპრებს.

გიორგი შარაშიძის მთავარი ნაშრომები

— *Le Système religieux de la Géorgie païenne*, *analyse structurale d'une civilisation*, préface de Georges Dumézil, Paris, Maspéro, 1968, 738p.

— „წარმართული საქართველოს რელიგიური სისტემა“, ჟორჟ დიუმეზილის წინასიტყვაობით, პარიზი, მასპერო, 1968 წ.

— *Introduction à l'étude de la féodalité géorgienne (Le Code de Georges Le Brillant),* Centre de Recherches d'Histoire et Philologie de la IV° Section de l'Ecole Pratique des Hautes Etudes, Paris-Genève, Libraire Droz, 1971, 163 p. (publié avec le concours du C.N.R.S.).

— შესავალი ქართული ფეოდალიზმის შესწავლისათვის, პარიზი-ჟენევა, დროზი, 1971 წ.

— *Grammaire de la langue avar (Caucase du Nord-Est)*, Documents de Linguistique Quantitative 38, Editions Jean Favard (Service de Linguistique de l'Université Pierre-et-Marie Curie), 1981, 209 p. (réalisé avec le concours de la Fondation Ford). Ouvrage couronné par l'Académie des Inscriptions et Belles-Lettres (Institut)

— ავარული ენის გრამატიკა, (ჩრდილო-აღმოსავლური კავკასია), გამომცემლობა ჟან-ფავარი, 1981 წ.

— *Prométhée ou le Caucase*, *Essai de mythologie contrastive*, préface de Georges Dumézil, Paris, Flammarion, Nouvelle Bibliothèque Scientifique, 1986, 357 p. (publié avec le concours du C.N.L.).

— პრომეთე თუ კავკასია, ჟორჟ დიუმეზილის წინასიტყვაობით, პარიზი, ფლამარიონი, ახალი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, 1986 წ.

— *La mémoire indo-européenne du Caucase*, Paris, Hachette, coll. Textes du XX° siècle, 1987, 152 p.

— ინდოევროპული ხსოვნა კავკასიაში, პარიზი, აშეტი, 1987 წ.

— *Grammaire de la langue oubykh (Caucase du Nord-Ouest)*, The indigenious Languages of the Caucasus I, New-York, Caravan Books, Delmar, Anatolian and Caucasian Studies, 1989, 119 p.

— უბიხური ენის გრამატიკა (ჩრდილო-აღმოსავლური კავკასია), ნიუ-იორკი, ანატოლიური და კავკასიური სტუდიები, 1989 წ.

სტატიები

— L'Histoire contée aux Caucasiens, Paris, Cahiers de Littérature orale №17, Mythe et Histoire, 1984, PP. 15-46

— კავკასიელთათვის მოთხრობილი ამბავი, პარიზი, 1984 წ.

— Un Prométhée tcherkesse trop prométhéen, Paris, Revue des Etudes Géorgiennes et Caucasiennes №2, 1986, pp. 31-66

— ჩერქეზი პრომეთე, პარიზი, 1986 წ.

— Types de vendetta au Caucase, La Vengeance, vol. II, textes réunis et présentés par Raymond Verdier, Paris, Editions Cujas, coll. Echanges 1986, pp. 83-105 (ouvrage publié avec le concours du C.N.R.S.), copyright 1980

— ვენდეტის ტიპები კავკასიაში, 1989 წ.

— Gamq'relise/Ivanov, les Indo-européens et le Caucase, 1. Les Faits linguistiques, Paris, R.E.G.C. №2, 1986, pp. 211-222.

— გამყრელიძე/ივანოვი, ინდოევროპელები და კავკასია, 1986 წ.

— Gamq'relise/Ivanov, les Indo-Européens et le Caucase, 2. Les Faits culturels, Paris, R.E.G.C. №3, 1987, pp. 159-171

— გამყრელიძე/ივანოვი, ინდოევროპელები და კავკასია, 1987 წ.

— Histoires de Nasreddin Hoca en oubykh, textes inédits de Georges Dumezil et Tefik Esenc révisés traduits et annotés par Georges Charachidzé, Paris, R.E.G.C. №3, 1987, pp. 1-9 .

— ნასრედინ ჰოჯას ამბები უბიხურში, ჟორჟ შარაშიძის მიერ გამოკვლეული, თარგმნილი და კომენტირებული ჟორჟ დიუმეზილის და ტეფიკ ესენჩის გამოუქვეყნებელი ტექსტები, პარიზი, 1987 წ.

— Derniers textes oubykh de Haci Osman Köyü (avec version abkhaze) Paris R.E.G.C. №4, 1988, pp. 1-19.

— ჰასი ოსმან კოიუს ბოლო უბიხური ტექსტები, პარიზი, 1988 წ.

— Une Légende arménienne en oubykh (avec version abkhaze) Paris R.E.G.C. №5, 1989, pp. 30-50.

— ერთი სომხური ლეგენდა უბიხურში (აფხაზური ვერსიით), 1989 წ.

— L'Empire et Babel : les minorités dans la perestroïka, Paris, Le Seuil, Le Genre humain №20 : Face aux drapeaux, 1989, pp. 9-36.
— იმპერია და ბაბელი, უმცირესობანი პერესტროიკაში, პარიზი, 1989 წ.

— Serment et malédiction au Caucase, Université de Nanterre, Droit et culture №18, 1989, pp. 93-114
— ფიცი და წყევლა კავკასიაში, ნანტერის უნივერსიტეტი, სამართალი და კულტურა №18, 1989 წელი

— Nouveaux récits oubykhs, Paris R.E.G.C. №6-7, 1990-1991, pp. 23-46.
— ახალი უბიხური მოთხრობები, პარიზი, R.E.G.C. №6-7, 1990-1991

— Mots oubykh retrouvés, Paris, R.E.G.C. №6-7, 1990-1991, pp. 23-46
— ახლადაღმოჩენილი უბიხური სიტყვები R.E.G.C. №6-7, 1990-1991

— Emprunts lexicaux en oubykh (A propos du dernier livre de A.K. Shagirov), Paris R.E.G.C. №5, 1990-1991, pp. 217-235.
— ლექსიკური ნასესხობანი უბიხურ ენაში (ა.კ. შაღიროვის ბოლო წიგნთან დაკავშირებით); R.E.G.C. №6-7, 1990-1991

— Leçons de la "théocratie ", Paris, Le Seuil, Le Genre humain №23 : Le religieux dans le politique, 1991, pp.33-38
— „თეოკრატიის" გაკვეთილები, პარიზი, 1991 წ.

— Hypothèse indo-européenne et modes de comparaison, Paris, Revue d'histoire des religions №CCVIII, fasc. 2, avril-juin 1991, pp.203-228
— ინდო-ევროპული ჰიპოთეზა და შედარების წესი, პარიზი, 1991 წ.

— Histoire de Pambat le Nogaï en abkhaze et en oubykh, Paris, R.E.G.C. №8-9, 1992-1993, pp. 1-26.
— ნოღას პამბატი აფხაზურსა და უბიხურში, პარიზი, 1992-1993 წელი

— Deux fabliaux en abkhaz et en oubykh, Paris, R.E.G.C. №8-9, 1992-1993, pp. 27-35.
— ორი იგავი აფხაზურად და უბიხურად, 1993 წ.

— Mots oubykhs retrouvés 2 : Le complexe viscéral en caucasique du Nord-Ouest : c°'ag' c°'aba "viscères", c°'a "foie", c°aba "poumon(s)", Paris, R.E.G.C. №8-9, 1992-1993, pp. 37-45

— ახლადაღმოჩენილი უბიხური სიტყვები : „შიგნეულობა“, „ღვიძლი“, „ფილტვ(ებ)ი“ პარიზი, 1990-1991 წ.

— Les Tchétchènes-Ingouches pour la troisième fois menacés dans leur existence, Paris, La revue administrative №282, novembre-décembre 1994, pp. 616-618.

— თავიანთი არსებობის მანძილზე საფრთხის წინაშე მესამედ მდგარი ჩეჩნები და ინგუშები, პარიზი, 1994 წ.

— Les Tchétchènes, un peuple en sursis, Paris, Le Seuil, Le genre humain №29 : Les Bons sentiments, 1995, pp. 21-30.

— ჩეჩნები, სიკვდილმისჯილი ხალხი, პარიზი, 1995 წ.

— La Cuisine caucasienne, Cuisines d’Orient et d’ailleurs. Traditions culinaires des peuples du monde, sous la direction de Michel Aufray et Michel Perret, Paris, Editions Glénat, 1995, pp. 103-111.

— კავკასიური სამზარეულო, პარიზი, 1995 წ.

ნანა მეტრეველი,
პარიზის აღმოსავლურ ენათა და ცივილიზაციათა
ინსტიტუტის დოცენტი

მიხეილ ქურდიანი

ქართველმა საზოგადოებამ, ქართულმა მეცნიერებამ, ქართველოლოგიამ, კავკასიოლოგიამ დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა: 2010 წლის 31 ოქტომბერს 56 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების გამგე, საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირების წევრი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, ბატონი **მიხეილ ქურდიანი**.

მიხეილ ქურდიანი დაიბადა 1954 წლის 1 იანვარს თბილისში, ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის — ემელიან ქურდიანის — ოჯახში. ღვთით ბოძებული ტალანტისა და იმდროინდელი კულტურული გარემოს წყალობით, შეიძლება ითქვას, მან მიიღო კლასიკური უნივერსალური განათლება. 1971 წელს მ. ქურდიანმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის 47-ე საშუალო, გაძლიერებული ინგლისური სწავლების სკოლა; 1976 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ხოლო 1977 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების საზოგადოებ-

რივ პროფესიათა ფაკულტეტი ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით. მაგრამ არათუ ამით არ შეწყვეტილა, სიცოცხლის ბოლომდე არ დაშრეტია მას შემეცნებისა და ახალ ცოდნათა წვდომის წყურვილი; მაგალითად, მან 2001 წელს დაამთავრა ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურა მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკისა და სტრუქტურული, გამოყენებითი და მათემატიკური ლინგვისტიკის სპეციალობით; ამავე დროს, მოამზადა სამაგისტრო ნაშრომი მეტალურგიაში, რაკი ეს ცოდნა დასჭირდა მის კვალიფიკაციას ბრინჯაოს კულტურის ისტორიული მონაცემების კვლევისათვის ამიერკავკასიაში. ამ უნივერსალურ განათლებას აგვირგვინებდა (და — საფუძვლად ედო) არაერთი ევროპული, აღმოსავლური და ძველი კლასიკური ენის ცოდნა.

მეტად ფართო იყო მიხეილ ქურდიანის სამეცნიერო ინტერესების არეალი და კვლევითი დიაპაზონი: ლიტერატურათმცოდნეობა, თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერება, ისტორიოგრაფია, რელიგიის ისტორია, პალეოგრაფია... აი, სფეროები, რომლებშიც მას პირველხარისხოვანი კვლევები აქვს შესრულებული. ნიშანდობლივია, რომ იგი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ქართული ლიტერატურის სპეციალობით გახდა 1995 წელს; მისი ნაშრომი ეხებოდა ქართულ მოდერნისტულ ლიტერატურულ მიმდინარეობებს (სიმბოლიზმს, ფუტურიზმს...) მე-20 საუკუნის დასაწყისში და გამოირჩეოდა ფართო თეორიული ხედვით; ხოლო მისი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ქართული ლექსის რიტმული ორგანიზაციის ისტორიულ ანალიზს მიეძღვნა (სახელწოდებით: „საერთო-ქართველური ვერსიფიკაციული სისტემა და ლექსთწყობის ზოგადლინგვისტური თეორია“), ორი სპეციალობით იყო დაცული: ენათმეცნიერების თეორია და ისტორია და ლიტერატურის თეორია (1998 წ.). რამდენადაც მ. ქურდიანი იყო ქართული ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერული სკოლის ერთ-ერთი უერთგულესი მემკვიდრე, სრულიად განსაკუთრებული იყო მისი ინტერესი მსოფლიო ისტორიული პროცესების მიმართ; ისტორია მისთვის მხოლოდ ფაქტების სტატისტიკური გროვა კი არ იყო, არამედ იგი გლობალურ პროცესებს ხედავდა მასშტაბურად და შორეული წარსულის ცალკეულ ფაქტებშიც ჭვრეტდა განვითარების უნივერსალურ კანონზომიერებებს...

მიხეილ ქურდიანის კალამს ეკუთვნის ორასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის სოლიდურ მონოგრაფიას „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“ (თბილისი, 2007 წ., „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1040 გვ.). ამ მონოგრაფიამ შეაჯამა, ერთი მხრივ, შესაბამისი მონაპოვრები იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში, ხოლო მეორე მხრივ — ერთგვარად გაამ-

თლიანა ავტორის ზოგადთეორიული და კომპარატივისტული დაკვირვებანი კავკასიის მკვიდრ ენათა გენეტიკური ნათესაობის შესახებ; ავტორმა ამ წიგნში წარმოადგინა ყველა ის ძირითადი არგუმენტი, რის საფუძველზეც შესაძლებელია შესაბამისი თეორიის მეცნიერულ ღირებულებაზე საუბარი. იბერიულ-კავკასიურ ენათა ამ გენეალოგიურ კლასიფიკაციაში ბასკურმაც თავისი ადგილი დაიკავა; ბასკურ ენასთან ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაური ურთიერთობის დასამტკიცებლად დამატებითი არგუმენტების წარმოდგენაც მის სახელს უკავშირდება. უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის შემაჯამებელი მონოგრაფია იბერიულ-კავკასიურ შედარებით ენათმეცნიერებაში მანამდე არ ყოფილა შექმნილი და ეს ნაშრომი სრულიად ახალ ეტაპს ქმნის კავკასიის მკვიდრ ხალხთა ენების კვლევის საქმეში.

მეცნიერი ბოლო ხანს აქტიურად მუშაობდა ქართველთა პირველსაცხოვრისის ენობრივი სურათის შესაქმნელად. უკვე მოპოვებული შედეგები, რამდენიმე პუბლიკაციის სახით, სრულიად ნათლად და ცალსახად წარმოადგენს „წინარექართველთა“ განსახლების არეალსა და იმ ბუნებრივ-ისტორიულ გარემოს, რასაც ეს პირველსაცხოვრისი ქმნიდა. ამავე ენობრივი მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ქართველთა სოციოსტრუქტურული და ეთნოკულტურული ხასიათის ცალკეული შტრიხების დადგენაც.

მიხეილ ქურდიანი იყო სრულიად გამორჩეული ლექტორი და ორატორი. მრავალმხრივი განათლება, ნათელი გონება, ფართო სამეცნიერო დიაპაზონი და განსაკუთრებული მჭევრმეტყველური ტალანტი მას საშუალებას აძლევდა ელვის სისწრაფით დაეპყრო აუდიტორია და ნათელი აზრისაკენ წარემართა დროთა თუ გარემოებათა გამო დაბნეული მსმენელი; იგი იყო ბეჭდაუდებელი მოპაექრე და არაერთხელ მოუგია ასეთი მძაფრი „შერკინებები“ ჭეშმარიტების სასარგებლოდ ჩვენშიც და საზღვრებს გარეთაც. მას პატივს სცემდნენ და ანგარიშს უწევდნენ ქართველოლოგიასთან დაკავშირებული სამეცნიერო წრეები ევროპის ქვეყნებში, რუსეთში, პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებში, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში, სადაც ის თავისიანად, სისხლად და ხორცად ჰყავდათ მიღებული; შეიძლება ითქვას, მან ღირსეულად გააგრძელა კავკასიელთა საძმო ურთიერთობის ის ფასეული ტრადიცია, რომელიც მას ჯერ გენეტიკური მემკვიდრეობით მოსდგამდა სვანეთიდან, ხოლო შემდეგ ეროვნული საუნივერსიტეტო განათლებით ესაგზლა დედაუნივერსიტეტიდან. ამ ცოდნასა და სულისკვეთებას იგი უშურველად გადასცემდა სტუდენტებსა და ასპირანტებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, ქუთაისის, თელავისა და სხვა უნივერსიტეტებში... იგი სხვადასხვა დროს იყო არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრი, გელა-

თის მეცნიერებათა აკადემიის უწყებათა, ამავე აკადემიის ჟურნალისა და ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბის მთავარი რედაქტორი.

ასევე გამორჩეული იყო სხვათაგან მიხეილ ქურდიანის ლიტერატურული ტალანტი. მისი გამოკვლევები და ესეები ლიტერატურათმცოდნეობაში, მისი პოეზია და დრამატურგია წარმოაჩენდა მას, როგორც მეტად თავისებური ხედვისა და ხელწერის ხელოვანს, ქართული სიტყვის ჩინებულ ოსტატს.

მიხეილ ქურდიანი იდგა არაერთი ეროვნული წამოწყებისა და ორგანიზაციის სათავეებთან. იგი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი გელათის ისტორიული აკადემიის აღორძინებისა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წიაღში, ამ აკადემიის ხელმძღვანელი 2007-2010 წლებში; იგი იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი (1987 წ.) და მისი საპატიო წევრი 1991 წლიდან; იყო საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელი (1989), მისი პრეზიდენტი 1990-94 წლებში და საპატიო პრეზიდენტი 1999 წლიდან; იყო სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების (1987 წ.) ეროვნული მოღვაწეობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ამ საზოგადოების პრეზიდენტი 2003 წლიდან. იგი 1982 წლიდან იყო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი და 1992 წლიდან — საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

მიხეილ ქურდიანის მეცნიერული მოღვაწეობის ყველაზე აქტიური პერიოდი ჯერ კიდევ წინ იყო, დასრულებასა და გამოქვეყნებას ელოდა მისი არაერთი მეცნიერული მონახაზი. რა დასანანია, რომ მან იდეებისა და ჩანაფიქრთა უმეტესობის განხორციელება ვერ მოასწრო, მას სწორედ ახლა, ამ სიმწიფის ასაკში უნდა დაებინავებინა ბობოქარი სიჭაბუკისა და უკვე დადინჯებული „შუაკაცობის“ გეგმები და ჩანაფიქრები...

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ლამარა ნოზაძე

ქართულმა საენათმეცნიერო საზოგადოებამ კიდევ ერთი აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ქალბატონი **ლამარა ნოზაძე**.

ლამარა მელიტონის ასული ნოზაძე დაიბადა 1928 წლის 20 ნოემბერს ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. მან 1947 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. თბილისის რკინიგზის მე-4 ქალთა სკოლა, ხოლო 1952 წელს წარჩინებით — თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1952 წელსვე, ლ. ნოზაძე ჩაირიცხა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში ლექსიკოლოგიის სპეციალობით; 1956 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითების ურთიერთობის საკითხი ქართულში“.

1956 წლის 1 ოქტომბრიდან ლ. ნოზაძე ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელია, 1969 წლის 1 ივლისიდან კი — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1997 წლიდან 2005 წლამდე ლ. ნოზაძე იყო ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თა-

ნამშრომელი.

ლ. ნოზაძე არის ავტორი 118 სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც ქართული ენის ისტორიული მორფოლოგიისა და ლექსიკოლოგიის მნიშვნელოვან პრობლემებს ეხება. მათმა ნაწილმა თავი მოიყარა 2008 წელს გამოცემულ ორ წიგნში: „ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები“ და „ქართული ენის ლექსიკოლოგიის პრობლემები“. ლ. ნოზაძე არის „ქართლური დიალექტის ლექსიკონის“ (თბ., 1981) ერთ-ერთი შემდგენელი.

ქალბატონი ლამარა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ლექსიკოლოგიის განყოფილებაში მოღვაწეობდა. 1956 წლიდან მოყოლებული იგი მონაწილეობდა განყოფილებაში მიმდინარე თითქმის ყველა სამუშაოში: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ VII (1962) და VIII (1964) ტომების შედგენაში (სიტყვების განმარტება, განმარტებული მასალის პირველადი რედაქცია, რედაქტირებული მასალის რეცენზირება...); „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ერთტომეულის (1986) მომზადებაში (სარედაქციოდ შეამზადა 2700 სიტყვა-სტატია); „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიისა (1973) და ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ ინვერსიული საძიებლის (1979) შედგენაში.

მ. ჭაბაშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1997 წლიდან, ლ. ნოზაძემ ითავა „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონის“ შემდგენელი ჯგუფის ხელმძღვანელობა და რედაქტორობა; უკვე გაუკეთა რედაქცია 6000-მდე სინონიმურ მწკრივს (60000-მდე სინონიმურ ერთეულს). სამწუხაროდ, მას არ დასცალდა ამ მნიშვნელოვანი ლექსიკონის დასრულება...

ქალბატონი ლამარა ნოზაძე მუდამ იძლეოდა საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულების მაგალითს, იგი იყო პირუთვნელი შემფასებელი ყველასი — ცხოვრებაშიც და მეცნიერებაშიც. მისი ხსოვნა და ნაღვაწი მუდამ იცოცხლებს კოლეგებისა და მეგობრების გულში.

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ლალი იორდანიშვილი

2011 წლის 23 იანვარს გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქართველი მეცნიერი, ტერმინოლოგი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიეროო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ლალი სოლომონის ასული იორდანიშვილი.

ლალი იორდანიშვილი დაიბადა 1927 წლის 2 დეკემბერს თბილისში, ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის, სოლომონ იორდანიშვილის ოჯახში. 1934 წელს მან სწავლა დაიწყო ქალთა პირველ საშუალო სკოლაში. 1944 წელს ლ. იორდანიშვილმა წარჩინებით დაამთავრა სკოლა და ამავე წელს ჩაირიცხა უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, არაბული ენისა და ლიტერატურის განხრით, რომელიც დაამთავრა 1949 წელს. 1950 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიეროო ტერმინოლოგიის განყოფილებაში ლაბორანტის თანამდებობაზე. გამორჩეული ნიჭისა და საქმისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო იმავე წელს გადაიყვანეს უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

1966 წელს ლ. იორდანიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „რაფიელ ერისთავის ენა“. 1977 წლიდან გარდაცვალებამდე იგი მუშაობდა უფროს მეცნიერ თანამშრომლად ენათმეცნიერების ინსტიტუტში. ქ-ნი ლა-

ლი კარგად ფლობდა რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და არაბულ ენებს.

ლალი იორდანიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარებაში. მან არაერთი მნიშვნელოვანი სტატია მიუძღვნა ტერმინოლოგიის საკითხებს. უდიდესია მისი დამსახურება რ. ერისთავის, როგორც ლექსიკოგრაფის, ღვაწლის წარმოჩენაში, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ასევე მისი წვლილი ქართული სპორტული ტერმინების შესწავლის საქმეში. მან არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ამ საკითხებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სტატიები: „რ. ერისთავი და „სამი სტილის თეორია"; „რ. ერისთავის რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ხელნაწერი ლექსიკონის შესახებ"; რ. ერისთავის თხზულებათა ენის ძირითადი მორფოლოგიური და „სინტაქსური თავისებურებანი"; „რ. ერისთავი — ლექსიკოგრაფი და რედაქტორი; „ნაზმნარ სახელთა წარმოების საკითხები სპორტის (ტანვარჯიშის) ტერმინოლოგიაში"; რაფიელ ერისთავის „ქართულ-რუსულ-ლათინური მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა ლექსიკონი"; „ინგლისში მოღვაწე ქართველოლოგი ეკა ჩერქეზიშვილი (ეკა ჩერქეზი)"; „სემინარიელნი გ. ლეონიძე და ს. იორდანიშვილი"; „რაფიელ ერისთავი ქართული ენის ქომაგი".

ლალი იორდანიშვილი სისტემატურად მონაწილეობდა რეგიონალური, რესპუბლიკური და საინსტიტუტო სამეცნიერო სესიების მუშაობაში, თანამშრომლობდა ჟურნალთან „ბურჯი ეროვნებისა", მონაწილეობას იღებდა მრავალი სხვადასხვა დარგის მასალის დამუშავებაში, სარედაქციო კოლეგიის სხდომებში, ტექნიკური ტერმინოლოგიის დედნის მომზადებაში, მისი ქართულ-რუსული ნაწილის შედგენაში, რადიოელექტრონიკის ტერმინოლოგიის ახალი რედაქციის დამუშავებაში, საზღვაო და კრებსითი ტერმინოლოგიების მომზადებაში.

ბოლო ოცწლეულის განმავლობაში თავდადებით მუშაობდა უახლესი ტექნიკური ტერმინოლოგიის (რომელიც შეივსო 22 დარგით) ახალი გამოცემისათვის დარგობრივი კომისიების მიერ წარმოდგენილი მასალების დამუშავება-რედაქტირებაში, ავტოტრანსპორტისა და საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტერმინოლოგის (2001), ვაჭრობის, ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ტერმინოლოგიის (2003) მასალის დამუშავებასა და მომზადებაში.

ქ-ნი ლალი გასაოცარი დიდსულოვნებითა და სიდარბაისლით გამოირჩეოდა. ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი, ის შესანიშნავი შვილი, მეუღლე და შვილებისათვის თავდადებული დედა იყო. განყოფილებაში მუდამ ემახსოვრებათ მისი ბრძნული შეგონება: ადამიანი სწავლობს უცხო ენებს, ეუფლება მეცნიერების სხვადასხვა დარგს მხოლოდ იმიტომ, რომ ემსახუროს თავის ქვეყანას. ნაყოფიერმა სამეცნიერო მოღვაწეობამ ლალი იორდანიშვილს დამსახურებული ავტორიტეტი დაუმკვიდრა სპეციალისტებს შორის. მისი სახელი, როგორც თვალსაჩინო ტერმინოლოგისა, მუდამ დარჩება ქართული სამეცნიერო

ტერმინოლოგიის ისტორიაში.

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი